
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის
ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია





საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა აღწერილობის რედაქცია

სარედაქციო საბამომცემლო სამეცნიერო საბჭო:

ზურაბ აბაშიძე, ავთანდილ არაბული, გიორგი კვესიტაძე, გიორგი ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, თამაზ სანიკიძე, ავთანდილ საქვარელიძე, თეიმურაზ საქვარელიძე, კიაზო ფიცხელაური, ვახტანგ ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე

წიგნის მთავარი რედაქტორი თამაზ დვალი

რეცენზენტი დიმიტრი თუმანიშვილი

არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლების შესახებ მასალები მომზადდა

ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

© ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

ISBN 978-99928-20-45-2

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით



1-ლი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პრობლემა

თელავის
მუნიციპალიტეტი

თბილისი 2016

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GEORGIAN ENCYCLOPAEDIA
IRAKLI ABASHIDZE CHIEF EDITORIAL BOARD

EDITORIAL BOARD OF THE DESCRIPTION OF
THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY
AND CULTURE

DISCRIPTION OF THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY AND CULTURE

BOOK 1-II

TBILISI 2016



1-ii
თელავის მუნიციპალიტეტი

რედაქციისაგან

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციამ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, გამოსაცემად მოამზადა სამეცნიერო-ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ რიგით მეოთხე წიგნი, რომელიც ეძღვნება თელავის მუნიციპალიტეტის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

რედაქციის წინასწარი განცხადების მიხედვით, წინამდებარე წიგნი, მიძღვნილი უნდა ყოფილიყო კახეთის ოთხი მუნიციპალიტეტის (თელავის,ლაგოდეხის,საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები) ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი, მაგრამ, მრავალტომეულის შემადგენელი ნაწილების თანაზომიერების დაცვის აუცილებლობის გამო, ამ სურვილის რეალიზება, შეუძლებელი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ ჩვენი წინასწარი ვარაუდი, ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში ხუროთმოძღვრული ძეგლების რაოდენობის შესახებ, არ გამართლდა, რადგან აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, სპეციალურად ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად, ბევრი, ჩვენთვის მანამდე უცნობი ძეგლი იქნა მიკვლეული. რამაც, ცხადია, გამოსაცემი მასალის მოცულობა საგრძნობლად გაზარდა.

გამოცემისათვის სპეციალურად გადამოწმდა და საჭიროებისამებრ განახლდა ათეულობით ნახაზი, ახალი მონაცემებით შეივსო სტატიების ნაწილი და სხვ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების (ძირითადად უსახსრობის) გამო, რიგი ძეგლების მონახულება, აზომვა, და აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელთ არსებულ ნახაზებში, იმ სახეცვლილების ასახვა, რომელიც ამა თუ იმ ძეგლმა რესტავრაციის შედეგად განიცადა, ვერ მოხერხდა. თუმცა, რიგ შემთხვევებში, სახვით მასალაში ზოგიერთი ძეგლის სახეცვლილების ჩვენებას თავი შეგნებულად ავარიდეთ, რადგან, ბოლო წლების მანძილზე, თვითნებურად განხორციელებული „სარესტავრაციო” მოღვაწეობის შედეგად, ბევრ ძეგლს თავდაპირველი სახე თითქმის მთლიანად აქვს დაკარგული, ხშირ შემთხვევაში იმდენად, რომ რიგი ძეგლების საილუსტრაციოდ, იძულებული გავხდით, ჩვენ ხელთ არსებული ძველი სახვითი მასალა გამოგვეყენებინა.

ასევე აღსანიშნავია,რომ ბოლო წლებში,კახეთში,ისევე როგორც მთელ საქართველოში, ინტენსიურად მიმდინარეობდა ხუროთმოძღვრული ძეგლების სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები. ხშირად ასეთ სამუშაოებს აწარმოებდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლებიც, რედაქცია კი მოკლებული იყო სათანადო ინფორმაციას. ამიტომ, შესაძლოა, ამა თუ იმ ძეგლის აღწერილობაში მისი აღდგენისა თუ შეკეთების ფაქტი არ იყოს აღნიშნული, რადგან ზემოაღნიშნულის დაზუსტება მთელ რიგ სირთულეებთან, და რაც მთავარია, დროის დიდ დანახარჯთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს კი, წიგნის დროულ მომზადებასა და გამოცემის შეფერხებას გამოიწვევდა.

მუნიციპალიტეტის ძეგლთა აღწერილობას წინ უძღვის რუკა-სქემა, რომელზეც დატანილია ძირითადი მდინარეები, გზები და ის დასახლებული პუნქტები, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი. მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები განლაგებულია ანბანური რიგით. ასევე ანბანზეა განლაგებული როგორც ქალაქ თელავში ისე სოფლებში არსებული ძეგლებიც.

წიგნს აქვს შესავალი, რომელშიც მიმოხილულია კახეთის ისტორია, მხარის არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლები. საკუთრივ მუნიციპალიტეტს ახლავს მოკლე, საცნობარო სტატია. ცალკე სტატია ახლავს ასევე ქალაქ თელავს და იმ სოფლების ნაწილს, რომლებზედაც შესაძლებელი გახდა ისტორიული ცნობების მოპოვება.

წიგნში ყოველ ერთეულს (ქალაქი, სოფელი, ძეგლი) მინიჭებული აქვს საკუთარი ნომერი (ინდექსი). კომპლექსში შემავალი ცალკეული ძეგლები (იქნება ეს ცალკე მდგომი ნაგებობა, კედლის მხატვრობა თუ მცირე ფორმის არქიტექტურის ძეგლი) მოცემულია დაყოფით. დაყოფითვეა მოცემული რომელიმე ძეგლის პარალელურად გამოყენებული ან ცნობილი, ძველი სახელწოდება (მაგალითად: 150. გულგულა, გ ო ლ გ ო თ ა, ტ ყ ე ტ ბ ა; ან 163. მაცხოვრის ეკლესია, თ ე თ რ ი ს ა ყ დ ა რ ი; ან 167. სამების ეკლესია, ჩ ი ტ ი კ ა ს ს ა ყ დ ა რ ი და ა.შ.).

ძეგლის სახელწოდების შემდეგ მოცემულია დეფინიცია – თუ რა კატეგორიის ძეგლია იგი (მაგალითად: ისტ., არქეოლ., არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძეგლი და სხვ. კატეგორიების ჩამოთვლისას უპირატესობა ეძლევა ძეგლის მთავარ მახასიათებელს).

წიგნს ერთვის: მრავალრიცხოვანი გრაფიკული ილუსტრაცია (ანაზომები, ნახაზები) და ფოტოსურათები; ანბანზე განლაგებული და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლების ან ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია. გამოცემაში, ცალკეული სტატიის ბოლოს, ადგილის ეკონომიის მიზნით, მოცემულია იმ ბიბლიოგრაფიული ერთეულის ნომერი, რომელიც აღნიშნულ სტატიას ეკუთვნის (მაგალითად, – ბიბლ.: 21 ბ. აქ პირველი რიცხვით აღნიშნულია ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მოცემული ბიბლიოგრაფიული ერთეულის რიგითი ნომერი – 21. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები; ასო ბ აღნიშნავს გამოცემის ტომს ან წიგნს. ე. ი. წგ. 2.

წიგნს დართული აქვს ანბანზე განლაგებული საძიებლები – პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, სახელიანი ძეგლების, მოხატული ეკლესიების და ეკლესიების ქრონოლოგიური საძიებლები. ასევე, გამოყენებული ილუსტრაციების სია, ფოტოსურათების ავტორების, ძეგლების აზომვითი სამუშაოების შემსრულებლების, სამეცნიერო პუბლიკაციების და იმ დაწესებულებების მითითებით, რომლებშიც ინახება ესა თუ ის ნახაზი ან ფოტოსურათი.

წიგნში, ქალაქ თელავის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილის აღწერილობა ავტორის მითითების გარეშეა დატოვებული, რადგან სტატიები აღნიშნული ობიექტების შესახებ, მომზადდა საკუთრივ რედაქციაში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით 2005 წელს მომზადებულ სააღრიცხვო ბარათების მონაცემებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნში შევიდა მხოლოდ ის საცხოვრებელი სახლები, რომელთაც, დაზიანებებისა და გვიანდელი გადაკეთებების მიუხედავად, შერჩენილი აქვს თავდაპირველი სახის დიდი პროცენტი.

წიგნს, რა თქმა უნდა, არა აქვს სისრულის პრეტენზია. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა მასში შემავალი ძეგლები, ალბათ მაინც გამოგვრჩა რომელიმე ძეგლი ან მოვლენა. ვფიქრობთ, რომ მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურსა და რედაქციას შორის უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის შემთხვევაში, გამორჩენილ ძეგლთა რაოდენობა მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი.

ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების, დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით, შესაძლებელი გახდება მასალის შევსება და გამოვლენილი ძეგლები შევა აღწერილობის ბოლო, სპეციალურ, დამატებით წიგნში.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ წინამდებარე წიგნი, ისევე როგორც მთელი გასრულებული გამოცემა, დიდ როლს შეასრულებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და ჩვენი სულიერი კულტურის პროპაგანდის საშურ და აუცილებელ საქმეში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ვფიქრობთ, წიგნი საინტერესო იქნება, როგორც მკვლევართათვის, ისე ხელოვნებითა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.


საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

წიგნი 1-II

თელავის მუნიციპალიტეტი



სოფ. ვარდისუბანი. ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი (175), საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან



კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული მხარეა, მისი ისტორია, საქართველოს სხვა კუთხეებთან დამოკიდებულებისა და თვითმყოფადობის გათვალისწინებით,მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

სახელწოდება „კახეთი“ პირველად ძველ ქართულ საისტორიო წყაროში – „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში გვხვდება. ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში მოტანილი ლეგენდის თანახმად, ქართველთა წინაპარს ქართლოსს ხუთი შვილი – მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი ჰყოლია. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილებს მისი სამფლობელო დაუნაწილებიათ. კახოსს რგებია მიწა-წყალი „კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“. ისტორიული კახეთი დღევანდლისგან განსხვავებულ ტერიტორიას მოიცავდა. საკუთრივ კახეთის გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა: კუხეთი,უფრო სამხრეთით – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გარდაბნის ქვეყანა; ჩრდილოეთით – ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, დურძუკეთი და ღლიღვეთი, ანუ კავკასიის მთიანეთი, რომელსაც ქართული წყაროებით „მთიულეთი კახეთისა“ ეწოდებოდა.

აღმოსავლეთიდან კახეთს ჰერეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. მათ შორის საზღვარი ვეჯინისა და გავაზის დასავლეთით,ალაზნის ველს მიუყვებოდა. დასავლეთით საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა,სამხრეთ-დასავლეთით კი – მდინარე მტკვარზე. ისტორიულ პროცესში კახეთი, კულტურულად და პოლიტიკურად თანდათან ფარავს ჰერეთს. საერთოდ,როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს,ტერმინებს „კახეთს“,„კუხეთსა“ და „ჰერეთს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, შესაბამისად, „ქვეყანათა“ საზღვრებიც საკმაოდ ძნელად დასადგენი და არამყარია.

კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ივრის ზემო წელი,თიანეთსა და უჯარმას შორის), რომლის ცენტრი ჩელეთი იყო, IV საუკუნიდან – უჯარმა,XI საუკუნიდან – თელავი,XV საუკუნიდან – გრემი,XVII საუკუნის II ნახევრიდან ისევ თელავი. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კახეთი მოიცავს მდ. ივრის შუა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზს – ა ხ მ ე ტ ი ს, გ უ რ ჯ ა ა ნ ი ს, დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო ს, თ ე ლ ა ვ ი ს, ლ ა გ ო დ ე ხ ი ს, ს ა გ ა რ ე ჯ ო ს და ს ი ღ ნ ა ღ ი ს მუნიციპალიტეტებს.

კავკასიის გეოკლიმატური პირობები და მისი ბუნებრივი სიმდიდრე ათასწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა და არეგულირებდა აქ მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების ძირითად მიმართულებებს. ამ მატერიალურ ბაზაზე წარმოიშვა კავკასიაში (მათ შორის კახეთში) ერთიმეორესთან მრავალმხრივ დაკავშირებული, არქეოლოგიური კულტურები, ჩამოყალიბდა აქ მცხოვრებ ადამიანთა უნიკალური ყოფა-ცხოვრებითი ერთიანობა.

კავკასია ადამიანის ისტორიის დასაბამიდან წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, ძირითადი გზების გზაჯვარედინს, რაც ხან



ალაზნის ველი და კახეთის კავკასიონი. წინა პლანზე: სოფ. აკურა

ხელს უწყობდა ადგილობრივი კულტურების წინსვლას, ხანაც აფერხებდა მას: თუმცა, გარე სამყაროს ინტერესი კავკასიის მიმართ არ განისაზღვრებოდა მხოლოდ აქ გამავალი სატრანზიტო გზების მნიშვნელობითა და საჭიროებით.

დაწინაურებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფონზე კავკასიაში იყო ისეთი ბუნებრივი სიმდიდრე (ლითონის უმდიდრესი ნედლეული და ამ ბაზაზე განვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება), რომელიც მისი განვითარების უმთავრეს ბერკეტად და მის მიმართ მთელი გარე სამყაროს გაცხოველებული ინტერესის ფაქტორად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში სამეურნეო ცხოვრების სწორედ ეს მიმართულება უნდა ყოფილიყო კავკასიური კულტურის განვითარებისათვის უმთავრესი ბიძგის მიმცემი.

მიუხედავად იმისა,რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კახეთის მხარე გეოგრაფიულად გამოცალკევებულია მდინარეების – ივრისა და ალაზნის ოროგრაფიული სისტემით და მატერიალური კულტურის მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება,ზოგადად იგი უძველესი სამხრეთ კავკასიური კულტურების განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ მათთან ერთად, ერთ სისტემაში უნდა იქნას განხილული.

კახეთი მდიდარია როგორც მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით, ისე ნოყიერი ნიადაგებით, ნიადაგისეული საფარით – ტყის მასივებით, საძოვრებით და წყლის რესურსებით. ყოველივე ეს,ზომიერ ჰავასთან ერთად, ადამიანის საცხოვრებლად და მისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

როგორც ჩანს, კავკასიის ეს კუთხე ოდითგანვე გამოირჩეოდა ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობებით.

ამის საუკეთესო მანიშნებელი უნდა იყოს კახეთის სხვადასხვა მხარეში,უფრო კი ივრის ხეობაში (ვაშლოვნის ნაკრძალი, ტარიბანას ველი, დავითგარეჯის უდაბნო, გომბორის ქედის სამხრეთი ფერდები), აღმოჩენილი განმარხებული ცხოველების ძვლები, რომელთა შორის ინდივიდების მთელი ჩონჩხებიც გვხვდება (სპილო, მარტორქა და სხვ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავითგარეჯის უდაბნოში, ლავრის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად აღმოჩენილი პრიმატის კბილი, რომლის ასაკიც მეოტური პერიოდით განისაზღვრება.

ამ თვალსაზრისით ისიც მნიშვნელოვანია, რომ ვაშლოვნის ნაკრძალის ტერიტორიაზე მასიური ტყის სახით, ცოცხლად არის გადარჩენილი მილიონობით წლის წინანდელი ხის ჯიშები, რაც მსოფლიო მასშტაბით უნიკალური მოვლენაა.


კახეთში საუკეთესო ბუნებრივი პირობები იყო ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებისთვისაც. ამაზე უმთავრესად მიგვითითებს ივრის ხეობაში, გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობებზე და ივრის ზეგანზე აღმოჩენილი ქვის ხანის ადამიანის რამდენიმე ათეული ღია სადგომი, სადაც მრავლად გამოვლინდა კაჟისგან დამზადებული იარაღები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზიართან აღმოჩენილი ადრინდელი ქვის ხანის ადამიანის



მდ. თურდოს ხეობა. უკანა პლანზე: ალაზნის ველი და კახეთის კავკასიონი

ნაბინავარი, სადაც კულტურული ფენა დაურღვეველად, თავდაპირველ მდგომარეობაშია გადარჩენილი. მონაპოვარი მასალის მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ქვის ხანაში ადამიანი მუდმივად სახლობდა. აქ მისი ცხოვრების კვალი დაახლოებით ძვ. წ. 2 მილიონ 300 ათას წელსა და 10.000 წელს შორის უნდა განისაზღვროს.

კახეთში ქვის ხანის ძეგლებიდან ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) ხანის ძეგლები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ამ მხარეში მათ არსებობაზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევითი აღმოჩენა მიგვანიშნებს. საზოგადოების განვითარების შემდგომი საფეხურის, ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანა) ხანის



ქვის ხანის ადამიანის კაჟის იარაღები

ნამოსახლარები კახეთში აღმოჩენილია მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წითელგორის მახლობლად; გურჯაანის მუნიციპალიტეტში – სოფ. ჯიმითთან და სოფ. ჭერემთან. აქ აღმოჩენილია შენობათა მცირე კვალი და დიდძალი არქეოლოგიური მასალა (ხელით ნაძერწი თიხის უხეში ჭურჭელი და ნახეხ-ნაპრიალები ქვის იარაღი), რომლებიც დათარიღებულია ენეოლითური ხანის დასასრულით. ამ ძეგლებზე გამოვლინდა წმინდა სპილენძისგან დამზადებული ნივთის ერთადერთი ფრაგმენტიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში მეტალურგიულ წარმოებას შესაძლოა ძვ. წ. ექვსი ათასი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი.


დავითგარეჯის უდაბნოს სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ჯანდარის ტბის პირას, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე, აღმოჩნდა თიხის მრგვალი და ოთხკუთხა შენობებიანი დიდი ნამოსახლარი. მოპოვებული მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, რომლის უმეტესობა სამეთუნეო მორგვზეა დამზადებული (მცირე ტერაკოტული ქანდაკებები, თიხის საბეჭდავები და წმინდა სპილენძისაგან დამზადებული იარაღები), იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში შესაძლოა მესოპოტამიიდან ემიგრირებული ხალხის დიდი ჯგუფი სახლობდა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში.

კავკასიაში სპილენძ-ქვის ხანის ეპოქის შემდგომი პერიოდი (ადრინდელი ბრინჯაოს ხანა) ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ დროს სამხრეთ კავკასიის მთელ ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელშიც ერთიანდება იორ-ალაზნის აუზიც, დღევანდელი კახეთის ტერიტორია.

კახეთში ამ დროის ბევრი ნამოსახლარია ცნობილი, თუმცა ისინი ჯერჯერობით სრულად გამოკვლეული არ არის. უკეთ არის შესწავლილი აქ გამოვლენილი სამარხეული ძეგლები. ძირითადად გათხრილია გორასამარხები დიდი ქვაყრილით, რომლის ცენტრალური ნაწილის ქვეშ უორმოო, საოჯახო, კოლექტიური სამარხებია განლაგებული, ხშირად მიცვალებულების ფერფლით. ზოგჯერ დასაკრძალავ დარბაზებს აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს ქვის ფილებით ნაგები გრძელი დერეფნები – დრომოსები, რომლებშიც შეწირული ადამიანების მთლიანი ჩონჩხები ან ჩონჩხების ნაწილებია მოთავსებული. კახეთში შესწავლილია იმდროინდელი გრანდიოზული კატაკომბური სამარხებიც, რომლებიც ქვის დიდი ყრილის ქვეშ არის განლაგებული.

სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება მიცვალებულისათვის ჩატანებული, მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი შედარებით იშვიათად – ბრინჯაოს იარაღი და სამკაული. ამ დროიდან სამარხეულ ინვენტარში გვხვდება ოქროს ნივთებიც, ძირითადად, სასაფეთქლე ხვიების სახით.

ცნობილია, რომ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში და მის მეორე ნახევარში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მის ადგილს იმკვიდრებს ე. წ. მარტყოფული და ალაზან-ბედენური (ადრინდელი ყორღანული) კულტურები, რომლებიც მთლიანად მოიცავს თანამედროვე აღმოსავლეთ საქა-



შირაქი. თიხის ჭურჭელი გორასამარხის კომპლექსიდან. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული

რთველოს ტერიტორიას (კახეთის ჩათვლით) და დღევანდელი სომხეთის ჩრდილო ნაწილს.

კახეთი ამ კულტურების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა და ნიშანდობლი-



ჭაბუკიანი. ანანაურის გორასამარხი, სამკაულები. ოქრო. ვერცხლი. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ვია, რომ პირველად სწორედ კახეთის მასალების მიხედვით დაისვა საკითხი ადრინდელი ბრინჯოს ხანის მტკვარ-არაქსული და მარტყოფული კულტურების ქრონოლოგიური და გენეტიკური სიახლოვის შესახებ. ამ ორი ჯგუფის ძეგლების ქრონოლოგიური სიახლოვე დაადასტურა ივრის ზემო დინებაში, სიონის ნამოსახლარზე აღმოჩენილმა მასალებმა,სადაც მათთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაკეთობანი ერთი და იმავე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა. შემდგომ უკვე მათ გენეტიკურ კავშირზე საუბრის საფუძველი მოგვცა ანანაურის გორასამარხების კერამიკულმა მასალამ, ვინაიდან ეს ნაკეთობები ერთდროულად შეიცავდა ორივე კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს.

კახეთში როგორც მარტყოფული, ისე ალაზან-ბედენური კულტურების სამარხეული მასალა განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. ამ დროის სამარხებში, როგორც წესი, მოზრდილ მიწისზედა ან ორმოში არსებულ დასაკრძალავ დარბაზზე მოზვინულია ქვისა და მიწის დიდი ბორცვი, რომელიც სიმაღლით ზოგჯერ 20 მეტრს აღწევს, მისი დიამეტრი კი 200-250 მეტრამდეა. არის მათი თანადროული,შედარებით მცირე ზომის გორასამარხებიც, რომელთა კონსტრუქცია ჩვეულებრივ, დიდი გორასამარხების იდენტურია. სამარხის ყრილის ქვეშ გამართულია ხის დიდი მორებით ნაგები, მიწისზედა, ჯარგვალური დასაკრძალავი დარბაზი (ხშირად 10×10 მ), რომლის იატაკი და გადახურვა ხის მორების რამდენიმე ფენისგან შედგება. იატაკზე, ზოგჯერ, გეომეტრიული სახეებით, სხვადასხვა ფერად შეფერადებული ტყავია დაფენილი, გადახურვას კი სქლად ნაქსოვი ჭილოფი ფარავს. ზოგჯერ დასაკრძალავი დარბაზი მოზრდილ ორმოშია მოწყობილი, რომლის კედლები ვერტიკალურად მდგარი, მსხვილი მორებით არის გამოყვანილი. ხშირია დასაკრძალავი დარბაზის გადახურვაზე ადამიანის მსხვერპლშეწირვა, უმეტესწილად სრულიად უინვენტაროდ.

ამ დროის განათხარი სამარხების უმეტესობა კახეთში ძველადვეა გაძარცული, მაგრამ მაინც მოხერხდა დაკრძალვის წესჩვეულების სურათის აღდგენა.

მარტყოფული და ბედენური კულტურის დასაკრძალავი დარბაზების ცენტრალურ ნაწილში ხის მოზრდილი, ოთხთვალა ურემი იდგმებოდა, რომელზეც ჭილოფში გახვეული, დამწვარი მიცვალებულის ფერფლი და მისი პირადი ნივთები (განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი,ბრინჯაოს იარაღი, სამკაული და სხვ.) ეწყობოდა.

როგორც მარტყოფული პერიოდის, ისე ალაზან-ბედენური დროის სამარხებში, ადამიანის მსხვერპლშეწირვა დასაკრძალავი დარბაზის კუთხეებშიც დასტურდება. ჩონჩხები გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილი, უინვენტაროდ არის წარმოდგენილი. ამ დროის დიდ სამარხებში მიცვალებულისთვის ჩატანებული ინვენტარი განსაკუთრებით მდიდრულია – ეს არის შავად გამომწვარი, კარგად ნაპრიალები, რთული, გეომეტრიული სახეებით შემკული, სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს მრავალნაირი იარაღი – ცულები,შუბისპირები, სატევრები,ისრისპირები,რომელთა ნაწილი ვერცხლით არის ინკრუსტირებული; ოქროთი ინკრუსტირებული ხის მშვილდები; გავარსით შემკული მოსართავი ნაკეთობები; მაღალი ტექნიკით




წნორი. ლომის ქანდაკება. ოქრო. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დამზადებული ობსიდიანის ისრისპირები და სხვ.

შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახ.) კახეთი თრიალეთური კულტურის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. ამ დროის

სამარხეული ძეგლები კახეთის ყველა კუთხეშია აღმოჩენილი. ეს ძირითადად ხის მორებით გადახურული, ორმოიანი გორა-სამარხებია სხვადასხვა ზომის მიწაყრილით და აღმოსავლეთის მხრიდან დრომოსის იმიტაციით. მათ შორის გვხვდება როგორც მდიდარი, ისე შედარებით ღარიბული ინვენტარის შემცველი სამარხები. მდიდრულ სამარხებში მიცვალებული ხშირად ხის ოთხბორბლიან ურემზეა დასვენებული (მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით), ღარიბულ სამარხებში კი მიცვალებული დასვენებულია დასაკრძალავი ორმოს ფსკერზე. იშვიათად – ხის სარეცელზე. სამარხებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მიცვალებულებს ასევე



ზემო ბოდბე, სამარხეული კომპლექსის ინვენტარი. შუა და გვიანდელ ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდი

დიდი რაოდენობით ატანდნენ საგზალს სხვადასხვა ზომის, შავპრიალა, თიხის ჭურჭლით. ძალიან იშვიათია წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. სამარხებში მიცვალებულებს ატანდნენ აგრეთვე ბრინჯაოს მახვილებს, ბრინჯაოს ჭურჭელს,სხვადასხვა სახის ქვის მძივებს, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირებს, ვერცხლისა და ოქროს მრავალნაირ სამკაულს და სხვა. ამ დროის სამარხებში მიცვალებულის კრემაცია არ დადასტურებულა.

კახეთის აღმოჩენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქ პირველად გამოვლინდა თრიალეთური სამოსახლოები, რამაც ამ კულტურის გააზრების სრულიად ახალი მიმართულებები წარმოაჩინა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. თავწყაროსთან ქართულგერმანულმა ექსპედიციამ დაიწყო არქეოლოგიური ძეგლის „ტახტიფერდას“ შესწავლა. იგი ივრისა და ალაზნის აუზების დამაკავშირებელი გზების გადაკვეთაზე მდებარეობს და ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია. მისი ცენტრალური, შემაღლებული ადგილი და ჩრდილო ფერდი დიდი სამლოცველოა. ქვედა ფენა შუა ბრინჯაოს ხანისაა. იგი ხის კონსტრუქციების გალავნით არის დაცული. ზედა ფენა კი ძვ. წ. II ათასწლეულის ტაძარია. იგი შემოსაზღვრულია სათავდაცვო კედლით (სიგანე 5 მ), რომელსაც ორი, ოთხკუთხა კოშკით დაცული კარიბჭე დასავლეთიდან აქვს. მისი საძირკველი ქვის დიდი ლოდებით არის ნაგები. ზედა ნაწილი კი ხის მორების ბადურ წყობას წარმოადგენს, რომელთა შორის ღიობები წვრილი ქვა-ღორღით არის შევსებული. არსებითია, რომ ივრის ზეგანსა და გარეჯის მრავალმთაში ამ დროის ყველა დასახლება მსგავსი კონსტრუქციის გალავნებითაა დაცული. უაღრესად მნიშვნელოვანია,რომ ეს საფორტიფიკაციო ნაგებობები გეგმარებით, მასშტაბურობით და სამშენებლო ტექნიკით წინა აზიის თანადროული ცივილიზაციების შესაბამისი ძეგლების იდენტურია.



კაჭრეთი. სადუღას ველის გორასამარხი. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურულს, ჩვენში მკვიდრდება საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის წინააზიური ტრადიციები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურებისთვის დამახასიათებელი ხდება.

კახეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად კავკასიოლოგიურ მეცნიერებაში ერთმანეთს გენეტიკურად დაუკავშირდა ორი დიდი ეპოქა – შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანა. ეს მიღწეულ იქნა მათ შორის დამატებითი განვითარების სამი შუალედური რგოლის გამოყოფის შედეგად, რის საფუძველზეც შემუშავდა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II ათასწლეულის კულტურების თანამიმდევრობის სრულიად ახალი ქრონოლოგიური სქემა.

კახეთში აღმოჩენილია ამ დროის როგორც ნამოსახლარების, ისე სამლოცველოებისა და სამაროვნების მთელი სერია.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე გორასამარხთა კონსტრუქციები მხოლოდ მდიდრულ სამარხებს ახასიათებს. მასობრივად კი ამ პერიოდიდან მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, მათ შორის კახეთშიც, ორმოსამარხებია გავრცელებული. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოკიდებული, მთლიანად გვიანდელი ბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანაში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურისთვის, მათ შორის კახეთშიც, სამარხები მხოლოდ ინჰუმაციურია და ინდივიდუალური. ძალიან იშვიათია წყვილადი დაკრძალვა. როგორც წესი, კიდურებმოხრილი მიცვალებულები დასვენებული არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე,სამარხი ორმოს ფსკერზე,იშვიათად – ხის სარეცელზე.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის სამარხეული მასალა წარმოდგენილია, ძირითადად, შავპრიალა თიხის ჭურჭლით, რომელიც როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისე გარეგნული სახით აგრძელებს შუა ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ ტრადიციებს,თუმცა, ამ დროს ჩნდება შემკობის თავისებური წესიც, კერძოდ, გახანისთვის ძირითადი, დამახასიათებელი ნაწარმი. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, ჯერ კიდევ ინარჩუნებს წინააზიური პროტოტიპების სახეს, რომლებიც კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის IV საფეხურზე ჩნდება. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე კი მათ საფუძველზე უკვე ტიპური კავკასიური, საბრძოლო იარაღის ფორმები ყალიბდება. მსგავსი სურათი გვაქვს ლითონის სამკაულის მიხედვითაც.

კახეთში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მრავალი ძეგლია (ნამოსახლარი, სამლოცველო, სამარხეული კომპლექსი) შესწავლილი. განსაკუთრებით



კაჭრეთი. სადუღას ველის გორასამარხი. დოლურები. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი


მოწვის შემდეგ შავზედაპირიანი თიხის ჭურჭლის თეთრი ან წითელი საღებავით შემკობა. ამ დროიდან შედარებით ხშირია სამარხში უხეშზედაპირიანი, თიხის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია, რომელიც პირველად შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს იჩენს თავს. მათი კეცი უმეტესწილად კვლავ წმინდაა და ორფენოვნად გამომწვარი, ზედაპირი დაღარული აქვს კონცენტრული ხაზებით, რაც სწრაფადმბრუნავი, სამეთუნეო ჩარხის კვალს წარმოადგენს. ეს კი სამეთუნეო წარმოებაში უდიდესი წინსვლის ნიშანია. სწორედ ამგვარად შემკული ჭურჭელია გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელი რკინის

აღსანიშნავია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I საფეხურის ე.წ. ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის გრანდიოზული სამლოცველოები, რომლებიც სამოსახლოებს გარეთ, განცალკევებით არსებობდა და რამდენიმე დასახლების სალოცავ ცენტრს წარმოადგენდა, რაც ამ დროის საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I და II საფეხურის ნამოსახლარები კახეთში საგანგებოდ არ არის შესწავლილი, ვაისუყლისა და უდაბნოს ნამოსახლარებზე ჩატარებული

მცირე სამუშაოებით სრულიად აშკარად გამოიკვეთა ერთი არსებითი ცვლილება ნამოსახლართა მშენებლობის ტექნიკაში. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მთელი ამ ხნის განმავლობაში გენეტიკურად იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული.

იმავე ინფორმაციას გვაწვდის ივრის ხეობაში არსებული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფია, თუმცა აქ იგი ალაზნის ველისგან რამდენადაც განსხვავებულია. კერძოდ, ივრის აუზში შუა ბრინჯაოს ხანის და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის ნამოსახლარები, ჩვეულებრივ, დაბლობ ადგილებშია განლაგებული,უფრო მეტად მდინარეების თუ ღელეების პირას,მდინარეულ ტერასაზე. მაგრამ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად, ისიც ცხადი გახდა, რომ დაბლობში განლაგებული ნამოსახლარე-




კაჭრეთი. სადულას ველის გორასამარხი. შტანდარტის ფრაგმენტი. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



დიდი შირაქის ველი. ნაზარლების სამლოცველო. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრეული საფეხურიდან როგორც საცხოვრებელი, ისე სათავდაცვო ნაგებობების საძირკველი ქვით არის ნაგები. ზედა კი – ხის მორების ბადური წყობით. მშენებლობის ეს ტექნიკა და ხშირად გეგმარებაც შესაძლოა, მცირეაზიური ცივილიზაციების ზეგავლენის შედეგად, სწორედ ამ დროიდან ჩნდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. შემდგომ კი ამ მხარეში, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, საკმაოდ გავრცელებული ქვის არქიტექტურა მისი წინამორბედი პერიოდის,გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტრადიციაზე უნდა იყოს დაფუძნებული. როგორც კახეთის ძეგლების შესწავლისას დადგინდა, ალაზნის ველზე, მის მარჯვენა ნაპირას,ბრინჯაოს ხანის ყველა საფეხურის ნამოსახლარის კულტურული ფენები ერთიმეორეზეა დაფენილი. აქ განსაკუთრებულად ხელსაყრელი, სამეურნეო პირობები უნდა ყოფილიყო, რამაც განსაზღვრა ადამიანის ცხოვრება ერთი და იმავე ადგილზე თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში. ალაზნის ველზე ბრინჯაოს ხანაში არსებული კულტურები ბიდან, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში, თითქმის ყველგან, მოსახლეობა იქვე, მახლობლად მდებარე მთის თხემზე ადის საცხოვრებლად, სადაც უფრო მოსახერხებელია მძლავრი სა-



დიდი შირაქის ველი. ნაზარლების სამაროვანი. სარდიონის, ნიჟარის და პასტის მძივები. ძვ. წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფორტიფიკაციო ნაგებობების გამართვა. ეს, გარდა შიდა განვითარების შედეგად გამოწვეული აუცილებლობისა, გარე საშიშროებით უნდა ყოფილიყო



შილდა. შედგენილტარიანი კახური ტიპის სატევარი. ბრინჯაო. ძვ. წ. XIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ნაკარნახევი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კახეთის ძეგლებზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე.

ივრის ხეობაშიც შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფია აქ არსებულ კულტურათა გენეტიკურ კავშირზე მიგვითითებს და ძვ. წ. II-I ათასწლეულში კულტურის თანამიმდევრულ, უწყვეტ განვითარებას გვიდასტურებს.

იმავე დასკვნის საფუძველს გვაძლევს კახეთის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე პირველად დადასტურებული საფორტიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია (ხის მორების ბადისებრი წყობა, რომელშიც მორებს შორის არეები რიყის წვრილი ქვითა და ღორღით არის შევსებული). გამაგრების ამ სისტემით მშენებლობა იორ-ალაზნის აუზის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებისთვის ტრადიციული ხდება მთლიანად გვიანდელი ბრინჯაო-რკინის ხანაში.

არსებული მონაცემების მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში, გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელ რკინის ხანაში, უმაღლეს განვითარებას აღწევს ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება, რაც აშკარად დასტურდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ინვენტარის მიხედვით.


ამ დროს უმაღლეს განვითარებას აღწევს აგრეთვე სამეთუნეო წარმოება და ხელოსნობის სხვა დარგები. საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საქმიანობა – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა კარგად არის ორგანიზებული. ამ დროიდან მიწათმოქმედება ხელოვნურ რწყვაზეა დაფუძნებული, მესაქონლეობა კი კვლავ სამომთაბარო ხასიათს ატარებს.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში კავკასიის ამ რეგიონში განვითარების ზოგად სურათს კარგად შეეფარდება დაგეგმარებული და მძლავრი, სათავდაცვო სისტემით გამაგრებული, ქალაქური ტიპის დასახლებების აღმოჩენა დავით-გარეჯის უდაბნოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაომარი გორის სახელწოდებითაა ცნობილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზილჩის, დიდი და პატარა შირაქის ველების ირგვლივ განლაგებულ დასახლებებს შორის, დიდნაურად წოდებულ ადგილში. იგი, სავარაუდოდ, ამ ველების ირგვლივ,მთა-გორებზე განლაგებულ ორმოცდაათამდე



მელაანი. ფეერების სამაროვანი. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი

დასახლების ეკონომიკურ და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა და ისევე როგორც ნაომარი გორის ნაქალაქარი, სამხრეთ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. ფრაგმენტი. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი

სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მატარებელ უძველესს, ადრეკლასობრივ, მცირე წარმონაქმნს უნდა წარმოადგენდეს. ამ საზოგადოებას სოციალური თვალსაზრისითაც, მაღალი განვითარებისათვის მიუღწევია. ამის დასტურია ნამოსახლარებიდან გამოყოფილი სამლოცველოებიც (მელაანი, მელიღელე, არაშენდა, შილდა,ბაკურციხე) და იქ აღმოჩენილი უმდიდრესი ინვენტარი: საბრძოლო იარაღი, სამკაული, კერამიკული ნაწარმი.

კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის პლატოზე და მის მიმდებარე ალაზნის ველის დიდ მონაკვეთზე არსებული ძვ.წ. IX-VIII საუკუნეების მცირე ქალაქური დასახლებების არსებობა რეგულარული გეგმარებით, თიხით ნაშენი საცხოვრებელი უბნებით, მოკირწყლული ქუჩებით და საკანალიზაციო ქსელით,ამ დროს აქ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. როგორც ჩანს, ყველა ეს დასახლება განადგურებულია ერთდროულად ძვ. წ. VII საუკუნეში, ჩრდილოეთიდან მომხდური, სკვითური ტომების მიერ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შირაქის პლატოზე აღმოჩენილია „დიდი რუის“ სახელწოდებით ცნობილი სარწყავი სისტემის არსებობის კვალი. პალინოლოგიურმა კვლევამ მოგვცა იმის თქმის საფუძველი, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისს საუკუნეებში შირაქის პლატოს სამხრეთ ნაწილში მდებარე მთები უღრანი ტყის მასივებით უნდა ყოფილიყო დაფარული. სარწყავი არხი – „დიდი რუიც“ სწორედ ამ მთებიდან იღებდა სათავეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარე, „გოხების“ სახელწოდებით ცნობილ, ერთ-ერთ მაღალ მთის თხემზე აღმოჩნდა სამლოცველო, სადაც სხვა ნივთებთან ერთად, შეწირული იყო საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი, რომელიც შირაქის ამ მცირე ქალაქების თანადროულია. საბრძოლო ეტლის არსებობა კი თავისთავად გულისხმობს ამ დროის საზოგადოებაში შესაბამისი რეგულარული,საჯარისო შენაერთების არსებობასაც.

ამასთან, შირაქის უკლებლივ ყველა ნამოსახლარზე განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა კამეჩის თავის გამოსახულების მქონე თიხის ნიღბები. გამორიცხული არ არის,რომ იგი აქ წმინდა ცხოველად ითვლებოდა, რაც თავისთავად ასოცირდება ამ მხარის უძველესს სახელწოდებასთან – კამბეჩოვანთან. კამბეჩოვანი კი შემდგომი დროის იგივე ქიზიყია. კახეთში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ სხვა უფრო მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებაც მოგვცა. კერძოდ, გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების საზღვრებით, დავაკავშიროთ კონკრეტულ, ქართულ ეთნიკურ ერთეულებთან. ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, რადგან მასზე დაყრდნობით შეიძლება სარწმუნოდ ვისაუბროთ არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ კუთვნილებაზე.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, უმთავრესად კი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის შესწავლის შედეგად, გამოიყო სამი თავისებური ჯგუფი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან და თითოეული მათგანი მკაცრად შემოფარგლულ ტერიტორიაზეა გავრცელებული. ერთი ჯგუფი, მასალის გავრცელების საზღვრების შესაბამისად,შემოიფარგლა მდ. ალაზნისა და ივრის ზემო დინებით, ვიდრე მდ. არაგვამდე; მეორე ჯგუფის გავრცელების საზღვრები მთლიანად მოიცავს მდ. ალაზნის შუა და ქვემო დინებას და ტერიტორიას მის სამხრეთით, მდ. ივრამდე; მასალების მესამე

ჯგუფი შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და თბილისის და რუსთავის მიდამოებში ფარავს ფართობს მდ. მტკვრის ორივე მხარეს ჩრდილოეთით – მდ. ივრამდე, სამხრეთით კი – მდ. ალგეთამდე.

ქართულ ისტოგრაფიაში რეალობად არის მიჩნეული ლეონტი მროველის თხზულებაში გადმოცემული საქართველოს ისტორიის საწყისი, სადაც იგი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამბებს უნდა გადმოგვცემდეს. სხვა მონაცემებთან ერთად, აქ ზუსტად არის შემოფარგლული თავდაპირველად თარგამოსიანთა, შემდეგ კი მისი შთამომავლების – ქართლოსიანთა კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები. მნიშვნელოვანია ის, რომ თარგამოსის ძის, ჰეროსისა, და ქართლოსის ძეთა, კახოსისა და კუხოსის კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები ზუსტად დაემთხვა იორ-ალაზნის აუზის, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების სამი ჯგუფის გავრცელების საზღვრებს, რაც, არ შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მითუმეტეს, რომ წერილობით წყაროში აღწერილი ტომთა დასახლების საზღვრები ქრონოლოგიურად ემთხვევა არქეოლოგიური მასალების ამ სამი თავისებური ჯგუფის თარიღს.

დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ამ უძველესი ქართველური ტომების – კახების, კუხების და ჰერების ეთნიკური ისტორია ძვ. წ. II ათასწლეულიდან უნდა დავიწყოთ.

კახეთში აღმოჩენილია ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანების მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები. ალაზნის ველზე, სოფ. ტიბაანის მახლობლად, ქუმბათად წოდებულ ადგილში გაითხარა ბრწყინვალე ნასახლარის ნაშთები აქემენიანთა იმპერიის დედაქალაქის – პერსეპოლისისთვის დამახასიათებელი ტიპური სვეტის ქვის ძირებით, რომლებიც ლოტოსის ფოთლის გამოსახულებებითაა შემკული.

თუ სვეტების ძირების დიამეტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, სვეტების სიმაღლე რვა მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რაც ნაგებობის გრანდიოზულობაზე მიგვანიშნებს. ამ დროს კავკასიის ამ მხარის აქემენიდურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის მანიშნებელია სოფ. პატარძეულში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, კერძოდ, ძვ. წ. VI ს-ის ომფალოსიანი ბრინჯაოს თასები, ვერცხლის ფიალა. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია შესწავლილი შირაქშიც, სოფ. ქვემო ქედში. აქ გაითხარა სამოსახლოსგან გამოყოფილი ლითონდამმუშავებელი დიდი სახელოსნო, რომელიც აქემენიდური იმპერიის თანადროულია, მისი გავლენის მრავალ ნიშანს ატარებს და სრულიად გარკვევით მიგვითითებს ამ მხარეში არსებული საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე.

შედარებით უკეთ არის ცნობილი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით დათარიღებული ე. წ. იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები, რომელიც ამ მხარის მხოლოდ უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთშია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოპოვებული. მეტად მნიშვნელოვანია,რომ ამ მასალებს არაფერი საერთო არა აქვს მის წინამორბედ ადგილობრივ კულტურასთან და, რაც მთავარია, იგი კახეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 100-150 წლის არსებობის შემდეგ უკვალოდ ქრება ისე, რომ მისი არც ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება შემდგომი დროის ადგილობრივ მასალებში აღარ შეინიშნება. ეს კი იმის დასტურია, რომ კახეთის ტერიტორიაზე იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები ეკუთვნის



დედოფლისწყარო. გოხების მთის სამლოცველო. ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ამ მასალებს არაფერი საერთო არა აქვს მის წინამორბედ ადგილობრივ კულტურასთან და, რაც მთავარია, იგი კახეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 100-150 წლის არსებობის შემდეგ უკვალოდ ქრება ისე, რომ მისი არც ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება შემდგომი დროის ადგილობრივ მასალებში აღარ შეინიშნება. ეს კი იმის დასტურია, რომ კახეთის ტერიტორიაზე იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები ეკუთვნის

კი, უკვე სავარაუდოა, რომ მათი მოძრაობის მარშრუტში შირაქის ველის ჩრდილო განაპირა ზოლიც შედიოდა, მითუმეტეს, რომ აქ საგზაო მაგისტრალი უკვე ბრინჯაოს ხანაში არსებობდა.

საყურადღებოა, რომ სოფ. ჭერემსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. კოჯორში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება, მთლიანად იდენტურია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში მოპოვებული მასალებისა, რაც შესაძლოა ამ დროს მათ ერთ პოლიტიკურ სისტემაში არსებობაზე მიუთითებდეს.

ისტორიულ ეპოქაში კახეთი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს – ქართლის (დასავლური წყაროებით იბერია) აღმოსავლეთი პროვინცია იყო. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქს მცხეთა წარმოადგენდა. ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა ქართლის სამეფო რვა საერისთავოდ დაყო (კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და არგვეთის). კახეთის ერისთავს „მისცა მიწაწყალი არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი”. ჯუანშერს (XI ს.) ვახტანგ გორგასლის დროინდელ წარჩინებულთა შორის დასახელებული ჰყავს „დემეტრე ერისთავი კახეთისა და კუხეთისა” და „გრიგოლ, ერისთავი ჰერეთისა”.

კახეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა,საერთოდ,ქართლის გაქრისტიანების ისტორია. სწორედ აქ აღესრულა წმ. ნინო და იქვე, დაბა ბოდეში (შემდეგდროინდელი ბოდბე) მიაბარეს მიწას, სადაც დღემდეა შემონახული მისი საფლავი.

ბარის მოსახლეობისგან განსხვავებით, კახეთის მთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვედრია.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. დაიწყო ეკლესიათა მშენებლობა, რაც ახალი იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა.

IV საუკუნეში ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანს, კახეთი და კუხეთი საუფლისწულოდ თავისი ვაჟის რევისთვის მიუცია – „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე”. უჯარმის დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია მეფე ასფაგურს მიაწერს (III ს.). უჯარმა მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა და ქართლის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მეფე ვახტანგ გორგასალმა უჯარმაში მნიშვნელოვანი მშენებლობები ჩაატარა და იგი სამეფო რეზიდენციად აქცია. უჯარმა ეკონომიკური თვალსაზრისით მთისა და ბარის, ხოლო პოლიტიკურად სამი მეზობელი მხარის ინტერესებს აერთიანებდა. იგი კახეთ-კუხეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ცენტრსაც წარმოადგენდა. დიდი, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ციხე-ქალაქ ნეკრესსაც, რომელიც ერთიანი ქართლის სამეფოს არსებობის საწყის პერიოდში ფარნავაზიანთა დინასტიის მეოთხე მეფემ ფარნაჯომმა ააშენა. ახ. წ. IV საუკუნეში ნეკრესში ერთ-ერთი უძველესი, ქრისტიანული ეკლესია აიგო. კახეთის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები ნეკრესი, ჭერემი და ხორნაბუჯი ვახტანგ გორგასალმა თავის უფროს ძეს დაჩის უბოძა, თავად კი „დაჯდა უჯარმოს”. უჯარმის ციხეშივე გარდაიცვალა სპარსელებთან ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი მეფე.

კახეთი „ტყე იყო შეუვალი მტერისა მიერ“, ამიტომ სპარსელთა შემოსევის საშიშროების დროს, ნაკლებად გამაგრებული სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა კავკასიის მთებსა და კახეთში იხიზნებოდა. განსაკუთრებით კლდით შემოზღუდული ლოპოტის ხევი ყოფილა კარგად დაცული და მოსახლეობით სავსე. იმდროინდელი კახეთის მტრისგან დაცულობის გამო, ვახტანგის ძის – დაჩის მეფობის დასაწყისში, როდესაც მან იწყო „შენებად ქართლისა“, „მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი, თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა“.



ნეკრესის მონასტერი. IV-XVIII სს.



უჯარმის ციხე. V ს-ის II ნახევარი.

VI საუკუნეში კახეთში მოღვაწეობდა ასურელი მამების დიდი ნაწილი: დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი,ზენონ იყალთოელი და სტეფანე ხირსელი. ასურელმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას. მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და კულტურის მძლავრ კერებად იქცა. დავით გარეჯელის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ისეთი უნიკალური სამონასტრო კომპლექსის დაარსება, როგორიც დავითგარეჯის მონასტრებია.

აქ, შუა საუკუნეებში, დიდი მშენებლობა წარმოებდა, ფრესკები იხატებოდა, ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა იყო გაჩაღებული.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართლის სამეფოზე თავიანთი გავლენის გავრცელებას სპარსეთისა და რომის იმპერიები ცდილობდნენ. მათ შორის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ უკვე VI ს-ის დასაწყისში ირანმა იმძლავრა და 523 წელს, გურგენ მეფის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, ქართლში მეფობა გააუქმა. ამავე საუკუნის ბოლოს ქართლში კვლავ აღდგა ქართული ხელისუფლება,რომლის მეთაური ერისმთავრად იწოდებოდა. კახეთი კვლავ ქართლის საერისთავოს წარმოადგენდა.

VI ს., ეროვნული კულტურის განვითარების პროცესის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ხანაა: პოლიტიკური ძალა მტრის ხელშია, მაგრამ კულტურა განიცდის აღმავლობას. უცხო კულტურა ვერა თუ ვერ ახშობს ადგილობრივს, იგი კვალსაც ვერ ტოვებს ამ კულტურაში. ეს პირველ რიგში ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლებით დასტურდება.

კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი ადრინდელ შუა საუკუნეებში დაიწყო. ქართლის საერისმთავროს იგი VIII ს-ის 80-იან წლებში გამოეყო. IX ს-ის დასაწყისისთვის კახეთის სამთავროს საზღვარი ქართლის საერისმთავროსთან მდ. ქსანზე გადიოდა.

VII-IX სს-ში, საქართველოში არაბების და ბიზანტიელების ბატონობის მიუხედავად, ქვეყანა, გარკვეულწილად, მაინც ერთიანი იყო, რომლის სათავეში „ქართლის მეფენი“, ანუ ერისმთავრები იდგნენ. VIII ს-ის 80-იან წლებში,როდესაც ერისმთავარი არჩილი გარდაიცვალა (786 წ.), ერთიანობა დაირღვა და მისმა შვილებმა – იოანემ და ჯუანშერმა ქვეყანა გაიყვეს. იოანეს ეგრისი შეხვდა, ხოლო ჯუანშერს – ქართლ-კახეთი. ჯუანშერი მალევე გარდაიცვალა და 787 წლიდან მთავარმა გრიგოლმა კახეთი ცალკე სამთავროდ გამოაცხადა. მისი ცენტრი გახდა უჯარმა. დროთა განმავლობაში, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ფონზე,კახეთის სამთავროს ცენტრი ბოჭორმა, ხოლო შემდეგ თიანეთი გახდა, რომელიც კახეთის მჭიდროდ



ხორნაბუჯი. ციხე-ქალაქი. V-XVII სს.


დასახლებული მხარე იყო კარგად განვითარებული მესაქონლეობით. ზოგადად კახეთ-კუხეთ-გარდაბანი ადრინდელ შუა საუკუნეებში ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული იყო მთის ალპური მეურნეობით, ბარის (იორისა და ალაზნის აუზები) ინტენსიური მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ადმინისტრაციულად იმ დროს კახეთი ძირითადად სამ საერისთავოდ იყოფოდა. საერისთავოს სათავეში ქორეპისკოპოსი იდგა, რომელსაც ერისთავთა წრიდან ირჩევდნენ. თავიდან ქორეპისკოპოსი სასულიერო ხელისუფალი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, კახეთ-კუხეთ-გარდაბნის სამთავროდ ჩამოყალიბების პარალელურად, რაშიც, სხვა ძალებთან ერთად, წანარებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ქორეპისკოპოსმა საერო ხელისუფლის თითქმის ყველა ატრიბუტი შეიძინა, იმდენად რომ, უკვე IX ს-იდან მას ბიზანტიის იმპერატორები „წანართა არხონტს“ (მთავარს) უწოდებდნენ.

VII-VIII სს. მიჯნაზე კახეთის სამთავრო, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად, აქტიურად იბრძვის არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ფაქტობრივად მთის მოსახლეობა – წანარები უძღვებოდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. არაბებს დიდი ძალებით მთაში შესვლა და ბრძოლა არ შეეძლოთ,ამიტომ მცირე მასშტაბის ტაქტიკურ ბრძოლებს მიმართავდნენ და ხშირად მარცხდებოდნენ. არაბობის შედეგად, ბარის მოსახლეობის და მეურნეობის გაჩანაგების ფონზე, საქართველოს მთიანეთი უფრო ხალხმრავალი და ძლიერი იყო. მიუხედავად ამისა, არაბებმა მაინც შეძლეს VIII ს-ის შუა წლებში დარიალის აღება, აქ გარნიზონის ჩაყენება და წანართა დახარკვა.



მანავის ციხე. X-XI სს.

VIII-X სს-ში კახეთის სამთავრო აქტიურად იბრძვის ქართულ სამთავროებს შორის პირველობისთვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჰერეთის სამთავრო იყო. კახთა ქორეპისკოპოსების გარდა,ჰერეთისათვის ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ეგრის-აფხაზეთის,ისე გაერთიანებული საქართველოს მეფეები. X ს-ის II ნახევარში ჰერეთის ეკლესია ქართულ ეკლესიას შეუერთდა. კახეთის მთავრები ხშირ შემთხვევაში აფხაზთა მეფის პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ. კახეთის ქორეპისკოპოსები, ზოგჯერ სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების დასუსტების შემთხვევაში, უარს არ ამბობდნენ მათი ტერიტორიების (აფხაზეთის,ქართლის, ჰერეთის) შემოერთებაზე, ისევე როგორც ეს ერთეულები ამავე მოტივით არაერთგზის დასხმიან თავს კახეთის სამთავროს. ბრძოლები ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის გარდამავალი



უპირატესობით მიმდინარეობდა. კახეთის მთავრები ვერც საქართველოს გაერთიანების იდეას ურიგდებოდნენ. ისინი აქტიურად იბრძოდნენ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის წინააღმდეგ. ბაგრატმა შეძლო ერთიანი საქართველოსათვის კახეთისა და ჰერეთის შემოერთება. ბაგრატ III-ის მემკვიდრის გიორგი I-ის დროს (1014-1027 წწ.), რომელიც ბიზანტიასთან მძიმე ბრძოლაში იყო ჩაბმული, კვირიკე III-მ (1010-1037 წწ.) კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობა აღადგინა. მან კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის ტიტული მიიღო და კახეთის სამთავრო გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოდ აქცია. კვირიკე ამავე დროს ბიზანტიური მაგისტროსის ტიტულსაც ატარებდა. ჰერეთის შემომტკიცების შემდეგ მან სამთავროს დედაქალაქი თელავში გადაიტანა, რაც სტრატეგიულად და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ბიზანტიის, ასევე განძისა და თბილისის ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში კახეთის სამეფო საქართველოს მეფის მოკავშირეა; მაგრამ, როდესაც ბაგრატ IV-მ კახეთის შემოსაერთებლად უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, კახეთის მეფე ბაგრატის მოწინააღმდეგე ლიპარიტის მოკავშირე გახდა. კახელი დიდებულების დახმარებით ბაგრატ IV-მ მოახერხა კვირიკეს შევიწროება და სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილის შემომტკიცება.

თურქ-სელჩუკების გამოჩენამ ძალთა თანაფარდობა შეცვალა. კახეთის მეფემ აღსართანმა სულთანს ერთგულება აღუთქვა და ამ გზით დაკარგული ტერიტორიები და დამოუკიდებლობა დაიბრუნა. კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემომტკიცება საბოლოოდ დავით აღმაშენებლის დროს მოხერხდა. თურქ-სელჩუკთა გავლენის შესუსტებისა და ქართული სახელმწიფოს გაძლიერების პარალელურად, 1103 წელს, დავით აღმაშენებელმა კახეთის მეფე კვირიკე IV-ს ზედაზნის ციხე წაართვა. მალე კვირიკე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმისწული აღსართან II ავიდა. კახეთის დიდებულებმა იგი შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. კახეთის სამეფო გაუქმდა, მაგრამ კახეთისთვის ბრძოლა გრძელდებოდა. 1104 წელს დავითმა ერწუხთან სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკების და მათი მოკავშირეების დიდი ლაშქარი, ხოლო 1117 წელს ჰერეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ციხე გიშის აღება ბით, საბოლოოდ დასრულდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება.



საქართველოს ერთიანობის ხანაში, XII-XV სს-ში, კახეთი და ჰერეთი საერისთავოებს წარმოადგენდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული სრულიად საქართველოს ცხოვრებაში. საინტერესოა, რომ კახეთის შემომტკიცების შემდეგ ცენტრალურმა სამეფო ხელისუფლებამ, თავდაპირველად დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კახეთის სოფლებისა და ყმა-მამულის უდიდესი ნაწილი კათალიკოსს, სვეტიცხოველს და სხვა ეკლესია-მონასტრებს გადასცეს მფლობელობაში. ამით სამეფო კარი ცდილობდა მტკიცე ერთგულებაში ჰყოლოდა ეს მხარე.

თურქ-სელჩუკთა მიერ განადგურებული და შემდეგ კვლავ აღდგენილი კახეთის ბარის მეურნეობა, მონღოლთა შემოსევე-

ვანი) ერთ დუმანს შეადგენდა, რომელსაც სათავეში მონღოლებმა ფრიად წარჩინებული ფეოდალი ეგარსლან ბაკურციხელი ჩაუყენეს. ეგარსლან ბაკურციხელი მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის 1246 წლის შეთქმულებაში,მაგრამ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც ტახტის მემკვიდრე არ ჩანდა, ეგარსლან ბაკურციხელმა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. ამის გამო მის წინააღმდეგ ამხედრდნენ სხვა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ბაკურციხელი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს.



ლევან კახთა მეფე ტაძრის მაკეტით ხელში, დედოფალი თინათინი და უფლისწული ალექსანდრე. ნეკრესის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები.

კახეთისთვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დამანგრეველი იყო საქართველოს ტერიტორიაზე ორ უზარმაზარ მონღოლურ სახელმწიფოს – ოქროს ურდოსა და ილხანთა სამეფოს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლები. ამ ბრძოლების შედეგად, კახეთის მოსახლეობა და მეურნეობა დიდად ზარალდებოდა. დამანგრეველი გამოდგა ამ ორ სახელმწიფოს შორის 1262-1263 წლებში მიმდინარე ბრძოლები, რომლის დროსაც დავით VII ულუს ილხანთა მხარეს უხდებოდა მონაწილეობა. 1265 წელს ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ ილხანის ყაენ აბაღასთან შესაბმელად გადმოიარა და მოაოხრა შირვანი, ჰერეთი და კახეთი, კერძოდ, იორისპირეთი.

ყაენის კარზე გამგზავრების წინ დავით ულუმ კახეთის წინამძღოლობა პანკისის ერისთავ თორღვას დაავალა. ყაენის კარზე მეფეს შეაგვიანდა. თორღვამ თავი კახეთის სრულუფლებიან მმართველად გამოაცხადა. მეფის დაბრუნების შემდეგ, თორღვა შეიპყრეს და საჯაროდ დასაჯეს.

უმძიმეს საგადასახადო სისტემასთან ერთად, მონღოლთა გაუთავებელ ლაშქრობებში საქართველოს მონაწილეობა სასტიკად აჩანაგებდა ქვეყანას.

გიორგი V ბრწყინვალის დროს, როდესაც კახეთი ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, აღდგა და განვითარდა ბარის მეურნეობა, მომრავლდა მოსახლეობა, კვლავ ამოქმედდა სარწყავი სისტემები, გაშენდა ვენახები. მაგრამ მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV ს-ის ბოლო წლებში თემურ ლენგის რვაგზისმა დამანგრეველმა შემოსევებმა, ერთი მხრივ,გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა და მოშალა ბარის მეურნეობა, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველი დაუდო საქართველოს პოლიტიკურ დაშლას. თემურ ლენგის შემდეგ ქართულ ენაში ფართოდ გავრცელდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნასოფლარი“,„ნასახლარი“,„ნაფუძარი“ და სხვ. კახეთისთვის განსაკუთრებით მაოხრებელი და სისხლისმღვრელი იყო თემურ ლენგის 1399 წლის ლაშქრობა.

1465 წელს,სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-ის მიერ ქართლის მეფის გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ,დიდმა ფეოდალებმა კახეთის დამოუკიდებელ მთავრად ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავი – დავითი დასვეს. 1466 წელს ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართლის მეფე გიორგი VIII, ქართლში სამეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ, კახეთში გადავიდა, დაამარცხა დავითი და საფუძველი ჩაუყარა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. კახეთში გამეფების შემდეგ გიორგი VIII მოიხსენიება,როგორც გიორგი I კახეთის მეფე. ამის შემდეგ გიორგიმ კახეთში, სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, გარკვეული რეფორმები გაატარა. მან გააუქმა საერისთავოები და მათ მაგივრად ქვეყანა უფრო წვრილ ერთეულებად – სამოურავოებად დაყო. მოურავობის სახელო, კახეთის მეფეების ხელში, ადგილობრივი ფეოდალების მორჩილებაში ყოლის ეფექტური საშუალება აღმოჩნდა. სხვადასხვა მხარის მოურავობას იღებდნენ კახეთის ძლიერი, ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები. გიორგის მეფობაშივე ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო, რომელთა ფარგლებშიც, საჭიროების შემთხვევაში,ლაშქრის მობილიზება ხდებოდა. თითოეული სადროშოს სათავეში გიორგი მეფემ, ქართლისაგან განსხვავებით, სარდლებად ეპისკოპოსები დანიშნა. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო,ამიტომ ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით.

ეს კი ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას, რამაც ხელი შეუშალა კახეთში ნახევრად დამოუკიდებელი, ძლიერი საფეოდალოების – სათავადოების ჩამოყალიბებას.

კახეთის სამეფოს (1465-1762 წწ.) საზღვარი დასავლეთით გადიოდა მდ. არაგვზე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – მდ. მტკვარზე,ჩრდილოეთით – კავკასიის მთავარ ქედზე (ნაწილობრივ ჩრდილოეთი საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა – პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახურიც კახეთის სამეფო საზღვრებში შედიოდა). XVII ს-ის დასაწყისამდე აღმოსავლეთ საზღვარი იქ იწყებოდა, სადაც იორ-ალაზანი მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით აჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის გაყოლებით კავკასიის ქედამდე გადიოდა. XVII ს-ის შემდეგ კი საზღვარმა დასავლეთით ყაფაჩაიმდე გადმოიწია.

კახეთის სამეფოში შედიოდა: ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერმის, ნეკრესის, ხარჭაშნის და სხვა საეპისკოპოსოები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა.

მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეურნეობა, მევენახეობა,მებაღეობა,მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა; მოჰყავდათ ტექნიკური მცენარეები და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება. აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი.

კახეთის სამეფოს ისტორიის პირველი პერიოდი შედარებითი სიმშვიდით და აღმშენებლობით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მარცვლეული მეურნეობა, მესაქონლეობა,მეაბრეშუმეობა და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება,აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი. კახეთის მეფე გიორგი I-ის დროს სამეფოს დედაქალაქი გადატანილ იქნა გრემში, რომელიც აკონტროლებდა როგორც კავკასიის მთიანეთში, ასევე სპარსეთში მიმავალი გზის ერთერთ შტოს.

კახეთის მეფეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511 წწ.),რომელიც გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა. მან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, სეფიანთა ირანთან, შაქისა და შირვანის სახანოებთან და XV ს-ის მეორე ნახევარში უზუნ-ჰასანის, იაყუბ ყაენის და შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობების დროს, დიპლომატიური მოქნილობის წყალობით, მშვიდობა შეუნარჩუნა კახეთს. ალექსანდრე I-მა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის პირველმა დაამყარა ურთიერთობა რუსეთთან და 1483 და 1492 წლებში ელჩობები გაგზა-



მეფე თეიმურაზ I და მარიამ დედოფალი. ქრისტეფორე დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

ვნა მოსკოვში. 1511 წელს ალექსანდრე I-ის შვილმა – გიორგიმ მამა მოკლა, ხოლო ძმა – დიმიტრი დააბრმავა. ამის გამო კახეთის მეფე გიორგი II, ავგიორგის სახელითაა ცნობილი. იგი ქართლის სამეფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე არ იყო და ჯერ კიდევ მამის მეფობაში, ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ, ხშირად აწყობდა ქართლში ლაშქრობებს. გამეფების შემდეგ მან გააგრძელა ქართლის ტერიტორიაზე თარეში. 1513 წელს ქართლში ერთ-ერთი ასეთი შეჭრის დროს იგი ბაგრატ მუხრანბატონმა დაატყვევა ძალისის ხევში. იმავე წელს იგი მუხრანის ციხეში გარდაიცვალა. ქართლის მეფემ კახეთის სამეფო შეიერთა, 1513-1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოს წარმოადგენდა. ქართლის ხელისუფლებამ კახეთის ტახტის მემკვიდრის – მცირეწლოვანი ლევანის შეპყრობა სცადა, მაგრამ ლევანი კახელმა თავადებმა გადამალეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ქართლის საგარეო მდგომარეობა გართულდა, 1520 წელს გაამეფეს. ქართლის მეფემ დავით X-მ ორჯერ წარუმატებლად სცადა კახეთის დაბრუნება, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა ზავი დაედო ლევანთან და მდგომარეობას შეგუებოდა. ლევანმა 1574 წლამდე იმეფა და მისი მეფობაც,ალექსანდრე I-ის მსგავსად, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისათვის; გაშენდა ქალაქები და სოფლები. მან მოახერხა აქტიური სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის შენარჩუნება სპარსეთთანაც. შაქი-შირვანის შემოერთების წარუმატებლობის მიუხედავად, ლევანმა, ჩერქეზებთან კავშირის წყალობით, დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთი და აღადგინა პოლიტიკური კავშირი რუსეთთან. ივანე IV-სთან შეთანხმებით, რუს მეთოფეთა რაზმი ქვეყნის სანაპირო სიმაგრეებში ჩააყენა, მაგრამ რუსეთმა ანგარიში გაუწია ირანისა და ოსმალეთის პროტესტს და სამხედრო ნაწილები 1572 წელს უკანვე გაიწვია.

ლევანის შემდეგ ტახტი მისმა შვილმა ალექსანდრე II-მ (1574-1605 წწ.) დაიკავა. მან მამის მოქნილი პოლიტიკა გააგრძელა, რის შედეგადაც კახეთი ბევრჯერ გადაურჩა საფრთხეს და აღმშენებლობის გზას დაადგა –

მომრავლდა მოსახლეობა, გააქტიურდა საგარეო ვაჭრობა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით ალექსანდრეს დროს: „ესრეთ შენი იყო კახეთი, ვითარ ძნიად სადმე იპოებოდა სანადირონი“. მაგრამ კავკასიაში, ოსმალეთის მომძლავრებასთან ერთად, გაძლიერდა საშამხლოს მთიელთა თავდასხმები კახეთზე და ჩაიკეტა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზები ირანისა და ასტრახანისკენ. ირანელი და ოსმალო დამპყრობლებისთვის



არჩილ II

წინააღმდეგობის გაწევის ერთერთ საშუალებად ალექსანდრე II-ც რუსეთთან ურთიერთობას ხედავდა და 1587 წელს კახეთის მეფემ ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“, რომლითაც რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა აღიარა, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა გარეშე მტრისგან. ამასობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოს და კახეთის დაუძინებელი მტერი – შაჰ აბასი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ალექსანდრეს წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა. 1601 წელს,მისი წაქეზებით, ალექსანდრეს ვაჟმა დავითმა მამა და ძმა თორღვას ციხეში გამოკეტა. მაგრამ რამდენიმე თვეში,როდესაც მძიმე სენით დაავადებული დავითი გარდაიცვალა, ალექსანდრე გრემში დაბრუნდა და მეფობა განაგრძო. 1605 წელს,შაჰის დავალებით, ირანის სამეფო კარზე გაზრდილმა, ალექსანდრეს უმცროსმა ძემ – კოსტანტინემ, მამა და ძმა – გიორგი დაახოცინა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ კახელები აჯანყდნენ მამისა და ძმის მკვლელის და ქვეყნის მოღალატე მმართველის წინააღმდეგ და ბელაქანთან ბრძოლაში დაამარცხეს ის. კახეთს მცირე ხნით დავით ალექსანდრეს ძის ქვრივი ქეთევანი განაგებდა. 1606 წელს შაჰ აბასმა კახეთში დავითის ძე თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ I) გამოგზავნა,რომელმაც დედამისისგან გადაიბარა მეფობა. ირან-ოსმალეთის ომის ფონზე შაჰი ვერ იცლიდა კახეთისთვის, მაგრამ მალე ეს დროც დადგა.

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომი ირანის გამარჯვებით დასრულდა. ზავის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო ირანს დარჩა,დასავლეთი – ოსმალეთს. კავკასიაში ამ დროს რუსეთიც აქტიურობდა. ეს გარემოება კი შაჰ აბასს ხელს არ აძლევდა. 1606 წ. შაჰმა ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნა,ციხესიმაგრეებში კი საკუთარი გარნიზონები ჩააყენა და ქართველ მეფეებს მორჩილება მოსთხოვა. ამ უკანასკნელებმა ვასალობა აღიარეს, მაგრამ შაჰ აბასს ქართლ-კახეთის სრული მოსპობა და იქ მომთაბარე ტომების ჩასახლება ჰქონდა განზრახული. XVII ს-ის კახეთის ტრაგედიაც ამ გეგმის ნაწილი იყო.

1614-17 წლებში აბას I-მა ოთხჯერ ილაშქრა კახეთში. კახელები ყოველი გოჯი მიწისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ. მტერი ანგრევდა, წვავდა, მიწასთან ასწორებდა სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხდა ბაღ-ვენახებს. მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი შემდგომში აღარ აღმდგარა. 200 ათასზე მეტი ტყვე ირანის სხვადასხვა პროვინციაში (ფერეიდანში, ხორასანში, მაზანდარანში) ჩაასახლეს. მათმა შთამომავლებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი.

შაჰ-აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შეივიწროებული კახეთის მოსახლეობა შესაფერისს მომენტს ელოდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა,სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით, კავშირი შეკრა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. აჯანყება დაიჩაგრა ოსმალთა არმიის დაძვრამ სპარსეთის საზღვრებისაკენ. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობას, დაიწყო დავით ჯანდიერის მეთაურობით. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. მათ კავშირი დაამყარეს შირვანთანაც. აბას I-მა, აჯანყების ჩასაქრობად, 15 ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა.

ოსმალეთის მხარდაჭერის იმედი არ გამართლდა, ვერც ქართლი მიეხმარა თეიმურაზს, ამიტომ მან მარტომ შეუტია მტერს და შაჰ-აბასს ლაშქარი გაუნადგურა. მტერზე გამარჯვებამ რწმენა განუმტკიცა ქართველებს, ხოლო შაჰი სასტიკად განარისხა და შურისძიების სურვილით აღავსო. კახეთს 1616 წლიდან,შაჰის ნაცვალი,ყიზილბაში ფეიქარ ხანი მართავდა, რომელიც თურქმანი ტომების ამ მხარეში ჩასახლებასა და მოსახლეობის გამუსლიმანების პოლიტიკას განაგრძობდა. პარალელურად,თავიანთ ფუძე-კარს უბრუნდებოდნენ მთაში და ტყეში გახიზნული კახელები, რაც ირანელებს იმდენად დიდ პრობლემებს უქმნიდა, რომ ფეიქარ ხანმა შაჰს 1625 წელს ახალი სადამსჯელო ექსპედიციის გამოგზავნა სთხოვა. თეიმურაზი იმედებს კვლავ ოსმალებზე ამ-

ყარებდა,მაგრამ ირანთან ბრძოლაში ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ამით თეიმურაზს ხელი მოეცარა. პარალელურად, მეფე რუსეთთანაც ცდილობდა ურთიერთობის გაცხოველებას, რასაც აგრეთვე შედეგი არ მოჰყოლია. შაჰ აბასი კი თეიმურაზის აქტიურობით გაღიზიანებული იყო. მან დაასაჭურისა ირანში მყოფი უფლისწულები, ხოლო მათი ბებია, თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი საშინელი წამებით მოაკვლევინა. ქრისტიანობისთვის თავდადებული ქეთევანი ქართველმა ერმა და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1625 წელს, ფეიქარ ხანის მოთხოვნით, შაჰ აბასმა ახალი სადამსჯელო ექსპედიცია გამოაგზავნა საქართველოში. მტერს ქართლ-კახეთის ერთიანად ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული. მარტყოფის ველზე 26 მარტს, ხარება დღეს, ქართველებმა, გიორგი სააკაძის მეთაურობით, თითქმის 30 ათასი ყიზილბაში გაწყვიტეს. (მხოლოდ 3 ათასმა შეძლო გაქცევა). სააკაძემ ჯერ ქართლიდან განდევნა მტერი, ხოლო შემდეგ კახეთიდან გაქცეულ ფეიქარ ხანს დაედევნა და ყარაბაღის სახანოდანაც გააქცია ირანელები. მცირე ხანში, თბილისის გარდა, მთელი ქართლ-კახეთი გათავისუფლდა. აჯანყებულებმა ოსმალეთში მყოფი თეიმურაზი მოიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს მეფედ დასვეს. ქართლ-კახეთი გადარჩა, ეს დიდი გამარჯვება იყო.

ირანელთა ახალი შემოტევა 1625 წლის ივნისში განხორციელდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახალ,დიდ ჯართან მარაბდის ბრძოლაში ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მტერმა, რომელმაც ამ ლაშქრობებში 70 ათასი კაცი დაკარგა,მიზანს ვერ მიაღწია – ქართლ-კახეთი ვერ აღგავა პირისაგან მიწისა.

შაჰი ამის შემდეგ სააკაძის, თეიმურაზ I-ის და თავადების ურთიერთწაკიდების პოლიტიკაზე გადავიდა და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1626 წელს გაიმართა ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი. ომში თეიმურაზმა დაამარცხა სააკაძე და ქვეყნიდან გააძევა. დიდი მოურავი ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წელს სულთნის დიდვეზირის ბრძანებით მას,მის შვილს ავთანდილს და 40-მდე მხლებელს თავები მოჰკვეთეს. იმავე წელს გარდაიცვალა შაჰ აბასიც.



ერეკლე I (მაჰმადიანობაში ნაზარალი-ხანი)

1631 წელს თეიმურაზი ფაქტობრივად ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა. 1632 წელს მან შაჰის აჯანყებულ მოხელესთან – დაუდხან უნდილაძესთან ერთად ბარდა და ყარაბაღი დაარბია, ამისათვის ირანის ახალმა შაჰმა სეფი პირველმა თეიმურაზი გადააყენა და ქართლის მმართველად როსტომ-ხანი, ხოლო კახეთში ყიზილბაში სელიმ-ხანი დანიშნა. თეიმურაზი წარუმატებლად ეწინააღმდეგებოდა როსტომ-ხანს, რომელმაც 1648 წელს თეიმურაზი კახეთიდანაც გააძევა. თეიმურაზმა ვერც რუსეთისგან მიიღო მხარდაჭერა, წარუმატებელი აღმოჩნდა დახმარების მიღების მცდელობა, როგორც დასავლეთის ქვეყნებისგან,ასევე ოსმალეთისგან. იმედგაცრუებული თეიმურაზი 1661 წელს ბერად შედგა. მალე იგი დიდი ამალით ირანს გაემგზავრა, სადაც გამაჰმადიანების შემთხვევაში კახეთის მეფობა აღუთქვეს. თეიმურაზმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, რის შემდეგაც იგი დააპატიმრეს. 74 წლის თეიმურაზ I ასტრაბადის ციხეში გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

ირანის მესვეურები ხელს არ იღებდნენ შაჰ აბასის გეგმებზე. 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და იქ ყიზილბაში მმართველი დასვეს, მცირე ხანში კახეთში თურქმანების 1500 ოჯახი ჩამოასახლეს. კახელებმა აჯანყება გადაწყვიტეს. აჯანყების სამზადისს ზაალ არაგვის ერისთავი ჩაუდგა სათავეში. 1660 წელს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ალავერდელი ეპისკოპოსი,ბიძინა ჩოლოყაშვილი და თუშ-ფშავ-ხევსურები ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და გოგოლაურის მეთაურობით მტერს მოულოდნელად დაესხნენ თავს, აიღეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხესიმაგრეები,



თეიმურაზ II

ხოლო მეციხოვნეები გაჟლიტეს. კახელებს ქართლელებიც მიეხმარნენ. აჯანყების მოთავეებზე

ყიზილბაშებმა სასტიკად იძიეს შური და წამებით დახოცეს, მაგრამ ამ აჯანყებამ კახეთი ფიზიკური გადაშენებისგან იხსნა, თუმცა ირანის ბატონობა მაინც გრძელდებოდა.

კახეთი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის, შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) მმართველობაში გადავიდა, ხოლო შემდეგ მის შვილს არჩილს ებოძა, რომელმაც 1664 წელს დაიკავა იგი. მან კახეთში აღმშენებლობითი მოღვაწეობა



ერეკლე II

დაიწყო, შედარებითი წესრიგი დაამყარა, ნაწილობრივ ალაგმა ლეკთა თარეში, აღადგინა სახელმწიფო მოწყობა, ხოლო რეზიდენცია გრემიდან თელავში გადაიტანა.

ირანელებს არ მოეწონათ ვახტანგისა და არჩილის მიერ ქართლ-კახეთის გაერთიანება-მოძლიერება, ამიტომ თეიმურაზის შვილიშვილი, რუსეთში გადახვეწილი ერეკლე I (ნაზარალი ხანი) ჩამოიყვანეს და კახეთის ტახტი აღუთქვეს. არჩილმა 1675 წელს დატოვა კახეთი და იმერეთში გამეფებას შეეცადა. 1699 წელს იგი რუსეთში გადასახლდა.

1703 წელს ერეკლე ირანში გაიწვიეს, მეფობაც უბოძეს, მაგრამ რეალურად ტახტზე მისი შვილი დავითი (იმამ ყულიხანი) დასვეს, რომელიც ლეკთა თარეშის ალაგმვას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. ლეკები უფრო მომძლავდნენ და აღმოსავლეთ კახეთის რამდენიმე სოფელი დაიკავეს.

1722 წელს კახეთის სამეფო ტახტზე დავით II-ის ძმა – კონსტანტინე ავიდა, რომელმაც ლეკების ნაცვლად ქართლს დაუწყო ბრძოლა, მაგრამ ქართლი ვერ დაიპყრო, ლეკები კი უფრო მოამძლავრა. ამასთან ერთად, ქართლი ოსმალებმა დაიკავეს. კონსტანტინემ ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირე ვერ იპოვა და ფშავ-ხევსურეთში გაიქცა. ლეკებმა კი ისარგებლეს კახეთში ხელისუფლების კრიზისით და მთელი ამ მხარის დაპყრობა განიზრახეს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა ჭარ-ბელაქანი ლეკებს გადასცა. 1732 წელს ოსმალებმა კონსტანტინე მოკლეს და კახეთი დაიკავეს.

1733 წელს კახეთის სამეფო ტახტზე კონსტანტინეს უმცროსი ძმა – თეიმურაზ II ავიდა. 1735 წელს ირანმა განდევნა ოსმალეთი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, თეიმურაზ II დააპატიმრეს და ისპაჰანს გაგზავნეს, კახეთი კი გამაჰმადიანებულ ალექსანდრეს ჩააბარეს. ქართლ-კახეთში ახალი ძალით გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამან აიძულა ნადირ-შაჰი 1736 წელს თეიმურაზ II კახეთში დაებრუნებინა, მისი ძე ერეკლე (ერეკლე II) კი ინდოეთის ლაშქრობაში იახლა. შაჰმა 1744 წელს თეიმურაზ II-ს ქართლი, ერეკლე II-ს კი კახეთი ჩააბარა ქრისტიანობის შენარჩუნებით. ქართველთა თავგამოდებამ და შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო, ნადირ შაჰმა ქართლ-კახეთის გამუსლიმანების გეგმაზე ხელი აიღო. 1747 წელს ნადირ-შაჰი ირანის შიდაპოლიტიკურ ბრძოლებს შეეწირა, რითაც ისარგებლა ერეკლე II-მ და თბილისის და სხვა ციხეებიდან ირანელი მეციხოვნეები განდევნა. 1748 წლიდან ქართლ-კახეთმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1748-1752 წლებში თეიმურაზ II და ერეკლე II წარმატებით იბრძვიან მეზობელი სახანოების წინააღმდეგ და პარალელურად არაერთხელ ამარცხებენ ქართლ-კახეთში შემოჭრილ ლეკებს. ერევნის, განჯისა და ნახიჭევანის ხანებმა თავი ერეკლე II-ის მოხარკეებად ცნეს. 1754 წელს ერეკლემ მცირე ლაშქრით ბრწყინვალედ გაიმარჯვა ქვემო ქართლში შემოჭრილ მრავალრიცხოვან ლეკ მოთარეშეებზე. 1755 წელს კახეთში ლეკების უფრო დიდი ლაშქარი შემოიჭრა ხუნძახის ბატონის ნურსალბეგის სარდლობით. მან ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს და, როდესაც მეციხოვნეებს ტყვია-წამალი და სურსათის მარაგი ელეოდათ, ერეკლეს მიერ გამოგზავნილი რაზმი ციხესიმაგრეში შეიჭრა და თან საბრძოლო მასალაც შეიტანა, ქიზიყელთა მეორე დიდი რაზმი კი ჭარის დასარბევად გაეშურა. ამ ტაქტიკურმა სვლამ ლეკები აიძულა ალყა მოეხსნათ და კახეთს გასცლოდნენ. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წლიდან, ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფე გახდა. ირანმა სცნო მისი მეფობა და გავლენა მეზობელ სახანოებზე.

ერეკლე II-მ მტკიცე ხელით განაგრძო მამასთან ერთად დაწყებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განვითარების საქმე. მან აღკვეთა მის წინააღმდეგ ფეოდალთა ერთი ჯგუფის მიერ წამოწყებული შეთქმულება, გააუქმა მსხვილი საერისთავოები, ააღორძინა საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა და ვაჭრობა. სამეფო კარმა დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის განვითარებას: იმ დროისთვის დამუშავების პროგრესული მეთოდით აღადგინა ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის საბადოები. შეიქმნა თოფ-ზარაფხანის, თოფის წამლის, მინის ქარხნები და მანუფაქტურები, აამოქმედა სამეფო ზარაფხანა, სტამბა და ა. შ.

დაიწყო სახელმწიფო მმართველობის რეფორმაც. ცენტრალური მმართველობა დაიყო: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლებისა და სამხედრო უწყებებად. 1774 წელს შეიქმნა რეგულარული „მორიგე“ ჯარი, რომელსაც ლეკთა თარეში უნდა აღეკვეთა. ქართულ ჯარში შემოიღეს ევროპული ჩინები და ცდილობდნენ ახალი სამხედრო სისტემის ჩამოყალიბებას. საკმაოდ დაიხვეწა და განვითარდა სასამართლო სისტემაც. აღმავლობა შეეხო მეცნიერებისა და კულტურის სფეროსაც – აღდგა სტამბა, გაიხსნა სახელმწიფო სკოლები და სასულიერო სემინარია,დაარსდა თეატრი და სხვ.

ქართული სახელმწიფოს წარმატებებს იმედის თვალით უყურებდა ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობა. ისინი



დარეჯან დედოფალი

ხშირად თხოვდნენ დახმარებას ერეკლე II-ს. აქტიურობდნენ სომხები, რომლებიც მეფეს ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას და მეთაურობას სთავაზობდნენ.

ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას ითვალისწინებდა. 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლემ, რუსეთის დახმარებით სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლება სცადა, მაგრამ რუსის ჯარის ავანტიურისტი სარდლის ტოტლებენის მოღალატური პოლიტიკის წყალობით, რაც მარტო ამ სარდლის ინიციატივა არ უნდა ყოფილიყო, ეს განზრახვა ჩაიშალა; თუმცა, რუსეთთან მოლაპარაკებები გრძელდებოდა, რაც 1783 წელს ქ. გეორგიევსკში ტრაქტატის დადებით დასრულდა. ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს. მეფეს, იმპერატორის ნებართვის გარეშე,არ ჰქონდა უფლება ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო, საჭიროების დროს, დახმარებოდა რუსეთს ჯარით. ქვეყნის საშინაო მართვა-გამგებლობაში მეფე სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცავად, რუსეთს საქართველოში მუდმივად უნდა ჰყოლოდა ორი ბატალიონი ჯარი ოთხი ზარბაზნით. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ იზრუნებდა მტერთაგან მიტაცებული მიწების საქართველოსათვის დაბრუნებაზე.

ტრაქტატის დადებას ირანისა და ოსმალეთის მკვეთრი გაღიზიანება მოჰყვა. ოსმალებმა კვლავ წააქეზეს ლეკები. 1785 წელს ქართლ-კახეთი დიდად დააზარალა ავარიის მმართველის ომარ-ხანის ლაშქრობებმა. პარალელურად გაჩნდა ქართლ-კახეთის დასავლეთ საქართველოსთან გაერთიანების შესაძლებლობა, რაც, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. თუმცა, 1790 წელს დაიდო სამხედრო კავშირი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის.

ამასობაში,ირანში,ტახტისთვის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანმა გაიმარჯვა, მომძლავრდა და როდესაც დარწმუნდა, რომ რუსეთი საქართველოს სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა, 1795 წელს ქართლში შემოიჭრა. რუსეთის მოიმედე ერეკლე II მტერს ძველებურად მომზადებული ვერ შეხვდა. 5 ათას კაციან ჯარს იმერეთის მეფემ 3 ათასი მოლაშქრე მიახმარა. კრწანისის ბრძოლა, ღალატის შედეგად, ქართველების მარცხით დასრულდა. მტერი თბილისში შემოიჭრა და ერთიანად ააოხრა. აღა-მაჰმად-ხანი, შიდა პოლიტიკური არეულობის გამო, მალე იძულებული გახდა ირანში გაბრუნებულიყო. ერეკლე მეფე კვლავ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ მხცოვანი მეფე 1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა.

ტახტი ერეკლეს უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-მ დაიკავა; მას დიდხანს არ უმეფია, იავადმყოფა და მალევე გარდაიცვალა, რითაც ისარგებლა რუსეთმა და 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველოში მეფობა გააუქმა, ქართლ-კახეთის სამეფო კი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულ



გიორგი XII

სწრაფი კოლონიზაციისა და ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას ქართული საზოგადოება ვერ ეგუებოდა. დაიწყო მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1802 წელს თბილისის სიონის ტაძარში, ქართლ-კახე-

თის სამეფოს გაუქმების მანიფესტის გამოცხადების დღეს, რუსეთის ერთგულების ფიცის დადებაზე კახეთის თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა, რუსების ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. სწორედ ეს მოვლენაა მიჩნეული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისად. შინ დაბრუნებული კახელი თავადაზნაურობა 1802 წლის ივლისში ქიზიყში შეიკრიბა და მთელ მოსახლეობასთან ერთად რუს მოძალადეებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მათ დასაშლელად გაგზავნილი რუსების ბატალიონი ქიზიყელებმა სასტიკად დაამარცხეს, იულონ ერეკლეს ძის ერთგულების ფიცი დადეს და რუსების იმპერატორს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს, რომელსაც 69 თავადი აწერდა ხელს. რუსების მიერ კახეთში დამატებითი ძალების გაგზავნის შემდეგ აჯანყებულებმა მიიჩნიეს, რომ დროებით უნდა დაშლილიყვნენ. 1804-1812 წლებში ეროვნული მოძრაობა საქართველოს სხვა მხარეებსაც მოედო. განსაკუთრებით ძლიერი იყო მთიულეთის აჯანყება, რომლის სასტიკად ჩახშობის მიუხედავად, ქართველ ერში სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი არ ჩამკვდარა.

1812 წელს კახეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. რუსი ოკუპანტების ძალმომრეობითა და თავხედობით აღშფოთებულმა კახელებმა ქალაქი თელავი აიღეს და რუსების გარნიზონი ციხეში გამოკეტეს. მალე აჯანყებულებმა სიღნაღიც დაიკავეს და დამპყრობელთაგან სოფლების გაწმენდას შეუდგნენ. კახელებს ფშავ-ხევსურებმაც დაუჭირეს მხარი. მათ დუშეთი და ფასანაური გაათავისუფლეს. აჯანყებულები ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას და ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნებას მოითხოვდნენ. საოკუპაციო ხელისუფლებამ გაჭირვებით მოახერხა აჯანყების ჩახშობა; აჯანყების მოთავეები დასაჯეს, მაგრამ ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო – კახეთში გაუქმდა კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა,აღდგა მოურავობა, რუსული სასამართლოს ნაცვლად დროებითი სასამართლოები შეიქმნა, სადაც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ქართული კანონებისა და ადათის საფუძველზე ხდებოდა.



ნეკრესის მონასტერი. სამნავიანი ბაზილიკა. IV ს-ის II ნახევარი

1812 წლის აჯანყების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. მისი ჩასახვა და განვითარება მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებაში მყოფ ბატონიშვილთა წრეში დაიწყო. ამ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სოლომონ დოდაშვილმა შეთქმულების იდეა რუსეთიდან საქართველოში გადმოიტანა. კახეთში შეთქმულთა იდეურ ცენტრს ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლი წარმოადგენდა. შეთქმულთა ერთი ჯგუფი, რომლის სათავეში, ძირითადად, ქართველი ბატონიშვილები იდგნენ, მოითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენას. მეორე ჯგუფი კი,რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგი იყო და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას მოითხოვდა. ერთ-ერთი ჯგუფი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. შეთქმულთა ნაწილი მოითხოვდა საქართველოს დარჩენას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. შეთქმულება გასცეს და მისი მონაწილე 38 კაცი დააპატიმრეს, მ. შ. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

XIX ს-ის 60იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მიზნად დაისახეს ქართული სახელმწიფოებრიობის ეტაპობრივი აღდგენა,ანუ თავდაპირველად იმპერიის ფარგლებში ავტონომიის მიღწევა და შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე სრული დამოუკიდებლობის მიღება.

მას შემდეგ, რაც რუსეთში 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დემოკრატიულმა ძალებმა რუსეთის თვითმპყრობელობა დაამხეს, საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართული სახელმწიფო 1921 წლის 25 თებერვლამდე ფუნქციონირებდა. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არც საბჭოთა რეჟიმის პირობებში შეწყვეტილა. 1921 წელსვე აჯანყებამ მოიცვა სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. 1922 წლიდან მოქმედება დაიწყო „სამხედრო ცენტრმაც“ და ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პატრიოტულმა რაზმმა. 1924 წლის ივლის-აგვისტოში აჯანყებამ იფეთქა კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. საყოველთაო აჯანყების ხელმძღვანელად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაინიშნა. 1924 წლის აჯანყება სხვადასხვა მიზეზთა გამო დამარცხდა, რის შემდეგაც კახეთშიც, ისევე როგორც საქართვე-

ლოს სხვა კუთხეებში, სასტიკი რეპრესიები განხორციელდა.

საბჭოთა რეჟიმის არსებობის მთელ პერიოდში საქართველოში და შესაბამისად, კახეთშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩამქრალა. მან დიდი გასაქანი პოვა და განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი სსრკ-ის დაშლის პროცესების პარალელურად, XX ს-ის 80-90-იან წლებში მიიღო, როდესაც ბოლშევიკების მიერ იმპერიის მოდერნიზების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ, აღიდგინა დამოუკიდებლობა.



ძველი შუამთის მონასტერი. მარცხნიდან: ბაზილიკა – V ს-ის შუახანები, დიდი გუმბათოვანი ეკლესია – VII ს., მცირე გუმბათოვანი ეკლესია – VII ს.

კახეთი განსაკუთრებით გამორჩეულია ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სიმრავლით. საქართველოს დანარჩენი მხარეების მსგავსად, შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა აქაც, ძირითადად, საეკლესიო ხუროთმოძღვრებითაა წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს საქართველოში გავრცელებულ ყველა ტიპის საეკლესიო ნაგებობას. სწორედ ამ მხარეშია შემორჩენილი საეკლესიო ნაგებობების ისეთი ნიმუშები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებს უკავშირდება.

კახეთის მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძირითადი თავისებურება გარე მორთულობის სისადავეა, რომელიც მან განვითარების მთელ გზაზე შეინარჩუნა. თუმცა ამ მხარის ხუროთმოძღვრება,როგორც განვითარების ეტაპებით, ისე სტილის ცვალებადობით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელი ქვეყნის ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიასთან.

კახეთის ხუროთმოძღვრები საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდნენ თავიანთი დროის შესანიშნავ ნიმუშებს, მაგრამ საქართველოს დანარჩენი მხარეებისგან განსხვავებით, ტაძრების შესამკობად იშვიათად ან სრულებით არ იყენებდნენ ორნამენტულ სამკაულს. მათ ხელთ არსებული დაბალი დეკორატიული ღირსებების მქონე სამშენებლო მასალით შეუძლებელი იყო დეკორატიული ეფექტების მიღწევა. ძეგლების გარეგნული უბრალოება, სავსებით პასუხობდა მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებებს და მათი ესთეტიკური წარმოდგენის ანარეკლს წარმოადგენდა. ესაა არსებითი სხვაობა კახეთის მონუმენტურ ნაგებობებსა და საქართველოს სხვა მხარეთა მსგავს ნაგებობებს შორის, რომელთა საშენ მასალად ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ჯიშის ქვის კარგად თლილი კვადრები. ეს უკანასკნელი კი ფასადების ფიგურული რელიეფებით და მრავალსახა ჩუქურთმით მორთვის შესაძლებლობას იძლეოდა.

კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები მნახველზე ზემოქმედებას ახდენს ფორმებისა და სივრცის სრულყოფილებით.



კარდანახი. საბაწმინდის მონასტრის სამეკლესიიანი ბაზილიკა. VI ს-ის შუახანები

ითი ძალისხმევა ძირითადად

მიმართულია სტრუქტურული ამოცანების გადაწყვეტაზე – ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნილებების შესაბამისი შიდა სივრცის შექმნაზე, რომელსაც



კოსისხევი. კონდამიანის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი

სავსებით შეესატყვისებოდა შენობის გარეგანი ფორმები. ნაგებობები აგებულია უბრალო საშენი მასალით. ესაა სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და ფოროვანი ტუფი. ე.წ. შირიმი. გარდა რიყის ქვისა და შირიმისა, სხვადასხვა პერიოდში საშენ მასალად იყენებდნენ აგრეთვე აგურს, რომელსაც, საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით, კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ადრინდელ ხანებში მას დამატებით საშენ მასალად იყენებდნენ – ძირითადად კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ელემენტების გამოსაყვანად. გვიანდელი ხანის საეკლესიო და საერო ნაგებობების დიდი ნაწილი კი, ძირითადად ან მთლიანად, აგურითაა ნაშენი. სწორედ კახეთის საეკლესიო ნაგებობებში შემუშავდა აგურის წყობისათვის ნიშანდობლივი მრავალფეროვნებით გამორჩეული, ფასადთა დეკორაციული მორთულობის ელემენტების მთელი სისტემა (სხვადასხვა კონფიგურაციის ჩაღრმავებული არეები და ჯვრები, რომბები, დაკბილული ლავგარდნები და სხვ.). როგორც ჩანს, ამ სამშენებლო მასალის წინა პლანზე წამოწევას გარკვეული მყარი საფუძველი შეუქმნა კახეთში ოდითგანვე ფართოდ განვითარებულმა კრამიტის წარმოებამ, რაც დასტურდება თუნდაც იმით, რომ უძველესი ნაგებობები ძირითადად, კრამიტითაა გადახურული.

მიხედვით. საეკლესიო მმართველობის მიერ საეკლესიო ნაგებობის ეს ხელოვნურად დანერგილი ფორმა იმთავითვე ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად იქნა გადამუშავებული. კახეთის ბაზილიკების უძველესი ნიმუშების დიდი ნაწილი (ნეკრესის მონასტრის თავდაპირველი ეკლესია, ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა, მატანის ცხრაკარას მონასტრის ბაზილიკა) ძლიერ განსხვავდება ადრექტისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისგან. ბაზილიკის მსგავსად ისინი სამ ნავად არის გაყოფილი, რომლებიც ერთიანი სივრცის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. შენობები მოკლეა, ნავები, ხის კონსტრუქციების ნაცვლად, გადახურულია ქვის კამარით. ამავე ხანებში იგება ნამდვილი ბაზილიკების ტიპის ეკლესიებიც (კაწარეთის სამების ეკლესია, ე. წ. ჭაბუკაურის ეკლესია ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე, თელავის ღვთაების, ტიბაანის წმ. სტეფანეს, კონდოლის ნათლისმცემლის, ნატკორის ეკლესიები, ნაქალაქარ არეშის ბაზილიკა), VI ს-ის ნახევრიდან VII ს-ის ჩათვლით. შენობები შესამჩნევად მოკლდება, ნავები



ხაშმი. კაწარეთის სამება. VI ს-ის ბოლო-VII ს-ის დასაწყისი

კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, იგება ასევე ტაძრები პალესტინური ბაზილიკების ნიმუშების

გაყოფილია ბოძების მხოლოდ ორი წყვილით (ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების, ახშანის გორისჯვრის, ბოდბის წმ.

ნინოს მონასტრის ეკლესიები, აზერბაიჯანის კახის რაიონში ყუმის ეკლესია და სხვ.). დამოკლების ტენდენცია შესამჩნევია როგორც VIII-IX საუკუნეებში, ისე მომდევნო X საუკუნეშიც. პროპორციული თვალსაზრისით, ეს ნაგებობები შედარებით უკეთ არის გადაწყვეტილი, შიდა სივრცე აქ გაცილებით დახვეწილია და ხალვათი, პრო-



ზეგაანი. წმ. მარინეს ეკლესია. V ს.

პორციები – შემაღლებული (აკურის მამა დავითის, ზემო ალვანის ნათლისცემლის, იოანე ზედაზნელის ეკლესიები, ვაზისუბნის სანაგირის ბაზილიკა). სამნავიანი ბაზილიკის აგების გვიანდელი მაგალითია ჟალეთის ბაზილიკა.

VI ს-ის I ნახევარში, ნამდვილი ბაზილიკური ნაგებობების გვერდით, ჩნდება ამ თემის თავისებური, რამდენადმე სახეცვლილი ვარიანტი, რომელსაც აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა „სამეკლესიიანი ბაზილიკა“ შეარქვა და რომელიც საქართველოს გარეთ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება. ამ ტიპის ტაძრის თავისებურება იმაშია, რომ მას გარეგნობით ბაზილიკის ასახულობა აქვს, მაგრამ სტრუქტურით იგი არ არის ბაზილიკა. ბაზილიკისგან განსხვავებით, ერთ ნაგებობაში, ჩვენ გვაქვს ერთმანეთისგან ერთიანი კედლებით გამიჯნული, ხშირ შემთხვევაში კარებით დაკავშირებული, სამი წაგრძელებული სადგომი, რომლებსაც აღმოსავლეთით დამოუკიდებელი საკურთხეველი აქვს. ასე, რომ ერთ ნაგებობაში ერთდროულად სამი ეკლესიაა. კახეთი განსაკუთრებითაა გამორჩეული სამეკლესიიანი ბაზილიკების სიმრავლით. VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ამ თემამ კახეთში როგორც სივრცობრივი გადაწყვეტით, ისე გარეგანი გაფორმების თვალსაზრისით, მხატვრულად დახვეწილი, დასრულებული სახე მიიღო.

ნაგებობის შიდა სივრცის ფორმირების პროცესში, ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებზე დამყარებულმა, მისი ცენტრულობის მიზანდასახულობამ – გუმბათოვანი გადახურვით და შუქის ძირითადი წყაროთი ზემოდან, განსაზღვრა ქრისტიანული ტაძრის თავდაპირველი ფორმები – ცენტრული გეგმის მქონე გუმბათოვანი სტრუქტურა.

კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის უძველესი ნიმუშები VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპის ეკლესიების ჯგუფს შეადგენენ. ამ ძეგლებში ჯერ კიდევ ბევრია გაუწონასწორებელი, დაუხვეწა-



ნინოწმინდის ტაძარი. VI ს-ის შუახანები

ვი და მხატვრულად მოუქნელი ფორმები, ხუროთმოძღვრებს ჯერ კიდევ არა აქვთ ათვისებული არქიტექტურული კომპოზიციის ყველა მხარე, მათი შემოქმედებითი აზროვნება მთლიანადაა მიმართული ქრისტიანული არქიტექტურის ცენტრალური ამო-



ვაზისუბანი. ორმოცი მოწამის ეკლესია. VII ს.

ცანის (შიდა სივრცის შექმნა) გადასაწყვეტად.

ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის გვხვდება ტეტრა-

კონქების და „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის სხვადასხვა ვარიანტები. ყველა ამ ეკლესიაში გუმბათი ეყრდნობა კედლებს და არა ცალკე მდგომ ბოძებს.

ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებიდან უძველესია ძველი გავაზის ეკლესია (VI ს-ის III მეოთხედი), რომელიც ყველა მიმართებით – ცენტრალურ ნაწილში გუმბათქვეშა კვადრატით, რომელსაც ოთხივე მხრიდან ნალისებრი აფსიდი შეერთვის. შენობის გარე მოხაზულობა ზუსტად იმეორებს შიგა აღნაგობას.

ნაგებობათა კომპოზიციური გადაწყვეტისა და მხატვრული სრულყოფის ძიების რთულ გზაზე, ტეტრაკონქის ტიპის მომდევნო საფეხურია ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი (VI ს-ის III მეოთხედი), რომელშიც გუმბათის დიამეტრის გაზრდის და, შესაბამისად, გუმბათქვეშა სივრცის გაფართოების მიზნით, ჯვრის მკლავებს შორის, დიაგონალურ ღერძებზე, მოწყობილია გარკვეული დანიშნულების, ორაფსიდიანი, მცირე სადგომები. ევოლუციური თვალსაზრისით ნინოწმინდის ტაძარი უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. საქართველოში მეორე ასეთი კომპოზიცია არ გვხვდება. ტეტრაკონქის კომპოზიცია უდევს საფუძვლად ძველი შუამთის მონასტრის ორივე გუმბათოვან ეკლესიასაც (პირველი – VI ს-ის დასასრული-VII ს-ის დასაწყისი, მეორე – VII ს.).



კისისხევი. ყველაწმინდის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი

ტეტრაკონქის ტიპის გარდა, ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის, გვხვდება „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული, კომპოზიცია – ერთი აფსიდითა და სამი, სწორკუთხა მკლავით. სივრცობრივი აღნაგობით ესაა ერთი საერთო ტიპი, რომელიც, მინიატურული ზომებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული თვალსაზრისით რამდენადმე გამარტივებულია. არსებობს მისი ოთხი სახესხვაობა: ერთი, როდესაც გეგმას გარედანაც ჯვრული მოხაზულობა აქვს (ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია და ე.წ. ერელაანთ საყდარი მატანთან), მეორე – შეცვლილი გარეგანი კონტურით (დავითიანის ორმოცი მოწამისა და ვაჩნაძიანის სვეტიცხოვლის ეკლესიები), მესამე – სრულიად თავისებური, მკვეთრად ხაზგასმული გრძივი ღერძით (იყალთოს მონასტრის სამების ეკლესია) და მეოთხე, განსაკუთრებით საინტერესო ტიპი, სადაც ორი მკლავი დასრულებულია აფსიდით, ხოლო დანარჩენი ორი სწორკუთხაა (კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია).



კალაური. წმ. გიორგის ეკლესია. VI-VII სს.

VII ს-ის დასასრულიდან, გუმბათოვანი ტაძრების ახალი ფორმების ძიებაში ფართოდ იყენებენ ბაზილიკებისა და სამეკლესიიანი ბაზილიკების კომპოზიციის პრინციპს, რაც განსაკუთრებული თავისებურებითაა გამოვლენილი VIII-IX სს-ში. ამ პერიოდში გვხვდება სხვადასხვაგვარი კომპოზიციების კომბინირების მაგალითები. ნაგებობის ცენტრა-

ლური სივრცის დამაგვირგვინებელი გუმბათი შერწყმულია გუმბათოვანი სტრუქტურისათვის უცხო, ბაზილიკური და სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ფორმებთან. ამის მაგალითია გურჯაანის ყველაწმინდა (ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია საქართველოში), დასავლეთის გახსნილი პატრონიკით და განცალკევებული სადგომებით გვერდითი ნავების თავზე. ხუროთმოძღვრული ფორმების ევოლუციის მაჩვენებელია, ვაჩნაძიანის მიდამოებში მდებარე ყველაწმინდის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია,რომელიც საქართველოში გარდამავალი ხანის ყველაზე მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. ტაძარი საერთო კომპოზიციით წარმოადგენს სამეკლესიიანი ბაზილიკის თავისებური გადამუშავების მაგალითს,რომელშიც ძირითადი ელემენტების ორგანულმა შეთანხმებამ შუა სადგომის,როგორც „გუმბათოვანი დარბაზის“,შექმნის შესაძლებლობა განაპირობა. გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დასაკავშირებლად აქ, პირველად საქართველოში, ჩნდება ახალი კონსტრუქციული ელემენტი – აფრა (პანდატივი), თუმცა, მის გვერდით არც ტრომპებია უგულებელყოფილი.



გურჯაანი. ყველაწმინდის ეკლესია. VIII ს.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში,სამეკლესიიან ბაზილიკებში შემუშავებული თემა – გვერდითი სადგომების დასავლეთის გარშემოსავლელით დაკავშირება – სხვადასხვა გუმბათოვან კომპოზიციებშიცაა გამოყენებული. ხუროთმოძღვრები აგებენ ღია გალერეებს, სადაც ისინი, ისევე როგორც სამეკლესიიან ბაზილიკებში, დანაწევრებულია თაღებით, რომლებიც ფასადებზე დამატებით მხატვრულ აქცენტებს ქმნის. ამის მაგალითია ძველი გავაზის ტეტრაკონქი, რომელსაც VIII-IX საუკუნეებში სამი მხრიდან გარეთკენ თაღებით გახსნილი გარშემოსავლელი მიადგეს.

გარშემოსავლელის თემის გარდა, მუშავდება ასევე პატრონიკეს თემაც. კახეთის ტაძრებში პატრონიკე არც თუ ისე ბევრ ნაგებობებშია დადასტურებული. მისი შექმნის პირველი ცდა ცნობილია უგუმბათო არქიტექტურაში – კარდენახის საბაწმინდის მონასტრის ძველ სამეკლესიიან ბაზილიკაში. აქ პატრონიკე არ წარმოადგენს ტაძრის აუცილებელ კომპოზიციურ ელემენტს – კაცთა და ქალთა განმაცალკევებელ ადგილსამყოფელს, არამედ იგი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია და მისი გაჩენა, როგორც ჩანს, წმინდა კონსტრუქციული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. კერძოდ, გუმბათის განმბრჯენი ძალების გასაწონასწორებლად. ამ ამოცანის გადასაჭრელად გურჯაანის ორგუმბათიანი ბაზილიკის ხუროთმოძღვარი გვერდითი ნავების თავზე დამატებით ეკლესიებს ქმნის, ხოლო ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ტაძრის ხუროთმოძღვარი – პატრონიკეს.

კახეთის ამ პერიოდის ძეგლთაგან განსაკუთრებული ინდივიდუალობითაა გამორჩეული ნეკრესის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სამეკლესიიანი ბაზილიკის თემის გუმბათოვანი



ვაჩნაძიანი. ყველაწმინდის ეკლესია. VIII-IX სს-ის მიჯნა

ეკლესიის თემასთან შერწყმის მაგალითი, რაც აქ სრულიად განსხვავებულადაა გადაწყვეტილი: ხუროთმოძღვარი მაღალყელიან გუმბათს შენობის ცენტრალური,გეგმით კვადრატული ნაწილის კედლებზე აფუძნებს და გუმბათის განმბრჯენ ძალებს უპირისპირებს ხუთწახნაგოვან შვერილ აფსიდს და გარშემოსავლელს სამი მხრიდან.

ამავე პერიოდში გვხვდება ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ თემის სხვადასხვა ვარიანტები. ამ მხრივ საინტერესოა ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესია, რომლის სამნავიანი სტრუქტურა, VIII-IX სს-ში, ჩაშენებული ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძითა და მათზე დაყრდნობილი გუმბათით, ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს.

საყურადღებოა ასევე იყალთოს მონასტრის მთავარი ტაძრის (დიდი ნაწილი აღდგენილია ნის ღვთისმშობლის ეკლესიები, რომელთა გადაწყვეტა გუმბათოვანი ტაძრის ახალი ფორმების ძიების შედეგს წარმოადგენს.

ოზაანის ტაძარი მხატვრული ხასიათის განმსაზღვრელი რიგი ნიშნებით, როგორიცაა წარმოსადეგობა, მთავრის და მისი შემადგენელი ნაწილების პროპორციების საგულდაგულოდ ჩამოყალიბებული ჰარმონიულობა და კომპოზიციის მთლიანობა, მჭიდროდაა დაკავშირებული კახეთის მონუმენტური არქიტექტურის მომდევნო პერიოდთან, კერძოდ, X საუკუნესთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზაანის ტაძრის კანკელის ზღუდის შესრულების დონე, რომელიც, როგორც მხატვრული, ისე კვეთის ტექნიკის სრულყოფით უდავოდ გამორჩეული ძეგლია.

X საუკუნე ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაში თავისებური მიჯნაა. ხანგრძლივი და დაუღალავი შემოქმედებითი ძიების შედეგად ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ტაძრის ის ტიპი,რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დომინირებული მდგომარეობა შეინარჩუნა. ესაა ნაგებობა მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძით, რომლის ძირითადი სივრცის შემადგენელი, მაღალი, ორფერდა სახურავით დასრულებული ჯვრის მკლავები და მათ შორის მოქცეული, შედარებით დაბალი, ცალფერდასახურავიანი კუთხის ნაწილები შენობის გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი.



კალაური. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. სატრაპეზო. IX ს. პორტალი.



აკურა. მამადავითის ეკლესია. 855 წ.

მოგვიანებით) კომპოზიცია – გუმბათით ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე და კარიბჭით თითოეული შესასვლელის წინ.

„ჩაწერილი ჯვრის“ თემის რედუქცირებული მაგალითებია ოზაანის ამაღლებისა და ვარცარქიტექტურული ამოცანის გადაწყვეტის მხატვრულ მიდგომაში სახეზეა ის წინსვლა,რამაც სრული გამოხატულება და განვითარება მხოლოდ მომდევნო ეპოქაში – X-XIII საუკუნეებში მიიღო.

X საუკუნის II ნახევრიდან კახეთში ახალი აღმავლობის პერიოდი იწყება – იგება სრულიად დასრულებული სტილის ტაძრები, რომლებიც სავსებით შეესაბამება ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურულ მოთხოვნებს – მივიწყებულია სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკების თემები, უპირატესობა ძირითადად ენიჭება წაგრძელებული ღერძის მქონე გუმბათოვან ნაგებობებს, იზრდება გუმბათის ყელის წახნაგთა რაოდენობა, შენობის კორპუსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილები სხვადასხვა სიგრძისაა,შესასვლელები ცენტრალური ღერძიდან შესაბამისი ფასადის დასავლეთ ბოლოში ინაცვლებს, გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის

ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად იყენებენ აფრებს და არა ტრომპებს, კონსტრუქციული ხასიათის ძიების შეწყვეტასთან ერთად, არქიტექტორების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიპყრობილია ახალი კომპოზიციების ძიებაზე. აღმოსავლეთ ფასადზე ჩნდება მაღალი,სამკუთხა გეგმის ნიშები,რომლებიც ხელს უწყობენ შუქჩრდილების თამაშს. საგრძნობლად იცვლება შენობის ზომები, იზრდება კორპუსის ცალკეული ნაწილების და გუმბათის ყელის პროპორციები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სივრცობრივი აღქმის მთლიანობა არ ირღვევა. ამის ნათელი დადასტურებაა XI საუკუნის პირველი მეოთხედის სწორუპოვარი ქმნილება, ალავერდის სახელგანთქმული ტაძარი, რომელიც არა მხოლოდ კახეთის, არამედ მთელი საქართველოს ერთი დიდებული ქმნილებათაგანია. იგი არის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე მაღალი (გუმბათიანად 50 მეტრს აღემატება) საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. ტაძრის გეგმის საფუძველს შეადგენს ტრიკონქი, რომლის სამივე აფსიდი გარე კედლების სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული. მისი შიდა სივრცე გრანდიოზულია,ნათლად იგრძნობა კახური ძეგლების დამახასიათებელი თავისებურება – პროპორციების აზიდულობა. ნაგებობის კედლები როგორც შიგნით, ისე გარედან მთლიანად მოპირკეთებულია სუფთად გათლილი, ფოროვანი ტუფის, ე. წ. შირიმის ფილებით. ფასადები ძუნწადაა მორთული. კედლების სიბრტყეები მხოლოდ თაღებითა და ნიშებითაა დანაწევრებული, რაც ქმნის იმპოზანტურობის, დიდებულების შთაბეჭდილებას. ალავერდის ხუროთმოძღვარმა შექმნა საეკლესიო ნაგებობა,რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული გენიის უმაღლეს მხატვრულ მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ ალავერდის ტაძარი განსხეულებული კახური მრავალუამიერია.

X-XI სს-ში კახეთის არქიტექტურაში იკვეთება აგრეთვე სხვა მიმართულებებიც,რომლებშიც ყალიბდებოდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ერთი საერთო ნიშანი – ერთი მხრივ, ნაგებობის გრანდიოზულობა და დიდებულება, ხოლო მეორე მხრივ – კეთილსახოვნება. ორივე ეს მიმართულება განსაკუთრებულად ვლინდება ამ პერიოდის ორ საყურადღებო ნაგებობაში – ბოჭორმისა და კვეტერის ციხეების ეკლესიებში. მათ ფორმებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, ისინი ერთიმეორის გვერდით დგას როგორც დამოუკიდებელი, თავისი მხატვრულობით გამორჩეული ქმნილება.

კომპოზიციური თვალსაზრისით კვეტერის ეკლესია ძველი შუამთის II გუმბათოვანი ეკლესიის თავისებური გამოძახილია. ესაა პატარა და საოცრად მოხდენილი ნაგებობა. გეგმის საფუძველი, ისევე როგორც მის პროტოტიპში, აქაც ტეტრაკონქია. ეკლესია შიგნით და გარედან მოპირკეთებულია სუფთად ნათალი და სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, შირიმის, სწორკუთხა ფილებით. ხუროთმოძღვარი ცდილის წინა საუკუნეებში გამომუშავებულ ყველა თანაფარდობას. პირველ რიგში ის სრულიად სხვაგვარად აყალიბებს გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლის სისტემას, რაც მიღწეულია სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის თაღების მონაცვლეობით. გუმბათქვეშა წრე გაცილებით მაღლაა „ატანილი“ გუმბათქვეშა თაღებზე, რაც სივრცის ამაღლებულობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეკლესიის შიდა სივრცის სტრუქტურასთან შეწონასწორებულია გარეთა ფორმებიც; შენობის თითოეული ნაწილი დამოუკიდებელ მოცულობად აღიქმება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი თავისებური შეხამებისა და რეგულირების წყალობით მთლიანობა არ ირღვევა. ყოველი ნაწილი შემკულია ნახევარკოლონების კონებით, რომელთა სიუხვის უკან თითქოს კედლის მასაც კი შეუმჩნეველია. შეიძლება ითქვას, რომ კვეტერის ტაძარში მაქსიმალურადაა გამოყენებული შირიმის დეკორატიული შესაძლებლობები. მასალისა, რომელიც იოლად არ ექვემდებარება დეკორატიულ დამუშავებას.



ყვარელი. ცხრაკარას ეკლესია. VIII-IX სს.

პროპორციების დახვეწილობით, მოხდენილი არქიტექტურუ-

ლი ფორმებით და მხატვრული გაფორმების სრულყოფითაა გამორჩეული ბოჭორმის ეკლესიაც, რომელიც სრულად ეპასუხება ეპოქის მხატვრულ ამოცანებსა და დეკორატიულ მოთხოვნებს.



ვაზისუბანი. სანაგირის ბაზილიკა. X ს-ის მიწურული.

კვეტერისგან განსხვავებით, ბოჭორმის ეკლესიაში ექვსი აფსიდია. კუთხეები აქაც ნახევარკოლონებითაა მორთული, საშენი მასალა აქაც ნათალი ქვაა – წყობის თანაბარი რიგებით.



ჭერემი. საკათედრო ტაძარი. X-XI სს.

გაწყობის ელემენტებია: ნახევარკოლონები, თაღები, ზოლურები. მაგრამ, როგორც გეგმის, ისე ხუროთმოძღვრულ ფორმათა კომბინირებაში და დეკორაციული გაწყობის სისტემაში, აქ სრულიად სხვაგვარი მიდგომა ვლინდება. ბოჭორმის ეკლესიის კორპუსი გარედან დანაწევრებულია სამკუთხა ნიშებით.

ნაგებობის საერთო სახის წარმოსადეგობის მისაღწევად იგივე საშუალებები და ელემენტებია გამოყენებული არა მხოლოდ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიასა და კუნტურის საყდარში, არამედ XIII ს-ის და XIV ს-ის დასაწყისის ძეგლებზეც.

XII ს-ის დასაწყისიდან კახეთის სამეფო შედის გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში, რომლის გავლენა ვრცელდებოდა კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. XII ს-იდან XIII ს-მდე კახეთში გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლები არ გვხვდება. თუმცა, ქვეყნისათვის ამ პოლიტიკური გარდატეხის დროს, შემოქმედებითი სული და მხატვრული ტრადიციები არ შენელებულა.

X-XI სს-ში დამკვიდრებული „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპი ამ დროის საეკლესიო ნაგებობებში კვლავ განაგრძობს არსებობას. შენობებს აერთიანებს ფასადების დეკორატიული დამუშავების მხარეც, რა თქმა უნდა,ორნამენტული მორთულობის გარკვეული შეზღუდვებით. სწორედ XIII ს-ის I ნახევარში აშენდა დიდი გუმბათოვანი ეკლესია კარდანახის საბაწმინდის მონასტერში და ფუძნარის გუმბათოვანი ეკლესია, ხოლო უფრო გვიან (სავარაუდოდ, XIV ს-ის შუა წლებამდე) – ნატიფი და საოცრად დახვეწილი გუმბათოვანი ტაძარი საჩინო (ზემო ხოდაშნის მიდამოები).

გუმბათოვან ეკლესიებთან ერთად ეს პერიოდი საყურადღებო დარბაზული ეკლესიებითაცაა წარმოდგენილი. ისინი ტრადიციული კახური საშენი მასალით – რიყის ქვითაა ნაშენი. ზოგ შემთხვევაში ნაგებობა იმოსება სუფთად ნათალი და სწორხაზოვნად დაწყობილი შირიმის ფილებით. სარკმლები გაფორმებულია ლილვებით – მათ შორის გრეხილი ლილვითაც. საპირეების თაღის ქუსლები და ქვედა კუთხეები კვადრატებითაა გამოყოფილი, რომლებშიც ამოკვეთილია ვარდულები. ფასადზე ჩნდება ჩუქურთმით შემკული გირჩებიც. ამ პერიოდის ეკლესიებიდან აღსანიშნავია: ზემო ხოდაშნის დედათა

მონასტრის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (დაახლ. – XIII ს.), ამავე სოფლის მიდამოებში მდებარე ე.წ. ტარიელაანთ საყდარი (განვით. შუა საუკუნეები) და კურტანაძეულის წმინდა მარინეს ეკლესია (XIII ს.) სოფ. მატანთან. ამავე ხანებში დასტურდება ორსართულიანი ეკლესიების აგების შემთხვევებიც (უებოტა, მარტყოფი, ართანა). გარდა ამისა, იგება მესვეტეთათვის განკუთვნილი



კვეტერა. ციხის ეკლესია. X ს-ის II ნახევარი

კოშკური ნაგებობებიც, რომლის უძველესი ნიმუში ერთ-ერთი „ათსამმეტ მამათაგანის“ წმ. ანტონის მიერ VI ს-ის II ნახევარში სოფ. მარტყოფის მახლობლად აგებული კოშკი-სვეტია. განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებულ ამ ტიპის ნაგებობათაგან როგორც სტრუქტურით, ისე შესრულების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ქისტაურის ნათლისმცემლის ეკლესიასთან მდგარი სამსართულიანი კოშკი-სვეტი.

ამ პერიოდის კულტურული აღმავლობის კარგი მაჩვენებელია დავითგარეჯის სამონასტრო მშენებლობა,რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. გარე კახეთის ამ უდაბურ,უტყეო კლდოვან მთებში, VI საუკუნეში, ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად საქართველოში სირიიდან დაბრუნებულ „ათსამმეტ მამათაგან“ ერთ-ერთი, წმინდა დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად დასახლდა გარეჯის უდაბნოს ბუნებრივ მღვიმეში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ ადგილას მონასტრის დაარსებას. იგი დავითის ლავრის სახელითაა ცნობილი. IX საუკუნეში აქ მოღვაწეობას იწყებს წმინდა ილარიონ ქართველი, რომელიც აფართოებს მონასტრის ეკლესიას და ახალ ფილიალსაც აარსებს. დროთა ვითარებაში გამოქვაბულ მონასტერთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა და ჩამოყალიბდა მძლავრი რელიგიურ-კულტურული ცენტრი, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. XII ს-ის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, რამაც ხელი შეუწყო მათ დაწინაურებას. მოყოლებული VI საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე დავითგარეჯის მრავალმთის მონასტრები კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის როგორც რელიგიურ,ისე კულტურულ ცხოვრებაში.

XV ს. ძირითადად მონღოლთა ურდოებისა და თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენის პერიოდია. სამეფო კარს უკვე აღარ ძალუძს ძველი დიდების შემობრუნება. ქვეყანა დაშლილი იყო ცალკე სამეფოებად და სათავადოებად. XV ს-ის II ნახევარში კახეთი ისევ ცალკე სამეფოდ გამოიყო.

კახეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამ პერიოდში საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით უკეთესი იყო, რადგან იგი მეტნაკლებად მაინც გადაურჩა ძარცვასა და მიწასთან გასწორებას.

XVI ს-იდან კახეთში ახალი აღმავლობის ხანა იწყება. მთელი XVI ს-ის განმავლობაში და XVII სის პირველ წლებში გაცხოველებული აღმშენებლობაა; შენდება ანსამბლები, იმპოზანტური საეკლესიო ნაგებობები, სამეფო რეზიდენციები გრემსა და ბაზარში (ახლანდელი ზაგემი), საქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები და სხვ.

მშენებლობის მასშტაბებით ამ დროის კახეთი,საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, გაცილებით დაწინაურებულია. ნაგებობები გამოყვანილია ძირ-



ბოჭორმა. წმ. გიორგის ეკლესია (აფეთქებამდე). X ს. 1920-იანი წლების ფოტო

ითადად აგურით, ხუროთმოძღვრები ეკლესიებისთვის იყენებენ ირანული არქიტექტურის



ალავერდის ტაძარი. XI-ს-ის I მეოთხედი.

ელემენტებსა და დეტალებს, ახდენენ მათ იმიტაციას.

სამშენებლო საქმიანობის აღმავლობის მიუხედავად, ამ პერიოდის არქიტექტურა მაინც ხასიათდება შემოქმედებითი ძიებისა და ოსტატობის დაქვეითებით, მხატვრული ჩანაფიქრისა და დეკორატიული მიდგომების გამარტივებით. წინა ეპოქებიდან განსხვავებით, სატაძრო ნაგებობების გეგმებსა და საერთო ფორმებში აღარ შეინიშნება შემოქმედებითი ზრდის ტენდენცია, პირიქით,ვლინდება ერთგვარი რემისია, რაც გამოიხატა დეკორატიულ მორთულობაშიც. არქიტექტურული თემის და კონსტრუქციულ საკითხებთან მიმართებით არაფერი შეცვლილა. წინა ეპოქებში გავრცელებული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი (ორ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით) კვლავ განაგრძობს არსებობას. კომპოზიციის ყოველი დეტალის და მათი ცალკეული ელემენტების დამუშავების მიუხედავად, წინა ეპოქების ძეგლებისაგან განსხვავებით, ეს ნაგებობები ვერ აღწევს სრულყოფილების და ოსტატობის ხარისხს,თუმცა,მხატვრული ძიების არსებობა მაინც შესამჩნევია, რაც ძირითადად გამოიხატა შენობათა მასების სხვაგვარ აგებასა და პროპორციების გამწვავებულ შეფარდებაში. ამ ტაძართა ინტერიერების სივრცობრივი გადაწყვეტა აგრძელებს და უფრო აძლიერებს ქართული არქიტექტურის ისტორიული განვითარების დამახასიათებელ იდეას – სიმაღლისკენ სწრაფვას, რომელმაც თავის მაქსიმალურ ზღვარს სწორედ ამ ეპოქის ძეგლებში მიაღწია (ახალი შუამთის, გრემის მთავარანგელოზთა, შიხიანის აღდგომის და ჭიკაანის კვირაცხოვლის ეკლესიები). კახთა მეფეების მიერ აგებულ ამ ძეგლთა თავისებურებაა ისიც,რომ, ისინი მთლიანად აგურითაა ნაგები. აგურის წყობა განსაზღვრავს დეკორატიული სისტემის ხასიათს. ყოველი ფასადი დანაწევრებულია სხვადასხვა მოხაზულობის, ოდნავ შეღრმავებული არეებით, რომლებიც გაფორმებულია შეღრმავებული ჯვრებით, თაღოვანი ნიშებით,



კარდანახი. წმ. საბას ეკლესია. XIII ს-ის I ნახევარი

რომბების კომბინაციით და ა.შ. მთლიანად აგურითაა ნაგები ამ პერიოდის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ნაგებობა ნინოწმინდის მონასტრის სამრეკლო,რომელიც გამოდის კახეთის ჩვეულებრივი სამრეკლოების რიგიდან და მაღალი სტილის, კარგად გააზრებულ, მხატვრულად დასრულებულ ქმნილებას წარმოადგენს. მაგრამ, ამავე დროს, ამ არქიტექტურული ნაწარმოებების გვერდით, ჩვენ ვხედავთ ძეგლთა ჯგუფს [ე. წ. ბახთალოს ეკლესია (ყოფ. ქ. ბაზარი), თარაქის „ველდრებისას“ წმ. გიორგის ეკლესია, ზემო ალვანის სამების ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია მატანში, ახატელის ღვთაების ეკლესია], რომლებშიც იგრძნობა შემოქმედებითი ენერგიის ერთგვარი მინელება. გარედან ისინი სრულიად სადაა, მხოლოდ გუმბათის ყელია დამუშავებული. კედლის სიბრტყეები დაუნაწევრებელია, უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია ყოველგვარ დეკორაციულ სამკაულს.

კახეთის ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ ფართოდ გაშლილი სამშენებლო საქმიანობა XVII ს-ის დასაწყისში (სპარსეთის შაჰის აბას I-ის მიერ 1614-1616 წლებში განხორციელებული ლაშქრობების შედეგად) ერთბაშად შეწყდა. ნანგრევებად იქცა ულამაზესი ქალაქი გრემი. იგი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც გვიანდელი შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს დედაქალაქი, არამედ როგორც ურბანული არქიტექტურის ნიმუში, რომელშიც კარგადაა შემორჩენილი როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ნაშთები, ისე ინფრასტრუქტურის ელემენტები.

XVIII საუკუნეში კახეთში კვლავ დაიწყო მშენებლობის აღორძინება. კახეთს, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ახლაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ახალ ნაგებობათა რაოდენობით. ამ პერიოდის საეკლესიო მშენებლობაში რაოდენობრივი უპირატესობა სრულიად მარტივ დარბაზულ ეკლესიებს ეკუთვნის, თუმცა, მათ შორის ზოგიერთი როგორც გეგმარებით, ისე შესრულების ხარისხით უდავოდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს (საგარეჯოს პეტრე-პავლეს, ფიჩხოვანის ხარჭაშნის ღვთაების, ჯიმითის ყველაწმინდის ეკლესიები). შენდება გუმბათოვანი ეკლესიებიც,რომლებშიც წელსაა აგებული; გურჯაანის ქაშვეთისა და მელაანის ღვთისმშობლის ეკლესიები. მომდევნო პერიოდის საეკლესიო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი. XVI ს.

ძველი არქიტექტურული თემების რემინისცენციის შემთხვევებსაც ვხვდებით. ამის მაგალითია: ღვთისმშობლის პატარა ეკლესია მანავში, რომელიც, წარწერის თანახმად, გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ეფთიმეს მიერ 1794 ძეგლია სოფ. ქოდალოს ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია,რომელიც 1817-1835 წლებს შორის აუგია კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, მეფე გიორგი XII-ის მინბაშს, აბელ ანდრონიკაშვილს.

უმარტივესი სახე – ეკლესიის სახურავის კეხზე დაფუძნებული, თაღებით გახსნილი, პატარა კიოსკი. გვხვდება ორსართულიანი სამრეკლოებიც – კუბური ფორმის ნაგებობაზე დადგმული რვაწახნაგა ფანჩატური, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქვედა ნაწილს არ უკავშირდება. გვხვდება ასევე ფანჩატურით დაგვირგვინებული, დიდი, მრავალსართულიანი ნაგებობები.



ვეჯინის ციხე. წმ. მარიამის ეკლესიის სამრეკლო. XV ს.



ნინოწმინდის მონასტერი. სამრეკლო. XVI ს.

კახეთის უძველესი სამრეკლოები (ვეჯინი, შიხიანი, წინანდალი, ლალისყური) ეკლესიასთან ახლოს მდგომი ნაგებობებია. ამათგან ყველაზე ადრეულად მიჩნეულია ვეჯინის ციხეში, ამაღლების ეკლესიის დასავლეთით მდგარი სამრეკლო.

სამრეკლოების მეორე ჯგუფი ლევანის მეფობის ხანას (1520-1574) შეიძლება დაუკავშირდეს, ესაა ალვანის ნათლისმცემლის, გრემის ღვთისმშობლის მიძინების დარბაზული ეკლესიის, კარდანახის საბა-წმინდის, საყდრიონის წმ. გიორგის და ფონას ეკლესიების სამრეკლოები. ისინი მიშენებულია ეკლესიის რომელიმე შესასვლელზე ისე, რომ სამრეკლოს ქვედა სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს.

XV-XVI სს. განეკუთვნება ახშანის გორისჯვრის ეკლესიასთან მდგარი სამრეკლო, რომლის ქვედა სართულზე სამლოცველოა მოწყობილი.

მომდევნო პერიოდისაა ლელიანის წმ. თევდორეს ეკლესიის სამრეკლო, რომელიც ტაძრის შეკეთების დროსაა ჩადგმული, მატნის ცხრაკარას მონასტერში მთავარი ბაზილიკის ჩრდ. ნავზე დაშენებული ფანჩატური და სხვ.

კახელ ხუროთმოძღვართა მხატვრულ-შემოქმედებითი დონის კარგი მაჩვენებელია საერო და სამონასტრო ნაგებობებიც. ადრეული პერიოდის საერო ხუროთმოძღვრება ძირითადად სასახლეების სახითაა წარმოდგენილი (კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ველისციხე, ნეკრესი, ჭერემი, თიანეთი). სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ისინი არსებითად ერთი და იმავე ტიპის ნაგებობებია – მცირედი სახესხვაობით. თითოეული მათგანი მკაფიოდ არის დანაწევრებული ფუნქციური მოთხოვნილებების შესაბამისად. ყველა შენობა ორსართულიანია. ქვედა სართულში თავმოყრილია დამხმარე, სამომსახურო სათავსები, ზედა სართულში კი – ფეოდალის სამყოფელი და საზეიმო დარბაზი. ზედა სართული მნიშვნელოვნად მაღალია ქვედაზე. გრძივი ფასადის მხარეს იგი დანაწევრებულია თანაბრად განლაგებული განიერი, მაღალი, თაღოვანი ღიობებით. ფრონტონით დასრულებული განივი ფასადების მხარეს ორ-ორი თაღოვანი ღიობია. საეკლესიო ნაგებობებისგან განსხვავებით, აქ გადახურვა ბრტყელია, ხის კოჭებზე. ნაგებობები ქვითაა ნაშენი. ვაჩნაძიანსა და თიანეთ-



ჭიკაანი. კვირაცხოვლის ეკლესია. XVI ს.



მატანი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. XVI ს.

ში გამოყენებულია აგური – დიფერენცირებულად. აგური ყოველთვის დიდი ზომისაა. აგურითაა ნაწყობი თაღები და კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო დეტალები. სასახლეებთან არქიტექტურული გადაწყვეტით ახლოს დგას იყალთოს მონასტრის აკადემიის სატრაპეზოს ნაგებობები. ინტერიერისა და ფასადის თავისებური გაფორმებითაა გამორჩეული სოფ. კალაურის მახლობლად მდებარე ნათლისმცემლის მონასტრის სატრაპეზო, რომელიც წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, IX საუკუნით უნდა დათარიღდეს.

XVI ს-ის საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ძეგლთაგანია ლევან კახთა მეფის მიერ აგებული სასახლე, ე. წ. ცხრაკარა სოფ. ალვანთან. XVI ს-ის II ნახევარს განეკუთვნება ამ სასახლიდან შორიახლოს მდგარი მეორე სასახლე. განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამჟამად დიდად სახეშეცვლილი არჩილ მეფის სასახლე თელავში (1667-1675 წწ; გადაკეთებულია XVIII და XIX სს-ში), რომელიც ე. წ. ბატონის ციხის კომპლექსშია ჩართული. საერო არქიტექტურის საინტერესო ნიმუშია მიტროპოლიტ საბა ტუსისშვილის სახლი ნინოწმინდაში (XVIII სის 70-იანი წლები). აღსანიშნავია კახეთის საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი ჯგუფი, რომლებშიც სამეურნეო საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქციებია შერწყმული (რუისპირის ადამაანთ ციხე, ახმეტის ჯანდიერაანთ ციხე და ზემო ხოდაშნის ბერაანთ ციხე).

კახეთის ხუროთმოძღვრებაში, საეკლესიო ნაგებობათა გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სათავდაცვო, ანუ სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს. უჯარმის,თელავის,კვეტერის, ბოჭორმის, ვეჯინის, ხორნაბუჯის, მანავის, პანკისის და თორდვას ციხე (მაწიმისწყლის სათავეებში) კახეთის უძველესი ციხეებია. ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებშია აგებული და ქვეყნის თავდაცვის ერთიან სისტემას ქმნიდნენ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უჯარმის, კვეტერის, ბოჭორმის და ვეჯინის ციხესიმაგრეებს. კახეთში ყველაზე ძლიერ და გაშლილ პუნქტებად ეს ციხეებია მოხსენიებული. ციხესიმაგრეებთან ერ-



მელაანი. ღვთისმშობლის ეკლესია. XVIII ს-ის მიწურული



დავითგარეჯა. ლავრის მონასტერი. VI-XVIII სს.



იყალთოს მონასტერი. აკადემიის შენობა. XII-XIII სს-ის მიჯნა

საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. ციხე-გალავნის დანიშნულებას ასრულებდა ცალკეულ ტაძართა ზღუდეებიც, რომლებიც თავიანთი ფართობით დიდად აჭარბებდა ციხესიმაგრეებსა და ციხედარბაზებს.

ყველა სახის სათავდაცვო ნაგებობაში ძირითადი ელემენტი არის კოშკი. XVIII ს-ის ნახევრიდან, ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების შემდეგ, უპირატესობა ენიჭება მრგვალ კოშკებს. სწორკუთხა კოშკი იშვიათია.

XIX ს-ის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, კახეთის ხუროთმოძღვრების განვითარება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. აღარ შენდება ციხესიმაგრეები და სხვადასხვა სახის სათავდაცვო ნაგებობები. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში მიზანდასახულად ინერგება რუსულ-ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმები და ელემენტები (მაგ. ვახისუბ-

თად, შენდებოდა ციხედარბაზები, გალავნები და კოშკები, მეფეთა და ფეოდალთა სასახლეები, ქალაქისა და სოფლის საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულ ნაგებობათა ქრონოლოგია დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს – დაწყებული ადრინდელი შუა საუკუნეებიდან XIX ს-მდე – და ყოველი მათგანი ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს.

კახეთის ციხესიმაგრეები წმინდა სამხედროსათავდაცვო შენობებია, სადაც, გარდა გარნიზონის სადგომებისა, სხვა რაიმე მუდმივი საცხოვრებელი არ არის.

XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან აგებდნენ ციხე-გალავნებს, რომლებიც განკუთვნილი იყო (განსაკუთრებით ლეკიანობის დროს) ერთი ან რამდენიმე სოფლის მოსახლეობის შესახიზნად. ასეთი გალავნები შენდებოდა ვაკე ადგილას,ჩვეულებრივ მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ დიდ სოფლებში. გალავანი აღჭურვილი იყო ფართო ჭიშკრებით – ხალხისა და საქონლის სწრაფად შესახიზნად. გალავანს არავითარი შიდა სათავდაცვო ნაგებობა არ გააჩნია. იგი შედგება საკუთრივ კედლებისა და მათ ხაზში ჩართული კოშკებისაგან, რომელთაგან ზოგი



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი. ხარების ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ის მიწურული



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი, სატრაპეზო. X-XI სს-ის მიჯნა

ნის ნათლისმცემლის ეკლესია); ხდება ეკლესიათა საფუძვლიანი შეკეთება-გადაკეთება. არის შემთხვევები, როცა რუსეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისთვის და ჯარის ნაწილებისათვის შენდება ახალი ეკლესიები (დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, გომბორი). მიუხედავად ამისა, ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციები არ ჩამკვდარა. ეკლესიების მშენებლობას გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა, ძირითადი ყურადღება გადატანილია საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაზე. მათ ნაწილზე ნათლადაა ასახული შემოსული ხუროთმოძღვრული ფორმების ადგილობრივ ფორმებთან ტრანსფორმაციის შედეგი (ჭავჭავაძეების სასახლე ყვარელში, დიმიტრი აფხაზის სასახლე კარდანახში, ჭავჭავაძეების სასახლე წინანდალში, დავით სარაჯიშვილის სახლი ბაკურციხეში, ლევან ჯანდიერის სახლი ვაჩნაძიანში და სხვ.), რაც სავსებით ეთანხმება კახეთის ხუროთმოძღვრების ზოგად მიმართულებას XIX ს-ში.

კახეთში არაერთი ეკლესია იყო მოხატული. შემორჩენილი ნიმუშები ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ვრცელ პერიოდს მოიცავს. ადრინდელ ძეგლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გვხვდება კედლის ქვის წყობის იმიტაცია გრაფიკული ნახატით (ერწოს სიონი, ჟალეთის ბაზილიკა, ყვარლის სამების ეკლესია). XI ს-ის მოხატულობის მცირე ნაწილია შემორჩენილი ალავერდის ტაძრის აფსიდში – ეკლესიის მამების მონუმენტური ფიგურები და გრანდიოზული ორნამენტის ფრაგმენტები. ტაძარში ასევე შემორჩენილია: XV, XVI და XVIII სს-ის მხატვრობის ნაშთებიც. XI ს-ში მოიხატა ძველი შუამთის მონასტრის დიდი გუმბათოვანი ეკლესია. XI ს-ის I ნახევარში დაიწყო ოზაანის ამაღლების ტაძრის მოხატვა, რომელიც დასრულდა XIII ს-ში. XII ს-ის დასწყისს განეკუთვნება ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ისაა არგოხის ყველაწმინდის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც მეტად დახელოვნებული ოსტატის მიერაა შესრულებული. ამავე დროით თარიღდება ასევე სანაგირის ბაზილიკისა და რუისპირის წმ. შიოს ეკლესიის მოხატულობები.

კახეთის მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გარეჯის ფერწერულ სკოლას, რომელმაც თავისი არსებობის ხუთი საუკუნის განმავლობაში



ნეკრესის მონასტერი. ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები. „ღვთისმშობლის მიძინება“

ასახა მონუმენტური მხატვრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. გარეჯის ფერწერული სკოლიდან უძველესია დოდორქის მონასტრის წმინდა ნეკრესის მონასტრის ბაზილიკა და სხვ.). ამ ძეგლთა შორის შესრულების დონით და მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებითაა გამორჩეული გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა. დაზიანების მიუხედავად, გარკვევით ჩანს, რომ მხატვრობა საგანგებო მნიშვნელობის სამეფო შეკვეთაა.

XVI ს-ში კახეთში არაერთი ეკლესია მოიხატა (გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი, მატნის ცხრაკარა, ვეჯინის ამაღლების ეკლესია, ახალი შუამთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესია, იგი თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის უახლოესი სტილისტიკური პარალელები ათონის მთის მოხატულობათა შორის მოიპოვება. ცნობილია, რომ XVII საუკუნეში გრემის ფერწერის განახლებაზე მუშაობდნენ მოსკოვიდან მოწვეული ოსტატებიც.

სამეფო დაკვეთების გარდა, კახეთში შემორჩენილია ე. წ. „ხალხური“ მხატვრობის მრავალი საინტერესო ნიმუში, რომლებიც XVI საუკუნეს განეკუთვნება და ამ მხატვრობით მეტწილად ადრინდელი ეკლესიებია შემკული (კალაურის წმ. გიორგის ეკლესია – 2009 წ. მხატვრობის კონსერვაციისას, აფსიდის ჩრდ. ნაწილში, ჭვარტლისა და სანთლის მოხსნის შემდგომ, გამოჩნდა წმინდა ნინოს გამოსახულება შესაბამისი ასომთავრული წარწერით, ზეგაანის მონასტრის წმ. მარინეს ეკლესია, ერელაანთ საყდარი მატანთან, ფიჩხოვნის ნათლისმცემლის ეკლესია და სხვ.).

1823 წლით დათარიღებული მეტად საინტერესო კედლის მხატვრობა ამკობს ბოდბის მონასტრის ბაზილიკას, მისი დამკვეთია დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილი ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი.



ვეჯინის ციხე. ამაღლების ეკლესიის მოხატულობა. XVI ს. „ლაზარეს აღდგინება“

და დოდოს სამარხი-ეკლესიის მოხატულობა (IX ს.). გარეჯის მრავალმთის მონასტრების კედლის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა გამოსახულებების სიმრავლე, მ. შ. საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა – ბერთუბნის ეკლესია, მეფე დემეტრე II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია). გარეჯის სამხატვრო სკოლის ერთ-ერთი თავისებურებაა ეროვნული წმინდანის წმინდა დავითის ცხოვრების ამსახველი ციკლის შექმნა. უდაბნოს მონასტერში ორი ასეთი ციკლია, რომლებიც წმინდა დავითის სასწაულთანაა დაკავშირებული. ერთი მათგანი ორმოცი წამებულის ეკლესიაშია, მეორე – მონასტრის მთავარ ეკლესიაში. ცალკე უნდა გამოვყოთ ბერთუბნის მონასტრის საკრებულო ტაძრის მოხატულობა (XII-XIII სს.) ღვთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ციკლით.



კალაური. წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის II ნახევარი

შუა საუკუნეების კახეთის არქიტექტურამ შემოგვინახა უამრავი ძეგლი, რომელთაც ნამდვილი მხატვრული ღირებულება აქვს და ცხოველმყოფელი შემოქმედების კვალს ატარებს.

კახეთის სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის ძეგლები, ისევე როგორც სრულიად საქართველოსი, ხასიათდება პროპორციების გარკვეული სიმკვეთრით, ნაწილთა ჰარმონიული შეთანხმებით და მასშტაბით. ისინი არ გადიან განსაზღვრული, „ადამიანური“ ზომების საზღვრებიდან. შიდა სივრცე გამოირჩევა რბილი, დენადი, ბუნებრივი გადასვლებით ერთი შემადგენელი ნაწილიდან მეორეზე. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს სინათლის წყაროების განაწილების სისტემა. სინათლის მთავარი წყარო თავმოყრილია გუმბათში,მას ემატება სარკმლებიდან და შესასვლელებიდან შემოსული შუქი,რომელიც რბილი გადასვლებით იატაკამდე აღწევს.

თავისი განვითარების გრძელ გზაზე კახეთის არქიტექტურა ქმნის შიდა სივრცეს,რომელშიც სრული სიცხადითაა გადმოცემული თავისუფლების, სიმაღლისა და სიდიადის შეგრძნება.


აუცილებელია აღინიშნოს კახეთის ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც მთელი ქართული ხუროთმოძღვრებისთვის საერთოა, ესაა არქიტექტურული ნაწარმოების ჩართვა გარემოში. კახეთის ხუროთმოძღვართა მიერ იქმნებოდა არა მხოლოდ განცალკევებული ნაგებობა, არამედ ერთი მთლიანი არქიტექტურული ანსამბლი,რომელიც წარმოადგენდა გარემოს განუყოფელ,ორგანულ ნაწილს. ამის თვალნათელი მაგალითია თუნდაც გრემის მთავარანგელოზთა კომპლექსის დაუვიწყარი სილუეტი კავკასიონის ქედის დიდებულ ფონზე.

თამაზ დვალი, კახაბერ კახაძე, კიაზო ფიცხელაური.



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი. XVI ს.

თელავის მუნიციპალიტეტი



● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი



კისისხევი. ყველაწმინდის ეკლ. (245). ხედი აღმ-იდან



თ ე ლ ა ვ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. 1917 წლამდე ახლანდელი თელავის მუნიციპალიტეტი შედიოდა ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, 1921 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით – თელავის მაზრაში, 1929 წლის დაყოფით – კახეთის ოლქის თელავის მაზრაში. 1930 წლიდან ცალკე რაიონად გამოიყო დღევანდელ საზღვრებში. თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), აღმოსავლეთით – ყვარლის, სამხრეთ-აღმოსავლეთით – გურჯაანის, სამხრეთ-დასავლეთით – საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. ფართობი 1095 *კვ კმ*-ია. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქ. თელავი. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, 16 თემის საკრებულო (აკურის, გულგულის, ვარდისუბნის, თეთრი წყლების, იყალთოს, კისისხევის, კონდოლის, კურდღელაურის, ნაფარეულის, რუისპირის, სანიორის, ფშაველის, ქვემო ხოდაშნის, ყარაჯალის, შალაურის, წინანდლის) და 29 სოფელი.

თელავის მუნიციპალიტეტი საქართველოს მნიშვნელოვან ცენტრებს და მეზობელ მუნიციპალიტეტებს უკავშირდება რკინიგზით და საავტომობილო მაგისტრალებით (თელავ-გომბორ-თბილისისა და თელავ-გურჯაან-საგარეჯო-თბილისი). ცალკეულ შემთხვევაში – საჰაერო მიმოსვლით. მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებს შორის ადგილობრივი, სამიმოსვლო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 286 *კმ*-ს.

თელავის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი უჭირავს კახეთის კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კალთებს საჯიხვე-გირგალისა (აღმოსავლეთით) და ნაქერალის (დასავლეთით) შტოქედებს შორის. იგი აგებულია იურული და ცარცული ასაკის თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, თიხებით, მერგელებით, მერგელოვანი ფიქლებითა და კირქვებით. ფრაგმენტებადაა გავრცელებული იურული დიაბაზები და პორფირიტები მდ. სტორის ზემო დინების ხეობაში; პალეოზოური ასაკის კრისტალური ფიქლები და მარმარილო – მდ. ლოპოტის ზემო დინების ხეობაში. რელიეფი ძლიერ დახრილი და ღრმად არის დანაწევრებული V-სებრი, ციცაბოფერდობიანი ხეობებით. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის შტოქედებია: საჯიხვე-გირგალი (მთა საჯიხვისთავი – 2870 *მ*), ანდარაზანი (მთა დიდი ანდარაზანი – 3039 *მ*), ნაქერალი (მთა დიდგვერდი – 3293 *მ*). წყალგამყოფთა თხემები დაკბილულია, ზოგან გაშიშვლებული. კავკასიონის თხემურ ზოლში და შტოქედების მაღალ ნაწილში შეინიშნება მეოთხეული გამყინვარების კვალი პატარა, ტროგული ხეობების, ცირკებისა და კარების სახით.

თელავის მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უჭირავს ახალგაზრდა, ნაოჭა-სტრუქტურიანი გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთას მდინარეების – შავკოდასხევისა და თურდოს წყალგამყოფიდან მდინარეების შრომისხევისა და მღვრიეხევის წყალგამყოფამდე. იგი აგებულია ძირითადად სარმატულ-კიმერიული ნგრეული მოლასური, ე. წ. ცივი წყლების კონგლომერატებით, ფხვიერი ქვიშაქვებითა და თიხებით. თხემურ ზოლში ცივის წყება გადარეცხილია და გაშიშვლებულია ზედა და ქვედაცარცული კირქვები და ვულკანოგენური წყება – ტუფ-ბრექჩიები, ტუფ-ქვიშაქვები, პორფირიტები. თხემი მოსწორებულია. დელუვიური რიყნარით ამოვსებული, ყუთისებრი ხეობებითა (მდ-ების

თურდოს, კისისხევის, ვანთისხევის, ვაჩნაძიანისხევისა და სხვ.) და მშრალი ხევების ხშირი ქსლით ღრმად დანაწევრებული გომბორის ქედის კალთა დამრეცად ეშვება ალაზნის ვაკისაკენ. აქა-იქ განვითარებულია ბედლენდები (მდ-ების კისისხევისა და თურდოს სათავეებში). ყველაზე მაღალია გომბორისა (1839,5 მ) და მანავის ცივის (1681,6 მ) მთებს შორის მდებარე მონაკვეთი (მთა ცივი – 1991 მ; მთა კაცებისღვედი – 1903,3 მ; მთა დოსტებე – 1522,8 მ). მდინარეთა ხეობებში ხშირია მეწყერი.

თელავის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილი უჭირავს მდ. ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს (350-600 მ), რომელიც ტექტონიკურად მტკვრის დეპრესიას მიეკუთვნება და წარმოადგენს ინტენს, დაძირვის ზონას. იგი აგებულია მეოთხეული ალუვიური, პროლუვიური და პროლუვიურ-დელუვიური კენჭნარით, ქვიშაქვებითა და თიხებით. ვაკე მდ. ალაზნით ორ ნაწილადაა გაყოფილი და უმნიშვნელოდ არის დახრილი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ჩრდილო-აღმოსავლეთით მას აკრავს კახეთის კავკასიონის, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით გომბორის ქედის მთისწინეთი. ხევ-ხევობებით დანაწევრებული მთისწინეთის ზოლში ფართოდ არის განვითარებული გამოზიდვის კონუსები და შლეიფები.

მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავის ოლქში მდებარეობს და კლიმატის სიმაღლებრივი ზონალურობით ხასიათდება. ალაზნის ვაკეზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. გომბორის ქედზე ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავაა, იცის გრილი ზაფხული. საშუალო და მაღალმთიან ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, გრილი ზაფხული. კახეთის კავკასიონის დაბალმთიან ზონაში (1100-1200 მ-მდე) ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავაა, არაცხელი ზაფხული. 1900-2000 მ-მდე ჰავა ზომიერად ნოტიოა. იცის ხანგრძლივი, გრილი ზაფხული. სუბალპურ ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, მაგრამ იცის ცივი ზამთარი და მოკლე ზაფხული. 2500-2600 მ-ზე მაღალ ადგილებში მაღალმთის, უზაფხულო ჰავაა.

მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეებია ალაზანი და მისი მარცხ. შენაკადები (სტორი და ლოპოტა). მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადები უმთავრესად პერიოდული მდინარეებია (თურდო, კისისხევი, ვანთისხევი, აკურისხევი და სხვ.), რომლებიც მხოლოდ ატმოსფერული ნალექებისა და თოვლის დნობის დროს ივსება წყლით. მდინარეების ნაწილი ალაზნამდე ვერ აღწევს – გზაში იკარგება ჩაჟონვის, აორთქლებისა და სარწყავად ხარჯვის შედეგად. ხშირია წყალმოვარდნა. ზოგი მდინარე სელური ხასიათისაა.

მდ. ალაზნის მარჯვენა მხარის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ალუვიური, ძლიერ კარბონატული, თიხნარი ნიადაგი, მარცხენა მხარეზე – მდელო-ტყის ალუვიური, უკარბონატო, თიხნარი ნიადაგი. იგივე ტიპი ფრაგმენტულად ვრცელდება მთისწინეთის, დაბალ და საშუალმთიანეთის მთავარ მდინარეთა სანაპიროებზე. მთისწინეთის ზონაში, კონგლომერატებისა და ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზე განვითარებულია ყავისფერი ნიადაგი. კახეთის კავკასიონისა და გომბორის ქედების კალთების ქვემო ნაწილში, შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ, თიხა-ფიქლებისა და ქვიშაქვების გამოფიტვის ქერქზე, ჩამოყალიბებულია ტყის ყომრალი ნიადაგი; გომბორის ქედის კირქვისა და კირქვიან კონგლომერატებზე კი მცირე სისქის ხირხატიანი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი; ტყის ზონის ზემოთ, სუბალპურ ბალახეულობის ქვეშ, ჯერ მთის მდელოს კორდიანი, ალაგ-ალაგ, კორდიან-ტორფიანი ნიადაგი, შემდეგ – მთის მდელოს პრიმიტიული ნიადაგი.

ალაზნის ვაკისა და მთისწინეთის ბუნებრივი, მცენარეული საფარი განადგურებულია და თითქმის მთელი ტერიტორია კულტურულ landშაფტებს უჭირავს. დაუმუშავებელ მიწებზე არის სტეპის სუროიან-ვაციწვერიანი და ჯაგეკლიანი სტეპის, ტყესტეპის (ჯაგრცხილა, კუნელი, ასკილი, ძეძვი, შავჯაგა და სხვ.) და მეორადი ტყის (მუხნარ-ჯაგრცხილნარი) მცენარეულობა. ვაკეზე შემორჩენილია ლეშამბოიანი ტყის ნაშთებიც – მუხა, რცხილა და ხშირი ლეშამბო. მდ. ალაზნის სანაპიროზე გავრცელებული ჭალის ტყეებში იზრდება ვერხვი, ტირიფი, ჭალის მუხა, მურყანი და სხვ.

გომბორის ქედის დაბალმთიან და, ნაწილობრივ, საშუალმთიან ზოლში მუხნარი, რცხილნარ-მუხნარი და ზოგან წიფლნარია. ტყის ზედა ზონაში გაბატონებულია წიფლნარი, რომელშიც შერეულია რცხილა და არყის ხე. ანთროპოგენული ფაქტორის გავლენით, ტყის ზედა საზღვარი აქ დაქვეითებულია და ნატყევარ ადგილებში მეორადი სუბალპური მდელოებია განვითარებული. პირველადი სუბალპური მდელოები ცალკეულ კუნძულებადაა ცივის, მანავის ცივის, ცივ-გომბორისა და სხვ. მთათა მიდამოებში.

კახეთის კავკასიონის კალთაზე ზ.დ. 800-1000 მ-მდე გაბატონებულია რცხილნარ-მუხნარი, რომელშიც შერეულია წიფელი, ზოგან ცაცხვი და წაბლი. 800-1000 მ-იდან 2000-2300 მ-მდე წიფლის ტყეებია, რომელშიც შერეულია მუხა, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი. 2500-2600 მ-მდე სუბალპური ტყე-ბუჩქნარი (ტანბრეცილა არყი, ცირცელი, ბოკვი, დეკა) და მდელოებია. 3200-3400 მ-მდე ვრცელდება ალპური ბალახეულობა მკვრივ კორდიანთა ფორმაციებითა და ალპური ხალების, დაბალბალახოვანი ასოციაციებით.

ცხოველებიდან მუნიციპალიტეტში გვხვდება მურა დათვი, შველი, არჩვი, მგელი, მელა, ტურა, გარეული ღორი, კურდღელი, დედოფალა, ბუჩქნარის მემინდვრია, ჩვეულებრივი თაგვი, რუხი ვირთაგვა, ტყის ძილგუდა, რუხი და ოქროსფერი ზაზუნა. მრავლადაა ფრინველი, მდინარეებში – ხრამული, მურწა, კარჩხალი, წვერა, ლოქო, კობრი, გოჭალა, ჭანარი, ჭერეხი და სხვ.

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ერთიანდება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკების, ვაკეთა და ბორცვიანი მთისწინეთის, ზომიერად ნოტიო ჰავიანი მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტების ტიპებში, სადაც გამოიყოფა ლანდშაფტის სახეები: 1. ჭალები, ძირითადად, ტყის მცენარეულობითა და ალუვიური ნიადაგებით; 2. ვაკე, მდელო-სტეპური მცენარეულობით (და დადაბლებათა ტყის ნაშთებით) ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებზე; 3. ვაკე გამოზიდვის კონუსებით, ტყე-ბუჩქნარით, მდელო-ტყის ალუვიური, პროლუვიური და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით. 4. გამოზიდვის კონუსებიანი მთისწინეთი ჯაგრცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; 5. მთისწინეთის სერები და კალთების ქვემო ნაწილები რცხილნარ-მუხნარითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით; 6. დაბალი მთები მუხნარითა და რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 7. ციცაბოფერდობიანი საშუალო მთები წიფლის, მუხისა და წაბლის ტყეებით. ტყის ყომრალი ნიადაგებით; 8. საშუალმთები რცხილნარ-მუხნარითა და ფიჭვნარით, ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებით; 9. სუბალპური ტყეები და მდელოები მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგებით; 10. ალპური მდელოები მთის მდელოს ნიადაგებით.

მიუხედავად იმისა, რომ თელავის მუნიციპალიტეტში დამუშავებისათვის ვარგის ფართობებს ტერიტორიის მეხუთედი უკავია, სასოფლო-სამეურნეო წარმოება კარგადაა განვითარებული, რადგან აქაური ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია ინტენსიური კულტურების გასავრცელებლად. დამუშავებული მიწის 3/5 მრავალწლოვან კულტურებზე (ვაზი, ხეხილი, ეთერზეთოვნები) მოდის. წამყვანი დარგია მევენახეობა. ვაზის გავრცელებული ჯიშებია რქაწითელი, კაბერნე, საფერავი და სხვ. განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, მარცვლეულის მეურნეობა (ხორბალი, სიმინდი, ქერი, მზესუმზირა), ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ეთეროვანი ზეთების, ხორცისა და რძის წარმოება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ირიგაცია. განვითარებულია სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა.

მრეწველობის წამყვანი დარგია – მეღვინეობა. XIX ს-იდან ფართო ბაზარზე გავიდა წინანდლის საუფლისწულო მამულის მეღვინეობის პროდუქცია. განვითარდა ევროპული წესით დაყენებული სუფრის სამარკო ღვინოების წარმოება („წინანდალი“, „თელიანი“, „ნაფარეული“). ღვინის ქარხნებია თელავსა და მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში. მოქმედებს თელავის ხორცკომბინატი, ყველ-კარაქისა და საკონსერვო ქარხნები, პურკომბინატი. მექანიკური და რკინა-ბეტონის ქარხნები, ფიქალ-მარმარილოს კომბინატი.



თელავი. ერეკლე II-ის ძეგლი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი, არქიტექტორი თ. კანდელაკი. 1971 წ.)

თელავი

001. თელავი, ქალაქი, მუნიციპალიტეტის ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა კახეთში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე. უშუალოდ გაშენებულია მთა ცივის ბორცვებზე. თბილისს უკავშირდება სარკინიგზო და ორი საავტომობილო გზით – გომბორის უღელტეხილზე (92 *კმ*) და ჩალაუბნის გადასასვლელით, გურჯაანზე გავლით (158 *კმ*). ქალაქის სხვადასხვა უბნების მდებარეობა ზ. დ. 550-800 *მ* სიმაღლის ფარგლებშია. ჰავა ზომიერად ნოტიოა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. 2002 წლის მონაცემებით მოსახლეობა შეადგენდა 21,8 ათას კაცს.

თელავი, ძირითადად, ხუთი ისტორიული უბნისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან მცირე ხევებითაა გამოყოფილი. ესენია: „ბატონის ციხე“, „ზუზუმბოს გორა“, „ფიქრის გორა“ – „ნადიკვრისგორა“ (პარკთან ერთად), „ღვთაების ბორცვი“ და „ძველი გალავანი“. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი განაპირა უბანი „აჩინებული“.


ქალაქის ტერიტორია დასერილია ღელეებით, რაც თავისებურებას სძენს საქართველოს ქალაქებს შორის ამ ერთ-ერთ უძველესს ქალაქს.

პირველი დასახლება თანამედროვე თელავის ტერიტორიაზე საკმაოდ ადრე გაჩენილა. ამაზე მიუთითებს ქალაქის ძველ, ისტორიულ უბნებსა და მის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნივთები.

თელავის არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობს 1962 წლიდან (ხელმძღვანელები: გ. ლომთათიძე, ც. ჩიკოიძე). გათხრილია თელავის ისტორიული უბნები: „ზუზუმბოს გორა“, „ძველი გალავანი“, „ღვთაების ბორცვი“, „ბატონის ციხე“. „ზუზუმბოს გორაზე“ აღმოჩნდა გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. საყურადღებოა რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, ბრინჯაოს რგოლები, რკინის სამაჯურები, თიხის ჭურჭელი და სხვ. მაწანწრის უბანში, გაითხარა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქვევრსამარხები, ხოლო „ძველ გალავანში“, გორისჯვრის ბორცვზე, აღმოჩნდა რამდენიმე არქიტექტურული კომპლექსი (მ. შ. XI საუკუნის კახეთის ქორეპისკოპოსთა სამეფო სახლის ნაშთი). „ძველ გალავანში“ გამოვლინდა ადრინდელი და განვითარებული შუა საუკუნეების ქალაქის ხელოსანთა უბანი, საცხოვრებელი ნაგებობები, მეთუნის სახელოსნო, ქურა და მრავალი არქეოლოგიური მასალა. კერამიკული ნაწარმი მოწმობს ადგილობრივი ხელოსნური წარმოების მაღალ დონეს და თავისებურებას. „ღვთაების ბორცვზე“, არქეოლოგიური დაზ-



001. ერეკლე II-ის მოედანი და „ბატონის ციხე“



001. ქალაქის ხედი. უკანა პლანზე „ბატონის ციხე“. დ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს-ის მიწურული

ვერვის შედეგად, აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარი, ქვის სამარხები და ყორჩიბაშიშვილების, გვიანდელი შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. „ბატონის ციხის“ გათხრების დროს გამოვლინდა ციხის მშენებლობის ორი ეტაპი. პირველი ეტაპი – XVII საუკუნის მეორე ნახევრისა, შეიძლება არჩილ მეორის მოღვაწეობას დაუკავშირდეს; მეორე – ძველ ნაგებობაზე დაშენებული გალავანი, XVIII საუკუნის II ნახევარს მიეკუთვნება და ერეკლე II-ის სახელთანაა დაკავშირებული.



001. თიხის ჭურჭელი, გვიანანტიკური ხანა

არქეოლოგიურად შესწავლილია თელავის შემოგარენის ნასოფლარები: ფოხორაულები (სოფ. კურდღელაურთან), არტოზანი (სოფ. რუისპირთან), მარკაანი (სოფ. შალაურთან), სადაც გამოვლინდა ადრინდელი, განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლები. იმდროისათვის ეს სოფლები ქალაქის მასაზრდოებელი აგრარული რაიონი ყოფილა.

ქართველ მეცნიერთა აზრით, სახელწოდება “თელავი“ მომდინარეობს სიტყვიდან “თელა“ და უკავშირდება ამ რეგიონში გავრცელებული ხე-მცენარის სახეობას. „ვი“ კი კახეთის ტერიტორიაზე ძველად მოსახლე ქართველი ტომების დიალექტში, მრავლობითი რიცხვის ნიშანს წარმოადგენდა.

თელავი პირველად მოხსენიებულია ძვ. ბერძენი გეოგრაფის კვავდიოს პტოლემეს (II ს.) „გეოგრაფიაში“ თელედას (თელედა) ფორმით. თელავზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები. უცხოელ გეოგრაფთა რუკებზე თელავი (თელება-თელადა) აღნიშნულია როგორც ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის სავაჭრო გზაზე ქარავანთა გასაჩერებელი დიდი სადგური. თელავის შესახებ ცნობები არაბ გეოგრაფთა თხზულებებშიცაა დაცული. თელავი, არაბულად თებლა, მოხსენიებულია X საუკუნის არაბი გეოგრაფის ალ-მუყადასის თხზულებაში, რომლის თანახმად, იგი აყვავებული ქალაქია, სადაც უმეტესად ქრისტიანები ცხოვრობენ. თელავში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალაც რამდენადმე ადასტურებს თელავის გზით დამყარებულ ფართო, ეკონომიკურ ურთიერთობას უცხო ქვეყნებთან (არაბული სამყარო, სასანური ირანი, ბიზანტია და სხვ.), რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, ამ გზაზე მდებარე ქალაქში ქალაქური ცხოვრების ჩასახვისა და განვითარებისათვის.

V-VI საუკუნეებში, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ადრინდელ საფეხურზე, თელავი უკვე ქალაქური ტიპის, ხალხმრავალი სამოსახლოა. მას უკავია გორაკი თელავის ხევსა და კაკლისხევს შორის. ამ პერიოდიდან შემორჩენილია ღვთაების (ამჟამად ღვთისმშობლის) ეკლესია, რომელიც დღესაც



001. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები. IX-X სს. ხელოსანთა უბანი

ქალაქის სილუეტის ერთ-ერთი არქიტექტურული დომინანტია.

IX-X საუკუნეებში, როდესაც ჰერეთმა და კახეთმა, საქართველოს სხვა სამთავროებთან შედარებით, დიდ სიძლიერეს მიაღწია და პოლიტიკური დამოუკიდებლობაც მოიპოვა, თელავი განსაკუთრებით განვითარდა.

შემდეგ ისტორიულ ვითარებაში კი, როდესაც კახეთ-ჰერეთის ძლიერი სამეფო წარმოიქმ-



001. მწვანედ მოჭიქული ხელადა. XI ს. ხელოსანთა უბანი

ნა, თელავი ამ პოლიტიკური გაერთიანების დედაქალაქი გახდა. გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ კვირიკე დიდმა (1010-1037 წწ.) „ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა“. ამ პერიოდში ქალაქი, ძირითადად, ზუზუმბოს გორის და მაწანწრის ხევის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე – „ყადორის ბორცვიდან“ თელავის ხევის მიდამოებამდე („ღვთაების ბორცვის“ ჩათვლით) ყოფილა გაშლილი. კვირიკესეული ციხე-დარბაზის ნაშთები, რომელსაც დღეს „ძველ გალავანს“ უწოდებენ, შემორჩენილია დაბახანების ხევსა და თელავის ხევს შორის მოქცეულ ბორცვზე. ციხე-დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, არქეოლოგების მიერ მიკვლეულ იქნა X-XI საუკუნეების სასახლის საძირკვლის ნაშთები.

XI საუკუნისათვის თელავი გაცდა ძველ ფარგლებს და შემოიერთა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და მოხერხებული ადგილები. იგი სამეფოს ცენტრია, სადაც ზის მეფე, განვითარებულია ვაჭრობა და ხელოსნობა. სწორედ თელავში მოჰგვარეს აღსართან I-ს (1058-1084 წწ.) შეპყრობილი, განძის ამირა ფადლონი. გალავნის გარეთ, არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოების დროს, გამოვლინდა ქალაქში მცხოვრებ ხელოსანთა მჭიდროდ დასახლებული უბნის ნაწილი, სადაც დადასტურდა ნატეხი და რიყის ქვით ნაგები საცხოვრებელი სახლები. ამასთან, სახელოსნოები და ქურები. აქ უწარმოებიათ თიხის, როგორც სადა ისე მოჭიქული ჭურჭელი და სამშენებლო კერამიკა. აქაურ კერამიკულ წარმოებაში მკვეთრად გამოირჩევა თიხის ჭურჭლის ისეთი ნიმუშები, რომელთაც არქეოლოგები ადგილობრივად – „თელავურად“ მიიჩნევენ.

ამგვარად, X-XI საუკუნეებში თელავს სტრატეგიულად მოხერხებული ორი ბორცვი უკავია. იგი ამდროისათვის გამოირჩევა საქალაქო ცხოვრების მაღალი დონით და ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენს.

დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ თელავმა დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა. ქალაქი განსაკუთრებით დაკნინდა მონღოლთა ლაშქრობების შედეგად. 1278 წელს იგი მონღოლთა მიერ დაწინაურებული მედროვის სადუნ მანკაბერდელის საკუთრება გახდა. XII-XVI საუკუნეებში თელავი პროვინციული ქალაქია. დროდადრო, იგი კვლავ შენდება. მაგალითად XV საუკუნეში ალავერდელი ეპისკოპოსი თავის დროებით რეზიდენციად სწორედ თელავს ირჩევს და აქ სასახლესაც იშენებს.


გვიანდელ ფეოდალურ ხანაში, როდესაც კახეთში ხელახლა დამყარდა დამოუკიდებელი მმართველობა, კახეთის მეფეთა სატახტო ქალაქი გრემი გახდა, მაგრამ შაჰ-აბასის 1616 წლის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად ეს ხალხმრავალი, ბრწყინვალე ქალაქი მიწასთან გასწორდა. გრემის დანგრევის შემდეგ, დიდხანს არ ჩანს თუ სად დაიდგა კახთ მეფეთა ტახტი. „ქართლის ცხოვრება“ ამაზე დუმს. მხოლოდ XVII ს-ის 60-იან წლებში, როგორც კი დროებით დამყარდა სიმშვიდე და სათავეში კვლავ ქართველი მოღვაწეები იკიდებენ ფეხს, კახეთის პოლიტიკური ცენტრი, მეფეთა რეზიდენცია, მხარის შუაგულს უახლოვდება და სატახტო ქალაქის პატივი ამჯერად თელავს უბრუნდება. XVII საუკუნის 60-იან წლებში, მეფე-პოეტის არჩილის მმართველობის ხანაში „შენდებოდა კახეთი, ვინადგან იყო მშვიდობა და უმტრობა“. სახელმწიფოს აღდგენა თელავსაც დაეტყო და მემატიანის ცნობით: „არჩილმა ჰყო სასახლე თელავს“. არჩილისეული მშენებლობა „ძველი



001. „ძველი გალავანი“. XI ს. სამხრ. კედელი. 1950-იანი წლების ფოტო

გალავნის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიშალა, ახალ ადგილას, რომელიც დღეს „ბატონის ციხის“ კომპლექსად არის ცნობილი. „ბატონის ციხის“ კომპლექსიდან ამ დროის მშენებლობას მიეკუთვნება: სასახლე (დღეს მას „ერეკლეს სასახლეს“ უწოდებენ), აბანო და ზღუდის აღმოსავლეთი ჭიშკარი.


მოსახლეობა თავად შეებრძოლა ჭარელი ლეკების მრავალრიცხოვან ჯარს. თელაველები ერთ კვირას იცავდნენ საკუთარ ქალაქს. „ბოლოს ეკვეთნენ ... და მოსრნეს ბანაკნი მათი, აოტეს და აღიღეს ალაფნი მათნი“. თელაველთა ამ გმირობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მხარის გათავისუფლებაში. სამოცამდე გალავანი და ბურჯნი მტერთათვის“. მნიშვნელოვანი მშენებლობა ჩატარდა ქ. თელავშიც, რომელიც თანდათან გაძლიერდა და მალე კახეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ქალაქად იქცა. მეფე ერეკლემ



001. ყორნიბაშიშვილების და „ბატონის“ ციხეები (ი. გიულდენშტედტის არქივიდან)


არჩილის შემდეგ, კახეთში, ყაენის მიერ დანიშნულმა მუსლიმანმა მოხელეებმა მმართველობის ცენტრი უფრო სამხრეთით გადაიტანეს და „ჭარის პირისპირ, ყარაღაჯის ბოლოს, აღაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი“. XVIII საუკუნის დასაწყისამდე თელავი მიტოვებული იყო. მხოლოდ დავით იმამყული-ხანმა კვლავ „ჰყო სასახლე თვისი თელავს“ და ამიერიდან თელავი საბოლოოდ გახდა კახეთის მეფეთა სამყოფელი. XIX საუკუნის დასაწყისამდე იგი პოლიტიკური ცხოვრებისა და სულიერი კულტურის ერთ-ერთი ცენტრია.

ოსმალთა და ყიზილბაშთა მოძალეობა, რომელსაც თან ერთვოდა ლეკების ყაჩაღური თავდასხმები, ქალაქს ძვირად უჯდებოდა. ხშირად თელაველებს საკუთარი ძალით უხდებოდათ მტრის მოგერიება. 1725 წელს, ერთი ასეთი თავდასხმის დროს, როდესაც მეფე კონსტანტინე II თავისი ამალით ფშავში გაიხიზნა, უპატრონოდ მიტოვებული ფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა და კახეთის სტრატეგიულად მტკიცე ბასტიონად გადაქცევა საშურ საქმედ იქცა. ამ ამოცანის შესრულებას და თელავის კვლავ აღორძინებას ერეკლე II-მ (1744-62 წწ. კახეთის, 1762-98 წწ. ქართლ-კახეთის მეფე) მოჰკიდა ხელი. ომან ხერხეულიძის მოწმობით „მეფობასა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ასრომელზედაც რობერტ ლაიელის ცნობით, 1822 წელს, დაახლოებით 12 ფუტის სიგრძის და დიდი ყალიბის ზარბაზანი იდგა (პლატონ იოსელიანის ცნობით,



001. ვახვახიშვილების ციხე (ი. გიულდენშტედტის არქივიდან)

ერეკლე მეფის დროინდელი ეს ზარბაზანი 1836 წელს გადაუდნიათ). წყაროების თანახმად, „ბატონის ციხის“ დასავლეთის კარიბჭის წინ იყო ბაზრის მოედანი, სამხრეთით კი, ვრცელ ნაკვეთზე, ორსართულიანი „სადროშო კოშკი“, რომელიც ამჟამად თელავის დრამატული თეატრის ინტერიერშია ჩართული.



001. ქ. თელავის 1802 წლის გეგმა. 1. „ბატონის ციხე“, 2. ყორჩიბაშიშვილების ციხე, 3. ვახვახიშვილების ციხე

ადგილზე – მოქალაქეთა სალხინო – ასპარეზი.

XVIII საუკუნეში, სამეფო რეზიდენციის მიდამოებში აშენდა ვახვახიშვილებისა და ყორჩიბაშიშვილების ციხე-დარბაზები. ქალაქის ადრეული გეგმებისა და არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე დადგინდა, რომ ყორჩიბაშიშვილების ციხეს (შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული სამი კოშკი და გალავნის ფრაგმენტები), რეზიდენციის დასავლეთით მდებარე „ღვთაების ბორცვი“ მთლიანად ჰქონდა მოკავებული. ციხის დასავლეთ კართან მიკვლეულია განვითარებული შუა საუკუნეების ნასახლარები და ქვის სამარხები.

ვახვახიშვილების ციხე „ბატონის ციხის“ აღმოსავლეთით, ხევგაღმა, მდებარეობდა. მის გალავანში ექვსი კოშკი იყო ჩართული. სამშენებლო წარწერის მიხედვით (ამჟამად დაკარგულია), რომელიც საქართველოში ყოფნისას (1771-72 წწ.) უნახავს გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურს იოჰან გიულდენშტედტს, ციხე 1743 წელს აუგია ბაზიერთუხუცესს ზაალ ვახვახიშვილს და მის ძმას ვახუშტის. ამავე ხანისაა „ბატონის ციხის“ სამხრეთ-დასავლეთით მდგარი, ორსართულიანი „სადროშო კოშკი“, რომელიც ამჟამად თელავის დრამატული თეატრის ინტერიერშია ჩართული.

ამ პერიოდის თელავის ციხეებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იოჰან გიულდენშტედტისვე ჩანახატები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახვახიშვილების და ყორჩიბაშიშვილების ციხესიმაგრეებმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე XX საუკუნის არქიტექტურული ექსპანსიის შედეგად. „ბატონის ციხე“ კი, თავისი მემორიალური და სამუზეუმო ფასეულობის გამო, შენარჩუნდა როგორც ერთიანი, არქიტექტურული ანსამბლი. თუმცა, 2012 წელს „თელავის რეაბილიტაციის პროექტის“ განხორციელების დროს, ამ ანსამბლმაც განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგები.

ერეკლე II-ის მეფობის ხანაში ქალაქში დაიწყო სამრეწველო საქმიანობის, ხელოსნობის და ვაჭრობის აღორძინება, გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები (იარაღის, მინის, შალის, შაქრის), განახლდა ზარაფხანა. გამოცოცხლდა თელავის ბაზარი. საბუთებიდან აშკარად ჩანს, რომ XVIII საუკუნის მიწურულში თელავის ბაზარი გარკვეულ როლს ასრულებდა ქალაქის ეკონომიკაში და მას საკუთარი მეურნეობაც ჰქონდა. საბაზრო მეურნეობაზე ზედამხედველობას სპეციალური მოხელე – ტარუღი (ბაზრის მოურავი) ახორციელებდა.

ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის გაზრდის მიზნით, ერეკლემ განჯელი სომხების 60 კომლი ჩაასახლა „ძველი გალავნის“ მიდამოებში, რომელიც იმ დროს თელავის გარეუბანი იყო.

ერეკლე II-ის მეფობაში თელავის აღორძინება მხოლოდ ეკონომიკით და თავდაცვითი სამშენებლო საქმიანობით არ განისაზღვრა. ეს ეპოქა დიდი

კულტურული მშენებლობის დასაწყისიც იყო. მეფის ირგვლივ შეიკრიბა განათლების და კულტურის მოღვაწეთა დასი, გახშირდა წიგნების ბეჭდვა.

1758 წელს თელავში დაარსდა საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც 1782 წელს, ანტონ კათალიკოსის ხელმძღვანელობით, სემინარიად გადაკეთდა (ამჟამად № 1 საჯარო სკოლა), სადაც საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზ და დავით რექტორები. აქ მრავალი ქართველი მეცნიერი, მდივანმწიგნობარი, კალიგრაფი და სხვა დარგის მოღვაწე აღიზარდა.


XVIII საუკუნეში თელავმა ფეოდალური ქალაქისათვის დამახასიათებელი, სრულიად დამთავრებული სახე მიიღო. ამ ხანებში ქალაქმშენებლობის ანსამბლის განმსაზღვრელია ოთხი დიდი სათავდაცვო ნაგებობა: „ძველი გალავანი“, ყორჩიბაშიშვილების, „ბატონისა“ და ვახვახიშვილების ციხესიმაგრეები, რომლებიც მტკიცე ზურგს უქმნიდნენ ციხის ფარგლებს გარეთ მდებარე, ვაჭარხელოსანთა დუქნებით სავსე საცხოვრებელ უბნებს. თელავის ამ პერიოდის არქიტექტურაში მკვეთრად შეიმჩნევა ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგობები – მაღალი და დაბალი სოციალური ფენების არქიტექტურისათვის დამახასიათებელი კონტრასტები.

1801 წლიდან, აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, თელავის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. იგი თბილისის გუბერნიის ერთ-ერთი სამაზრო ქალაქი გახდა. იმდროინდელ თელავში საკმაოდ მძიმე ვითარებაა: ქალაქს არ ჰქონდა ცენტრალიზებული წყალმომარაგება, ქუჩები და სავაჭრო მოედნები არ იყო მოკირწყლული, მხოლოდ დუქნების წინ მდებარე მცირე ტერიტორია ნათდებოდა ფარნებით, არ მოქმედებდა ქალაქის ბიუჯეტზე მყოფი არც ერთი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი დაწესებულება.

საიმპერიო მმართველობამ მოაწესრიგა ქალაქის ყოფითი საკითხები და არქიტექტურული საქმიანობა, რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო არქიტექტურული პროექტის მიხედვით მშენებლობის წარმოების ვალდებულება.

გაცხოველებული მშენებლობა დაიწყო ქალაქის „საქმიან“ ნაწილში, ბაზრის მიმდებარე უბანში. 1802-1819 წლებს შორის ხელოსანთა სავაჭროებით მჭიდროდ გაშენებული, ახალი ქუჩა შეიქმნა (შემდგომში „ზემო ბაზრად“ წოდებული). გაიზარდა ბინათმშენებლობაც. XIX საუკუნის 50-იანი წლების სტატისტიკური აღწერით თელავში უკვე 800-მდე სახლი (აქედან 567 ქვის) და 267 დუქანია. ბინათმშენებლობის აღმავლობამ გაზარდა მოთხოვნილება საშენ მასალაზე. 1851 წელს თელავში აგურის ათი და კრამიტის ოთხი ქარხანა მუშაობდა. საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოთხოვნილებას ჭურჭლის ექვსი ქარხანა და ორი დაბახანა ემსახურებოდა.

განაშენიანება უმთავრესად ციხე-ქალაქის კედლებს გარეთ გაიშალა და საუკუნის ნახევრისათვის ქალაქის ფართობი უკვე ძველ ფარგლებს გასცდა. მოსახლეობამ თანდათან ქალაქგარეთ, ტყის ტერიტორია დაიკავა. გაკაფული ტყის ადგილები ბაღ-ვენახებით და სახლებით დაიფარა. ქალაქის ახალი მმართველობა გაცხოველებულ ბინათმშენებლობას ერთგვარად აწესრიგებდა. დაიწყო ქალაქის ტოპოგრაფიული აგეგმვა, რათა მისი ზრდა წინასწარ დაგეგმილი პროექტის მიხედვით მომხდარიყო. 1843 წელს, თელავში ახლად ასაგები სახლებისთვის, სანიმუშო ფასადების ალბომები გამოიწერეს. მშენებლობა ნებადართული იყო მხოლოდ პროექტის დამტკიცების შემდეგ. თავად-აზნაურთა საცხოვრებლები კვალიფიციური მშენებელ-არქიტექტორების ზედამხედველობით შენდებოდა. მათი მხატვრული სახე მონუმენტურია, გეგმარება – უაღრესად მარტივი და ლაკონური: საცხოვრებელი ცალკეა, სამეურნეო დანიშნულების შენობები კი გარეთ, ეზოშია გატანილი.



001. ძველი ქალაქის ერთ-ერთი კუთხე. XX ს-ის დასაწყისის ფოტო

სხვაგვარია ვაჭარ-ხელოსანთა სახლები. მათ ადგილობრივი

ოსტატები აშენებდნენ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, დამტკიცებულ პროექტებს ცვლიდნენ და დამკვეთის პროფესიას



001. „ბატონის ციხე“. გალავნის სამხრ. კედლის ბურჯები

უფარდებდნენ. საცხოვრებელს უთავსებდნენ სახელოსნოს, დუქანს და ა. შ.

XIX საუკუნის I ნახევრის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში, XIX საუკუნის რუსეთში გავრცელებული, ოფიციალური ხუროთმოძღვრების, ე.წ. „რუსული კლასიციზმის“ მხოლოდ რამდენიმე დეტალია შეთვისებული და ისიც სრულიად თავისებურადაა გადამუშავებული.

XIX საუკუნის მესამე მეოთხედისათვის ახალმა მშენებლობამ თელავს სრულიად განსხვავებული სახე შეუქმნა და განსაზღვრა მისი მომავალი ქალაქმშენებლობითი სპეციფიკა. თუ XVIII საუკუნის ქალაქის ხუროთმოძღვრული დომინანტი ოთხ ბორცვზე აღმართული ციხე-ზღუდეებია, XIX საუკუნეში ქალაქის მხატვრულ-ხუროთმოძღვრული სახე ფეოდალური არისტოკრატიისა და ვაჭარ-ხელოსანთა საცხოვრებლებმა განსაზღვრა.

თელავში დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით გამორჩეული, საცხოვრებელი სახლები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი XIX საუკუნის I ნახევარს მიეკუთვნება.

თელავური საცხოვრებელი სახლები ერთ ან ორსართულიანია. მათი უმეტესობა გეგმით ანფილადურია, აივნით ან ტერასით მთელი ფასადის გაყოლებით. ი'შვიათია ორმაგი ანფილადი. შენობების დიდ ნაწილს შესასვლელი აივნიდან აქვს. კიბე ან აივნის ფარგლებშია მოწყობილი, ან აივანზე გარედანაა მიდგმული. თითქმის ყველა სახლის წინ ეზოა. ფართოდ იყო გავრცელებული აგურით ნაწყობი, შელესილი, მრგვალი კოლონების მწკრივი დაბალ ცოკოლზე. კოლონებზე ხის კოჭია გადებული, რომელზეც დაყრდნობილია კრამიტით დახურული სახურავის კალთა – ანტაბლემენტის გარეშე. საშენი მასალა ორგვარია: სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და ქართული, კვადრატული აგური. კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა. წყობაში, თანაბარი ინტერვალებით, აგურის ჰორიზონტალური შრეებია ჩართული. ისინი რუხ ფონზე ფერით გამოირჩევიან და სიმაღლეზე რიტმულად ყოფენ კედლის ვრცელ ზედაპირს. აგურია გამოყენებული კარ-სარკმლებისა და ფასადების კაზმულობისთვისაც. ფართოდ იყო გავრცელებული კედლის დაფერვის (უმეტესად ლაჟვარდისფრად) ტრადიცია. თელავში განაშენიანებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მცირე არქიტექტურული ფორმები – XVII-XIX საუკუნეების კარიბჭეები და წყაროები.

XIX საუკუნის დასაწყისში თელავში გაიხსნა სხვადასხვა დანიშნულების დაწესებულებები. მაგალითად, 30-იანი წლების ბოლოს ადგილობრივმა ვაჭარმა შავერდოვმა გახსნა ბამბის სარ-



001. ძველი ქალაქის ერთ-ერთი კუთხე. XX ს-ის I ნახევრის ფოტო

თავი ფაბრიკა. სართავი დაზგები გამოწერილი იყო მოსკოვიდან, იქიდანვე იყვნენ ჩამოყვანილნი ოსტატები. დაზგები მოძრაობაში ხარებს მოჰყავდათ. საწარმოს პროდუქცია მოსკოვში გაჰქონდათ. თელავში ერთ ხანს მოქმედებდა ანიევის ძაფსახვევი ფაბრიკაც; აგურის, კრამიტის, საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების ჭურჭლის დამამზარებელი ქარხნები.

1883 წლის იანვარში თელავში, ჭადრის ქუჩაზე, წყარო თეთრიანთან, საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილისა და მისი მეუღლის – ელისაბედ ჩოლოყაშვილის მესვეურობით დაარსდა გლეხ ქალთა სკოლა, რომელსაც როსტომაშვილივე ხელმძღვანელობდა. ცოლ-ქმარი ქართულ ენას, ლიტერატურას, რუსულ ენას, ხელსაქმესა და საკონდიტრო საქმეს ასწავლიდა ბავშვებს. ადგილობრივი თავადების ერთი ნაწილი, მოხელეები და ვაჭრები სასწავლებლის დახურვას მოითხოვდნენ. ი. როსტომაშვილმა მოახერხა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სკოლის გადაცემა, რომლის მეურვეობის ქვეშ მან 1887 წლამდე იარსება. ამ ხნის მანძილზე აქ ასზე მეტმა ღარიბმა გოგონამ მიიღო განათლება.

1895 წ. ილია ზარაფიშვილის ინიციატივით, ქალაქში გაიხსნა „ქალთა ამხანაგობა“, რომელიც ქალთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა. ამხანაგობა, თავდაპირველად, მცირერიცხოვანი იყო. მისი წევრები იყვნენ: ბ. სულხანიშვილი, დები ა. და თ. პატარაშვილები, ა. გურჯიძე, ა. კურდღელაშვილი, ე. ქართველიშვილი. მოგვიანებით წევრთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა. მათ უმრავლესობას გლეხის ქალები შეადგენდნენ. ამხანაგობამ შეიმუშავა წესდება, რომელიც 10 მუხლისაგან შედგებოდა. იგი ეწეოდა ქველმოქმედებასაც. შემდეგში, ქალთა ერთმა ნაწილმა შექმნა „კეთილშობილ ქალთა ამხანაგობაც“, რომლის ხელმძღვანელადაც იმხანად თელავში მცხოვრები მწერალი ვასილ ბარნოვი მიიწვიეს. „ქალთა ამხანაგობამ“ 1898 წლამდე იარსება.

1894-99 წლებში ქალაქს მიეწნა თვითმმართველობა, მაგრამ გამარტივებული სტრუქტურით. აქ ხმოსნების ნაცვლად ირჩევდნენ რწმუნებულებს, ხოლო ქალაქისთავის ნაცვლად – მამასახლისს. როგორც კი მხარეში ოდნავ დამყარდა სიმშვიდე, კვლავ დაიწყო განვითარება ვაჭრობამ. გაიზარდა მოთხოვნა შინამრეწველობის საგნებზე. მნიშვნელოვნად იმატა ღვინის საბაზრო წარმოებამაც. 1851 წლის აღწერის მონაცემებით, თელავის მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან (5,325 სული) მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი (89%) ვაჭარმრეწველთა და მოსამსახურეთა ფენას ეკუთვნოდა; ქალაქის ორი ძველი უბანი „ზემო“ და „ქვემო ბაზრები“ მთლიანად წვრილ ხელოსანთა და ვაჭართა ქოხმახებით იყო გაშენებული. მეთუნუქეები, მექუდეები, ხარაზები და სხვ. ღია დარაბებში ამზადებდნენ თავის ნაწარმს, იქვე ყიდდნენ და ხშირად, იქვე ცხოვრობდნენ. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი (დაახლ. 11%)



001. XIX ს-ის სახლი. XX ს-ის შუახანის ფოტო



001. XIX ს-ის II ნახევრის სახლი. XX ს-ის I ნახევრის ფოტო

კი თავადაზნაურობის, სასულიერო პირების და ყმა გლეხების სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ.

1899 წლის 20-25 ნოემბერს მეფე ერეკლე II-ის ყოფილ სასახლეში ფილოქსერის კავკასიის კომიტეტისა და მისი წევრის, გამოჩენილი ქართველი მევენახის ი. ანდრონიკაშვილის ინიციატივით ჩატარდა კახეთის მევენახეთა ყრილობა. შეკრების მიზანი იყო კახეთში ვაზის კულტურის მოვლა-პატრონობისა და ფილოქსერისგან მისი დაცვის საკითხის განხილვა. თელავის ყრილობაზე შემუშავდა ამერიკული ვაზის საძირეზე დამყნობით, კლასიკური, ქართული ჯიშის ვაზების გადარჩენის ფართო პროგრამა. ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ვაზის კულტურის, ვაზის ტრადიციული და უძველესი ქართული ჯიშების გადარჩენის საქმეში.



001. XIX ს-ის II ნახევრის სახლი. XX ს-ის I ნახევრის ფოტო

რუსეთის 1905-07 წლების რევოლუციის პერიოდში, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, თელავში და მის მაზრაში სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური მოთხოვნებით მოეწყო მუშათა, გლეხთა, ვაჭარ-ხელოსანთა და მოსწავლეთა არაერთი დემონსტრაცია. იგივე გრძელდებოდა თელავის ქუჩებში 1914-17 წლებშიც.

ამდროისათვის თელავში ხდებოდა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც. ქალაქს სტუმრობდნენ საზოგადო მოღვაწეები და მწერლები. მათ შორის აკაკი წერეთელი, რის აღსანიშნავადაც, დღესაც არსებულ უხუცესს, 950 წლის ჭადარზე (სიმ. – 40 *მ*, გარშემოწერილობა – 11,4 *მ*) გაკრულია მემორიალური დაფა წარწერით: „აქ თელავში მოგზაურობის დროს, 1911 წ. აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა“.

1915 წლის 23 თებერვალს თელავში პირველად შემოვიდა მატარებელი, რომლითაც, თავდაპირველად, გადაჰქონდათ ღვინო, თამბაქო, თივა, ხე-ტყე და სხვ.

1918 წლის 12 თებერვალს, მენშევიკებმა თელავში მოაწყვეს ამიერკავკასიის სეიმის მხარდამჭერი მიტინგი, რომელიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. მე-8 პოლკის ბოლშევიკურად განწყობილმა ჯარისკაცებმა ეს მიტინგი დაარბიეს. შეტაკება მოხდა მილიციასა და აჯანყებულ ჯარისკაცებს შორის. ინიციატივა ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ. ხელისუფლება იძულებული გახდა თბილისიდან გვარდია და ჯავშნიანი მატარებელი გაეგზავნა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 23 თებერვალს. ბოლშევიკები დამარცხდნენ. საბჭოთა რუსეთის ხელშეწყობით ისინი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას მაინც აგრძელებდნენ.

1919 წლის სექტემბერში ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა თელავში მოიწვიეს არალეგალური სამაზრო კონფერენცია, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა უნდა მოემზადე-



001. აკაკი წერეთლის სტუმრობა თელავში 1911 წლის 21 ივლისს

ბინა. სახელმწიფოს შესაბამისმა სამსახურებმა ხელთ იგდეს აჯანყების გეგმა და თელავის მეამბოხე ბოლშევიკთა სია. მათ დააპატიმრეს თელავის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა და ჩაშალეს ეს ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლა.

1921 წლის თებერვალში, მე-11 წითელი არმიის ნაწილების დახმარებით, თელავში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

XX საუკუნეში ქალაქმა ძირეულად იცვალა სახე. 1947 წელს შედგა თელავის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტი (არქიტ. ა. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი ზ. მინდორაშვილი). ქალაქის არქიტექტურულ ცენტრად დარჩა ბატონის ციხე. მის ირგვლივ მოეწყო მოედნები. ძველი, ერთსართულიანი სახლები და „ქოხმახები“ კეთილმოწყობილი შენობებით შეიცვალა. აშენდა მრავალსართულიანი სახლები, სახელმწიფო დაწესებულებები, ადმინისტრაციული შენობები, თეატრი, სასტუმროები. ამ პროცესს შეეწირა თელავის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ფოტომასალაზე შემოგვრჩა. 1950 წელს ამოქმედდა თელავის აეროპორტი (მდებარეობს თელავი-ყვარლის გზაზე), რომელიც თავდაპირველად შედგებოდა ფიცრული ქოხისა და მინდვრისაგან. მოგვიანებით აიგო მოსაცდელი დარბაზი, სადისპეტჩერო, მოძრაობის მომწესრიგებელი კოშკი, საწყობები. სხვადასხვა დროს აქ დაფრინავდა „პო-2“-ის ტიპის ორადგილიანი თვითმფრინავი (საფოსტო), „ან-2“, „ლი-2“ და „იაკ-12“; შემდეგ – „ილ-14“, რომელიც შეცვალა „მი“ ტიპის თვითმფრინავებმა. თელავიდან, რესპუბლიკის ფარგლებში, დაფრინავდა „იაკ-40“ ტიპის თვითმფრინავი. შვეულმფრენები ემსახურებოდა მთა-თუშეთის მაღალმთიან სოფლებს. აეროპორტი ამჟამადაც ფუნქციონირებს. იგი გამოიყენება როგორც მცირე გაბარიტების თვითმფრინავებისათვის, ისე შვეულმფრენებისთვისაც.



001. ნადიკვრის ქუჩა



001. ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა

ქალაქში სხვადასხვა დროს ამუშავდა: მეაბრეშუმეობის საჯიშე სასელექციო სადგური (1958 წ.), აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრანეჟო (1926 წ.) და წინდების საქსოვი (1965 წ.) ფაბრიკები, თელავის ლოპოტის საკარიერო მაღაროთა სამმართველო (1931 წ., კურირებდა მარმარილოს წარმოებას), მექანიკური (1971 წ.), რკინა-ბეტონის (1970 წ.), საკონსერვო (1968 წ.), ღვინის № 2 (1977 წ.) ქარხნები, სატყეო მეურნეობა (1921 წ.), ფიქალ-მარმარილოს კომბინატი (1959 წ.). ბოლო წლებში – „თელიანი ველის“, „ჯივისის“, „მილდიანის“ ღვინის ქარხნები, თელავის ღვინის მარანი (1965 წ.), რომელსაც, თავდაპირველად, სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ახლა კი მისი ფუნქცია ღვინის დაძველებაა.

თელავში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი დანიშნულების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები: ვაჟა-ფშაველას სახელობის ქართული დრამატული, სახელმწიფო და ნადიკვრის საზაფხულო თეატრები,



001. ერეკლე II-ის ქუჩა



001. ქალაქის ერთ-ერთი კუთხე

გ. ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიული მუზეუმი და ქეთევან იაშვილის სახელობის საჯადრაკო და თ. ანთაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი სპორტსკოლები, მირიან ცალქალამანიძის სახელობის საჭიდაო დარბაზი, გივი ჩოხელის სახელობის სტადიონი (იტევს 12 000 მაყურებელს), საჩოგბურთო კორტები, სამუნიციპალიტეტო კულტურისა და საინფორმაციო ტურიზმის ცენტრები, კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“. მოქმედებს სასტუმროთა ქსელი.

ბის სამხატვრო გალერეა (ამჟამად რეკონსტრუქციის პროცესშია), ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საბიბლიოთეკო გაერთიანება, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, სამუსიკო სასწავლებლები, ელენე ახვლედიანის სახელობის საბავშვო სამხატვრო სკოლა, პროფესიული სასწავლებელი, და ლიტერატურული ალმანახები („წითელი მშრომელი“, „ახალი კახეთი“, „მუშა და გლეხი“, „საბჭოთა კახეთი“, „ალაზნის განთიადი“, „ათინათი“; ლიტერატურული ალმანახი „ალაზანი“, „თელავი“). დღესდღეობით გამოიცემა „ჩვენი გაზეთი“. მაუწყებლობს რადიო „ჩვენი რადიო“, ტელეკომპანია „თანამგზავრი“, საკაბელო ტელევიზია „გორდა“.

თელავში 1921 წლიდან სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა რაიონული გაზეთები

თელავში დაიდგა მონუმენტური ხელოვნების არაერთი ძეგლი. მათ შორის: ერეკლე II-ის (მისივე სახელობის მოედანზე, 1971 წელი, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი, არქიტექტორი თ. კანდელაკი), ილია ჭავჭავაძის (ძველი ბაღი, 1971 წელი, მოქანდაკე ნ. მერაბიშვილი), იაკობ გოგებაშვილის (მისივე სახელობის უნივერსიტეტში, 1962 წელი, მოქანდაკე ბილანიშვილი), გივი ჩოხელის (მისივე სახელობის სტადიონის შესასვლელთან, 1995 წელი, მოქანდაკე ი. მაისურაძე), ლესია უკრაინკას (ნადიკვარი, 2010 წელი, მოქანდაკე რუბანი) და სხვ. თემატური შინაარსის მქონე ძეგლები: ვაზი (ქალაქის შესასვლელთან), შენ ხარ ვენახი (ქალის ქანდაკება, მოქანდაკე ქ. თუშურაშვილი). ქალაქში აღმართულია 1941-45 წლების ომში დაღუპულთა და 9 აპრილის მემორიალები.

1977 წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, თელავი ისტორიულ ქალაქად გამოცხადდა. ამავე წელს, საქქალაქმშენპროექტში, შემუშავდა ქალაქის გენგეგმა. სპეციალურად ჩატარებული სამუშაოების შედეგად (თ. გერსამია, ლ. რჩეულიშვილი), არქიტექტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა 34 შენობას.

1986 წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ძეგლთა აღრიცხვისა და პასპორტიზაციის განყოფილებამ ჩაატარა ქალაქის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ფოტოფიქსაცია და შეადგინა მათი ნუსხა (დ. გივიშვილი, გ. სეხნიაშვილი).

2005 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით, ხუროთმოძღვრული ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობების გამოვლენის და აღრიცხვის მიზნით, ჩატარდა სპეციალური, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები (ლ. ანდრონიკაშვილი, დ. გივიშვილი, ქ. მიქელაძე), რის შედეგადაც მომზადდა 172 ნაგებობის საალრიცხვო ბარათი.

2011-2012 წლებში, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარეობდა თელავის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, ქალაქის ისტორიულ უბნებში, შეიცვალა ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რამდენიმე ქუჩას და მოედანს. მოხდა ხუროთმოძღვრული ძეგლის სტატუსის მქონე ათეულობით საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია

ლ. ანდრონიკაშვილი, თ. რუსიშვილი, ლ. რჩეულიშვილი.

ბიბლ.: 8; 9; 15; 16; 19; 21გ; 25; 4ა, დ, ე; 45; 72; 73; 74; 77; 86; 108; 138გ; 150; 151; 152; 155; 156; 167; 168; 171; 179ბ, დ; 186; 198ა, ბ, გ, დ; 199, 212; 218, 228ბ; 235; 236; 240ბ; 249; 254; 275; 277; 289; 290; 291; 292; 293; 312; 37; 330.


002. აბანო, „რ ო ს ტ ო მ ი ს ა ბ ა ნ ო“, არქიტ. ძ. მდებარეობს გვირაბის ქუჩაზე (№ 35). თარიღდება XVII ს-ით. ამჟამად ძლიერაა სახეშეცვლილი. შემორჩენილია კვადრ. აგურითა და რიყის ქვით ნაგები კედლების ნაწილები. XX საუკუნის 70-იან წწ-ში მთავარი ფასადი ტუფის ფილებით მოუპირკეთებიათ და ფართო, ნახევარწრიული თაღებით დაუნაწევრებიათ. ფასადი დასრულებულია მრუდხაზოვანი პროფილის (თარო, წრეთარგი და ლილვი) მაღალი ლავგარდნით.

თ. უგულავა.




002. მთავარი ფასადი

003. აკლდამა, არქიტ. ძ. მდებარეობს დავით რექტორის ქუჩაზე. თარიღდება XVII ს-ით. ნაგებობა გეგმით შიგნიდან წრიულია (დიამ. – 5,3 *მ*), გარედან – რვაწახნაგა (მანძილი მოპირდაპირე წახნაგებს შორის 7,2 *მ*-ია). შესასვლელი აღმ-ითაა. შეისრულთაღიანი კარი მცირედ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. შიგნით, კარის გადახურვის დონეზე, სამხრ-ით, მცირე ნიშაა. კარის ჩრდ-ით კი – იატაკის დონეზე – მუზარადისებრი თაღით გადახურული კარი, რ-იც მიწის სიღრმეში მოწყობილ კამერას უკავშირდება.



003. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

იატაკის დონე შესასვლელის ძირიდან სამიოდე *მ*-ით ქვევითაა. დარბაზს ირგვლივ საფეხური (სიგ. – 60 *სმ*) შემოუყვება. აკლდამის გადამხურავი გუმბათი, შიგნით და გარეთ, სეგმენტურია. გუმბათის წვეროში სასინათლო ხვრელია (ამჟამად ამოქლილია).



003. აღმ. ფასადი


გარედან წიბოებზე გამოქვანილია ნახევარწრიული პილასტრები, მათზე დაყრდნობილი თაღებით. ყოველ წახნაგზე თაღოვანი არე იფარგლება, რ-შიც აგურის წყობა ფიგურულია.

არქიტ. ფორმებით შენობა XVII ს-ის ისლამური სამყაროს აკლდამების მსგავსია. იგი, როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო წარჩინებული პირისთვის.

ნ. ბახტაძე.

004. ბატონის ციხის კომპლექსი, ისტ., არქიტ., არქეოლ. ძ. კახეთის მეფეთა რეზიდენცია XVII-XVIII სს-ში. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ბატონის წყლისა და კაკლის ხევებს შორის, სწორ ადგილზე, რ-საც სამი მხრიდან (აღმ-იდან, სამხრ-იდან და დას-იდან) ვაკე ადგილები ესაზღვრება, ჩრდ. მხრიდან კი – მკვეთრი ფერდობი. ამ მხრიდან ალაზნის ველის თვალწარმტაცი პანორამა იშლება.

კომპლექსში შედის: ზღუდე – ორი ალაყაფის კარით, მეფის სასახლე, ორი კარის ეკლ., აბანო, გვირაბი და გალავნის გარეთ არსებული, მრგვალი ბურჯი. (XVIII ს-ის II ნახევარი) კი – გალავანი (ნაწილობრივ მიჰყვება ადრე არსებული გალავნის კონტურს) კუთხის ბურჯებითურთ, მეორე კარის ეკლ., დას. შესასვლელი და კომპლექსის გარეთ, სამხრ.-აღმ. კუთხესთან მდგარი, მრგვალი ბურჯი.




004 გენგეგმა. 1. კარის მცირე ეკლ., 2. სასახლე, 3. აღმ. შესასვლელი, 4. აბანო, 5. დას. შესასვლელი, 6. კარის დიდი ეკლ., 7. ბურჯი, 8. გვირაბი

ჯი. გალავნის კედლები მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. წყობა წესიერია. კედლებს მთელ სიგრძეზე მისდევს მაღალი, ნახევარწრიულთავიანი ქონგურები, რ-ებიც რიყის ქვით და აგურითაა გამოყვანილი. ქონგურებითაა დაგვირგვინებული კოშკებიც.

მკვლევართა აზრით, კომპლექსი მშენებლობის ორ ეტაპს აერთიანებს. თავდაპირველად, არჩილის მეფობისას (1664-1675 წწ.), აგებულია: სასახლე, აბანო და აღმ. შესასვლელი. II ეტაპზე ციხის ტერიტ. საკმაოდ ვრცელია. მისი გეგმა ტეხილი მოხაზულობისაა და ერთმანეთთან დაკავშირებული, სხვადასხვა ზომის, ოთხკუთხა, ორი ნაკვეთისგან შედგება, რ-თა სამხრ. კედლები ერთ ხაზზე მდებარეობს. ციხის ნაწილები ერთმანეთისგან გამიჯნულია რიყის ქვით ნაგები, დაბალი კედლით. ციხის დას. ნაწილი, სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული ოთხკუთხედია (ფართ. დაახლ. 1,3 ჰა), აღმ-ისა კი – ტრაპეციის მსგავსი (ფართ. დაახლ. 1 ჰა-მდეა). ამ ნაწილშია მოქცეული სასახლე, კარის ორივე ეკლ. და აბანო. ციხის ორივე ნაწილის კუთხეებში, გალავნის კონტურიდან ძლიერ შვერილი, თითო მრგვალი კოშკია ჩართული, რ-ებიც სიმაღლით გალავანს რამდენადმე აღემატება. კოშკები ორ და სამსართულიანია. გალავნის ამ კედელს, რ-იც ქალაქის მოედნისკენაა მიმართული, შუაში, მოწყობილი აქვს მასზე გაცილებით მაღალი, სწორკუთხა შვერილი – თითო მრგვალი კოშკით კუთხეებში და ორი ნახევარწრიული ბურჯით წინა მხარეს.

ციხეს ორი შესასვლელი აქვს: ერთი (მთავარი) დას. კედლის შუაშია, მეორე – აღმ. კედლის სამხრ. კიდესთან. დას.




004. დას. შესასვლელი. I სართულის გეგმა

შესასვლელი დას. კედლის ცენტრშია ჩართული (როგორც ჩანს, მოგვიანებით). ესაა აგურითა და რიყის ქვით ნაშენი, გალავნის კედლის გასწვრივ წაგრძელებული, ორსართულიანი ნაგებობა (სიგრ. – 13 მ-მდეა), რ-იც გალავნის ხაზიდან ძლიერ წინაა წამოწეული (დაახლ. 5 მ-ით) და კედელთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალია. ნაგებობის პირველი სართულის შუაში მოწყობილია გეგმით კვადრ., აგურის ფიგურული წყობით გამოყვანილი, ისრული კამარით გადახურული გასასვლელი. როგორც ციხის მხარეს, ისე გარეთკენ. იგი ფართო, ისრული თაღითაა გახსნილი. გასასვლელის ცენტრ. ნაწილს გვერდებიდან ერთვის, თითქმის მისი ტოლი სიგანის, ისრული კამარით გადახურული, თითო ღრმა უბე. ორივე მათგანის განაპირა კედელში მოწყობილია თითო კარი, რ-ითაც კედლის სისქეში ჩართულ, მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედში ვხვდებით.

მეორე სართული ღიაა. იგი ქონგურებით დაგვირგვინებული, მაღალი კედლითაა შემოზღუდული, რ-შიც მრავლადაა დატანებული სხვადასხვა დონეზე განლაგებული, ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურები.

გარედან შესასვლელს ორივე კუთხე მომრგვალებული აქვს. ფასადებიდან მხოლოდ წინა ფასადია გაფორმებული. ფასადის ცენტრი უჭირავს შეისრული თაღით დასრულებულ



004. დას. შესასვლელი. II სართულის გეგმა


განიერ, მაღალ შესასვლელს, რ-იც საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია მოქცეული. თაღსა და ჩარჩოს შორის დარჩენილი სიბრტყე აგურის ფიგურული წყობითაა გამოყვანილი. შესასვლელის გვერდებზე, ერთიმეორის თავზე, განლაგებულია ასევე სწორკუთხა არეში ჩასმული, ორ-ორი, გეგმით ნახევარწრიული, ისრულთაღიანი ნიშა. ერთი, გაცილებით დაბალი, შეისრულთაღიანი ნიშა შესასვლელის თავზეცაა. ეს უკანასკნელი, დანარჩენ ნიშებთან შედარებით, ნაკლები სიღრმისაა და ბევრად უფრო დაბალი.

აღმ. შესასვლელი, ე. წ. არჩილის კოშკი (ძლიერ გადაკეთებულია XIX საუკუნეში), დას. შესასვლელზე ადრინდელია. იგი, ისევე როგორც დას-ისა,




004. გალავნის აღმ. კედელი. ხედი სამხრ-იდან

ორსართულიანია, მაგრამ ნაკლებ განიერი და ოდნავ უფრო მაღალი.



004. აღმ. შესასვლელი და სამხრ.-აღმ. კოშკი, I სართულის გეგმა



004. აღმ. შესასვლელი და სამხრ.-აღმ. კოშკი, II სართულის გეგმა

პირველი სართული აქაც შეისრულკამაროვანი გასასვლელია, მეორე კი საცხოვრ. უნდა ყოფილიყო. ამ სართულზე ერთი კვადრ. ოთახია, რ-ის სამხრ. და დას. კედლებში ორ-ორი სარკმელია მოწყობილი, ჩრდ. კედელში კი – სამი. სამხრ. კედელში, სარკმლებს შორის, ბუხარია. აღმ. მხარეს, ფასადის მთელ სიგრძეზე, გადახურული, ხის აივანია, რ-ზეც ოთახიდან კარი გამოდის. ოთახი გადახურულია ისრული კამარით. კამარის თავზე დაბალი სხვენია. შიგნით კედლები მოხატული იყო (კვალი XX ს-შიც იყო შემონახული).

2001 წელს, საქართვ. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრის მიერ, კოშკზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი ზ. მელვინეთუხუცესი), გასასვლელის აღმ. თაღის არეში, აღდგა 1910 წელს მონგრეული, განიერი, შეისრულთაღოვანი შესასვლელი, დას. თაღი კი მთლიანად ამოაშენეს. გალავნის შიგნით მოიხსნა კოშკის გვერდით მდგარი, XX ს-ის ამორტიზირებული ნაგებობა.

რეაბილიტაციის პროექტის ავტორის, ზ. მელვინეთუხუცესის აზრით, კოშკის პირველი სართული წარმოადგენდა არა გასასვლელს, არამედ ოთხკუთხა სათავსს, განიერი შესასვლელით აღმ-იდან და ვიწრო კარით ჩრდ. კედელში.

2011-2012 წწ-ში, თელავის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას, კოშკის პირველი სართულის აღდგენილი დას. კედელი მოიხსნა. ამ შესასვლელების გარდა, გალავანს სათადარიგო შესასვლელებიც ჰქონია – ორი ჩრდ-ით და ერთი – სამხრ-ით (ამოშენებულია).


გალავანი ორიარუსიანია. ქვედა იარუსი, ჩვეულებისამებრ, ყრუა, ზედაში კი სათოფურებია მოწყობილი. შიგნით ზედა იარუსის კედელი, ქვედასთან შედარებით, ბევრად უფრო თხელია, რის გამოც მათ საზღვარზე მეციხოვნეთა დასადგომი, ჰორიზ. ბაქანია შექმნილი. სათო-



004. გალავნის სამხრ. კედლის შუა ნაწილი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ფურები ორგვარია: ცალმაგი და შეწყვილებული. ისინი თანაბარი ინტერვალებითაა განლაგებუ-

ცალმაგი სათოფურებია განლაგებული, ზედა ნაწილში კი – ორი სარკმელი. მეორე სართუ-



004. გალავნის სამხრ. კედლის შუა ნაწილი. გეგმა. ი. აბანო


ლი: კედლის ზოგიერთ მონაკვეთზე ორრიგად, ზოგზე კი ერთ დონეზე. ცალმაგი სათოფურები შეწყვილებულ სათოფურებზე ორჯერ უფრო მაღალია და მიწისკენაა დახრილი. შეწყვილებული სათოფურები კი პირდაპირაა მიმართული. გალავნის შვერილი ნაწილის კოშკებში და კედლების ზედა ნაწილში, სათოფურების გარდა, მოწყობილია საზარბაზნეები და სალოდეები. სალოდეების ნაწილს მათი დამხურავი წინაფრაც შემორჩა. იგი ხის ჰორიზონტალურ საფუძველზე, მთლიანად, კვადრ. აგურით იყო გამოყვანილი. გალავნის ჩრდ. კედლის ქვედა და ზედა ნაწილები ერთი სისქისაა. ამ კედელში სათოფურები ქვედა ნაწილშიცაა განლაგებული. კედლის ზედა ნაწილში მდებარე სათოფურებთან მისადგომად კი ხის ბილიკი იქნებოდა მოწყობილი.

ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკი სამსართულიანია. აქვს ორი შესასვლელი – პირველ და მესამე სართულებზე. პირველ სართულზე, შესასვლელის პირდაპირ, ისრულთაღიანი ბუხარია, რ-იც შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეშია მოქცეული. კედლის ქვედა ნაწილში

ლის კედლებში მხოლოდ ხუთი სათოფურია. მესამე სართულის კედელი სახეშეცვლილია. მასზე სამრეკლოა დადგმული.


სამხრ.-აღმ. კოშკის სართულიანობა კარგად არ ირკვევა.

როგორც ჩანს, იგი ორსართულიანი ყოფილა – საბრძოლო ბანით. შესასვლელი მხოლოდ მეორე სართულს ჰქონია. სართულის კედელში ცალმაგი სათოფურები და სამი სარკმელია



004. სახახლე. გეგმა

განლაგებული. ბანს გარს ევლება ქონგურებით დასრულებული კედელი, რ-შიც დახრილი და პირდაპირ მიმართული სათოფურებია განლაგებული.



004. სასახლე. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ჩრდ.-დას. და სამხრ.-დას. კოშკებიც მსგავსი აგებულებისაა. ისინი იმდენადაა გადაკეთებული, რომ თავდაპირველი სახე თითქმის მთლიანად დაკარგული აქვთ. კიდევ ერთი კოშკი მდგარა, ციხის მოზრდილი ნაწილის ჩრდ.-აღმ. კუთხეში (ამჟამად მთლიანად დანგრეულია).

2001 წელს, საქართვ. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრის მიერ, ციხის აღმ. შესასვლელთან ერთად, ჩატარდა დას. შესასვლელის და გალავნის სამხრ. კედლის დიდი ნაწილის (კოშკებითურთ) რესტავრაცია (პროექტის ავტორი ზ. მელვინეთუხუცესი). გალავანზე და კოშკებზე აღდგა ქონგურები და სალოდეები, კონსერვაცია ჩაუტარდა ძვ., XVII ს-ის გალავნის შემორჩენილ კედლებს.

არჩილ მეფის სასახლე აგებულია XVII ს-ის II ნახევარში (ლ. რჩეულიშვილის ვარაუდით: 1667-1675 წწ-ში). სასახლის რესტავრატორის ზ. მელვინეთუხუცესის ვარაუდით კი – ოდნავ გვიან, კახეთის მეფის დავით იმამყული-ხანის მიერ), გადაკეთებები განიცადა XVIII ს-ში, მეფე ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) დროს. 1772 წელს რუსეთიდან წარმოგზავნილი მეცნიერის ი. გიულდენშტედტის ცნობით: „სასახლე ნაწილობრივ ძველი და ნაწილობრივ ახალი ნაწილებისაგან შედგება“. აქედან ჩანს, რომ ერეკლეს ახალი ზღუდის აგებასთან ერთად, რაღაც ცვლილებები სასახლეშიც შეუტანია. 1802 წლიდან შენობა სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა და მნიშვნელოვანი გადაკეთებები განიცადა. იგი ჯერ რუსული სამხ. ხელმძღვანელობის სადგომად იყო გამოყენებული, შემდგომ სახაზინო უწყების საჭიროებისათვის. 1845 წელს, იმხანად დაცარიელებული და ნგრევის პირას მისული სასახლე მოუნახულებია მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს. მისი ბრძანებით, 1849 წელს დაწყებულა სასახლის აღმ. ნაწილის რემონტი, რ-იც 1850 წელს დასრულებულა (აღუდგენიათ დიდი მისაღები დარბაზი და მის ბოლოებთან არსებული, ორი ოთახი (მათგან ერთი – მეფის საძინებელი). ოთახში, რ-შიც მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მიმაგრდა დაფა ქართ. და რუსულენოვანი ტექსტებით: „აქ აღესრულა საქართველოს მეფე ერეკლე თეიმურაზის ძე ია იანვარსა ჩღჷ წელსა. წარწერა ესე ქმნილ არს და სასახლე გასწორებულ არს განკარგულებითა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის ვორონცოვისათა, რომელმანაცა განიხილა ძველი სასახლე საქართველოს მეფეთა ქალაქსა შინა თელავსა ით ნოემბერს ჩქნე“.

1860 წელს სასახლის შენობა გადაეცა წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას და მასში არსდება ქართველ ქალთა საშუალო განათლების კერა – წმ. ნინოს სასწავლებელი. ამ დროს, არქიტექტორ ზალცმანის პროექტით, მას მეორე სართული დააშენეს.




004. სასახლე. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



004. სასახლე. აღმ. უბე. ინტერიერის დეტალი

1912 წელს სასახლეს მიადგეს სასწავლებლის ახ. დიდი კორპუსი (1927 წლიდან ახალ კორპუსში განთავსდა მხარეთმც. მუზეუმი, რ-იც 1935 წლიდან გადაკეთდა სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად).

1976-1982 წლებში ИКЗМ დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს მიერ მიმდინარეობდა სასახლის რესტავრაცია (პროექტის ხელმძღვ. ზ. მელვინეთუხუცესი), რასაც წინ უძღვოდა სამეცნ.-კვლ. და აზომვითი სამუშაოები (თ. აბრამიშვილი, თ. ნემსაძე, ზ. სეხნიაშვილი, რ. გურამიშვილი). ხანგრძლივი კვლევის შედეგად გამოიყო თავდაპირველი სამშენ. ფენა. გაიხსნა ჩაშენებული ღიობები და ნიშები. მოიხსნა XIX ს-ში დაშენებული სართული. აღდგა ძვ. დერეფანი. სასახლე გათავისუფლდა გარედან მიშენებული, გვიანდ. დანამატებისგან და შეძლებისდაგვარად, დაიბრუნა თავდაპირველი, გეგმარებითი სტრუქტურა.



004. კარის მცირე ეკლ. გეგმა



004. კარის მცირე ეკლ., ხედი სამხრ.-აღმ-იდან

სასახლე ერთსართულიანია, თითქმის მთლიანად ნაგებია აგურით. შენობის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (27x25 მ), რ-ის ცენტრში მოთავსებულია გრძივი ღერძის მიმართულებით წაგრძელებული, დიდი, მისაღები დარბაზი, კუთხეებში კი – თითო სადგომი, რ-თა შორის, შენობის ოთხივე მხარეს, ლოჯიის ტიპის, ღრმა უბეა. ოთხივე სადგომი გეგმით კვადრატულია. მათ შორის სამხრ.-აღმ. კუთხეში მდებარე სადგომს, რ-შიც 1798 წელს მეფე ერეკლე II გარდაცვლილა, დას-იდან ეკვრის იგივე მოხაზულობის, ოდნავ მცირე ფართობის სადგომი, ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდებარე სადგომს კი – კიბის უჯრედი, რ-იც სასახლის სახურავზე ადის. დარბაზს სამი მხრიდან (აღმ-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან) გარს უვლის ვიწრო, ორსართულიანი დერეფანი. დას. მხრიდან კი ამ მხარეს არსებული უბე ესაზღვრება.

დარბაზის აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლების ცენტრში ფართო შესასვლელია. დას. კედლის წინ, როგორც ჩანს, მეფის ტახტი იყო დადგმული. დარბაზს ერთიანი, შეისრული კამარა ხურავს, რ-იც რვა საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათ შორის განაპირა თაღები გაცილებით ვიწროა და შესაბამისს კედლებთანაა შერწყმული. დარბაზის, დერეფნის და კუთხის სადგომების კედლები დანაწევრებულია ჰორიზ. სარტყლით შუაზე გაყოფილი კარების, ნიშებისა და სარკმლების მწკრივით. კარებში, სარტყელს ქვემოთ, სწორკუთხა გასასვლელებია მოწყობილი, ზემოთ კი – სარკმლები.


საცხოვრ. ოთახებიც კამაროვანია. პროპორციები – აზიდული. ყოველ ოთახში თითო ბუხარია. კედლები დანაწევრებულია თაღოვანი ნიშებითა და სარკმლებით. სასახლის ყველა თაღი და კამარა შეისრულია.

ოთხივე ფასადის უმეტესი ნაწილი უჭირავს ღრმა უბეს, რ-ებიც გვერდებიდან ფლანკირებულია კუთხის ოთახების შესაბამისი კედლის სიბრტყით. XVIII ს-ში, ერეკლე II-ის დროს, გარე კედლების ჩაშენებით უბეები დახურულ სადგომებად უქცევიათ.

სასახლის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან, თხუთმეტიოდე მის მანძილზე, დგას ე. წ. არჩილის კარის ეკლესია, რ-იც სასახლეზე ბევრად უფრო ადრინდელია და სავარაუდოდ, VIII-IX სს-ში უნდა იყოს აგებული. ჩვენამდე კი შეკეთებულმა და ძლიერ სახეცვლილმა მოაღწია. ი. გიულდენშტედტი „ბატონის ციხეში“, ახლად აგებულ შენობებთან ერთად, მოიხსენიებს უფრო ძველ ეკლესიასაც, რ-იც არჩილისეული სასახლის ნაშთებთან ყოფილა გადაბმული.


ლ. რჩეულიშვილი, რ-მაც ბატონის ციხეს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა, ეკლესიის ადგილად ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდებარე ნანგრევებს ასახელებს. ამ ნანგრევებში ჩანს ნაგებობის ნაწილი, რ-ის ნაშთებიც ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიის ნაშთებიდან ჩანს, რომ ის ერთნავიანი ყოფილა, ნავის სიგრძე 12,5 მ, სიგანე 6,5 მ. ნავი ორ ნაწილად იყოფოდა, ერთმანეთისაგან ორი ნახევარწრიული თაღით გამოყოფილი. ნავის აღმ. ნაწილში ნახევარწრიული აფსიდია, ხოლო დას. ნაწილში – ნახევარწრიული ნიშები. ეკლესიის ნაგებობა ნაწილობრივ ნაშენია, ნაწილობრივ – ნაკეთი. ნაშენი ნაწილი ნაგებია ლოდებით, ნაკეთი – ქვიშაქვის ფილებით. ეკლესიის ნაშთებთან ნაპოვნია ფილაქვის ფრაგმენტები, ორნამენტირებული ფილაქვის ნაჭრები, ფილაქვის ფილები, ნაგებობის ნანგრევებში

ლევა მიუძღვნა, ფიქრობს, რომ ეკლ. წმ. მოწამის ქეთევანის სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული. მისი აზრით, ეს „სწორედ ის ძველი კარის ეკლესია-სამლოცველოა, რომელიც არჩილ მეფის და ქეთევან დედოფლის სასახლის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული“. პ. ზაქარაიას ცნობით კი იგი პეტრე-პავლეს სახელობისა ყოფილა.



004. კარის დიდი ეკლ. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ


ეკლ. დარბაზული ტიპისაა (9,4x5,2 *მ*). თავდაპირველად მას სამხრ-იდან, დას-იდან, და, როგორც ჩანს, ჩრდ-იდანაც მინაშენები ეკვროდა, რ-ებიც ეკლესიის ძირითად კორპუსს წყობით არ ებმოდნენ. მინაშენებიდან ამჟამად მხოლოდ სამხრ. მინაშენის აფსიდისა და სამხრ. კედლის აღმ. ნაწილის ნაშთიღაა (სიმ. დაახლ. 50 *სმ*-ია) შემორჩენილი.



004. კარის დიდი ეკლ. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ეკლ. სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაგები. ქვა მეტ-ნაკლებად შერჩეულია და დაწყობილია წესიერ, ჰორიზ. რიგებად. კუთხეები და შესასვლელთა ღიობები გამოყვანილია შირიმის ნათალი ქვით. მოგვიანებით განახლებული ნაწილები, ძირითადად, კვადრ. აგურისაა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. კარი გაცილებით მაღალია და ორივე მხრიდან ნახევარწრიული მოყვანილობის თაღი ხურავს, რ-თა შორის გარეთა გვიანდელია და თითქმის მთლიანად კვადრ. აგურითაა გამოყვანილი. დას. კარი კი სწორკუთხაა. ჩრდ. კედელში, სამხრ. კარის მოპირდაპირედ, აგურის წყობით ამოშენებული, განიერი, მაღალი ღიობია – არასწორი თავით და გვერდებით. ჰქონდა თუ არა ეკლესიას შესასვლელი ამ მხრიდანაც, გაურკვეველია.





004. კარის დიდი ეკლ. სამხრ. ფასადი

შიდა სივრცე შემაღლებული პროპორციებითაა გადაწყვეტილი. აღმ-ით იგი დასრულებულია დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურით შემაღლებული, ოდნავ ნალისებრი ფორმის აფსიდით, რ-შიც ერთი თაღოვანი სარკმელი და ორი მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა – სარკმლის აქეთ-იქით. აფსიდში დგას კედელზე მიყრდნობილი ოთხკუთხა ტრაპეზი. იგი სხვადასხვა პერიოდის, ორი განსხვავებული ზომის ნაწილისგან შედგება, რ-ებიც სხვადასხვა მასალითაა ნაშენი: ქვედა ნაწილი, რ-საც რამდენადმე განიერი გვერდები აქვს, რიყის ქვითაა გამოყვანილი. ზედა, შედარებით ვიწრო ნაწილი კი – კვადრ. აგურით. აფსიდის კუთხეების წყობაში, რიყის ქვასთან ერთად, შირიმის ნათალი ქვაცაა გამოყენებული. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ოდნავ ნალისებრი ფორმისაა. თითქმის იგივე ფორმისაა კამარაც. კამარა სხმულია – საბჯენი თაღების გარეშე. დარბაზის გრძივი კედლების აღმ. ნაწილში,

ერთმანეთის მოპირდაპირედ, თითო, უჩვეულოდ დაბალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია. დარბაზის სამივე კედელს დაბალი საფეხური გაუყვება.

ნაგებობას სადა ექსტერიერი აქვს, მოკლებულია ყოველგვარ დეკორატიულ სამკაულს. სამხრ. ფასადის დას. ნაწილში და დას. ფასადის მთელ სიგრძეზე, შემორჩენილია წყობიდან შვერილი, რიყის თხელი ქვების მწკრივით შექმნილი თარო, რ-ზეც ამ მხარეს არსებული მინაშენის კამარა იყო დაყრდნობილი. თაროს კვალი, როგორც სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, ისე ჩრდ. კედლის თითქმის მთელ სიგრძეზეც შეიმჩნევა.





004. სამრეკლო. დას. ფასადი, გეგმა

1981-1982 წლებში, სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ ჩატარებული სარესტ. სამუშაოების (რესტავრაციის პროექტის ავტ. თ. ნემსაძე) დროს, კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი კვადრ. აგურით აღადგინეს, შესასვლელთა წირთხლების და გარეთა კუთხეების მონგრეული ნაწილები კი – შირიმით. კონსერვაცია ჩაუტარდა სამხრ. მინაშენის შემორჩენილ ნაშთებს.

ეკლესიის აღმ-ით, ათიოდე მ-ის მოშორებით, ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში, ზღუდიდან დაახლ. 2,5 მ-ის მანძილზე, დგას კარის დიდი ეკლესია, რ-იც ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. XIX ს-ში იგი ქალაქის სამრევლო ტაძრად გადააკეთეს და „სობორო" შეარქვეს. ე. თაყაიშვილის ცნობით, „თელავის სობორო ანუ ირაკლი მეორის კარის ეკლესია აშენებულია ირაკლის მიერ 1753 წელს".

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის 1857 წლის თელავის აღწერის მიხედვით: სასახლესთან „არის ეკლესია კარის ღვთისმშობლისა, მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომელშიაც ვარაყშერეული მშვენიერი კანკელია და ეს კანკელი მეფეს ირაკლის შეუწირავს თავისი პირველი შვილი ვახტანგი რომ გარდაიცვალა... იმის დანარჩენი ნივთები გაუყიდვინებია, იმის ფულით ეს კანკელი მოუტანინებია მოსკოვში გაკეთებული, საუცხოოს ეკლესიის ხომლებით და ამით დაუშვენებია ეს ეკლესია".

ეკლ. დარბაზული ტიპისაა (15,8x9,95 მ). მოგვიანებით (XIX ს-ის I ნახევარში), შიდა სივრცის გაზრდის მიზნით, ნაგებობისთვის დას-იდან შედარებით ვიწრო, დაბალი, სწორკუთხა მინაშენი (სიგრ. – 6,6 მ, სიგ. – 7,2 მ) მიუდგამთ, რ-იც დამოუკიდებელი, ორფერდა სახურავითაა გადახურული. თავდაპირველი ნაგებობის კედლების გარეგან წყობაში ორი განსხვავებული სამშენ. ფენა განირჩევა. მათ შორის ერთი (მოიცავს კედლების სიმაღლის ნახევარზე მეტს) ნატეხი ქვითა და აგურის რიგების მონაცვლეობითაა ნაშენი. მეორე კი, ისევე როგორც მინაშენი – აგურით.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, ჩრდ-ით (ამოშენებულია) და დას-ით. სამხრ. და ჩრდ. შესასვლელები შიგნით შეისრული თაღითაა დასრულებული. სამხრ. კარი გარედანაც ისრულთაღოვანია, ჩრდ-ისა კი სწორკუთხაა. დას. კარი, რ-იც დანარჩენებზე ბევრად უფრო განიერი და მაღალია, მინაშენის დას. კედელშია გაჭრილი და ორივე მხრიდან ნახევარწრიული თაღი ხურავს.

ეკლესიის გრძივ კედლებზე გამოყოფილია ორი წყვილი მარტივი პილასტრი, რ-ებზეც ნახევარწრიული, საბჯენი თაღებია გადაყვანილი. პილასტრების აღმ. წყვილი, შესაბამისი საბჯენი თაღით, საკურთხეველს დარბაზისგან გამოჰყოფს. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ეყრდნობა.

საკურთხევლის სივრცე თავისებურადაა გადაწყვეტილი: სიმაღლეში იგი გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად, რ-თა შორის ქვედა, ზედასთან შედარებით, 1 მ-ით უფრო ღრმაა. ქვედა ნაწილში საკურთხეველი ერთიანია, ზედა ნაწილში კი, ორი ნაწილისგან – აფსიდისა და მის წინ მდებარე ბემისგან შედგება. აფსიდი ბემისგან გამიჯნულია მოკლე მხრებით, რ-ებიც აფსი-



004. სამრეკლო. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დის ბოლოების თანდათანობითი გადმოშვერითაა გამოყვანილი. ბემის კედლები საკურთხევლის ქვემოთა ნაწილის კედელთან ერთ სიბრტყეშია. ორივეში გაჭრილია თითო ფართო, შეისრულთაღიანი სარკმელი. ორივე სარკმლის აღმ. წირთხლში კი თითო მცირე, შეისრულთაღიანი ღიობია მოწყობილი, რ-ებითაც აფსიდის გვერდებზე, იატაკიდან დაახლ. 3 *მ* სიმაღლეზე, კედლის სისქეში მოწყობილ სამალავებში ვხვდებით. ორივე სათავსი კამაროვანია და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-ის ცენტრში ვიწრო სარკმელია. აფსიდის ქვედა ნაწილში სამი ნიშაა. მათ შორის ერთი – ცენტრშია, ორი – მის გვერდებზე. აფსიდში, განაპირა ნიშების გვერდით, თითო ნახევარწრიულთავიანი ღიობია, რ-ებითაც აფსიდი კედლის სისქეში არსებულ, წრიული მოხაზულობის, მცირე სადგომს (თითოეულის ფართ. დაახლ. 2 *კვ მ*-ია) უკავშირდება. სავარაუდოდ, ისინი სამკვეთლოსა და სადიაკვნის ფუნქციებს ასრულებდნენ. ორივე სადგომი განათებულია თითო მცირე სარკმლით, რ-ებიც შესაბამისს მხარეს, ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე გადის. სარკმლის გარდა, სადგომებში ნიშებიცაა მოწყობილი: სამხრ-ით მდებარეში – სამი, ჩრდ-ით მდებარეში კი – ორი. ჩრდ. სადგომის ორივე ნიშა გეგმით ნახევარწრიულია. მსგავსი ერთი ნიშაა სამხრ. სადგომში. დანარჩენი ორი კი ოთხკუთხაა.

საკურთხეველს, ბემის კედლებში არსებული სარკმლების გარდა, კიდევ ერთი, ფართო, შეისრულთაღოვანი სარკმელი აშუქებს, რ-იც აფსიდის ცენტრში, ზედა ნაწილშია გაჭრილი ისე, რომ მისი ძირი აფსიდის ზედა და ქვედა ნაწილების საზღვარზეა. ორ-ორი მსგავსი სარკმელია განლაგებული ეკლესიის გრძივ კედლებშიც – სიმეტრიულად. გარდა ამისა, თითო, გაცილებით უფრო მოზრდილი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი მინაშენის სამხრ. და ჩრდ. კედლებში. ქვედა სარკმელი აღჭურვილია ხის შემინული ალათებით.


დარბაზის გრძივ კედლებზე გამოყვანილია ორ-ორი, ღრმა, შეისრულთავიანი თაღი. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც ორი საბჯენი თაღით (მათგან ერთი თაღი შეკიდულია) სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. კამარის თითოეული ნაწილის წვეროს წყობაში გამოყვანილია თითო სწორკუთხა პლაფონი, რ-თა სიგრ. კამარის ნაწილების სიგრძეების შესაბამისად, სხვადასხვაა. ანალოგიური ფორმის ერთი პლაფონი ბემის კამარაშიცაა. ეკლესიის კამარის მსგავსია მინაშენის გადამხურავი კამარაც, რ-იც ორ შეკიდულ, საბჯენ თაღზეა დაყრდნობილი.

ეკლესიის კედლები გარედან კირით იყო შეთეთრებული (ამჟამად მოცილებულია). აღმ. ფრონტონზე, სამხრ. და ჩრდ. შესასვლელების თავზე, წყობაში შეღრმავებული თითო ჯვარია გამოყვანილი. სამივე ჯვარი წითლადაა შეღებილი. აღმ. ფრონტონის ძირის დონეზე, კუთხეებთან, თითო სწორკუთხა ღიობია (სიგ. – 0,7 *მ*, სიმ. – 1,3 *მ*), რ-ებიც სახურავქვეშ, გრძივი კედლების ზედა ნაწილებში, მთელ სიგრძეზე გამოყვანილ, საბრძოლო დანიშნულების მქონე სათავსში შესასვლელადაა განკუთვნილი. ორივე სათავსის გარე კედლებში ძირს დახრილი და პირდაპირ მიმართული სათოფურებია მოწყობილი – გრძივი ფასადების მხარეს ოთხ-ოთხი, დას. მხარეს კი ორ-ორი.

მინაშენის გვერდითი ფასადები სადაა, დას. ფასადი კი მთლიანად რუსტირებულია. ეკლესიისა და მინაშენის კედლები დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით. ძეგლის ორივე ნაწილი დაბურულია კრამიტით.

ეკლესიის წინ, სამიოდე *მ*-ის მანძილზე, ს ა მ რ ე კ ლ ო ა, რ-იც XIX ს-ის I ნახევარში, ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდგარ კოშკზე აღუმართავთ. სამრეკლოც გეგმით წრიულია და წარმოადგენს რვა, მძლავრ სვეტზე გადაყვანილ, ნახევარწრიული თაღებით გახსნილ ფანჩატურს. შენობა გადახურულია კონუსისებრი, ღარისებრი კრამიტით დაბურული სახურავით.

სასახლის სამხრ.-დას-ით, ციხის აღმ. ნაწილის სამხრ.-დას. კუთხეში ა ბ ა ნ ო ა, რ-იც ხალხში „ერეკლეს აბანოს“ სახელითაა ცნობილი, თუმცა, ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი ჯერჯერობით უცნობია. ზოგადი გადაწყვეტით, იგი ახლოს დგას XVII-XVIII სს-ის ქართლ-კახეთის აბანოებთან, მაგრამ მათგან იმითაა გამორჩეული, რომ შიგნიდან მოხატული ყოფილა. შენობისგან მხოლოდ ნაწილიღაა შემორჩენილი – საბანაო




004. აბანო. გეგმა

ოთახი აუზით და ცხელი წყლის ცისტერნით და მასზე ჩრდ-იდან მიდგმული, სწორკუთხა მოხაზულობის, მცირე ოთახი (როგორც ჩანს, მოსაცდელ-გასახდელი) – ბუხრით დას. კედელში.

საბანაო ოთახი მცირე ზომისაა, გეგმით ოთხკუთხა (3,7x3,7 *მ*). გადახურულია სფერული გუმბათით, რ-ის ცენტრში სასინათლო ხვრელია მოწყობილი. ოთახს შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს – გასახდელი ოთახიდან. ეს უკანასკნელი მოხატული ყოფილა. მხატვრობის კვალი შე-

მორჩენილია როგორც დას., ისე საბანაო ოთახისგან გამმიჯნავ კედელზეც. მოხატული იყო თუ არა საბანაო ოთახიც, ამჟამად არ ირკვევა, რადგან კედლებზე ძვ. ნალესობა ჩამოცვენილია. სა-




004. აბანო. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ბანაო ოთახის ოთხივე კედლის მთელ სიგანეზე შეისრული თაღია გამოყვანილი, ოთახის კუთხეებში კი – შეისრულთაღოვანი აფრები, რ-ებიც ნახევარსფერული გუმბათის წრიულ საფუძველს ქმნიან. ოთახის იატაკში – სამხრ. კედელთან, შუაში – ამოჭრილია მცირე, ოთხკუთხა (1,1x0,85 *მ*) აუზი. აღმ. კედლის სისქეში კი, იატაკიდან 1,3 *მ* სიმაღლეზე, მოწყობილია ცისტერნა, რ-შიც წყალი მის ქვეშ არსებული ღუმლის საშუალებით ცხელდებოდა. იგივე ღუმელი ათბობდა საბანაო ოთახის იატაკსაც. ამავე კედლის ჩრდ. ნაწილში ღრმა, ისრულთაღოვანი ნიშაა. ორი, გაცილებით უფრო მცირე, ოთხკუთხა ნიშა საბანაო ოთახის გარეთა კედელშიცაა – შესასვლელის გვერდებზე.

1982 წელს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ „ბატონის ციხის“ სარესტავრაციო სამუშაოების ფარგლებში, მოხდა აბანოს რესტავრირებაც (პროექტის ავტორი რ. გურამიშვილი): შეკეთდა აგურით გამოყვანილი აფრების დაზიანებული თაღები, გარედან გუმბათი და მის გარშემო, სახურავის ჰორიზ. მონაკვეთები გაიწმინდა ძვ. ნალესობიდან და გადაილესა იგივე შემადგენლობის ხსნარით, სახურავის კიდეებში, მოეწყო ღეროვანი ლითონის კონსოლებზე დაყრდნობილი, თუნუქის, მსუბუქი სახურავი, გუმბათში, სავენტილაციო-სასინათლო ხვრელს გაუკეთდა ხუფი.

ციხის ჩრდ.-დას. ნაწილში არის ქვითკირის გ ვ ი რ ა ბ ი, რ-საც მეორე გასასვლელი ციხის ქვემოთ, ალაზნის ველის მხარეს ჰქონდა. გვირაბში მოწყობილი იყო წყაროსთან ჩასასვლელი



004. აბანო. ჭრილი გასახდელ ოთახზე, ხედი სამხრ-კენ

კიბე, რ-იც დიდი გალავნის ჩრდ. კედელში ყოფილა ჩართული. მეორე წყარო გალავნის გარეთაა, სამხრ.-აღმ-ით, ასიოდე მ-ის მანძილზე. მას „ბატონის წყაროს“ უწოდებენ.

ზღუდის გარეთ, ციხის აღმ. ნაწილის სამხრ.-აღმ. კუთხესთან, თხუთმეტიოდე მ-ის მანძილზე, დგას რიყის ქვით ნაგები დიდი „მ რ გ ვ ა ლ ი ბ უ რ ჯ ი“ (გარე დიამ. – 14 *მ*, კედლის სისქე – 2,5 *მ*, სიმ. ციხის მხარეს დაახლ. 7 მ-ია), რ-იც XVIII ს-ის 70-იან წლებშია აგებული. კოშკი მთლიანად მიწითაა ამოვსებული. მას ციხის მხარეს მოქცეული კედლის ნაწილი მორღვეული აქვს. ამ ნაწილში მიწის ზედაპირი დაქანებულია და პანდუსია მოწყობილი.

ბურჯის მშენებლობის შესახებ ირიბი ცნობებია დაცული დარეჯან დედოფლის 1766 წლით დათარიღებულ წერილში, რ-იც მიმართულია შუამთის მონასტრის მოძღვართმოძღვრის ნიკოლოზისადმი: „მერმე აქ ზარბაზნის ბურჯისათვის კირი ბეჟან ყორჩიბაშის-შვილიდამცა და ამის ძმის დავით ყორჩიბაში-შვილისაგანაც ვისესხეთ კირი და კიდეც შეხმარდა, წინას დღეს ხომ შენგანაც ვისესხეთ და გითხარით კირის სესხება და უარიც არ გითქომს. ახლა კიდემა გწერ, რომ ამ ბურჯს კიდემ დააკლდა კირი და რაც ამას კირი მოუნდეს, უნდა გვასესხოთ...“



004. აბანო. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

მოსკოვის ცენტრალურ სამხ.-ისტორიულ არქივში დაცულია XIX ს-ის დასაწყისში შედგენილი თელავის ოთხი ტოპოგრაფიული გეგმა. კოშკი ოთხივე გეგმაზეა დატანილი. მათგან სამზე, იმ ადგილას, სადაც კედელი გარღვეულია, კოშკის წინ საფეხურებია ნაჩვენები, ხოლო ერთზე, გარღვეული კედლის ადგილას, პანდუსია. ამ უკანასკნელზე, კოშკის შიგნით მდგარი ზარბაზანიცაა გამოსახული. ინგლისელი მოგზაურის რობერტ ლაიელის ცნობით, რ-მაც თელავი 1822 წელს მოინახულა, კოშკს ცალი მხარე გახსნილი ჰქონია და მასზე მდგარა 12 ფუტის სიგრძის მქონე ზარბაზანი. პ. იოსელიანის ცნობით, ზარბაზანი 7,5 *მ* სიგრძის ყოფილა და კოშკზე 1836 წლამდე იდგა. 1836 წელს კი იგი გადაუდნიათ.



004. მრგვალი ბურჯი. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



004. გვირაბი

დავით ბატონიშვილის მიხედვით, 1750 წელს, ყარაბაღის ბრძოლაში გამარჯვებულ, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარს, რ-საც თეიმურაზ II და ერეკლე II ედგნენ სათავეში, მრავალი ტყვე, დიდძალი ქონება და იარაღი დარჩა, ასევე ზარბაზნები, რ-ებიც წამოუღიათ და თელავისა და გორის ციხეებში დაუდგამთ. „ბატონის ციხეში“ მდგარ ერთერთ ზარბაზანს ჰქონია წარწერა, რ-იც 1772 წელს ი. გიულდენშტედტს გადმოუღია (დაცულია მის არქივში): „ქ: წყალობითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემან პატრონმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან კახთ მეფემ პატრონმან ერეკლემ ჯვანშირს ფანა ალიხანზე გავიმარჯვეთ და მისი თოფხანა ჩვენ დაგვრჩა. ეს ზარბაზანი იქიდამ მოვიტანეთ. მარტის. ე. ქრისტეს აქეთ ჩღნ, ქ: კოს: ულჩ.“

XX ს-ის 60-იან წლებში იაე ინ-ტის მიერ ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლ. გათხრები (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე, ც. ჩიკოიძე). ციხის გალავნის სამხრ. კედლის ძირში გაიჭრა თხრილი (სიგრ. 10 *მ*, სიგ. 2 *მ*), აღმოჩნდა მოკირწყლული იატაკის მქონე სათავსი, რ-საც კედლებში ჩაყოლებული ჰქონდა შეისრულთაღიანი თაღჩები. სამხრეთ მას კარი ჰქონია, რ-იც ჯერ ბუხრად გადაუკეთებიათ, ბოლოს კი ამოუქოლავთ. როგორც ჩანს, თახჩებიანი სათავსი წინ უსწრებდა გალავნის მშენებლობას, რ-ის დასრულების შემდეგ, იგი საბოლოოდ გაუუქმებიათ. არქეოლ. გათხრების შედეგად, ბატონის ციხის მშენებლობაში გამოიყო ორი ეტაპი: არჩილ მეფის ბრძანებით აშენებული (XVII ს. II ნახევარი) და ერეკლე II-ის დროინდელი (XVIII ს. II ნახევარი). XVII-XVIII სს-ით თარიღდება აღმოჩენილი კერამ. მასალაც.

2011-2012 წლებში, თელავის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, „ბატონის ციხის“ სამუზეუმო კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად, დაანგრიეს ისტ. ღირებულების მქონე სამი შენობა – ყოფილი წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის, ქ. იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეის და ადმ. შენობის, რ-შიც, XIX ს-ში ხაზინად გადაკეთების შედეგად, მოქცეული იყო ერეკლეს დროინდელი ნაგებობა.



004. წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის შენობა

2013 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის ეროვნ. სააგენტოს დაკვეთით, ICOMOS საქართველოს მიერ, შემუშავდა კომ-



004. ქ. იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეის შენობა

პლექსის კონსერვაციის გეგმა (ავტორი ნ. ცინცაბაძე), რ-იც 2014 წელს დაამტკიცა საქართვ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ.

კომპლექსის სამხრ.-აღმ-ით, ოდნავ ქვემოთ, სამხრ.-აღმ კუთხესთან მდგარი ბურჯიდან სამოციოდე მ-ის მანძილზე მდებარეობს ე. წ. ბატონის წყარო, რ-იც ქრონოლოგიურად კომპლექსის მშენებლობის პირველ ეტაპს უკავშირდება (კეთილმოწყო XX ს-ის 70-იან წწ-ში).

წყარო მოედნის მიმართ ჩაღრმავებულ, რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით ამოყვანილი, საყრდენი კედლებით მოზღუდულ ადგილზეა. მისკენ ქვის ორი კიბე ეშვება. თვით წყარო შეისრული ფორმის თაღშია მოქცეული, რ-იც ჩაწერილია აგურით გამოყვანილ მასიურ ნაგებობაში. ნაგებობას კიდეებში თითო, რუსტირებული პილასტრი აუყვება, ზედა ნაწილი კი, წინიდან და გვერდებიდან, ოთხკუთხა ნიშებით აქვს დანაწევრებული. ნაგებობას გვერდებიდან მიბჯენილი აქვს საყრდენი კედლები, რ-თა მიმართ იგი ოცდაათიოდე სმ-ით წინაა წამოწეული. მარჯვ.



004. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

კედელში აგურით გამოყვანილი, მშვილდისებრი თაღით გადახურული ნიშაა, მარცხ. კედელი კი გლუვია.


თ. დვალი.

ბიბლ.: 17; 18; 19; 72; 90; 167; 168; 171; 212; 277; 291; 313; 317; 330; 335.

005. დაბახანა, არქიტ. ძ. დგას ქ. ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 87). ხევის პირას. აგებულია XIX ს-ის I ნახევარში. ნაგებობა სამეურნეო დანიშნულების იყო, აქ ამუშავებდნენ ტყავს.

შენობა ერთსართულიანია, ნაგებია კვადრ. აგურითა და რიყის ქვით. შიდა სივრცე ერთ დიდ ოთახს ეკავა, რ-ის ცალი ფრთა მსუბუქი ტიხრით იყო გამოყოფილი. ოთახის ქვემოთ, იგივე ზომის, ერთიანი სარდაფია, რ-ის კედლებში შვიდი ნახევარწრიული ნიშა და ერთი განჯინაა. სარდაფი ოთხი სარკმლითაა განათებული, რ-თა შორის სამი მთავარი ფასადის მხარესაა. ამავე მხრიდანაა სარდაფის შესასვლელიც.

ნაგებობას ჩოლოყაშვილის ქუჩის მხარეს მცირედ დეკორირებული ფასადი აქვს. ფასადი დანაწევრებულია ცრუ პილასტრებზე გადაყვანილი სამი განიერი თაღით, რ-ებშიც კარ-ფანჯრების ღიობებია დატანებული. ფასადი ძვ. აგურისაა, გარედან




005. სარდაფი. გეგმა

გალესილია. გვერდითი ფასადები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული, აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული. სახურავი ორკალთაა. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.


ლ. ანდრონიკაშვილი, ქ. მიქელაძე.

006. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ე. წ. ქართველების სასაფლაოზე. თარიღდება XIX ს-ით.



005. გეგმა

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო (11x8 მ). ძირითადად ნაგებია აგურით. გამოყენებულია რიყის ქვაც. შიგნით და გარედან შელესილ-შეთეთრებულია.



005. ჩრდ. ფასადი

დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. და დას. კედლები. აღმ. და ჩრდ. კედლები მიწის პირამდეა დანგრეული.


დას. კედლის შუაში შესასვლელია, მის ზემოთ კი – ფართო სარკმელი. ორივე ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. შიგნით შესასვლელი თარაზულად, ხის ძელითაა გადახურული. დას. სარკმლის გარდა, სამი მსგავსი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. სამხრ. კედელზე გამოყვანილია ოთხი მარტივი პილასტრი – თითო-თითო კიდეებში, ხოლო ორი – მათ შორის, რ-ებიც კედლის სიბრტყეს სამ თანაბარ ნაწილად ყოფენ. პილასტრები დასრულებულია სწორხაზოვანი პროფილის (თარო და კედლისკენ დახრილი ირიბი სიბრტყე) კაპიტელებით. პილასტრებზე გადაყვანილი იყო კამარის საბჯენი თაღები.



006. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

დას. კედლის მიმდებარე თაღის შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს (შემორჩენილია სამხრ. ნახევარი, დანარჩენი თაღებიდან კი მცირე ნაწილები), რომ თაღებსაც და კამარასაც ნახევარწრიული მოხაზულობა ჰქონდა.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები, გარედან, დანაწევრებულია საფეხურით შეღრმავებული, ვიწრო, მაღალი, ნახევარწრიულთავიანი თაღებით. სამხრ. ფასადზე სამი ასეთი თაღია. დას. ფასადზე კი – ორი. სამხრ. ფასადის სამივე თაღში სარკმლის ღიობი გამოდის. დას. ფასადზე არსებული თაღები კი ყრუა. ისინი, ვიწრო ჰორიზ. ზოლით, სიმაღლეში ორ არათანაბარ ნაწილად არის გაყოფილი. მათ შორის ზედა, რ-იც ქვედა ნაწილთან შედარებით უფრო დაბალია – გლუვია, ქვედა ნაწილში კი ერთი საპირეშემოვლებული, წრიული ნიშაა. ფასადის შუა ნაწილში, მთელ სიმაღლეზე, გამოყვანილია ფრონტონით დასრულებული, მძლავრი



006. გეგმა

შვერილი (კედლის სიბრტყიდან თითქმის 1 მ-ითაა გამოშვერილი), რ-იც, დას. კედელთან ერთად, სამრეკლოს სწორკუთხა საფუძვლის საყრდენს ქმნის. შვერილი, ლავგარდნის ვიწრო ზოლით, გაყოფილია არათანაბარი სიმაღლის ორ ნაწილად, რ-თაგანაც ქვედა, თითქმის ორჯერ უფრო მაღალია. ამ ნაწილის კიდეებს, მთელ სიმაღლეზე, სადა სვეტები აუყვება, შუაში კი ნახევარწრიული თაღი აქვს მოწყობილი. შვერილის ზედა ნაწილის ზედაპირი ერთიანია. ამ ნაწილის ცენტრში საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა, რ-ის სამივე მკლავის ბოლოსთან თითო საპირეშემოვლებული, წრიული ნიშაა – ქვედა ნიშები მკლავის ქვემოთაა მოთავსებული, ხოლო ზედა – მკლავის ასწვრივ, ფრონტონის წვერში. ჯვარიც და ფასადის ყველა ნიშა წითლადაა შეღებილი.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის თითოეული საფეხური ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის თითო რიგითაა გამოყვანილი. ლავგარდანი ყველაზე მეტად დას. ფასადს შემორჩა.

სამრეკლო ხუთწახნაგაა, დგას ოთხკუთხა, ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე. ხუთივე წახნაგი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი, რ-ებიც გადაყვანილია კუთხეებში მდგარ სვეტებზე. სამრეკლო დასრულებულია ხერხულა ლავგარდნით. გადახურულია პირამიდული ფორმის, ხუთწახნაგა სახურავით.

თ. დვალი.

007. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ე.წ. სომხების სასაფლაოზე. თარიღდება XIX ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (14,2x8,1 მ). ნაგებია აგურით (21x21x4 სმ). შიგნიდან შელესილია, ხოლო გარედან – შეთეთრებული.

შესასვლელები სამია: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი თაღოვანია.


ეკლესიის დარბაზი ვრცელია, აღმ-ით იგი დასრულებულია ღრმა, დარბაზის იატაკის მიმართ დაახლ. 1 მ-ით შემაღლებული აფსიდით, რ-იც გრძივი კედლებიდან ორიოდე მ-ის სიგანის „მხრებითაა“ გამოყოფილი. საკურთხევლის ბაქანი, აფსიდის მხრების მიმართ, რამდენადმე (დაახლ. 1 მ-ით) წინაა წამოწეული და ასასვლელ-ჩასასვლელად, ორივე ბოლოში, სამ-სამი საფეხური აქვს მოწყობილი. საკურთხეველი განათებულია აფსიდის ცენტრში გაჭრილი განიერი, თაღოვანი სარკმლით, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშაა. საკურთხეველი დანარჩენი სივრცისგან ხის აჟურული კანკელითაა გამოჯნული. აფსიდის კონქი და თაღი მოხატულია მზისა და ვარსკვლავების პირობითი გამოსახულებებით. თვით კონქის თაღი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. მის ზემოთ კი, კამარამდე, ორიოდე მ სიმაღლის, შვეული კედელია აყვანილი.

საკურთხევლის გვერდებზე თითო მცირე ზომის, გეგმით

სწორკუთხა სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებიც მხოლოდ დარბაზთან არის დაკავშირებული – განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი კარით. ორივე სათავსი კამაროვანია, თითო თაღოვანი სარკმლით აღმ-ით. ორივე სათავსის აღმ. კედელში თითო ნიშაა.

დარბაზის გრძივი კედლები და კამარა ორ-ორი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ეყრდნობა. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია მარტივი პროფილის იმპოსტები. საბჯენი თაღებიც და კამარაც ნახევარწრიული მოყვანილობისაა. პილასტრებს შორის შეისრულთაღოვანი, ბრტყელი ნიშაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიის კედლებში კიდევ ხუთი თაღოვანი სარკმელია: ორ-ორი სამხრ-ით და ჩრდ-ით და ერთი დას-ით. მათ შორის სამხრ. და ჩრდ. სარკმლები შესაბამისი კედლების განაპირა ნაწილებშია – ერთმანეთის პირდაპირ, დას-ისა კი – კედლის ღერძზე. ეს უკანასკნელი დანარჩენ სარკმლებთან შედარებით უფრო ვიწროა.

ეკლესიის გარეგნობა ბევრად უფრო შთამბეჭდავია ვიდრე მისი შიდა გადაწყვეტა. გაფორმების სისტემით გრძივი ფასადები ერთგვაროვანია. ფასადთა მორთულობის ძირითადი ელემენტებია ბაზისებიანი ლილვები და მათზე დაყრდნობილი, მუზარადისებრი თაღები. მსგავსი ფორმისაა სარკმელთა თაღები და მათი სათაურები, რ-ებიც ბუნებრივადაა შეთანხმებული სარკმლების მოხაზულობას-



007. გეგმა

თან. გამონაკლისი მხოლოდ დას. სარკმელია. ეს უკანასკნელი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული და დანარჩენი სარკმლებისგან განსხვავებით, სათაური არ გააჩნია. გრძივ ფასადებზე ექვს-ექვსი თაღია გამოყვანილი, განივ ფასადებზე კი – ხუთ-ხუთი. ოთხივე ფასადზე განაპირა თაღები ოდნავ დაბალია და გაცილებით უფრო ვიწრო, ვიდრე დანარჩენები. მათი არე სრულიად სადაა. დანარჩენი თაღების ცენტრში კი, შიდა აღნაგობის შესაბამისად – კარ-სარკმელთა ღიობებია განლაგებული. გრძივი ფასადების აღმ. თაღებში სათაურით მორთული თითო ცრუ სარკმელია. სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე, ყველა სარკმლის თავზე, თითო შეღრმავებული რომბია. თითო მსგავსი რომბია გამოყვანილი ოდნავ ზემოთაც – თაღებს შორის. სამივე შესასვლელის თავზე მოზრდილი ჯვრის გამოსახულებაა. აღმ. ფასადზე, ფრონტონის ძირის დონეზე, გამოსახულია შეღრმავებული, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, წითლად შეღებილი სამი ჯვარი, რ-თა შორის შუა ოდნავ უფრო მოზრდილია. მსგავსი სამი, ოღონდ თანაბარი ზომის ჯვარია გამოსახული დას. ფრონტონზეც. მათგან ორი – სარკმლის გვერდებზეა, ერთი – მის თავზე. ამავე ფასადის ქვედა ნაწილში, გვერდით თაღებში, სიბრტყის შეღრმავებით გამოყვანილი, მუზარადისებრი თაღით დასრულებული თითო ნიშაა.

კედლები დასრულებულია ლეკალური აგურებით ნაწყობი პროფილირებული ლავგარდნით. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის დას. კედელზე დადგმულია ექვსწახნაგა, ექვსი თაღით გახსნილი სამრეკლო, რ-საც პირამიდისებრი სახურავი ხურავს.

თ. დვალი.



007. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

008. ვახვახიშვილების ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. ნაწილში, „ბატონის ციხის“ სამხრ.-აღმ-ით, ხევგაღმა, სამასიოდე მ-ის მანძილზე. ნაგებია რიყის ქვით.

ციხის ისტორია უცნობია. იგი ისეა დანგრეული და გადაკეთებული, რომ მისი გეგმის მოხაზულობაც კი მიახლოებით დგინდება. ციხის ალაყაფის კარის თავზე მოთავსებული იყო ქვა სამშენ. წარწერით დედოფლისა თამარის მიერ აღზრდილმან გვარად ვახვახისამან ბაზიერთ უხუცესის ძემან თვით ბაზიერთ უხუცესმან ზაალ და ძმამან ჩვენმან ვახუშტიმ აღვაშენეთ და სრულ ვყავთ ზღუდე ესე და სახლ-სავანით განვაშენეთ და სამყოფად ჩვენდა შევმზადეთ. ადიდოს ღმერთმან მეფობა მათი, და აწ თქვენცა ნაგებობების დანიშნულება რუკის ლეგენდაში მითითებული არ არის). ციხე და მის შიგნით არსებული ნაგებობები (მებატონის სახლი, ეკლ. და სხვა სადგომები) დაფიქსირებული აქვს ი. გიულდენშტედტსაც. ეკლესის შესახებ ცნობებს იძლევა ე. თაყაიშვილი, რ-იც აქ XIX ს-ის ბოლოს ყოფილა.



008. საერთო ხედი სამხრ-დას-იდან. XIX ს-ის მიწურულის ფოტო

(ამჟამად დაკარგულია), რ-იც მკვლევართაგან პირველს გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურს ი. გიულდენშტედტს საქართველოში 1771-72 წწ-ში ყოფნისას უნახავს და გადმოუწერია (დაცულია სანქტ-პეტერბურგში, მის პირად არქივში). წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

„ქ: დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთასა, სრულ იქმნა ზღუდე ესე ქჯთკიროვანი მეუფებასა ჩვენ ზედა ქრისტესსა და მეფობასა ზეამაღლებულისა კახთა მეფისა თეიმურაზ მართლმადიდებლისა ძისა საქართველოს მეფის ერეკლესა და დედოფლობასა დედოფლისა თამარ კეთილმორწმუნისა ასულისა ქართველთ მეფის ვახტანგისა და ძისა მათისა უფლის წულისა ბატონისშვილის ერეკლეს ძე ბაგრატოვანთას, მრავალჟამიერ ყოს ღმერთმან ცხოვრება მათი. ჩვენ მათ მიერ წარჩინებულმან თავადმან გეგედრებით მხილველთა ამის ნაშრომისათა და აღმომკითხველთა ძეგლისა ამის შენდობით მოგვიჴსენებდეთ ნაშრომისა ამისთვის და ღმერთმან თქვენცა გღირს გყოთ წყალობისათვის ამინ. ივლის ⅁. ქკს. ულა ამინ.“

წარწერა უნახავს მ. ბროსეც, რ-ის ნაწილი მან 1850 წელს გამოსცა. წარწერის თანახმად, ძ. აგებულია 1743 წელს, ბაზიერთ-უხუცესის ზაალისა და მისი ძმის ვახუშტის მიერ.

ქალაქის ადრეული გეგმების მიხედვით, ციხის გეგმა ტრაპეციის მსგავსია, რ-ის კუთხეებში მრგვალი, გალავნის ფარგლებს გასული კოშკებია ჩართული. კუთხეების გარდა, ერთი ცილინდრული კოშკი გალავნის აღმ. კედლის შუაშიცაა. ერთ-ერთ რუკაზე, რ-იც 1802 წელსაა შედგენილი, ციხეს რუსულად აწერია „რევაზ ვახვახიშვილის ციხე“, ციხის ჩრდ.-დას. კუთხეში მდგარ ეკლესიას კი – „აღდგომის ეკლესია“ (დანარჩენი მას შემდეგ, რაც ციხემ ფუნქცია დაკარგა, მან მნიშვნელოვანი ნგრევები და გადაკეთებები განიცადა – შემორჩენილი კოშკების ნაწილი საცხოვრებლებად გადააკეთეს, ეზოში კი მრავალი ნაგებობა ჩადგეს. კოშკებიდან ზოგიერთი იმდენადაა გადაკეთებული, რომ მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენაც კი არ ხერხდება.

ციხის შემორჩენილი კოშკებიდან ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა გალავნის აღმ. კედლის შუაში მდგომი, ცილინდრული კოშკი. მას ზედა ნაწილი მონგრეული აქვს და სართულიანობა არ ირკვევა. პირველი სართული ქვა-ღორღითაა ამოვსებული. მეორე სართულზე მოხვედრა ეზოდან ხდება ქვის კიბით, რ-იც გალავანს ჩრდ-იდან მიჰყვება. სართულის კედლებში, ქვედა რიგზე, ოთხი სხვადასხვა ზომისა და ფორმის საზარბაზნე და ხუთი შეწყვილებული სათოფურია.

ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკი ოვალური გეგმისაა. იგი ამჟამად საცხოვრებლად გამოიყენება და იმდენად არის გადაკეთებული, რომ პირვანდელი სახე მთლიანად დაკარგული აქვს. გარედან მხოლოდ ის ირკვევა, რომ ორივე სართულზე სათოფურები იყო გაჭრილი. საცხოვრებლადაა გამოყენებული სამხრ.-აღმ. კუთხის კოშკიც, რ-საც შესასვლელი ეზოდან უნდა ჰქონოდა. კოშკის პირველ სართულზე მხოლოდ ბუხარია. ბუხარი, მის ასწვრივ, მეორე სართულზეცაა (ამჟამად გაგანიერებულია). ეს სართული გუმბათოვანი კამარით ყოფილა გადახურული. გარედან, კედლის შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, რომ სათოფურები ამ სართულსაც ჰქონია.

სამხრ.-დას. კუთხის კოშკი დანარჩენებზე დიდია. შემორჩენილია ორი სართულის სიმაღლეზე. ორივე სართული გადაკეთებულია. პირველ სართულს ჰორიზ. გადახურვა ჰქონია. მეორეს კი გლუვზედაპირიანი გუმბათი აქვს.

ჩრდ.-დას. კოშკი რვაწახნაგაა. დანარჩენი კოშკების მსგავსად, ეს უკანასკნელიც ძლიერ არის სახეშეცვლილი. ამჟამად მას შეისრულთაღიანი, ძალზე ვიწრო და მაღალი სარკმლები აქვს. სართული გადახურულია შემაღლებული პროპორციების მქონე შეისრული კამარით. კედლებზე და კამარაზე გამოყვანილია ნერვიურებისებრი ლილვები. სართული შიგნით და გარეთ ამჟამად შელესილ-შეღებილია. კოშკს ირგვლივ შემოუყვება გვიანდ., ხის აჟურული აივანი.

ქალაქის ძვ. გეგმისა და ი. გიულდენშტედტის ჩანახატის მიხედვით გალავანს ჭიშკარი დას-ით ჰქონია. ჭიშკრის არსებობის ფაქტი დასტურდება ა. როინაშვილის მიერ XIX ს-ის II ნახევარში გადაღებული ფოტოს მიხედვითაც. ამავე ფოტოდან ისიც ირკვევა, რომ ციხის დას. კედლში ჩართულია საშ. ზომის დარბაზული ეკლ., რ-საც სამხრ. მხრიდან, ფასადის დას. ნაწილზე, მიდგმული ჰქონდა, ეკლესიაზე რამდენადმე მოკლე, დაბალი, სწორკუთხა ნაგებობა, რ-ზეც წრიული გეგმის, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი სამრეკლოა დადგმული. მეორე კარი ციხეს ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთში ჰქონია.

თ. დვალი.



008. ჩრდ-დას. კოშკი და გალავნის დას. კედლის ნაწილი, ხედი სამხრ-დას-იდან



008. სამხრ-აღმ. კოშკი. ხედი სამხრ-იდან

ბიბლ.: 12; 17; 18; 37ა,ბ; 66; 72; 74; 167; 212; 317; 330.

009. თელავის ისტორიული მუზეუმი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობისა. ისტ. ძ. დაარსდა 1927 წელს, ადგილ. მხარეთმცოდნეობის საზოგადოების და მათი წარმომადგენლების გ. მელითაურის, დ. ჩხეიძის (თურდოსპირელი – მუზეუმის პირველი დირექტორი), ვ. პაატაშვილისა და სხვათა ინიციატივით, როგორც მხარეთმც. მუზეუმი. თავდაპირველად იგი განთავსებული იყო ძვ. ხაზინის შენობაში. 1935 წლიდან სახელმწიფო დაწესებულებაა, რ-ის დირექტორად დაინიშნა ალ. მამულაშვილი. მისი თაოსნობით მუზეუმი მალევე განთავსდა მეფე ერეკლე II-ის ყოფილი სასახლის რამდენიმე დარბაზში. 1943 წელს ეწოდა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. წლების განმავლობაში მუზეუმი გაფართოვდა და დაემატა საექსპოზიციო დარბაზები. 1963 წელს გაიხსნა ქ. იაშვილის მიერ მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემული სურათების გალერეა. 1983 წლიდან მუზეუმი კიდევ უფრო გაფართოვდა. ახ. ექსპოზიცია გაიხსნა წმ. ნინოს სასწავლებლის ყოფილ შენობაში. ექსპოზიციები გამდიდრდა ბაგრატიონთა საგვარეულოს ნაქონი უნიკალური ნივთებით. 1985 წლიდან მუზეუმი გიორგი ჩუბინაშვილის სახელობისაა. 2011 წელს ეწოდა თელავის ისტორიული მუზეუმი.

მუზეუმში, ერეკლე II-ისა და ბაგრატოვანთა სამეფო გვარის წარმომადგენელთა მემორიალურ ნივთებთან ერთად, დაცულია ნუმიზმატიკის, ადრინდ. და გვიანდ. შუა საუკუნეების არქეოლ. მასალა, XVII-XIX სს-ის სპილენ-

ძის საოჯახო ნივთების, საბრძოლო იარაღის, სამოსელის, ხალიჩებისა და ფარდაგების მდიდარი კოლექციები, ხელნაწერები, მეფე ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები, სახვითი ხელოვნების საინტერესო ნიმუშები. ქ. იაშვილის სახ. სამხატვრო გალერეაში დაცულია მის მიერ მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემული კოლექციის 187 ექსპონატი. მ. შ. XIX ს-ის გერმანული, რუსული, ფრანგული, ჰოლანდიური მხატვრობისა და მცირე პლასტიკის ნიმუშები, აგრეთვე ქართველ მხატვართა (გ. გაბაშვილი, დ. გველესიანი, ელ. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი, ჯ. ხუციშვილი და სხვ.) ნამუშევრები. ამჟამად მუზეუმის ფონდებში დაცულია 67 000-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმში არსებობს სამეცნ. ბ-კა და ფოტოფონდი (ალ. როინაშვილის, დ. ერმაკოვის, ლ. ტორისა და სხვა ფოტოხელოვანთა 7000-ზე მეტი ფოტოსურათის კოლექცია).

2008 წლიდან თელავის ისტორიულ მუზეუმს მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ), ხოლო სამუზეუმო კომპლექსს (იხ. სტ. 004. ბატონის ციხის კომპლექსი) – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ც. ამირანაშვილი, თ. რუსიშვილი.



009. საგამოფენო დარბაზი

010. თელავის პირველი საჯარო სკოლა, ვაჟა-ფშაველას სახელობისა. ისტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის მოედანზე (№ 8). პირვანდელი სახით არ შემორჩენილა. სკოლა 1758 წელს დაუარსებია ერეკლე II-ს. თავდაპირველად ატარებდა ფილოსოფიური სკოლის სახელს. 1782 წელს გადაუკეთებიათ სასულ. სემინარიად. იარსება 1801 წ-მდე. მისი პირველი რექტორი იყო გაიოზ ნაცვლიშვილი. 1818 წელს თელავის სასულ. სემინარიის შენობაში გაიხსნა სასულ. სასწავლებელი, რ-იც 1917 წელს გადაკეთდა ვაჟთა გიმნაზიად. აქ სწავლობდნენ: ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი, ნიკო შიუკაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, ივანე ბერიტაშვილი და სხვ. 1921 წლიდან ვაჟთა პირველი გიმნაზია თელავის პირველ საშ. სკოლად მოიხსენიებოდა. სკოლას აქვს ქვედა საგნობრივი კაბინეტი და 20 საკლასო ოთახი. შენობა ორსართულიანია, ნაგებია ქვითა და აგურით, გადახურულია თუნუქით.

ც. ბერძენიშვილი.

ბიბლ.: 77

011. თელავის სტამბა, ისტ. ძ. მდებარეობს აბანოს შესახვევში (№ 3). საფუძველი ჩაეყარა 1890 წელს, ცნობილი მესტამბის ექვთიმე ხელაძის მიერ. ამ დროიდან დაიწყო თელავში ქართ. წიგნის ბეჭდვა.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს თელავში დაარსდა არალეგალური სტამბა, რ-შიც იბეჭდებოდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები, მოწოდებები. 1905 წლის ივლისში ჟანდარმერიამ სტამბა დაარბია, მაგრამ მისი სრული ლიკვიდაცია ვერ მოახერხა. 1906 წელს აქ კიდევ იბეჭდებოდა პროკლამაციები. არალეგალური სტამბის სრული დარბევა ჟანდარმერიას 1907 წლის იანვარში მოუხერხებია. შემდგომში ლეგალური სტამბის მეპატრონეები ყოფილან



010. საეროო ხედი

გ. თათუზოვი და კ. ონიკაშვილი. ონიკაშვილის სტამბაში 1919 წელს იბეჭდებოდა გაზ. „ახალგაზრდა ქართველი“, რ-შიც თანამშრომლობდა ქართვ. პედაგოგი და საზ. მოღვაწე ივანე როსტომაშვილი.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სტამბა გამოცხადდა სახელმწ. დაწესებულებად, სადაც სხვადასხვა პროდუქციასთან ერთად, იბეჭდებოდა რაიონული გაზეთები: „ალაზნის განთიადი“, „კოლმეურნის ხმა“, პედაგოგიური სასწავლებლის ლიტერატურული წრის კვირეული გაზ. „პირველი ნაბიჯი“, ჟურნ. „საბჭოთა მასწავლებელი“ და სხვ. სტამბა ამჟამადაც ფუნქციონირებს.

თ. ჩიმაკაძე.

012. თელავის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკა, ისტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის ქუჩაზე (№ 1), საცხოვრ. სახლის პირველ სართულზე (ფართ. – 400 *კვ მ*). დაარსდა 1884 წელს ქართვ. პედაგოგისა და საზ. მოღვაწის ივ. როსტომაშვილის თაოსნობით. გახსნილად გამოცხადდა 1885 წლის 20 იანვარს. ძვ. შენობა (ამჟამად აღარ არსებობს) იდგა თავისუფლების მოედანზე. ივ. როსტომაშვილს სხვადასხვა დროს ეხმარებოდნენ: რ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, ი. დავითაშვილი, ვ. ბარნოვი და სხვ. 1972 წელს თელავის ბ-კა გადაკეთდა ცენტრალურ სარაიონო ბ-კად.

ზ. ჯამბურია.

013. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნადიკვრის ჩიხში (№ 13). აგებულია XVIII ს-ში. ეკუთვნოდა თავად ვახვახიშვილებს.

მარნის დარბაზული სივრცე თავისი ზომებით და კედლების განსაკუთრებული, ოსტატური წყობით, გამორჩეულია დღემდე ცნობილ ამგვარი დანიშნულების ნაგებობებს შორის.

მარნის ძირითადი ნაწილი ნალისებრი კამარითაა გადახურული, ხოლო შესასვლელი გვერდით – ბრტყელი კამარით. მარანი ორნავ შეისრული კამარით. მარნის კედლებზე შემორჩენილია ძვ. ნიშები და თახჩები. გარდა ამისა, მრავლად არის საბჭ. პერიოდში ჩატარებული რეკონსტრუქციის დროინდელი ელემენტებიც.




013. ინტერიერი

014. „სადროშე“, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. ნაწილში. „ბატონის ციხის“ კომპლექსის სამხრ.-დას-ით, ასიოდე მ-ის მანძილზე. სავარაუდოდ, თარიღდება XVIII ს-ით. 1980 წ-იდან იგი, ამ ადგილას აგებული, თელავის დრამატული თეატრის შენობის ინტერიერშია მოაქცეული.

ესაა გეგმით სწორკუთხა, შემაღლებული პროპორციების მქონე ნაგებობა (8,5x6,6 *მ*), რ-იც სიმაღლეში ორ თანაბარ, ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად განსხვავებულ ნაწილად იყოფა. ორივე ნაწილი ერთგვარი საშენი მასალითაა ნაგები და ერთმანეთთან ისეა შეხამებული, რომ მათ შორის საზღვარი თითქმის შეუმჩნეველია. ნაგებობის ქვედა ნახევარი ეკლესია-სამლოცველოა. ზედა კი – საბრძოლო ელემენტებით აღუჭურვილი, თავდაცვითი სადგომი.

ძ. ნაშენია სწორ რიგებად დაწყობილი, წვრილი რიყის



014. გეგმა

ქვით. კარ-სარკმლების გამოსაყვანად, კონსტრუქციულ ელემენტებში, კუთხეებსა და, ალაგ-ალაგ, კედლებში გამოყენებულია კვადრ. აგური.



014. ხედი სამხრ.-დას-იდან

შენობას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. მათ შორის დას-ისა, კედლის ცენტრშია, დანარჩენი ორი კი – შესაბამისი კედლების დას. ნაწილში. სამივე კარი ისრული თაღითაა გადახურული და გარედან ჩასმულია საფეხურით შედრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-საც აგვირგვინებს კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი, ვიწრო ფრიზი. შიგნით შესასვლელები თარაზულად, ხის ძელითაა გადახურული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც გრძივი კედლებიდან პილასტრებითაა გამიჯნული. აფსიდის ცენტრში მოწყობილია დაბალი, შეისრული თაღით დასრულებული სარკმელი, გვერდებში კი – თითო, დაბალი, გეგმით ნახევარწრიული, ნახევარწრიული თაღითვე დასრულებული ნიშა.

აფსიდის სარკმლის გარდა, თითო შეისრულთაღიანი სარკმელი გრძივი კედლების შუაშიცაა. ყველა სარკმლის თაღი აგურითაა გამოყვანილი. აფსიდის გამმიჯნავი პილასტრები კი – რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. მსგავსადაა ნაწყობი კარ-სარკმლების წირთხლებიც.

გრძივი კედლების შუაში და დას. კუთხეებში მარტივი, შეკიდული პილასტრებია, რ-ებიც შემორჩენილ კედლებს თითქმის ბოლომდე აუყვება. ქვედა, თავდაპირველ ნაწილში, პილასტრები აგურითაა ნაწყობი, ზედაში კი – რიყის ქვით. რაც ნაწილების ქრონოლოგიურ სხვაობაზე მიგვანიშნებს. პილასტრებზე გადაყვანილი იყო საბჯენი თაღები, თაღებზე კი, კამარა იქნებოდა დაყრდნობილი.

შენობის დას. კედელში ამავე მხრიდან მოწყობილ, ხის აივანზე (შემორჩენილია აივნის საყრდენი ძელების ნაშთები) გასასვლელი კარია, რ-იც შიგნით თარაზულადაა გადახურული, გარედან კი ნახევარწრიული თაღით. კარის ზემოთ, კედლის განაპირა ნაწილებში, თითო სათოფურია. ერთი სათოფური აღმ-ითაცაა, ჩრდ-ით კი ორი მცირე, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

გარედან, ჩრდ. შესასვლელის გვერდებზე, წყობაში ჩასმული, ცისფრად მოჭიქული აგურებით, თითო ჯვარია გამოყვანილი. შენობა გადახურული იყო ორფერდა სახურავით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 167.

015. სავაჭრო რიგები, არქიტ. ძ. მდებარეობს თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე (№ 13). აგებულია XIX ს-ის I ნახ-ში.

შენობა ერთსართულიანია. სავაჭრო რიგის თაღოვანი ნიშები ქუჩის საყრდენ კედელშია დატანებული, რ-იც რიყის ქვით და კვადრ. აგურის შერეული წყობით არის ამოყვანილი. თავად სავაჭრო რიგი კი – აგურისაა. თაღების პროფილები აგურისავე პილასტრებს ეყრდნობა. თითოეულ ნიშაში ერთი კარი და ორ-ორი სარკმელია ჩასმული. ყოველ თაღში თითო-თითო სათავსია, განაპირა სათავსში შიდა კიბეა, რ-იც სავაჭრო რიგის ზემოთ მდებარე სახლის ეზოში ადის.




015. საერთო ხედი

ნაგებობას ეტყობა საბჯ. პერიოდის შეკეთებების კვალი, ინტერიერი კი, თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი.


016. სავაჭრო რიგი, არქიტ. ძ. მდებარეობს ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 18). აგებულია XIX ს-ის I ნახ-ში.

შენობა ერთსართულიანია. ნაგებია კვადრ. აგურით. მთავარ ფასადზე, აგურის პილასტრებზე დაყრდნობილ თაღებში, ვიწრო სარკმლებია ჩასმული. ნაგებობასა და გვერდით სახლს შორის ჭიშკარია.


ეზოს მხარეს სახლი ორსართულიანია. I სართული ნახევარსარდაფია, რ-ის წინ, II სართულის, ხის აივნის დასაყრდენი, აგურის, ოთხკუთხა სვეტებით მოსაზღვრული, ღია ტერასაა. ტერასაზე რამდენიმე ღიობი გამოდის. კედელში, ძვ. თონის ნაშთია. II სართულის ხის აივნიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ ფსევდოდორიული მოტივით გაფორმებული სვეტები.



016. I სართულის გეგმა



016. მთავარი ფასადი



016. II სართულის გეგმა

თაღოვანი ღიობებით გაფორმებული, ერთსართულიანი, სავაჭრო რიგები ისტ. თელავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.


2011-12 წწ-ში შენობას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივიშვილი).

სახლი გადახურულია კრამიტით.



016. საერთო ხედი

017. სავაჭრო რიგი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 54). აგებულია XIX ს-ში.



017. გეგმა

შენობა ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. სახლის ინტერიერი სავაჭრო დანიშნულებას პასუხობს. ქუჩისპირა ოთახები დიდი ზომისაა და ერთმანეთს კარებით უკავშირდება.

მთავარი ფასადი ჩოლოყაშვილის ქუჩაზე გამოდის. იგი



017. საერთო ხედი (რესტავრაციამდე)

ოთხი თაღოვანი ნიშით არის დანაწევრებული. ეზოს მხარეს ხის, ჭვირული აივანია.

2011-12 წწ-ში შენობას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ატორი, არქიტ. დ. გივიშვილი).

სახლი გადახურულია კრამიტით.

018. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ჭაბუა ამი-

რეჯიბის ქუჩაზე (№ 11). თარიღდება XIX ს-ის მიწურულით.

სახლი ერთსართულიანია, აგურის. შენობა გრძივი ფასადით ქუჩაზე გამოდის. ფასადი ხუთი ღიობით რიტმულად არის დანაწევრებული. ფასადის ცენტრში სადარბაზოს ლითონისცხაურიანი, ხის კარია მოთავსებული, რ-ის აქეთ-იქით ორ-ორი სარკმელია. კარის თავზე ლითონის ორკალთა მარკიზია. კარიც და სარკმლებიც მშვილდისებრთაღოვანია. სარკმლების თავზე დეკორატ. ზღუდარებია გამოყვანილი. სახლს კბილანისებრი ფრიზი მიუყვება, რ-ის თავზე მართკუთხა ნიშებით დანაწევრებული პარაპეტია.

გვერდითი ფასადები აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით არის ნაშენი. ეზოს მხარეს ადრე არსებული, ხის აივანი ამოშენებულია.

შენობა გადახურულია თუნუქით.

019. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩაზე (№ 12). თარიღდება XIX ს-ის ბოლო, XX ს-ის დასაწყისით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. ძირითადი გეგმარებით იგი ოროთახიანია. ეზოს მხარეს მიშენებულია და-



019. საერთო ხედი

მატებითი სათავსები. სახლს აქვს მაღალი სარდაფი.

ქუჩის მხარეს შენობა ორი სწორკუთხა სარკმლით და სადარბაზოს კარის ღიობით გამოდის. ფასადი, აგურის წყობით, საინტერესოდ არის დეკორირებული: საპირეები, ზღუდარები, ლავგარდანი და პარაპეტი აგურის დეკორატ. პროფილებით არის გამოყვანილი. სადარბაზოს კარი ხის არის, კვეთილი. მარკიზი ლითონისაა – დეკორატ. კონსოლებით. კარი უერთდება აივანს, რ-იც ხის ჭვირული მოტივებით არის შემკული, განსაკუთრებით მდიდრულია აფრების ნახატი.

გადახურვა კრამიტისაა.

020. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 2). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით.

შენობას, არქიტექტურულთან ერთად, ურბანული ღირე-



020. აივანი, დეტალი

ბულებაც გააჩნია, რადგან იგი ერეკლე II-ის მოედნისა და ახვლედიანის ქუჩის კუთხეს მიგვანიშნებს.

სახლი ორსართულიანია, ნაგებია კვადრ. აგურით. ინტერიერში ფიცრის ძვ. იატაკი, შელამფული ჭერი, ხის თახჩები და კედლის ბუხრებია.

ფასადები თეთრადაა შელესილი. კარ-სარკმლები თაღოვანია, მაღალი. ქუჩისპირა ფასადის მთავარი აქცენტი ლითონის შეკიდული, ჭედური აივანია.

ეზოს მხარეს, სახლს ძვ. კარ-სარკმლები შემორჩა – თაღოვანი, პროფილირებული თავსამკაულით. ხის აივნები სახეცვლილია. სახლს მაღალი ნახევარსარდაფი აქვს.

სახლის წინ ეზოა, რ-იც ერეკლე II-ის მოედნის მხრიდან, თუჯის მოაჯირით იყო მოზღუდული. 2011-12 წწ-ში ჩატარებული სარესტ. სამუშაოების (პროექტის ავტორი, არქიტ. ი. საბანაძე) დროს იგი ლითონის მსუბუქი ღობით შეიცვალა.

021. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 4). თარიღდება XIX ს-ის შუა წლებით. შენობა ერთსართულიანია. დგას მცირე სიმაღლის ცოკოლზე. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შედგება ერთ მწკრივად განლაგებული, თითქმის თანაბარი ზომის სამი ოთახისაგან, რ-თა ბლოკი, ეზოს სიღრმეში, მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის (16x9 მ), ქუჩისკენ კი ვიწრო ფასადით გამოდის. ეზოს მხარეს, შენობის მთელ სიგრძეზე, აგურისსვეტებიანი აივანია. ოთახებში შესასვლელი აივნიდანაა. მათგან ორი ოთახი ერთმანეთისგან ტიხრითაა გამიჯნული. ტიხარში კარია გაჭრილი. მესამე კი იზოლირებულია, შესასვლელი მასაც აივნიდან აქვს. სამივე ოთახში, აივნის მხარეს, ორ-ორი სარკმელია გაჭრილი. განაპირა ოთახს, ქუჩის მხრიდან, კიდევ ორი სარკმელი აქვს. შენობის ზურგი ყრუა, უკარ-სარკმლო. ოთახებში თითო ნახევარწრიული ბუხარია. აივანი მხოლოდ ეზოს მხარესაა გახსნილი, გვერდებიდან კი კედლებითაა შემოფარგლული. აივნის შესასვლელი ეზოს სიღრმეში მდებარე (გვერდის) კედელშია მოწყობილი. მის წინ ორსაფეხურიანი კიბეა. ამ კედლის მოპირდაპირე მხარეს ნახევარწრიული, შვერილი თაროთი დასრულებული ბუხარია. ბუხრის გვერდით კი – მცირე, სწორკუთხა ნიშა. მოგვიანებით, აივანზე ასასვლელად, გრძივი ფასადის მხრიდან, მიუშენებიათ ოთხსაფეხურიანი ქვის კიბე. განუახლებიათ და თუნუქით გადაუხურავთ აივნის სახურავი, რ-იც ცალფერდაა და სვეტებზე გადებულ ხის ძელს ეყრდნობა.

სახლის ფასადებიდან თავისი გაფორმებით გამოირჩევა ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადი. მისი სიბრტყე დანაწევრებულია ოთხი გლუვი პილასტრითა და საფეხურით შეღრმავებული, სამი, თაღოვანი არით. მათ შორის განაპირებში სწორკუთხა სარკმელია ჩასმული, შუა კი ყრუა. პილასტრები დასრულებულია მაღალი, სწორხაზოვანი პროფილის კაპიტელით, რ-თა პროფილი პილასტრების გვერდებზე დარჩენილი კედლის სიბრტყეებზე შეუცვლელად გადადის. ფასადის ქვედა ნაწილში, მთელ სიგრძეზე, ორი თაროა გამოყვანილი. მათ შორის ზედა, სარკმლების ძირის დონეზე მდებარე, ორსაფეხურიანია, ხოლო ქვედა – ერთსაფეხურიანი. შენობის კედლებს ასრულებს აგურის საფეხუროვანი ლავგარდანი, რ-ითაც გვერდის ფასადებზე ფრონტონის არეები იფარგლება. ფრონტონის არეში, სხვენის გასანიავებლად, ორი, მრგვალი ღიობია. სახურავი ორკალთაა, დაბურულია კრამიტით.

თ. დვალი.

022. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 5). თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. შელესილია თეთრად. კარ-სარკმლების მოხაზულობა სწორკუთხაა. I სარ-



022. მთავარი ფასადი, დეტალი

თულის ცენტრალურ ნაწილში ჭედური ჭიშკარია განთავსებული. მარცხ. ბოლოში კი – სადარბაზოს, ლითონისცხაურიანი, ხის კარია.

II სართულის საფასადო სიბრტყე ასევე სწორკუთხა, განიერი სარკმლებით არის დანაწევრებული. ფასადის ცენტრ. ნაწილში რკინის შეკიდულ აივანზე გამავალი კარია. ღიობების გადახურვის ცენტრში სოლისებრი ქვის მსგავსი, ნალესი ელემენტია გამოყვანილი.

შენობის პარაპეტი პილასტრებითაა დანაწევრებული. პილასტრების კაპიტელები მკვეთრადაა გამოკვეთილი.

სახლს, ეზოს მხარეს, ხის ჭვირული აივნის მხოლოდ ნაწილი შემორჩა. შენობას მაღალი სარდაფი აქვს.

023. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 7). თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით.

მაღალი, ორსართულიანი სახლი ახვლედიანის ქუჩის აღმართის დასაწყისში დგას. სახლის ფასადი მდიდრულად არის გაფორმებული: ცრუ რუსტიკით,



023. მთავარი ფასადი, დეტალი

პროფილირებული პილასტრებით, დეკორატ. ლავგარდნებითა და ცენტრში მკვეთრად აქცენტირებული ფრონტონით. ცენტრ. ღიობის წინ ლითონის შეკიდული, ნაჭედი აივანია. ყველა დეტალი ცხადყოფს სახლის არქიტექტურის სიახლოვეს სახაზინო პროექტების მოთხოვნებთან. ამით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თელავის XIX-XX საუკუნეების მიჯნის არქიტექტურაში.

სახლს ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე, ხის სვეტებიანი, ჭვირული აივანი გასდევს, რ-იც შენობის კუთხეებს წრიულად უვლის. ოთახების რიგი აივანზე გამოდის, შიდა გეგმარებით კი ერთიან ანფილადად იკვრება.

სახლს ძვ. აგურით ნაშენი, თაღოვანი სარდაფი აქვს. ინტერიერებში შემორჩენილია შელამფული ჭერი, ხის იატაკი, ძვ. დარაბები, კარ-სარკმლების სახელურები.



023. აივანი, დეტალი

024. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 8). თარიღდება XIX ს-ით.

ნოტარიალური საბუთის თანახმად, სახლი 1885 წლიდან ეკუთვნოდა ვინმე როსტომოვს, რ-მაც 1920 წელს იგი სამხ. აკადემიას გადასცა. 1921 წელს შენობაში საბავშვო ბაღი განთავსდა, მომდევნო ხანებში კი – სხვადასხვა უწყებები. ამჟამად შენობაში ისევ საბავშვო ბაღია განთავსებული.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. აქვს სარდა-



024. საერთო ხედი

ფი. მთავარი, ქუჩისპირა ფასადის ცენტრში, ხის, სადარბაზო კარია, რ-ის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, სამ-სამი სარკმელია განლაგებული. სარკმლების ძირის დონეზე, აგურით გამოყვანილი თაროა. სარდაფის სართული ლავგარდნითაა გამოყოფილი. სადარბაზო კარის გვერდებზე თითო სადა პილასტრია, რ-იც ფასადს მთელ სიმაღლეზე აუჯვება. ფასადი დასრულებულია ლავგარდნით და მაღალი პარაპეტით.

შენობა გადახურულია თუნუქით. სახლს გვერდიდან და ეზოს მხრიდან აქვს თანამედროვე მინაშენები.

025. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 12). აგებულია XIX ს-ის შუა წლებში. ეკუთვნოდა I ჰილდიის ვაჭარს ხიჩოევს.



025. ხედი ეზოს მხრიდან

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. მისი ერთი ნაწილი განახლებულია თანამედროვე მასალით, რის გამოც თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს. მეორე, ძვ. ნაწილი კი, ნგრევის პირასაა მისული. ქუჩის მხარეს მდიდრულად მოხარატებული, ხის ღია აივნებია. აივნის მოაჯირები, ორივე სართულზე, ნაწილობრივ შემორჩა, უფრო მეტად შემონახულია აფრები და ხის ავთენტური, სახასიათო ორნამენტის მქონე კარები. I სართული აგურის, სწორკუთხა სვეტებით არის მოსაზღვრული. კარ-ფანჯრები სწორკუთხაა, სწორკუთხავე ალათებით. იგივე ხასიათის არის II სართულის ღიობების ნახატი.

026. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 15). აგებულია XIX ს-ის I ნახევარში.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. სახლის მთავარი, ქუჩისკენ მოქცეული ფასადი იმპოზანტურად არის გადაწყვეტილი. ფასადის ორივე ბოლოში ხის კვეთილი, მარკიზიანი, სადარბაზო კარია, რ-ებსაც გვერდებზე რუსტირებული, პილასტრისმაგვარი შვერილი აუყვება. შესასვლელებს შორის ხუთი განიერი, სწორკუთხა სარკმელია – მაღალი, სოლისებრი, „საჭექი ქვებით“ ზღუდრების შუაში. სარკმლებს შორისაც რუსტირებული, პილასტრისმაგვარი თითო შვერილია. ფასადი დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით დაგვირგვინებული, მაღალი პარაპეტით, რ-იც დანაწევრებულია შვერილების ასწვრივ გამოყვანილი პილასტრებით. სარკმლების ზემოთ მოქცეულ ნაწილში თითო დაბალი, მოგრძო შეღრმავებაა. შესასვლელების ზემოთ არსებული ნაწილები კი, დანარჩენი ნაწილის მიმართ, შემაღლებული, ნახევარწრიული ფრონტონითაა დასრულებული.

ცალ მხარეს სახლს ძვ. ალაყაფის კარი აქვს. ინტერიერი ხალვათია. ნაწილობრივ შერჩენილია ავთენტური იატაკი, ჭერი, კედლის ბუხრები და დარაბები. ეზოს მხარეს სახლი სახეცვლილია. სარდაფები მაღალია, თაღოვანი.

027. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 17). თარიღდება XIX ს-ის I ნახევრით.

სახლი ეზოს სიღრმეში, ახვლედიანის ქუჩისა და მისი ჩიხის კუთხეში დგას. ნაგებია ძვ. აგურით, ძლიერ სახეცვლილია. ავთენტური ნაწილებიდან შემორჩენილია მრგვალი, მასიური ბოძები, რ-ებსაც II სართულის აივნები ეყრდნობა. აივნები გადაკეთებულია შუშაბანდებად. მოაჯირების რიკულები ძველია, ოსტატურად გაჩარხული. კარ-სარკმლების ზღუდარები, აგურის წყობით, რკალურად არის გამოყვანილი.

ინტერიერი, თაღოვანი სარკმლებით და კედლის თაბჩებითურთ ავთენტურია.

028. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 19). თარიღდება XIX ს-ის მიწურულით. სახლის მფლობელის გადმოცემით, იგი აუშენებია ვინმე გაბელოვს. მთავარ ფასადზე, სადარბაზოს გვერდით, გაკრულია მემორ. დაფა წარწერით: „აქ 1900-1909 წწ-ში ცხოვრობდა უკრაინელი მწერალი ლესია უკრაინკა“.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. შედგება სწორი კუთხით დაკავშირებული ორი ნაწილისგან. აქვს სარდაფი. ქუჩის მხარეს რუსტირებული პილასტრებით დანაწევრებული, მთავარი ფასადია ექვსი სარკმლით (მარცხ. განაპირა სარკმელი ამოშენებულია) და სადარბაზოს კარით. სარკმლებს, ძირის დონეზე, ერთიანი, ჰორიზ. თარო გასდევს. სარკმლები დასრულებულია შვერილსოლებიანი, მშვილდისებრი თაღით. სადარბაზოს კარი ხისაა, ცხაურით. კარს ზემოდან ადგას თუნუქის მარკიზი. ეზოს მხრიდან, ორივე ნაწილის წინ, ხის, ჭვირულმოაჯირიანი, ღია აივანია, რ-საც კუთხეები მომრგვალებული აქვს. აივნის ერთი ნაწილი შეცვლილია ლითონის ახ. აივნით. ეზოდან სახლს თანამედროვე მინაშენიც აქვს.

სარდაფში ჩასასვლელი ეზოდანაა. სარდაფი გადახურულია აგურით ამოყვანილი კამარით. შერჩენილია ძვ. ხის კარი. შენობა გადახურულია თუნუქით.

სახლი, თავისი მასშტაბით და ფასადის მხატვრული გადაწყვეტით, ქუჩის საერთო განაშენიანების ორგანული ნაწილია.

029. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 24). თარიღდება XIX ს-ით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. შესასვლელი მთავარი ფასადის მარჯვ. კუთხეშია განთავსებული. კარის ორივე მხარეს რუსტირებული პილასტრებია, ხოლო ცხაურში ჩაწნულია რუსული ასოები – „ი“ და „კ“. კარის გარდა, მთავარ ფასადზე გამოდის, ერთმანეთისგან რუსტირებული პილასტრებით გამიჯნული, შვიდი სარკმელი. სარკმელთა ქვეშ და თავზე სწორკუთხა ჩაღრმავებებია. სარკმლები გაფორმებულია პროფილირებული თავსართებით. შენობას მაღალი სარდაფი აქვს. რელიეფის თავისებურების გამო (სახლი აღმართში დგას) სარდაფის მხოლოდ რამდენიმე სარკმელია მიწის დონიდან ამოწეული. ფასადს ლავგარდანი და საკმაოდ მაღალი პარაპეტი ასრულებს.

სახლს ეზოს მხრიდან, ფასადის მთელ სიგრძეზე, ხის აივანი გასდევს წახნაგოვანი სვეტებით, რ-თა შორის ჭვირული თაღებია.

030. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 30). თარიღდება XIX-XX სს-ის მიჯნით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. აქვს ნახევარსარდაფი. ქუჩისპირა ფასადი სწორკუთხა მოხაზულობის სარკმლებითა და ხის, სადარბაზო კარითაა დანაწევრებული. ნახევარსარდაფი გამოყოფილია ვიწრო ლავგარდნით. ნახევარსარდაფის კედელში დაბალი, ბრტყელი თაღით გადახურული სარკმლებია გაჭრილი. ფასადი დასრულებულია ლავგარდნით, რ-ის ზემოთ პილასტრებითა და მათ შორის არსებული სწორკუთხა ჩაღრმავებებით დანაწევრებული, დაბალი პარაპეტია.

ეზოს მხარეს მოქცეულ ფასადს საზეიმო იერს ანიჭებს ხის, ჭვირული აივანი. აივანს ეზოსკენ მომრგვალებული ფორმა აქვს. დღეს იგი შეფიცრულია. აივანზე ხის კიბით ავდივართ. აივნის მოაჯირი და თაღები ჭვირულია. აივანი ლაქვარდისფრადაა შეღებილი. აივანზე გამოდის ოთახების კარ-სარკმლები. ოთახებში შემონახულია ხის ძვ. იატაკი, შელამფული ჭერი, კარ-სარკმლების ალათები. ოთახისა და აივნის კედლებზე შერჩენილია დეკორატ. მოხატულობის ფრაგმენტები. ნახევარსარდაფის წინ ღია ტერასაა, რ-ის იატაკი ძვ. აგურისაა.

შენობა გადახურულია კრამიტით.

თავისი პროპორციებითა და ფასადის გადაწყვეტით ეს სახლი ახვლედიანის ქუჩის საერთო განაშენიანებაში ორგანულადაა ჩართული.

031. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე (№ 34). აგებულია XIX საუკუნის ბოლოს.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. ახვლედიანის ქუჩაზე გამოდის მთავარი, გრძივი ფასადით. ფასადი დანაწევრებულია ხუთი, სწორკუთხა სარკმლით და სადარბაზო კარით, რ-საც ლითონის მარკიზი აქვს გადახურული. კარი, მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი ნახატით, ოსტატურადაა დამუშავებული. სარკმლების აგურის ზღუდარების შუა ნაწილში, მაღალი კაპიტელით დასრულებული, ცრუ, სოლისებრი ქვებია გამოყვანილი. სარკმლების ქვემოთ სწორკუთხა, საფეხურით ჩაღრმავებული ნიშებია. ფასადი დასრულებულია დაბალი პარაპეტით, რ-იც დანაწევრებულია თანაბარი ზომის, ექვსი მოგრძო ნიშით, რ-ებიც ორ საფეხურად შეღრმავებული, ორსაფეხურიანი, ხერხულა ფრიზითაა დაგვირგვინებული.

ეზოს მხარე მთლიანად გადაკეთებულია. ამ მხარეს სახლი ორსართულიანია.

032. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ელენე ახვლედიანის I შესახვევში (№ 5). აგებულია 1890 წელს (აგების თარიღი აივნის ჭვირულ სახეებშია ჩართული).

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით და რიყის ქვით. თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს. I სართულზე აივანი შუაბანდითაა შეცვლილი. შემორჩენილია მეორე სართულის აივნის საყრდენი, აგურის მრგვალი სვეტები.

II სართულზე ასვლა ძვ. ხის კიბით შეიძლება, რ-ის მოაჯირი სადა ორნამენტით არის შემკული. სართულზე ხის, წახნაგასვეტებიანი, მდიდრულად დეკორირებული, ჭვირული აივნებია განთავსებული. ეზოს მხარეს სახლი შელესილი ფასადით არის მიმართული. კარ-სარკმლების თავსართები რკალურია, ალათების რთული ნახატი ნასაზრდოებია კლასიცისტური ნიმუშებიდან. კედლებზე ლურჯი ფერის ნალესობის კვალია. სახლს ღირებული სარდაფი აქვს. შენობა გადახურულია კრამიტით. ეზოს მხარეს უსახური მინაშენებია.

033. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის I ჩიხში (№ 9). თარიღდება XIX ს-ის შუა ხანებით.


დიდი ზომის, ორსართულიანი სახლი საკმაოდ სახეცვლილია. I სართული მთლიანად გადაკეთებულია: ამოშენებულია და შემინული. II სართულზე შემორჩენილია ხის, საკმაოდ გაჩინარი, ძვ. აივანი, რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს. აივანს მოხარატებული, ხის მოაჯირი აქვს. ხის მაღალ სვეტებს შორის ჭვირული ფრიზებია, კუთხეებში პატარა, ჭვირული აფრებით. აივანზე გამოდის ოთახების ღიობები. სახლი თუნუქითაა გადახურული.

034. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ელენე ახვლედიანის II ჩიხში (№ 7).

თარიღდება XVIII-XIX სს-ის მიჯნით.

სახლი ერთსართულიანია. დგას ეზოს სიღრმეში. შენობა ძვ. „ქართ.“ აგურითაა ნაგები. შედგება ორი დიდი ოთახის და მათ წინ მოწყობილი, ღია ტერასა-აივნისგან. ტერასაზე ოთახების კარ-სარკმლები გამოდის. ქვედა ღიობი ბრტყელი თაღითაა გადახურული, ცენტრისკენ დახრილი ბოლოებით. სარკმლების თავსართები სწორკუთხაა, დაგვირგვინებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით. სწორკუთხა მოხაზულობისაა ალათებიც. კარები ხისაა, ავთენტური, კუთხეებში დამახასიათებელი კვეთილი, ორნამენტული ნახატით.

ოთახებში შერჩენილია თახჩებისა და ბუხრების კვალი. ოთახებში და ტერასაზე იატაკი აგურისაა. ჭერი შელამფულია. კედლებზე, ალაგ-ალაგ, იკითხება ლაჟვარდისფერი ნალესობის კვალი.




035. III სართულის გეგმა




035. გრძივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

035. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბეგლარ ახოსპირელის ქუჩაზე (№ 2). აგებულია XIX ს-ის ბოლოს.

სახლი დიდი ზომისაა. იგი მოხდენილადაა მორგებული საკმაოდ რთულ რელიეფს – ახოსპირელის ქუჩის აღმართსა და, მის გაგრძელებაზე, კიბე-ქუჩას. ახოსპირელის ქუჩის მხრიდან, სახლი ორსართულიანია. ეს ფასადი მხატვრულად საინტერესოდაა გადაწყვეტილი. კედლის ქვედა ნაწილი ნაგებია რიყის ქვისა და აგურის ჰორიზ. რიგების მონაცვლეობით. ფასადს, ცენტრში და კიდეებზე, ორივე სართულის სიმაღლეზე, პილასტრისებრი, ვიწრო, შვერილი აუკვეთა. მსგავსი შვერილია გამოყვანილი სართულშუა გადახურვის დონეზეც ისე, რომ კედლის სიბრტყე ოთხ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. თითოეულ ნაწილში სარკმლის თითო ღიობია. I სართულის სარკმლები სადაა. II სართულის სარკმლები კი აგურით გამოყვანილ, რელიეფურ საპირეშია ჩასმული. ფასადი ფრონტონითაა დაგვირგვინებული. სახლის ამავე მხარეს, ეზოსკენ არსებული, ხის აივნების გვერდითა ფრთები გამოდის. ეზოს მხრიდან სახლი სამსართულიანია. მისი I სართული დიდი, შეისრული თაღებითაა გახსნილი. II და III სარ-



035. I სართულის გეგმა



035. ეზოს ფასადი

თულების მთელ სიგრძეზე ხის, რიკულებიანი აივნებია მოწყობილი. აივნები, ისევე როგორც აივანზე ასასვლელი კიბე, ახალია. II სართულის აივანი აგურის, სწორკუთხა ფორმის ბურჯებს ეყრდნობა. აივნებზე ბრტყელი თაღით გადახურული კარ-სარკმლების ღიობები გამოდის. უკანა ფასადი ერთიან კედელს წარმოადგენს (მხოლოდ ორი პატარა სარკმელია გაჭრილი) და ახოსპირელის ქუჩაზე გადის. შენობა, პირდაპირ მდგომ სახლებთან ერთად, ერთიან, ხუროთმოძღვრულ კომპლექსს ქმნის. სახლი კრამიტითაა გადახურული.


ნასყიდობის ქაღალდის თანახმად, მიწის ნაკვეთი, რ-ზეც სახლი დგას, 1800 წელს შეუძენია ვინმე მელქო თარხანოვს. თავიდან სახლი ერთსართულიანი იყო (შემორჩენილია ძვ. გეგმა), II სართული მოგვიანებითაა დაშენებული.

დროთა განმავლობაში, შენობაში სხვადასხვა დაწესებულებები იყო განთავსებული, რის გამოც მან მნიშვნელოვანი გადაკეთებები განიცადა.


თ. უგულავა.

036. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ბეგლარ ახოსპირელის ქუჩაზე (№ 3). აგებულია XIX ს-ის II ნახევარში (გადმოცემით, ვინმე ილო ექიმის მიერ).


სახლი სარდაფისა და ბელეტაჟისაგან შედგება (18,5x9,2 *მ*). ნაგებია აგურით. ბელეტაჟის მთავარ, აღმ. ფასადს, მთელ სიგრძეზე, გასდევს გადახურული, ხის აივანი, აჟურულად დამუშავებული მოაჯირით და ფრიზით. აივნის გვერდითი ნაწილები ამჟამად შემინულია. შენობის გვერდითი (ჩრდ.) ფასადი, აგურის წყობის ჩაღრმავებით, დაყოფილია ორ სწორკუთხა არედ, რ-თა ცენტრში სადა საპირეში ჩასმული, თითო თაღოვანი სარკმელია.



036. I სართულის გეგმა



036. II სართულის გეგმა



036. გრძივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ


მთავარ ფასადზე გამომავალი ქვედა კარი და სარკმელი თაღოვანია. აივანზე ასასვლელად, გარედან, ხის კიბეა მიდგმული. შენობაში არის ბუხარი.

სახლი გადახურულია კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით. სახურავზე გამართულია სამერცხლე.


თ. უგულავა.

037. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბეგლარ ახოსპირელის ქუჩაზე (№ 5). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით. გადმოცემით იგი აუგია ვინმე კუპატაძეს.

სახლი ნახევარსარდაფისა და ბელეტაჟისგან შედგება. ნაგებია კვადრ. აგურით. ამჟამად მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი – მთლიანადაა შემინული აივანი. ძვ. აივნიდან შემორჩენილია ხის სვეტების თავები და მოხარატებული მოაჯირის ფრაგმენტები.



037. I სართულის გეგმა



037. გვერდითი ფასადი

შენობაში შესასვლელი ჩრდიდანაა, კარი ხისაა, გაფორმებულია მხატვრულად. სარდაფი ბელეტაჟთან დაკავშირებულია მოაჯირიანი, ხის კიბით.

მთავარ ფასადზე გამავალი ქვედა კარი და სარკმელი თაღოვანია. გვერდით (ჩრდ.) ფასადზე სადა მოჩარჩოებაში ჩასმული სამი სარკმელია. მათ შორის შუა ცრუ სარკმელია. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით, რ-ის არეში ორი ლუნეტია დატანებული. დას. ფასადზე სამი, თაღოვანი სარკმელია, სამხრ-ისაზე – ოთხი (ერთი გაუქმებულია).

შენობა გადახურულია კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით.


თ. უგულავა.




037. გრძივი ჭრილი, ხედი დას-კენ

038. საცხოვრებელი სახლი, „მ ჭ ე დ ლ ი ს ს ა ხ ლ ი“, არქიტ. ძ. დგას ბეგლარ ახოსპირელის ქუჩაზე (№ 6). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით. შეიცავს უფრო ადრინდელ ფენებსაც. წარმოადგენს თავისი დროისათვის დამახასიათებელი საცხოვრ. სახლის ერთ-ერთ სახეობას, სადაც საცხოვრ. და სავაჭრო (ან სახელოსნო) ერთმანეთთან უშუალო კავშირშია.


სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობით. ორივე სართულს ცალკე შესასვლელი აქვს. პირველ სართულზე სახელოსნოა მოწყობილი. შესასვლელის წინ, ქუჩის მხარეს, ორი საფეხურია. კარის ორივე მხარეს – თითო სარკმელი. პირველი სართულიდან მეორეზე მოხვედრა ხის შიდა კიბის მეშვეობით ხდება. მეორე სართული საცხოვრებელია, რ-იც მცირე ზომის



038. I სართულის გეგმა



038. II სართულის გეგმა



038. განივი ჭრილი

სადარბაზოთი უკავშირდება ქუჩას. სადარბაზოს შემდეგ ბაქანია, რ-იდანაც ვხვდებით საცხოვრებელ თუ სამეურნეო დანიშნულების ოთახებსა და დია, სვეტებიან აივანზე. საცხოვრ. ოთახი ორია. ისინი, როგორც ერთმანეთთან, ისე აივანთან (დიდი ოთახი) და ტერასასთან (უფრო მცირე) თითო კარითა და ორ-ორი სარკმლით არის დაკავშირებული. სამეურნეო დანიშნულების ოთახები პირვანდელი სახით არ შემორჩენილა, მაგრამ კონფიგურაციით ადრინდ. გეგმის საფუძველზეა ამოყვანილი. მეორე სართულის აივანზე აგურით ნაწყობი, გარედან შებათქაშებული სამი სვეტია. გვერდითა სვეტები ოთხკუთხაა, შუა კი – მრგვალია და მარტივი თავსართითაა დასრულებული. სვეტებს შორის ხის რიკულებით შედგენილი მოაჯირია. შენობის მთავარი ფასადის კედელი გამაგრებულია კონტრფორსით.

ნ. ბახტაძე.

ბიბლ.: 18.



038. საერთო ხედი

039. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე (№ 5). აგებულია XIX ს-ის I ნახევარში. ამჟამად ეკუთვნის საქართვ. საპატრიარქოს.

სახლი ორსართულიანია. მაღალი, შთამბეჭდავი ექსტერიე-




039. ხედი ეზოს მხრიდან

რის მქონე. ინტერიერი ნაწილობრივ ავთენტურია, შელამფული ჭერებითა და ხის იატაკებით. შენობა ეზოს სიღრმეში, ამაღლებულ ადგილზე დგას. თ. ბაგრატიონის ქუჩის მხრიდან მას კარიბჭიანი გალავანი ზღუდავს. სახლის I სართულის კედელი მართკუთხა ღიობებით არის დანაწევრებული, რ-თა წინ აივნის საყრდენი, აგურის, მრგვალი სვეტებია განთავსებული. II სართულის ხის, აივნის სვეტები ვიწროა, მოაჯირის დეკორი კი – სადა.

II სართულზე კარ-სარკმლების თავსართები რკალური მოხაზულობისაა და ნალესობით გამოყვანილი საპირეებით არის შემკული. ფასადის ცენტრალურ ნაწილში, კარის თავზე, გამოსახულია ვარსკვლავში ჩასმული ანგელოზის რელიეფი. სახლს საკმაოდ მაღალი სარდაფი აქვს. შენობა გადახურულია კრამიტით.


სახლი ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობაა ისტორიულ თელავში. იგი ყაზახაშვილებს ეკუთვნოდა.

040. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე (№ 7). თარიღდება XIX ს-ის 70-იანი წლებით (1877 წელს შედგენილი პროექტი დაცულია თელავის ისტ. მუზეუმში). სახლი ერთსართულიანია, შედგება ოთხი ოთახისგან. ოთახები განლაგებულია ანფილადურად. მათ შორის სამი ოთახი პირვანდელია. მეოთხე – შემდგომ პერიოდშია მიშენებული. ეზოს მხარეს მიმართულ კედელში კარები და სარკმლებია გაჭრილი. თითოეულს რკალური თავსართი აქვს. ფასადი შელესილ-შეთეთრებულია. ოთახების წინ ღია აივანია, რ-ის ცალფერდა სახურავი აგურის მრგვალ სვეტებზე გადებულ ძელზეა დაყრდნობილი. შენობას უკანა მხარეს, მთელ სიგრძეზე, სინესტისგან დასაცავი სავენტილაციო არხი აქვს მოწყობილი. სახლის წინ მცირე ზომის ეზოა, საიდანაც ქვევით ჩამავალი კიბით, ვხვდებით სავაჭრო (სახელოსნო?) დუქნებში, რ-ებიც უშუალოდ უკავშირდებიან ქუჩას. ორი სათავსი ამჟამადაც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. ფასადის მხარეს აქაც თაღოვანი კარი და სარკმელია გაჭრილი. ერთ-ერთი (აღმ.) ოთახი გადახურულია კამარით და საბჯენი თაღით არის გამაგრებული. მეორე ოთახი კი – ხის ძელებით. საფასადო მხარე ორმალიანია. ღიობები მშვილდისებრი თაღებითაა გადახურული და ნალესობით გამოყვანილი თავსართებითაა მორთული. სათავსების დას-ით, მსგავსი თაღით გადახურული, ერთმალიანი სავაჭროა, რ-ის საფასადო მხარე შეცვლილია.




040. განივი ჭრილი

შიდა გეგმა და დანარჩენი კედლები კი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.



040. გეგმა

სახლიცა და დუქნებიც ეკუთვნოდათ ჩიტაიშვილებს.



040. გრძივი ჭრილი

სახლი თელავის სამოქალაქო არქიტ. გამორჩეული ნიმუშია.

თ. კაციტაძე.

041. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე (№ 8). აგებულია XIX ს-ის I ნახევარში.

სახლის მთავარ ფასადზე, სადარბაზო კართან ახლოს, მიმაგრებულია მემორ. დაფა წარწერით, რ-ის თანახმად 1864-1898 წწ-ში, ამ სახლში ცხოვრობდა გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი იოსებ ცისკარიშვილი.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია კვადრ. აგურით. შენობის გეგმის სწორკუთხედი ქუჩის გასწვრივაა დაგრძელებული. ქუჩის მხრიდან, I სართულის მარჯვ. ბოლოში, ხის სადარბაზო კარია, ხისსავე მარკიზით. ამავე სართულზე, ოთხი თაღოვანი სარკმელი და ორი თაღოვანი, ყრუ ნიშაა. შესასვლელის თავზე, II სართულის დონეზე, ოთხკუთხა სარკმელია, თაღოვანი



041. საერთო ხედი

თავსართით. ასეთივე სარკმელია ფასადის მარცხ. ბოლოშიც. II სართულის შუა ნაწილში განიერი, ხის აივანია, მოხარატებული მოაჯირით.

გვერდითი ფასადი რიყის ქვის და აგურის შერეული წყობით არის ნაგები. I სართულზე ერთი სწორკუთხა სარკმელია, II სართულზე კი სამი სარკმელი (ორი ამოშენებულია). სამივე სარკმელი დასრულებულია თაღოვანი არქივოლტით, რ-იც ჰორიზონტალურ თაროზე არის დაყრდნობილი. ფასადი სამკუთხა, ყრუ ფრონტონითაა დასრულებული.

სახლი თელავის სამოქალაქო არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშია.

042. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე (№ 10). თარიღდება XIX ს-ის I ნახევრით.

სახლი ერთსართულიანია, მაღალი ნახევარსარდაფით. ნაშენია ქართ. აგურით. შემორჩენილია აივნის ხის, „დორიული" სვეტები და ჭვირული მოაჯირი – „თელავური" ნახატით.

სახლის სარდაფი თაღოვანია, დაყრდნობილია აგურის ოთხკუთხა სვეტებზე.

სახლს, ქუჩის მხრიდან, შერეული წყობით ნაშენი ზღუდე-გალავანი საზღვრავს, რ-ის ცენტრალურ ნაწილში, აგურის შეისრულ თაღში, ხის ალაყაფის კარია ჩასმული.

043. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თეიმურაზ ბაგრატიონის ჩიხში (№ 6). განეკუთვნება XIX ს-ის შუა ხანებს.

სახლი ერთსართულიანია, აგურის. მთელ სიგრძეზე ხის ჭვირული აივანი ჰქონდა. ძვ. სტრუქტურიდან შემორჩენილია: აგურის სვეტები, კედლის ღუმელი და კარ-სარკმლები – ძვ. ალათებით და ხის დარაბებით.

სარდაფი მაღალჭერიანია და საცხოვრებლად გამოიყენება.

სახლი გადახურულია კრამიტით.

044. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 1). აგებულია 1916 წელს.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურისა და რიყის ქვის წყობის მონაცვლეობით. შენობა ბარათაშვილის ქუჩაზე გრძივი, ერთსართულიანი ფასადით გამოდის. იგი დანაწევრებულია მშვილდისებრი თაღით გადახურული რვა სარკმლით და ერთი კარით. ცხაურები ლითონისაა, ორნამენტული. სახლის ფასადი დასრულებულია მართკუთხა პარაპეტით, რ-ზედაც აგურის წყობის შელრმავებით გამოყვანილი ნიშებია. პარაპეტის ცენტრში, თაღოვანი დაბოლოებით აქცენტირებულ ნაწილში, „1916 წელია" გამოკვეთილი.


შენობა, უკანა ეზოსპირა ფასადით, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე გადის. აქედან სახლი ორსართულიანია, ძვ. ნაწილები აქ ძლიერ არის გადაკეთებული, შემორჩენილია ავთენტური ლითონის კიბეები.

გადახურვის ნაწილი კრამიტისაა, ნაწილი – შიფერის.

045. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 22). თარიღდება XIX ს-ის მიწურულით.

ორსართულიანი აგურის სახლი მთავარი ფასადით ქუჩის მხარეს გამოდის. ფასადი საკმაოდ სადაა, I სართულზე ხის სადარბაზო კარი და სამი სარკმლის ღიობია. სადარბაზოს კარი აგურის რუსტირებულის პილასტრებითაა გამოყოფილი, კარის თავზე, ისევე როგორც ფანჯრების თავზე, აგურისავე „სანდრიკებია". ფასადი შეთეთრებულია.

II სართულზე ხის, შეკიდული აივანია, მის ორივე მხარეს – თითო სარკმელი. აივანი გადაკეთებულია – შეფიცრულია, ერთ ნაწილში კი – შემინული.



045. აივანი, დეტალი

შერჩენილია მხოლოდ ხის, ჭვირული თაღები. ფასადი მაღალი ლავგარდნითაა დასრულებული. ეზოს მხარეს სახლს აქვს უსახური, თანამედროვე მინაშენი კიბით და ხის, თანადროული აივანი (ამოშენებული და შემინულია,

ქვემოდან შეყენებული აქვს რკინის ხიმინჯები). ეზოდან სახლის I სართულს სარდაფის ფუნქცია აქვს.

046. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 32). აგებულია XIX ს-ის II ნახევარში.

სახლი ორსართულიანია. მაღალი. ნაგებია აგურით. შენობა ქუჩაზე განივი ფასადით გამოდის. პირველ სართულზე ტრადიციული კომპოზიციაა – ორი თაღოვანი სარკმელი შუაში ნიშით, ზედა სართულზე კი, მხოლოდ ორი სარკმელი. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით. ეზოს მხარეს, ხის აივანი შუშაბანდად არის გადაკეთებული. უკანა კედელი აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით არის ნაგები. გადახურვა კრამიტისაა.

047. საცხოვრებელი სახლი, ისტ. ძ., მდებარეობს ვასილ ბარნოვის ქუჩაზე (№ 9ა). შენობა ნაგებია აგურით. სართულნახევრიანია, ოთხოთახიანი. ფასადზე მემორ. დაფაა წარწერით: „ამ სახლში 1886-1911 წწ. ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი ვასილ ბარნოვი (ბარნაველი)“.

თ. ჩიმაკაძე.

048. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ერეკლე II-ის მოედანზე (№ 1). აგებულია XIX ს-ის დასაწყისში.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. შელესილია თეთრად. შენობის გეგმას ქმნის თანაბარი ზომის ორი ნაწილი, რ-ებიც ერთმანეთს სწორი კუთხით ერთვის. გარედან კუთხე ჩამოჭრილია და მოწყობილია მცირე შვერილი, რ-იც შემაღლებული, თუნუქით შემოსილი, ოთხკალთა სახურავითაა გადახურული. ამავე კუთხეშია განთავსებული სადარბაზოს თაღოვანი, ხის კარი. იგი თაღოვანი თავსართითაა აქცენტირებული. შენობა გარეთკენ ორი ფასადით გამოდის. ორივე ფასადი სწორკუთხა კარ-სარკმლებითაა დანაწევრებული. მათი თავსარ-



048. საერთო ხედი

თები ოდნავ მორკალულია. ორივე ფასადზე თითო შეკიდული, ლითონის, ჭედურმოაჯირიანი აივანია.

სახლის უკანა, ეზოსპირა კედელი რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით არის ნაშენი. ნაგებობას მაღალი, აგურის სარდაფი აქვს.

სახურავი თუნუქით არის დახურული. შენობა არქიტექტურით კლასიცისტურია, კუთხის ნაწილში „რომანტიზმის“ ელემენტებით. ამ შენობაში მრავალი წელი ფუნქციონირებს ქალაქის ცენტრ. აფთიაქი.

2011-12 წწ-ში შენობას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ი. საბანაძე).

049. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ერეკლე II-ის მოედანზე (№ 9). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. ნაშენია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით, აგურის თითო-ორიგიანი შრეებია ჩართული. კუთხეები და კარ-სარკმლების ღიობები გამოყვანილია აგურით. მთავარი ფასადი, ორივე სართულზე, შელესილი და შეღებილია.

სახლის ორივე სართულზე ოთახები ერთ რიგადაა ჩამწკრივებული, რ-თა ბლოკი, მოედნის გასწვრივ, მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის. შენობას, მთავარი, მოედნისკენ მიმართული ფასადის მთელ სიგრძეზე, ხის, გადახურული აივანი გასდევს. თვით აივანი დაყრდნობილია აგურით გამოყვანილ, მაღალ პოსტამენტზე შედგმულ, ოთხ, მრგვალ სვეტზე, რ-ებიც I სართულის წინ არსებულ ღია ტერასას ფარგლავს. აღმ. მხარეს ტერასა მოზღუდულია კედლით, რ-შიც ბუხრის ნაშთია. მოპირდაპირე მხარეს კი – ღიაა. II სართულზე ასასვლელი, ხის კიბე ტერასისვე ფარგლებშია მოწყობილი. შენობის ზურგი ერუა. უკარ-სარკმლო.



049. საერთო ხედი

I სართულის კარ-სარკმლებს შორის შედარებით დიდი ინტერვალებია დატოვებული, თვით სარკმლების პროპორცია – აზიდულია.

II სართულის კარ-სარკმლები ერთი ტიპისაა – ბრტყელთავიანი. სარკმლების თავზე თაღია, რ-იც სიბრტყის ჩაღრმავებით არის მიღებული. თითოეულ თაღს, ორსაფეხურიან თაროზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული არქივოლტი ამკობს. სარკმლების ალათების ნახატი მარტივია. სახლის მხატვრული სახისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აივანს, რ-ის აჟურული მოაჯირი და თაღები რთული ნახატის სახეებს შეიცავს. თვით სვეტები რვაწახნაგაა. დასრულებულია მაღალი კაპიტელებით. მოაჯირი ფიცრულია, სახეები ფიცარშია ამოხერხილი.

სახლი გადახურულია ღარისებრი კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით.

1979-80 წწ-ში შენობას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი თ. გერსამია): აღდგა აივნის საყრდენი სვეტები, მთლიანად განახლდა აივანი, II სართულზე ასასვლელი კიბე და სახურავი.

2011-12 წწ-ში შენობას მეორედ ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორები: მ. ბუხაიძე, ალ. გოგიაშვილი).

სახლი გადახურულია კრამიტით.

თ. დვალი.

050. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ერეკლე II-ის მოედანზე (№ 11), თელავის დრამატული თეატრის წინ. თარიღდება XIX ს-ით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. შედგება ერთმანეთთან სწორი კუთხით დაკავშირებული, თანაბარი ზომის ორი ნაწილისგან, რ-ებსაც წინიდან, მთელ სიგრძეზე, ხის ღია აივანი გასდევს. აივნის საყრდენი სვეტები მრგვალია და თეთრადაა შელესილი. თვით აივნის სვეტები კი ხისაა, თხელი და მაღალი. აქვთ დორიული სვეტისთავები.

სახლის ერთ-ერთი განივი ფასადი მოედნისკენაა მიმართული. აივანი შენობას ამ მხარესაც აქვს. თუმცა, იგი თავდაპირველი არ არის და 1979-80 წწ-ში ჩატარებული სარესტ. სამუშაოების (პროექტის ავტორი თ. გერსამია) დროს მიუშენებიათ. II სართულთან დამაკავშირებელი ხის კიბე აივნისავე ფარგლებშია მოქცეული. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით, რ-შიც ორი მრგვალი ხვრელია დატანებული. ამ ფასადზე გამომავალი სარკმლები შეტყუპებულია და რთული ნახატის, კლასიცისტური ალათებით არის აღჭურვილი. კარ-სარკმლები აქცენტირებულია ნახევარწრიული თავსართებითა და ზედ მოვლებული ლილვებით. გადახურვა კრამიტისაა.

სახლს საზეიმო იერი აქვს და შეძლებული პიროვნებისა უნდა ყოფილიყო.

2011-12 წწ-ში შენობას მეორედ ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი ე. მახათელაშვილი).

051. საცხოვრებელი სახლი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის ქუჩაზე (№ 4). თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით. სახლში ამჟამად განთავსებულია ელენე ახვლედიანის სახ. სამხატვრო სკოლა.

სახლი ერთსართულიანია, საკმაოდ მაღალი. ნაგებია აგურით. ქუჩისპირა ფასადზე, ხის, ჭვირულ აივანზე, სწორკუთხა კარ-ფანჯრები გამოდის. აივანს პროფილირებული ლავგარდანი აქვს. აივანზე ასასვლელი გვიანდ., ხის კიბე რიკულებიანია. ოთახებში იატაკი შეცვლილია. სახლს, ქუჩის მხარეს, მაღალი ნახევარსარდაფი აქვს, რ-იც მცირე სარკმლებითაა განათებული. შენობის უკანა ფასადი მაღალია, ორსართულიანი. პირველ სართულზე სავაჭრო რიგის თაღნარის ოთხი ნიშაა. სარკმლები შეცვლილია. მეორე სართულზე ხის ღია, ჭვირული აივანია, აფრებითა და დასვრეტილი სვეტისთავებით.

სახლზე გაკრულია მემორ. დაფა წარწერით: „ამ სახლში 1880-1908 წწ. ცხოვრობდა პოეტი სოლომონ (სოლო) გოშაძე“. პოეტი თანამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ნაკადულში“, „შრომაში“, „ისარში“, „მეგობარში“. თელავში მან ჩამოაყალიბა დრამატული დასი (წარმოდგენებს მართავდა კახეთის სოფლებში). საკუთარი ხარჯებით ქალაქში გახსნა უფასო ბ-კა.

თ. ჩიმაკაძე.



051. მთავარი ფასადი

052. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თელავის ისტორიულ ნაწილში, ყადორის ბორცვის ჩრდილოეთ კალთაზე, რ. ერისთავის ქუჩაზე (№ 20). აგებულია XIX ს-ის დასაწყისში, გადმოცემის თანახმად, მოსკოვში ღვინით მოვაჭრე, ვინმე პაატაშვილის მიერ.

სახლი ერთსართულიანია. ნაშენია რიყის ქვითა და აგურით. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია.


შენობის გეგმა შედგება ერთმანეთზე სწორი კუთხით მიდგმული, ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ნაწილისგან, რ-ებიც რელიეფის თავისებურებიდან გამომდინარე, ზურგით მთის ფერდობშია შეჭრილი. ორივე ნაწილი სიგრძითა და სიგანით, დაახლოებით, ერთმანეთის ტოლია. ორივეში განლაგებულია თითქმის თანაბარი ფართობის, თითო კარით დაკავშირებული ორ-ორი ოთახი. შენობის ნაწილთაგან თავდაპირველია ჩრდ-ით, ფერდობის მხარეს მდებარე ნაწილი. მეორე კი მის დას. ნახევარზე უკანა მხრიდან, სამხრიდანაა მიდგმული.




052. ხედი ჩრდ-იდან

სახლის ორივე ნაწილის წინ ღია, ცალკალთა სახურავით გადახურული ტერასაა. თავდაპირველი ნაწილის ტერასის სახურავი აგურით ნაწყობ, ოთხ მრგვალ კოლონაზეა დაყრდნობილი, გვიანდ. ნაწილისა კი – აგურისავე, კვადრ. კვეთის ექვს ბოძზე (ერთი კვადრ. კვეთის ბოძი, თავდაპირველი ნაწილის ტერასის აღმ. ბოლოშია, მაგრამ იგი მოგვიანებითაა აგებული).

თავდაპირველი ნაწილის აღმ-ით მდებარე ოთახს ორი, სწორკუთხა შესასვლელი აქვს: აღმ-იდან, რ-იც შესაძლოა მოგვიანებით იყოს მოწყობილი, და ჩრდ-იდან – ტერასიდან. ამ მხარესვე გამოდის კარის გვერდებზე მდებარე, თითო სარკმელი. ოთახის სამხრ. კედლის შუაში ბუხარია, აღმ. კედელში კი – ორი განჯინა. ამ ნაწილის მეორე, დას-ით მდებარე ოთახსაც შესასვლელი ტერასიდან ჰქონდა, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ და შიგნიდან განჯინა მოუწყვიათ. ამ კედელში კარის გარდა, კიდევ ორი დაბალი, სწორკუთხა სარკმელია – გისოსების გარეშე. მეორე კარი ოთახს დას-იდან აქვს – კედლის შუაში. ოთახის სამხრ. კედლის შუაში განჯინაა, ხოლო დას. ბოლოში – მშვილდისებრი თაღით გადახურული კარი (ამოშენებულია), რ-იც გადიოდა გვიანდ. ნაწილის ჩრდ-ით მდებარე ოთახში. ამ ოთახში შესასვლელი ტერასიდანაა. კარი მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. კარის სამხრ-ით, იგივე ფორმის თაღით გადახურული ორი სარკმელია. ოთახის აღმ., ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო განჯინაა, სამხრ. კედელში კი დამატებით – ბუხარი. ამავე კედლის დას. ბოლოში მშვილდისებრთაღიანი კარია, რ-იც ამავე ნაწილის მეორე ოთახში გადის. ამ ოთახს, ტერასის მხარეს, ერთი შესასვლელი და ერთი სარკმელი აქვს. ოთახის სამხრ. კედლის შუაში ბუხ-



052. გეგმა




052. ჭრილი დას. ნაწილზე, ხედი სამხრ-კენ

არია, მის გვერდებზე კი – თითო განჯინა. აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილში მშვილდისებრთაღოვანი ნიშაა. სახლის ორივე ნაწილის ქვედა ოთახი ბრტყელი ჭერითაა გადახურული. ინტერიერის დამუშავებისათვის ტრად. ქართ. ელემენტები – თახჩები და განჯინებია გამოყენებული. ბუხრების უმეტესი ნაწილი მარტივადაა გაფორმებული – კედლის სიბრტყიდან მცირედ შვერილი სადა ზოლებით, ზოგიერთი კი სრულიად მოურთველია. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია. სახლის ორივე ნაწილს დამოუკიდებელი სახურავი აქვს. მათ შორის თავდაპირველი ნაწილის სახურავი ორკალთაა,

სახლის ფასადები – უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით – კარგადაა დაცული და უცვლელად ინახავს თავდაპირველ სახეს. ფასადებიდან ერთი ჩრდ-ით, ალაზნის ველის მხარესაა მიმართული, ხოლო მეორე – ქუჩის გასწვრივაა გაშლილი. შენობას, ამ მხარეს, ეზო აკრავს, რ-იც ორი მხრიდან, რიყის ქვით ნაშენი, საყრდენი კედლითაა გამაგრებული. ორივე ფასადის გაფორმება, მხატვრული თვალსაზრისით მარტივია, დანაწევრება – მკაფიო.

სახლის თავდაპირველი ნაწილის ფასადი ოთხი დაბალი, სწორკუთხა სარკმლით და ორი სწორკუთხა შესასვლელითაა



052. ჭრილი დას. ნაწილზე, ხედი აღმ-კენ

გვიანდ. ნაწილისა კი – ცალკალთა, რ-იც ჩვეულებისამებრ, ეზოს მხარესაა დახრილი. ამ სახურავის ქვეშაა მოქცეული თავდაპირველი ნაწილის ერთი, დას-ით მდებარე ოთახი.

დანაწევრებული, რ-თა თავები ერთ სიმაღლეზეა. კარ-სარკმელთა მორთულობა ერთგვაროვანია – მარტივი. ღიობების ზემოთ, კედლის თითქმის მთელ სიგრძეზე, გამოყვანილია კედლის სიბრტყიდან მძლავრად შვერილი, ორსაფეხურიანი თარო, რ-იც შუაში გაწყვეტილია. თაროზე, ყოველი ღიობის ასწვრივ, დაყრდნობილია იმავე პროფილის, სამკუთხა ფრონტონი. კედლის დანარჩენი სიბრტყე სრულიად სადაა, შელესილია და კირით თეთრადაა შეღებილი. ტერასის სახურავის საყრდენი სვეტები ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება – მცირე ენთაზისით და ორსაფეხუროვანი, კვადრ. კაპიტელით არის დაგვირგვინებული, რ-ის ოდნავ ქვემოთ გამოყვანილია ლილვისებრი სარტყელი.

მოგვიანებით მიშენებული ნაწილის ფასადის გაფორმების სისტემა, თავდაპირველისგან



052. ჩრდ. ტერასა, ხედი დას-კენ

ძლიერ განსხვავდება. ამ ფასადზე კარ-სარკმლები „ტიმპანიანია“ და თაღოვან, შვერილ ჩარჩოშია ჩასმული, რ-იც დაყრდნობილია სარკმელთა ძირის დონეზე გამოყვანილ, ვიწრო თაროზე. თვით ჩარჩო ვიწროა, მისი პროფილი თაროსა და ლილვისებრი ზოლისგან შედგება. ფასადის მარცხ. ნაწილში, თავდაპირველი ნაწილის დას. ოთახის შესასვლელი და სარკმლები სრულიად მოურთველია. სამივე ღიობი მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. განსხვავებულია კედლის წყობის ხასიათიც: ძირითადად გამოყენებულია რიყის ქვა, რ-შიც ჩართულია ერთრიგად დაწყობილი აგურის ჰორიზ. შრეები.

ტერასის სახურავის საყრდენი, კვადრ. ბოძებიდან, მხოლოდ ორიღაა შემორჩენილი – ჩრდ-იდან პირველი და მეორე, ორივე,

მრგვალი ბოძების მსგავსად, ორსაფეხურიანი, ოთხკუთხა კაპიტელითაა დასრულებული, კაპიტელის ოდნავ ქვემოთ კი, ვიწრო თაროა.



052. თავდაპირველი ნაწილი, ფასადის დეტალი

ტერასის სამხრ. ბოლოში საყრდენი კედელია, რ-იც რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობითაა ნაშენი. კედლის შუაში თარაზულად გადახურული ბუხარია, მის ორივე მხარეს კი, თითო ვიწრო, სწორკუთხა ნიშა, რ-თა ძირი ბუხრის გადახურვის დონეზეა.

სახლი საინტერესოა, როგორც სტრუქტურული თვალსაზრისით, ისე კარ-სარკმლების მორთულობის ელემენტების ფორმების და პროფილების თვალსაზრისითაც.

თ. დვალი.

053. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (№ 5). აგებულია 1917 წელს.

ორსართულიანი, აგურის, მაღალი სახლი ვაჟა-ფშაველას ქუჩის აღმართის დასაწყისში დგას. ნაშენია „რუსული“ აგურით. შენობის ფასადი სამეიმოდ არის მორთული. ცენტრი აქცენტირებულია თაღოვან ღიობში ჩასმული, ხის კვეთილი, სადარბაზო კარით, რ-ის ზემოთ, პარაპეტზე, ნახევარწრიული, დეკორატ. ფრონტონია გამოყვანილი. ფასადის სიბრტყე დაყოფილია აგურის დეკორატ. წყობით გამოყვანილი ფრიზებით. ეზოს მხარეს, მინაშენში, მოყოლილია ხის ძვ. აივნის ნაწილები, ჭვირულად დამუშავებული ორნამენტული დეტალებით.



053. შესასვლელი

ჩიხის მხარეს ფასადი სრულიად სახეცვლილია. სახლის ძვ. სარდაფი ახალმშენებლობის დროს განადგურდა.

054. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (№ 10). თარიღდება XIX ს-ის შუა წლებით.

სახლი ნაშენია ძვ. აგურით. გაყოფილია ორ ნაწილად.

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე იგი ერთ სართულად გამოდის კლდეზე გადაკიდებული, მდიდრულად შემკული, ქვის აივნით. ხის ტერასა ჭვირული მოაჯირით არის შემოფარგლული. ტერასაზე გამომავალი კარ-სარკმლების ალათები ძველია, სწორკუთხა, ღიობების თავსართები – ნახევარწრიული. ინტერიერი სახეცვლილია. შემორჩენილია ოთახების ძვ. გეგმარება, მაგრამ კარები ამოქოლილია.



054. აივანი

055. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (№ 15). აგებულია XIX საუკუნეში.

დაბალი, რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობით ნაგები, ერთსართულიანი შენობა ეზოს სიღრმეში დგას. ოთახები ანფილადურად არის განლაგებული. ინტერიერი სახეცვლილია. ეზოს მხარეს, მთავარი ფასადის წინ, ჭვირული მოაჯირით შემოფარგლული, ხის ტერასა-აივანია. აივანზე ნახევარწრიული არქივოლტებით მორთული კარ-სარკმლები გამოდის. შენობის უკანა კედელი ქარაფის პირასაა და ალაზნის ველს გადაჰყურებს. ამ კედელში არსებული კარი ამოქოლილია აგურით. შემორჩენილია ძვ., აგურის სპირეებიანი სარკმლები.

ეზოს მხარეს სახლს უსახური მინაშენი აქვს.

056. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (№ 17). აგებულია XIX ს-ის შუა ხანებში.

ქუჩის მხარეს სახლი ერთსართულიანია, მეორე მხარეს კი, სარდაფის სახით, თითქმის ერთი სართულის სიმაღლე ემატება. სახლი ძვ. აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობითაა ნაშენი. სარდაფი გამოყვანილია ძვ. აგურის ლამაზი წყობით. კარ-სარკმლების ალათები ძველია, სქელი, პროფილირებული საპირეებითა და ნახევრწრიული თავსართებით. შემორჩენილია ძვ. დარაბებიც.

სახლს შერჩენილი აქვს ადრინდ., ლურჯი ფერის ნალესობის ნაშთი.

სახლის უკან გადიოდა კიბე-ქუჩა (დღეს ნახევრად დანგ-



056. უკანა კედელი, დეტალი

რეულია), რ-იც თელავის ბაზართან ჩადის.

057. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თეიმურაზ II-ის ქუჩაზე (№ 9). თარიღდება XIX ს-ის შუა წლებით.

სახლი ერთსართულიანია, ნახევარსარდაფიანი. ნაგებია აგურით. სახლის კარ-სარკმლები მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. დაგვირგვინებულია მშვილდისებრივე, ორსაფეხურიანი სათაურით, რ-იც ვიწრო, ორსაფეხურიან თაროს ეყრდნობა. ხის აივანი სადაა. განივი ფასადები სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული. გალესილია ცემენტით. სარდაფის სარკმლები



057. საერთო ხედი

მაღალია, სადა, მშვილდისებრთაღიანი. სახლის ერთ-ერთ განივ კედელზე მიყრდნობილია რიყის ქვით ნაგები, დაახლ. 2 *მ* სიმაღლის კედელი, რ-იც ეზოს გარს არტყია.

შენობა გადახურულია კრამიტით. სახურავი ორკალთაა.

058. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს კვირიკე დიდის ქუჩაზე (№ 14). თარიღდება XIX ს-ის დასწყისით.

სახლი ერთსართულიანია, დაბალი. ქუჩისპირა, აგურის ფასადი გალესილია ცემენტით. ძვ. სახე იკითხება მხოლოდ საერთო მასაში. ფასადის მარცხ. ნახევარს სამკუთხა ფრონტონი ასრულებს, რ-ის ქვემოთ, მიწის პირას, ორი თაღოვანი სარკმელია განთავსებული. სადარბაზოს კარი ძველია. იგი ხისაა, ორფრთიანი. დამუშავებულია კვეთი-



058. საერთო ხედი

ლობით. კარი უშუალოდ, ეზოს მხარეს მდებარე, ხის აივანზე გადის, რ-ის მოაჯირებიც და აფრებიც შეცვლილია. აივანზე გამომავალი ღიობების თავსართები და ალათები ავთენტურია, რკალური. ეზოს, ქუჩის მხარეს, რიყის ქვის ზღუდე სახღვრავს.

2011 წელს, სახლს ქუჩის მხარეს ნალესობა ჩამოაცალეს, გააუქმეს შესასვლელი და ფასადის ნაწილი ცემენტით შელესეს.

059. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს კვირიკე დიდის ქუჩაზე (№ 16). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. დგას ეზოს სიღრმეში. ქუჩის მხარეს მოსაზღვრულია გალავნით. სახლი რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობითაა ნაგები. ასევეა ნაგები გალავანიც, რ-ზეც მცირე ზომის, აგურის, ოთხკუთხა სვეტებია დადგმული. გალავანში ჩართულია ჭიშკარი, რ-იც სადარბაზოს კარის მსგავსად, კვეთილობით არის გაფორმებული.



059. ჭიშკარი

სახლის ძვ. ნაწილიდან, ჩიხის მხარეს, შემორჩენილია ხის მცირე აივანი და კიბე, რ-ზეც სახასიათო, დეკორატ. ლილვებით დასრულებული ძვ. სარკმლები გამოდის. სარკმლების თავსართები აგურის დეკორატ. წყობით არის გამოყვანილი.

შენობას თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი: ხის ღია აივნები შემინულია, კედლები გალესილია ბათქაშით.

შენობის სარდაფში მარანია. სახლი გადახურულია კრამიტით.

060. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს კვირიკე დიდის ქუჩაზე (№ 55). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. დგას ეზოს სიღმეში. ეზოს მხარეს, დიდი ზომის, აგურის, შელესილ ბურჯებზე დაყრდნობილი, გადახურული, ხის აივანი აქვს. ზედა სართულის კარ-სარკმლები ნალისებრთაღოვანია, სწორკუთხა

ალათებით. აივნის მოაჯირი და აფრები ჭვირული სახეებითაა გაფორმებული. აივანზე მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბე გარედანაა მიდგმული. კიბეს რიკულებიანი მოაჯირი აქვს.

ეზო შემოსაზღვრულია რიყის ქვით ნაშენი, დაბალი გალავნით.

სახლი კრამიტითაა გადახურული, აივანი კი – თუნუქით.

061. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ზაირა კიკვიძის ქუჩაზე (№ 5). თარიღდება XIX ს-ის ბოლო-XX ს-ის დასაწყისით.


სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით. ეზოს მხარეს ორსართულიანი, ხის აივანი აქვს, რაც სახლის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. აივნის ორივე სართულის მოაჯირი აჭრელებული სახეებითაა გაფორმებული. პირველ სართულზე ტიტების ფორმაა გამოყენებული, მეორე სართულზე კი – ვარსკვლავისებრი. თავისებურია ასევე აფრების ნახატიც. აივნის შიდა კედლები მოხატულია მცენარეული მოტივებით.

პირობითად, ამ სახლს „თელავური მოდერნის“ ნიმუში შეიძლება ეწოდოს. გადმოცემით, ის დურგლის სახლია და მისივე შემოქმედების ნიმუშია.


062. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ზაირა კიკვიძის ქუჩაზე (№ 8). აგებულია XIX ს-ის II ნახ-ში. თავდაპირველი სახე ძირითადად შენარჩუნებული აქვს.

სახლი ორსართულიანია. ნაშენია აგურით. შენობის გეგმის სწორკუთხედი (12,3x9,1 *მ*), რამდენადმე, მის წინ მდებარე ეზოს გასწვრივაა დაგრძელებული, ქუჩისკენ კი ვიწრო ფასადით გამოდის.

ეზოს მხარეს, ორივე სართულის წინ, აივანია. პირველი სართულის აივანი მოგვიანებით




062. I სართულის გეგმა




062. II სართულის გეგმა

წინიდან ამოუშენებიათ და ორი, დამხმარე სადგომი მოუწყვიათ, რ-ებიც ერთმანეთისგან ტიხრით არის გამიჯნული. შესასვლელი ორივე სართულზე ეზოს მხრიდანაა. პირველი სართული მითითოეულ ოთახს დამოუკიდებელი შესასვლელი აივნიდან აქვს. პირველი სართულის ოთახები სხვადასხვა ფართობისაა, მეორე სართულის ოთახები კი თანაბარია. პირველი სართულის



062. განივი ჭრილი

წიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზეა, რის გამოც კარის წინ მოწყობილია ხუთსაფეხურიანი, ვიწრო კიბე (გვიანდელია). გვიანდელია მეორე სართულზე ასასვლელი კიბეც. ორივე სართულზე, ერთმანეთთან თითო კარით დაკავშირებული, ორ-ორი ოთახია. მცირე ოთახში სამი განჯინაა. მათ შორის ერთი – ოთახების გამმიჯნავ კედელშია, ხოლო ორი – მოპირდაპირე კედელში. ეს კედელი გარედან ყრუა. ერთი განჯინა მცირე ოთახის წინ არსებულ დამხმარე სადგომშიცაა. მცირე ოთახი ორი სარკმლითაა



062. ქუჩის ფასადი

განათებული, მოზრდილი ოთახი კი – შვიდით. მათგან ორი სარკმელი აივანზე გამოდის.

მეორე სართულის ოთახები ერთმანეთისგან ტიხრით არის გამიჯნული. ქუჩის მხარეს მდებარე ოთახის თითოეულ კედელში ორ-ორი სარკმელია. მეორე ოთახი კი სამი სარკმლითაა განათებული. მათ შორის ორი – ეზოს მხარეს მდებარე კედელშია გაჭრილი, ხოლო ერთი – მის მოპირდაპირე კედელში. სარკმლების გარდა, ამ ოთახში ორი განჯინაცაა. კარ-სარკმლები ბრტყელი თაღითაა დასრულებული.

შენობის ფასადებიდან გაფორმებულია ქუჩისპირა ორივე ფასადი. დამუშავების ძირითადი საშუალებებია ერთიანი, საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეები, რ-ებიც დანაწევრებულია სადა საპირეში ჩასმული სარკმლებით. განივ ფასადზე ორი სარკმელი გამოდის. გრძივ ფასადზე კი – სამი. სარკმლებს შორის გამოყვანილია თითო, ცრუ სარკმელი. შენობის მეოთხე ფასადი ყრუა. განივი ფასადი დაგვირგვინებულია საფეხუროვანი ლავგარდნით შემოფარგლული, სამკუთხა ფრონტონით, რ-ის არე აგურის ფიგურული წყობითაა დეკორირებული და ფასადს საზეიმო იერს ანიჭებს. ფრონტონში, სხვენის ვენტილაციისათვის, ორი, მრგვალი ხვრელია. ფრონტონის ქვემოთ დაბალი, საფეხურით შეღრმავებული, ოთხკუთხა არეებით დანაწევრებული ზოლია. ამ უკანასკნელის ქვემოთ კი, იგივე სიმაღლის, საფეხურით შეღრმავებული არე, რ-ის ცენტრში წრიული რგოლია გამოყვანილი. მეორე სართულს, ეზოს მხარეს, ხის სვეტებზე დაყრდნობილი, გადახურული აივანი გასდევს – ფიცრული მოაჯირით და აჟურული დეკორით შემკული თაღებით.

სახლი გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

063. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ლადო კორძაძის ქუჩაზე (№ 2). აგებულია XIX ს-ის ბოლოს.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. შენობის გეგმა ერთმანეთზე სწორი კუთხით მიდგმული, ორი ნაწილისგან შედგება. ქუჩის მხარეს სახლი სხვა სახლების მწკრივში დგას, რის გამოც მისი გარეგნული სახის განმსაზღვრელი – ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადია. ფასადზე ბრტყელი თაღით გადახურული ექვსი სარკმელი და სადარბაზო კარი გამოდის. სარკმლების ღიობები მიწის დონიდან დაახლ. 80 *სმ* სიმაღლეზეა. სარკმლები სადაა. მათ შორის რუსტირებული, პილასტრისებრი თითო შვერილია. სარკმლების ქვემოთ კი – იგივე სიგანის, შეღრმავებული არე, რ-შიც აგურის დეკორატ. წყობით გამოყვანილი რომბია ჩასმული. საფასადო კედელი საკმაოდ მაღალი პარაპეტით მთავრდება, რ-იც კედლის დანარჩენი ნაწილისგან მაღალი, პროფილირებული, ჰორიზ. სარტყელითაა გამოყოფილი. ფასადს განსაკუთრებულ იერს ანიჭებს სადარბაზო შესასვლელი – ხის, რელიეფურად დამუშავებული კარით და ამაღლებული პარაპეტით, რ-ის შუაშიც წრიული ფორმის ჩაღრმავებაა. ამ არეში აგურის რელიეფური წყობით საათია გამოყვანილი.

ეზოს მხარეს მოქცეული ფასადი ბევრჯერაა გადაკეთებული, მიდგმული აქვს გვიანდ. მინაშენებიც. მხოლოდ ერთგანაა შემორჩენილი ჭვირულფრიზიანი, ხის, ძვ., ჭვირული აივნის ფრაგმენტი. ეზოს მხარეს სახლს აქვს სარდაფი.

შენობა გადახურულია კრამიტით.

064. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ლადო კორძაძის ქუჩაზე (№ 5). აგებულია XIXს-ის დასწყისში.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. შენობა განივი ფასადით ქუჩისკენაა მიმართული. ფასადის სიბრტყე რიტმულად ნაწევრდება სამი განიერი, სწორკუთხა სარკმლით და ყრუ ნიშით. სარკმლებს შორის და ფასადის კიდეებში სადა, მცირედშვერილი პილასტრებია გამოყვანილი. სარკმლებს ლითონის ცხაურები აქვს. თითოეული სარკმლის თავზე ორ-ორი, დაბალი, ზოლისებრი, შეღრმავებული არეა, რ-ებიც ლაქვარდისფრად არის დაფერილი. მსგავსი არე, სარკმლების ქვემოთაცაა, ოღონდ ისინი სარკმლის ქვემოთ გამოყვანილ, სწორკუთხა შეღრმავებაშია მოქცეული. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით, რ-შიც გაჭრილია ორი რომბისებრი ღიობი. სახლს გააჩნია სარდაფი.

065. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოლომონ ლიონიძის შესახვევში (№ 1). აგებულია XIX ს-ის შუა წლებში.

სახლი ორსართულიანია, აგურის. აქვს ხის, დიდი, სვეტებიანი აივანი და სარდაფი. ქუჩისპირა ფასადი ექვსი ვიწრო სარკმლით არის დანაწევრებული. სარკმლების თავსართები რკალისებრია. სარდაფის სივრცე სწორკუთხა სარკმლებით ნათდება.

სახლის ნალესობაზე, ალაგ-ალაგ, შემორჩენილია ლურჯი ფერის შეფერილობა. შენობა გადახურულია კრამიტით.

066. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოლომონ ლიონიძის შესახვევში (№ 5). აგებულია XIX ს-ის დასაწყისში.

სახლი ერთსართულიანია. ეზოს მხარეს აქვს ხის, სვეტებიანი აივანი (ნაწილი შემინულია, ნაწილი – შეფიცრული) და ნახევარსარდაფი. თავდაპირველი აივნიდან სამი სვეტი და ორი ფრიზიღაა შემორჩენილი. სვეტები რვაწახნაგოვანია, დასრულებულია დაბალი, რვაწახნაგოვანივე კაპიტელით. ფრიზი აჟურულია, შეიცავს რთული ნახატის სახეებს. სხვადასხვა სახეებითაა გაფორმებული სვეტების ზედა ნაწილებიც. ქუჩისპირა ფასადი შელესილი და შეთეთრებულია. ფასადზე ორი სწორკუთხა სარკმელი და კვეთილობით დამუშავებული, ხის ორფრთიანი კარია, რ-ითაც აივანზე ეხვდებით. შენობის უკანა კედელი რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით არის ნაგები.

შენობა გადახურულია კრამიტით. სახურავი ორფერდაა.

067. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნადიკვრის ქუჩაზე (№ 3). აგებულია XX ს-ის დასაწყისში.

სახლი ორსართულიანია. ძირითადად ნაგებია „რუსული“ აგურით. შენობა ქუჩისკენ გრძივი ფასადით გამოდის. ფასადზე, ყველა ხუროთმოძღვრული



067. საერთო ხედი

დეტალი აგურითაა გამოყვანილი. კედლის სიბრტყე, სართულშუა გადახურვისა და სარკმელთა რაფის დონეზე გამოყოფილი ჰორიზ. ზოლებით, რიტმულადაა დანაწევრებული. ფასადის ქვედა ნაწილში სამი სარკმელი, სადარბაზო შესასვლელი და ჭიშკარია. ზედა ნაწილში კი – ექვსი სარკმელი. ყველა ღიობი სწორკუთხაა, საპირის გარეშე.



067. შესასვლელი

თვით ღიობების პროპორცია – აზიდულია. პირველ სართულზე, ღიობებს შორის, რუსტირებული, პილასტრისებრი შვერილებია, ხოლო მეორე სართულზე – სადა პილასტრები. თითოეული სარკმლის ქვემოთ, ჩაღრმავებული, სწორკუთხა არეა, სწორკუთხავე შვერილი ზედაპირით შუაში. სარკმლებს ზემოთ კი – სიბრტყე გლუვია.

ფასადი დაგვირგვნებულია პარაპეტით, რ-იც სადა პილასტრებითა და მათ შორის მოქცეული, სწორკუთხა ჩაღრმავებებითაა დანაწევრებული. პარაპეტი, კედლის დანარჩენი სიბრტყიდან, გამიჯნულია ლავგარდნით, რ-ის ძირი წვრილი კბილანებითაა მორთული.

ალაყაფის კარით ღრმა გასასვლელში შევდივართ, რ-იც ეზოს უკავშირდება. შენობის გვერდითი კედლები აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითაა ამოყვანილი. ეზოს მხარეს სახლი ძლიერ არის დაზიანებული და გადაკეთებული. შერჩენილია ხის კიბეები (მძიმე მდგომარეობაში), ხის აივნები კი ჩამორღვეულია.

თ. დვალი.

068. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნადიკვრის ქუჩაზე (№ 12). აგებულია XIX ს-ის I ნახევარში.

სახლი ორსართულიანია, ირეგულარული ფორმის. აქვს „რუსული“ აგურით ამოყვანილი ნახევარსარდაფი. ამჟამად სახეშეცვლილია მრავლობითი მიშენებებით. ეზოს მხარეს შემორჩენილია დიდი ზომის, აგურის, არქაული ფორმის, მრგვალი ბურჯები. ზოგან, სარკმლების თავზე, შემორჩენილია ფსევდოსოლისებრი ქვა.

ჩიხში გამავალი გვერდითი კედელი ე. წ. „კახური“ წყობითაა ნაშენი. მეორე სართულის დონეზე სამი სარკმელია (ორი ამოშენებულია მოგვიანებით) ტიმპანით და ნახევარწრიული სათაურით. სათაური დაყრდნობილია ჰორიზონტალურ თაროზე, რ-იც კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს. ამ სარკმლების გარდა, ფასადზე კიდევ ოთხი სწორკუთხა სარკმელია, რ-ებიც საკმაოდ დაუდევრად, მოგვიანებითაა გაჭრილი.



068. საერთო ხედი

ქუჩის მხრიდან სახლი შემოზღუდულია აგურის სვეტებიანი გალავნით.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. ბასილიძე). რის შედეგადაც მას დაუბრუნდა თავდაპირველი სახე.

069. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ნადიკვრის ქუჩაზე, (№ 19) ვახვახიშვილების ციხის გარეთ, სამხრ.-აღმ-ით. თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით. ნაგებია აგურით. გაირჩევა მშენებლობის ორი ძირითადი ეტაპი. პირველი ეტაპის მხოლოდ მარანია შემორჩენილი, რ-იც მოგვიანებით აღმ-ისკენ წაუგრძელებიათ და ორ სათავსად უქცევიათ. ეს ორი სათავსი, შემდგომი ეტაპის მშენებლობის დროს, ცოკოლად გამოუყენებიათ. სახლი ე. წ. „გართულებული გეგმის“ ტიპისაა – საცხოვრ. ოთახებითა და მათი გარეთ გატანილი, დამხმარე სადგომებით.

შენობის ოთხივე ფასადი რუსული კლასიციზმისთვის დამახასიათებელი დეტალებითაა შემკული. კარისა და სარკმლების ღიობები დასრულებულია ერთმანეთის მონაცვლე ორი ტიპის – ფრონტონისებრი და თაროსებრი თავსართებით. კარ-სარკმლებს, იატაკიდან 1 მ სიმაღლეზე, „გამაერთიანებელი სალტე-თარო“ შემოუყვება. ფასადებს ორსაფეხურიანი ლავგარდანი გასდევს. ფასადების ამგვარ გადაწყვეტას ვხვდებით თბილისის XIX ს. 10-იანი, 20-იანი წლების სახლებში.

თ. კაციტაძე.

070. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნადიკვრის ქუჩაზე (№ 26). პროექტის თანახმად, აგებულია 1880-81 წლებში. სახლი თავდაპირველად ჩათიშვილებს ეკუთვნოდა, შემდგომ კი „სობოროს“ დეკანოზს, იოანე შიუკაშვილს.

სახლზე მიმაგრებულია მემორ. დაფა წარწერით: „ამ სახლში ცხოვრობდა დრამატურგი ნიკოლოზ (ნიკო) შიუკაშვილი. 1870-1938 წწ.“

სახლი ერთსართულიანია, ხუთოთახიანი. ძირითადად ნაგებია კვადრ. აგურით. ინტერიერში ოთახების განლაგება თავდაპირველია. შემორჩენილია ბუხრები.

შენობა გრძივი ფასადით ქუჩისკენაა მიმართული. ფასადზე მშვილდისებრი თაღით გადახურული ორი სადარბაზო კარი

და მშვილდისებრთაღოვანივე, სადა საპირეში ჩასმული, ექვსი სარკმელი გამოდის, რ-თა შორის აგურის წყობით გამოყვანილი რუსტირებული, ვერტ. ზოლებია ჩართული. ფასადის კიდეები, ნალისებრი თაღით დასრულებული, ჩაღრმავებული არის მქონე, პილასტრისებრი შვერილითაა აღნიშნული. შესასვლელები კედლის ბოლოებშია. მათ შორის ერთი (მარცხ. ბოლოში მდებარე) – მოგვიანებით ამოუშენებიათ და სარკმლად გადაუკეთებიათ. სარკმელთა ალათები (ნაწილი შეცვლილია) სწორკუთხაა.



070 საერთო ხედი

სადარბაზოს კარი ხისაა, ორფრთიანი. დამუშავებულია მარტივი, ნაკვეთი სახეებით. კარს ხისავე, თუნუქით დაბურული მარკიზი (გვიანდელია) აქვს. ფასადი დასრულებულია დაბალი, შვერილი ზოლით, რ-საც ძირი განიერი, კბილანისებრი ელემენტებით აქვს დამუშავებული. მათ შორის თითო, რუსტირებული, ვერტ. ზოლების ასწვრივაა, ხოლო თითო – კარ-სარკმლების.

შენობას, მარჯვნიდან, ეკვრის „რუსული“ აგურით ნაგები, ხის მოზრდილი ძელით თარაზულად გადახურული, ალაქაფის კარი, რ-ის წინა მხარე ჩაღრმავებული, სწორკუთხა არეებითაა დამუშავებული. შენობის გვერდითი ფასადები აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითაა ამოყვანილი. ორივე ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით.

ეზოს მხარეს სახლი ძლიერ არის გადაკეთებული. ამ მხრიდან მას ხის მოაჯირიანი აივანი (ამჟამად სახეცვლილია) გასდევდა, რ-ის სახურავი აგურის კვადრატულ ბოძებზე იყო დაყრდნობილი. აივანზე გამომავალი კარ-სარკმლების გადახურვა მშვილდისებრია, ალათები კი – სწორკუთხა.

შენობა გადახურულია კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით.

2011-12 წწ-ში შენობას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი ნ. ბაგრატიონი), რის შედეგადაც მას დაუბრუნდა თავდაპირველი სახე.

თ. დვალი.

071. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნადიკვრის ჩიხში (№ 1). აგებულია XIX ს-ის შუა ხანებში.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადის მარცხ. ნაწილში, სადა საპირეში ჩასმული, სამი მაღალი, მშვილდისებრი თაღით გადახურული სარკმელია, მარჯვ. ნაწილში კი – შესასვლელი. სარკმლების ქვემოთ კედელი დანაწევრებულია სამი სწორკუთხა ნიშით. შესასვლელი (ამოშენებულია) ხის, გადახურულ აივანს უკავშირდებოდა, რ-იც სახლს ეზოს მხრიდან ევლებოდა. ფასადი დასრულებულია პარაპეტით. მისი ზედაპირი სწორკუთხა და წრიული ნიშებითაა დანაწევრებული. აივანი ნაწილობრივღაა შემორჩენილი. იგი მთლიანად შემინულია, თუმცა, ხის ჭვირული ორნამენტი, აქა-იქ, ახლაც ჩანს. სახლი ორკალთა, კრამიტით დაბურული სახურავითაა გადახურული, რ-ის კალთებით მოსაზღვრულ ფრონტონის არეში, ეზოს მხარეს, გაჭრილია ორი მაღალი, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელი.

072. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას 26 მაისის ქუჩაზე (№ 8). თარიღდება XIX ს-ის I ნახევრით.

შენობა ორსართულიანია. ნაგებია აგურით. პირველ სართულზე ერთი ოთახი და ღია, სამეურნეო სათავსია. შესასვლელი აღმ-ითაა. ოთახში გაჭრილია ორი სარკმელი, მოწყობილია ერთი მოგრძო ნიშა. სართულს სამხრ-ით და აღმ-ით, ფასადის მთელ სიგრძეზე, ღია, სვეტებიანი გალერეა შემოუყვება. აგურის წყობით ამოყვანილი სვეტები მრგვალია, რ-ებსაც მარტივი, თაროსებრი კაპიტელები ასრულებს.

პირველი სართული მეორეს მთავარი (სამხრ.) ფასადის გალერეის ფარგლებში მოქცეული, რიკულებიანი კიბით უკავშირდება. კიბის საშუალებით ვხვდებით ხის ღია აივანზე, რ-იც მეორე სართულს სამივე მხრიდან შემოუყვება. აივნის მოაჯირი ხის დიაგონალურად გადამკვეთი ძელებისგან შედგება. აივანი, აქაც, კიბის მოაჯირის მსგავსი რიკულებით უნდა ყოფილიყო შემკული (არ შემორჩენილა). მეორე სართულზეც ერთი ოთახია. შესასვლელი აქაც აღმ-ითაა. ოთახის კედლებში გაჭრილია ხუთი სარკმელი (ერთი აღმ-ით,

ხოლო ორ-ორი სამხრ-ით და დასით), რ-ებიც შიგნიდან გარეთ ვიწროვდება და საფასადო მხარეს, ფრონტონისებრი თავსართებით არის დასრულებული. ოთახის დას. კედელში, სარკმლებს შორის, ბუხარია, ჩრდ. კედელში კი – ორი ნიშა.

ზ. ჯინჭარაძე.

073. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს 26 მაისის I ჩიხში (№ 10). თარიღდება XIX ს-ის შუა ხანებით.

სახლი ორსართულიანია. ნაშენია კვადრ. აგურით. აქვს ხის აივანი, აჟურულად დამუშავებული მოაჯირითა და ფრიზით. სვეტები და სვეტისთავები წახნაგოვანია. კარ-სარკმლები მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. კედლების სისქე სიძველეს მიგვანიშნებს. სახლის მეორე სართულის აივანი ეყრდნობა აგურით ნაშენ, მძლავრ ბურჯებს. I სართულის წინ ღია ტერასაა, რ-ზეც აგურია დაგებული.

შენობა გადახურულია კრამიტით.

074. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს შოთა რუსთაველის ქუჩაზე (№ 7). თარიღდება XIX ს-ის შუა წლებით.


ესაა აგურით ნაშენი, ორსართულიანი, მაღალი ნაგებობა, რ-ის გეგმის სწორკუთხედი, რამდენადმე, ეზოს გასწვრივაა დაგრძელებული, ქუჩაზე კი ვიწრო ფასადით გამოდის. შესასვლელი ქუჩიდანვეა, ფასადის მარცხ. კიდეში. კარი პირველი სართულის წინ არსებულ, ღია ტერასას უკავშირდება. ტერასიდან მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი, ხის, ერთსვლიანი კიბე. კიბე აივანზე ადის, რ-იც სახლს ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე გასდევს. სახლის პირველი სართული, როგორც ჩანს, სავაჭრო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მეორე კი საცხოვრებელია.

ინტერიერში შემორჩენილია ხის ძვ. იატაკები და ჭერი. ყველა ოთახში კედლის ღუმლებია მოწყობილი.

ფასადებიდან, თავისი გაფორმებით, გამორჩეულია ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადი. იგი შეულესავია. მორთულობის ძირითადი ელემენტებია: რუსტირებული პილასტრისებრი შვერილები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჩაღრმავებული არეები და ვერტიკალურად დაყენებული აგურებით გამოყვანილი ჰორიზ. ზოლები. ფასადის მარცხ. ნაწილი უჭირავს სწორკუთხა, ნაკვეთი სახეებით გაფორმებულ, ხის, ორფრთიან შესასვლელს და მის ასწვრივ მდებარე, განიერ სარკმელს, რ-ებიც რუსტირებულ, შვეულ ზოლებს შორის არის მოქცეული. ფასადის მარჯვ. ნაწილში კი, ოთახების კარ-სარკმლები გამოდის. მ.შ. პირველ სართულზე – ორი განიერი, სწორკუთხა ღიობია (გვიანდელია), მეორე სართულზე კი – ოთხი სარკმელი და ერთი კარი, რ-ებიც ერთმანეთისგან რუსტირებული, პილასტრისებრი შვერილით არის გამიჯნული. ყველა ღიობი ბრტყელი თაღითაა გადახურული და კედლის



074. საერთო ხედი



074. ეზოს ფასადი

მცირედ შეღრმავებულ, სწორკუთხა სიბრტყეშია მოქცეული. სწორკუთხაა ასევე კარ-სარკმლების ალათებიც. ფასადის მარჯვ. ნაწილის მთელ სიგრძეზე მოწყობილი იყო ხის, შეკიდული აივანი (ჩანს ძველ ფოტოსურათებზე), რ-ისგანაც ხის კოჭების ბუდეებიღა იყო დარჩენილი.

ფასადი დასრულებულია მაღალი პარაპეტით. შინაგანი სტრუქტურის შესაბამისად, იგი ორ ნაწილად იყოფა. ფასადის მარჯვ., ძირითადი ნაწილის ცენტრი აღნიშნულია პარაპეტზე დადგმული კოშკისებრი ნაგებობით, რ-ის წინა მხარეს, წყობის შეღრმავებით, ჯვრის გამოსახულებაა გამოყვანილი.

ეზოს მხარეს სახლს დიდი, გადახურული აივანი აქვს – ხის სვეტებით, მოხარატებული მოაჯირითა და ფრიზით.

სახლი თავისი გარეგნული დამუშავებით თელავის დამახასიათებელ და მნიშვნელოვან შენობათა რიგში დგას.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. თამარ დვალი). რის შედეგადაც მას დაუბრუნდა თავდაპირველი სახე.

თ. დვალი.

075. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს შოთა რუსთაველის ქუჩაზე (№ 13). თარიღდება XIX ს-ის შუა ხანებით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია კვადრ. აგურით. აქვს სარდაფი. სახლი ქუჩის მხარეს მიქცეულია ვიწრო, თელავური



075. საერთო ხედი

სახლებისათვის დამახასიათებელი, სამკუთხა ფრონტონით დასრულებული ფასადით. ფასადის მორთულობა ძუნწია, პროფილები – სრულიად უბრალო. ფასადზე ოთხი, ბრტყელი – თაღით გადახურული, სარკმელი გამოდის, რ-თა ქვემოთ საფეხურით შეღრმავებული, თითო სწორკუთხა არეა. ორივე მათგანი ერთიან, სადა საპირეშია ჩასმული. თითოეული სარკმლის ქვემოთ დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელია, რ-ებიც სარდაფს ანათებს.

ეზოს მხარეს ხის, ჭვირული აივანია, რ-ზეც ხისსავე, მცირე კიბე ადის. ინტერიერში შერჩენილია ძვ. იატაკი და შელამფული ჭერი. სარდაფის სივრცე მაღალია.

შენობა გადახურულია კრამიტის, ორფერდა სახურავით.

076. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს გიორგი სააკაძის მოედანზე (№ 5). თარიღდება XX ს-ის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია, შთამბეჭდავი. ნაგებია აგურით. შენობის მთავარი ფასადი მოედნისკენაა მიმართული. ფასადს, ვერტ. მიმართულებით, ორ ნაწილად ყოფს სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილი, ჰორიზ. ზოლი. I სართულის ფასადს, გვიანდ. გადაკეთებების გამო, თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს. ფასადზე სწორკუთხა მოხაზულობის ორი სარკმელი და ორი შესასვლელია. შესასვლელები ფასადის ბოლოებშია განთავსებული. მათგან ერთი, ფასადის მარცხ. ბოლოში მდებარე (მოგვიანებით დაუვიწროებიათ), აივანს უკავშირდება. ორივე კარი ხისაა, სადა. მოგვიანებით, ფასადი ცემენტით შეულესავთ და შეუთეთრებიათ. შელესილია შენობის უკანა კედელიც.

II სართულის ფასადი, უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, უცვლელად ინახავს პირვანდელ სახეს. ფასადზე ხუთი სარკმელი გამოდის. მათ შორის ოთხი – ოთახების კედლებშია გაჭრილი, ხოლო ერთი – II სართულის აივნის კედელში. ფასადის კიდეებში და სარკმლებს შორის, აგურის წყობით, რუსტირებული, პილასტრისმაგვარი შეერილებია გამოყვანილი. სარკმლების გადახურვის ცენტრი, აივნის სარკმლის გარდა, აქცენტირებულია რელიეფური, სოლისებრი ელემენტით, რ-იც



076. საერთო ხედი

სწორკუთხა, ლავგარდნიანი სათაურითაა დასრულებული. ფასადს აგვირგვინებს მაღალი, საფეხუროვანი ლავგარდანი და ჩაღმავებული არეებით დანაწევრებული, პარაპეტი.

ეზოს მხარეს, შენობის ორივე სართულს, ხის აივანი გასდევს. აივნის სვეტები წახნაგოვანია, სქელი. აქვს წახნაგოვანივე კაპიტელები. II სართულის აივნის (ამჟამად შემინულია) მოაჯირი და თაღები აჟურული სახეებით მდიდრულადაა დეკორირებული. ეზოს მხარესვე, პარაპეტის ცენტრში, დადგმულია თხელი, ნახევარწრიული ფრონტონით დასრულებული ნაგებობა, რ-ის ფრონტონის არეში გამოსახულია რუსული ინიციალები, ფრონტონის ქვემოთ კი – საათი.

სახლს გააჩნია მაღალი სარდაფი, რ-იც ადრე, სავარაუდოდ, საწყობად გამოიყენებოდა.


2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ე. მახათელაშვილი). რის შედეგადაც მას დაუბრუნდა თავდაპირველი სახე.

თ. დვალი.


077. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკო

სულხანიშვილის ქუჩაზე (№ 4). თარიღდება XIX-XX სს-ის მიჯნით.

სახლი სულხანიშვილის ქუჩის აღმართზე დგას. საფასადო მხრიდან იგი სართულნახევრიანია, ეზოს მხრიდან კი – ორსართულიანი. ქუჩისპირა ფასადი, კარ-სარკმლების ღიობებით, სიმეტრიულადაა დანაწევრებული. ფასადის ცენტრში სადარბაზო კარია, რ-ის ორივე მხარეს სამ-სამი სარკმელია გაჭრილი. სარკმლების ძირის დონეზე აგურით გამოყვანილი, ვიწრო თარაა. ნახევარსართული ლავგარდნითაა გამოყოფილი. ფასადი დასრულებულია ლავგარდნით და მაღალი პარაპეტით, რ-იც მართკუთხა ჩაღრმავებებითაა დანაწევრებული. ასეთივე ჩაღრმავებებია სარკმლების ქვეშაც. სადარბაზო კარი ხისაა, კვეთილობით მდიდრულად გაფორმებული. კარის გვერდებზე, კედელში, აგურით გამოყვანილი, მრგვალი სვეტებია. კარის ასწვრივ – ოდნავ შემაღლებული პარაპეტი, რ-იც აგურით გამოჟანილი, დეკორატ. მოტივითაა გაფორმებული.



077. გეგმა



077. განივი ჭრილი

ეზოს მხარეს, სახლის I სართული მიწის დონეზეა. II სართულზე ხის ძვ., შემინული აივანია. მისი ერთი მხარე გამოდის სახლის მთავარ ფასადზეც. აივანს შენარჩუნებული აქვს ხის ძვ. სვეტები და ჭვირული მოაჯირი. ეზოსკენ, სიღრმეში, აივანს ეკვრის გვიანდ., ორსართულიანი მინაშენი, შემინული აივნით. ქუჩის მხარეს ეზოს გასდევს რიყის ქვით ნაშენი გალავანი.



077. მთავარი ფასადი

078. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ნიკო სულხანიშვილის ქუჩაზე (№ 52). აგებულია XIX ს-ის II ნახევარში.

სახლი სულხანიშვილის ქუჩის აღმართზე დგას და ქუჩის მხარეს გრძივი ფრონტით იშლება. ქუჩის მხრიდან იგი სართულნახევრიანია, ეზოს მხარეს კი – ორსართულიანი. ქუჩისპირა ფასადი, კარ-სარკმლების ღიობებით, სიმეტრიულადაა დანაწევრებული. ნახევარსართული ლავგარდნითაა გამოყოფილი. სარკმლებს გასდევს აგურით გამოყვანილი, ვიწრო თარო. ფასადი ლავგარდნითა და საკმაოდ მაღალი პარაპეტით სრულდება, რ-იც მართკუთხა ჩაღრმავებებითაა დანაწევრებული. ასეთივე ჩაღრმავებებია სარკმლების ქვეშაც. განსაკუთრებით საზეიმოდაა გაფორმებული ხის, დეკორატ. კვეთით შესრულებული, სადარბაზო კარი. მის ორივე მხარეს, კედელში, აგურით გამოყვანილი, მრგვალი სვეტებია ჩადგმული. კარის თავზე ამაღლებულია პარაპეტიც, რ-იც აგურით გამოყვანილი დეკორატ. მოტივითაა გაფორმებული. გვერდებზე კი მრგვალი, პატარა სვეტებია ჩადგმული. ეზოს მხარეს I სართული მიწის დონეზე გამოდის. II სართულზე ხის, ძვ. აივანი შემინულია. მისი ერთი მხარე გამოდის სახლის მთავარ ფასადზეც. აივანს შენარჩუნებული აქვს ხის ძვ. სვეტები და ჭვირული მოაჯირი. ეზოსკენ,

სიღრმეში, მას ეკვრის გვიანდ., შემინულაივნიანი, ორსართულიანი მინაშენი. ქუჩის მხარეს ეზოს გასდევს რიყის ქვით ნაშენი გალავანი.

079. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ღვთისმშობლის ქუჩაზე (№ 11). თარიღდება XIX-XX ს-ის მიჯნით.

აგურის ერთსართულიანი, ნახევარსარდაფიანი სახლი ქუჩაზე განივი ფასადით გამოდის. ფასადზე სწორკუთხა ფანჯრები და სადარბაზოს ხის კვეთილი, ლითონისცხაურებიანი კარია განთავსებული. ღიობების თავზე დეკორატ., ცრუ, სოლისებრი ქვებია აგურით გამოყვანილი. მათ ზემოთ დეკორატ. კბილანისებრი ფრიზი მიუყვება. გადახურვა კრამიტისაა.

ოთახები ვიწრო შემოსასვლელის გარდიგადმო, ორ რიგადაა განლაგებული. ინტერიერში ავთენტურობა შენახულია: ძვ. დარაბები, კედლის ღუმლები, შელამფული ჭერი და სხვ.

ეზოს მხარეს ჭვირულმოჯირიანი, დაბალი ტერასა-აივანია (განახლებულია ძვ. ნახატის მიხედვით). აფრების დეკორი აღარ არსებობს.

შენობა გადახურულია კრამიტით. სახურავი ოთხკალთაა.

080. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ღვთისმშობლის ქუჩაზე (№ 18). თარიღდება XIX ს-ის I ნახევრით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია კვადრ. აგურით. აქვს სარდაფი. შენობა ეზოს სიღრმეშია წაგრძელებული და ქუჩაზე განივი ფასადით გამოდის. სახლს, ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე, გასდევს ხის სვეტებიანი, გადახურული აივანი (ნაწილი სახეშეცვლილია) – აჟურული მოაჯირით და თაღებით, რ-ებიც რთული ნახატის სახეებს შეიცავს. სახლის ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადი ასიმეტრიული მოხაზულობისაა. ფასადის ძირითადი, მარცხ. ნაწილი, სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული, მარჯვ., შედარებით ვიწრო ნაწილი კი – აივნის დამრეცი სახურავით, რ-იც ფრონტონის შესაბამისი გვერდის გაგრძელებაზეა, ოღონდ, მასთან შედარებით, ოდნავ უფრო ნაკლებადაა დახრილი. კედლის ამ ნაწილში ხის ორფრთიანი, კვეთილობით დამუშავებული, სადარბაზო კარია. კარის თავზე შემორჩენილია მარკიზის კვალი.

ფასადის ფრონტონიან ნაწილში, მშვლდისებრი თაღით გადახურული, ორი სარკმელი გამოდის, რ-თა შორის იგივე ზომის ცრუ სარკმელია მოწყობილი. სამივე სარკმლის ქვემოთ იგივე სიგანის, ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა. განაპირა სარკმლებში სწორკუთხა, ლითონისგისოსიანი ალათაა ჩასმული. ცრუ სარკმლის მიღმა, ოთახში, ბუხრის კვალი იკითხება.

ფრონტონის ზედაპირი აგურის ფიგურული წყობითაა გამოყვანილი. იგი ფასადის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი ლავგარდნით. ლავგარდნის ორივე საფეხური აგურის თითო რიგისგან შედგება. მ. შ. ზედაში აგურები ჩვეულებრივადაა დაწყობილი, ქვედაში კი – კუთხითაა შვერილი. ანალოგიური ლავგარდნითაა დასრულებული ფრონტონის ფერდებიც.



080. საერთო ხედი

შენობა გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.

ეზოს გარს ევლება რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობით ნაგები ზღუდე.

თ. დვალი.

081. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 1). აგებულია XIX ს-ის ბოლოს. ამჟამად შენობაში ფუნქციონირებს სასტუმრო „ძველი თელავი“.



081. საერთო ხედი

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. უკანასკნელ პერიოდში ნაგებობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ფაქტობრივად დაკარგა ავთენტური ფასადი, რ-იც თელავის ისტ. მუზეუმის ფოტოფონდში დაცულ, XX ს-ის დასაწყისის ერთ-ერთ ფოტოსურათზეა შემონახული.

I სართული გახსნილია ფართო ღიობებით, რ-ებშიც სავაჭრო რიგები იყო განთავსებული. II სართული მაღალი, სწორკუთხა სარკმლებით არის დანაწევრებული. სარკმლები სწორკუთხა საპირეებშია ჩასმული, რ-იც კაზმული პილასტრებით არის მოსაზღვრული. შენობის ფრიზი და ლავგარდანი დეკორატ. ნაძერწობითაა შემკული. ორნამენტული მოტივები სადაა, თანაბარზომიერად განაწილებული. ნაგებობის ცენტრ. ღიობები ლითონის შეკიდულ აივანზე გამოდის, რ-ის კონსოლებიც ჭედურია. შემორჩენილია სადარბაზო, ძვ. ხის კიბე, ხის სადა აივანი და ძვ. ალაყაფის კარი.

სახლს დიდი ზომის, კამაროვანი სარდაფი აქვს.

სახლი „გვიანი კლასიციზმის“ სტილის საინტერესო ნიმუშია.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ვ. ორბელაძე).

082. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 12). აგებულია XIX ს-ის ბოლოს. ატარებს „ამპირის“ სტილის ნიშნებს.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. I სართული სავაჭრო რიგს ეკავა, რაზედაც მიგვანიშნებს დიდი, სწორკუთხა ღიობები. II სართული საცხოვრებელია, ოთხი სწორკუთხა სარკმლით გახსნილი. სარკმლების თავსართები, აგურის წყობით, რკალურად არის დეკორირებული. პარაპეტი აგურისავე წყობაში შედრმავებული მართკუთხედებით (იმპოსტებით) ნაწევრდება. სარკმლებს შორის და კუთხეებზე აგურის რუსტიკის მოტივია ჩართული. ფასადის ცენტრ. ნაწილში კარია, რ-ის წინ მცირე ზომის, ლითონის აივანია შეკიდული. ეზოს მხარეს ხის ორი აივანია. მათ შორის ერთი ძველია, რ-საც ჭვირული დეკორის მცირე ნაწილი შემორჩა. გვერდითი ფასადი შერეული წყობით არის ნაშენი და სამკუთხა ფრონტონით ბოლოვდება. სახლი გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.



082. საერთო ხედი

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. ბასილიძე).

083. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 13). აგებულია XIX ს-ის ბოლოს.



083. ეზოს ფასადი

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურითა და რიყის ქვის მონაცვლეობით. I სართულის ფასადი ორი მართკუთხა, მცირე სარკმლით და ერთი ფართო, ხის კარით არის დანაწევრებული. კარ-სარკმლები გადახურულია ხის ძელებით. II სართულზე ასვლა ხის ღია კიბით შეიძლება. ამ სართულს, ეზოს მხარეს, თავიდან ბოლომდე გასდევს ხის, ჭვირული აივანი, რ-იც აგურის, ოთხკუთხა ბოძებს ეყრდნობა. აივნის სვეტები წახნაგოვანია, კაზმული კაპიტელებით. აივანზე გამომავალი კარ-სარკმლები მართკუთხაა, ალათები დანაწევრებული. კარები ხისაა – ყრუ.

სახლი გადახურულია კრამიტით. სახურავზე პატარა სამერცხლეა მოწყობილი.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივიშვილი).

084. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 19). აგებულია XIX ს-ში.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. გვერდის ფასადებს პირვანდელი სახე შეცვლილი აქვს - ხის აივნები შეცვლილია რკინის ტერასით, კედლები გალესილია ცემენტით. 2010-12 წწ-ში, თელავის რეაბილიტაციის პროცესში, სახლს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივიშვილი) – განახლდა ხის აივანი და კედლის ნალესობა.

I სართულის მთავარ ფასადზე სადარბაზოს, კვეთილი, ხის კარი და ნახევარწრიულთავსართიან ნიშებში ჩასმული,



084. საერთო ხედი

ორი, სწორკუთხა სარკმელია. II სართულზე ხის, შეკიდული აივანია, გამორჩეული ჭვირული ორნამენტით. აივანზე გამომავალი სარკმლების ალათები ცრუ, „გუთური“ ნახატის არის. აივნის თავზე სამკუთხა, შელესილი ფრონტონია, რ-ის ცენტრში როზეტით შემკული ლუნეტია ამოღებული.

085. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 20). აგებულია 1906 წელს, დ. სარაჯიშვილის კომპანიონის დათუნაშვილის მიერ.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. მთავარ ფასადზე გამოდის ოთხი დიდი სარკმელი და სადარბაზო კარი. სადარბაზო კარი ხისაა, გადახურულია ლითონის მარკიზით. სარკმლებს, ძირის დონეზე, გასდევს აგურით გამოჟ-

ვანილი თარო. ფასადზე, სარდაფის ნაწილი, გამოყოფილია ჰორიზ. ზოლით. კედელი დაგვირგვინებულია მაღალი ლავგარდნით და მართკუთხა ჩაღრმავებით დანაწევ-



085. საერთო ხედი


რებული პარაპეტით. ასეთივე ჩაღრმავებებია სარკმლების ქვეშაც. სადარბაზო კარი ხის ჭვირულ აივანს უკავშირდება, რ-იც სახლს გვერდითა და უკანა ფასადზე გასდევს. სახლს აქვს სარდაფი, რ-იც ეზოს მხრიდან, მიწის დონეზე გამოდის. ეზოს მხარეს სახლს თანამედროვე მინაშენი აკრავს. ქუჩისპირა ფასადზე არის წარწერა თარიღით – 1906 და ინიციალები – ი. კ. დ.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივი შვილი).

086. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის და ორაგუბის ქუჩების კუთხეში. აშენებულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

სახლი ორსართულიანია. ნაშენია აგურით. ორივე სართულზე ორ-ორი ოთახია. შესასვლელი I სართულზე, ჩოლოყაშვილის ქუჩის მხრიდანაა. სადარბაზო კარის გარდა, ამ ფასადზე კიდევ ორი სარკმელია. მარცხ. სარკმლის ქვეშ სარდაფში შესასვლელი კარია, რ-შიც აგურის, რამდენიმესაფეხურიანი კიბე ჩადის. ერისთავის ქუჩის მხარეს, სახლის I სართულის ფასადზე, სამი სარკმელი გამოდის.

II სართულს ხის, სვეტებიანი აივანი გასდევს, ჭვირული მოჯი-



086. I სართულის გეგმა



086. მთავარი ფასადი

რით და ჭვირულივე ფრიზით. 1988 წელს ძვ. აივანი პირვანდელი სახით აღადგინეს. აივანზე გამოდის II სართულის კარ-სარკმლები.


ეზოს მხარეს, სახლს ეკვრის ძვ. ორსართულიანი ნაგებობა, რ-იც სახლის ძირითად კორპუსს აივნით უერთდება.

სახლი გადახურულია კრამიტით.


2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. ბასილიძე).

087. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 39). აგებულია XIX ს-ის შუა ხანებში.


სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. სახლი ეზოს სიღრმეში დგას, ვიწრო ფასადით კი ქუჩისკენ გამოდის. ქუჩიდანვეა შესასვლელი, საიდანაც მოჭედილი, ორფრთიანი კარით შიდა ეზოში ვხვდებით. შესასვლელის აქეთ-იქით მაღაზიის შემინული ღიობებია.



087. I სართულის გეგმა



087. II სართულის გეგმა




087. მთავარი ფასადი

II სართულზე, ფასადის მთელ სიგრძეზე, ხის ჭვირულმოაჯირიანი აივანია. ამ სართულზე მოხვედრა, ხის ორი კიბით, ეზოდანაა შესაძლებელი. ორივე კიბე აივანზე ადის. აივნის სვეტებს შორის ჭვირული ფრიზია ჩადგმული. აივნის კედელი მოხატულია დეკორატ. მოტივებით (ძლიერ დაზიანებულია). აივანზე გამოდის ოთახების სწორკუთხა კარ-ფანჯრები. ეზოს მხარეს სახლს თანამედროვე მინაშენი აქვს.


2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივიშვილი). სახლი კრამიტითაა გადახურული.

088. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№52). თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით.

ორსართულიანი, საკმაოდ დიდი ზომის სახლი აგურით არის ნაშენი. ქუჩისპირა ფასადის I სართულზე სამი, მეორეზე – ორი ფანჯარა გამოდის. ფასადის ეს ნაწილი ფრონტონით გვირგვინდება, რ-იც მუქი და ღია წითელი აგურის რიგებითაა ამოყვანილი. სართულები ლავგარდნით არის გამოყოფილი. II სართულის ფანჯრების თავზე აგურითვე გამოყვანილი სანდრიკებია. კიდეებზე კედელს, მთელ სიმაღლეზე, აგურის რუსტირებული რიგები გასდევს. პირველი სართულის განაპირა, მარჯვ. ფანჯრის თავზე ხის აივანი გამოდის, რ-იც სახლს, ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე გასდევს. აივანზე ასასვლელი კიბის უჯრედი ეზოს სიღრმეშია მოწყობილი. აივანს ხის მრგვალი სვეტები აქვს, რ-ებზეც ჭვირული თაღები გადადის, მოაჯირი შეფიცრულია. აივნის კედელი ლურჯად იყო შეღებილი. მეორე სართულზე განლაგებული სამი ანფილადური ოთახი კარ-სარკმელთა ღიობებით აივანზე გამო-



088. I სართულის გეგმა



088. II სართულის გეგმა



088. ეზოს ფასადი

დის (ამჟამად აივნის ერთი კარი შემინულია). ოთახებში შემორჩენილია ხის, ძვ. კარ-ფანჯარა, ბუხარი, კედლის ღუმელი და განჯინები. ერთ-ერთი ოთახის კედლებზე – მოხატულობა.

ეზოს მხარეს სახლის პირველი სართული გადაკეთებულია – ამოშენებულია და შუშაბანდებად არის ქცეული. ქუჩის მხარეს სახლს ებმის აგურით ამოყვანილი და კრამიტით გადახურული ალაყაფი, რ-შიც ხის კარია. ეზოში შემორჩენილია აგურის ძვ. საჯინიბო, აქვეა ჭაც.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივიშვილი).

სახლი გადახურულია კრამიტით.

ქ. მიქელაძე.

089. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 53). აგებულია XIX ს-ში.

სახლი ორსართულიანია და ქუჩის მხარეს განივი ფასადით გამოდის. ნაგებია აგურით. I სართული სავაჭრო რიგია, რ-ის ორ, თაღოვან ნიშაში სარკმლის ორ-ორი ღიობია დატანებული. მათ გასწვრივ ალაყაფის კარია.

II სართულზე სახლს მხოლოდ ცალ მხარეს ჰქონდა შემორჩენილი ძვ., ჭვირული აივანი, რ-საც მდიდრული, ოსტატურად დამუშავებული დეკორი აქვს. აივანზე მაღალი, შეისრული სარკმლების რიგი გამოდის. მოპირდაპირე მხარეს აივანს პირვანდელი სახე დაკარგული ჰქონდა. ამ ნაწილში შეცვლილი იყო სახლის კრამიტის გადახურვაც.

ეზოს მხარეს სახლს II სართულზე ასასვლელი, ორი დამხმარე, ხის კიბე აქვს. გვერდით ფასადზე მეორდება შეისრული სარკმლების მოტივი. I სართულზე თაღოვანი ნიშაცაა.



089. საერთო ხედი

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. გივიშვილი): გამოიცვალა აივნები, განახლდა კედლის ნალესობა, გამოიკვეთა სავაჭრო რიგის ღიობების სისტემა.


090. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 59). აგებულია XIX ს-ის შუა ხანებში.

სახლი ორსართულიანია. ნაშენია აგურით. პირველი სართული, რ-იც თავის დროზე სავაჭრო რიგს წარმოადგენდა, სწორკუთხა პილასტრებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. პილასტრებზე გადადის თაღები. მ. შ. ერთში, ხის ძვ., გამორჩეული სილამაზის, ორი სადარბაზო კარია. დანარჩენი ორი თაღი ამოშენებულია და ორ-ორი, სწორკუთხა მოხაზულობის სარკმელია ჩასმული. მეორე სართულს, მთელ სიგრძეზე, გასდევს ხის, გადახურული აივანი, ჭვირული მოაჯირით და ჭვირულივე ფრიზით. აივანზე გამოდის ოთახების კარ-სარკმლები, რ-ებსაც პროფილირებული მოჩარჩოება აქვს. ღიობების თავზე, კედელს, მთელ სიგრძეზე, პატარა, დეკორატ. თაღედი გასდევს. კედელი ლურჯად იყო შეღებილი. აივნის მარცხ. ნაწილი შეფიცრული და შემინული იყო.


2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ატორი, არქიტ. დ. გივიშვილი). განახლდა ფასადის მარცხ. ნაწილი (უაივნოდ), რ-იც 1970-იან წწ-ში იყო დანგრეული.

091. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩისა (ნომრები: 63, 65, 67) და მისი მესამე ჩიხის კუთხეში. აგებულია XIX ს-ის შუა ხანებში.

სახლი ორსართულია. ნაშენია აგურით. პირველ სართულზე სავაჭრო რიგი იყო. ამ სართულის ფასადი დიდი თაღებითაა დანაწევრებული. თაღები ამოშენებულია და სარკმლებია ჩასმული. ფასადის მარჯვ. ნაწილში, მძლავრი პილასტრებით გამოყოფილი, აგურით ამოყვანი-



091. I სართულის გეგმა



091. II სართულის გეგმა



091. მთავარი ფასადი

ლი თაღია, რ-შიც ჩასმულია ხის ორნაწილიანი, ალაყაფის კარი. ალაყაფის კარით შიდა ეზოში შევდივართ, საიდანაც სახლის სხვადასხვა ნაწილებში შეიძლება მოხვედრა.


მეორე სართულზე, ფასადის მთელ სიგრძეზე, ხის შეკიდული, მრგვალსვეტებიანი, რიკულებიანი აივანია. აივანზე გამოდის კარ-სარკმლების თორმეტი ღიობი, რ-თა თაღები მათ შორის გამოყვანილ პილასტრებს ეყრდნობა.

სახლს, მთავარი ფასადის გაყოლებაზე, აქვს თანადროული, ერთსართულიანი მინაშენი, რ-იც ადრე საჯინიბოს წარმოადგენდა. მისი ფასადი თაღით იყო გახსნილი.


სახლის გვერდითა ფასადები საკმაოდ მაღალი ფრონტონით სრულდება. შენობა გადახურულია კრამიტით.

ეზოს მხარეს სახლს აქვს თანამედროვე მინაშენი.

2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ატორი, არქიტ. დ. გივიშვილი): მოიხსნა მოგვიანებით დამატებული ნაწილები. საჯინიბოს ფასადს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე.



092. I სართულის გეგმა



092. II სართულის გეგმა

092. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (№ 69). აგებულია XIX ს-ში.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. I სართული სავაჭრო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა. ამ სართულის ფასადი ოთხი თაღით არის დანაწევრებული. მათ შორის ორი, რ-ებიც სავაჭრო ნაწილს ეკუთვნის, სიდიდით თანაბარია. განაპირა თაღებიდან კი, ერთში, რ-იც ბევრად უფრო ვიწროა, კარია განთავსებული, მეორეში კი – ჭიშკარი.

II სართულს, მთელ სიგრძეზე, დაკიდული, გადახურული, ხის აივანი გასდევს „კაპიტელებიანი“ სვეტებით, ფიცრუ-



092. მთავარი ფასადი


ლი მოაჯირით (რ-შიც სხვადასხვა სახეებია ამოხერხილი) და სვეტებს შორის აჟურული დეკორით შემკული, მუზარადისებრი თაღებით. მშვილდისებრი თაღით არის დასრულებული აივანზე გამომავალი კარ-სარკმლების ღიობები.

სახლის ფასადი, აივნის ზემოთ, აგურის, სწორკუთხა ფრონტონითაა დასრულებული, რ-იც აგურისავე წყობითაა მორთული.


2011-12 წწ-ში სახლს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ატორი, არქიტ. დ. გივიშვილი).

093. საცხოვრებელი სახლი, ისტ., არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გიორგი ცაბაძის ქუჩაზე (№ 5). აგებულია XIX ს-ის შუა ხანებში. წარმოადგენს ქალაქური ტიპის საცხოვრებელს.

ეს არის ორსართულიანი, გეგმით სწორკუთხა (14,7x10,8 მ) ნაგებობა, ფრონტონით დასრულებული ორი ფასადით და კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით. XX საუკუნეში, ზურგის მხრიდან, სახლისთვის მიუშენებიათ ვიწრო, მოგრძო ნაგებობა, რ-შიც კიბის უჯრედი



093. II სართულის გეგმა



093. I სართულის გეგმა


და საპირფარეშოა მოთავსებული, საპირფარეშოს ქვეშ კი – იმავე ფართობის საკუჭნაო.

სახლის მთავარი, გრძივი ფასადი ჩრდ-ითაა მიმართული. ამ ფასადზე, შესასვლელის მარცხ. მხარეს, მიკრულია მარმარილოს, ოთხკუთხა დაფა წარწერით: „ამ სახლში 1912-1915 წლებში ცხოვრობდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი“.

სახლი ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა და ჩატარებული გადაკეთება-რემონტების გამო, თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი. ამჟამად შენობის ქვედა სართულის ნაწილი თელავის ტერიტორიული მართვის ორგანოს უკავია, ნაწილი კი – ომის ვეტერანთა კლუბს. 2003 წლამდე მეორე

სართულში თელავის რაიონის სპორტკომიტეტი იყო განთავსებული, მას შემდეგ კი, იგი თელავის სასპორტო გაერთიანების ჭადრაკის სექციას ეკუთვნის.

შენობის ორივე სართული, გრძივი კაპიტალური კედლით, რ-იც აღმ-იდან დას-ისკენაა



093. განივი ჭრილი

მიმართული, ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ქვედა სართულის თითოეულ ნაწილში, ერთმანეთთან დაბალი, სწორკუთხა კარით დაკავშირებული ორ-ორი ოთახია, მარცხნივ (აღმ-ით) – დიდი დარბაზი, რ-იც გრძივი ღერძის მიმართულებითაა დაგრძელებული; მარჯვნივ (დას-ით) – პატარა, გეგმით თითქმის კვადრ. ოთახი. ადრე, როგორც დიდი, ისე პატარა ოთახები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო თითო კარით, რ-ებიც ერთ-ერთი გადაკეთების დროს ამოუშენებიათ. ორივე ნაწილში მდებარე მოზრდილ ოთახს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს: მთავარი ფასადის მხარეს მდებარეს – ამავე მხრიდან, ზურგის მხარეს მდებარეს კი, გვერდითი ფასადიდან – აღმ-იდან. ამ კარის თავზე მოწყობილია ღარისებრი კრამიტით დაბურული წინფრა. მთავარი ფასადის მხარეს მდებარე ოთახის კედლებში ხუთი სარკმელია, რ-თა შორის სამი – მთავარ ფასადზე გადის, ხოლო ორი – გვერდით ფასადზე. ოთახში ერთი განჯინაა. მსგავსი განჯინა ამავე ნაწილში მდებარე მცირე ოთახშიცაა. ეს ოთახი სამი სარკმლითაა განათებული, რ-ებიც მთავარ ფასადზე გადის. ექვსი ფანჯარა და ერთი კარი გადის, გვერდით ფასადზე კი ორი ფანჯარა. გრძივი კედლის შუა ნაწილში ორი დიდი განჯინაა, განაპირა ნაწილებში კი კარები, რ-ითაც დარბაზი ზურგის მხარეს მდებარე ნაწილში განთავსებულ ოთახებს უკავშირდება. ამ ოთახებიდან ერთში – აღმ-ით მდებარე მოზრდილ ოთახში, შესასვლელი ზურგის მხრიდან მიშენებული ნაგებობიდანაა. ოთახს, გვერდითი ფასადის მხარეს, ორი სარკმელი აქვს. დას-ით კი – სწორკუთხა კარი, რ-იც მომცრო ოთახში გადის. ეს ოთახი დას. კედელში გაჭრილი ორი სარკმლითაა განათებული, რ-ებიც, როგორც ეს გარედან, ნალესობით დაუფარავი ადგილებიდან ჩანს, მოგვიანებითაა გაჭრილი. სავარაუდოა, რომ ოთახს სარკმლები ზურგის კედელში, სამხრ-იდან ჰქონდა მოწყობილი, ამჟამად ამ კედელში არსებული ნიშების ადგილზე.

მეორე სართულის თავზე მაღალი სხვენია. მასში ასვლა ზურგის მხარეს მდებარე, მოზრდილი ოთახის ჭერში მოწყობილი, სწორკუთხა ღიობიდანაა შესაძლებელი.

სახლის კედლები გარედან მთლიანად შელესილია, რის გამოც, კედლების წყობის ხასიათის და საშენი მასალის რაობის შესახებ, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. სახლის ფასადებიდან მხოლოდ ორია გაფორმებული. ორივე ფასადზე მხოლოდ ზედა სართულის კედლის სიბრტყეა დამუშავებული. მორთულობის ელემენტები მარტივია. ფასადების მთელ სიგრძეზე, ერთიმეორის ზემოთ, გამოყვანილია ორ-ორი, სხვადასხვა სიმაღლის არე, რ-ებიც ერთმანეთისგან ვიწრო, თარაზული ზოლითაა გამიჯნული. არეებიდან ზედა, ქვედა არეზე ბევრად უფრო მაღალია (დაახლ. ოთხჯერ). მასში ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული კარ-სარკმლებია განლაგებული. ქვედა ღიობი მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული.

მათ ირგვლივ სადა საპირე ეკლება, რ-საც იმავე პროფილის არქივოლტი ამშვენებს – ჩამოშვებული, მოკლე ბოლოებით. თვით საპირეები კი, შეღრმავებული არეების გამმიჯნავ ზოლს ებმის. გვერდის ფასადზე, ორივე სართულის კედელში, ჩვეულებრივ სარკმლებთან ერთად, თითო ცრუ სარკმელიცაა გამოყვანილი, რ-ებიც ფასადის ცენტრში, ერთ ვერტიკალზეა განლაგებული. ორივე ფასადის ქვედა ნახევარი ერთიანი, გლუვი სიბრტყეა, რ-იც მხოლოდ კარ-სარკმელთა ღიობებითაა დანაწევრებული. მთავარი ფასადის შუაში XX ს-ში მოწყობილი, ხის დაკიდული, გადახურული აივანია. იგი ხისსავე კონსოლებს ეყრდნობა. აივნის იატაკი რკინა-ბეტონისაა, მოაჯირი კი ფიცრულია. ფასადის ზედა ნაწილში, ზედა სართულის გადახურვის დონეზე ოდნავ ზემოთ, კედლის სისქეში მოქცეული, ხის შემკვრელი,



093. საერთო ხედი

თარაზული სარტყელი შეიმჩნევა. ნაგებობის დას. ფასადზე, მეორე სართულის სარკმლებს ზემოთ, ნალესობა დიდ ფართობზე ჩამოცვენილია და მოჩანს კედლის თავდაპირველი წყობა – რიყის ქვის სწორხაზოვნად გამავალი რიგები, რ-ებიც მოქცეულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებულ, ერთრიგად ნაწყობი აგურის ჰორიზონტალურ შრეებს შორის. მთავარი და მეორე გვერდითი ფასადი, როგორც ეს აქა-იქ ნალესობის ჩამოცვენილი ადგილებიდან ჩანს, ძირითადად, აგურით უნდა იყოს გამოყვანილი.

ორივე განივი ფასადი დასრულებულია ფრონტონით, რ-შიც ორ-ორი სავენტილაციო ხვრელია მოწყობილი.

სახლი საინტერესოა თავისი გეგმითაც და გარეგნული დამუშავებითაც.

თ. დგალი.

094. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს 9 აპრილის ქუჩაზე (№ 1). თარიღდება XIX ს-ის I ნახევრით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია რიყის ქვით და აგურით. შენობა ქუჩისკენ მიმართულია ვიწრო ფასადით, რ-საც კიდეებში პილასტრისებრი შვერილები აუყვება. მათ შორის მოქცეული სიბრტყე ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებული, მშვილდისებრთაღიანი სამი შეღრმავებითაა დანაწევრებული. განაპირა შეღრმავებაში გაჭრილია თითო სწორკუთხა სარკმელი. სახლს, ეზოს მხარეს, გასდევს ხის, გადახურული აივანი, რ-საც ჭვირული მოაჯირი აქვს. აივნის ნაწილი მოგვიანებით



094. საერთო ხედი

შეუმინავთ. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით (ნაწილი მოგვიანებით განუახლებიათ). ეზოს მხარეს გამავალი კარ-სარკმლების ღიობები ერთმანეთისგან გამიჯნულია პილასტრის მსგავსი შვერილებით, რ-ებზეც მშვილდისებრი, პროფილირებული თაღებია გადაჯვანილი. სახლს აქვს სამეურნეო დანიშნულების ნახევარსარდაფი. სახურავი ორფერდაა.

095. საცხოვრებელი სახლი, ისტ. ძ. დგას ჭადრის ქუჩაზე (№ 2). ნაგებია აგურით. ეკუთვნოდა პედაგოგსა და საზ. მოღვაწეს ივ. როსტომაშვილს, რ-მაც თელავში დააარსა წერა-კითხვის შემსწავლელი საკვირაო და გლეხ ქალთა სკოლები, საზ. სავაჭრო („დნეპრი“). თელავსა და კურდღელაურში ჩამოაყალიბა სახალხო ბანკები. 1884 წელს გაიხსნა ბ-კა-წიგნთსაცავი. როსტომაშვილის ოჯახი იყო ქართველ მოღვაწეთა თავშეყრის ადგილი.

თ. ჩიმაკაძე.

096. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 82). აგებულია XIX ს-ის შუა წლებში.

სახლი კვადრ. აგურითაა ნაშენი. ქუჩის მხარეს იგი ერთსართულიანია. ეზოს მხარეს კი – ორსართულიანი. ქვედა სართულზე სარდაფია. მთავარი ფასადი (ადრე შელესილი ყოფილა – შემორჩენილია კვალი) ქუჩის მხარეს გამოდის. იგი ორნაწილიანია. მარცხ. ნაწილი სამკუთხა ფრონტონით სრულდება, მარჯვ. კი – ფრიზით. ფრონტონში ორი წრიული ღიობია გაჭრილი. ფასადის მარცხ. ნაწილი ორი სარკმლით და მათ შორის მოქცეული, ყრუ ნიშითაა დანაწევრებული. სამივე სწორკუთხა საპირეშია ჩასმული. ფასადის მეორე ნაწილში, საგარაუდოდ, სადარბაზოს კარი უნდა ყოფილიყო განთავსებული (ამოშენებულია).

ეზოს მხარეს სახლს შერჩენილი აქვს ჭვირული აივნის მცირე ნაწილი. აივანი აგურის სვეტებზეა დაყრდნობილი. ავთენტურია კარ-სარკმლების ალათები. სარდაფი ღია ტერასაზე გამომავალი ღიობებით ნათდება.



096. საერთო ხედი

097. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 98). აგებულია XIX ს-ის შუა წლებში.

სახლი ქუჩის მხარეს ერთსართულიანია, ეზოსკენ – ორსართულიანი. ნაგებია აგურით. სახლში ოროთახიანი ბინაა განთავსებული. ინტერიერში შენარჩუნებულია სამყურა სარკმლების ალათები და ძვ. განჯინები.



097. საერთო ხედი

სახლი მთავარი ფასადით ჭავჭავაძის ქუჩაზე გამოდის. ფასადზე ორი სარკმელი და სადარბაზოს კარია. სარკმლებიც და კარიც სწორკუთხა საპირეებშია ჩასმული. თავად ღიობების თავსართი მორკალულია. სარკმლებს ქვემოთ, კედელი, ერთ დონეზე განლაგებული, შეზნექილი მართკუთხედებით ნაწევრდება. მათ ქვემოთ კი, სარდაფის ნახევარფანჯრებია განთავსებული.

სადარბაზოს კარი ხისაა, დამუშავებულია კვეთილობით. კარის თავზე, ორნამენტული დეტალებით მორთული ლითონის მარკიზია.

ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით, რ-ის ზედაპირი ორფერი (მუქი და ღია წითელი) აგურის წყობით არის გამოყვანილი. ეზოს მხარეს ხის ჭვირული აივანია (ნაწილობრივ შეცვლილი და ამოშენებული), რ-იც აგურის მძლავრ სვეტებს ეჯრდნობა. სარდაფიდან, ეზოს მხარეს, გაჭრილია რამდენიმე სწორკუთხა ღიობი.

098. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 104). თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. ქუჩის მხარეს შენობა გრძივი ფასადით გამოდის, რ-ის ქვედა ნაწილი (სარკმლების ძირის დონემდე) მიწითაა დაფარული. ფასადზე მშვილდისებრთაღიანი ორი სარკმელია, საჭექი ქვებით თაღების შუაში. ორივეში სწორკუთხა ალათაა ჩასმული და რკინის გისოსითაა აღჭურვილი. ფასადი თავისებურადაა გაფორმებული თანაბარი სიმაღლის, ოღონდ სხვადასხვა სიგანის, სწორკუთხა შვერილებით, რ-ებიც ერთ ვერტიკალზე, თანაბარი ინტერვალებით არის განლაგებული. ფასადზე ექვსი ასეთი ვერტიკალია, რ-იც მას მთელ სიმაღლეზე ასდევს: თითო – კიდეებში და თითო – სარკმლების გვერდებზე. ფასადი დასრულებულია მაღალი, ხუთსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის ქვედა საფეხური აგურის ხერხულა წყობითაა გამოყვანილი.



098. საერთო ხედი

ეზოს მხარეს, მცირე ზომის, ჭვირული აივნის ნაწილებია შემორჩენილი. აივანი აგურის ოთხკუთხა სვეტებზეა დაყრდნობილი. აივნის ქვემოთ მაღალი ნახევარსარდაფია. ეზოს მხარეს კედლები ლურჯადაა შეღებილი, სარკმლები ამ მხარესაც მშვილდისებრთაღიანია.

შენობა გადახურულია კრამიტით. სახურავი ორფერდაა.

099. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავა-



099. მთავარი ფასადი, დეტალი

ძის გამზირზე (№ 108). თარიღდება XIX ს-ის შუა წლებით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. ქუჩის მხარეს მდებარე ფასადი სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული. ფრონტონის სიბრტყე გაფორმებულია ორფერი აგურის ფიგურული წყობით. ფასადზე ბრტყელი თაღით გადახურული ორი სარკმელი გამოდის. ორივე სარკმელი ბრტყელთაღოვან, საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული.

წინკარის ნაწილში კვეთილობით დამუშავებული, ხის კარია, რ-იც ხის ჭვირულ აივანზე გადის. აივნის დეკორი ნაწილობრივ არის შერჩენილი. ინტერიერში შემონახულია ძვ. „ვალო“ თახჩები.

100. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 109). თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით.

სახლი ერთსართულიანია. დგას ეზოს სიღრმეში, ნაშენია კვადრ. აგურით. ეზოს მხარეს ხის ღია აივანი ეკვრის, რ-ის მოაჯირი (შემორჩენილია მცირე ნაწილი) აჟურული სახეებითაა დამუშავებული. სახლში შესასვლელი აივნიდანაა. აივანზე ხის, რვასაფეხურიანი კიბე ადის. აივანზე გამოდის ერთი კარი და სამი სარკმელი. ოთხივე ღიობი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, ალაოები კი სწორკუთხაა. აივნის მხარეს, კედელი შელესილია და ლურჯადაა შეღებილი.

სახლს ეკვრის აგურითა და რიყის ქვის შერეული წყობით ნაშენი საჯინიბო, რ-ის ერთი ფასადი ქუჩაზე გამოდის. დანარჩენი კედლებისგან განსხვავებით, იგი, ძირითადად, აგურითაა გამოყვანილი. ფასადის მარჯვ. ნაწილში ხის, განიერი, მოზრდილი ძელით თარაზულად გადახურული შესასვლელია, ხის ძვ. კარით, რ-საც ფასადის სიგანის ნახევარზე მეტი უჭირავს. თავად შესასვლელი ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სამცენტრიანი თაღით დასრულებულ არეში, რ-საც მსგავსი მოხაზულობის არქივოლტი აგვირგვინებს. იგი დაყრდნობილია დაბალ თაროზე, რ-იც კედლის დარჩენილ ნაწილს ბოლომდე გაუყვება. კედლის ამ მონაკვეთში, თაროდან ოდნავ ზემოთ, გამოყვანილია ორსაფეხურიანი ჩარჩოთი შემოსაზღვრული, წრის ფორმის შეღრმავება. ფასადი სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული. მასზე ორი რომბისებრი ხვრელია. ფრონტონს, ძირის დონეზე, ორსაფეხურიანი თარო გასდევს. ანალოგიური პროფილისაა ლავგარდანიც. საჯინიბოს გადახურვა ჩამოშლილია. შემორჩენილია ხის კოჭები.

ქუჩის მხარეს ეზო მოსაზღვრულია რიყის ქვით ნაგები, დაბალი გალავნით. გალავნის მარჯვ. კიდეში, საჯინიბოს კედელთან, ხის ჭიშკარია, რ-ის კრამიტის სახურავი აგურის კვადრ. ბურჯზე და საჯინიბოს კედელზე მიყრდნობილ ძელებზეა დაყრდნობილი.

თ. დვალი.

101. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 121). თარიღდება XIX ს-ის შუა ხანებით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია ძვ. აგურით. მოგვიანებით შელესილია ცემენტით.

შენობა ჭავჭავაძის ქუჩის მხარეს განივი ფასადით გამოდის. I სართული სავაჭრო დანიშნულებისაა. II სართულზე ორი მაღალი, სამყურა თაღით გადახურული სარკმელია. ორივეში სწორკუთხა ალაოებია ჩასმული. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით, ცალ მხარეს სახლს ალაყაფის კარი და მის თავზე შემინული შუშაბანდი აქვს.

102. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 127). თარიღდება XIX ს-ის შუა წლებით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია ქართ. აგურით. ქუჩის მხრიდან ფასადი შელესილია ცემენტით. პირველ სართულზე, სავაჭრო რიგისათვის დამახასიათებელ, ორ თაღოვან არეში მოქცეულია სწორკუთხა ღიობები. მეორე სართულზე ტიმპანიანი ორი კარი და ოთხი სარკმელია, ნახევარწრიული სათაურით. სათაურები ვიწროა და ერთმანეთს ბოლოებით ებმის.

მეორე სართულს, მთელ სიგრძეზე, ხის, შეკიდული აივანი გასდევდა (დღეს მთლიანად ჩამოშლილია). შენობის გვერდითი ფასადები რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობითაა ნაგები.

სახლის მეორე სართულს, ეზოს მხარეს, ხის სვეტებიანი, ჭვირული აივანი გასდევს, რ-იც ამჟამად შემინულია, პირველი



102. საერთო ხედი

სართულის წინ არსებული აივანი კი – ამოშენებულია.

შენობა გადახურულია ოთხკალთა, კრამიტით დაბურული სახურავით.

103. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 132). განეკუთვნება XIX ს-ს.

სახლი ერთსართულიანია, აგურის. გვიანდ. გადაკეთებების გამო სახეცვლილია – ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე გლუვი პარაპეტია დაშენებული. სახლში შესასვლელი ქუჩიდანაა. სადარბაზო კარი ხისაა, რ-საც ხისსავე მარკიზი აქვს. შესასვლელის გვერდებზე თითო პილასტრისმაგვარი შვერილია, ჩაღრმავებული არით შუაში. მსგავსი პილასტრი ფასადის მარცხ. კიდეშიცაა. შესასვლელის გარდა, ფასადზე ორი სარკმელი გამოდის, რ-თა შორის იგივე ზომის, ცრუ სარკმელია მოწყობილი. სამივე სარკმელი სადა, მშვილდისებრთაღიან საპირეში არის ჩასმული.

ეზოს მხარეს შუშაბანდია, ორ რიგად განთავსებული ოვალური სარკმლებით. ეზოს მხარესვეა განთავსებული მაღალი ნახევარსარდაფი.

104. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 164). თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით.


სახლი ორსართულიანია, მაღალი, I სართულზე სავაჭრო რიგით. თაღოვან ღიობებში სწორკუთხა კარ-ფანჯრებია ჩასმული. ქუჩისპირა ფასადის II სართული სახეცვლილია: ძვ. აივნის ნაცვლად, უსახური, ლითონის აივანია მოწყობილი. შენობის გვერდითი ფასადი ნაფარეულის ქუჩაზე გადის. ფასადი ტიპური, „თელავური“ ხასიათისაა. ნაშენია აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით. I სართულის მარცხ. კიდეში სადარბაზო კარია. კარის წინ – მცირე ბაქანი, რ-საც გვერდიდან სამსაფეხურიანი კიბე აქვს მოწყობილი. კარის თავზე ლითონის მარკიზია. ფასადის დანარჩენი ნაწილი საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეს უჭირავს, რ-იც კბილანისებრი ფრიზითაა დასრულებული. ამ არის მარცხ. ნაწილში სარკმლის კვალი შეიმჩნევა (ამოშენებულია).

II სართულზე, მშვილდისებრი თაღით გადახურული, სადა სათაურით დაგვირგვინებული, სამი სარკმელია. მათ შორის შუა ერუა. ფასადი სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული.


ეზოს მხარეს, სახლს, ხის, ჭვირული აივანი გასდევს. აივანზე ხისსავე, ძველ კიბეს ავყავართ. აივნის კედლებზე შემორჩენილია ადრინდ. ლურჯი ფერის ნალესობის ფრაგმენტები. ინტერიერში, ალაგ-ალაგ, შემონახულია ძვ. ბუხრები. მსგავსი ბუხრის კვალი აივნის კედელშიც ჩანს. სახლის მთელ ფართობზე სარდაფია. შენობა გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

105. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 178). აგებულია XIX ს-ის II ნახევარში.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. ქუჩის მხარეს ხის შეკიდული აივანი აქვს.



105. I სართულის გეგმა



105. II სართულის გეგმა



105. მთავარი ფასადი

პირველ სართულზე ორი სწორკუთხა სარკმელი და ხის, ძვ. ალაყაფის კარია. მეორე სართულზე კი – შეკიდული, ხის სვეტებიანი, გადახურული აივანია – ფიცრული მოაჯირით და აჟურული დეკორით შემკული თაღებით. აივანზე სამი სწორკუთხა სარკმელი და ორი კარი გამოდის. აივანი სახლს ეზოს მხრიდანაც აქვს. მასზე ასასვლელი კიბე აივნისავე ფარგლებშია მოქცეული.


სახლი გარედან გალესილია, გვერდითი ფასადები აგურის და რიყის ქვის შერეული წყობით არის ნაშენი. გადახურვა კრამიტისაა.

106. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 186). თარიღდება XIX საუკუნის I ნახევრით. წარმოადგენს ქალაქური ტიპის საცხოვრებელს. შეიცავს ორ საცხოვრებელ სართულს და სარდაფს. იგი ერთი მობინადრისთვის იყო გათვალისწინებული და ერთ მთლიან ბინას შეადგენს.

შენობა ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ინტერიერი და ფასადების ნაწილი შელესილია. სართულშუა გადახურვის და სახურავისათვის გამოყენებულია ხის კოჭები.


დროთა განმავლობაში მიღებული ძლიერი დაზიანებებისა და გადაკეთებების გამო შენობას თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი, თუმცა, გეგმარებითი სტრუქტურა და დეკორის ელემენტები, ძირითადად, შენარჩუნებული აქვს.

საერთო აღნაგობით სახლი ორმხრივი ანფილადის ტიპს უახლოვდება. ნაგებობის გეგმა, ქუჩის გასწვრივ, მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის (სიგრ. – 11,7 *მ*, სიგ. – 9,4 *მ*), რ-საც ორი მხრიდან (ჩრდ-იდან და დას-იდან) ეზო აკრავს, მთავარი ფასადით კი ქუჩისკენაა მიმართული. მეოთხე კედელი, რ-ითაც იგი გვერდით მდებარე სახლზეა მიბჯენილი – სრულიად ქრუა. ქუჩის მხარეს შენობა



106. I სართულის გეგმა

ორსართულიანია, ეზოს მხარეს კი – სამსართულიანი.



106. III სართულის გეგმა

სახლის ორივე სართულზე და სარდაფშიც ოთახების განლაგება იდენტურია. ინტერიერი შელესილია, სართულებზე და სარდაფშიაც იგი ტრადიციული, ქართ. ელემენტებით, თახჩებით და განჯინებითაა დამუშავებული. გათბობისათვის გამოყენებულია კედლის ღუმლები და ბუხრები.

სახლის თითოეულ სართულზე ხუთ-ხუთი ოთახია. მათგან ორი ქუჩის მხარესაა მოქცეული, ხოლო სამი – ეზოსკენ. ოთახები ერთმანეთისგან გამიჯნულია კაპიტალური კედლებით, რ-თა შორის, ზოგიერთში, განჯინა, ზოგიერთში კი თახჩაა მოწყობილი. ქუჩის მხარეს მოქცეული ოთახებიდან ერთი მომცროა, მეორე – მოზრდილი. ორივე ოთახი სავაჭრო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა და გარეთკენ, ოთხი ფართო მალით იყო გახსნილი. მოგვიანებით სამი მალი ამოუშენებიათ. მათგან ორში სარკმლები, ერთში კი, სარკმელთან ერთად, შესასვლელიც მოუწყვიათ. ეზოს მხარეს მდებარე სამივე ოთახი თანაბარი ფართობისაა. სამივეში შესასვლელი აივნიდანაა. შესასვლელის გარდა, ამ კედელში თითო ფანჯარაცაა. დას-ით მდებარე ოთახს, კიდევ ორი ფანჯარა ეიწრო ფასადის მხარესაც აქვს. ეზოს მხარეს მდებარე ოთახები, აივნის გარდა, ერთმანეთს კარებითაც უკავშირდება. მათგან ორი – ქუჩის მხარეს მდებარე, მოზრდილ ოთახთანაც არის დაკავშირებული, ხოლო ერთი, დასისა – ქუჩის მხარეს მდებარე მომცრო ოთახთან. ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი შესასვლელი (გვიანდელია) ეიწრო ფასადის მხრიდან აქვს მოწყობილი. კარის წინ არსებული ხის, ექვსსაფეხურიანი კიბის ავლით.

სახლის სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მხოლოდ ხის, გარეგანი კიბით, რ-იც ეზოს მხარეს მდებარე აივანზე იყო მიდგმული. კიბე ამჟამად მთლიანად ჩამოშლილია.

სახლის მეორე სართულზე, ეზოს მხარეს მდებარე ოთახები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. მათ შორის კავშირი მხოლოდ აივნიდან ხორციელდება. ამავე მხრიდანვეა მოწყობილი სარკმლებიც. სამივე ოთახი ქუჩის მხარეს მდებარე ოთახებს თითო კარით უკავშირდება. ქუჩისკენ მდებარე ორივე ოთახიდან, ამ მხარეს არსებულ, დაკიდულ აივანზე კარები გადიოდა: მოზრდილი ოთახიდან – ორი, მომცროდან კი – ერთი (მოგვიანებით მოზრდილი ოთახის კარებიდან ერთი – მთლიანად ამოუშენებიათ, ხოლო მეორე – სარკმლად გადაუკეთებიათ). მოზრდილ ოთახს, აივნის მხარეს, კარების გარდა, სამი სარკმელიც აქვს. მცირე ოთახი კი ორი სარკმლითაა განათებული. მათ შორის ერთი – აივანზე გადის, ხოლო მეორე – ვიწრო ფასადზე.

სარდაფი ოთხ სათავსს შეიცავს. მათგან სამი, დაახლ. თანაბარი ფართობის სათავსი ეზოს მხარეს მდებარე ნაწილშია, ხოლო ერთი – ქუჩის მხარეს მდებარე ნაწილში. მთავარი ფასადის მხარეს ამ სადგომს სამი განიერი, თარაზულად გადახურული, მკვეთრად დახრილი, საფეხუროვანი ძირის მქონე ღიობი აქვს. სადგომის კედლებში რვა ნიშაა მოწყობილი: ორ-ორი – თარაზულად გადახურული – აღმ. და ჩრდ. კედლებშია, ხოლო ოთხი დას. კედელში. ოთხივე გეგმით ნახევარწრიულია და კონქითაა გადახურული. აღმ. კედლის შუაში, ნიშებს შორის, თაღოვანი ბუხარია, ჩრდ. კედლის კიდეებში კი კარები, რ-ებიც ეზოს მხარეს განლაგებულ, მცირე სადგომებში გადის. ორივე სადგომს, ეზოს მხრიდან, დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. შესასვლელის გარდა, ამავე კედელში თითო სარკმელიცაა. დამოუკიდებელი შესასვლელი და ერთი სარკმე-

ლი აქვს შენობის ამ ნაწილში მდებარე, მესამე სადგომსაც. ამ უკანასკნელს მეორე სარკ-



106. განივი ჭრილი


მელიც (გვიანდელია) აშუქებს, რ-იც ვიწრო ფასადზე გადის. სადგომის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით. იატაკის შუაში მცირე ქვევრია ჩაფლული. ბუხარი სამივე სადგომშია. ბუხრის გარდა, სადგომებში თითო ნიშაცაა. კარები, ქვედა სარკმელი და ნი'შა სწორკუთხაა, გადახურულია ხის ძელებით. სადგომების ჭერი ბრტყელია, შეუფიცრავი.

სარდაფის წინ უმოაჯირო, ღია ბაქანია, რ-იც მხოლოდ გვერდებიდანაა შემოზღუდული. ორივე გვერდითი კედელი აგურისაა, ორივეში ბუხარია მოწყობილი.

შენობის ფასადებიდან გამორჩეულია ქუჩის მხარეს მიქცეული ფასადი. ყველა ხუროთ-მოძღვრული დეტალი გამოყვანილია კედლის სიბრტყიდან ოდნავ შვერილი აგურების წყობით. პირველი და მეორე სართულების გადახურვების დონეზე ხის შემკვრელი სარტყელია, რ-ზეც დაყრდნობილი იყო ხის, დაკიდული აივნის იატაკის კოჭები. ფასადის ქვედა ნაწილში, მთელ სიგრძეზე, ოთხი ფართო, მშვილდისებრი თაღით დასრულებული, შეღრმავებული არეა. მათ შორის სამი თანაბარი ზომისაა, ხოლო ერთი – ფასადის მარცხ. ნაწილში მდებარე – რამდენადმე უფრო განიერი. ამ უკანასკნელში ორი სარკმელია ჩასმული. მალებს ზემოთ, მალების თაღების მოხაზულობის შესაბამისად, ორსაფეხურიანი, შვერილი ზოლია გამოყვანილი.

მეორე სართულის კედლის კიდეებში, გამოყვანილია თითო პილასტრი. მათ შორის კი, თანაბარი ინტერვალებით, კარ-სარკმლებია განლაგებული. კარებიცა და სარკმლებიც მშვილდისებრთაღიანია და ირგვლივ სადა საპირე ევლება. ერთი პილასტრი ფასადის მარცხ. ნახევარშია, დიდი და მცირე ოთახების საზღვარზე. ეს უკანასკნელი განაპირა პილასტრებზე რამდენადმე მოკლეა და სარკმელთა ძირის დონეზე მდებარე ჰორიზონტალურ ზოლზეა დაყრდნობილი.

შენობის გვერდითი (ვიწრო) ფასადი თითქმის ყრუა. ფასადი, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-ებშიც თანაბარი ინტერვალებით, აგურის ორრიგიანი, თარაზულად გამავალი შრეებია ჩართული. ფასადზე მხოლოდ სამი სარკმელი გამოდის: თითო-თითო მეორე – სართულის დონეზე,



106. მთავარი ფასადი (რეკონსტრუქცია)

კედლის კიდეებშია, ერთი – პირველი სართულის მარცხ. კიდეში.



106. ეზოს ფასადი. III სართულის აივანი, დეტალი

ეზოს მხარეს, ალაზნის ველისკენ მიმართული, ორივე სართულის ფასადს, მთელ სიგრძეზე გაუყვებოდა ხის აივანი. აივნიდან მხოლოდ ორი მალილაა შემორჩენილი – რვაწახნაგოვანი, „კაპიტელებიანი“ სვეტებით, ფიცრული მოაჯირით, რ-შიც სხვადასხვა სახეებია ამოხერხილი და სვეტებს შორის მშვენიერი, აჟურული დეკორით შემკული „ფრიზით“. მოგვიანებით, განაპირა მარჯვ. მალი შეუმინავთ, როგორც ჩანს, იმ დროს, როდესაც აივნის ამ ბოლოში ღუმელი ააგეს. ორივე სართულიდან აივანზე გამოდის მშვილდისებრი თაღებით გადახურული კარ-სარკმლები – საპირეების გარეშე. მათ შორის პირველი სართულის სარკმლები, ისევე როგორც სარდაფისა, ლითონის გისოსებითაა აღჭურვილი. კიბე აივანზე გარედან იყო მიდგმული და სანახევროდ მის ფარგლებში იჭრებოდა. იგი, როგორც ჩანს, სამმარშიანი ყოფილა და აივნის წინ მდგარ ორ სვეტს (სავარაუდოდ, ხის) ეყრდნობოდა.

შენობის კედლები დასრულებულია აგურით ნაწყობი, სამსაფეხურიანი ლავგარდნით დაგვირგვინებული, ყრუ პარაპეტით. შენობა გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით დაბურული, ოთხკალთა სახურავით (ამჟამად აღარ არსებობს).

თ. დვალი.

107. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია ჭავჭავაძის გამზირზე (№ 203). აგებულია 1902 წელს.

სახლი ორსართულიანია, მაღალი. ნაგებია აგურით. ოთახების ბლოკი, ქუჩის გასწვრივ, მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის და ქუჩისკენ აგურით დეკორირებული ფასადით გამოდის. ფასადი თანაბარი ინტერვალებით განლაგებული, ბრტყელი თაღით გადახურული კარ-სარკმლებით არის დანაწევრებული. სარკმლებს შორის და ფასადის კიდეებში ვიწრო, პილასტრისებრი შვერილებია, რ-ებიც ქვედა სართულზე რუსტირებულია, ზედაზე კი – გლუვი. თითოეული ღიობის თავზე სოლისებრი, საჭექ ქვაა. სართულშუა და მეორე სართულის გადახურვის დონეზე, მთელ სიგრძეზე, მაღალი, საფეხუროვანი ლავგარდანია გამოყვანილი. ფასადი დაგვირგვინებულია პარაპეტით, რ-იც დაბალი, პილასტრისებრი შვერილებით და ოდნავ შეღრმავებული ნიშებით არის დანაწევრებული. მსგავსი ნიშებია სარკმლების ქვემოთაც. პარაპეტის ცენტრში, ნახევარწრიული ფრონტონით დასრულებული, მცირე შემაღლებაა. ფრონტონის არეში, გამოსახულია შენობის აგების თარიღი – 1902 წელი. ფასადზე მცირე ზომის ლითონის აივანია შეკიდული.

ეზოს მხარე სახეცვლილია, ამოშენებულია და შელესილია ცემენტით.

108. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილია



107. საერთო ხედი

ჭავჭავაძის გამზირზე (№ 219). თარიღდება XIXს-ის დასწყისით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია ძვ. აგურით. ქუჩისპირა ფასადი გალესილია. I სართულზე განიერი, თაღოვანი ნიშაა, რ-იც აქ ადრე არსებული, სავაჭრო დახლის არსებობას მიგვანიშნებს. ამ თაღის შიგნით, თავდაპირველად არსებული ღიობები მცირე ზომის, სწორკუთხა, ორი სარკმლითაა შეცვლილი.

II სართულზე ხის, ჭვირული აივანი მოშლილია. ჩანს აივნის კოჭების არსებობის დამადასტურებელი ღრმულები. ამ სართულის სარკმლები სწორკუთხაა, ჩასმულია რკალურთავიან, სადა საპირეში. მათ ზემოთ, ფასადზე, ჩანს კბილანისებრი, ორნამენტული ზოლები.


ეზოს მხარეს სახლის ექსტერიერი ძლიერ შეცვლილია. მთლიანად დაკარგულია ხის აივნის კაზმულობა. კარ-სარკმლების ძვ. ჩარჩოები მხოლოდ II სართულზეა შემონახული. I სართული ცემენტით არის გალესილი, ნაწილობრივ ჩანს აგურის სვეტებისა და შერეული წყობით ნაგები კედლის ფაქტურა.

109. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ღვთაების უძველესს ნამოსახლარ ბორცვზე. მიეკუთვნება კახეთის ადრეული ბაზილიკების ჯგუფს (ხაშმის სამება, ნატკორა). თარიღდება V ს-ით, VI ს-ის დასაწყისით.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ერეკლე II-ის ცხედარი, გარკვეული დროის შემდეგ, სამეფო პალატიდან ღვთაების ტაძარში გადაასვენეს, „ვინაითგან მუნით უმარჯვეს იყო წასვენებად მცხეთად“.

ეკლ. მოქმედია, დგას რიყის ქვის დაბალი გალავნით შემოფარგლულ, რიყის ქვითვე მოკირწყლულ, პატარა ეზოში. ეკლესიის გარდა, ეზოში, XX ს-ში აგებული კიდევ რამდენიმე სამომსახურო ნაგებობაა – სატრაპეზო, სენაკები, სამეურნეო ნაგებობები და სხვ.

ძ. წაგრძელებული, საკმაოდ ვრცელი, სამნავიანი ბაზილიკაა (22,3x11,7 მ). წარსულში იგი მრავალჯერ არის აღდგენილ-გადაკეთებული (განსაკუთრებით აღმ. და დას. ნაწილები), რის გამოც თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი. შენობის კორპუსი, ისა – XVI ს-ში, სამხრ-ისა კი – XX ს-ში). მესამე შესასვლელი ჩრდ. კედლის დას. ნაწილში ყოფილა მოწყობილი (ჩანს მხოლოდ გარედან). იგი შირიმის



109. გეგმა

თავდაპირველი ფენის გარდა, სხვადასხვა პერიოდის კიდევ რამდენიმე სამშენ. ფენას შეიცავს, რ-თა შორის უკანასკნელი, XVI ს. განეკუთვნება (ექ. თაყაიშვილის მიხედვით, ეკლ. აღდგენილია ბეჟან ყორჩიბაშის მიერ). შიგნით ეკლ. სქლადაა შელესილი, რის გამოც სამშენ. ფენების გამიჯვნა მხოლოდ საგარაუდოდაა შესაძლებელი. გარკვეული შეკეთებები ეკლესიამ XX ს-ის II ნახევარშიც განიცადა. ამ დროს კედლები გარედან გაიწმინდა XIX ს-ის დროინდელი შელესილ-შეთეთრებული ფენისგან. ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვის მიზნით, ოთხივე კედელს გაუკეთდა ცემენტის სქელი, საკმაოდ უხეში ზედაპირის მქონე პანელი (სიმ. დაახლ. 1 მ). ეკლესიის ირგვლივ მოეწყო განიერი, ბაზალტის ფილებით მოპირკეთებული სარინი. სარკმლებში ჩაისვა ხის, შემინული ალათები, რის გამოც ზოგიერთი სარკმლის ღიობის გარეთა ნახევარი გაგანიერდა, ზოგის კი ნაწილობრივ გადაკეთდა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან (ორივე გადაკეთებულია: დასნათალი ქვით ნაწყობი თაღით იყო გადახურული. მოგვიანებით, ღიობში, კვადრ. აგურის წყობით, გამოუყვანიათ რამდენადმე მცირე, თარაზულად გადახურული შესასვლელი, რ-იც მომდევნო ხანებში მთლიანად ამოუშენებიათ.



109. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ამჟამად ბაზილიკის შიდა სივრცე კვადრ. კვეთის ბურჯების ორი წყვილით და მა-

თზე გრძივი მიმართულებით გადაყვანილი თაღებით სამ ნავადაა გაყოფილი. ჩრდ. თაღები თავდაპირველია და მკვეთრად მოხაზული, ნალისებრი ფორმა აქვს. თაღების ქვეშ, გვერდითი ნავების მხარეს მიქცეულ ნაწილში, ჩაშენებულია დადაბლებული თაღები, რ-ებზეც დაყრდნობილია ჩრდ. ნავის გვიანდ. კამარა. თაღების ქუსლების დონეზე გამოყოფილია მაღალი იმპოსტები, რ-თა პროფილს თარო და ოდნავ შეზნექილი ფრეთარგი შეადგენს (აღმ-იდან მესამე თაღის აღმ. ქუსლთან არსებულ იმპოსტზე ნალესობის მოხსნის შემდგომ გამოჩნდა, რომ იგი შირიმის ქვაში იყო გამოკვეთილი). სამხრ. თაღები, ისევე როგორც ცენტრ. ნავის კამარა (აღდგენილია XVI ს-ში), შეისრული ფორმისაა. როგორც ჩანს, თავდაპირველად შუა ნავი, გვერდით ნავებთან დაკავშირებული იყო ხუთ-ხუთი თაღით. მოგვიანებით, განაპირა თაღების ორივე წყვილში კედელი ჩაუშენებიათ. მათ შორის აღმ. თაღების ამოშენებულ კედელში თითო ვიწრო გასასვლელია მოწყობილი. დას. თაღებში ჩაშენებული კედლები კი ყრუა, რის გამოც ბაზილიკის დას. ნაწილი სამ გაცალკევებულ, კამაროვან სადგომადაა გაყოფილი. თითოეული სადგომი, ბაზილიკის შესაბამისი ნავისგან, ბურჯების დას. წყვილის ხაზზე აგებული კედლით არის გამიჯნული. სამივე კედელში თითო დაბალი, სწორკუთხა კარია. შუა ნავის ფარგლებში კედელი ნავის მთელ სიმაღლეზეა აყვანილი, გვერდით ნავებში კი – მათი სიმაღლის 1/3-ზე.

შუა ნავი, გვერდით ნავებთან შედარებით, თითქმის ორნახევარჯერ უფრო განიერია და გაცილებით მაღალი. აღმ-ით იგი დასრულებულია ნალისებრი მოხაზულობის აფსიდით, გვერდითი ნავები კი – მცირე, სწორკუთხა სადგომით, რ-ებიც საკურთხეველს უშუალოდ არ უკავშირდებოდა. ორივე სადგომი, შესაბამისი ნავისგან, კედლით არის გამიჯნული და მას ამ კედელში მოწყობილი, სწორკუთხა კარით უკავშირდება. სადგომები, აღმ. კედელში გაჭრილი თითო სარკმლითაა განათებული. სადგომების თავზე იგივე მოხაზულობის თითო სადგომია (გვიანდელია), რ-ებიც, როგორც ჩანს, სამალავებად გამოიყენებოდა. ამ სადგომებში ასვლა, შესაძლებელია, როგორც შიგნიდან, კედლის სისქეში დატანებული კიბით, ისე გარედანაც – მისადგმელი კიბით.

საკურთხევლის აფსიდს, მთელ სიგრძეზე, საფეხური გაუყვება. აფსიდის ცენტრში განიერი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდის წინ ღრმა ბემაა. საკურთხეველი, დანარჩენი სივრცისგან, გამიჯნულია ხის მაღალი კანკელით (მოხატულია მხატვარ გეგელიძის მიერ, 1897 წელს. ხის ხელობა კი ეკუთვნის იოსებ დავითაშვილს, პოეტს, ლექსი „ჯეჯილის“ ავტორს. ტაძარში დაცულია XVIII ს-ის მაცხოვრის ხატი და მხატვარ ვალერიან სიდამონ-ერისთავის მოხატული, ორი მრავალნაწილადი ხატი). შუა ნავის გრძივ კედლებში ოთხ-ოთხი ისრულთაღოვანი სარკმე-



109, ინტერიერი, შუა ნავი, ხედი აღმ-კენ

ლია გაჭრილი. კამარა ეყრდნობა სამ საბჯენ თაღს, თაღები კი – შეკიდულ პილასტრებს. თითო მსგავსი პილასტრი ნავის დას. კუთხეებშია. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაჭვანილი. ყველა საბჯენი თაღი შეისრულია.

გვერდითი ნავები ორ-ორი თაღოვანი სარკმლითაა განათებული. ნავები გადახურულია ერთიანი, ცილინდრული კამარით. მსგავსი მოხაზულობის კამარითაა გადახურული საკურთხევლის გვერდებზე არსებული სადგომებიც.

ბაზილიკის დას. ნაწილი ორსართულიანია. მეორე სართულიც სამი ოთხკუთხა სადგომისგან შედგება. ამ სართულზე ასასვლელი ლითონის კიბე გარედან, ჩრდ. მხრიდანაა, რ-იც შესასვლელის წინ მოწყობილ ბაქანზე ადის. სართულის დას. კედელში ორრიგად განლაგებული რამდენიმე სათოფური და ორი ტლანქი სარკმელია. მათ შორის ქვედა სათოფურები მიწისკენაა დახრილი, ზედები კი, პირდაპირაა მიმართული.

ეკლესიის შიდა სტრუქტურა, გარე ფორმებშიცაა გამოვლენილი. ბაზილიკის შუა ნავი რამდენადმე შემაღლებულია გვერდითი ნავების მიმართ და ორფერდა სახურავითაა გადახურული. გვერდითი ნავები კი, ცალფერდა სახურავით. ბაზილიკის დას. ნაწილი, როგორც შიგნით, ისე გარედანაც, ძირითადი კორპუსისგან ცალკე მოცულობადაა გამოყოფილი. შენობის ამ ნაწილზე დადგმულია მაღალი, მთლიანად აგურით ნაშენი, ცილინდრული ფორმის სამრეკლო, რ-იც ვიწრო, მაღალი თაღებითაა გახსნილი და კონუსისებრი სახურავითაა დასრულებული.

შენობის კედლები საშ. ზომის, რიყის ქვის სწორი რიგებითაა ნაწყობი. მოგვიანებით გაახლებულ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, კვადრ. აგურიცაა ნახმარი. კედლების ნაწილთა ქრონოლოგიური სხვაობა ყველაზე მეტად დას. ფასადზეა შესამჩნევი. ფასადის ქვედა ნაწილში შეისრულთაღოვანი კარია. იგი ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-საც სამსაფეხურიანი, აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ფრიზი აგვირგვინებს. მთლიანად აგურითაა გამოყვანილი დას. ფასადის ზედა, ცენტრ. ნაწილი, რ-ზეც წყობის შეღრმავებით, ერთ დონეზე განლაგებული, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, სამი დაბალი ჯვარია გამოსახული. ერთი, ოღონდ რელიეფური ჯვარი, აღმ. ფასადზეცაა – ცენტრ. ნავის ზედა ნაწილში. იგი ტოლმკლავაა და ლეკალური აგურითაა გამოყვანილი. ლეკალური აგურით ნაწყობი, მრუდხაზოვანი პროფილის (თარო, წრეთარგი, ლილვი) ლავგარდნითაა დასრულებული ბაზილიკის ნავების კედლებიც. განსხვავებული პროფილისაა დას. ნაწილის ლავგარდანი (აღდგენილია XX ს-ში). ეს უკანასკნელიც აგურისაა, ოღონდ საფეხუროვანი.


ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით. სამრეკლო – თუნუქით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 74; 75; 157; 167; 199; 212; 219; 317; 335.

110. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. ნაწილში. თარიღდება XIX ს-ით. ამჟამად მოქმედია.

ეკლ. გუმბათოვანია, სწორკუთხედში ჩახაზული ჯვრის ტიპის (18,3×13,7 *მ*, შიგნით სიმ. გუმბათის წვერომდე 22 *მ*-მდეა). ნაშენია აგურით. შიგნიდან შელესილია, ხოლო გარედან შეთეთრებული.



110. გეგმა


შიდა სივრცეში ჯვრის სახეს ქმნის ოთხი კამაროვანი მკლავი, რ-თა თავშეყრის ადგილას აღმართულია მაღალი, თორმეტსარკმლიანი გუმბათი. გუმბათი კვადრ. კვეთის ოთხ, თავისუფლად მდგომ ბურჯზე გადაქვანილ თაღებზეა დაყრდნობილი და, გუმბათქვეშა სივრცესთან ერთად, ეკლესიის კომპოზიციურ ცენტრს ქმნის. აღმ. მკლავი, დანარჩენ მკლავებთან შედარებით, უფრო გრძელია და საკურთხევლის აფსიდითაა დასრულებული. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა, თითქმის თანაბარი სიგრძისა. შიდა სივრცის ოთხივე კუთხეში, ჯვრის მკლავებთან შედარებით, გაცილებით დაბალი, კამაროვანი სივრცეა, რ-იც

შესაბამისი მკლავების მხარეს თითო, განიერი თაღით არის გახსნილი. ყველა საბჯენი თაღი და კამარა შეისრული ფორმისაა. გუმბათქვეშა კვარდატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება.

შესასვლელი სამია – სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავების ღერძებზე. სამივე კარი შეისრულთაღოვანია და შიგნითკენ თანდათან ფართოვდება.

საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. აფსიდის ცენტრში, ერთიმეორის ზემოთ, ორი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მათ შორის ქვედა მოგვიანებით ამოუშენებიათ და სიმაღლეში მნიშვნელოვნად დაუდაბლებიათ. აფსიდის ორივე გვერდში თითო ნიშაა.

საკურთხევლის გვერდებზე, ორ სართულად, გეგმით თითქმის კვადრ., კამაროვანი სადგომებია განლაგებული. ქვედა სართულის სადგომები – სამკვეთლო და სადიაკვნე, ეკლესიის ძირითად სივრცეს დას.



110. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება. სამკვეთლო, განიერი თაღოვანი გასასვლელით, საკურთხეველთანაცაა დაკავშირებული. გასასვლელის აღმ. წირთხლში კიბე იწყება. კიბე მეორე სართულის სადგომებში ადის. იქიდან კი, კედელში დატანებული ვიწრო სასვლელებით, შესაძლებელია კონქის და კამარის თავზე არსებულ სამალავებში მოხვედრა. ორივე სათავსის აღმ. კედელში თითო ფართო, მაღალი, თაღოვანი სარკმელია. თითო, ოღონდ მრგვალი სარკმელი ზედა სართულის სადგომების აღმ. კედელშიცაა. კიდევ ორი, მაგრამ ოდნავ განიერი კიბე დას. კედლის ბოლოებშია მოწყობილი. ორივე კიბე ეკლესიის დას. ნაწილში ადრე არსებულ ხის პატრონიკეზე ადიოდა. აქედან კი, დას. კედლის სისქეში მოწყობილი კიბის მეშვეობით, დას. კედელზე დაშენებულ სამრეკლოს უკავშირდებოდა.

შიდა სივრცე კარგადაა განათებული. გუმბათის სარკმლების გარდა, თითო თაღოვანი სარკმელი, ჯვრის სამივე მკლავში, შესავლელის ასწვრივაა გაჭრილი. თითოც – კუთხის სივრცეების კედლებშია. ყველა სარკმლის თაღი ნახევარწრიულია.

გუმბათის ნახევარსფერო, ყელი და აფრები მოხატულია XIX ს-ში.

ეკლესიის შიდა სივრცის შესატყვისია მისი გარე ფორმები. ფასადებზე ჯვრის მკლავები სიმაღლითა და დამრეცი ფრონტონითაა გამოყოფილი, რ-ებსაც ორივე მხარეს, ოდნავ დაბალი და ცალფერდა სახურავით გადახურული, გვერდითი სადგომები ეკვრის. ფასადების მორთულობის ძირითადი ელემენტებია ლეკალური აგურით გამოყვანილი, კედლის სიბრტყიდან ოდნავ შვერილი, სწორკუთხა ბაზისებზე დაყრდნობილი თაღები, რ-ებიც ფასადების აღნაგობის შესაბამისად, სხვადასხვა სიმაღლისაა. ე. ი. ჯვრის მკლავების სიბრტყეზე გამოყვანილი თაღები უფრო მაღალია, ვიდრე გვერდითი ნაწილებისა. ამასთან



110. ინტერიერი, ხედი სამხრ.-კენ

ერთად, ცენტრალურ თაღებში ჩასმულია რამდენადმე უფრო მომცრო თაღი, რ-იც სიმაღლეში ორ ტოლ, თაღოვან არედ არის გაყოფილი. აღმ. ფასადზე, ორივე თაღში, საკურთხევლის სარკმელი გამოდის, დანარჩენ ფასადებზე კი – ზედა თაღში სარკმელია მოთავსებული, ხოლო ქვედაში – შესასვლელი. ოთხივე ფასადზე ცენტრ. თაღზე დადგმულია მაღალი, წყობიდან შვერილი აგურებით გამოყვანილი ჯვარი, რ-თა ფორმა განივ და გრძივ ფასადებზე ერთმანეთისგან განსხვავებულია. აღმ. და დას. ფასადებზე, ცენტრ. თაღის გვერდებზე, ბევრად უფრო დაბალი თითო თაღია. აღმ. ფასადის თაღებში, შიდა გეგმარების შესაბამისად, სამკვეთლოსა და სადიაკვნის სარკმელია მოთავსებული, დას. ფასადზე კი პატრონიკეზე ასასვლელი კიბეების განათებელი სარკმლები. აღმ. თაღების ზემოთ მეორე სართულის სადგომების – სამალავების თითო, ლილვშემოვლებული, მრგვალი სარკმელია. თითო მსგავსი სარკმელია ცენტრ. თაღის გვერდების ასწვრივაც, თაღის წვერის დონეზე. ისინი კონქისა და კამარის თავზე არსებულ სივრცეებს აშუქებდნენ. ამ სივრცეების გასაშუქებლად, მსგავსი სარკმლები ოთხივე მკლავის გვერდით კედლებშიცაა მოწყობილი.

გრძივ ფასადებზე ცენტრ. თაღის გვერდებზე, განივ ფასადებზე არსებული თაღების სიმაღლის, მაგრამ გაცილებით ვიწრო თაღებია მიჯრით განლაგებული – აღმ-ით ოთხ-ოთხი, ხოლო დას-ით სამ-სამი. ორივე ფასადზე, ორ თაღში, კუთხის სივრცეების სარკმლებია მოქცეული, დანარჩენები კი ცრუ სარკმლებითაა აღჭურვილი. ქვედა სარკმელს (ცრუ სარკმლების გარდა) ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი ევლება.

შენობის კედლები დასრულებულია მაღალი, მრუდხაზოვანი პროფილის ლავგარდნით.

თორმეტწახნაგა გუმბათის ყელი ლილვებით, თაღებით, მცირე, შეღრმავებული ჯვრებითა და სხვადასხვა გეომეტრიული ელემენტებითაა მორთული. ყოველ წიბოს, მთელ სიმაღლეზე, ლილვი აუყვება. თითოეულ წახნაგში, თითქმის მთელ სიმაღლეზე, თითო თაღია, რ-საც პატარა, შეღრმავებული ჯვარი ადგას. წახნაგის ღერძზე მაღალი, ლილვშემოვლებული, თაღოვანი სარკმელია. ამ არის ზემოთ, ორ ჰორიზონტალურ ლილვს შორის მოქცეული, სწორკუთხა არეა, რ-შიც ორმწკრივად განლაგებული, ერთმანეთზე გადაბმული რომბებია გამოყვანილი. ლილვებიც და თაღებიც დაყრდნობილია მაღალ სარტყელზე, რ-იც შედგენილია ორი ლილვითა და მათ შორის მოქცეული, შეღრმავებული, მომრგვალებულთავიანი ოთხკუთხედების მწკრივით გა-



110. ხედი სამხრ.-აღმ-იდან


ფორმებული, შვეული სიბრტყისგან. გუმბათის ყელი ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნითაა დასრულებული. გუმბათი გადახურულია თუნუქის თორმეტწახნაგა სახურავით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

111. ჟორჩიბაშიშვილების ციხე, არქიტ. არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. ნაწილში, ღვთაების უძველესს ნამოსახლარ ბორცვზე. თარიღდება XVIII ს-ის მეორე ნახევრით. ციხე თითქმის მთლიანადაა დანგრეული. ამჟამად ბორცვის ტერიტორიაზე მჭიდრო დასახლებაა, რის გამოც ციხის გეგმის მოხაზულობის დადგენა ძნელად ხერხდება. ციხე დატანილია თელავის 1802 წლის გეგმაზე, რ-ის მიხედვითაც მას ბორცვის თავი მთლიანად აქვს მოკავებული, რის გამოც გეგმის კონფიგურა-

ციაც რელიეფის თავისებურებითაა ნაკარნახევი. ციხის გეგმა აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული მრავალგვერდაა (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 162 *მ*, სიგ. 77 *მ*), რ-ის აღმ. და სამხრ. გვერდები სწორხაზმცირე ზომის, ტეხილი გეგმის გალავანია, რ-იც მთავარი გალავნის ჩრდ. კედელზეა მიყრდნობილი. ერთი, ასევე ტეხილი გეგმის, მაგრამ გაცილებით მცირე ზომის გალავანი, ციხის დას. კედელზეცაა მიდგმული. კიდევ ერთი გალავანი ციხის სამხრ.-აღმ. კუთხეშია. ეს უკანასკნელი, ფართობით, ციხის ჩრდ. კედელ-



111. გენგეგმა

ოვანია, დანარჩენი ორი კი – ტეხილი. ციხის ოთხ, ძირითად კუთხეში, გეგმით ნახევარწრიული, გალავნის ფარგლებს გარეთ გასული კოშკია ჩართული. მსგავსი მოხაზულობის თითო კოშკი გალავნის სამხრ. და დას. კედლებშია. მათ შორის სამხრ. კოშკი კედლის შუა ნაწილშია, დას-ისა კი ციხის სამხრ.-დას. კუთხის სიახლოვეს. კიდევ ერთი კოშკია ჩართული გალავნის ჩრდ. კედლის შუა ნაწილში. ეს უკანასკნელი დანარჩენი კოშკებისგან განსხვავებულია და გეგმით წრიული მოხაზულობისაა.

ციხის ცენტრში დგას ღვთაების ეკლ. (1802 წელს შედგენილი ქალაქის გეგმის ლეგენდის თანახმად, წმ. ანას სახელობისა). ეკლესიის ჩრდ-ით ზე მიყრდნობილი გალავნის ტოლია და ეზოს მხრიდანაც ორი სწორი კედლითაა შემოზღუდული. ციხის მთავარი შესასვლელი გალავნის სამხრ. კედლის შუაში იყო მოწყობილი. გარდა ამისა, ციხეს კიდევ ხუთი სათადარიგო კარი ჰქონია – ორორი აღმ-ითა და ჩრდ-ით, ხოლო ერთი – დას-ით. ციხის შიგნით ოცამდე სხვადასხვა ზომის ნაგებობაა, რ-თა დანიშნულება გეგმის ლეგენდაში აღნიშნული არ არის. ქალაქის მოგვიანებით შედგენილი გეგმის მიხედვით, ციხე საკმაოდ დაზიანებული ჩანს, შიდა გალავნებიდან კი, მხოლოდ ერთია დარჩენილი.

ამჟამად ციხის კედლები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. კოშკებიდან კი, დაახლ. ორი სართულის სიმაღლეზე, მხოლოდ ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკიღა დგას. გალავნის შემორჩენილი კედლებიც და კოშკიც რიყის ქვითაა ნაგები. კოშკის ორივე სართულს, ეზოდან, დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. პირველ სართულზე ორი სათოფურია, რ-ებიც ციხის აღმ. და ჩრდ. კედლების მისადგომების დასაცავად იყო განკუთვნილი. მეორე სართულზე რამდენიმე ახ. სარკმელია. გარედან კი მხოლოდ ექვსი სათოფური მოჩანს. კოშკის სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა.


გ ა ლ ა ვ ა ნ ი, როგორც ეს შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, სიმაღლეში ორ არათანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი. ქვედა, შედარებით მაღალი ნაწილი ყრუა, ზედაში კი მხოლოდ სათოფურებია. კედლების ნაწილთა საზღვარზე მოწყობილი იქნებოდა ხის ბილიკი. ციხის განაკვეთის მიხედვით, რ-იც შედგენილია 1802 წელს, ჩანს, რომ სამხრ.-აღმ. კუთხის კოშკიც ორსართულიანი იყო.

ძ. 1962 წელს შეისწავლა ია ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციამ (გ. ლომთათიძე, ც. ჩიკოიძე). ციხის შიგნით გაითხარა ორ ათეულზე მეტი, სხვადასხვა ზომის ნაგებობა. მათი დანიშნულება დღეისათვის გაურკვეველია. ციხის დას. კართან, აღმოჩნდა გვიანდ. შუა საუკუნეების ყველაზე ინტენსიური ნასახლარი. აქ გამოვლენილი კერამიკა (წერნაქით დაფარული ან მოხატული, მოუჭიქავი და თეთრი ან ვარდისფერი ანგობით მოჭიქული საოჯახო ჭურჭელი: ჯამები, თეფშები, ხელადები, სასმისები, დერგები, ჭრაქები) XVII ს-ის დასასრულითა და XVIII ს-ით თარიღდება.

თ. დვალი, რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 18; 66; 72; 74; 75; 157; 167; 199; 212; 219.

112. ძველი გალავანი, ციხე-დარბაზის კომპლექსი, ისტ., არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს „ყადორის ბორცვზე“, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მჭიდროდ დასახლებულ უბანში,



112. გეგმა

რ-იც „ძველი გალავნის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ციხე-დარბაზი ისტორიულად კახეთის მეფე კვირიკე დიდის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. თარიღდება X-XI სს-ით.

ციხე გეგმით ტოლფერდა ტრაპეციის მსგავსია და აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (მანძილი პარალელურ გვერდებს შორის დაახლ. 100 მ-ია, მაქს. სიგ. – 60 მ). ნაგებია საშ. ზომის რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანადაა დანგრეული სასახლე, თავდაპირველი ეკლ. და სამეურნეო ნაგებობები; გალავანი, ზოგიერთ ნაწილში, მთლიანადაა დანგრეული, დიდ სიგრძეზე კი მეტ-ნაკლებადაა შემორჩენილი.

გორაკის თავის უმეტესი ნაწილი, რ-იც ციხე-დარბაზს აქვს მოკავებული, სწორია, ნაწილი კი ჩრდ-ით, ალაზნის ველისკენაა დაქანებული. რელიეფის ტოპოგრაფიის შესაბამისად, ციხე-დარბაზის უკანა, სამხრ. კედელი, ჩრდ. კედელთან შედარებით, ოდნავ უფრო მაღლაა, რის გამოც გალავნის ორივე განივი კედელი სამხრ-იდან ჩრდ-ისკენ, ალაზნის ველისკენაა დახრილი. განსაკუთრებით დას. კედელი, რ-იც ყველაზე მოკლეა. კედლები შიგნიდან გლუვია, ხოლო გარედან გამაგრებულია ერთმანეთისგან მოკლე ინტერვალებით განლაგებული, ნახევარწრიული, ზემოთკენ კონუსისებრად შევიწროებული, გოდოლებით, რ-ებიც გალავნის კედლებს წყობით ერწყმის. სავარაუდოდ, კედლებს საბრძოლო ელემენტები და ქონგურები არ გააჩნდა და ჰორიზონტალურად იყო დასრულებული. კედლებს, განსაკუთრებით სამხრ-ისას, ეტყობა გვიანდ. შეკეთებების კვალი. შეკეთებული ნაწილები, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი შუალედებით, ერთრიგად დაწყობილი აგურის ჰორიზ. რიგებია ჩართული.

ციხე-დარბაზის განლაგებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ჭიშკარი მას აღმ-იდან და სამხრ-იდან ექნებოდა, გორაკის შედარებით ნაკლებად დახრილი მხარეებიდან. სწორედ ამ მხარეებიდან ადგება ამჟამად მას ქალაქის ქუჩები, რ-თა პირდაპირ, გალავნის კედლები გახსნილია.

გარედან გალავნის კედლებზე, სამი მხრიდან, მიდგმულია პატარა სახლები, რ-თაგანაც ზოგიერთს, გალავნის კედელი მეოთხე კედლად აქვს გამოყენებული.

კომპლექსი 1960-70-იან წწ-ში შეისწავლა ᲘᲐᲔ ინ-ტის ᲙᲐᲔ-მ (ხელმძღვ. გ. ნიორაძე, ც. ჩიკოიძე). ტერიტორიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში გამოვლინდა სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები, სადაც შენების ტექნიკის მიხედვით, დადგინდა სამი სხვადასხვა ჯგუფი. სიდიდით გამორჩეული I ჯგუფის შენობის (სასახლე?) კედლები აგებულია დიდი, თანაბარი ზომის რიყის ქვით და მკვრივი დუღაბით. ზოგჯერ გამოყენებულია ოთხკუთხა აგურები. კედლების სიგ. – 1,3 მ-ია. II ჯგუფის შენობები ნაგებია საშ. ზომის რიყის ქვითა და მცირე ზომის ოთხკუთხა აგურით. III ჯგუფისა – კენჭოვანი დუღაბით და



112. გალავნის ჩრდ. კედლის ნაწილი

წვრილი რიყის ქვის თანაბარი წყობით (ეს უკანასკნელნი ყველაზე დაზიანებული და ფრაგმენტულია). სავარაუდოდ, აქ იდგა მოზრდილი, მართკუთხა დარბაზი სამი პილასტრით და ამდენივე შესამაგრებელი ბურჯით. ნაგებობა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო, მეორე სართულზე საცხოვრ. ნაწილით და აივნით. ნაგებობა, როგორც ჩანს, ციხე-დარბაზის პირველი მეპატრონის ს ა ს ა ხ ლ ი ს ნაშთია, რ-იც, მომდევნო ხანებში, არაერთგზის აგებულ შენობებს ძალიან დაუზიანებიათ.

განათხარ ნაგებობებში სხვადასხვა სამშენ. პერიოდს ადასტურებს აქ აღმოჩენილი კერამ. მასალა – მოუჯიქავი და მაღალი ხარისხით, ორნამენტის მრავალფეროვნებით და ფერთა შეხამებით გამორჩეული მოჭიქული ჭურჭელი. აღმოჩნდა აგრეთვე შუა სს-ის ქურებისთვის დამახასიათებელი თიხის სოლის ნატეხები, რაც ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე საკუთარი სათუნე-სახელოსნოს არსებობის მაჩვენებელია. ციხე-დარბაზის გათხრისას არ გამოვლენილა X ს-ზე უფრო ადრინდ. ხანისთვის დამახასიათებელი მასალა, რაც საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აქვე, მის გალავანს გარეთ მდებარე ხელოსანთა თუ ჩვეულებრივ მოსახლეთა უბანში. როგორც ჩანს, ამ უძველესი ნამოსახლარი ბორცვის უკიდურეს დას. ნაწილში პირველი მოსახლე X-XI სს. გაჩენილა სამეფო სასახლის მეპატრონის სახით.

კომპლექსის არქეოლ. შესწავლამ ცხადყო, რომ ციხე-დარბაზი კახეთის ქორეპისკოპოსთა სამეფო რეზიდენციაა. პირველი ნგრევის შემდეგ ახ. გეგმით, ახ. მეპატრონის მოთხოვნების გათვალისწინებით, აქ იწყება მისი ხელახალი აღდგენა-აშენება. ციხე-გალავანში ცხოვრების აღორძინება კი უნდა დამთხვეოდა კახეთის სამეფოს მეორე, თვალსაჩინო გაძლიერების პერიოდს.

ციხე-დარბაზის სამხრ.-აღმ. კუთხესთან დგას XVI ს-ის „გ ო რ ი ს ჯ ვ რ ი ს ე კ ლ ე ს ი ა“ (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით იგი ციხე-დარბაზის ძვ. ეკლესიის ადგილზეა აგებული), რ-იც XVIII-XIX სს-ში, გრიგორიანული მრევლისათვის ჩატარებული გადაკეთებების შედეგად



112. სამხრ.-დას. კუთხე




112. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები

იმდენადაა სახეშეცვლილი, რომ თავდაპირველი ფორმები ძირითადად დაკარგული აქვს.

ეკლ. დარბაზული ტიპისაა (20,8x10,6 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შიგნიდან და გარედან შელესილ-შეთეთრებულია, რის გამოც თავდაპირველ და გვიანდელ ნაწილთა გამიჯვნა მხოლოდ სავარაუდოდ ხერხდება.

შესასვლელი სამია: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი გარედან თარაზულად, ხო-



112. გორისჯვრის ეკლ. გეგმა

ლო შიგნიდან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. ეკლ. შიგნით ვრცელია, დადაბლებული პროპორციების. აღმ-ით, დარბაზის იატაკის მიმართ ძლიერ შემაღლებული (დაახლ. 1 მ-ით), ნახევარწრიული აფსიდია, წინწამოწეული ბაქნით, რ-საც გვერდებზე ქვის ოთხსაფეხურიანი კიბეები აქვს მოწყობილი. აფსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. იგი შიგნიდან ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე გარედან, რის გამოც ძირი ძლიერ აქვს დაქანებული. აფსიდში დგას მასიური, კუბური ფორმის ტრაპეზი და მსხმოიარე ვაზის გამოსახულებით მორთული, XIX ს-ის ხის კანკელი. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო მცირე ნიშაა. აფსიდის გვერდებზე განლაგებულია მცირე ზომის, კამაროვანი სადგომები – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე აფსიდიანია და ეკლესიის ძირითად სივრცეს დას. კედელში მოწყობილი სწორკუთხა კარით უკავშირდება. სამკვეთლოს სამხრ. კედელში, გვერდიგვერდ, ორი ღრმა ნიშაა. ინტერიერი განათებულია სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ცხრა სარკმლით: ოთხოთხი გრძივ კედლებშია, ხოლო ერთი – დას. კედელში. მათ შორის შვიდი, შიგნიდან და გარედან, ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, ხოლო ორი, რ-ებიც გრძივი კედლების შუა ნაწილში, ერთმანეთის პირდაპირაა გაჭრილი – სწორკუთხაა და დანარჩენ სარკმლებზე ბევრად უფრო ფართოა. გრძივი კედლების სარკმლებიდან, დას-ით მდებარე ორივე წყვილი კამარის მრუდშია მოქცეული. მათი ღიობი შიგნიდან გარეთკენ მაღლდება. გარდა ამისა, ისინი კედლის შუა ნაწილიდან გარეთკენ



112. გორისჯვრის ეკლ. ინტერიერი, ხედი ჩრდ.-დას-კენ

თანდათან ფართოვდება. დარბაზის გრძივ კედლებზე სამ-სამი მარტივი პილასტრია, რ-ებზეც გადაყვანილია ნახევარწრიული საბჯენი თაღები. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ეყრდნობა. გრძივი კედლების აღმ. ნაწილში ბათქაშით გამოყვანილია სახატეები – ორ ნახევარსვეტზე დაყრდნობილი ფრონტონი, რ-საც ზემოდან ადგას ორსაფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, წვეტიანი სახურავით დასრულებული, მაღალყელიანი გუმბათი. გუმბათის სახურავის წვერზე და სვეტებზე თითო ჯვარია დადგმული. სვეტებს შორის კი თითო ნიშაა. მათ შორის, ჩრდ-ით მდებარე, გეგმით ნახევარწრიულია და თაღითაა დასრულებული, სამხრ-ისა კი ოთხკუთხაა. კიდევ ორი ოთხკუთხა ნიშა ეკლესიის სამხრ. კედელშია – ერთიმეორის ზემოთ, რ-ებიც ადრე არსებული ეკლესიის კარის ამოშენებულ კედელშია გამოყვანილი. დარბაზის დას. ნაწილში მოწყობილი იყო ხის პატრონიკე (შემორჩენილია კვალი), რ-ზეც ადიოდა დას. კედლის სამხრ. ნახევრის სისქეში მოწყობილი კიბე. კიბის შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ბოლოშია, კუთხის პილასტრთან. შესასვლელი თაღოვანია. თაღოვანია კიბიდან პატრონიკეზე გამოსასვლელი ღიობიც. პატრონიკეს გარდა, კიბე ეკლესიის დას. სარკმლის ღიობსაც უკავშირდება, აქედან კი – დას. სარკმლის ასწვრივ, კედლის სისქეში მოწყობილი ხვრელით, ამავე კედელზე დაშენებულ სამრეკლოს ფანჩატურს.

ეკლესიის იატაკი აგურის ექვსწახნაგა ფილებისაა.

გარედან ეკლესიის კედლები სადაა. დას. და ჩრდ. შესასვლელებს სადა საპირე აქვს შემოვლებული. ორივე შესასვლელის გვერდებზე თითო პილასტრია გამოყვანილი. დას. ფასადზე, აღმ. ფასადისაგან განსხვავებით, ფრონტონის არე, ფასადის დანარჩენი სიბრტყიდან გამოყოფილია სამსაფეხურიანი ლავგარდნით. თვით ფრონტონის არეში კი საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. აღმ. ფასადის კიდეებზე მიდგმულია რიყის ქვით ნაშენი, ნახევარწრიული, ზემოთკენ შევიწროებული, თითო კონტრფორსი. კედლები დასრულებულია ჩვეულებრივად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, სამსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლ. დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით (უმეტესი ნაწილი ჩამოშლილია და სახურავზე მცენარეულობაა ამოსული).

თ. დვალი, რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 66; 72; 167; 212; 317; 330; 335.

113. ძველი სახელოსნოები, ამქრული ორგანიზაციები, ისტ. ძ. ერთ-ერთი მათგანი (დერციკების) მდებარეობდა ორაგუბის ქუჩაზე. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში თელავში ხელოსნები ამქრულ ორგანიზაციებში ერთიანდებოდნენ. ასეთი ქალაქში რამდენიმე იყო: დერციკების (თერძების), დურგლების, მეწერილმანეების, სირაჯების და ა.შ. ზოგ მათგანს სალხინო ბაღი ჰქონდა მოწყობილი, რ-საც ქვითკირის ზღუდე ჰქონდა შემოვლებული. ამქარში გაერთიანებული ხელოსნები აქ შეგირდის დასალოცად ნადიმებს მართავდნენ. ეს ხდებოდა ამქრის დღეს – ამქრობაზე. ზეიმი სამ-ოთხ დღეს გრძელდებოდა. ხშირად ჩვეულებრივი მოსახლეობაც აგროვებდა ფსონს და ლხინს ამ ბაღში მართავდა. ბაღში იდგა ქვითკირის შენობა, რ-ის კედლებზე ქვაში, ამქრების საქმიანობიდან გამომდინარე ნიშნები იყო აღბეჭდილი. ამასთან, ამოკვეთილი იყო ხელოსნების გვარი, სახელი და მამის სახელი. ამგვარი სახლი დგას დერციკების ბაღში. შენობის წინ გაგრძელებულ ქვითკირის კედელში დატანებულია სამი ბრტყელი ქვა. პირველზე – 43 ხელოსნის ინიციალი და გვარია ამოკვეთილი, მეორე ქვაზე, ფერებით, ვაზია დახატული. ამასთან, მაკრატელი, ნახევარადლი, ყვავილები და წარწერაა ამოკვეთილი („ეს ქვა შევწირე გ. ქოლიევი). იქვე 13 ხელოსნის ინიციალიცაა. მესამე ქვაზე, დახატულია მუზარადი და ორი მტრედი. ქვემოთ კი 26 კაცის გვარი და ინიციალია. სამივე ქვაზე 82 ხელოსნის გვარ-სახელია ამოტვიფრული.

სირაჯების სალხინო ბაღში მდგარი შენობა საცხოვრებლადაა გადაკეთებული. ბაღს ქვითკირის ზღუდე აქვს შემოვლებული. სირაჯების ბაღის დას-ით მეწვრილმანეების ბაღია. ბაღის თავში მდგომი შენობიდან მხოლოდ კედლების ნაშთია შემორჩენილი. კედელში დატანებულ ქვაზე სასწორი და შაქრის თავია ამოკვეთილი. ქვაზე წარწერაა: „თელავი მეწვრილმანეების ამქრის ბაღი. ნასყიდი არის 1905 წ. მაისის 3-ს“.

დურგლების ბაღის ტერიტორიაზე ამჟამად წყალთა მეურნეობის შენობა დგას.

ზ. ჯამბურია.

ბიბლ.: 144.

114. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის განაპირას, ზუზუმბოსაკენ მიმავალ გზაზე. დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდი. ამჟამად ნაეკლესიარზე მცირე ზომის ეკლესიაა აშენებული.

ბ. კუპრეიშვილი.

115. წყარო, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრ. ნაწილში, თეიმურაზ II-ის ქუჩაზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ნაგებობა თაღისებრია, მიშენებულია ქუჩის ცალ მხარეს ამოყვანილ, საყრდენ კედელზე. ნაგებია კვადრ. აგურით და შელესილია. თვით თაღი შეისრულია, დაყრდნობილია სწორკუთხა კვეთის ორ ბურჯზე. ბურჯებს წინიდან თითო თხელი პილასტრი აუყვება, რ-იც ბურჯების ზემოთაც გრძელდება და თავი ნაძერწი ორნამენტით აქვს შემკული. ბურჯები დასრულებულია დაბალი, ორსაფეხურიანი



115. საერთო ხედი

კაპიტელით, რ-იც პილასტრებზეც გადადის.

თ. დვალი.

116. ჭიშკარი, არქიტ., ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, თეიმურაზ ბაგრატიონის ქუჩაზე (№ 10). სავარაუდოდ თარიღდება XVIII ს-ით.

ჭიშკარი მოგრძო, მაღალი ნაგებობაა, რ-ის ცენტრში ფართო, შეისრულთაღოვანი გასასვლელია მოწყობილი. გვერდით ნაწილებში კი, მიწიდან ოთხმოციოდე სმ-ის სიმაღლეზე, თითო ვიწრო, მაღალი, შეისრულთაღოვანი ნიშაა. თაღში ჩადგმულია ხის დაბალი, ორფრთიანი კარი (გვიანდელია). ცენტრ. ნაწილი, გვერდით ნაწილებთან შედარებით, ბევრად უფრო (დაახლ. ოთხჯერ) განიერია და ქუჩის მხრიდან, გვერდებზე, თითო სადა პილასტრი აუყვე-



116. საერთო ხედი

ბა. თითო ანალოგიური პილასტრი ჭიშკრის ორივე კიდეშიცაა. ეზოს მხრიდან კედლის ზედაპირი ერთიანია, დაუნაწევრებელი.

გარედან ნიშების ქვემოთ და ზემოთ, ასევე, გასასვლელის თაღის გვერდებზე არსებული კედლის სიბრტყეები აგურის ფიგურული წყობითაა გამოყვანილი. ნაგებობა გადახურულია ღარისებრი კრამიტის ორფერდა სახურავით.

თ. დვალი.

117. ჭიშკარი, არქიტ., ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ბახტრიონის ქუჩაზე (№ 21). სავარაუდოდ თარიღდება XVIII ს-ით.

ჭიშკარი აგურით ნაგები მოგრძო, მაღალი ნაგებობაა, ფართო, შეისრულთაღოვანი გასასვლელით ცენტრში (კარები აღარ აქვს). ეზოს მხრიდან იგი ბრტყელია, ქუჩის მხარეს კი ოთხი პილასტრით (თითო გასასვლელის გვერდებზეა, თითოც კედლის ბოლოებში) სამ ნაწილადაა დანაწევრებული, რ-თა შორის შუა თითქმის ოთხჯერ უფრო განიერია განაპირებზე. განაპირა ნაწილებში, მიწიდან ორმოცდაათიოდე *სმ*-ის სიმაღლეზე, მოწყობილია თითო მაღალი, შეისრულთაღოვანი ნიშა, რ-თა ზემოთ კედლის ზედაპირი აგურის ფიგურული წყობითაა გამოყვანილი. ანალოგიურადაა ნაწყობი გასასვლელის თაღსა და პილასტრებს შორის დარჩენილი სიბრტყეც. ჭიშკარი დაგვირგვინებულია ოდნავ გადმოშვერილი ლავგარდნით, რ-იც ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის ორი რიგისგან შედგება. ნაგებობა გადახურულია ღარისებრი კრამიტის ორფერდა სახურავით.



117. საერთო ხედი

თ. დვალი.

118. ჭიშკარი, არქიტ., ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გ. ცაბაძის ქუჩაზე (№ 19). სავარაუდოდ თარიღდება XVIII ს-ით.

ჭიშკარი აგურის ნაგებობაა, ფართო, ნახევარწრიულთაღოვანი გასასვლელით შუაში. დეკორატიულად მხოლოდ ქუჩისკენ მიმართული მხარე აქვს დამუშავებული. დამუშავების ძირითადი ელემენტებია შეღრმავებული სიბრტყეები. ცენტრში ფართო, საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-შიც გასასვლელია ჩასმული. არე ზემოდან დასრულებულია წყობიდან შვერილი აგურებით გამოყვანილი, ვიწრო ფრიზით, გვერდებზე კი, თაღის წვეროზე ოდნავ დაბლა, მარტივი პროფილის იმპოსტები აქვს მოწყობილი. თითო, ანალოგიური პროფილის იმპოსტი იგივე დონეზე, ჭიშკრის კიდეებშიცაა. გასასვლელში ჩასმულია ხის ორფრთიანი ახ. კარი. თაღის ორივე მხარეს, კედლის სიბრტყეში, ორი საფეხურით შეღრმავებული, ნალისებრთაღოვანი, თითო ბრტყელი ნიშაა, რ-თა ქვედა ნაწილში, ვიწრო, ჰორიზ. ზოლით, დაბალი, სწორკუთხა არეა გამოჭოფილი. ნიშების ზემოთ, კედლის სიბრტყიდან შვერილი, ოთხ-ოთხი რომბია.



118. საერთო ხედი

ჭიშკარი დაგვირგვინებულია მაღალი ფრიზით, რ-იც შედგება ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, ოთხკუთხა ელემენტების ერთიანი მწკრივისგან. მათ ზემოთ კი დაბალი, ორსაფეხურიანი ლავგარდნის ვიწრო ზოლია. ნაგებობა გადახურულია ღარისებრი კრამიტის ცალფერდა სახურავით, რ-იც ეზოს მხარესაა დახრილი.

თ. დვალი.

119. ხელოსანთა შბანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ.-დას. ნაწილში, „ძველი გალავნის“ სახელწოდებით ცნობილ უბანში, ციხე-დარბაზის სამხრ-ით. ქვედა ფენა თარიღდება VIII-X სს-ით, ზედა – XI-XIII სს-ით.

1962 წ. შეისწავლა იაე ინტის კაე-მ (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე, ც. ჩიკოიძე). სადაზვერვო თხრილებში გამოვლინდა რამდენიმე საცხოვრ. ნაგებობის ნაშთი, რ-ის ერთ-ერთი კედლის ძირში დადასტურდა ადამიანის ჩონჩხი ბრინჯაოს სადა ბეჭდითა და რკინის სამაჯურით, კერამიკისა და მინის საგანთა



119. მოჭიქული ჯამი, X-XI სს.

მრავალი ნატეხი და კერამ. სახელოსნოს ნაშთი. სახელოსნო მოიცავდა 50-მდე *კვ მ*-ს. თხრილის ფართობი დაფარული იყო ღორღით. აღმოჩნდა რიყის ქვითა და კირით ნაშენი კედელი, ღარისებრი კრამიტების ნატეხები. კრამიტყრილის ქვეშ – ყვითელი, სქელი, კირქვიანი და ქვით ჰქონდა ამოშენებული (შეშის საწვავად?). ტერიტორიაზე დადასტურდა დანახშირებული ძელები.

ქურის გათხრისას, კერამ. მასალის მიხედვით, გამოიყო ორი ფენა. პირველში, მიწის ზედაპირიდან 0,8-1 *მ* სიღრმეზე, გამოვლინდა მოჭიქული და მოუჭიქავი, ერთფერი და მრავალფეროვანი ორნამენტითა და სხვადასხვა ტექნიკით შემკული ჯამები, ლანგრები, სამტუჩა და სწორპირიანი ხელადების, კოკების, ქოთნების, ჭინჭილების, სარქვლების, ქილების, ტუჩიანი, სადა ბადიის, წერნაქიანი თეფშების, თხელკედლიანი ჭურჭლის მთელი და ფრაგმენტული ნიმუშები. II ფენაში, რ-ის იატაკი მიწის ზედაპირიდან 1,70 *სმ* სიღრმეზე იყო შემორჩენილი, გამოიკვეთა საბერვლის კარი. აღმოჩნდა I ფენისგან სრულიად განსხვავებული, ერთმანეთის გვერდით ჩალაგებული, თიხის მოუჭიქავი, მთელი ჭურჭელი (სამტუჩა ღოქი, 2 ქოთანი, კოკა, ჯამი, ბადია).

აღმოჩენილი კერამიკა ადგილზევე უნდა იყოს ნაწარმოები.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 212.




119. მრავალფრად მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები, XII-XIII სს.



119. მრავალფრად მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, XII-XIII სს.

120. ჯვარპატიოსნის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას თელავის სამხრ-ით, 2-3 *კმ*-ზე, მდ. მაწანწრის ხეობაში, მთაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,3x5 *მ*). შეიცავს სხვადასხვა პერიოდის სამ სამშენ. ფენას, რ-ებიც ერთმანეთისგან როგორც საშენი მასალით, ისე დუღაბის ფერითაც განსხვავდება. შენობის თავდაპირველი ნაწილი, რ-იც კედლების სიმაღლის ნახევარზე მეტს მოიცავს, რიყის ქვის ირეგულარული წყობითაა ნაგები. კარ-სარკმლების ღიობების გამოსაყვანად და, აქა-იქ, კუთხეებში, გამოყენებულია ტლანქად დამუშავებული შირიმი. მოგვიანებით




120. გეგმა

თიხანარევი ნიადაგი. ქვითელ, ოვალურბოლოიან ქანში ამოჭრილი იყო მცირე ფოსოები, რ-შიც ორმწკრივად თიხის მოუჭიქავი ჭურჭელი იყო ჩადგმული. ნაგებობას გვერდიდან საბურვლივით (საცეცხლური?) ჰქონდა დატანებული ქვით გადახურული კარი. ორი გვერდი კი რიყის გრები, სამტუჩა და სწორპირიანი ხელადების, კოკების, ქოთნების, ჭინჭილების, სარქვლების, ქილების, ტუჩიანი, სადა ბადიის, წერნაქიანი თეფშების, თხელკედლიანი ჭურჭლის მთელი და ფრაგმენტული ნიმუშები. II ფენაში, რ-ის იატაკი მიწის ზედაპირიდან 1,70 *სმ* სიღრმეზე განახლებული ნაწილებიც რიყის ქვისაა. ამ დროისაა ეკლესიის შიდა გადახურვაც. სულ ბოლოს ორივე ფრონტონი რიყის წვრილი ქვით აღუდგენიათ.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან შეისრულთაღიანია, შიგნიდან ხის ბრტყელი გადახურვა აქვს. აღმ-

ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-ის ქვედა ნაწილი მოგვიანებით ამოუშენებიათ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიშენებულია კუბური ფორმის ტრაპეზი – ღრმა, სწორკუთხა ნიშით წინა მხარეს. მეორე, მსგავსი მოყვანილობის ნაგებობა




120. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

აფსიდის კედლის ჩრდ. ბოლოშია აგებული და, სავარაუდოდ, სამკვეთლოს დანიშნულებას ასრულებდა. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და აფსიდის მხრების ხაზიდან ორიოდე მით წინაა წამოწეული.


ეკლესიის კედლებში კიდევ სამი სარკმელია: თითო-თითო გრძივი კედლების დას. ნაწილში, ხოლო მესამე – დას. კედლის ღერძზე, შესასვლელის ზემოთ. სამივე სარკმელს თარაზული გადახურვა აქვს. მათ შორის დას. სარკმლის ძირიც თარაზულია. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში მოწყობილია მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშა.

ეკლესიის გრძივი კედლები მარტივი პილასტრების წყვილით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა, რ-თაგანაც აღმ-ისა თითქმის ორჯერ მოკლეა დას-ისაზე. პილასტრებზე აგურით ნაწყობი, შეისრული ფორმის საბჯენი



120. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

თაღია (გვიანდელია) დაყრდნობილი. მიუხედავად იმისა, რომ თაღი პილასტრის თანაბარი სიგანისაა, იგი მას ჩვეულებისამებრ კი არ უერთდება, არამედ აცდენილია. სამხრ-ით, თაღის ძირი პილასტრის მიმართ ოდნავ აღმ-ითაა გადაადგილებული, ჩრდ-ით კი – დას-ით, რაც



120. დას. ფასადი


დაუდევრობის შედეგს წარმოადგენს. დაუდევრადაა ნაწყობი კამარაც და კონქიც. კონქის თაღი შეისრულია. შეისრულია კამარაც. კედლები შიგნიდან და გარედან ტლანქადაა შელესილი. კედლებს ლავგარდანი არ გააჩნია. სახურავი დაბურულია კრამიტით.

ეკლესიას სამხრ. მხრიდან მინაშენი ეკვროდა. ამჟამად იგი მთლიანად მიწითაა ამოვსებული და მხოლოდ აღმ. და სამხრ. კედლების გარეთა ნაწილებიღაა შემორჩენილი.

თ. დჟალი.



საცხოვრებელი სახლი ლადო კორძაძის ქუჩაზე. მთავარი ფასადი, დეტალი



აკურა. დედათა მონასტერი (122). მამადავითის ეკლ., საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

(საკრებულოს ცენტრი)


121. აკურა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის აღმ. ფერდობის ძირას, მდ. ვანთისხევის ნაპირზე, თელავიდან 13 კმ-ზე. სოფელი ადრინდ. შუა საუკუნეებში წარმოადგენდა ქართველთა აქტიურ კულტ.-სამეურნეო ყოფა-ცხოვრების ადგილს. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების (ადრინდ. შუა საუკუნეები) შემდეგ, როდესაც კახეთის ცალკეული „ხევი“ მჭიდროდ დაუკავშირდა ადგილობრივ სახელმწ. ერთეულს და კახეთის ქორეპისკოპოსის ხელისუფლებას დაემორჩილა. აკურაში შემორჩენილია VIII-IX სს. ნაგებობის ნაშთები, რაც იმის დამადასტურებულია, რომ სოფელი მდ. ვანთისხევის მნიშვნელოვან დასახლებას წარმოადგენდა და ხევის გარკვეული ცენტრი იყო. სოფლის მახლობლად დგას „მამადავითის“ (წმ. დავით გარეჯელის) ტაძარი. გ. ჩუბინაშვილის აზრით, იგი უნდა იყოს იგივე დედათა მონასტერი, რ-იც IX ს-ში იერუსალიმიდან დაბრუნებულმა წმ. ილარიონ ქართველმა თავის მამულში დააარსა. აკურის ყმა-მამულის დიდი ნაწილი დავითგარეჯის მონასტრის საკუთრება ყოფილა და საკათალიკოსო მამულების გუჯრებშიც მოიხსენიება. 1392 წ. იგი ქართ. ეკლესიის განკარგულებაშია. ეს კუთვნილება XVI ს-იდან, კახეთის ცალკე სამეფოს წარმოქმნისას, რამდენადმე შეიცვალა. სახელდობრ, ალექსანდრე II კახთა მეფე 1597 წელს დავითგარეჯის მონასტრის მეტოქის ყმა-მამულს, სიცოცხლეში სარგებლობის უფლებით, თავის მარტოხელა დას – ქთევანს აძლევს. შემდგომში მონასტრის ყმა-მამული ცალკეულ ფეოდალთა მძლავრობის საგანი შეიქნა. XVII ს-ის მიწურულში მასზე წილი სდებიათ თავად გერმანოზიშვილებს. ამას ხელი ვერ შეუშალა სამეფო ხელისუფლებისა თუ უმაღლესი სასულიერო პირების ჩარევამ, რ-ებიც სოფლის ყმა-მამულს ასეთი დატაცებისაგან იცავდნენ. მაგ.: აკურაში მონასტრის ყმა-მამულზე მოხელე-მოურავებად დაყენებულმა ჯანდიერის-შვილებმა მიიტაცეს სამოხელეოდ ბოძებული ყმა-მამულის ერთი ნაწილი. 1710 წ. საქართვ. კათალიკოსი დომენტი იძულებული გახდა პირადად მოეწერიგებინა ჯანდიერისშვილებსა და გარეჯის მონასტრის მესვეურთა შორის წამოჭრილი მწვავე კონფლიქტი. დომენტი კათალიკოსის განჩინებით „აკურაზე ხელი არავის აქვს, არც მოურავს, არც სხვას“. დროთა განმავლობაში, აკურაზე წილი დაიდეს სხვა ფეოდალებმაც – ოხიაყოჩიშვილებმა, ხოსროშვილებმა, იოთამისშვილებმა. ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ჩარევის შედეგად, სამეფოში რამდენადმე მოწესრიგდა სამონასტრო ყმა-მამულის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ეს საკითხი მოგვარდა აკურაშიც. გვიანდ. შუა საუკუნეებში აკურა ტერიტ.-ადმინისტრაციულად შედიოდა კახეთის მეორე – ნეკრესელი ეპისკოპოსის სადროშოში. ომიანობის დროს აკურიდან გამოსული ლაშქარი, იმდროინდელი ადმ. დაყოფის საფუძველზე, ნეკრესელის დროშის ქვეშ სოფელნი რავდენნიმე, ვითარ შემძლებელ იყო, და განუწესა წესი და კანონი, ვითა ჯერ დგებოდა და მის სარდლობას ექვემდებარებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სოფელი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა. ამჟამად აკურაში განვითარებულია მევენახეობა, მებაღეობა, მემინდვრეობა. 1954 წლიდან მოქმედებს ღვინის ქ-ნა.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 21თ; 51; 64; 96; 141ბ; 204ბ. გ; 205.

122. დედათა მონასტერი, არქიტ., მონუმ. ხელოვნების ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ.-დასით, 1,5 კმ-ზე, ტყეში, მდ. ვანთისხევის მარჯვ. ნაპირას, სწორ ადგილზე. აგებულია 855 წელს.


ძ. გამოკვლეული აქვს აკად. გ. ჩუბინაშვილს, რ-იც ვარაუდობს, რომ მონასტერი დაარსებულია დიდი საეკლ. მოღვაწის, წმ. ილარიონ ქართველის მიერ. რ-მაც, პალესტინიდან დაბრუნებისთანავე, „აღაშენა მონასტერი დედათათჳს მოწესეთა ადგილსა კეთილსა და შუენიერსა და შეიყვანა მას შინა ღირსი იგი დედაჲ თჳსი და იღუწიდა შვილებრითა მოღუაწებითა, და შეწირნა



122. გუნგუგმა, 1. მამადავითის ეკლ., 2. გალავანი, 3. სატრაპეზო, 4-5. ნაგებობის ნანგრევი, 6. სამლოცველო, 7. კედლის ნაშთი, 8. მისასვლელი გზა.

არს მონასტერსა შინა ყოფისაჲ, ლოცვისა, და მარხვისა, და ყოვლისავე წესიერად ქცევისაჲ“.

მონასტრის ცხოვრებაში ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენაა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) მიერ თავისი უფროსი დის ქეთევანის მონაზ-



122. მამადავითის ეკლ. გეგმა

ვნად აღკვეცის ფაქტი. მეფე ალექსანდრემ ქეთევანი, ხანდაზმულ ასაკში ჩაასახლა აკურის მონასტერში, რის შესახებაც აუწყა ნინოწმინდის ეპისკოპოსს, გარეჯის 12 უდაბნოს წმინდა არქიმადრიტს. გ. ჩუბინაშვილის აზრით, მეფის დის მონასტერში ჩასახლება მოასწავებდა არა მარტო მონასტრის პრესტიჟის ამაღლებას, არამედ მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ის მასშტაბური აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები, რ-ებიც მონასტრის ეკლესიას ჩაუტარდა, სწორედ ამ პერიოდში, XVI ს-ის II ნახევარში განხორციელდა. კერძოდ, აიგო საკურთხევლის ზღუდე, კარიბჭე – სამხრ. შესასვლელის წინ, რის გამოც ნაწილობრივ ამოშენდა სამხრ. ნავის აღმ. სარკმელი, ჩრდ. ფასადზე მიაშენეს სამი, მძლავრი კონტრფორსი. დავიწროვდა შესასვლელთა ღიობები, ჩაშენდა სამხრ. სარკმლები და სხვ. ამავე დროისაა ყველა ის ნაწილი, რ-იც შესრულებულია სტანდარტული ზომის (22x22x5 *სმ*) კვადრ. აგურით.

მონასტრის მთავარი ნაგებობაა მ ა მ ა დ ა ვ ი თ ი ს - წმ. დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ე ლ ი ს სახელობის სამნავიანი ბაზილიკა.

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (17,3x12,8 *მ*). აქვს ორი შესასვლელი – სამხრ-ით და დას-ით. ამავე მხარეებიდან ეკლესიას ეკვროდა თითო მინაშენი, რ-თაგანაც დას. მინაშენის ჩრდ. ნაწილი XVI ს-ის II ნახევარში მცირე სათავსად გადაკეთდა.

ეკლ. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აგური დიდი ზომისაა (39x26x9/10; 39x18/19x10; 34x26x8; 39x26x9; 29x19x8 *სმ*). იგი, ძირითადად, გამოყენებულია დეკორატ. ნაწილებისთვის, რ-საც წყობაში, აქა-იქ, შირიმი ენაცვლება. თითქმის ყველა კონსტრ. ნაწილი გამოყვანილია რიყის ქვით.

ბაზილიკის შუა ნავი, გვერდითი ნავების მიმართ, შედარებით ნაკლებადაა შემაღლებული. აღმ-ით იგი დასრულებულია საკურთხეველით, რ-იც ნალისებრ აფსიდს და მის წინ მდებარე, მცირე სიღრმის ბემას მოიცავს. იგივე ფორმა აქვს კონქის თაღსაც. იგი ეყრდნობა მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) მქონე იმპოსტებს. აფსიდის კუთხეები, შირიმის ნათალი ქვისაა. ალაგ-ალაგ, გამოყენებულია სხვადასხვა ზომის აგურებიც. აფსიდში მოწყობილია მერხი, რ-ის ცენტრში, სპეციალური შეღრმავებაა მონასტრის წინამძღვრის დასაჯდომად. სარკმლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორ-ორი, თაღოვანი ნიშაა. სარკმელთან მცირე ზომის ნიშებია განლაგებული, ხოლო მოშორებით – ოდნავ მოზრდილი და მაღალი. საკურთხეველი ეკლესიის მიმართ ამაღლებულია ორი საფეხურით და დანარჩენი სივრცისგან გამიჯნულია კანკელით (გვიანდელია). საკურთხევლის შუაში დგას დიდი, კუბური ფორმის ტრაპეზი.

მთავარი ნავის კამარა ეყრდნობა ორ, საბჯენ თაღს. მათგან ერთი – დას. კედელთანაა, მეორე კი ნავის შუაშია. ორივე თაღი რიყის ქვისაა. რიყის ქვითაა ნაწყობი თაღების საყრდენი პილასტრებიც, ოღონდ კუთხეები მათ აგურით აქვს გამოყვანილი. ეს აგური ერთი სისქისაა, თუმცა, რიყის ქვის წყობისგან გამომდინარე, რ-იც პილასტრის ძირითად მასივს შეადგენს, მათ სხვადასხვა ზომა აქვს. მხოლოდ შუა საბჯენი თაღის ჩრდ. პილასტრია გამოყვანილი მთლიანად რიყის ქვით. ყველა პილასტრს, შუა თაღის ჩრდ. პილასტრის გარდა, გვერდებზე ასდევს სპეც. დაყალიბების აგურით (სისქე – 8,5 *სმ*) ნაწყობი თითო დეკორ. სვეტი (დიამ. – 13 *სმ*), რ-იც თაღის ქუსლის სიმაღლეზე წყდება.


ნავის დას. კედლის შუაში დიდი კარია. იგი შიგნიდან დასრულებული იყო ნალისებრი

თაღით. მოგვიანებით თაღის არე მთლიანად ამოუშენებიათ, ღიობი კი, გარედან კვადრ. აგურის წყობით დაუვიწროებიათ და გაცილებით დაბალი, შეისრულთაღოვანი კარი მოუწყვიათ.

შუა ნავი კარგადაა განათებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, სამხრ-ით და ჩრდ-ით, ორი-ორი, დაახლ. 2 *მ* სიმაღლის სარკმელია.

მთავარი ნავის სამხრ. ნავთან. თაღები ეყრდნობა რთული პროფილის, შირიმის ქვის კონსოლებს. სამხრ-ით, მთავარ ნავთან დამაკავშირებელი თაღების მოპირდაპირედ, ნახევარწრიული თაღით დასრულებული, ორი დიდი სარკმელია. აღმ-ით მდებარე სარკმელი, გარედან, მთლიანად დაფარულია სამხრ. შესასვლელის წინ მოგვიანებით აგებული კარიბჭით. ამ სარკმლის ქვემოთ ტაძარში შესასვლელი კარია, რ-იც, ისევე როგორც დას. შესასვლელი, გადაკეთებულია (შიგნიდან ამოშენებულია თაღის არე. ღიობი კი, გარედან, დავიწროებულია კვადრ. აგურის წყობით).


ბაზილიკის ჩრდ. ნავი თავისებურადაა გადაწყვეტილი. სამხრ. ნავის მსგავსად, იგი ერთიანი კი არ არის, არამედ მოგვიანებით ჩაშენებული, განივი კედლით დანაწევრებულია ორ, გეგმით თითქმის კვადრატულ, ნაწილად, რ-თა კედლები ნავის თავდაპირველ კედლებს წყობით არ ერთვის (გ. ჩუბინაშვილის აზრით, ჩრდ. ნავის გადაკეთება მშენებლობის პროცესშივე ან ტაძრის აგებიდან მალევე განხორციელდა. ამავე პერიოდს უკავშირებს იგი საკურთხევლის გვერდებზე არსებული სათავსების აფსიდების ამოშენების ფაქტსაც). ორივე ნაწილის თავზე განთავსებულია ერთიანი, ცილინდრული კამარით გადახურული, ყრუ სამალავი, რის გამოც ჩრდ. ნავის ორივე ნაწილი, სამხრ. ნავთან შედარებით, გაცილებით დაბალია. თითოეული მათგანი გადახურულია რიყის



122. მამადავითის ეკლ. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

თან დამაკავშირებელ თაღებს ნალისებრი მოხაზულობა აქვს, ჩრდ. ნავთან დამაკავშირებელ თაღებს კი – ნახევარწრიული. სამხრ. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია შირიმის იმპოსტები, რ-ებსაც კონქის თაღის იმპოსტების ანალოგიური პროფილი აქვს. ჩრდ. თაღებს იმპოსტები არა აქვს. სამხრ. თაღები მთლიანად აგურითაა ნაწყობი. ჩრდ. თაღები, ისევე როგორც მათ ქვემოთ კედელი, მთლიანად რიყის ქვისაა.


სამხრ. და ჩრდ. ნავები გეგმარებით ერთმანეთისგან განსხვავდება. სამხრ. ნავი (სიგ. 1,6 *მ*) ჩრდ. ნავზე რამდენადმე მაღალია, გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი დას. კედელთანაა, ხოლო მეორე – ნავების გამმიჯნავ ბოძ-



122. მამადავითის ეკლ., გრძივი ჭრილი ცენტრალურ ნავზე, ხედი სამხრ-კენ

ქვით ნაწყობი, ჯვრული კამარით, რ-ის ჩრდ. ქუსლი ნავის ჩრდ. კედელზე მიდგმულ თაღს ეყრდნობა, თაღი კი – კუთხის პილასტრებს. დას. ნაწილის აღმ. კედლის შუაში მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული, კონქით დასრულებული ნიშა (სიმ. 1,3 *მ*), რ-იც გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, საკურთხევლის დანიშნულებას ასრულებდა და მონასტრის დამაარსებლის, წმ. ილარიონ ქართველის დედის სალოცავად იყო განკუთვნილი.


სამხრ. და ჩრდ. ნავების აღმოსავლეთ ბოლოში, მოწყობილია სწორკუთხა მოხაზულობის სათავსები – სამკვეთლო და



122. მამადავითის ეკლ. აღმ. ფასადი (რეკონსტრუქცია ვ. ცინცაძის მიხედვით)

სადიაკვნე. ორივე სათავსს შესასვლელი დას-იდან, შესაბამისი ნავიდან აქვს. სამკვეთლო, ნავის გარდა, საკურთხეველთანაცაა დაკავშირებული. სადიაკვნეში შესასვლელი თავდაპირველი არ არის. იგი, ისევე როგორც ეკლესიის სამხრ. და დას. შესასვლელები, მოგვიანებით, აგურის თხელი ფილების წყობით დაუვიწროებიათ. ორივე სათავსის თავზე, მათივე მსგავსი, თითო სათავსია.

სადიაკვნე განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი, თაღოვანი სარკმლით, რ-იც შიგნიდან საფეხურით შეღრმავებულ, ნალისებრთაღოვან არეშია ჩასმული. მსგავსი ფორმისაა სარკმლის გადამხურავი თაღიც. ჩრდ. კედლის მთელ სიგანეზე მოწყობილია საფეხურით შეღრმავებული, აგურით ნაწყობი თაღით დასრულებული არე, სამხრ. კედელი კი, ორი ერუ თაღითაა დანაწევრებული. თაღებს შორის, ლეკალური აგურებით გამოყვანილია ორმაგი ნახევარსვეტი, რ-იც დასრულებულია მარტივი პროფილის ქვის კაპიტელით. აღმ. კედელს, მთელ სიგრძეზე, გასდევს ხარისხი (სიმ. დაახლ. 70 *სმ*, სიგ. 35 *სმ*). ჩრდ. და სამხრ. კედლების აღმ. კიდეში კი თითო, პატარა ნიშაა. აღმ. კედელში მოწყობილი ყოფილა აფსიდი, რ-იც, როგორც ჩანს, ეკლესიის მშენებლობის დროსვე ამოუშენებიათ. აფსიდის ორივე ბოლო შირიმის, ნათალი ქვით იყო ნაწყობი, გეგმით



122. მამადავითის ეკლ. გრძივი ჭრილი სამხრ. ნავზე, ხედი სამხრ-კენ

კი ნალისებრი ყოფილა, რაც კარგად მოჩანს აფსიდის სამხრ. კიდესა და ჩაშენებულ ნაწილს შორის წარმოქმნილ ნაპრალში. სათავსი გადახურულია სხმული კამარით (ქუსლების დონეზე, ორივე კედელზე, შემორჩენილია ქარგილის საყრდენი ძელების 4-4 ბუდე). დას. კედელში, შესასვლელი კარის თავზე, მოწყობილია სადიაკვნის თავზე არსებულ სადგომში ასასვლელი, მცირე ღიობი. ეს უკანასკნელი ცილინდრული კამარითაა გადახურული, აქვს სრულიად სადა კედლები, ერთი, ვიწრო სარკმელი აღმ-იდან და მასზე გაცილებით მოზრდილი სარკმელი სამხრ-იდან, რ-საც, სამხრ. ნავის სარკმლების მსგავსად, პარალელური წირთხლები აქვს.

122. მამადავითის ეკლ. ხედი სამხრ-იდან



სამკვეთლო სადიაკვნის ანალოგიურადაა გაწყობილი. ე.ი. აქაც ერთ კედელში ორი ყრუ თაღია – თაღებს შორის ლეკალური აგურით ნაწყობი, ორმაგი ნახევარსვეტით, მეორეში კი განიერი შეღრმავებაა, რ-ის



122. მამადავითის ეკლ. ცენტრალური ნავის ინტერიერი, ხედი სამხრ.-აღმ-კენ

შუაში საკურთხეველში გასასვლელი კარია. საკურთხეველთან დასაკავშირებლად ასეთივე კარის მოწყობა, თავდაპირველად, სადიაკვნედანაც განუზრახავთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იდეა მშენებლობის პროცესშივე უარუყვიათ. სამკვეთლოში ნავიდან შესასვლელი კარი მაღალია, დასრულებულია ნალისებრი თაღით, რ-იც მთლიანად რიყის ქვისაა. სარკმელი აქაც აღმ. კედლის ღერძზეა, მაგრამ, სადიაკვნის სარკმლისგან განსხვავებით, იგი შეღრმავებულ არეში არ არის ჩასმული და მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. აღმ. კედლის გასწვრივ აქ საფეხური არ არის. გრძივი კედლებიდან კი, ნიშა მხოლოდ ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოშია. კამარა ჩამოშლილია. მისი ჭუსლის დონეზე აქაც შემორჩენილია ძელების საყრდენი ბუდეები.

სამკვეთლოს თავზე არსებულ სათავსში შესასვლელი ჩრდ. ნავის აღმ. ნაწილიდანაა – სამკვეთლოში შესასვლელი კარის თავზე მოწყობილი, ნალისებრი თაღით დასრულებული ღიობიდან (ამოშენებულია). სათავსი დას-იდან შემოზღუდული იყო დაბალი კედლით, რ-შიც ჩრდ. ნავის თავზე არსებულ სამალავში გასასვლელი კარი იყო მოწყობილი. სათავსი გადახურულია ცილინდრული კამარით, განათებულია ერთადერთი სარკმლით აღმ-იდან.

ეკლესიის ფასადებზე აშკარად ჩანს მშენებლობის ორი ფენა, რ-ებიც განსხვავებული საშენი მასალითაა შესრულებული. გვიანდ. წყობა შესრულებულია მცირე ზომის, რიყის ქვით, კრამიტისა და აგურის ნატეხებით.



122. მამადავითის ეკლ. ცენტრალური ნავის ინტერიერი, ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

ფასადებიდან განსაკუთრებით გაწყობილია აღმ. და დას. ფასადები. დანარჩენი ორი ფასადი, სრულიად სადაა.

აღმ. ფასადი, ისევე როგორც დანარჩენები, ნაგებია რიყის ქვისგან. კუთხეები გამოყვანილი ყოფილა შირიმის ნათალი ქვით. მათ შორის სამხრ-ისა თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი, ჩრდ-ისა კი, თითქმის მთლიანად აღდგენილია. ბაზილიკის შიდა აღნაგობის შესაბამისად, ფასადის სიბრტყე დანაწევრებულია ნახევარსვეტებით გამოყვანილი სამი თაღით, რ-თა შორის შუა გაცილებით განიერი და მაღალია განაპირებზე. თაღები ეყრდნობა მარტივი კაპიტელებით დასრულებულ, ორმაგ ნახევარსვეტებს. შუა თაღის შემომფარგლელი ორივე ნახევარსვეტი, კაპიტელებიდან დაახლ. 1,2 *მ* სიმაღლეზე, შეწყვეტილია, მომრგვალებულია ფასადის ცენტრისკენ და შემდეგ, ისევ ვერტიკალურად მიემართება. რის შედეგადაც თაღის ზედა ნაწილის სიგანე, ქვედა ნაწილთან შედარებით, ოდნავ შემცირებულია. თაღებიც და ნახევარსვეტებიც ლეკალური აგურითაა ნაწყობი. ნახევარსვეტების კაპიტელები (შემორჩენილია სამხრ. თაღის ძირში) და მომრგვალებული ნაწილები კი – მოყვითალო შირიმისაა. შირიმითვე იყო ნაწყობი ყველა სარკმელი.

შუა ნავის ზედა ნაწილის მთელ სიგანეზე გამოყვანილია საფეხურით შეღრმავებული, ყრუ თაღი. თაღის ზედა ნაწილში, ღერძზე, ნალესობით გამოყვანილი, კედელზე მიკრული, ლილვისებრი ჩარჩოთი შემოფარგლული, წრიული არეა, რ-ის ცენტრში ორი საფეხურით შეღრმავებული, ბრტყელ ჩარჩოში ჩასმული, მრგვალი ნიშაა. საკურთხევლის სარკმლის ძირში, შირიმის ქვაზე, სამსტრიქონიანი წარწერაა: „განუსვენენ უფალო სულსა გიორგის ძეთასა“. წარწერა,



122. მამადავითის ეკლ. სადიაკვნე. სამხრ. კედელი, დეტალი

ღრმა კვეთით, ასომთავრულიდან ნუსხურზე გარდამავალი ასოებითაა შესრულებული. ასოები დაფერილია წითელი ფერის საღებავით. წარწერა ჩასმულია წითელი საღებავითვე შესრულებულ ჩარჩოში (205x23 *სმ*). ფაქტიურად აქ მოთავსებულია ორი წარწერა, რ-თა შორის ამოღარულია წვრილი, შვეული, გამყოფი ხაზი. მარცხ. წარწერა



122. მამადავითის ეკლ. ცენტრალური ნავის ინტერიერი, დას. კედლის მოხატულობა, „უფლის შობა“, დეტალი

ღებავით. თ. ბარნაველი, რ-მაც ტაძრის წარწერები XX ს-ის შუა წლებში შეისწავლა, პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე, მას IX ს-ით ათარიღებს.

დას. ფასადი, ნაწილობრივ, აღმ. ფასადის მსგავსადაა გაწყობილი. შუა ნავის კედელზე, ზემოთ, გამოყვანილია განიერი და მაღალი, ორი საფეხურით შეღრმავებული, დეკორ. თაღი, რ-ის ძირზე დაფენილია კრამიტი. თაღის პირველი საფეხურის კუთხეებს, მთელ სიმაღლეზე, აუყვება ვიწრო ნახევარსვეტი, რ-ის ბოლოები თითო ბურთულითაა დასრულებული. ნახევარსვეტებს თაღი არ ეყრდნობა. შეღრმავების ზედა ნაწილში, შუაში, წრიული ღრმულია.

თაღის ქვედა ნაწილში, კრამიტის რიგის თავზე, მოთავსებულია კირის ნოტიო ბათქაშზე, ამოღარული დიდი ასომთავრული წარწერა. ღარები დაფარულია წითელი საღებავით. ზოგი ასო გამოყვანილი ყოფილა მხოლოდ საღებავით. წარწერა ჩასმულია წითელი საღებავითვე შესრულებულ ჩარჩოში (205x23 *სმ*). ფაქტიურად აქ მოთავსებულია ორი წარწერა, რ-თა შორის ამოღარულია წვრილი, შვეული, გამყოფი ხაზი. მარცხ. წარწერა გაშლილია, მარჯვ. – შეკუმშული. საღებავი ყველა ასოში არ შემორჩენილა.

თ. ბარნაველი ქარაგმების გახსნითა და დაკარგული ასოების შევსებით, პირველ (მარცხ.) წარწერას შემდეგნაირად კითხულობს:

„ქ. წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე ტ ბ ლ და შვილნი მისნი; მოსწრაფებაჲ ქმნა [და] აღაშენა [წმიდაჲ] ესე საყდ[არი] შენჲ“.

მეორე (მარჯვ.) წარწერას კი:

„წმიდაო ღმრთისმშობელო შეეწიე ერისთავთ ერისთავსა დვლთა და ძეთა მისთა . . . “

პირველ წარწერაში მოხსენიებულია ვინმე „ტბლ“ – ტაძრის მშენებელი. თ. ბარნაველის აზრით, ამ სამი ასოთი დაქარაგმებული სიტყვა შეიძლება გაიხსნას, როგორც „ტბელი“. თუმცა ტაძრის ქტიტორის სახელის დაზუსტება, სხვა მონაცემების არარსებობის გამო, არ ხერხდება. გაუხსნელი რჩება ასევე მეორე წარწერის ასოების ჯგუფის „დვლთა“-ს მნიშვნელობა, რ-შიც მინიშნებული უნდა ყოფილიყო წარწერაში მოხსენიებული პირის ტერიტორიალური ფლობა (მაგ., დვალთა, დვალეთი) ან მისი სახელი. ამრიგად, წარწერაში მოხსენიებულ პირთა სახელების ზუსტად დადგენა, რ-ებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ტაძრის მშენებლობასთან, არ ხერხდება.

თაღის ზედა ნაწილში, კუთხის ნახევარსვეტების კაპიტელების ხაზს ქვემოთ, მოთავსებული იყო წითელი საღებავით შესრულებული, მთავრული ასოებით გამშვენებული, ორსტრიქონიანი წარწერა. ზედა სტრიქონიდან შემორჩენილია მხოლოდ წითელი საღებავის ნაშთები. წარწერის ქვედა სტრიქონში ირჩევა ორი სიტყვა: „...ადიდე სულით“.

ასოები მსხვილია. მომცრო შტოებით და ფურცლოვანი ულვაშებით იგი ისეა შემკული, რომ აყვავილებულის შთაბეჭდილება იქმნება. თავისი მონახაზით ასოები ახლოს დგას XI ს-ის საზეიმო წარწერებთან.

ჩრდ. და სამხრ ფასადები ორსაფეხურიანია. ქვედა საფე-



122. მამადავითის ეკლ. ცენტრალური ნავის ინტერიერი, დას. კედლის მოხატულობა, „უფლის შობა“, წმ. იოსები

ხურს ქმნის გვერდითი ნავის, ცალფერდა სახურავით დასრულებული, მაღალი კედელი, რ-ის თავზე აღმართულია შუა ნავის, გაცილებით დაბალი კედელი. ორივე ფასადი სრულიად სადაა. ჩრდ. ფასადის ქვედა ნაწილის წყობაში მკაფიოდ გამოიყოფა წყობის ოთხი ჰორიზ. ნაკერი. პირველი სამი – მიწიდან და ერთმანეთისგან 1,7 *მ* მანძილითაა დაშორებული, ხოლო მეოთხე, მესამისგან 0,8 *მ*-ზეა. იგივე მანძილითაა მისგან დაშორებული ლავგარდანი.

სამხრ. ფასადის ქვედა ნაწილის სიბრტყე სამი დიდი სარკმლითაა დანაწევრებული. მათ ქვემოთ, ფასადს გაუყვებოდა ერთიანი მინაშენი, რ-ისგანაც დას. ნაწილში, შემორჩენილია კედლის საფუძველი და თვით ეკლესიის კედლის მთელ სიგრძეზე გამოყვანილი, მინაშენის კამარის დასაყრდნობი საფეხური, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მინაშენი ეკლესიასთან ერთად იყო აგებული. ზემოთ, მთავარი ნავის კედელში, სამი სარკმელია, რ-ებიც საფეხურით შეღრმავებულ, თაღოვან არეშია ჩასმული.

ეკლესიას კედლის მხატვრობის ფრაგმენტები შემორჩა, რ-თა შესრულების დრო ეკლესიის ისტორიის ორ სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება. როგორც ჩანს, ეკლესიის აგების თანადროულია აღმ. ფასადის მხატვრობა. იგი მდებარეობს კედლის ცენტრალურ ნაწილში, მაღლა, ლილვით შემოსაზღვრული მონაკვეთის ფარგლებში, რ-იც, ისევე როგორც მის ცენტრში არსებული, ორსაფეხურიანი ჩაღრმავება წრიულია. ტ. შევიაკოვას ვარაუდით, წრე, ამ შემთხვევაში, გააზრებულია, როგორც სოლარული ნიშნის სიმბოლო.

საღებავის ლაქები შემონახული იყო ფასადის სამხრ. ნაწილშიც. ისინი უნახავს გ. ჩუბინაშვილს. მისი აზრით მხატვრობა, ნეკრესის გუმბათიანი ეკლესიის მსგავსად, ფასადის სამხრ. და ჩრდ. ნაწილების არქიტექტურულ დეკორშიც იყო ჩართული.

ფასადის მხატვრობა ხუთი ფიგურისგან შედგება (გამოსახულია თავი და კისერი). კომპოზიციის ცენტრში, „მედალიონის“ მსგავს ჩაღრმავებაში, წარმოდგენილია ქრისტე (უშარავანდოდ), მის ორივე მხარეზე, „მედალიონის“ ფარგლებს გარეთ კი ოთხი, შარავანდმოსილი ანგელოზი – ორი ზემოთ და ორი ქვემოთ. ამჟამად შემორჩენილია ქრისტეს და ქვედა ორი ანგელოზის გამოსახულებები. შედარებით კარგად არის შემონახული მარჯვ. (მაყურებლის პოზიციიდან) ანგელოზი, მარცხ. ანგელოზი დაზიანებულია, მაგრამ მკრთალი კონტურის მიხედვით, მაინც ჩანს მისი სახის ნაკვთები, თმების მონახაზი და კისერი.

ზედა ორი (განადგურებული) ფიგურისგან, მარჯვნივ, ჯერ კიდევ გაირჩევა შარავანდის კონტურის ფრაგმენტი.

ფიგურებს შორის გამოსახული ყოფილა ხეივები. თავიანთი მდებარეობის მიხედვით, ისინი სათავეს, თითქოსდა, ქრისტეს „მედალიონიდან“ იღებენ. გრძელი, სწორი ხაზებით აღნიშნული ხეივების ფრაგმენტები დარჩენილია კედლის ზედა და ქვედა ნაწილებში, გამოსახულებებს შორის. ხეივების ნაშთებად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე წითელი საღებავის მცირე ზომის ლაქები, რ-ებიც ჩანს ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ.



122. მამადავითის ეკლ. ცენტრალური ნავის ინტერიერი, დას. კედლის მოხატულობა, „უფლის შობა“, განბანის ეპიზოდი, დეტალი

ფიგურების სახეები მეტად გამომსახველია. სამივეს დიდი თვალები აქვთ, შესამჩნევად გადიდებული გუგებით. ზომებით და ქვედა ქუთუთოების სპეციფიკური ნახატით (რკალის ფორმის, განიერი ხაზი, ერთი მხრიდან დატანილი მოკლე, ხაზოვანი შტრიხებით) განსაკუთრებით გამოირჩევა ქრისტეს თვალები. მთლიანობაში ქრისტეს სახე, მისი მკაცრი გამომეტყველება, ოსტატის მიერ არჩეულ იკონოგრაფიულ ტიპს (ისტ. ტიპი) შეესაბამება და ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მხატვრობის შესრულების მანერა სიბრტყობრივ-გრაფიკული ხასიათისაა. გამოსახულებები შესრულებულია თბილი, წითელი ხაზით. სახეები დაფარული იყო ვარდისფერი საღებავით, რ-იც შემორჩა მხოლოდ


ქრისტეს სახეზე. გაღიაფერება-ჩაჩრდილვის კვალი არ ჩანს. ამავე დროს ანგელოზებს არ ახასიათებთ მკაცრი ფრონტალურობა, ხოლო თმების ნახატში იგრძნობა ერთგვარი „თავისუფლება“. როგორც ჩანს, ნიმუში, რ-იც გამოიყენა ოსტატმა შეიცავდა ანტ. ხელოვნების სტილისტურ ნიშნებს.

ეკლესიის ისტორიის სხვა პერიოდს (XIV ს-ის დასაწყისი; XIV-XV სს.; XVI ს.?) მიეკუთვნება ინტერიერის მოხატულობა, რ-იც დროთა განმავლობაში განადგურდა. გ. ჩუბინაშვილი მოიხსენიებს მხოლოდ ორ კომპოზიციას (უფლის შობა და ღვთისმშობლის მიძინება), რ-იც შუა ნავის დას. კედლის ზედა ნაწილში, პირველ და მეორე რეგისტრშია დღემდე შემორჩენილი: ზევით – შობა, ქვევით – ღვთისმშობლის მიძინება.

შობა გაშლილია მთიანი პეიზაჟის ფონზე. ზევით, მთის უკან, დგას ერთმანეთისკენ მიბრუნებული ორი ანგელოზი (არც ერთი მათგანის თავი და სხეულის ზედა ნაწილი არ შემორჩენილა), ქვევით გამოსახულია ბაგა, შიგ ჩვილი ქრისტე, მისკენ დახრილი სახედარი და ხარი. მარჯვნივ ზის ღვთისმშობელი, მარცხნივ შემონახულია სამი მოგვის ხელები. მათ ძღვენი უჭირავთ და ღვთისმშობლის მიმართულებით გაუწვდიათ. რეგისტრის ხაზის ახლოს განბანის ეპიზოდია გამოსახული: ემბაზში, ყრმის ასაკში, ფრონტალურად, გამოსახულია ქრისტეს წელზედა ფიგურა, რ-საც დიდი, ძვირფასი ქვებით შემკული შარავანდი ადგას; მარცხნივ და მარჯვნივ წარმოდგენილია ორი მსახური ქალი. მარჯვ. ფიგურას დიდი დოქი უჭირავს, საიდანაც წყალს უსხამს ქრისტეს. აქვე, ახლოს, მარცხნივ, განბანის ეპიზოდისკენ ზურგშექცევით, ზის იოსები. უკან ჩანს პეიზაჟის ნაწილი – ერთიმეორის თავზე აღმართული, მომრგვალებული ფორმის გორაკები.



122. მამადავითის ეკლ. ცენტრ. ნავის აღმ. ფასადი, დეტალი



122. მამადავითის ეკლ. ცენტრ. ნავის აღმ. ფასადის მოხატულობა, ქრისტე

მოხატულობის კოლორიტს ქმნის ღია, სუფთა ტონების (ყვითელი ოქრა, მოწითალო-აგურისფერი, ცისფერი, მწვანე, თეთრი) შეხამება: სახეების დამუშავება – მწვანე „ჩრდილები“, გამჭვირვალე გაღიაფერება, მასთან „შემდნარი“, მსუბუქად დატანილი, წითელი საღებავი – ცხოველხატულია. დაძაბულ რიტმს ქმნის განსხვავებული „სიძლიერით“ მოცემული თეთრას ხაზები (შუბლზე, ყვრიმალებზე, ნიკაპზე და სხვ.), რ-ებიც აღნიშნავს „ამოთეთრებას“. ქრისტეს მკვეთრი მოძრაობა (ღვთისმშობლის მიძინება) დინამიურია. ასევე დინამიურია სხვადასხვა კუთხით მოცემული გორაკების მონაცვლეობა (შობა). სახეების გამომეტყველება ექსპრესიულია.

ამჟამად აღმოჩენილია კიდევ ორი ფრაგმენტი: წმინდანის გამოსახულების ნაშთი სამხრ. ნავის აღმ. კედელზე, სადიაკვნეში, შესასვლელის თავზე და მცირე ზომის ფრაგმენტი ამავე ნავის კამარის ჩრდ. გვერდის დას. ნაწილში. გამოსახულების გარჩევა არ ხერხდება. ეს ფრაგმენტები ადასტურებს გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ ეკლ. მთლიანად იყო მოხატული. ცნობებს ამ ფრაგმენტების შესახებ გვაწვდის ფერწერის ტექნიკური მდგომარეობის აღწერა-ანგარიში (კედლის მხატვრობის მდგომარეობის დიაგნოსტიკა და ლაბორატორიული კვლევა. პროექტის ხელმძღვ. ნ. კუპრაშვილი).

ეკლესიის დას. მინაშენი (სიგ. – 2.9 მ), ისევე როგორც სამხრ-ისა, ეკლესიასთან ერთდროულად იყო აგებული, რასაც ადასტურებს ეკლესიის დას. კედელზე გამოყვანილი საფეხური, რ-საც მინაშენის კამარის შესაბამისი ქუსლი ეყრდნობოდა.



122. მამადავითის ეკლ. აღმ. ფასადის წარწერა



122. მამადავითის ეკლ. ხედი აღმ-იდან

ამჟამად, მინაშენისგან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ-ის მესამედი. ესაა დამოუკიდებელი, კამაროვანი სათავსი შესასვლელით სამხრ-იდან და თითო სარკმლით დას-ით და ჩრდ-ით. სავარაუდოა, რომ სამხრ. კედელი კარით, მინაშენის ნგრევის შემდგომაა აშენებული.

დას. მინაშენი, სამხრ-ით, დასრულებული იყო ყრუ კედლით. მასზე მიყრდნობილი იყო სამხრ. მინაშენის კორპუსი, რ-ის განაც შემორჩა სამხრ.-დას. კუთხე. სამხრ. მინაშენის დას. კედელი, რ-შიც მინაშენში შესასვლელი იყო მოწყობილი, რამდენადმე შეწეულია დას. მინაშენის დას. ხაზის მიმართ.

მოგვიანებით, სამხრ. ფასადის ცენტრში, ეკლესიაში შესასვლელის წინ, ააგეს კვადრ. გეგმის, სამი განიერი, მაღალი თაღით გახსნილი კარიბჭე. თაღები რიყის ქვითაა ნაწყობი და რიყის ქვითვე ნაწყობ, სწორკუთხა ბურჯებზეა გადაყვანილი. აღმ. და დას. თაღები თანაბარი ზომისაა, სამხრ-ისა კი მათზე რამდენადმე მოზრდილია. კარიბჭე შიგნით გადახურულია კამარით. კამარის თავზე გამოყვანილია კუბური ფორმის შემაღლება.

ეკლ. გადახურული იყო კრამიტით, რ-იც რამდენიმე ფენად იყო დაწყობილი. ჩრდ. მხარეს, სამხრ.-დას. კუთხის ორივე მხარეს და სამხრ. კარიბჭის წინ, შემორჩენილია თავდაპირველი ლავგარდნის ნაშთები, რ-საც შეადგენდა თანაბარი ინტერვალებით დაშორებული, წყობიდან გადმოშვერილი, საგანგებოდ შერჩეული, მოგრძო რიყის ქვები და მათ შორის დუღაბით გამოყვანილი, მცირე, ნალისებრი თაღები.

ეკლ. შემოფარგლულია ძლიერ დაზიანებული, რიყისა და ნატეხი ქვით ნაშენი გალავნით, რ-შიც სამხრ.-აღმ. მხრიდან, მოწყობილია მცირე შესასვლელი. გალავნის ჩრდ.-დას-ით, 20-30 მის მოშორებით, ხევის პირას, შემორჩენილია ნატეხი და რიყის ქვით ნაგები, სწორკუთხა გეგმის მქონე ნაგებობის (სატრაპეზო?) ნანგრევი. მისი დას. კედელი ფერდობშია შეჭრილი. იქვე, დას-ით, კედლებმორღვეული მარნის ნანგრევია ორმოცამდე ქვევრის ნაშთით. ოდნავ სამხრ-ით მართკუთხა კოშკის ნანგრევია და ხევისკენ, მიწაში, ქვით ამოყვანილი, კამარიანი აკლდამის(?) ნაშთი. გალავნის სამხრ-ით, გზის გადაღმა, მცირე, დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. გალავნის ირგვლივ – ნაგებობათა ნაშთები.

1933 წელს ტაძარი აზომა ვ. წილოსანმა. ტაძრის ჩანახატები აკვარელით შეასრულა ნ. სვეტროვმა. ჩატარდა ფოტოფიქსაცია.

1954 წელს შესრულდა ტაძრის სრული არქიტ. ანაზომი (რ. გვერდწითელი, ა. გოგელია, გ. ჭეიშვილი, ს. კაციტაძე) და ფოტოფიქსაცია (ფოტოგრაფი ი. ზენკო).



122. სამლოცველო, საკურთხევლის ნაშთი, ხედი დას-იდან

1956 წელს ჩატარდა ტაძრის რესტავრაცია: კედლების ნაპრალები შეივსო ხსნარით, მთავარი ნავის კამარა და შუა საბჯენი თაღი აღადგინეს რკი-

ნა-ბეტონით, ბაზილიკის იატაკზე მოასხეს ბეტონი, აღადგინეს სამხრ. მკლავის დას. სარკმელი და ფასადების (ძირითა-



122. სატრაპეზოს ნანგრევები, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დად ჩრდ. ფასადის) ჩამოშლილი ქვის პერანგი. სპეციალურად მოძიებული რიყის ქვებით აღადგინეს სამხრ. ნავის ლავგარდნის დიდი მონაკვეთი. იმ ადგილებში კი, სადაც ლავგარდანი მთლიანად იყო მოშლილი, იგი აღადგინეს თაღების გარეშე, რის გამოც ლავგარდანი მასიური და უხეში გამოვიდა; ტაძარი გადაიხურა კრამიტით, რ-იც დაეწყო ხის ლარტყებზე; დას. სათავსი გადახურეს კრამიტით ცემენტის ხსნარზე; გამაგრდა აღმ. ფასადის მოხატულობის შემორჩენილი ნაშთები (მხატვარ-რესტავრატორი კ. ბაკურაძე), ასევე გაიწმინდა საფასადო, ფერწერული წარწერები; დას. ფასადის ნიშის ძირზე მოაწყვეს კრამიტის წყობის, ორი რიგი. სამხრ. კარიბჭის თავზე დააკონსერვეს სამრეკლოს ფანჩატურის წრიული ბაქანი; ბაზილიკის გარშემო მოეწყო წყლის გადასაყვანი თხრილი.

1971 წელს კვლავ ჩატარდა ტაძრის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები; 1976 წელს ტაძრის სახურავი კაპიტალურად შეკეთდა (პროექტის ავტორი არქ. გ. ჭეიშვილი).

2010 წელს ჩატარდა ტაძრის მცირე, სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახურავის კალთები გადაიხურა კრამიტის ახ. სა-ბურავით, შეკეთდა საფასადო წყობა და ლავგარდნები.

2013 წელს, ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის დამუშავების მიზნით, ტაძარი კვლავ აიზომა (არქიტექტორ-რესტავრატორები: მ. გელაშვილი, ნ. ინწკირველი, გ. კოტეტიშვილი და მ. მუკმანიანი).

ფ. დევდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 18; 35; 52; 83; 111; 174; 202; 205; 317; 322; 323; 324; 326; 335.


123. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, დაახლ. 0,5 *კმ*-ზე, მამადავითის ეკლესიისკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, გზიდან 50-იოდე *მ*-ის მანძილზე. დას. კარის არქიტრავზე არსებული წარწერის თანახმად ეკლ. აგებულია 1857 წ.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (15,6x9 *მ*), დას-იდან ეკვრის მოგვიანებით მიშენებული სამრეკლო, რ-იც ეკლესიაზე გაცილებით მაღალია.

ეკლ. ნაგებია რიყის ქვის ირეგულარული წყობით. გარეთა კუთხეებში გამოყენებულია შედარებით მოზრდილი, მოგრძო ქვები. შიგნით, საბჯენი თაღები, გამოყვანილია შირიმის ნათალი ქვით.


შენობას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. ორივე კარის ღიობი, გარედან, ქვიშაქვითაა გამოყვანილი, გადახურულია თარაზულად და საფეხურით შეღრმავებულ, თაღოვან არეშია ჩასმული, შიგნიდან კი ნახევარწრიული თავი აქვს.

ეკლესიის დარბაზი ვრცელია, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის ცენტრში გაჭრილია განიერი, მაღალი სარკმელი, რ-საც შიგნიდან და გარედან, ნახევარწრიული თაღი ხურავს. სარკმლის ორივე მხარეს, მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული, ნახევარწრიულთაღოვანი, თითო ნიშა, რ-თა ძირი აფსიდის იატაკის დონეზეა. ორივე ნიშაში, იატაკიდან 1 *მ*-ის სიმაღლეზე, ხის თარო ყოფილა. ერთი მცირე, სწორკუთხა ნიშა, აფსიდის ჩრდ. ბოლოსთანაა.



123. გეგმა

დარბაზის გრძივ კედლებზე, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული ოთხ-ოთხი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია სწორხაზოვანი პროფილის, მარტივი იმპოსტები. ამ იმპოსტებს, საბჯენი თაღების გარდა, პილასტრებს შორის გამოყვანილი, ყრუ თაღებიც ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილი და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი, საკურთხეველს დარბაზისგან გამოყოფს. თითო პილასტრია დარბაზის დას. კუთხეებში. მათ დას. კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა.




123. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ფასადები სადაა, კედლების პირი გამოყვანილია მჭიდროდ დაწყობილი, წვრილი რიყის ქვით. აღმ. და დას. ფასადებზე, ფრონტონის არეში, გამოსახულია საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, თითო, ჩაღრმავებული ჯვარი. კედლები დასრულებულია რიყის ქვით ნაწყობი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

ძეგლზე შემორჩენილია მხედრულით შესრულებული სამი მოსახსენებელი წარწერა: თითო-თითო შესასვლელების არქიტრავზეა, მესამე – სწორკუთხა ქვაზე, რ-იც სამხრ. ფასადის აღმ. ნაწილში მოწყობილი ნიშის ქვეშაა ჩასმული. ნიშა მცირე ზომისაა, სწორკუთხა, მოქცეულია საფეხურით შეღრმავებულ, თაღოვან არეში, რ-იც სარკმლების დონეზეა და სიმაღლით თითქმის მათი ტოლია. წარწერებიდან უადრესია დას. შესასვლელის არქიტრავზე არსებული წარწერა, რ-ის თანახმად გარდაცვლილთათვის ქვა 1857 წლის 10 ივნისს შეუწირავთ. სამხრ. ფასადზე, ნიშის ქვეშ არსებული წარწერის მიხედვით კი 1858 წლის 20 მაისს გარდაცვლილ გიორგი ქევხიევისა (ქევხიშვილის) და მისი მეუღლის – მარიამისათვის შეუწირავთ ქვა, რისთვისაც შენდობას ითხოვენ. სამხრ. კარის არქიტრავის წარწერა დაზიანებულია.

ს ა მ რ ე კ ლ ო სამსართულიანია, აგებულია კვადრ. აგურით. პირველი სართული (4,3x3,8 *მ*), სამი მხრიდან, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი კარიბჭეა. თაღები ეყრდნობა ოთხ, სწორკუთხა ბოძს. მათგან ორი – ეკლესიის კედელზეა მიყრდნობილი, ხოლო ორი – თავისუფლად დგას. ისინი გეგმით კვადრატულია და შესაბამისი ფასადის მხარეს გამოყვანილი აქვს ერთიან ბაზისზე დაყრდნობილი, სამსაფეხურიანი კაპიტელით დასრულებული, ორ-ორი პილასტრი. ეკლესიაზე მიდგმულ ბოძებზე კი – თითო მსგავსი პილასტრია. გარედან სამივე თაღს თავსართი ევლება, რ-იც ცენტრისკენ მდებარე პილასტრებზეა დაყრდნობილი. დას. ფასადზე, თაღის ორივე მხარეს, კედლის სიბრტყეში, ნახევარწრეებით შექმნილი, თითო შეღრმავებული, ჯვრისებრი ელე-



123. დას. ფასადი

მენტია გამოსახული, რ-საც გარედან შეწყვილებული ლილვის ჩარჩო ევლება. სართული დასრულებულია მაღალი, რთული პროფილის ლავგარდნით. ანალოგიური პროფილის ლავგარდნითაა დასრულებული მეორე

სართულიც. პირველი სართულის მსგავსად, ეს სართულიც სამ მხარეს, თითო განიერი, ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი.



123. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

დას. კუთხის ბურჯებზე აქაც ორ-ორი პილასტრია გამოყვანილი, ეკლესიაზე მიყრდნობილ ბურჯებზე კი – თითო-თითო. დას. ბურჯებზე არსებულ პილასტრებს შორის თითო, თაღოვანი შეღმავებაა, რ-თა თაღები, იგივე პროფილის თავსართითაა მოჩარჩოებული, როგორც ღიობის თაღი. III სართული, ქვედა სართულებთან შედარებით, რამდენადმე ვიწროა. იგი ეკლესიის სახურავის ზემოთაა და, დანარჩენი სართულებისგან განსხვავებით, ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილ ფანჩატურს წარმოადგენს. ფანჩატურის ზედა ნაწილი თორმეტწახნაგოვანია და დასრულებულია თუნუქით დაბურული, პირამიდისებრი სახურავით.

2008-09 წწ-ში ეკლესიას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები: გაიწმინდა კედლები, აღდგა სამრეკლოს ზედა, მონგრეული ნაწილი და გადახურვა, აღდგა ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილები, ეკლ. გადაიხურა თუნუქით.

თ. დვალი.

124. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ-ით, 6 კმ-ზე, მთის წვერზე. თარიღდება შუა საუკუნეებით.

დანგრეულია. შემორჩენილია: ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ცენტრში სარკმელია გაჭრილი და კედლების ნაშთები.

ეკლ. ნაგები იყო რიყის ქვით.

ბ. კუპრეიშვილი.

125. საწნახელი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 7 კმ-ზე, ნასოფლარ ნაკალურში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგები იყო რიყის ქვით კირის ხსნარზე. შემორჩენილია ნანგრევების სახით.

ბ. კუპრეიშვილი.

126. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,8x4,7 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი და ლავგარდნის დიდი ნაწილი.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარი გარედან თაღოვანია (დიდი ნაწილი ჩამოშლილია), შიგნიდან კი ხით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია კვალი). აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი, ოთხკუთხა სარკმელი დას. კედელშია. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით, თითო, ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, რიყის ქვით ნაშენი, კუბური ტრაპეზია მიდგმული.

შიგნით ეკლ. გადახურულია ოდნავ შეისრული ფორმის, სხმული კამარით.

ფასადები სადაა. ჩრდ. კედლის დას. ნაწილზე მასიური, ნახევარწრიული კონტრფორსია მიდგმული. სამხრ. ფასადის წყობაში ჩატანებულია ასომთავრულწარწერიანი ქვიშაქვა.

კედლები დასრულებული იყო რიყის ქვით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდნით.

პ. კიკაჩეიშვილი.

127. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით 1 კმ-ზე. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,4x4,3 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. გამოყენებულია შირიმიც. წყობა ქაოსურია. და-

ზიანებულია. ჩაქცეულია კონქის და კამარის დიდი ნაწილი, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილი და ლავგარდანი.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. მისი წირთხლები ამოყვანილია შირიმის ქვებით. აღმ-ით ღრმა, გეგმით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე განიერი, მაღალი სარკმელია გაჭრილი. სარკმელი შიგნიდან შირიმის ქვით ნაწყობი, ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. იგი გარედანაც თაღოვანი ყოფილა (შემორჩენილია თაღის ნაწილი). აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, მოწყობილია თითო, ოთხკუთხა ნიშა. აღმ. კედლის გარდა, თითო, მსგავსი სარკმელი სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. ამავე კედლების შუა ნაწილში, შირიმის თაროსებრი კაპიტელით დასრულებული, თითო, ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღი (ჩამოშლილია) ეყრდნობოდა. შემორჩენილია, მხოლოდ დას. კედლის მიმდებარე, საბჯენი თაღი, რ-იც შირიმის ნათალი ქვითაა გამოყვანილი.

გარედან შესასვლელი ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ არეში. შესასვლელის თავზე მცირე, ოთხკუთხა ნიშაა, არეს ზემოთ კი, შირიმის წყობით გამოყვანილი, ორსაფეხურიან ბაზისზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულება.

აღგილ. მოსახლეობას შენობა კოჭებზე დაკრული ფიცრებითა და მათზე დაწყობილი კრამიტით გადაუხურავს.

პ. კიკაჩეიშვილი.

ართანა

(სანიორის თემის საკრებულო)


128. დედოფლის ნასახლარები, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად. შემორჩენილია ნასახლარების კვალი. თარიღი დაუდგენელია.

გ. რჩეულიშვილი.

129. იულთას ნასოფლარი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად. შემორჩენილია ნასახლარები. თარიღი დაუდგენელია.

გ. რჩეულიშვილი.

130. კვირიას ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 0,7 კმ-ზე, სოფ. სანიორიდან ართანისკენ მიმავალი გზის პირას, სასაფლაოზე. თარიღდება გარდამავალი ხანით.




130. გეგმა

ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით დასრულებულია გეგმით ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც გარედანაც ნახევარწრიულია, ეკლესიის ძირითადი კორპუსისგან გამოყოფილია და დამოუკიდებელი სახურავი ხურავს (ეკლესიის გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 8,2 *მ*, სიგ. – 5,3 *მ*). ჩრდ-იდან ეკლესიას ეკვრის თანადროული, მასზე ორჯერ უფრო მოკლე, სწორკუთხა სათავსი (4x3 *მ*), რ-ის აღმ. კედელი დარბაზის აღმ. კედლის ხაზზეა და, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა.

შენობა ნაგებია ნატეხი ქვითა და სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. შიდა კედლების წყობა შედარებით წვრილი, შემთხვევითი ფორმის ქვისაა. გარეთა კედლების წყობაში კი საშენი მასალა რამდენადმე დიფერენცირებულადაა გამოყენებული, თუმცა, მათ შორის საზღვარი მკვეთრად არ გამოიყოფა. კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი მომცრო, ნატეხი ქვითაა ამოყვანილი. ზემოთა ნაწილების წყობაში კი უმეტესად მოზრდილი რიყის ქვებია გამოყენებული. სამშენ. მასალის ასეთი სხვაობა მშენებლობის პროცესში მიღებული ცვლილებების შედეგს უნდა წარმოადგენდეს. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ნაკერებს ავსებს და ნაწილობრივ, ქვებსაც ფარავს. შემორჩენილია გვიანდ. რემონტის კვალიც. ამ დროსაა ამოყვანილი სამკვეთლოს ჩრდ. კედლის საპირე წყობის უმეტესი ნაწილი, დას. კედლის ზემოთა ნაწილები, საკურთხევლის შვერილის ლავგარდანი და სხვ. აღდგენილ ნაწილებში ქვა საკმაოდ წვრილია, წყობა კი – ტლანქი.


ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. დას. შესასვლელი თარაზულადაა გადახურული და ორივე მხრიდან თაღოვანი თავი აქვს. თაღები ნაწყობია თხელი, მოგრძო, ნატეხი ქვებით და ოდნავ ნალისებრი მოხაზულობისაა. მსგავსად იყო გადახურული სამხრ. კარიც. მოგვიანებით, თაღები ამოუშენებიათ (შიგნიდან კარგად მოჩანს თაღის აღმ. გვერდის წყობა), უფრო გვიან კი ღიობი დაუვიწროებიათ და შიგ ვიწრო, თაღოვანი კარი მოუწყვიათ. როგორც ჩანს, ამ დროსაა ამოშენებული დას. კარიც.



130. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ეკლესიის დარბაზი შემაღლებულ პროპორციებშია გადა-

წყვეტილი. გეგმით იგი კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია. საკურთხეველი დარბაზის გრძივი კედლებისგან თავი-



130. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

სებურადაა გამიჯნული: ქვედა ნაწილში (იატაკიდან დაახლ. 1,5 *მ*-ის სიმაღლეზე) აფსიდი გრძივი კედლებისგან მხოლოდ ერთი საფეხურით გამოიყოფა, ზემოთ კი მხრები უკვე ორსაფეხურიანია. ამ საფეხურს ქმნის გრძივი კედლების აღმ. კიდეებში გამოყვანილი, თითო, შეკიდული პილასტრი, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. ამ თაღის გარდა, კამარა დას. კედლის მიმდებარე, საბჯენ თაღსაც ეყრდნობა, თვით თაღი – კუთხის პილასტრებს.

აფსიდს გარშემოუყვება საფეხური, რ-ის შუაში, სარკმლის ქვემოთ, დადგმულია კუბური ფორმის ტრაპეზი. სარკმელი ვიწროა, მაღალი. შიგნიდან იგი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, გარედან – ნალისებრით. მსგავსი ორი სარკმელი ეკლესიის სამხრ. კედელშიცაა, რ-ებსაც, აფსიდის სარკმლისაგან განსხვავებით, ჰორიზ. ძირი აქვს. აღმ. სარკმლის გვერდებზე თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა.

ინტერიერი შელესილი ყოფილა. აქა-იქ შემორჩენილია ნალესობის, ქრონოლოგიურად განსხვავებული, ორი ფენა. გვიანდ. ფენის ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ამოღარული, წვრილი ხაზები (მოხატულობის დასაკვალავად?). შიგნით ეკლ. გადახურულია განახლებული, ტლანქად ნაწყობი, ცილინდრული კამარით.

სამკვეთლო უაფსიდო, ცილინდრული კამარით გადახურული სათავსია (ფართ. დაახლ. – 5 *კვ მ*), განათებულია აღმ. კედლის შუაში გაჭრილი სარკმლით, რ-იც ეკლესიის დანარჩენი სარკმლების მსგავსად, შიგნიდან ნახევარწრიული, ხოლო გარედან ნალისებრი თაღითაა დასრულებული. სარკმლის გვერდებზე, თითო, მცირე ნიშაა.

ეკლესიის ფასადები სადაა, კედლებიდან მხოლოდ საკურთხევლის შვერილია გაფორმებული – სარკმლის ქვემოთ, თევზისფხურად დაწყობილი, თხელი, მოგრძო, ნატეხი ქვებით გამოყვანილია ფართო, დეკორ. ზოლი. კედლები დასრულებული იყო მარტივი პროფილის ლავგარდნით. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, განივ ფასადებზე, ფრონტონის ძირებთან, ლავგარდანს ჰორიზ. შემონაკეცები ჰქონია.

2006-2007 წწ-ში სოფლის მაცხოვრებლებმა ეკლ. შიგნიდან შელესეს, გარედან კი კრამიტით გადახურეს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

131. ნასოფლარი და სამაროვანი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. დიდხევის მარცხ. ნაპირას. შემორჩენილია ნასახლარები და ქვის ფილებით შედგენილი სამარხები. თარიღი დაუდგენელია.


გ. რჩეულიშვილი.



130. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან


132. ორმოცნის სამლარი, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში, „მამუკაანთ“ უბანში, ყოფილ სასაფლაოზე (ეკლესიის ირგვლივ შემორჩენილია საფლავის რამდენიმე ქვა). თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. გარეთა კედლების წყობაში, გაცილებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. ქვები შემთხვევითი ფორმისაა, ისინი ქაოსურადაა განლაგებული, რის



132. გეგმა

გამოც მათ შორის მოზრდილი არეებია შექმნილი, რ-ებიც შევსებულია წვრილი, ნატეხი ქვებით და შებათქაშებულია. შიგნიდან სარკმლების თაღოვანი გადახურვა და კამარა კვადრ.



132. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

(22x22x3,5 *სმ*) აგურისაა. კედლებზე შემორჩენილია გვიანდ. რემონტის კვალი. ამ დროს უნდა განახლებულიყო ლავგარდანიც. გვიანდ. ლავგარდანი მოქცეულია თავდაპირველის ზემოთ. შეცვლილია სახურავის ფერდების დახრილობაც.

ერთადერთი შესასვლელი დას-ითაა. კარი გადახურულია ქვაშაქვის ზღუდრით და ორივე მხრიდან თაღოვანი თავი აქვს.



132. დას. ფასადი

ეკლესიის დარბაზი (ფართ. დაახლ. 13 *კვ მ*) შემაღლებული პროპორციებისაა. აღმ-ით მას ერთვის ღრმა, ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდი, რ-ის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელი. თითო მსგავსი სარკმელია გაჭრილი სამხრ. და დას. კედლებშიც. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო მცირე, სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია კუბური ფორმის ტრაპეზი. მოგვიანებით, ტრაპეზის მსგავსი სტრუქტურა ჩრდ. ნიშის ქვემოთაც მიუდგამთ. სავარაუდოდ, მას სამკვეთლოდ იყენებდნენ. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, დარბაზი – ნახევარწრიული კამარით.

ფასადები სადაა. დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, სა-



132. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა (სიგ. – 90 *სმ*, სიმ. – 70 *სმ*), რ-შიც, როგორც ჩანს, წარწერიანი ქვა იყო ჩასმული. ფასადები დასრულებულია ექვსაფეხურიანი ლავგარდნით (შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის რიგების მონაცვლეობით). შენობა გადახურული იყო კრამიტით.


2006-2007 წწ-ში სოფლის მაცხოვრებლებმა ეკლ. გაარემონტეს; შიგნიდან შელესეს, აღადგინეს ლავგარდნის ნაწილები და შენობა დარისებრი კრამიტით გადახურეს.

თ. დჟალი.

133. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრალურ ნაწილში, მთავარი გზის პირას. თარიღდება XIX ს-ით.


ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც გარედან ხუთწახნაგოვანია (გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 12,7 *მ*, სიგ. – 7 *მ*). საკურთხეველი, როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც, დარბაზის გრძივი კედლებისგან განიერი მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი სახურავი ხურავს. დასიდან ეკლესიას ეკვრის მცირე, გეგმით სწორკუთხოვანი (2,8x1,8 *მ*) კარიბჭე.

შენობა ნაგებია აგურით. შიგნიდან და გარედან შელესილია და შეთეთრებული. დგას ერთსაფეხურიან, ქვით ნაშენ




133. გეგმა

ცოკოლზე. შესასვლელი დასიდან აქვს. კარი თარაზულადაა გადახურული. დარბაზი შემაღლებული პროპორციებისაა,



133. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ



133. დას. ფასადი

გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც ორ შეკიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მესამე თაღი კამარის დას. კიდეშია. ეს უკანასკნელი კუთხის პილასტრებზეა გადაყვანილი.

საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ერთი საფეხურითაა შემაღლებული, რამდენადმე წინწამოწეულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხეველში ორი, მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი და სამი, თაღოვანი ნიშაა. დარბაზის გრძივი კედლების შუა ნაწილში, ნახევარწრიულთაღიანი, ბრტყელი ნიშაა, რ-იც იატაკის დონიდან იწყება და კედელს მთელ სიმაღლეზე ასდევს. თითოეული ნიშის ღერძზე გაჭრილია თითო ფართო, მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ინტერიერს, ამ სარკმლების გარდა, კიდევ შვიდი, მრგვალი სარკმელიც აშუქებს. მათგან ორ-ორი – გრძივი კედლების ბოლოებშია, სამი – დას. კედელში (ამოშენებულია). დარბაზისა და საკურთხევლის იატაკი თიხის მოზრდილი ზომის, ექვსკუთხა ფილებითაა მოგებული.

ეკლესიის ფასადების დამუშავება, მხატვრული თვალსაზრისით, შედარებით უფრო დამახასიათებელია, ვიდრე შინაგანი სივრცისა. სამხრ., ჩრდ. და დას. ფასადები, ორ-ორი, მარტივი პილასტრით სამ-სამ, თანაბარ არედაა დაყოფილი, რ-ებსაც ზემოდან, თანაბარი ინტერვალებით დაცილებული, ნახევარწრიული თაღების მწკრივი აგვირგვინებს. პილასტრები საკურთხევლის შვერილის წიბოების მთელ სიმაღლეზეცაა გამოყოფილი. ისინი წახნაგების ზედაპირზე მცირედ შეღრმავებულ არეებს საზღვრავენ, რ-ებიც ზემოდან დანარჩენი არეების ანალოგიური თაღების მწკრივითაა დასრულებული. შენობის კედლები დაგვირგვინებულია მაღალი ლავგარდნით. იგი შედგება ერთმანეთისგან მცირე მანძილით (დაახლ. 25 *სმ*-ით) დაცილებული, ორსაფეხუროვანი, ორი ზოლისგან, რ-თაგანაც ზედას, ფრონტონის ძირებთან, მცირე, ჰორიზ. შემონაკეცები აქვს. ანალოგიუ-



133. ხედი დას-იდან

რი პროფილის ლავგარდნითაა დასრულებული საკურთხევლის შვერილის კედლებიც.

ეკლესიის კარიბჭე ორფერდასახურავიანი, ამაღლებული პროპორციების მქონე, ვიწრო ნაგებობაა. კარიბჭის დას-ის ორივე კუთხეში თითო, სწორკუთხა ბურჯებია ჩაწერილი. ბურჯებიდან ეკლესიის მიმართულებით გადაყვანილია ნახევარწრიული ფორმის თაღები, რ-ებიც ეკლესიის კედლიდან მცირედშვერილ, ორსაფეხუროვან იმპოსტებს ეყრდნობა. დას-ით კარიბჭე მთელ სიმაღლეზეა გახსნილი. ბურჯებით და თაღებით შექმნილ ამ კონსტრუქციას კამაროვანი გადახურვა აქვს. მისი ღერძი ეკლესიის გრძივი ღერძის მიმართულებას ემთხვევა.

ნაგებობის დას. ფრონტონის წვეროზე იდგა აგურით ნაშენი

ს ა მ რ ე კ ლ ო – ვიწრო, ოთხწახნაგა ფანჩატური (შემორჩენილი იყო საფუძველი და კუთხის ერთი სვეტი).

2008 წელს, სოფლის მკვიდრის ს. ღონღაძის თაოსნობით, ეკლესიას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები – აღადგინეს სამრეკლოს ფანჩატური (უხარისხოდ), ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილები და ეკლ. თუნუქით გადახურეს.

თ. დვალი.

134. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში. დანგრეულია. შემორჩენილია დას. კედლის წყობის ფრაგმენტი. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვით.

ბ. კუპრეიშვილი.

135. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, 0,5 *კმ*-ზე, მინდორში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზული ტიპისაა (5,2x3,9 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და კირის სქელი დუღაბით. წყობა ირეგულარულია. კარ-სარკმელთა ღიობები და ლავგარდანი გამოყვანილია კვადრ. აგურით. აგურია გამოყენებული აფსიდისა და შენობის გარეთა კუთხეების წყობაშიც. მოგვიანებით ეკლ. შეუკეთებიათ – სახურავის კალთებზე დუღაბის სქელი ფენა დაუსხამთ და კრამიტით დაუბურავთ (შემორჩენილია ფრაგმენტები), რამაც ნაწილობრივ შეამცირა სახურავის კალთების დახრილობა. აღმ. და დას. ფასადზე აშკარად გამოიყოფა თავდაპირველ და გვიანდელ ფენებს შორის საზღვარი. შეკეთება შეხებია ჩრდ. შესასვლელსაც, სადაც წირთხლების ქვემოთა, რიყის ქვით გამოყვანილი ნაწილები (იატაკის დონიდან დაახლ. 60 *სმ*-ის სიმაღლეზე) ეკლესიის თანადროულია, ხოლო ზემოთა – აგურისაა და წყობით გვიანდელობის ნიშნებს ატარებს.

შესასვლელი ორია – დას.-იდან და ჩრდ.-იდან. ორივე კარის ღიობი გარედან აგურის შეისრული თაღით იყო გადახურული, შიგნიდან კი ხის, ძელოვანი გადახურვა ჰქონდა. ამჟამად იგი მხოლოდ დას. კარს შემორჩა.

ეკლესიის დარბაზი კვადრატულია, აღმ-ით იგი დასრულებულია ოდნავ დეფორმირებული ნახევარწრის ფორმის აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია მცირე ზომის, ქვის ფილებით ბრტყლად გადახურული სარკმელი. მსგავსი სარკმელი დას-ითაცაა. იგი მოგვიანებით (შეკეთებისას) გაუფართოებიათ. აფსიდის ორივე გვერდში თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა. მათ შორის ჩრდ.-ისას ორმაგი შეღრმავება აქვს. აფსიდი გადახურულია რიყის ქვით ნაწყობი კონქით, რ-ის თაღი აგურისაა და შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

შენობის ფასადები სადაა. კედლები დასრულებული იყო საფეხურებად ნაწყობი ლავგარდნით (შემორჩენილია ფრაგმენტები), რ-იც შედგებოდა ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხის შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობით.

თ. დვალი.

136. ᲪᲮᲠᲐᲙᲐᲠᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. ეკლ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 0,5 კმ-ზე. განეკუთვნება IX-X საუკუნეებს.

შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში ჩაწერილია მცირე ზომის, დარბაზული ეკლ. და მინაშენი, რ-იც ეკლესიას სამხრ-იდან, მთელ სიგრძეზე ეკვრის.


შენობა ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია ეკლესიის კამარის დიდი ნაწილი და მინაშენის კამარა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, ფასადებზე საპირე წყობა ბევრ ადგილას ჩამოშლილია, ინტერიერი დიდ სიმაღლეზე მიწითაა ამოვსებული. ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი მინაშენის სამხრ. კედლის შუაშია გაჭრილი. კარი ნალისებრთაღოვანია (დიდი ნაწილი ჩამონგრეულია). ამ კარის მოპირდაპირედ ეკლესიაში შესასვლელი კარია, რ-საც ზედა ნაწილი მონგრეული აქვს. იგი, როგორც ჩანს, მინაშენის მხრიდან, თარაზულად იყო გადახურული, ეკლესიის მხრიდან კი თაღოვანი ყოფილა.

ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ცენტრში გაჭრილია მაღალი, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელი. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით.

კ. გიორგობიანი.

137. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 500-იოდე *მ*-ზე, ტყიანი მთის ფერდზე, დაბალი (სიმ. 1,2 *მ*), ფიქლით ნაგები გალავნით შემოფარგლულ, პატარა (ფართ. დაახლ. 100 *კვ მ*) ეზოში. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ნაგებობა ორსართულიანია – კოშკისმაგვარი, ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება და ორფერდა სახურავითაა დასრულებული (სიმ. მიწიდან სახურავის კეხამდე – 7 *მ*). I სართული (ზომები ფუძის დონეზე: 4,7x3,5 *მ*) ყრუკედლებიანი სათავსია, II სართული – ეკლ.



137. გეგმა

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გარეთა კედლები შემთხვევითი ფორმის, სრულიად დაუმუშავებელი ქვებითაა ნაწყობი, რის გამოც წყობა არასწორხაზოვანია. ფა-

სადის მხარეს ქვები ბრტყელი ზედაპირითაა მოქცეული. კედლების ზედაპირი (ძირითადად ქვედა ნახევარში) გასწორებულია წმინდა ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და ნაწილობრივ, მათ ზედაპირებსაც ფარავს. შენობის ოთხივე კუთხე ამოყვანილია შირიმის, ნათალი ქვებით. გარდა ამისა, გამოყენებულია თხელი, კვადრ. აგური, რ-ითაც ლავგარდანი და ეკლესიის შიდა გადახურვაა გამოყვანილი.

შესასვლელი II სართულის სამხრ. კედელშია, მიწიდან 4 მ სიმაღლეზე. კარის ღიობი აგურისა და შირიმის ქვებითაა გამოყვანილი. გადახურულია ქვით.

I სართული შემაღლებული პროპორციების, კამაროვანი სადგომია. სადგომის გადახურვის წყობაში ვიწრო, სწორკუთხა (45x45 *სმ*) ხვრელია დატანილი, რ-ის მეშვეობითაც I სართული მეორეს უკავშირდება. II სართულზე მცირე ზომის, გეგმით კვადრ. ოთახია, რ-იც აღმ-




137. ხედი სამხრ-იდან

ფუნქციის შეცვლისა და მისი სათავდაცვოდ გამოყენებისას, II სართულის ინტერიერი რამდენ-




137. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული (სადგომის ფართ. საკურთხევლიანად 5 *კვ მ*-დეა). აფსიდში გაჭრილია ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი, რ-იც გარედან შირიმის მთლიან ქვაში გამოკვეთილი, ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. აფსიდი დასრულებულია ამორფული, სხმული კონქით. კონქის თაღი შეისრულია. ნაწყობია კვადრ. აგურით. შეისრულია კამარაც. მოგვიანებით, შენობის



137. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



137. აღმ. ფასადი

ადმე შეუცვლიათ: შესასვლელის წინ, მთელ სიმაღლეზე, რიყისა და ნატეხი ქვის სქელი კედელი ამოუყვანიათ, რ-შიც ვიწრო, თაღოვანი კარი მოუწყვიათ.

ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია საფეხურებად ნაწყობი ლავგარდნით (ჩამოშლილია დიდი ნაწილი), რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის, ორ-ორი რიგის მონაცვლეობით. სახურავი დაბურულია ბრტყელი

და ღარისებრი კრამიტის კომბინირებული წყობით. I რიგის, ბრტყელი კრამიტების კიდეები, გაფორმებულია ერთმანეთისგან მცირე ინტერვალებით დაცილებული, სამ-სამი, ნახევარწრიული ელემენტით, რ-თა ერთობლიობა, ლავგარდანთან ერთად, გვერდით ფასადებზე მკვეთრ, დეკორატიულ აქცენტს ქმნიდა.

გ ა ლ ა ვ ა ნ ი წრიული მოხაზულობისაა. მის დას. ნაწილში მოწყობილია ვიწრო შესასვლელი, რ-საც გადახურვა ჩამოშლილი აქვს.

ძ. მსგავსი ტიპის ნაგებობათა საინტერესო ნიმუშია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

138. ᲬᲛ. ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, ჩრდ-ით, დაახლ. 1 *კმ* ზე, ფერდობზე. სავარაუდოდ, თარიღდება XIV-XV სს-ით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით თითქმის კვადრ. (3,9x3,4 *მ*). ნაშენია მოზრდილი ზომის, ნატეხი ქვით. წყობა ქაოსურია, ტლანქი. ქვებს შორის დარჩენილი არეები წვრილი ქვითაა შევსებული და შებათქაშებულია. კუთხეების წყობაში და ალაგ-ალაგ, კედლებში, ტლანქად დამუშავებული შირიმიცაა გამოყენებული. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი ვიწროა, მაღალი. 2005-06 წლებში, ადგილ. მოსახლეობის მიერ ჩატარებული შეკეთების დროს, შესასვლელი მნიშვნელოვნად აუმაღლებიათ. ამავე დროს, კედლების ზედა ნაწილები თანამედროვე აგურით აღუდგენიათ (საკმაოდ დაუდევრად). შიგნიდან კედლები შეულესავთ და ეკლ. ღარისებრი კრამიტით გადაუხურავთ.

აღმ-ით აფსიდია, რ-ის ცენტრში საკმაოდ ვიწრო (სიგ. დაახლ. 10 *სმ*-ია), მაღალი, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი, სწორკუთხა სარკმელი დას. კედელშიცაა. შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რ-საც სავსებით წესიერი ფორმა არა აქვს.

თ. დვალი.

139. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 0,7 *კმ*-ზე. ღვთისმშობლის ეკლესიის დას-ით, ორასიოდე *მ*-ში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,3x4 *მ*). ნაგებია რიყის ქვისა და ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. აქა-იქ, უმთავრესად, გარე კუთხეების ქვედა ნახევრის წყობაში, გამოყენებულია კვადრ. აგური. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით. მიუხედავად ამისა, იგი ტლანქია და უსწორმასწორო.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი შედარებით ვიწროა. იგი აგურითაა გამოყვანილი და დასრულებულია შეისრული თაღით, რ-იც მცირედ შეღრმავებულ, ხერხულა ფრიზით დაგვირგვინებულ, სწორკუთხა არეშია მოქცეული. შესასვლელი შიგნიდან სწორკუთხაა, გადახურულია ხის ძელებით.

ეკლესიის დარბაზი გეგმით თითქმის კვადრატულია, აღმიდან ერთვის ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ქვედა ნაწილი დარბაზის სამხრ. და ჩრდ. კედლებიდან ერთსაფეხურიანი პილასტრებითაა გამოყოფილი. პილასტრები იატაკიდან 1,3 *მ* სიმაღლეზე წყდება. მათ ზემოთ აფსიდი ნალისებრ მოხაზულობას იძენს და დარბაზის შესაბამისს კედლებს უშუალოდ შეერთვის (სავარაუდოდ, ეს ფაქტი მშენებლობის პერიოდშივე მიღებული ცვლილების შედეგს წარმოადგენს).

აფსიდის ღერძზე აგურით ნაწყობი ვიწრო, თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო, მცირე ნიშაა. სამხრ. ნიშა სწორკუთხაა, გადახურულია აგურით. ჩრდ. ნიშის გადახურვა კი, ერთმანეთზე სწორი კუთხით მიყრდნობილი, ორი აგურისგან შედგება. აფსიდი დასრულებულია უსწორმასწორო კონქით.



138. აღმ. ფასადი



139. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

უსწორმასწოროა დარბაზის კამარაც.

საკურთხევლის წინ შემორჩენილია აგურით ნაშენი კანკელის ფრაგმენტები.

ეკლესიის შიდა სივრცის გასანათებლად, აფსიდის გარდა, თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშიცაა. ორივე სარკმელი, ქვის თხელი ფილებით, თარაზულადაა გადახურული.

ფასადები შემოსილია მოზრდილი, არაწესიერი ფორმის, ნატეხი ქვისა და რიყის ქვების შერეული წყობით. შესასვლელის ზემოთ, კედლის წყობაში ჩასმულ, მცირე ზომის, თიხის ფილაზე, გამოსახულია მარტივი ფორმის, ტოლმკლავა ჯვარი.

2008 წელს სოფლის მაცხოვრებლებმა ეკლესიის კედლების ზედა ნაწილები აღადგინეს (დაუდევრად), მოაწყვეს აგურის ლავგარდანი და ეკლ. ღარისებრი კრამიტით გადახურეს.

თ. დვალი.

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი, იხ. სოფ. ვარდისუბანი, ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი.

ახატელი

(რუისპირის თემის საკრებულო)

140. ახატელი, ა ხ ა ტ ა ნ ი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 13, ხოლო სოფ. რუისპირიდან 2 კმ-ზე, მდ. თურდოს ნაპირას. დასახლება ამ ადგილზე უფრო ძველია, ვიდრე საკუთრივ რუისპირში. კახეთიდან (თელავიდან) ქართლში გადამავალ, მნიშვნელოვან გზასთან სოფლის სიახლოვემ ადრევე დააჩნია კვალი მის სამეურნეო-ეკონომიკურ ყოფას. საისტორიო წყაროებში ახატელი XI ს-იდან იხსენიება. „მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელიქსედეკ მოიგო კახეთს ახატანს უბანი ერთი“, – ნათქვამია „მატიანე ქართლისაიში“. ე. ი. კათალიკოსმა სვეტიცხოვლის მონასტერს შესძინა სოფ. ახატლის ყმა-მამული. საქართვ. კათალიკოსს ამ დროიდან XIX ს-მდე შეუნარჩუნებია აქ თავისი სამფლობელოები. ახატელი, როგორც განვით. მეურნეობისა და მევენახეობის ადგილი კახეთში, მოიხსენიება XIII-XV სს-ის საბუთებში. ამ პერიოდში სოფელში ადგილი ჰქონდა ყმა-მამულის ხშირ ყიდვა-გაყიდვას. წლების განმავლობაში სვეტიცხოვლის ყმა-მამულის რაოდენობამ თანდათან იკლო. 1447 წლისათვის მას მხოლოდ გლეხების ექვსი კომლიღა შერჩა. 1579 წ. ალექსანდრე II-ემ სვეტიცხოველს მამულების მფლობელობა განუახლა კახეთში. მათ შორის ახატელშიც, სადაც იმჟამად სვეტიცხოველს „5 მთელი გლეხი და საგლეხო მამული ჰქონდა“. 1616 წლის ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებულია მცხეთის აზნაური ელიოზის ძე, რ-იც ახატელში დარჩენილ სვეტიცხოვლის ოთხ კომლ გლეხს განაგებდა. XVII ს-იდან სოფელში ყმა-მამულის დიდ ნაწილს კახეთის თავადები – მაყაშვილები დაეპატრონნენ.

XVII-XVIII სს-ში შაჰ-აბასისა და სხვა დამპყრობთა დამანგრეველმა შემოსევებმა, მათ შორის „ლეკიანობამ“, სოფლის სამეურნეო ცხოვრება რამდენადმე დააკნინა. მოსახლეობის ნაწილი XVIII ს-ში რუისპირში გადასახლდა. ვინც დარჩა, შიშიანობის ჟამს, რუისპირის ციხესიმაგრეს აფარებდა თავს.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ახატელი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა. ამჟამად სოფელში მისდევენ მევენახეობას, მებაღეობას და მემინდვრეობას.

კ. კახაძე.

ბიბლ.: 12; 16; 18; 57; 127; 159ბ; 179გ; 204ა,ბ,გ; 317.

141. მაცხოვრის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, მინდორში, სოფ. ყარაჯლის მახლობლად. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია: ჩრდ. კედელი თაღოვანი სარკმლითა და პილასტრით და ნახევარწრიული აფსიდის ნაწილი. მიწის პირამდეა დასული სამხრ. და დას.



141. ხედი სამხრ.-დას-იდან

კედლები. დას-ით შეიმჩნევა შესასვლელის კვალი.

მოგვიანებით ეკლესიისთვის მიუდგამთ მინაშენი. მასში შესასვლელი დას-ითაა. კარის თავზე სარკმელია გაჭრილი. სადგომს შიგნით შეესრული ფორმის კამარა ხურავს. მთლიანადაა მორღვეული სახურავის საფარი.

პ. კოკაჩეიშვილი.

142. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, სამხრ.-აღმ-ით, სასაფლაოზე. ადგილ. მოსახლეობა ეკლესიას ამაღლებასაც უწოდებს. დას. შესასვლელის წარწერის თანახმად, იგი აუშენებია ვინმე იოსებს – მწიგნობართუხუცეს ბეჟანის შვილს. წარწერა ასე იკითხება: „ქ. არსებით დ[ა] ს[ა] მუფლებით ჭმამაღლად დიდებით ქადაგებული დ[ა] ერთ ღვთაებით თაყვანისცემული იესო, მხსნელო დ[ა] მაცხოვარო ჩემო ქრისტე, მინდობითა და უსაზღუროთა მით მოწყალებით შენითა და შეწევნით უბიწოდ მშობელის შენისათა, ჭელვეყავ და აღვაშენე ეკლესია ესე ამაღლებისა მე ფრიად ცოდვილმა მღვდელთა და მონაზონთა უნარჩევესამ მწიგნობართუხუცესის ბეჟანის შვილმა იოსებ, ცოდვათ ჩვენთა საოხად; ყოველნო ღვთის მოყვარენო და ტაძრისა ამის თაყვანის მცემელნო, ღვთის სიყვარული-



142. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

სათვის ჩვენთვისაც შენდობა ითხოვეთ მოწყალისაგან“.


მიუხედავად იმისა, რომ წარწერა გვამცნობს ეკლესიის აღმშენებლის ვინაობას, მასში თარიღი მითითებული არ არის. XVI ს-ის კახური არქიტექტურის ამ ტიპის ეკლესიებთან (ჭიკაანის კვირაცხოველის ეკლ., ზემო ალვანის სამების ეკლ., მატნის წმ. ნიკოლოზის ეკლ.) შედარებისას, გ. ჩუბინაშვილი ახატლის ღვთაების ეკლესიას უფრო გვიანდელ ძეგლად მიიჩნევს და მას XVII საუკუნეს მიაკუთვნებს. ამასთანავე, არ გამორიცხავს XVIII ს-საც კი.

ეკლ., გუმბათოვანია, ე.წ. ჩახაზული ჯვრის ტიპის. შენობა გეგმით სწორკუთხაა (10,17x7,44 მ). შიგნიდან და გარედან მთლიანად შელესილი და შეთეთრებულია. ნაგებობის გარეთა კედლები, ძირითადად, რიყის ქვითაა ნაგები. გუმბათი მთლიანად აგურისაა. აგურითაა ნაწყობი გუმბათქვეშა, საყრდენი სისტემა (საბჯენი თაღები, აფრები, ბურჯები), თაღები და კამარები. შესასვლელი სამია – დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. დას. კარი შიგნიდან და გარედან თარაზულადაა გადახურული, სამხრ. და ჩრდ. შესასვლელები კი, გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა.

შენობის კორპუსი გრძივი და განივი ღერძების მიმართულებით თანაბარზომიერადაა აგებული. გუმბათი აქ გრძივი ღერძის შუაშია დასმული – მანძილი გუმბათიდან აღმ. და დას. კედლებამდე თანაბარია. ჯვრის გვერდითი მკლავები აღმ. და დას. მკლავთან შედარებით, თითქმის სამჯერ უფრო მოკლეა. აღმ. მკლავი ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, რ-ის აქეთ-იქით ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი გასასვლელით. ნახევარწრიული თავი აქვს მკლავებში გასასვლელ ღიობებსაც.

საკურთხევლის აფსიდი, ეკლესიის დანარჩენი ნაწილის იატაკის მიმართ, ოდნავ შემაღლებულია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია შეისრული თაღით დასრულებული სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო, შეისრულთაღოვანი ნიშაა. აფსიდის შუაში დგას კვადრ. ბაზისზე დაყრდნობილი, ცილინდრული ტრაპეზი.

ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილზე შექმნილი სივრცე დასრულებულია მაღალი გუმბათით, რ-იც საკურთხევლის კედლებს და დას-ით მდგარ ორ, რვაწახნაგა ბოძს ეყრდნობა. ბოძები დაახლ. ადამიანის სიმაღლისაა, დაგვირგვინებული არიან კაპიტელებით, რ-ებიც კუთხით შვერილი აგურებით შედგენილი,




142. გეგმა

ერთმანეთის მიმართ გადმოშვერილი. სამი რიგითაა გამოყვანილი. მათი მეშვეობით ბოძის თავი სწორკუთხა მოხაზულობას იღებს. ამავე კაპიტელებიდან გრძივ კედლებზე გადაყვანილია

მოწყობილია, გეგმით სწორკუთხა, ნახევარწრიულაფსიდიანი, თითო სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე, როგორც შესაბამისს მკლავთან, ისე აფსიდთანაცაა დაკავშირებული –


პატარა, ნახევარწრიული თაღები, დას. კედელზე კი – მოზრდილი, შეისრული თაღები. ყველა თაღი აფრები – ტეხილი თაღით. გუმბათის ყელი შიგნიდან მრგვალია, გარედან – რვაწახნაგოვანი. გუმბათის ყელში ნახევარწრიული თაღით დასრულებული, გარეთკენ მკვეთრად შეკვიწროებული, რვა



142. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

პირდაპირ არის შერწყმული კედლის შესაბამისს სიბრტყესთან – იმპოსტის გარეშე. გუმბათის საყდენ სისტემას ოთხი შეისრული, საბჯენი თაღი ქმნის. გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე კუთხეში, საბჯენი თაღების თავის დონეზე, მოწყობილია ჩვეულებრივი ტიპის სარკმელია. ეკლესიის თითოეული მკლავის შუაში, შესასვლელის ასწვრივ, შეისრული თაღით დასრულებული, თითო სარკმელია.

გარედან შენობის კედლები სრულიად გლუვია, მხოლოდ დას. ფასადია ნაწილობრივ მორთული. ფასადის ღერძზე გაჭრილი შესასვლელი ჩასმულია აგურით ნაწყობ, კედლის სიბრტყიდან შვერილ, სწორკუთხა ჩარჩოში. კარის გვერდებზე (მიწიდან დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე) მოწყობილია თითო, სწორკუთხა



142. აღმ. ფასადი

შეღრმავება, რ-თა თავში ორი საფეხურია გამოყვანილი. ერთი, კვადრ. შეღრმავებაა სარკმლის ზემოთ, რ-ის თავზე სამსაფეხუროვან პოსტამენტზე დადგმული, წითელი საღებავით შეღებილი, წყობაში შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა.



142. ინტერიერი, ხედი გუმბათზე

სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე შესასვლელთა თაღებს განსხვა-



142. დას. შესასვლელის არქიტრავი წარწერით

ვებული მოხაზულობა აქვს – სამხრ. შესასვლელის თაღი შეისრულია, ჩრდ-ისა – ნახევარწრიული. ორივე თაღი ჩასმულია კედლის სიბრტყეში შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში. ფასადებზე ყველა სარკმლის ღიობი გამოყვანილია აგურით. აგურითაა ნაწყობი ლავგარდნებიც. ისინი ოთხსაფეხურიანია, შედგენილია ბრტყლად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით გამოჟანილი რიგების მონაცვლეობით.

გუმბათის ყელი, როგორც ზომებით, ისე დამუშავების მხრივაც, შენობის დანარჩენი ნაწილებისგან გამორჩეულია. ყელის წიბოებს, თითქმის მთელ სიმაღლეზე, აუყვება ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი, რ-იც ყელის წრიულ სარტყელზე არის დაყრდნობილი. ლილვი ლავგარდნამდე ვერ აღწევს და ერწყმის ლეკალური აგურითვე გამოყვანილ, ჰორიზონტალურ ლილვს, რ-ის ზემოთ, ლავგარდნამდე, მცირე მანძილი რჩება. ყოველი წახნაგის ღერძზე ლილვშემოვლებული სარკმელია, საიდანაც აქეთ-იქით, წიბოების ამყოლი ლილვებისკენ, გადაჟანილია შეისრული თაღები. თითოეული სარკმლის თავზე კი აღმართულია ლეკალური აგურით გამოყვანილი, დიდი ჯვარი. გუმბათის ყელი დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც ეკლესიის კორპუსის ლავგარდნის ანალოგიურადაა ნაწყობი – კორპუსზე რიგების ორ-ორი წყვილია, ხოლო ყელზე – სამ-სამი.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით, ხოლო გუმბათი – თუნუქით.

თ. დვალი.


ბიბლ.: 12; 16; 18; 317; 335.

143. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, სოფ. ყარაჯალისკენ მიმავალი გზის პირას. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (10,3x6,7 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით (19x19x4,5 *სმ*). კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა. აგური უმეტესად გამოყენებულია კონსტრ. ნაწილების, ღიობების და მორთულობის ელემენტების გამოსაყვანად. შესასვლელი სამია: ჩრდ-ით – შეისრულთაღიანი (ამჟამად ამოქოლილია), სამხრ-ით – სწორკუთხა და დას-ით – ნახევარწრიული თაღით. შესასვლელები, გარედან, კედლის საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან გამოყოფილია მარტივი პილასტრების წყვილითა და




142. დას. შესასვლელის წარწერა, ფრაგმენტი



143. გეგმა

მათზე დაყრდნობილი, საბჯენი თაღით. დარბაზის გრძივ კედლებზე კიდევ ორ-ორი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. კამარაცა და საბჯენი თაღებიც ოდნავ შეისრული ფორმისაა. ინტერიერი რვა თაღოვანი სარკმლით ნათდება. მათგან ერთი აფსიდშია გაჭრილი, სამ-სამი – გრძივ კედლებში, ერთიც – დას. კედელში. ყველა სარკმელს საფეხურებად დამუშავებული ძირი აქვს. აფსიდის გვერდებში თითო მაღალი, შეისრულთაღიანი ნიშაა. ერთი მცირე ნიშა აფსიდის ჩრდ. ბოლოშია, პილასტრთან ახლოს. საკურთხევლის ბაქანი, შუაში მოწყობილი ნახევარწრიული ამბიონით, ეკლესიის იატაკის მიმართ ორი საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხევლის ცენტრში დგას კუბური ფორმის ტრაპეზი.

შენობის სამხრ. დას. და ჩრდ. კედლებში, იატაკიდან 1 მ-ის სიმაღლეზე, თხუთმეტი, ვიწრო სათოფურია გაჭრილი. ამ სათავდაცვო ელემენტების გამოყენება ძეგლის თავისებურებას წარმოადგენს. იატაკი მოფენილია კვადრ. აგურით.



143. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



143. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მორთული. მორთულობის ელემენტებია აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრები და რომბები. დას. ფასადზე, შესასვლელის ირგვლივ რომბებია გამოსახული, რ-ებიც შესასვლელს ჩარჩოსავით ევლება – გვერდებზე ხუთ-ხუთი რომბია, ზემოთ ორი. ზედა რომბებს შორის, სწორკუთხა ნიშაა (სიმ. – 0,7 *მ*, სიგ. 0,5 *მ*), მის ზემოთ კი, თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის ძირის დონეზე, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარია, რ-ის ოდნავ ქვემოთ, სარკმლის გვერდებზე, თითო ჯვარია განლაგებული, იმ განსხვავებით, რომ ისინი საფეხუროვან პოსტამენტზე კი არ არიან დაყრდნობილი, არამედ – რომბზე. ცენტრ. ჯვრის მსგავსი ერთი ჯვარი აღმ. ფასადზეცაა, ფრონტონის არეში. შენობის კედლები დასრულებულია საფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც გამოყვანილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით წინწამოწეული აგურების რიგების მონაცვლეობით.


თ. დგალო.

144. ციხე-დარბაზი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ. განაპირას, მინდორში. განეკუთვნება XVIII ს-ის II ნახევარს.

შენობა გეგმით აღმ.-დას. მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (13,3x8,7 *მ*, კედლების სისქე – 1,1 *მ*), რ-საც გარედან ოთხივე კუთხე მომრგვალებული აქვს. ნაგებია რიყის ქვის ჰორიზ. რიგებით – კირის სქელ ღუდაბზე. შემორჩენილია პირველი სართულის ოთხივე კედელი – სხვადასხვა სიმაღლეზე და მეორე სართულის კედლის მცირე ნაწილი. პირველ სართულზე, ერთმანეთისგან განივი კედლით გამიჯნული, სხვადასხვა ფართობის, ორი, სწორკუთხა სადგომია, რ-ებიც გამყოფ კედელში მოწყობილი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული გასასვლელით უკავშირდება ერთმანეთს. აღმ-ით მდებარე სადგომი (ფართ. – დაახლ. 20 *კვ მ*), რიყის ქვით ნაწყობი კამარითაა გადახურული (შემორჩენილია ნაწილი) და, მეორე სადგომთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო მცირე ფართობისაა. დასით მდებარე სადგომს კი, ხის კოჭებზე დაყრდნობილი ბრტყელი გადახურვა ჰქონია (შეიმჩნევა ერთი კოჭის ჩასადგმელი ბუდის კვალი).

შესასვლელი დას. ნაწილში მდებარე სადგომის დას. კედელში (ამჟამად უმეტესი ნაწილი დანგრეულია) იყო გაჭრილი.

დიდი სადგომის ჩრდ. და სამხრ. კედლებში ოთხ-ოთხი თაღოვანი ნიშაა, რ-ებშიც თითო სათოფურია მოწყობილი. ნიშებს ზემოთ, ორივე კედელში, ორ-ორი სწორკუთხა, მკვეთრად



144. გეგმა

დახრილი ძირის მქონე სარკმელია. ორი, თაღოვანი ნიშაა სადგომების გამმიჯნავი კედლის სამხრ. ნახევარში. ორივე ნიშის სიმეტრიულად, მცირე სადგომის მხრიდან, მოწყობილია იმავე ზომისა და ფორმის ნიშა, მათ შორის მოქცეულ კედელში კი ვიწრო ხვრელია, რ-იც, როგორც ჩანს, სათოფურად გამოიყენებოდა. ამ ნიშების გარდა, მცირე სადგომის კედლებში კიდევ ოთხი ნიშაა. მათგან ორი, რ-ებიც თითო სათოფურითაა აღჭურვილი, სამხრ. და ჩრდ. კედლებშია, ორი – საკმაოდ მცირე ზომისა – აღმ. კედლის კიდეებთან, ხოლო ერთი – დას. კედლის ჩრდ. ბოლოში. ამ უკანასკნელში გაჭრილია მოზრდილი ღიობი, რ-იც დიდ სადგომში გადის. სადგომი განათებული იყო ორი განიერი, თარაზულად გადახურული სარკმლით, რ-ებიც სამხრ. და ჩრდ. კედლების შუაშია განთავსებული.

ნაგებობის მეორე სართული ორი სადგომისგან შედგებოდა. ამ სართულიდან შემორჩენილია მხოლოდ სადგომების გამმიჯნავი კედლის მცირე ნაწილი.

ძ. გამაგრებული საცხოვრებლის საინტერესო ნიმუშია. შენობის კორპუსში, როგორც ჩანს, გაერთიანებული იყო ორი ნაწილი, რ-ებშიც განთავსებული იყო საბრძოლო ელემენტებით აღჭურვილი საცხოვრ. და სამეურნეო ფუნქციის სადგომები.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

ბუშეტი

(ქვემო ხოდაშნის თემის საკრებულო)

145. ბუშეტი, ბ უ შ ა ტ ი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 11 *კმ*-ზე, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. წინანდლისხევის ნაპირას. ქართულ საისტორიო წყაროებში სოფელი იხსენიება XIII ს-იდან. იმ დროს არსებულ ერწო-თიანეთის საეპისკოპოსოსთვის გარკვეული ოდენობის გამოსაღები აქვს შეწერილი ბუშეტსაც. საქართვ. ერთიანობის ხანაში (XI-XV სს.) ბუშეტის ყმა-მამულზე დიდი წილი ედო სვეტიცხოვლის მონასტერს. ასევე რჩებოდა XVI ს-შიც – კახეთის სამეფოს არსებობის პირველ პერიოდშიც. სვეტიცხოვლის არის „ბუშატი, მთითა და ბარითა და მონასტრითა“, – ნათქვამია კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ერთ-ერთ საბუთში, რ-ითაც იგი სვეტიცხოველს უახლებს მამულებს კახეთში.

კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდში, განსაკუთრებით XVII-XVIII სს-ში, სვეტიცხოვლის კუთვნილ ყმა-მამულზე ბუშეტში ერთმანეთს ედავებიან ვაჩნაძეები და იქ მოურავებად დანიშნული ჯანდიერისშვილები. ისინი აშკარად ითვისებენ საკათალიკოსო მამულებს. 1654 წლისათვის ვითარება ისე გამწვავებულა, რომ დავაში ჩარეულა კათალიკოსი ქრისტეფორე II. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით XVIII ს-ში, სოფელზე მაინც დაიდეს წილი კახეთის საერო ფეოდალებმა და დავით გარეჯის მონასტერმა, რ-იც მეტოქეობს სვეტიცხოველს.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, ბუშეტი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა. სოფელში მისდევენ მევენახეობას, მებაღეობას.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 179გ; 204ა,ბ,გ,დ.

146. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1 *კმ*-ზე. თარიღდება XV-XVI საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (4,9x3.8 *მ*). შეიცავს ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ სამშენ. ფენას. თავდაპირველი კედლები,



146. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან


ძირითადად, მოზრდილი ზომის რიყის ქვითაა ნაგები. წყობა ქაოსურია. ქვებს შორის დარჩენილი არეები ამოვსებულია ბათქაშით. მოგვიანებით აღდგენილ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, კვადრ. აგურიცაა გამოყენებუ-

ლი. აგურითაა ნაწყობი ლავგარდანიც.

შესასვლელი ჩრდ. კედლის დას. კიდეშია. კარის ღიობი აგურითაა გამოყვანილი და თარაზულად გადახურულია – ხის ძელით, რ-ზეც შვეულად დაჭენებული აგურები აწყვია. ეკლესიის დარბაზი შესამჩნევად მოკლეა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი ვიწრო, თაღოვანი სარკმელი სამხრ. კედელშია. აღმ. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა, ქვემოთ კი, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული. ეკლესიის დას. კედელში, მოწყობილია კიდევ ერთი ოთხკუთხა ნიშა. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით.

2006 წელს, ადგილ. მოსახლეობის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს, კედლების და ლავგარდნის დანგრეული ნაწილები განუახლებიათ და ეკლ. ღარისებრი კრამიტით გადაუხურავთ.

პ. კიკაჩეიშვილი.




147. გეგმა

147. სვეტიცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრით, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (15,1x7,7 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. საბჯენი თაღები, კამარა, იმპოსტები, კარ-სარკმლების ღიობები და ლავგარდანი – აგურით. წყობაში, ალაგ-ალაგ, ორრიგად ნაწყობი აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული, რ-ებიც კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს. თითქმის მთლიანად აგურითაა ნაწყობი ფრონტონები და გრძივი კედლების ზედა ნაწილი. კედლები გარედან შელესილი და შეთეთრებული ყოფილა. ნალესობა მხოლოდ აქა-იქღაა შემორჩენილი.


შესასვლელი ორია: სამხრიდან (ამჟამად ამოქოლილია) და დას-იდან. ორივე კარი თარაზულად, ხის ძელითაა გადახურული.

შიდა სივრცე დადაბლებული პროპორციების მქონეა. შენობის გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი იმპოსტებით დასრულებული სამ-სამი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაქვანილი. პილასტრებია გამოყვანილი ოთხივე კუთხეშიც. მათზე დაყრდნობილია აღმ. და დას. კედლების მიმდებარე საბჯენი თაღები. პილასტრების აღმ. წყვილით საკურთხეველი გამოყოფილია მლოცველთათვის განკუთვნილი ნაწილისგან. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ შემაღლებულია ერთი საფეხურით (სიმ. დაახლ. 22 *სმ*). პილასტრებს შორის ნახევარწრიულთავიანი, ყრუ თაღებია, რ-ებიც პილასტრების დამაგვირგვინებელ კაპიტელს ეყრდნობა. საკურთხეველი სწორკუთხაა, უკონქო. საკურთხევლის ჩრდ. კედელში სხვადასხვა ზომის, ორი ნიშაა მოწყობილი. სამხრ-ისაში – ერთი. სამივე ნიშა თაღოვანია. ჩრდ. კედლის ნიშები გეგმით ნახევარწრიულია, სამხრ. კედლისა კი – სწორკუთხა. ინტერიერი შვიდი ფართო, თაღოვანი სარკმლითაა განათებული. მათ შორის სამი ჩრდ., ორი სამხრ., თითო-თითო კი აღმ. და დას. კედლებშია გაჭრილი. ეკლესიის იატაკი აგურისაა.



147. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

შენობის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მორთული. მორთულობის ელემენტებია კედლის სიბრტყეში შეღრმავებული, წითლად შეღებილი ჯვრები და რომბები. სამხრ. და დას. ფასადზე შესასვლელები ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ სიბრტყეში. ორივე შესასვლელის ზემოთ, თაღის არეში, თითო მცირე ზომის, თაღოვანი ნიშაა. ერთი ნიშა სამხრ. შესასვლელის მარჯვნივაცაა, შეღრმავების თაღოვანი ნაწილის დონეზე. შეღრმავების ზემოთ კი, აგურის რელიეფური ჯვარია. დას. ფასადზე ფრონტონი გაფორმებულია სამი შეღრმავებული ჯვრითა და ორი რომბით. ჯვრები თავმოჭრილია სარკმელთან – ზემოთ და გვერდებზე, ხოლო რომბები – ფრონტონის ძირებთან. ფასადები დასრულებულია სპეც. მოქვანილობის აგურით ნაწყობი ლავგარდნით (მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილია), რ-ის პროფილს შეადგენს: თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით, რ-ის დიდი ნაწილი ჩამოშლილია.



147. დას. ფასადი



147. ხედი ჩრდ.-დას-იდან

დას. კედელზე დადგმულია მთლიანად აგურით ნაგები სამრეკლო – თაღებით გახსნილი ექვსკუთხა ფანჩატური, რ-იც მაღალი ლავგარდნითაა დასრულებული. სამრეკლოს სახურავი მონგრეული აქვს.

თ. დვალი.

148. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 კმ-ზე. თარიღდება XVI ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (5,4x4 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით – კირის სქელ დუღაბზე. ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა. იგი გარედან დადაბლებული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი სწორკუთხაა. თაღი თხელი, მოგრძო ნატეხი ქვითაა გამოყვანილი. ეკლესიის იატაკის დონე, მიწის დონესთან შედარებით, დაახლ. 0,7 მ-ით დაბლაა, რის გამოც შესასვლელის წინ მოწყობილია კედელშემოვლებული, პატარა ბაქანი, რ-საც წინა მხარე მომრგვალებული აქვს. ეკლესიის დარბაზი გეგმით თითქმის კვადრატულია, შემაღლებული პროპორციების (სიგრ. – 2,5 მ, სიგ. – 2,8 მ, სიმ. იატაკიდან კამარის წვერომდე დაახლ. 4 მ). აღმ-ით მას ერთვის ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ცენტრში სწორკუთხა, პარალელურწირთხლებიანი, დაბალი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით მოწყობილია თითო, ოთხკუთხა ნიშა. მსგავსი ერთი ნიშა ჩრდ. კედელშიცაა. აფსიდის კედელზე, სარკმლის ქვემოთ, მიდგმულია კუბური ფორმის ტრაპეზი. აფსიდის ჩრდ. გვერდს გასდევს ჩამოსა-



148. ხედი სამხრ.-დას-იდან



147. ინტერიერი ხედი აღმ-კენ

ჯდომი საფეხური. დარბაზი გადახურულია ტლანქად სხმული, დადაბლებული პროპორციების კამარით.

ეკლესიას თავდაპირველი ლავგარდანი არ შემორჩა. 2000-იანი წლების დასაწყისში, ადგილ. მოსახლეობის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს, იგი აგურით განუახლებიათ, კედლები შიგნიდან და გარედან მოუბათქაშებიათ, იატაკზე დაუგიათ კვადრ. აგური და შენობა დარისებრი კრამიტით გადაუხურავთ.

თ. დუალი.

149. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 3 კმ-ზე, სასაფლაოზე. სავარაუდოდ, თარიღდება XV ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (3,5x2,4 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანივე სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმლები სამხრ. და დას. კედლებშიცაა. ქვედა თაღი შირიმის ქვითაა გამოყვანილი. აღმ. სარკმლის



149. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ორივე მხარეს თითო ნიშაა მოწყობილი. აფსიდის შუაში დგას ტრაპეზის ქვა. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ერთი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით, რ-საც კონქის სატრიუმფო თაღი ეყრდნობა. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით. დაზიანებულია შენობის გადახურვა.

ეკლესიის მახლობლად ძევს ძვ. საფლავის ქვები.

ქ. გიორგობიანი.

გულგულა

(თემის საკრებულოს ცენტრი)

150. გულგულა, გოლგოთა, ტყეტბა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 6 კმ-ზე, ალაზნის ვაკეზე, მდ. თურდოს (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სოფელი და მისი შემოგარენი საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უძველეს ადგილს წარმოადგენს. სოფლის ჩრდ. და სამხრ.-აღმ-ით გათხრილი ორმოსამარხები და მასში აღმოჩენილი არქეოლ. მასალა ნათლად მოწმობს, რომ გულგულა გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდანვე მჭიდროდ დასახლებულ, ათვისებულ ადგილს წარმოადგენდა. მოსახლეობა მისდევდა მეთუნეობას. გულგულა მოიხსენიება ძველ ნარატიულ საისტორიო წყაროებში. „ტყეტბად“ მოიხსენიებს მას ლეონტი მროველი, რასაც იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილიც. ლეონტი მროველი სოფელს მიიჩნევს საზღვრად კახეთსა და ჰერეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში ეს საზღვრები მეტად არასტაბილურია, გულგულა, მეტნაკლებად, მტკიცე მიჯნაა კახეთ-ჰერეთს შორის. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ჰერეთის საზღვარი იყო მცირე ალაზანი და ტყეტბა, ანუ გოლგოთა. გულგულა, საზღვრის მნიშვნელობით, ნახსენებია ჯუანშერის თხზულებაშიც. იგი მოხსენიებულია აგრეთვე „კახეთის ხალხის აღწერის დავთრის“ მეორე ნაწყვეტში, რ-იც XVIII ს-ის I მეოთხედით თარიღდება.

გულგულის ყმა-მამული, XVI ს-ის დასაწყისისათვის კახეთის მეფის ლევანის მეუღლეს, გურიელის ასულს – თინათინს შეუძენია მის მიერვე აშენებული ახ. შუამთის მონასტრისათვის. ეს ფაქტი ასახულია მონასტრისათვის დავითის (იმამ-ყულიხანის) მიერ 1716 წ. გაცემულ სიგელში. მასში ისიც ნათქვამია, რომ აღნიშნულ მონასტერს ძველთაგანვე ჰყოლია ყმები სოფელში. პარალელურად XVII-XVIII სს-ში სოფლის ყმა-მამულზე წილი დაიდო ალავერდის მონასტერმა და საერო ფეოდალებმაც – თარხნიშვილებმა, ბაქრაძეებმა. ამდენად, გვიანდ. შუა სს-ში სოფ. გულგულა რამდენიმე ფეოდალის გამგებლობაში იყო მოქცეული.

კახეთის, შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდში სოფელი ტერიტ.-ადმინისტრაციულად IV სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა, რ-იც მეფესთან მყოფ სადროშოდ ითვლებოდა და ალავერდელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კი გულგულა ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შევიდა.

1904-1908 წწ-ში საზ. მოღვაწის ივანე კოლელიშვილის მესვეურობით სოფელში დაარსდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი სას.-სამ. კომუნა. საზ. მეურნეობის წარმოებისათვის კოლელიშვილმა საკუთარი მამული ოცი მეზობელი გლეხის მამულთან გააერთიანა და მეტად საქმიანი, ნაყოფიერი მეურნეობა გამართა. საღამოს, სამუშაოს შემდეგ, გულგულელი კომუნარები რომელიმე გლეხის სახლში იკრიბებოდნენ და მომავალ სამუშაო დღეს გეგმავდნენ. გლეხები მორიგეობით ამუშავებდნენ თითოეული წევრის მამულს. მოსავლის მიღების შემდეგ ხდებოდა მისი განაწილება თითოეული ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. მეურნეობაში ჩაბმულები იყვნენ ქალებიც. 1905-1906 წწ. რევოლუციის პერიოდში კომუნის დაშლა ადგილ. მთავრობამ ვერ შეძლო, მაგრამ რეაქციის დაწყებისთანავე (1907-1908 წწ.) მეფის მთავრობამ დაიწყო კომუნის წევრთა


დევნა, ჩხრეკა, დარბევა-დაპატიმრება. პატიმრობა დაემუქრა ივ. კოლელი შვილსაც. იგი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. კომუნა დაიშალა. სახლი, რ-შიც დაიბადა და ცხოვრობდა კომუნის დამაარსებელი დაცულია თელავში, ჭადრის ქუჩაზე.

გულგულაში არის საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, ამბულატორია და სხვ.

კ. კახაძე, ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 21ო; 51; 64; 104; 109; 112; 156; 179ა; 187; 204გ.

151. დიმიაანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრალურ ნაწილში, ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში. თარიღდება XVIII ს-ით. კოშკი გეგმით წრიულია



150. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. I სართულის გეგმა

(გარე დიამ. ფუძის დონეზე – 9 *მ*, კედლის სისქე – 1,8 *მ*), ზემოთკენ სწორხაზოვნად შევიწროებული. შემორჩენილია მხოლოდ ერთი სართულის სიმაღლეზე (მაქს. სიმ. – 4,5 *მ*). ნაგებია რიყის მოზრდილი ქვით, ინტერიერში, ზოგ ადგილას, გამოყენებულია კვადრ. აგურიც.

შესასვლელი აღმ-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია. შიგნიდან, შემორჩენილი კვალის მიხედვით, ხის ძელებით ყოფილა გადახურული. შენობის პირველი სართული რვაწახნაგოვანია. წახნაგებში თავდაცვითი და საყოფაცხოვრებო ელემენტებია განთავსებული. ხუთ წახნაგში თითო ღრმა, შეისრულთაღიანი ნიშაა, რ-ებიც თითო სათოფურითაა აღჭურვილი. ერთ-ერთ წახნაგში კოშკში შესასვლელი კარია, მეორეში (შესასვლელის პირდაპირ მდებარე წახნაგში) – ბუხარი, მესამეში კი – კედლის სისქეში არსებული კიბის უჯრედის შესასვლელი. სართული გადახურულია ძაბრისებრი კამარით, რ-ის გვერდები რიყის ქვითაა ნაწყობი, ხოლო წვერო – აგურით. კამარის მრუდში, ჩრდ-ით და სამხრ-ით, თითო სარკმელია. მათი ღიობები შიგნიდან გარეთ მკვეთრად მაღლდება.

თ. დგალი.

152. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე, ნაგებად წოდებულ ადგილში. სავარაუდოდ, თარიღდება VIII-IX სს-ით.


ძ. ნანგრევის სახითაა შემორჩენილი (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 11,5 *მ*, სიგ. – 10,9 *მ*) და გათხრა-გასუფთავების გარეშე მისი გეგმის სრულად დადგენა შეუძლებელია. ნაგებობა, როგორც ჩანს, სამეკლესიიანი ბაზილიკაა. შემორჩენილია: შუა ეკლესიის აფსიდი, სამხრ. ეკლ. (მთელ სიგრძეზე), რ-იც აღმ-ით აფსიდითაა დასრულებული და შუა ეკლესიის ჩრდ-ით მდებარე, სწორკუთხა სათავსი – სამკვეთლო. კედლების ნაშთები რიყის ქვითა და კირის ღუნაბითაა ნაგები.

პ. კიკაჩეიშვილი.

153. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, სამეურნეო ნაგებობებით შემოფარგლულ, ოთხკუთხა მოხაზულობის ვრცელ ეზოში (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 130 *მ*, სიგ. – 90 *მ*). ეზოს ორგვლივ მდგარი ნაგებობების ნაწილი XX ს-ის დასაწყისშია აგებული (ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით, საზ. მოღვაწის ივ. კოლელი შვილის მიერ). ნაწილი (ამჟამადაც ფუნქციონირებს) კი საბჭოთა პერიოდისაა. წლების განმავლობაში ეკლ. სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა, რის გამოც მას თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი.


ძ., ქრონოლოგიურად განსხვავებული, ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება – მცირე ზომის დარბაზული ეკლესიისგან (9x6,2 *მ*), რ-იც, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება და მოგვიანებით (როგორც ჩანს XIX ს-ში) მასზე დას-იდან მიდგმული, იგივე სიგანის, მაგრამ თითქმის ორჯერ უფრო მოკლე მინაშენისგან (5,2x6,2 *მ*), რ-ის მიშენების დროს ეკლესიის დას. კედელი თითქმის მთლიანად მოუშლიათ და ამით მლოცველთათვის განკუთვნილი სივრცე მნიშვნელოვნად გაუზრდიათ (შიგნით ეკლესიის სიგრძე 13 *მ*-მდეა).

შენობის ორივე ნაწილი რიყის ქვითაა ნაგები. წყობა ირე-



153. გეგმა

გულარულია. ეკლესიის კამარა და საბჯენი თაღები გამოყვანილია კვადრ. აგურით (20x20x4,5; 21x21,5 x4,5; 21x21,5x6 *სმ*). მინაშენის კედლები ოდნავ უფრო წვრილი ქვისაა, რ-ებიც დაწყობილია, მეტ-ნაკლებად, თარაზულად გამავალ რიგებად. კონსტრ. და არქიტ. ელემენტების წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგური. ორივე ნაწილის კედლები შიგნიდან და გარედან კირითაა შელესილი და შეთეთრებულია.



153. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ეკლესიის აღმ. ნახევრის კედლებში აშკარად განირჩევა ქრონილოგიურად განსხვავებული ორი სამშენ. ფენა, რ-ებიც განსხვავებული საშენი მასალითაა შესრულებული. კედლების ქვემო ნაწილები (1,3-1,5 *მ* სიმაღლეზე) რიყის ქვისაა, ზემო ნაწილებში კი რიყის ქვასთან ერთად აგურიცაა გამოყენებული. მშენებლობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით ჩანს, რომ ადრე ამ ადგილას მდგარი ეკლესიის შემორჩენილი კედლები ჩართეს გვიანდ. შუა საუკუნეებში განახლებული ეკლესიის კორპუსში.

შესასვლელი ორია. ორივე კარი სამხრ-იდანაა. ერთი თავდაპირველ ნაწილშია, მეორე (ამოშენებულია) – მოგვიანებით მიშენებულ ნაწილში. ორივე კარი თარაზულადაა გადახურული.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის ღერძზე გაჭრილი იყო ისრული თაღით (შემორჩენილია თაღის ნაწილი) გადახურული სარკმელი, რ-იც მოგვიანებით (როგორც ჩანს, მინაშენის მიშენების დროს) ძლიერ გაუგანიერებიათ (საკმაოდ დაუდევრად). XX ს-ში კი შიგ ხის შემინული, ოთხკუთხა ჩარჩო ჩაუსვამთ. აფსიდში, სარკმლის აქეთ-იქით, თითო, შეისრულთაღიანი ნიშაა. ნაწილების ქრონოლოგიური განსხვავება აფსიდის ორივე ბოლოშიცაა შესამჩნევი. აშკარად ჩანს, რომ ძვ. აფსიდის მხრებზე, წინიდან, კედელია მიშენებული (როგორც ჩანს, აფსიდის სიღრმის გაზრდის მიზნით), ზემოთ კი აფსიდის კედელი ერთიანია. ნიშების ოდნავ ზემოთ, კედლის სისქეში, მოწყობილი იყო თითო, მცირე ზომის სამალავი, რ-ებსაც აფსიდი ვიწრო, შეისრულთაღოვანი ღიობით (ამოშენებულია XIX ს-ში) უკავშირდებოდა. ღიობები შელესილობითაა დაფარული და თითქმის არ შეიმჩნევა.

აფსიდი გადახურულია შეისრული თაღის მქონე კონქით. შეისრულია კამარაც. იგი აფსიდის თაღის გარდა, კიდევ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. საბჯენი თაღები კი – შეკიდულ პილასტრებს. მათგან ერთი დარბაზის შუაშია, ხოლო მეორე, დას. კედელთანაა შერწყმული. პილასტრებს სამ-სამ საფეხურად დამუშავებული ბოლოები აქვს.

აღმ. სარკმლის გარდა, თითო სარკმელი თავდაპირველი ნაგებობის სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილშიცაა. მათ

153. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ



შორის სამხრ-ისა, აღმ. სარკმლის მსგავსად, მოგვიანებით იმდენად ძლიერ გაუგანიერებიათ, რომ გარედან მას კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედის ფორმა აქვს. გადაკეთებულია ასევე ჩრდ. სარკმელიც.



153. საერთო ხედი დას-იდან

მინაშენის კამარაც ორ, შეკიდულ, საბჯენ თაღზეა დაყრდნობილი. მინაშენის სამხრ. და ჩრდ. კედლების შუაში გაჭრილია თითო, განიერი სარკმელი. სამხრ. და ჩრდ. კედლების ორივე ბოლოში და დას. კედლის ჩრდ. ნაწილში თითო, სწორკუთხა ნიშაა. ჩრდ. კედლის ცენტრში ბუხარია (ამოშენებულია), რ-საც აღმ. გვერდი და თაღის ნაწილი შემორჩა.

გარედან შენობის ორივე ნაწილის ფასადები ერთგვაროვანია, მოკლებულია ყოველგვარ დეკორ. სამკაულს. ეკლესიის ნაწილთა ქრონოლოგიური განსხვავება და სხვადასხვა პერიოდის შეკეთებების კვალი ოთხივე ფასადზე აშკარად შეიმჩნევა. თავდაპირველი ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ დას-ისა. ყოფილა მორთული. ამ ფასადის მცირე ნაწილები ამჟამად მინაშენის ინტერიერშია მოქცეული. ფასადის შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ კედლის განაპირა ნაწილებში, მიწიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, მოწყობილი იყო თითო, შეისრულთაღოვანი ნიშა, რ-იც საფეხურით შელრმავებულ, სწორკუთხა არეში იყო ჩასმული. სამხრ. და ჩრდ. ფასადების აღმ. ნაწილში, თითო მცირე, კვადრ. ღიობია, რ-იაც აფსიდის გვერდებზე მოწყობილი სამალავები ნათდება.


ეკლესიის კედლები დასრულებულია მაღალი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით (დიდი ნაწილი ჩამოშლილია), რ-ის თითოეული საფეხური კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურების თითო-თითო რიგისგან შედგება. შენობა გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

მინაშენის დას. კედელზე დადგმულია მაღალი, მთლიანად აგურით ნაგები, ხუთწახნაგა ს ა მ რ ე კ ლ ო. სამრეკლოს საფუძველი სიმაღლეში ორ ნაწილადაა გაყოფილი. ქვედა ნაწილი კვადრატულია, ზედა – რვაწახნაგა. სამრეკლოს თითოეულ წახნაგში, თითო განიერი, ბრტყელი თაღით დასრულებული ღიობია. იგი ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ არეში, რ-საც ამოზნექილგვერდებიანი თაღი აგვირგვინებს. თაღის ოდნავ ზემოთ, მისივე ფორმის რელიეფური ზოლია. უფრო ზემოთ კი სამკუთხა პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის რელიეფური გამოსახულება, რ-ის ზედა მკლავი ლავგარდანზეა მიყრდნობილი. თუ როგორ იყო დაკავშირებული ეკლ. სამრეკლოსთან, ამჟამად არ ჩანს. სავარაუდოა, რომ სამრეკლოსთან დასაკავშირებელი ხვრელი, მინაშენის დას. კედლის სისქეში, იატაკიდან სამიოდე *მ*-ის სიმაღლეზე იყო მოწყობილი, რ-იც, აფსიდში არსებული სამალავების მსგავსად, მოგვიანებით ამოაშენეს.

სამრეკლოს აგურით გამოყვანილი პირამიდისებრი სახურავი აქვს.


თ. დჟალი.

154. ნატკორის ეკლესია, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სამიოდე *კმ*-ზე, ნასოფლარ ნატკორის ტერიტორიაზე. თარიღდება VI ს-ით.




154. გეგმა

ძ. მოზრდილი ზომის სამნავიანი ბაზილიკაა (22x11 *მ*), აგებული იყო რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. გარეთა კუთხეები, გეგმით სწორკუთხა, მცირე სათავსებით, რ-ებიც სამკვეთლოს და სადიაკვნის ფუნქციას ასრულებდნენ. თითოეულ მათგანში, მთავარი ნავის აფსიდის მხარეს მოქცეულ კედელში, თითო ღრმა ნიშაა. ბაზილიკის აგებიდან მოკლე დროში (როგორც ჩანს, VII-VIII სს-ში), მისთვის სამხრ-იდან და ჩრდ-იდან, მთელ სიგრძეზე, მიუშენებიათ ნალისებრაფსიდიანი თითო ნავი, რ-ებსაც შესაბამისი მხარეების მხრიდან, ორ-ორი შესასვლელი ჰქონია. მათგან სამხრ. ნავის სამხრ. კედლის დას. ნაწილში არსებული შესასვლელი მოგვიანებით ამოუშენებიათ. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესიის კედლები დასრულებული ყოფილა ნალისებრი თაღების მწკრივით გაფორმებული, თაროსებრი ლავგარდნით (სიმ. – 20 *სმ*).



154. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ



154. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ნავების გამმიჯნავი ბოძები და თაღები – შირიმით. ნაგებობის გეგმის სწორკუთხედში ჩაწერილია საკმაოდ ვრცელი, შუა ნავი და ვიწრო, გვერდის ნავები (სიგ. – 1,4 *მ*), რ-ებიც ერთმანეთისგან გეგმით ჯვრული ფორმის ბოძების სამი წყვილით იყო გამიჯნული. ბოძებზე, გრძივი მიმართულებით, გადაყვანილი იყო სუფთად ნათალი შირიმის კვადრებით გამოყვანილი, ნალისებრი თაღები. თაღები ეყრდნობოდა შირიმისავე იმპოსტებს (შემორჩენილია რამდენიმე იმპოსტი, რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს).

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. შუა ნავი, აღმ-ით, ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდი ორივე მხრიდან ფლანკირებულია გვერდის ნავების აღმ. ბოლოში მოწყობილი, ვა, რომ ეკლესიის კედლები დასრულებული ყოფილა ნალისებრი თაღების მწკრივით გაფორმებული, თაროსებრი ლავგარდნით (სიმ. – 20 *სმ*).

154. ხედი სამხრ.-აღმ-იდან





154. ინტერიერი, პილასტრის ნაწილი

აღმ. ნაწილში მცირე სამლოცველო მოუწყვიათ, რ-შიც შესვლა მხოლოდ ბაზილიკის ჩრდ. ნავიდან, აღმ-ით მდებარე თაღიდან იყო შესაძლებელი.

2002 და 2005 წლებში ძეგლზე ჩატარებული არქეოლ. გათხრების (ხელმძღვ. გ. რჩეულიშვილი) დროს ეკლესიაში აღმოჩნდა



154. კანკელის ფრაგმენტი

ჩრდ. კედელში ჩართული იყო ბაზილიკის თანადროული კანკელის მოჩუქურთმებული, ორი ფილა. მინაშენის აფსიდში, ტრაპეზის ორივე მხარეს, აღმოჩნდა კირქვის იმავე პერიოდის, ასევე



154. კანკელის ფრაგმენტი

ეკლ. არაერთხელ ყოფილა დაზიანებული (როგორც ჩანს, მიწისძვრებით) და განახლებული. X-XII სს-ში, პირველი ნგრევის შემდგომ, ნავების გამმიჯნავი ბოძების დას. წყვილის ხაზ-



154. კანკელის ფრაგმენტი

ზე, ბაზილიკის მთელ სიგანეზე, აუგიათ ერუ კედელი, რ-შიც ნავების გამმიჯნავი, ორივე ბოძი იყო ჩართული (ერთ-ერთი ბოძი მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი). შუა ნავის ფარგლებში, ამ კედლის ზედა ნაწილში, მოწყობილია მცირე ზომის სარკმელი. მომდევნო ხანებში (სავარაუდოდ, XIV ს-ში) ასეთივე კედელი, მაგრამ პირველზე ბევრად დაბალი, ჩააშენეს ბოძების შუა წყვილს შორისაც. ამავე დროს, შუა ნავის სამხრ. თაღებიდან, აღმ-იდან პირველი და მეორე, ხოლო ჩრდ. თაღებიდან – აღმ-იდან მეორე – მთლიანად ამოუშენებიათ და შუა ნავის

რამდენიმე სამარხი. ბაზილიკის სამკვეთლოსა და სადიაკვნეში მოწყობილი ორი სამარხი XI-XII სს. განეკუთვნება, დანარჩენები კი – XIV-XV სს. სადიაკვნეში არსებული სამარხის



154. კანკელის ფრაგმენტი



154. კანკელის ფრაგმენტი

მოჩუქურთმებული სვეტისთავი. შუა ნავის აღმ. ნაწილში მოწყობილი სამლოცველოს თავდაპირველ იატაკზე დადასტურდა XIV ს-ის მონღოლური მონეტა. გვიანდელ, მიწურ იატაკზე კი – ნახანძრალ ფენაში – XVII ს-ის ირანული მონეტა და 1684 წლით დათარიღებული, მხედრულწარწერიანი სპილენძის ზარი. საყვარაუდოა, რომ ეკლ. სწორედ ირანელთა შემოსევის დროს დაინგრა და მომდევნო ხანებში აღარ აღდგენილა.

ეკლესიასთან ახლოს, ჩრდით, შეინიშნება ნაგებობების კვალი. მათ შორის ერთ-ერთი გეგმით სწორკუთხაა (სამლოცველო?) და აღმ-იდან დას-ისკენაა დამხრობილი. იქვე, მიწაში, ჩაფლულია შირიმის ქვის მოზრდილი ბლოკი. ეკლესიის

154. კანკელის ფრაგმენტი

ნანგრევებთან სოფ. ვარდისუბნისა და გულგულის მოსახლეობა აღდგომის მეორე დღეს „ნატკოროობას“ დღესასწაულობს, რამაც ძეგლის გამოკვლევის დროს აკად. გ. ჩუბინაშვილს აფიქრებინა, რომ იგი ღვთისმშობლის სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული.

თ. დვალი, გ. ლაღიაშვილი, გ. რჩეულიშვილი.

ბიბლ.: 2; 18; 145; 146; 317; 335.

155. ოლიეგის მიწის სამაროვანი (გულგულა I), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დასით, 2 *კმ*-ზე, მდ. თურდოს მარცხ. ნაპირას. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით. სამარხების გარკვეული ნაწილი დაზიანებულია მდ. თურდოსგან. ძ. 1956, 1968-69 წლებში შეისწავლა ΟΑᲔ ინ-ტის ΚΑᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა 24 სამარხი და სამარხთა ნაშთი. სამაროვანი სტრატიგრაფიულად მრავალიარუსიანია. სამარხები – მოგრძო, ოთხკუთხა ორმოები – განლაგებულია ხუთ იარუსად (ზომები: 2x1,5 *მ*, 1,8x1,4 *მ*, 1,65x1 *მ*). დამხრობილია სიგრძივ, ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-ისაკენ. ქვედა იარუსის სამარხების უმეტესობას რიყის ქვის, მცირე ყრილები აქვს. სამარხთა ინვენტარს კი შემორჩენილი აქვს შუა ბრინჯაოს ხანის, თიხის ჭურჭლის არაერთი ელემენტი (კეცის დამუშავება, ფორმები). ზოგიერთი ორნამენტული სახე თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ადრინდ. საფეხურით. სამარხები ინდივიდუალური და ინჰუმაციურია. მიცვალებულები დაკრძალული არიან კიდურებმოხრილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ.-დას-ისკენ. უმეტესწილად – სამარხის ცენტრში და გარშემოწყობილი აქვთ თიხის ჭურჭელი. ზოგ შემთხვევაში მიცვალებული მთლიანად არის დასვენებული თიხის ჭურჭელზე (რაც ხის სარეცლის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს). სამარხები გამოირჩევა თიხის ჭურჭლის სიმრავლით. დადასტურებულია: ხელჩაფები, შვერილყურებიანი თუ ორყურა დერგები, სადღვებლები, კოჭობები, ქოთნები, ქვაბქოთნები, სადუღრები, კათხები, სასმისები, ქილები, ფილები, სურები, ლანგრები, ცილინდრულქუსლიანი ჯამები. ზოგჯერ ერთ სამარხში 60-მდე ერთეულია ჩატანებული, რის გამოც, ისინი ხშირად ორ, სამ და ოთხ სართულადაც კია განლაგებული. ჭურჭელი ქვიშანარევი თიხისაა და სამეთუნეო მორგვზეა დამზადებული. გამომწვარია თხელფენოვნად, რუხად, მონაცრისფროდ. შავზედაპირიანია, ზოგჯერ ნაპრიალები. მათი ზედაპირი, უმეტესწილად, ორნამენტირებულია კონცენტრული, ამოღარული ხაზებით. ჭურჭლის მხარსა და ძირის კიდეს გასდევს ირიბი ნაჭდევები, ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული ტალღური, ამოღარული ხაზი. გეომეტრიული ორნამენტებიდან აღსანიშნავია ამოკაწრული სამკუთხედები, რ-თა შიდა არე შევსებულია წერტილოვანი, ნაჭდევი ორნამენტით, სოლური ნაჭდევებით და ა. შ.

სამაროვანზე დადასტურებულია ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი (კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევარი, მასრაშეკრული, მასრაზე წყვილი რელიეფურსალტიანი შუბისპირი – სამანჭვლე ორი ნახვრეტით) და სამკაული (ზამბარისებრი ხვია, ბოლოებგახსნილი სასაფეთქლე რგოლი, ოვალურად მორკალული, ბოლოებგახსნილი საყურე, გრეხილღეროიანი, ბოლოებმოკაუჭებული გვერგვი, სქელი მავთულის, ბოლოებგახსნილი სამაჯური, მავთულის ბოლოებგახსნილივე ბეჭედი; კონუსური ღილები, მძივები). ასევე დადასტურდა ცალმხრივნახვრეტიანი სარდიონის მძივი და ღორის, გაპრიალებულზედაპირიანი, ბოლოში გახვრეტილი ეშვი.

დაკრძალვის წეს-ჩვეულებისა და სამარხში ჩატანებული ინვენტარის მიხედვით, სამაროვნის ფუნქციონირების მთელ პერიოდში საგულისხმოა აქ ერთი და იმავე მოსახლეობის არსებობა. ძეგლის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ აქ, როგორც წესი, გეხვდება მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

არქეოლ. მასალა ინახება თელავის ისტორიულ მუზეუმში.

ც. მუნაბძე.

ბიბლ.: 121; 148; 298.

156. სათვალისწყლის სამაროვანი (გ უ ლ გ უ ლ ა II), არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ჩრდ.-აღმ-ით, სამიოდე კმ-ზე, სათვალისწყლად წოდებულ ადგილში. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურით. რამდენიმე სამარხი – ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. აღმოჩნდა თელავისა და მაღანწრის ხევებისათვის კოლექტორული არხის კალაპოტის გაჭრის დროს, დაახლ. 3-3,5 *მ* სიღრმეზე. დაზიანებულია რამდენიმე ორმოსამარხი. 1968-1969 წწ. სამაროვანზე გათხრები ჩაატარა ΟΑᲔ ინ-ტის ΚΑᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა 20 სამარხი. სამარხები ინდივიდუალურია და ინჰუმაციური. ყველა სამარხი რიყის ქვისკედლებიანი ოთხკუთხა ორმოა (ზომები მერყეობს – 1,8x1,4 *მ*, 2x1,3 *მ*, 1,5x0,9 *მ*). დამხრობილია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-ისაკენ. სავარაუდოდ, გადახურული იყო ხის ძელებით. მიცვალებულები იწვნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დას-ისაკენ. ერთ შემთხვევაში (ორმოს აღმ. ნაწილში) მიცვალებული დაკრძალული იყო მჯდომარე მდგომარეობაში. მიცვალებულებს თავთან, წინ და ქვედა კიდურებთან შემოწყობილი ჰქონდათ თიხის ჭურჭელი: თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა საქონლის თავ-ფეხის ძვლები. ზოგში კი – მთელი ძროხისა. სამარხეული ჭურჭელი (ხელჩაფა, ქოცო, შვერილყურებიანი დერგი, ორყურა დერგი, სადღვებელი, კოჭობი, ქოთანი, ქვაბქოთანა, სადუღარი, კათხა, სასმისი, ქილა, ჯამი, ცილინდრულქუსლიანი ჯამი, ლანგარი, ფიალა, ბადია, სურა) ქვიშანარევი თიხისაა, დამზა-

დებულია სამეთუნეო მორგვზე. გამომწვარია თხელფენოვნად, რუხად ან ნაცრისფრად. შავზედაპირიანია, ზოგჯერ ნაპრიალები. ჭურჭლის მთელი ზედაპირი, უმეტესწილად, ორნამენტირებულია კონცენტრული, ამოღარული ხაზებით; მხარსა და ძირის კიდეს გარშემოუყვება მოკლე, ირიბი ნაჭდევები; ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეულია ტალღური, ამოღარული ხაზი, სარტყელიანი, რელიეფური წნული. გეომეტრიული ორნამენტიდან გვხვდება ამოკაწრული სამკუთხედები, რ-თა შიდა ფართი შევსებულია წერტილოვანი, ნაჭდევი ორნამენტით და სხვ. სამაროვანზე დადასტურდა ბრინჯაოს სამკაულები: ზამბარისებრი ხვია, ბოლოებგახსნილი სასაფეთქლე რგოლი, ოვალურად მორკალული, ბოლოებგახსნილივე საყურე, გრეხილღეროიანი, ბოლოებმოკაუჭებული გვერგვი, სფერული ან მსხლისებრი ზარაკი, დისკოსებრი, სამკუთხედებად დაფანჯრული და ჩიტისებრი, ასევე სამკუთხედებად დაფანჯრული, კოვზისებრი საკიდები, ბიკონუსური, შუაში გახვრეტილი მძივი, რ-საც გვერდებზე, ერთიმეორის საპირისპიროდ, მირჩილული აქვს ორი შვერილი, ორვოლუტიანი რგოლი; სქელი, ბოლოებგახსნილი მავთულის სამაჯური; ბოლოებგახსნილივე, მავთულის ბეჭედი; კონუსური ღილები და ნახევარსფერული ღილაკები; საკინძი – ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით და სხვ. სამარხებში დადასტურებულია კახური ტიპის ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი, მასრაშეკრული შუბისპირი, მასრაზე წყვილი რელიეფური სალტით.

სამაროვანზე აღმოჩენილია სამახსოვრო სამარხები – კენოტაფები. სამარხის ცენტრ. ნაწილში აწყობდნენ მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის თავ-ფეხს. მის გარშემო კი – თიხის ჭურჭელს. სამარხეულ ინვენტარში, რაოდენობრივად, დიდი სხვაობაა, რაც თანადროულ საზოგადოებაში არსებულ ქონებრივ დიფერენციაზე მიგვითითებს.

არქეოლ. მასალა ინახება თელავის ისტორიულ მუზეუმში.


ლ. მენაბდე.

ბიბლ.: 121; 148; 186; 187.


157. ყვავის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, მაღანწრის ხევის პირას. თარიღდება IX-X სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (10,25x 6,25 *მ*). ნაგებია რიყის ქვით – უწესრიგოდ. კუთხეებში, უმეტესად, მოზრდილი, მეტ-ნაკლებად შერჩეული ქვებია გამოყენებული, რ-თა შორის, ალაგ-ალაგ, შირიმის ტლანქად გათლილი ქვებიცაა ჩართული. კედლების ზედაპირი, როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც, გასწორებულია ბათქაშით, რ-ის უმეტესი ნაწილი ჩამოცვენილია.

1970-იანი წლების II ნახევარში, სპეც. სამეცნ.-სარესტ.




157. გეგმა



157. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

საწ. სახელოსნოს მიერ ჩატარდა ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ზ. სეხნიაშვილი): ეკლესიის ინტერიერი და მიმდებარე ტერიტ.



157. სამხრ. ფასადი

გაიწმინდა ღორღისა და ლამისგან; შემორჩენილი კედლების წყობასთან შეხამებით, აღდგა კამარის და კედლების დანგრეული ნაწილები; კედლებს გაუკეთდა თაროსებრი ლავგარდანი; ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ამჟამად ეკლ. დაზიანებულია: ალაგ-ალად აყრილია კრამიტი. ინტერიერი, დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, ამოვსებულია ნიაღვრების მიერ ჩამოტანილი ლამით, იგივე სიმაღლის ქვა-ღორღის ფენითაა დაფარული გარეთა კედლები და მიმდებარე ტერიტ.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს. მათ შორის ერთი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია გაჭრილი. მეორე – ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, მესამე – დას. კედლის ღერძზე. სამივე კარი შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან სწორკუთხაა, გადახურულია ბრტყელი ლოდით.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან ორსაფეხურიანი მხრებით და მათზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანივე, ნახევარწრიული მოხაზულობის თაღითაა გამოყოფილი. მსგავსი ფორმისაა კამარაც. აფსიდის ცენტრში მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს (სარკმლის ძირის დონეზე) თითო, სწორკუთხა ნიშაა. ერთი სარკმელი დას. კედელშიცაა. ორი კი – სამხრ-ით. სარკმლები შიგნიდან და გარედან სწორკუთხაა.

დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია თითო, ორსაფეხურიანი პილასტრით და მის გვერდებზე არსებული, ნახევარწრიულთავიანი, კედლის თითო თაღით, რ-ებიც პილასტრის გვერდით საფეხურებს ეყრდნობა. პილასტრის წინა საფეხურზე კი, ცილინდრული კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. თითო პილასტრი გრძივი კედლების დას. კიდეშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა.

ეკლესიის ფასადები მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის გადახურვიდან ოციოდე *სმ*-ით ზემოთ, წყობიდან გამოშვერილი, თხელი ქვების რიგით, შექმნილია თარო, რ-იც კედლის კიდეებთან ახლოს (დაახლ. 60 *სმ* მანძილზე) წყდება. ანალოგიური თაროა მოწყობილი ჩრდ. ფასადის აღმ. ნახევარშიც. თაროები მინაშენის კამარის დასაყრდნობად იყო გათვალისწინებული, რ-ებიც ეკლესიას სამხრ-იდან



157. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

(მთელ სიგრძეზე) და ჩრდ-იდან (ფასადის აღმ. ნახევარზე) ეკვროდა. ამჟამად მინაშენების არავითარი კვალი არ ჩანს, რის გამოც მათი არსებობის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. არ არის გამორიცხული, რომ მათი აგება ეკლესიის მშენებლობის დროსვე იქნა უარყოფილი.

ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ქართ. ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

158. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის შუა ნაწილში, მთავარი გზის პირას.

ნაგებობა ქრონოლოგიურად განსხვავებულ, ორ სამშენ. ფენას შეიცავს, რ-ებიც სხვადასხვა საშენი მასალით არის შესრულებული. თავდაპირველი ფენა, რ-იც, მეტ-ნაკლებად, ყველა კედლებს შემორჩა, სავარაუდოდ, XVI ს-ის მიწურულით შეიძლება დათარიღდეს. იგი მოზრდილი ზომის, რიყის ქვითაა ნაწყობი, წყობა ირეგულარულია. კედლის ზედაპირი გასწორებულია მოყვითალო ფერის, კირის წმინდა ხსნარით, რ-იც ქვებს შორის არსებულ არეებს ავსებს და, ნაწილობრივ, მათ ზედაპირებსაც ფარავს. ეს ფენა ყველაზე მეტად აღმ., დას. და ჩრდ. კედლებს შემორჩა. აღმ. ფასადზე იგი თითქმის ფრონტონის ძირამდე აღწევს, ჩრდ-ისაზე – მიწის დონიდან ერთი *მ*-ის სიმაღლეზე, დას. ფასადზე კი, 2-2,5 *მ* სიმაღლეზე. მოგვიანებით (როგორც ჩანს XIX ს-ში), დანგრეული ეკლ. აღუდგენიათ. განახლებული ნაწილები რიყის წვრილი ქვის და აგურისაა. თითქმის მთლიანადაა განახლებული სამხრ. კედელი. მასში ძვ. ფენიდან უმნიშვნელო ნაწილებიღა შეიმჩნევა.

ეკლ. დარბაზულია (6,2x3,8 *მ*). შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი გარედან დასრულებულია ნახევარწრიული თაღით. თაღს აშკარად ატყვია გვიანდ. შეკეთების კვალი. ადრე იგი ჩასმული ყოფილა კედლის მცირედ შეღრმავებულ, სწორკუთხოვან არეში (თითქმის მთლიანადაა ამოშენებული), რ-საც კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი, ვიწრო ზოლი აგვირგვინებდა (შემორჩენილია შეღრმავების სამხრ. კიდე და ზოლის მცირე

ნაწილი). შესასვლელს შიგნიდან ხის ბრტყელი გადახურვა აქვს.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია თითქმის სწორკედლებიანი საკურთხევლით, რ-იც აღმ-ისკენ შესამჩნევად ვიწროვდება. საკურთხევლის აღმ. კედელში გაჭრილია სწორკუთხა, უსწორმასწორო გვერდების მქონე სარკმელი. მისი ღიობი, გარედან, მოგვიანებით (როგორც ჩანს, შესასვლელის თაღის შეკეთებისას) ამოუშენებიათ და, კედლის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად, შეულესავთ. ერთი სარკმელი დარბაზის დას. კედელშიცაა, იგი კედლის განახლებულ ფენაშია მოქცეული, ინტერიერისაკენ შესამჩნევად ფართოვდება და, როგორც შემორჩენილი კვალით დგინდება, ქვის ბრტყელი გადახურვა ჰქონია. საკურთხევლისა და დარბაზის საზღვარზე ქვით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. ტრაპეზის მსგავსი ნაგებობა საკურთხევლის ჩრდ.-აღმ. კუთხეშიცაა, ამ ადგილას არსებული მცირე ნიშის ქვემოთ. როგორც ჩანს, იგი სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. ერთი სწორკუთხა ნიშა საკურთხევლის სამხრ.-აღმ. კუთხეშიცაა. საკურთხეველს ტლანქად ნაწყობი, კამარისებრი გადახურვა აქვს. გადახურვის ქუსლის დონეზე – ჩრდ-ითა და სამხრ-ით – თითო მცირე სამალავია. დარბაზი გადახურულია კვერცხისებრი კამარით.

ეკლესიის დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, მცირე ნიშა იყო მოწყობილი, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ.

XXI ს-ის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში სოფლის მოსახლეობას ეკლ. შეუკეთებია: შიგნით ეკლ. შეულესავთ გაჯით, განუახლებიათ კედლების ზედა ნაწილები, მოუწყვიათ აგურის, ორსაფეხურიანი ლავგარდანი და შენობა ღარისებრი კრამიტით გადაუხურავთ.

თ. დუალი.

159. ჩაველაანთ ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში.

თარიღდება შუა საუკუნეებით. შემორჩენილია ნანგრევის სახით. ნაგები იყო რიყის ქვით კირის ხსნარზე.

ბ. კუპრეიშვილი.

160. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 3-4 *კმ*-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ტყიან ნაპირას, ფლატის პირას. თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,6x4,6 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით (21x21x4 *სმ*). კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-შიც, ალაგ-ალაგ, აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული. შიგნით კედლების ზედა ნაწილი, კამარა, კონქი, სარკმლების გადახურვა და იატაკი მთლიანად აგურისაა.



160. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში იყო ჩასმული. გარედან კარი გადახურული იყო აგურით ნაწყობი თაღით (შემორჩენილი იყო ორივე ქუსლის წყობა), შიგნიდან კი – ხის ძელით (დარჩენილი იყო მხოლოდ კედლის წყობაში მოქცეული ნაწილები).

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია განიერი, დაბალი სარკმელი. იგი შიგნიდან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, გარედან კი სწორკუთხაა. მსგავსი თითო სარკმელი ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, შემორჩენილი იყო აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის ქვედა ნახევარი. მსგავსი ჯვარი იყო გამოსახული დას. ფასადზეც (შემორჩენილი იყო ჯვრის საფუძველი და ქვედა მკლავის მცირე ნაწილი), რ-ის აქეთ-იქით განლაგებული იყო თითო რომბი. მათ შორის სამხრ-ით მდებარე – მთლიანად იყო შემორჩენილი, ჩრდ-ით მდებარე კი – ნაწილობრივ. შესასვლელის ორივე მხარეს, მიწიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, თითო მცირე, თაღოვანი ნიშაა. ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.

XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში სოფლის მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად გაარემონტა (ტლანქად). დას. ფრონტონი აღადგინეს ისე, რომ ჯვრისა და რომბების შემორჩენილი ნაშთები მოშალეს და მათ ნაცვლად, კარის ზემოთ, აგურის წყობის შეღრმავებით, ახ. ჯვარი გამოსახეს. აღმ. ფასადზე კი ჯვრის შემორჩენილი ნაწილი ხელუხლებლად დატოვეს; აამაღლეს შესასვლელი და იგი თარაზულად გადახურეს. შიგნით ეკლ. გადახურეს რკინა-ბეტონის კამარით, ხოლო გარედან – თუნუქით.

ეკლესიიდან დას-ით, ორასიოდე *მ*-ზე, მომცრო ნაგებობის კედლების ნაშთებია. ესაა



160. ხედი სამხრ.-დას-იდან

აღმ.-დას. მიმართულებით წაგრძელებული (სიგრძ. – 3,2 *მ*, სიგ. – 1,3 *მ*), შეისრულკამაროვანი (შემორჩენილია კამარის მცირე ნაწილები) ნაგებობა, რ-ის ერთერთ კედელში თიხის მილია ჩატანებული. ნაგებობას სამხრ-იდან შედარებით მოკლე, გაურკვეველი დანიშნულების ნაწილი ეკვროდა,

რ-იც ქვა-ღორღითაა დაფარული. ამის გამო მისი გეგმის დადგენა არ ხერხდება.

თ. დვალი.

ვანთა

(აკურის თემის საკრებულო)

161. ვანთა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 13 კმ ზე. გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის ძირას, მდ. ვანთისხევის (მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სოფლის მიდამოებში მიკვლეული ნამოსახლარების მიხედვით, ტერიტ. ადრინდ. შუა საუკუნეებიდანვე ყოფილა დასახლებული. პირველად, როგორც საკათალიკოსო სოფელი (განიხილებოდა მცხეთის საკათალიკოსო მამულად), ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება XIV ს-ში. ვანთის გადასვლას კათალიკოსის განკარგულებაში საქართველოს ერთიანობის ხანიდანვე უნდა ჩაყროდა საფუძველი. საკათალიკოსო მამულების შემადგენლობაში სოფელს მოიხსენიებს საქართვ. მეფე ალექსანდრე I-იც. ძირითადად, ასეთად რჩება იგი XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-შიც. კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ სოფლის ყმა-მამულზე სვეტიცხოველს მოცილე გაუჩნდა დავით გარეჯის მონასტრის სახით. XVII-XVIII სს-იდან ვანთის ყმა-მამულს ერთმანეთს ეცილებოდნენ საერო ფეოდალებიც – ვაჩნაძეები და ჯანდიერის შვილები. ისინი ედავებოდნენ სვეტიცხოვლის და დავით გარეჯის მონასტრებსაც. ამ უკანასკნელს მოსტაცეს კიდეც მიწები. XVIII ს-ის პირველ ნახევარში მონასტრის წინამძღვრის – ონოფრე მაჭუტაძის ენერგიული საქმიანობის წყალობით გარეჯის მონასტრის მფლობელობა კახეთში, მათ შორის ვანთაშიც, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ორივე მონასტრის ყმა-მამულს სოფელში მათ მიერ დანიშნული ქერ-მოურავები ან აზნაურები განაგებდნენ. ისინი ცდილობდნენ ყმა-მამულისა და სამოხელეო თანამდებობების გამკვიდრებას.

ტერიტორიულად ვანთა კახეთის მეორე – ნეკრესელი ეპისკოპოსის სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. ომიანობის დროს ვანთიდან გამოსული ლაშქარი, იმდროინდელი ადმ. დაყოფის საფუძველზე, ნეკრესლის დროშის ქვეშ დგებოდა, მის სარდლობას ექვემდებარებოდა.


ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, სოფელი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შევიდა.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 159ბ; 179გ; 204ბ.

162. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ახალ სასაფლაოზე. სავარაუდოდ, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპისაა, მინაშენით სამი მხრიდან. ამ უკანასკნელიდან ამჟამად მხოლოდ კედლების მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი, რ-ებიც მიწით და მცენარეულობით ისეა დაფარული, რომ გასუფთავების გარეშე, მისი გეგმის დადგენა შეუძლებელია. შენობა ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. ალაგ-ალაგ, ძირითადად, ღიობების წყობაში, გამოყენებულია ლოდები. წყობა



162. გეგმა

ირეგულარულია. ქვებს შორის დარჩენილი არეები ბათქაშითაა შევსებული. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი.

ეკლესიას (6,3x4 მ) სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, დას-იდან (ამოშენებულია) და ჩრდ-იდან. დას. და ჩრდ. შესასვლელები გარედან, მოზრდილი ქვით, თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან კი ნალისებრთაღოვანია. შიგნიდან ნალისებრი თაღითაა დასრულებული სამხრ. შესასვლელიც, ოღონდ გარედან იგი ხის კოჭითაა გადახურული,

162. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



რ-იც 2009 წელს, ეკლესიის აღდგენის დროს ჩაუდგამთ. ამავე დროს, კარის თავზე არსებული მცირე ნიშის ადგილზე სარკმელი მოუწყვიათ.



162. კრამიტის ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით

შენობის შიდა სივრცე ახიდული პროპორციებისაა. აღმ-ით იგი ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდის ცენტრში ნალისებრთაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის გარეთა თაღი შირიმის ერთ ქვაშია გამოკვეთილი. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიბჯენილი. აფსიდში ორი სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის ჩრდ. მხართან შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენი, ცილინდრული ფორმის, დაახლ. 40 *სმ* სიმაღლის ნაგებობის (ჯვრის აღსამართი პოსტამენტი?) ნაწილი, რ-იც კედელზეა მიდგმული. იგივე ფორმის, სამოციოდე *სმ* სიმაღლის ფრაგმენტი დარბაზის ჩრდ.-დას. კუთხეშიცაა.

შიგნით ეკლ. გადახურულია ოდნავ ნალისებრი კამარით. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც, რ-იც მარტივი პროფილის, შირიმის იმპოსტებზეა დაყრდნობილი.

გარედან, ეკლესიის სამხრ. და დას. ფასადებზე, წყობიდან გამოშვერილი, თხელი, ნატეხი ქვებით გამოყვანილია თარო, რ-ზეც მინაშენის კამარა იყო დაყრდნობილი.


ჩრდ. მინაშენი აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით (სიმ. 0,5 *მ*).

2009 წელს, დ. და ზ. ნუსხელიძეების დაფინანსებით, ეკლესიის ძირითადი ნაწილის დანგრეული კედლები აღადგინეს (პროექტის ავტორი კ. პაპალაშვილი). მოაწყვეს თაროსებრი ლავგარდანი და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს.


ეკლესიის გაწმენდის დროს აღმოჩნდა ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტი, რ-ზეც რელიეფური, ასომთავრულით შესრულებული, სამსტრიქონიანი წარწერის ნაწილი იყო შემორჩენილი. წარწერა ასე იკითხება: I სტრ. – ⴼⵁ [წმიდაო] ⵊ (?) [იოანე]. II სტრ. – ⵃⴲ [ნათლისმცემელი]. III სტრიქონიდან ერთი ასოს ნაშთიღაა დარჩენილი. პალეოგრაფიული მონაცემებით წარწერა შესაძლოა

163. მაცხოვრის ეკლესია, თ ე თ რ ი ს ა ყ დ ა რ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე. ეკლესიის, სამხრ. შესასვლელის არქიტრავზე მოთავსებულია მხედრულით შესრულებული, ხუთსტრიქონიანი წარწერა, რ-ის თანახმად, ეკლესიის მშენებლობა დაწყებულა 1858 წლის მაისში, მღვდლის კირილე ჩეკურავის მეცადინეობით და მიტროპოლიტ ისიდორეს ადრინდ. შუა საუკუნეებით დათარიღდეს. ასევე აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი.

თ. დვალი.




163. გეგმა



163. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ნებართვით. მაშენებელი ოსტატი ყოფილა ივანე იორდამოვი(?).

ეკლ. დარბაზულია (13x7,8 *მ*). ნაშენია სხვადასხვა ზომის, რი-



163. დას. ფასადი

ყის ქვით. გარეთა კუთხეებში და, ალაგ-ალაგ, ფასადების ქვედა ნაწილებში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

ეკლესიას ორი, სწორკუთხა შესასვლელი აქვს – სამხრ-ით და დას-ით. გარედან ორივე კარის ღიობი გამოყვანილია სუფთად ნათალი, ქვიშაქვის ქვებით და ჩასმულია კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ არეში. შესასვლელები შიგნითკენ თანდათან განივრდება და ნახევარწრიული თაღი ხურავს.

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან ერთსაფეხურიანი პილასტრების წყვილით და მათზე გადაყვანილი, საბჯენი თაღითაა გამიჯნული. გრძივ კედლებზე კიდევ ორ-ორი ასეთი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრები შესაბამისს კედლებს სამსამ, ტოლ ნაწილად ანაწევრებს. დას-ით კამარა დას. კედლის მიმდებარე, საბჯენ თაღზეა დაყრდნობილი, თვით თაღი – კუთხის პილასტრებზე. ყველა პილასტრი დასრულებულია ქვიშაქვის კაპიტელით, რ-ის პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. ამ კაპიტელებზე, კამარის საბჯენი თაღების გარდა, დაყრდნობილია პილასტრებს შორის არსებული კედლის თაღებიც, რ-თა წვერი კამარის ქუსლის დონეზეა.

ინტერიერი განათებულია ექვსი მაღალი, შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმლით. მათ შორის ერთი – აფსიდის ცენტრშია, ორ-ორი – გრძივ კედლებში, ერთიც – დას. კედელში. შიგნით, სარკმელთა თაღები შირიმის ნათალი ქვითაა გამოყვანილი. აფსიდში, სარკმლის ჩრდ-ით, სამი, თაღოვანი ნიშაა, სამხრ-ით – ერთი. მათ შორის სამხრ. და ჩრდ. განაპირა ნიშა გეგმით სწორკუთხაა. დანარჩენი ორი კი – ნახევარწრიული. აფსიდი დასრულებულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა, მსგავსი ფორმისაა დარბაზის კამარაც. მოგვიანებით ჩატარებული რემონტის დროს კონქს, კამარის და საბჯენი თაღების მნიშვნელოვანი ნაწილი აგურით განუახლებიათ.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. და დას. ფასადებზე, ფრონტონის არეში, გამოსახულია წყობაში შეღრმავებული, წითელი ფერით შეღებილი ჯვარი. ეკლესიის სამხრ. შესასვლელის მარჯვ. მხარეს, მიწიდან დაახლ. 1,7 *მ* სიმაღლეზე, კედლის წყობაში ჩასმულია ქვიშაქვის, არაწესიერი ფორმის ქვა (სიგრ. – 65 *სმ*, სიმ. – 37 *სმ*), რ-ზეც მოთავსებულია მდარედ შესრულებული, ექვსსტრიქონიანი, მხედრ. წარწერა. წარწერის თანახმად, ქვა 1858 წელს, მშობლების სულის საოხად, ეკლესიისთვის შეუწირავს ვინმე ბარბარე ვაჭირიძეს.



163. სამხრ. ფასადი, წარწერიანი ქვა

შენობის კედლები დასრულებულია რიყის ქვით ნაწყობი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

1980-იანი წლების ბოლოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ეკლესიას ჩაუტარა სარესტავრაციო სამუშაოები (რესტავრაციის პროექტის ავტორები: მ. გელაშვილი, ივ. გრემელაშვილი): აღდგა შესასვლელების გარეთა ღიობები, კედლების საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები და ლავგარდანი. მოიხსნა დას. კედელზე დაშენებული სამრეკლოს საფუძვლის შემორჩენილი ნაშთი და ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.



163. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ბიბლ.: 12.

164. „ნაფერი“, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლ-

იდან დაახლ. 6-7 კმ-ზე, ტყეში, მთის წვერზე. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (4,1x3,1 მ). ნაგებია არაწესიერი ფორმის, სხვადასხვა ზომის ქვიშაქვით, რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ქაოსურია. გარედან, კედლების ზედაპირი, გასწორებულია ბათქაშით, შიგნით კი შელესილია.

შესასვლელი სამხრ-ითაა. კარის გადახურვა და მის ზემოთ კედელი დანგრეულია. ჩამონგრეულია კამარაც. ეკლესიის შემორჩენილ კედლებზე მცენარეულობაა ამოსული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით და სამხრ-ით მოწყობილია თითო, ოთხკუთხა ნიშა. ერთი, პატარა ნიშა დას. კედლის შუაშიცაა. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია კუბური ფორმის ტრაპეზი. ეკლ. მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. აფსიდში იკითხება ორნამენტის მკრთალი ნახატი, დას. კედლის ზედა ნაწილში კი ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულებების ფრაგმენტებია შემორჩენილი.

პ. კიკაჩეიშვილი.

165. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში. თარიღდება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნით. დაზიანდა ინდივიდუალური სახლების მშენებლობების დროს. ადგილ. მოსახლეობის მიერ შემთხვევით მოპოვებულია ბრინჯაოს მახვილები, შუბისპირები და სხვადასხვა სახის სამკაულები.

არქეოლ. მასალა დაცულია თელავის ისტორიულ მუზეუმში. ძეგლზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა კპმ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

გ. ჯინჯიხაშვილი.

ბიბლ.: 148; 186.

166. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. განაპირას, ღრუ ტყედ წოდებულ ადგილში. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს. აღმოჩნდა 1972 წ. ალაზნის სარწყავი არხის გაჭრის დროს. ძ., თელავის სახელმწ. ისტ.-ეთნ. მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, შეისწავლა აკც-ის კპმ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ორმოსამარხი (დაზიანებული იყო სამშენ. სამუშაოების დროს) ოთხკუთხაა (2x1,6 მ), დამხრობილია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-ისაკენ. მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ.-დას-კენ. სამარხში აღმოჩნდა ქვიშანარევი თიხის 15 ჭურჭელი (დერგი, ქილა, კოჭები, ბადია). ინვენტარი დამზადებულია სამეთუნეო მორგვზე. კეცი უმეტესად რუხი ფერისაა, შავზედაპირიანი, შავსარჩულიანი. შემკულია კონცენტრული ხაზებით. ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეულია კლაკნილი ხაზი. მხარზე და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევებია. დადასტურდა ბრინჯაოს იარაღი (კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევარი, მასრაშეკრული შუბისპირი – მასრაზე რელიეფური ორი სალტით, ბრინჯაოს ფურცლისგან დამზადებული, მრგვალი ფარი) და სამკაულები: საკიდი, ზამბარისებრი ხვია, ოთხწახნაგა მძივი, ბოლოებგახსნილი ბეჭედი; სარდიონის ექვსწახნაგა მძივი, ცალმხრივგახვრეტილი მძივები.


ც. მგნაბდე.

ბიბლ.: 121; 148; 186.

167. სამების ეკლესია, ჩ ი ტ ი კ ა ს ს ა ყ დ ა რ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1,5 კმ-ზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (4x2,8 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის, ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. წყობა ქაოსურია.

ერთადერთი შესასვლელი დას-ითაა. კარი ნალისებრი თაღითაა გადახურული. აღმ-ით ნალისებრი, ღრმა აფსიდია, რ-ის ცენტრში მცირე, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ. და სამხრ-ით მოწყობილია თითო, ოთხკუთხა ნიშა. ქვემოთ



167. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

კი, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიდგმული. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

2012 წელს სოფლის მკვიდრმა მ. ქევხიშვილმა ეკლ. გაარემონტა (დაუდევრად): აღადგი-

167. ხედი სამხრ.-დას-იდან



ნეს კამარის დას. ნახევარი, ჩამოშლილი საპირე წყობა და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს.

ბ. კუპრეიშვილი.

168. სასახლე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, სამხრ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე. მდ. ვანთისხევის მარცხ. ნაპირზე, ფლატის პირას. განეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს. სასახლე ორსართულიანია. წაგრძელებულია სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით (27,8x11,2 *მ*) და მთავარი (აღმ.) ფასადით მდინარისკენაა მიქცეული. სასახლის თითოეულ სართულზე ორ-ორი, სხვადასხვა ფართობის სათავსია, რ-ებიც ერთმანეთს მათ გამმიჯნავ კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება. საკუთრივ სასახლეს ზედა სართული წარმოადგენს, ქვედა – სამსახურებრივი დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა.

ზედა სართულის სათავსებიდან ჩრდ-ით მდებარე, დიდი, მისაღები დარბაზი გეგმით მართკუთხედის ფორმისაა (ფართ. დაახლ. – 160 *კვ მ*), მეორე – კვადრ. (ფართ. დაახლ. – 68 *კვ მ*).

შენობა მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. ქვა შერჩეული არ არის და კედლების გლუვ სიბრტყეებზე არ წარმოქმნის წესიერ, სწორხაზოვნად გამავალ რიგებს. თუმცა, გარეთა კედლებში შესამჩნევად გამოიყოფა გარკვეული სიმაღლის, ზოლებად ნაწყობი მონაკვეთები, რ-ებიც შესაბამისს კედლებს თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს. შესასვლელების და სარკმლების თაღები შერჩეული ქვითაა გამოყვანილი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია. მიუხედავად მნიშვნელოვანი დანაკარგებისა, შემორჩენილი ნაწილების საფუძველზე, სავსებით შესაძლებელია შენობის კომპოზიციის ძირითადი ელემენტების თავდაპირველი არქიტ. სახის აღდგენა.


ნაგებობის მეორე სართულის სათავსებიდან, ჩრდ-ით მდებარე, განათებული იყო აღმ. კედლის შუა ნაწილში თავმოჭრილი ოთხი, განიერი, იატაკის დონიდან დაწყებული, მაღალი სარკმლით. შემორჩენილია ჩრდ. განაპირა სარკმელი და მომდევნო სარკმლის ჩრდ. წირთხლი. სარკმელს მკვეთრად მოხაზული, ნალისებრი თაღი აქვს. ასეთივეა სასახლის დანარჩენი სარკმლებისა და შესასვლელების თაღები. სათავსის ჩრდ. კედელში, რ-იც ალაზნის ველისკენაა მიქცეული, ერთმანეთთან ახლოს, აღმ. კედელში შემორჩენილი სარკმლის ანალოგიული ორი ღიობია. მათგან ერთი – დას-ით მდებარე – სარკმელია, ხოლო მეორე – დარბაზში შესასვლელი. ამ უკანასკნელის წინ მოწყობილი იყო ამ სართულზე ამომავალი კიბის ბაქანი. იგი ეყრდნობოდა სასახლის ჩრდ. კედლის პერპენდიკულარულად მდგარ, ორ კედელს, რ-თაგანაც მხოლოდ ნაშთებიღა შემორჩა. შიგნით, ღიობის გვერდებზე, მოწყობილია თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშა.

დარბაზის უკანა, გრძივი (დას.) კედელი მთლიანად დანგრეულია – შემორჩენილია მხოლოდ შუა ნაწილში ამოწვდილი, პირველი სართულის ბუხრის კედელი.


დიდი დარბაზი მომიჯნავე კვადრ. ოთახს უკავშირდება ფართო, მაღალი შესასვლელით, რ-იც სათავსების გამყოფი კედლის ცენტრშია გაჭრილი. ეს კედელი, დანარჩენ კედლებთან შედარებით, უკეთესადაა შემორჩენილი. სათავსის აღმ. კედელში გაჭრილი იყო დიდი დარბაზის სარკმლების მსგავსი, ორი სარკმელი (შემორჩენილია მხოლოდ ერთი, ჩრდ-ით მდებარე სარკმლის ქვედა ნაწილი). იმის გამო, რომ ამ სათავსის იატაკის დონე, დიდი სათავსის იატაკის დონესთან შედარებით, რამდენადმე მაღლაა, ხოლო სარკმლე-

168. საერთო ხედი დას-იდან





168. I სართულის გეგმა




168. II სართულის გეგმა


რის ერთს, კედლიდან შვერილი კრამიტის თარო აქვს. თვით ნიშა კი გადახურულია ორი, ერთმანეთზე ბლაგვი კუთხით მიყრდნობილი კრამიტით.

სასახლის პირველი სართულის დაყოფა მეორე სართულის ანალოგიურია: დიდი სათავსი წაგრძელებულია, მცირე კი – კვადრ. დიდ სათავსს სამი შესასვლელი აქვს. მათგან ერთი – აღმ. კედლის სამხრ. მონაკვეთშია, ორი – დას. კედლის ბოლოებში. აღმ. კარი შიგნიდან ნალისებრი თაღითაა დასრულებული, ხოლო გარედან, თარაზული თავი ჰქონია. დას. შესასვლელებიდან მხოლოდ ნაშთებიღაა შემორჩენილი და მათი გადახურვის ფორმა არ დგინდება. სათავსის შემორჩენილ კედლებში გაჭრილია თანაბარი ზომის, შიგნითკენ გაგანიერებული, ოთხი სარკმელი, რ-ებსაც თარაზული გადახურვა აქვს. ორი

ბი ორივე სათავსში უშუალოდ იატაკიდან იწყებოდა, შეიძლება ითქვას, რომ ამ სათავსის ყველა სარკმელი უფრო დაბალი იყო, ვიდრე დიდი სათავსის სარკმლები. ამას ადასტურებს მცირე სათავსის დას. კედელში არსებული სარკმელი, რ-იც სიგანით დიდი სათავსის სარკმლების ტოლია, მაგრამ მათთან შედარებით, უფრო დაბალია. კედლებში სარკმლების სიმეტრიულად განლაგების პრინციპზე დაყრდნობით, საგულისხმოა, რომ აღმ. კედლის მსგავსად, ცალ-ცალკე, ორი სარკმელი იყო მოწყობილი სათავსის სამხრ. კედელშიც – შემორჩენილია დას-ით მდებარე სარკმლის დას. წირთხლის ნაწილი. სარკმლის ზემოთ, ამ კედლის შემორჩენილ ნაწილში, ორი, პატარა ნიშაა, რ-თა შო-




168. ჩრდ. ფასადი




168. გრძივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

მათგანი აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილშია, ორი – ჩრდ. კედელში. ოთახის კედლებში სამი, ფართო, სწორკუთხა ნიშაა: ჩრდ. კედლის ცენტრში, თითქმის იატაკის დონეზე, აღმ. კარის გვერდით არსებული სარკმლის ქვემოთ და ამავე კედლის მარჯვ. კიდესთან, იატაკიდან დაახლ. 1,5 მ-ის სიმაღლეზე. კიდევ ერთი ნიშაა სამხრ. კედლის დას. კიდეში, რ-იც შესაძლოა, დას. კედლის სამხრ. კიდეში მოწყობილი კარის ურდულისთვის გამოიყენებოდა. დას. კედლის ცენტრში შემორჩენილია



168. აღმ. ფასადი

168. დას. ფასადი



168. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან



გარეთკენ შვერილი, ნახევარწრიული ბუხარი.

მცირე, კვადრატულ ოთახში, დიდ ოთახთან დამაკავშირებელი კარის გარდა, ერთი შესასვლელი გარედანაცაა – აღმ-იდან (დარჩენილია მხოლოდ ჩრდ. წირთხლი და თაღის ჩრდ. ნახევარი). იგი იგივე ფორმისა და ზომისაა, როგორც დანარჩენები. შიგნიდან ორივე კარის თაღი ნალისებრია, გულდასმით შელესილი. გარედან კი – თარაზულადაა გადახურული. სათავსის სამხრ. კედელი თითქმის მთლიანად დანგრეულია. კედლის შემორჩენილი ნაშთიდან ჩანს, რომ ამ მხრიდან სათავსს შესასვლელი არ ჰქონია.



168. ინტერიერი. დიდი დარბაზი, ხედი ჩრდ.-კენ

აღმ. კედელში, ადრე არსებული ორი სარკმლიდან მხოლოდ ერთი, შესასვლელის მარცხნივ მდებარე, სწორკუთხა სარკმელია შემორჩენილი.

სასახლის სართულშუა გადახურვა, შენობის კედლებზე შემორჩენილი ბუდეების მიხედვით, ხის ძელებზე იყო გამართული.

ნაგებობის ფასადები, კედლის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, მოკლებულია ყოველგვარ დეკორს.

სასახლის სამხრ.-დას. კუთხესთან, 15 მ-ზე, დგას რიყის ქვით ნაშენი, პატარა, ნალისებრაფსიდიანი, დარბაზული ეკლესიის ნანგრევები, რ-იც, როგორც ჩანს, სასახლის თანადროულია. იქვე ახლოს, სამხრ-ით წყაროა (ამჟამად დამშრალია) – დახურულია, კამაროვანი წყალსაცავით და თიხის ორი მილით გვერდებზე. აქედან ოდნავ მოშორებით (სამხრ.-დას-ით) აბანოს ნანგრევია. გარდა ამისა, მოჩანს სხვადასხვა ნაგებობების კედლების ნაშთებიც. მ.შ. ერთ-ერთი, მოგრძო კედელი, ბუხრით ცენტრში და გვერდითი კედლის ნაწილით.

სასახლის ბოლო მფლობელი ყოფილა ზაქარია ჯაფარიძე, რ-ისგანაც სოფ. ვანთის მაცხოვრებლებს იგი XX ს-ის ათიან წლებში გამოუსყიდიათ.

თ. დვალი.


ბიბლ.: 18; 19; 317; 335.

169. საღანძილის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან ოთხიოდე კმ-ზე, მდ. ვანთისხევის მარცხ. ნაპირას, პლატოზე, საღანძილედ წოდებულ ადგილში. როგორც ჩანს, ადრე აქ მონასტერი ყოფილა. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგებობათა კვალი შეიმჩნევა, ხოლო იქვე ახლოს, აღმ-ით, ოციოდე მ-ის მანძილზე, კამაროვანი ნაგებობაა, სავარაუდოდ, მონასტრის საძვალე, რ-იც მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი.

ამჟამად ეკლესიის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი. თუმცა, მასაც მნიშვნელოვანი ნაწილები აკლია. დანარჩენი კედლები დანგრეულია და მათგან მხოლოდ ნაშთებია დარჩენილი. ისინი მცენარეებითა და ნანგრევებით ისეა დაფარული, რომ გაწმენდის გარეშე, შენობის გეგმის სრული სურათის დადგენა შეუძლებელია.

ეკლ. ბაზილიკური ტიპისაა. თარიღდება VIII-IX სს-ით. შენობის გეგმის სწორკუთხედში (10,5x 10,5 მ) ჩაწერილია სამი ნავი. შემორჩენილია მხოლოდ ცენტრ. და ჩრდ. ნავები, რ-ებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სწორკუთხა ბოძზე დამყარებული, ორი, ნალისებრი თაღის მეშვეობით. სამხრ. ნავი მთლიანადაა დანგრეული. თუმცა, შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იგი მთავარი ნავისგან ერუ კედლით იყო გამიჯნული და მას მხოლოდ კარით უკავშირდებოდა.

შენობა, ძირითადად, ნაგებია საკმაოდ დიდი ზომის, რიყის ქვით. ქვა ზომისა და ფორმის მიხედვით შერჩეული არ არის, რის გამოც კედლების საპირე წყობაში არ წარმოქმნის სწორხაზოვნად გამავალ რიგებს. შიგნითა კედლები გაცილებით



169. გეგმა

მცირე ზომის, რიყის ქვისაა. ალაგ-ალაგ, გამოყენებულია აგურიც. კედლები ორივე მხრიდან გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და საპირე ქვების ზედაპირის დიდ ნაწილს ფარავს.



169. ხედი სამხრ-იდან

შუა ნავი, აღმ-ით, დასრულებული იყო მკაფიოდ გამოხატული, ნალისებრი, ღრმა აფსიდით, რ-ისგან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. ნახევარი – კონქის მცირე ნაწილით. კონქის თაღს, როგორც ეს ჩრდ. გვერდის შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, აფსიდის მსგავსად, ნალისებრი მოხაზულობა ჰქონია. თაღი ეყრდნობა შირიმის, სადა კაპიტელს, რ-ის პროფილს შეადგენს თარო და დახრილი სიბრტყე. აფსიდის ცენტრში შირიმის, ნათალი ქვებით გამოყვანილი სარკმლის ჩრდ. წირთხლია შემორჩენილი. სარკმლის ჩრდ-ით კი, ოდნავ ქვემოთ, მოწყობილია მცირე ზომის, კვადრ. ნიშა. შუა ნავის ჩრდ. ნავთან დამაკავშირებელი თაღები სწორკუთხა ბოძზეა დაყრდნობილი. თაღები ნატეხი ქვითაა ნაწყობი და სუფთადაა გალესილი. მათ ქუსლებთან გამოყოფილია შირიმის, მარტივპროფილიანი იმპოსტები, რ-ებიც ნავების მხარეს გამოშვერილი არ არის. აღმ. თაღის აღმ. გვერდში ჩაკვეთილია მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშა. ნავის დას. კედელი, ჩრდ. კედელთან შედარებით, ნაკლებ სიმაღლეზეა შემორჩენილი. სამხრ. კედელი კი თითქმის მთლიანად დანგრეულია.

ნავი გადახურული იყო ცილინდრული კამარით (შემორჩენილია ნაწილი), საბჯენი თაღების გარეშე.

ჩრდ. ნავი უსარკმლოა, გადახურულია ქვიტკირის კამარით (დიდი ნაწილი ჩამოშლილია). ნავის ჩრდ. კედლის დას. ნაწილში კარია (მოგვიანებით ამოუშენებიათ), რ-საც შიგნით ნალისებრი თავი აქვს, გარედან კი ერთიანი, უსწორმასწორო ქვის ძელით თარაზულადაა გადახურული. ნავის აღმ. ბოლოში, სამკვეთლოსათვის, გამოყოფილია გეგმით კვადრ. სათავსი. მასში შესასვლელი (დიდი ნაწილი დანგრეულია) მხოლოდ შესაბამისი ნავიდანაა. კარი თაღოვანი ყოფილა. სათავსის აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვემოთ მოწყობილია ღრმა, სწორკუთხა ნიშა. კიდევ ერთი ნიშა სათავსის სამხრ. კედელშია. მასში მთავარი ნავის აფსიდის ჩრდ. გვერდში მოწყობილი ნიშა გამოდის. სათავსი გადახურული იყო ცილინდრული კამარით.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა. დას. კედელში მოწყობილია ორი, სწორკუთხა ნიშა. ნიშებს ქვემოთ



169. ინტერიერი, მთავარი ნავი, ჩრდ.-დას. თაღი

(დაახლ. 0,7 *მ* მანძილზე), ფასადის თითქმის მთელ სიგრძეზე, ოდნავ შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-იც, შესაძლოა, ადრე ამ მხრიდან, ნიშებთან მისადგომად მოწყობილი ბაქნის (როგორც ჩანს, ხის) კვალი იყოს. ფასადის ზედა ნაწილში, შუა ნავის ფარგლებში, შემორჩენილია კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებული, განიერი, დეკორატ. თაღის ძირი და ჩრდ. გვერდის, დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლის, მონაკვეთი.

ს ა ძ ვ ა ლ ე გეგმით სწორკუთხაა (4,65x3,5 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვით და კირის დუღაბით. შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი სწორკუთხაა. ნაგებობა გადახურულია ქვის კამარით, რ-იც განივკვეთში გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმისაა. საძვალის სამხრ.-აღმ-ით, 50 *მ*-ის მანძილზე, შემორჩენილია წყლისა და მარცვლეულის შესანახი, ქვევრისებრი რეზერვუარები.


თ. დვალი

169. დას. ფასადი



ბიბლ.: 335.

170. ძვაბეების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ოთხიოდე *კმ*-ზე, მდ. ვანთისხევის მარცხ. ნაპირას, საღანძილის ეკლესიის ჩრდ.-დას-ით, ოთხასიოდე *მ*-ზე. კომპლექსი შედგება გეგმით რთული მოხაზულობის და ერთმანეთთან ვიწრო, თაღოვანი გასასვლელით დაკავშირებული ორი ქვაბისგან, რ-ებსაც სხვადასხვა სიღრმისა და ფორმის უბეები ერთვის. კედლებში ამოკვეთილია ნიშები. ქვაბებიდან ერთი, ჩრდ-ით მდებარე, შედარებით მოზრდილია. მის ჩრდ.-აღმ ნაწილში, შესასვლელთან ახლოს, გვერდიგვერდ, ორი, თაღოვანი გასასვლელია, რ-ებითაც მცირე სათავსში ვხვდებით, ამ უკანასკნელიდან კი – სამლოცველოში (ჩანს კონქით გადახურული საკურთხეველი, რ-იც კირის ხსნარითაა გალესილი). სამლოცველო განათებულია აღმ. მხარეს გაჭრილი სარკმლით. სამლოცველოდან ჩრდ-ით ღიობია, რ-იც გადის მცირე სათავსში. ქვაბის ჭერში (მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონგრეულია) გაჭრილია საკვამური.



170. გეგმა



170. ინტერიერის დეტალი


მეორე ქვაბი ოდნავ მცირე ზომისაა. მას ორი, ოვალური, იზოლირებული სადგომი ეკვრის, სადაც დიდი ზომის ნიშები, თაროები და ჩამოსაჯდომებია მოწყობილი. აღმ-ით სამი სარკმელია გაჭრილი. როგორც ჩანს, მცირე ქვაბი ბერების საცხოვრებლად იყო განკუთვნილი.

ჰ. კიკაჩეიშვილი.


171. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 1,5 *კმ*-ზე, მდ. ვანთისხევის მარცხ. ნაპირას.

ეკლ. დარბაზულია (6,6x4,75 *მ*). შედგება ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი, სამშენ. ფენისგან. მათ შორის თავდაპირველი, რ-იც კედლების სიმაღლის თითქმის ნახევარს მოიცავს (სიმ. დაახლ. 1,7 *მ*), სავარაუდოდ, განვით. შუა საუკუნეებით თარიღდება, დანარჩენი ნაწილი კი – გვიანდ. შუა საუკუნეებით. კედლების ძვ. ნაწილი ლოდებითაა ნაშენი. ქვები ზომისა და ფორმის მიხედვით, არ არის შერჩეული, რის გამოც მათ შორის მოზრდილი არეები იქმნება, რ-ებიც წვრილი, რიყის ქვით და დუღაბის სქელი ფენითაა შევსებული. რიყის მომცრო ქვითაა ნაშენი კედლების ზედა ნაწილები. წყობა ქაოსურია. კუთხეების წყობაში, შიგადაშიგ, შირიმის ქვებიცაა გამოყენებული. შიგნით კედლები შელესილია.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარს პარალელური წირთხლები (განახლებულია მოგვიანებით) აქვს, გადახურულია თარაზულად. ეკლესიის დარბაზი კვადრატულია (3,2x3,2 *მ*). აღმ-ით დასრულებულია ღრმა, ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ცენტრში მაღალი, შიგნიდან სწორკუთხა, ხოლო გარედან თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს, მცირე ზომის, თითო, სწორკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურულია წესიერი



171. გეგმა



171. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ფორმის კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც, რ-იც აფსიდის თაღს და დას. კედლის მიმდებარე, საბჯენ თაღს ეყრდნობა. ეს უკანასკნელი კი – კუთხის პილასტრებს. ორივე თაღის ქუსლებთან მარტივი პროფილის იმპოსტებია გამოყოფილი.



171. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აღმ. სარკმლის გარდა, ინტერიერს დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. იგი ქვის, თხელი ფილებით თარაზულადაა გადახურული და იმდენად ზემოთაა „ატანილი“, რომ თავით თითქმის დას. კედლის მიმდებარე, საბჯენ თაღს წვდება.

ეკლ. მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. კედლებზე აქა-იქ შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ფასადები სადაა. აღმ. ფასადის ცენტრში, მოშავო ფერის, შირიმის ქვებით ნაწყობი სარკმელია, რ-იც ჩასმულია ზედაპირის ჩაკვეთით გამოყვანილ, სწორკუთხა ჩარჩოში. დას. ფასადზე, სარკმლის წყობაში, რიყის ქვასთან ერთად, კვადრ. აგურიცაა გამოყენებული. გარდა ამისა, თითო-ოროლა აგური, აქა-იქ, ფრონტონის წყობაშიცაა ჩართული. სარკმლის მარჯვნივ, კედლის წყობაში ჩასმულ, შირიმის, მცირე ქვაზე, რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. სამხრ. ფასადზე, მიწიდან დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე, წყობიდან გამოშვერილია (ოციოდე *სმ*-ით) სამი, მოგრძო ქვა, რ-ებიც, სავარაუდოდ, ამ მხრიდან მოწყობილი ფარდულის საყრდენად გამოიყენებოდა. ერთი ასეთი ქვა, იგივე სიმაღლეზე, დას. ფასადის სამხრ. ნახევარშიცაა ჩასმული.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლადაა მოსახლეობის მიერ მოტანილი, სხვადასხვა ზომის ქვევრები, რ-თა ნაწილზე, დამღით, აღნიშნულია ხელოსნის სახელი და გვარი.

2009 წელს საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ნ. ყანჩელი). ეკლესიის სამხრ. და დას. ფასადების წინ მოიჭრა ნაყარი მიწა, აღდგა კედლების საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები, მოეწყო აგურის ლავგარდანი, შენობა გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

172. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, ძვ. სასაფლაოზე. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით თითქმის კვადრატული (4,7x4 *მ*). ნაგებია მოზრდილი ზომის, დაუმუშავებელი ქვიშაქვით, გამოყენებულია რიყის ქვაც. წყობა ირეგულარულია. ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი თარაზულადაა გადახურული. ეკლესიის იატაკი კარის ძირიდან, დაახლ. 60 *სმ*-ით დაბლაა, რის გამოც, ეკლესიაში ჩასასვლელად, კარის წინ, მოწყობილია საფეხური.

შიდა სივრცე აზიდული პროპორციებისაა, აღმ-ით დასრულებულია აფსიდით, რ-საც გეგმით გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმა აქვს. აფსიდის ცენტრში გაჭრილია დაბალი, თაღოვანი სარკმელი. გვერდებში კი, ერთიმეორის ზემოთ, ორ-ორი მცირე, კვადრ. ნიშაა. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია კუბური ფორმის ტრაპეზი. ინტერიერის გასანათებლად, აღმ. სარკმლის გარდა, პატარა, კვადრ. ხვრელია მოწყობილი დას. კედელში – შესასვლელის ზემოთ.

2006 წელს სოფლის მკვიდრმა ივ. მკრვალიძემ ეკლესიის დანგრეული ნაწილები აღადგინა



172. ხედი სამხრ.-დას-იდან

(თუმცა დაუდეგრად). კედლები გარედან ღუღაბით შელესეს და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს.

თ. დვალი.

ვარდისშვანი

(თემის საკრებულოს ცენტრი)

173. ვარდისშვანი (ვ ა რ დ ი ა ნ ი), სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. თურდოს მარჯვ. ნაპირას, თელავ-გომბორის სააგტ.

გზაზე. თელავიდან 3 კმ-ზე. ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსენიება XIV ს-ში. სოფლის თავში, თურდოს ხეობაში, მიკვლეულია ძვ. ნაქალაქარი, რაც, სავარაუდოდ, იმის დამადასტურებელია, რომ ეს ადგილები უძველესს დროიდანვე ადამიანთა აქტიურ სამოსახლოს წარმოადგენდა. სოფლის მნიშვნელობას ზრდიდა კახეთის სხვა ადგილებთან დამაკავშირებელ გზაზე მისი მდებარეობაც. ამას ხელს უწყობდა ვარდისუბნის თელავთან მეზობლობაც. XIV-XV სს-ში ვარდისუბანში დიდი იყო მცხეთის საკათალიკოსო ყმა-მამულის ხვედრითი წონა. XVI ს-ის დასაწყისში, კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, სოფელი კიდევ უფრო მომძლავრდა. კახთა მეფის ლევანის მეუღლემ, გურიელის ასულმა თინათინმა სოფლის მახლობლად ახ. შუამთის ღვთისმშობლის მონასტერი ააშენა და მას შესწირა „აგარაკნი და დაბანი და დაადგინა მასზედა მოძღუართ-მოძღუარი“. „დაბანში“ ვარდისუბნის ნაწილიც შედიოდა. XVII ს-ის პირველი ნახევრიდან, კახეთში შაჰ-აბას I-ისა და სხვათა შემოსევების შემდეგ, „დასტურლამალში“ და სხვა ქართულ საისტორიო წყაროებში ვარდისუბანი ნასოფლარად მოიხსენიება. ამავე საუკუნის II ნახევარში იგი, როგორც ნასოფლარი, ფეოდალ-მოხელე – მაღალაშვილებს ეკუთვნოდა. XVIII ს-ის დასაწყისში ვარდისუბანმა კვლავ იწყო დასახლება, რასაც ხელი შეუწყო მისმა სიახლოვემ თელავთან და მნიშვნელოვან სატრანსპორტო გზასთან. 1706 წლის ამბებთან დაკავშირებით, თავის თხზულებაში სოფელს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი. ამ დროს ერეკლე I-ის ძის დავითის (იმამ ყული-ხანი) კახეთში მმართველობის პერიოდში, კახელებმა გადაწყვიტეს ჭარის დალაშქრა და მარბიელი ლაშქრობების გამო ჭარელების დასჯა. კახელებს მიეშველნენ თუშ-ფშავ-ხევსურებიც. დავითის სარდლობით ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი 1706 წ. ვარდისუბანში დაბანაკდა. აქედან აპირებდნენ ისინი ჭარელებზე გალაშქრებას, მაგრამ ჭარელებმა დავითს პატიება სთხოვეს. XVIII ს-ის I ნახევარში ვარდისუბანი თანდათან იზრდება და შენდება. შესაბამისს ისტორიულ დოკუმენტებში იგი სათავადოშვილო სოფლად იხსენიება. 1764 წ. ვარდისუბანი ერეკლე II-ემ ალავერდის მონასტერს შესწირა, რის შემდეგ სოფლის ყმა-მამულს ალავერდის მონასტრის ნაცვალი განაგებდა. სოფელში იყო დავითგარეჯის მონასტრისათვის შეწირული მამულიც.

ვარდისუბნელი მოლაშქრეები კახეთის მეოთხე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდნენ, რ-თაც ალავერდელი ეპისკოპოსი სარდლობდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ვარდისუბანი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა.

ვარდისუბანში განვითარებული იყო და დღესაც მისდევენ მეჭურჭლეობას, აწარმოებენ ასევე აგურს, კრამიტს. სოფლის მეურნეობის დარგებიდან წამყვანია მევენახეობა.

ვარდისუბანში დაიბადნენ მწერლები – ძმები ჩხეიძეები, რ-ებიც ქართულ ლიტ-ში ცნობილნი არიან თ. თურდოსპირელის და გ. ქუჩიშვილის სახელებით. ასევე ნინო ქურციკაშვილი-სალია, რ-მაც 1948 წელს პარიზში დაარსა ქართველოლოგიური სამეცნ. ჟურნალი „ბედი ქართლისა“.

ც. ბერძენიშვილი, ქ. კახაძე, ზ. ჯამბურია.

ბიბლ.: 46; 64; 198ბ; 204გ; 240დ.

174. აღდგომის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,5x6,1 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. გარედან კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის არსებულ არეებს ავსებს და მათი ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. შიგნით ეკლ. შელესილია. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. ჩამოშლილია სახურავის საფარი და ზედ მცენარეულობაა ამოსული. საპირე წყობის ქვების ნაწილი, ალაგ-ალაგ (ძირითადად, ჩრდ. ფასადზე), ჩამოცვენილია და ეკლესიის ირგვლივაა მიმოფანტული, მთლიანადაა ჩამოშლილი ლავგარდანიც.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს. კარის ღიობი კვადრ. აგურითაა (19x19x4/4,5 სმ) გამოყვანილი, გადახურულია შეისრული თაღით და გარედან კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. ეკლესიის დარბაზი მოკლეა (დარბაზის განივი ღერძი დაახლ. 1,2 მ-ით აღემატება გრძივ ღერძს), აღმ-ით მას შეერთვის ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ცენტრში დაბალი, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი, თარაზულად გადახურული სარკმელი ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით, თითო, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. თითო, მსგავსი ნიშა მოწყობილია გრძივი კედლების აღმ. კიდეშიც – იატაკიდან 1,4 მ სიმაღლეზე. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა, ერთსაფეხურიანი პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით ორ, თანაბარ ნაწილად იყოფა.

ეკლესიის ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას.

თ. დვალი.

175. ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი. არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მდ. თურდოს ხეობაში, თელავიდან თბილისისაკენ მიმავალი (გომბორის გადასასვლელით) გზის მარცხ. მხარეს, გზიდან ორიოდე კმ-ზე.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ, შევსებულ-გადა-

190 ვარდისშობანი

კეთებული რედაქციებისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების თანახმად, მონასტერი დაარსებულია ლევან (ლეონ) კახთა მეფის (1520-1574) მეუღლის, მამია გურიელის ასულის თინათინის თაოსნობით. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გაგრძელების მიხედვით: „ჟამსა სიყრმისა თვისისა იხილა ჩვენებასა შინა ესრეთ, რომე მიჰყვანდათ იგი სძლად კაცსა ვისმე მთავართაგანსა და გზასა ზედა დაისადგურეს დღესა ერთსა და მას ადგილსა, რომელსა მდგომარე იყვნეს, იხილა მუნ შინდი ერთი მდგომარე და იყო შინდი იგი თეთრი. და აუწყებდა ვინმე კაცი სამღუდელოთაგანი, რათამცა აღუშენოს მონასტერი დედასა ღვთისასა, ადგილსა მას, სადა იდგა შინდი იგი თეთრი”. იმავე წყაროს მიხედვით, მეფე ლევანთან ჯვრისწერისათვის გრემში მიმავალმა თინათინმა, შუამთაში შეჩერებისას, იხილა „შინდი იგი თეთრი, რომელი პირველ ეხილვა ჩვენებასა შინა. და მოეხსენა ჩვენება იგი და შინდი, რომელი მდგომარე იყო ნიშნად ეკლესიისა მის მომასწავებლად. მაშინ გულისხმაჰყო და სარწმუნო იქმნა განგებულებასა მას ზედა. ხოლო რაჟამს იქორწინა, შემდგომად მცირედისა ჟამისა იწყო შენებად შუამთას მონასტერსა დედისა ღვთისასა, რამეთუ ფრიადი მოსწრაფება აჩვენა და ჟამსა რაოდენთამე შინა აღაშენა იგი, შეასრულა და შეამკო ყოვლისავე სამონასტროსა წესითა და სამკაულითა. და შესწირნა აგარაკნი და დაბანი და დაადგინა მას ზედა მოძღუართ მოძღუარი და იგი შემზადა სამარხოდ თვისად”.

მეორე გადმოცემის თანახმად, ახლადჯვარდაწერილ მეფე ლევანსა და დედოფალ თინათინს იმ ადგილას შემოაღამდათ, სადაც შუამთის მონასტერია აგებული. მეფის ამალა გურიიდან მოასვენებდა ხატს, რ-იც დედოფალს განუშორებლად თან დაჰქონდა. ღვთისმშობლის ხატი, ღამის თევისას, ერთი შინდის ხის ქვეშ დაუბრძანებიათ. მეორე დღეს, როდესაც გამგზავრება დააპირეს, ხატი ადგილიდან ვერ დაძრეს მანამ, სანამ დედოფალმა არ აღუთქვა ამ ადგილზე ეკლესიის აგება და ძვ. შუამთიდან მონასტრის აქ გადმოტანა.


მონასტრის დაარსების ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი. რადგან თინათინის ჯვრისწერის, განტევებისა და გარდაცვალების წლები ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ არ არის დადგენილი.

ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ლევანისა და თინათინის ჯვრისწერა 1527 ან 1528 წელს უნდა მომხდარიყო. მისი აზრით, შუამთის მონასტერი ჯვრისწერიდან მოკლე ხანში, 1529-1531 წლებშია დაარსებული.

მონასტრისათვის 1604 წელს ბოძებული ერთი სიგელის მიხედვით, თინათინმა თავად მაყაშვილისგან იყიდა შუამთა, ააშენა იქ ეკლ. ხახულის ღვთისმშობლის ხატის სახელზე და სადგომები, შეკრიბა სხვადასხვა მონასტრიდან ბერები, წინამძ-


175. საერთო ხედი სამხრ-იდან





175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. გეგმა

ღვრად დააყენა არქიმანდრიტი გაბრიელ მაყაშვილი და დააარსა ახ. მონასტერი, ძვ. კი (ძველი შუამთის მონასტერი) დაუხურავს. თინათინს ასევე დაუტოვებია ანდერძი, რომ იგი მეუღლესთან კი არა, არამედ ცალკე დაეკრძალათ, „თვისსა აღშენებულსა მონასტერსა ... რამეთუ ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყვარე“. მართლაც, დედოფალი დაუკრძალავთ მონასტრის მთავარ ნაგებობაში – ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში. ამ ფაქტს გვამცნობს ეკლესიის შიგნით, ჩრდ. კედელში ჩასმული წარწერა – „აქა მდებარე არს გვამი კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინისა, ამა მონასტრის აღმაშენებელისა 1519-1534“. წარწერა გვიანდელია, იგი 1889 წელსაა გაკეთებული, მონასტრის წინამძღვრისა და ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის მიერ. დედოფლის გაძარცული საფლავის პოვნის შემდგომ, იგი გაუწმენდიათ და ამოუქოლავთ. ასევე გაუწმენდიათ კირით დაფარული ფრესკები. რა ცნობებს ემყარება წარწერაში მოცემული თარიღი (1519-1534 წწ) დღემდე უცნობია.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ დაახლ. 1549-1552 წლებში თინათინ დედოფალი შუამთაში ან მონაზვნად აღიკვეცა, ან, შესაძლოა, აღესრულა კიდეც.

იმ ფაქტის დადგენამ, რომ თინათინი შუამთის მონასტერში 1550 წლის ახლოს დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა, გ. ჩუბინაშვილს, რ-მაც ძ. XX ს-ის I ნახევარში შეისწავლა, საფუძველი შეუქმნა იმისათვის, რომ მონასტრის დაარსების თარიღად XVI ს-ის 40-იანი წლები მიეჩნია. ამ თარიღს იზიარებენ ვ. ბერიძე და პ. ზაქარაია. XVI ს-ის მიწურულს, მეფე ლევანის ასულს – თეკლა მონაზონს ეკლესიისათვის მთავარანგელოზთა ეგვტერი

მიუშენებია და მისთვის შეწირულობებიც უბოძებია.

XVIII ს-ის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის დროს, 1762 წლის შემდგომ, ეკლესიას მნიშვნელოვანი, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარეს, რასაც მოწმობს დას. შესასვლელის თავზე არსებული წარწერა. აღდგენითი სამუშაოები შეხებია სახურავს და, სავარაუდოდ, მინაშენებს.

1820 წელს რუსული საეკლესიო ხელისუფლების მიერ შეკეთდა ბოძები და ჩრდ. კედელი, რ-ებიც მეხის დაცემის გამო იყო დაზიანებული.

1840-იანი წლების დასაწყისში ეკლ. აზომა ტოპოგრაფმა ა. მუსლოვმა, ნახაზები განსაკუთრებით ღირებულია, რადგან ისინი გვიჩვენებს გარშემოსავლელის თავდაპირველ გეგმარებას, რ-იც აზომვიდან მოკლე დროში მოშალეს. პ. იოსელიანისა და ა. მურავიოვის ცნობით, 1845 წელს, ეკლესიის ხუთი ეგვტერიდან მხოლოდ ერთი, მთავარანგელოზთა ეგვტერიღა იყო გადარჩენილი.


1850 წელს სცადეს მოხატულობის რესტავრაცია, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, მაშინვე ან ოდნავ მოგვიანებით, ეგზარქოს ევსევის დროს (1858-1877), ეკლ. და სამრეკლო შეათეთრეს.

საქართველოს მეფე-მთავრები ასწლეულების მანძილზე სწირავდნენ მონასტერს სხვადასხვა ძვირფასეულობას (ბარძიმებს, კანდელებს, ნაქარგობას, ჭურჭელს და ა. შ.). 1637 წლის სიგელით მეფე თეიმურაზს მონასტრისთვის შეუწირავს გომბორის გზით მოსარგებლე სავაჭრო ქარავანთაგან აღებული ბაჟი.

XIX ს-ში მონასტრის მთავარი ტაძარი ჭავჭავაძეთა განსასვენებელი იყო. აქ არიან დაკრძალულები: მარიამ ავალიშვილი (გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე), პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მისი ძე დავითი. ტაძარში სხვა საგვარეულო საფლავებიცაა. მათ შორის ყარალაშვილების, რ-თაც მონასტრისათვის დიდი სავარგულები შეუწირავთ, აგრეთვე მაყაშვილთა და ანდრონიკაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლებისა.


XIX ს-ში შუამთაში სამონასტრო ცხოვრება მინელდა. 1899 წ. მისი ხელახალი აღორძინება ალავერდის ეპისკოპოსის, შემდგომში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის სახელთანაა დაკავშირებული. საბჭ. ხელისუფლების დროს მონასტერი დაიხურა და ბავშვთა სახლად გადაკეთდა.

1980-იანი წლების დასაწყისში, სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ ძეგლზე ჩაატარა სარესტავრაციო სამოშაოები, რის შედეგადაც გამაგრდა მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა მრავალფეროვანი, რთული თემატიკის მქონე იკონოგრაფიული პროგრამით. ახალ შუამთაში სამონასტრო ცხოვრება აღდგა 1990 წელს. ტრადიციულად, მონასტრის



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

წინამძღვარია ეპარქიის მღვდელმთავარი (ამჟამად ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი). ტაძრის დღესასწაული 8 (21) სექტემბერსაა – ღვთისმშობლის შობის დღეს. მეორე დღეს კი, ეპისკოპოსს



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. დას. ფასადი

კირიონის მიერ, დაწესებულია დედოფალ თინათინის სულის მოსახსენიებელი მსახურება.

მონასტრის ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი ხახულის ღვთისმშობლის ხატია. იგი დაბრძანებული ყოფილა კანკელის წინ, მარჯვ. მხარეს (ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნ. მუზეუმის საგანძურში).

მონასტერი გაშლილ, ვაკე ადგილზეა განლაგებული. მას გარს ეკვლება რიყის ქვით ნაშენი, მაღალი გალავანი, რ-ის დას. და ჩრდ. ნაწილში სამონასტრო დანიშნულების ერთ და ორსართულიანი შენობებია ჩართული. ეზოს სამხრ.-დას. ნაწილში დგას მონასტრის მთავარი ნაგებობა – ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლ., მისგან ჩრდ.-დას-ით კი – სამრეკლო.

ეკლ. გუმბათოვანია. აღნაგობით იგი XI ს-ში ჩამოყალიბებული ქართ., ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ტიპისაა. ნაგებობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (ზომები ღერძებზე: სიგრ. – 18,6 *მ*, სიგ. – 13,3 *მ*) ჩაწერილია ჯვარი, რამდენადმე წაგრძელებული აღმ. და დას. მკლავებით, რ-იც ტაძრის ძირითად სივრცეს ქმნის. შენობის ჯვრული ნაწილი განსაკუთრებით მაღალია (ჯვრის მკლავების სიმ. იატაკიდან კამარის წვერომდე: – 14,5 *მ*-დეა) და დაგვირგვინებულია არანაკლებ მაღალი, პროპორციულად მოხდენილი გუმბათით, რ-იც საკურთხევლის შვერილებსა და დას-ით ორ თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. გუმბათქვეშა ბოძები დაბალია, გეგმით ოვალური; დაყრდნობილი არიან მაღალ, სწორკუთხა ბაზისზე. ორივე ბოძი ზედა ნაწილში (თავთან) გაგანივრებულია და ერწყმის მისსავე დამაგვირგვინებელ, ოთხკუთხა კაპიტელს, რ-ზეც ასევე დაყრდნობილია დას. კუთხის სივრცეებში გამავალი თაღები. ამ თაღების დასაყრდნობად დას. კედელზე მოწყობილია ასეთივე დაბალი და მძლავრი, წრიული მოხაზულობის ბოძები, მსგავსი კაპიტელებით და ბაზებით. გუმბათქვეშა ბოძების ზემოთ, სამხრ. და ჩრდ. კედლებზე, გამოყვანილია ერთსაფეხურიანი, განიერი პილასტრები, რ-ებიც კედლებს მთელ სიმაღლეზე ასდევს.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, ჩრდ-იდან და დას-იდან. თითოეული მათგანი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან თაღოვანი.

საკურთხეველი ნახევარწრიული აფსიდისა და მის წინ მდებარე ბემისგან შედგება. საკურთხევლის გვერდებზე მოწყობილია გეგმით კვადრ., თითო, მცირე სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე, რ-ებსაც შესასვლელი, ჯვრის შესაბამისი მკლავიდან აქვს. გარდა ამისა, სათავსები, ბემის კედლებში მოწყობილი თითო, თაღოვანი კარით, საკურთხეველთანაც არის დაკავშირებული. ორივე სათავსი აფსიდიანია, განათებულია აფსიდის ღერძზე გაჭრილი ვიწრო, თაღოვანი სარკმლით. სამხრ.-აღმ. სათავსის სამხრ. კედელში კარია, რ-იც



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

გარშემოსავლელის შემორჩენილ ნაწილ'ში გადის (მუსლოვის ანაზომზე კარი დატანილი არ არის, შესაძლოა, იგი მომდევნო ხანებშია გაჭრილი).

გუმბათის ყელის თითოეულ წახნაგში გაჭრილია თითო, ვიწრო და მაღალი სარკმელი. გუმბათის ყელი (დიამ. დაახლ. 3,5 მ-ია) გუმბათქვეშა კვადრატზე ოდნავ ვიწროა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა განხორციელებულია მცირე ზომის, შეისრულთაღოვანი, ბრტყელი აფრებით. გუმბათქვეშა თაღები, დანარჩენი თაღების მსგავსად, შეისრული ფორმისაა. სარკმლებისა და შესასვლელების თაღები კი ნახევარწრიულია. გუმბათქვეშა თაღები ეყრდნობა მაღალ, განსაკუთრებული პროფილის მქონე კაპიტელებს, რ-თა შეზნექილი ნაწილი დამუშავებულია წიბოვანი ელემენტებით. ამგვარადაა დამუშავებული ჩრდ. და სამხრ. კედლებზე არსებული კრონშტაინებიც, რ-ებსაც გუმბათქვეშა ბოძებიდან შესაბამისს კედლებზე გადაყვანილი თაღები ეყრდნობა.

ჯვრის ოთხივე მკლავი შეისრული კამარითაა გადახურული. შეისრული ფორმისაა ბემის კამარაც და დას. კუთხის სივრცეების კამარებიც. დას. მკლავის კამარის შუაში შეკიდული საბჯენი თაღია, რ-საც საფეხურებად დამუშავებული ბოლოები აქვს.

ინტერიერი კარგადაა განათებული. თითოეული მკლავის ღერძზე თითო, ვიწრო, მაღალი სარკმელია. ორ-ორი სარკმელია დას. მკლავის ჩრდ. და სამხრ. კედლებში. გარდა ამისა, თითო, პატარა სარკმელი დას. კუთხის ნაწილების ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა.

ტაძარს სამი მხრიდან კარიბჭეები ეკეროდა, რ-ებიც ერთიან გარშემოსავლელს ქმნიდნენ. მისგან ამჟამად შემორჩენილია, მხოლოდ გვერდითი ფრთების აღმ. ნაწილები. მათგან ჩრდ-ით მდებარე (მთავარანგელოზთა სახელობისა?) წარმოადგენს დაბალ, ცილინდრული კამარით გადახურულ სათავსს, რ-იც აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. აფსიდის სამხრ. გვერდში ერთი, სწორკუთხა ნიშაა, ჩრდ. გვერდში კი – ორი. მათგან ერთი, შედარებით მოზრდილი – გეგმით ნახევარწრიულია და კონქითაა დასრულებული, მეორე კი სწორკუთხაა. აფსიდის იატაკი დანარჩენზე ერთი საფეხურით მაღალია. აფსიდის შუაში დგას კუბური ფორმის ტრაპეზი. სათავსის ჩრდ. კედელში ერთი, თაღოვანი სარკმელია. იგი, ისევე როგორც დას. კედელი, ეკლესიის აგებიდან მოკლე ხანშია გაჭრილი, როგორც ჩანს, XVI ს-ის ბოლოს, მაშინ, როდესაც გარშემოსავლელის ჩრდ. ფრთის ნაწილი დამოუკიდებელ სამლოცველოდ აქციეს.

გარშემოსავლელის უფრო მცირე ზომის ნაწილი სამხრ. მხრიდანაა შემორჩენილი. ესაა გეგმით კვადრ., შეისრულკამაროვანი სათავსი, რ-იც აღმ-ით ღრმა, დაბალი აფსიდით სრულდება. აფსიდში თაღოვანი სარკმელია მოწყობილი. მის აქეთ-იქით კი თითო, ღრმა, შეისრულთაღოვანი ნიშაა. სათავსს შესასვლელი, ეკლესიის სადიაკვნის გარდა, დას-იდანაც ჰქონია. მო-

გვიანებით იგი ამოუშენებიათ და შიგნიდან განჯინა მოუწყვიათ. გარშემოსავლელის ორივე ნაწილის იატაკი მოგებული ყოფილა ექვსწახნაგა, ცისფრად მოჭიქული შორენკეცებით.

თავდაპირველად, ინტერიერი მთლიანად იყო მოხატული. გამოსახული იყო დღესასწაულთა ციკლი, ქრისტეს ვნებანი, სასწაულები და ქადაგებანი, სცენები წმ. ნიკოლოზის ცხოვრებიდან, ღვთისმშობლის აკათვისტო, დიდი რაოდენობით წმინდანები, წინასწარმეტყველები და წმ. მოწამეები. აღსანიშნავია ამ დროისთვის უჩვეულო, მრავალფეროვანი, სხვადასხვა ზომის ორნამენტი.

გუმბათში, მის ყელსა და აფრებზე მოხატულობა მთლიანად განადგურებულია. საკმაოდ ვიწრო, მაგრამ მაღალ საკურთხეველში ხუთი რეგისტრი იყო. კონქში გამოსახული იყო მთავარანგელოზებით ფლანკირებული, ღვთისმშობელი ყრმით. კომპოზიცია საკურთხევლის ერთ მესამედს იკავებდა. ეს რეგისტრი გამოყოფილია ორნამენტის (რომბებში ჩახატული ჯვრები) განიერი ზოლით. მის ქვემოთ გამოსახული იყო *საიდუმლო სერობა*, შემდეგ – *ზიარება პურითა და ღვინით*. ამ ორი რეგისტრის გამყოფად გამოყენებულია მცენარეული ორნამენტის ზოლები. ზედა, სამი რეგისტრის უდიდესი ნაწილი განადგურებულია. სცენები დადგინდა ტრად., იკონოგრაფიული დეტალების მიხედვით.

მეოთხე რეგისტრში ორი სცენაა: მარცხნივ – *ფერხთა ბანა*, მარჯვნივ კი – *ლოცვა გეთსამანიის ბაღში*. სცენები ერთმანეთისგან სარკმლითაა გაყოფილი. ამ ეკქარისტულ სიუჟეტებს ასრულებს ლიტურგიული სცენა – *მსხვერპლის თაყვანისცემა* და ბემის ქვედა ნაწილში გამოსახული ძველი აღთქმის ორი კომპოზიცია: *იონა, რ-საც შთანთქავს კეშაი* და *აბრაამის მსხვერპლშეწირვა*.

ჩრდ. და სამხრ. მკლავები განიერი, სხვადასხვა ტიპის ორნამენტებით დაყოფილია თანაბარი რაოდენობის, სწორ, სარკისებრად სიმეტრიულ რეგისტრებად. ჩრდ. მკლავის აღმ. და



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. აღმ. ფასადი, ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ჩრდ. კედლებზე ოთხ-ოთხი რეგისტრია, დას. კედელზე კი – სამი. ზუსტად ასევეა დაყოფილი სამხრ. მკლავიც. ამ ორ მკლავში გამოსახულია ქრისტოლოგიური ციკლი – საუფლო დღესასწაულები, ქრისტეს ვნებანი, ქადაგებანი და სასწაულები. სახარების ეპიზოდების გადმოცემისას, ძირითადად, დაცულია ისტ. თანამიმდევრობა, თუმცა, ზოგიერთი თემა განსაკუთრებით ხაზგასმულია. მაგ.: სამხრ. მკლავში, სადაც თხრობა იწყება, ძირითადად, მოცემულია ტრაგიკულ მოვლენებამდე მომხდარი სცენები: *ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ლაზარეს აღდგინება* (მიგვანიშნებს მაცხოვრის აღდგომაზე), *იერუსალიმს შესვლა* და *ამაღლება* (ქრისტეს დიდება).

ჩრდ. მკლავში შემდეგი სცენებია: *ფერისცვალება* და *ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა*.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. აღმ. ფასადი, დეტალი

ისტორიულად ვნებათა ციკლს ეკუთვნის ყველაზე დრამატული სცენები: *ჯვარცმა* და *დატირება* (ეს უკანასკნელი არ შედის თორმეტ დღესასწაულთა ციკლში, მაგრამ მხატვარმა იგი ჩართო ტრაგიკულობის გასაძლიერებლად). აღდგომის იდეას გამოხატავს მომდევნო სცენა: *მენელსაცხებლე დედანი უფლის საფლავთან*. ამ მკლავის მოხატულობას ასრულებს *სულიწმინ-*

დის მოფენა. ორივე მკლავში ქრისტეს სასწაულების თითო, დიდი ზომის სცენაა.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. აღმ. ფასადი, დეტალი

დას. მკლავის და სამხრ.-დას. კუთხის სივრცის მოხატულობა მთლიანად ეძღვნება ტაძრის პატრონს – ღვთისმშობელს. სამხრ.-დას. მკლავებსშორისი სივრცის დას. და სამხრ. კედლებზე, სამ რეგისტრად, მოთავსებულია ღვთისმშობლის აკათვისტო. აქ არსებული რამდენიმე სცენა კარგად არის შემონახული: *უბიწო ჩასახვა*, მარიამის თაყვანისცემის რამდენიმე ეპიზოდი, *მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა* და აკათვისტოში ჩართული სამეფო ოჯახის ჯგუფური პორტრეტი – ლევან მეფე, თინათინ დედოფალი და უფლისწული ალექსანდრე. ამ პორტრეტს არ ახასიათებს ქტიტორთა გამოსახულების ტრად. ნიშნები. იგი მოთავსებულია საკმაოდ შეუმჩნეველ ადგილას, ზომით ისეთივეა, როგორც აკათვისტოს სხვა სცენები – მდიდრულ კოსტიუმებში გამოწყობილ მეფესა და დედოფალს გვირგვინები ადგათ თავზე. სამივე ფიგურა ვედრების პოზაშია. აღსანიშნავია, რომ შეიმჩნევა პერსონაჟების აშკარა, პორტრეტული მსგავსება ნეკრესის მონასტრის სამეკლესიიანი ბაზილიკის მოხატულობაში წარმოდგენილ, ისტორიულ პირებთან.

ტრადიც. და, ამავე დროს, ლევანის მეფობის დროინდელი ყველა მოხატულობისთვის დამახასიათებელი გამოსახულების, ქტიტორული პორტრეტის ჩართვას ახალი შუამთის ანსამბლში თავისებური ახსნა აქვს: ვინაიდან, განქორწინების შემდეგ, თინათინი აღარ იყო დედოფლის ტიტულის მატარებელი, ამავე დროს, თავისივე აშენებულ მონასტერში მონაზვნად იყო აღკვეცილი და მისი გამოსახვა, როგორც საერო პირისა, მიუღებელი იყო. მან გამოიყენა საკმაოდ გონებამახვილური ხერხი – თავისი ოჯახის გამოსახულება ჩაართვევინა აკათვისტოს ციკლში, რადგან ამ ციკლში მეფის ოჯახის ჩართვა მიღებული იყო.

საუფლო დღესასწაულების ბოლო სიუჟეტი – *მარიამის მიძინება* ტრადიციულად დას.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბოძი

175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ



მკლავის დას. კედელზეა. ამ გრანდიოზულ სცენას უჭირავს ზედა, ორი რეგისტრი. მარიამის სასთუმლის ქვემოთ ვიწრო, გრძელი სარკმელია. ის ორად ყოფს ავფონიუსის ხელების კვეთის ეპიზოდს, რ-იც კომპოზიციურად გაერთიანებულია მიძინების სცენასთან. ამ სცენის ქვემოთ, ამავე სარკმლის ორივე მხარეს, დიდ მედალიონებში იოაკიმესა და ანას ნახევარფიგურებია, ხოლო სარკმლის ქვემოთ, კედლის მთელ სიგანეზე, დას. კარის თავზე ქრისტე ევმანოელის თაყვანისცემაა, რ-იც აკათვისტოს მეთექვსმეტე სტროფის ილუსტრაციას წარმოადგენს.

დას. მკლავის ჩრდ. და სამხრ. კედლებზე გამოსახული არიან

წინასწარმეტყველები დავითი და სოლომონი, რ-თაც გახსნილი გრაგნილები უჭირავთ. საინტერესოა, რომ დავითის გრაგნილზე ქართ. ტექსტია, სოლომონისაზე კი – ბერძნ. შინაარსით ორივე ღვთისმშობლის მიძინებას ეძღვნება.


ამრიგად, დას. მკლავის მოხატულობა მთლიანად ეძღვნება ღვთისმშობლის დიდებას.

ჩრდ.-დას. მკლავებშორისი სივრცის მოხატულობა კი წმ. ნიკოლოზს ეძღვნება. აქ ნაწილობრივაა შემორჩენილი შემდეგი სცენები: *სასწაული სამი ქალწულის შესახებ, სასწაული ზღვაზე* და *სასწაული ნიკეაში*, აგრეთვე წმ. ნიკოლოზის დიდი გამოსახულება წელამდე.

ზოგადად წმ. ნიკოლოზის თემა, ანუ ჩაგრულთა დაცვის *თემა, დაკავშირებულია* გარდაცვლილთა კულტთან. თინათინი დაკრძალულია წმ. ნიკოლოზის გამოსახულების ქვემოთ. სავარაუდოდ, დედოფალმა, როგორც დამკვეთმა, თავისი ადგილის შესამკობად საქართველოსთვის ნაკლებად პოპულარული, იკონოგრაფიული თემა აირჩია, რადგანაც სიცოცხლეში თავს ალბათ დაჩაგრულად გრძნობდა (უიღბლო ქორწინების გამო), ხოლო გარდაცვალების შემდეგ წმ. ნიკოლოზის პატრონობის ქვეშ სურდა ყოფნა.

ტაძრის მოხატულობის მდიდარ, ეპოქისთვის დამახასიათებელ, იკონოგრაფიულ პროგრამაში მთავარი ადგილი უჭირავს უფლისა და ღვთისმშობლის თემებს. ძირითადი იდეები კი არის – ცოდვების გამოსყიდვა, აღდგომა, ქრისტიანობის ზეიმი, მარიამისა და იესოს დიდება.

მოხატულობის სისტემა კარგადაა გააზრებული და მისი სქემა ორგანიზებულადაა განთავსებული შიდა სივრცეში. ძირითადი პრინციპი, რითაც მხატვარი აღწევს ამას, არის ტექტონურობა და სიმეტრია. ინტერიერი მკაფიოდაა დაყოფილი სწორ, სიმეტრიულ მონაკვეთებად, რისთვისაც უხვადაა გამოყენებული ფართო, ხშირ შემთხვევაში მცენარეული ორნამენტის ზოლები. ამავე დროს, მხატვრობა გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციურობით, რ-იც მიღწეულია, როგორც ფიგურების ექსპრესიული პოზებით, რთული, არქიტ. დაგრძელებული პროპორციები, თავები – პატარა, სახეები – ლამაზი, დახვეწილი.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, *ქრისტეს დატირება*

და კლდოვანი ფონებით, ასევე კოლორიტით. ფერთა გამა ძალზე დახვეწილია და მრავალფეროვანი. გამოყენებულია: მეწამული, ლურჯი, მწვანე, თეთრი, ყვითელი ოქრა, ვარდისფერი, სალათისფერი, ნაცრისფერი. უხვადაა გამოყენებული ოქროს საღებავი. ეპოქის ნიშნებია: ფიგურების ახალი შეამთის მხატვარი, კახეთის ამ პერიოდის სხვა ძეგლებისგან (ზემო ალვანი, ხაშმი, გრემი, ნეკრესი) განსხვავებით, ნიმუშად იღებს მისტრის მოხატულობებს, რ-იც გამოირჩევა კომპოზიციის სივრცობრივი აგებით, ფიგურების პოზების ძლიერი ემოციურობით, რთული,



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, *სულიწმინდის მოფენა*

არქიტ. და კლდოვანი ფონებით, მდიდარი და ექსპრესიული კოლორიტით.

ახალი შუამთის მხატვრობა მაღალი კლასისაა და ღვან კახთა მეფის მმართველობის დროინდელ, სხვა მოხატულობებთან ერთად, ღირსეულ სადების მორთულობის ელემენტებია ასევე: ცისფრად მოჭიქული ფილებით გამოყვანილი, შეღრმავებული ჯვრები, რომბები და მცირე დეკორატ. სახეები.

ტაძრის გარეგანი სახის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა გარშემოსავლელის კორპუსსაც, რ-ის უმეტესი ნაწილი XIX ს-ში მთლიანად დაანგრიეს.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, *ქრისტეს ამაღლება*

ადგილს იკავებს ამ ეპოქის კედლის მხატვრობაში.

ეკლესიის გარეგანი ფორმები სრულ შესაბამისობაშია შიდა სივრცის სტრუქტურასთან. შენობის პროპორციების აზიდულობის გარეგნული გამოვლინება ბევრად უფრო შთამბეჭდავია, რაც, მნიშვნელოვანწილად, კედლების სიბრტყეების დეკორატ. დამუშავებითაა განპირობებული. ფასადებზე ძირითადი ნაწილია ჯვრის მკლავის შესაბამისი სიბრტყე, რ-იც დამრეცი ფრონტონითაა დასრულებული და დანარჩენ ნაწილებზე გაცილებით მაღალია. მკლავის აქეთ-იქით კი, დაბალი, კუთხეების ცალფერდასახურავებიანი ნაწილებია განლაგებული. კედლის ზედაპირი ორპლანიანია. წინა – კედლის ძირითადი სიბრტყეა, უკანა – შეისრულთაღოვანი და სწორკუთხა, შეღრმავებული არეები, მათში ჩაწერილი, შეისრული თაღებით. ფასადების მორთულობის ელემენტებია ასევე: ცისფრად მოჭიქული ფილებით გამოყვანილი, შეღრმავებული ჯვრები, რომბები და მცირე დეკორატ. სახეები.

ტაძრის გარეგანი სახის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა გარშემოსავლელის კორპუსსაც, რ-ის უმეტესი ნაწილი XIX ს-ში მთლიანად დაანგრიეს.

ეკლესიის აღმ. ფასადი თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. დანარჩენი ფასადებისგან განსხვავებით, აქ კედლის ქვედა ნაწილი (დაახლ. 1,4 *მ* სიმაღლეზე) ნატეხი ქვითაა ამოყვანილი, დანარჩენი ნაწილი კი, აგურისაა. გარდა ამისა, ეს ფასადი დეკორ. დაკვალვითაცაა გამორჩეული – მნიშვნელოვნად დეტალიზებულია და გართულებული. შიდა სივრცის შესაბამისად, საფასადო სიბრტყე დანაწევრებულია შეისრულთაღოვანი, შეღრმავებული არეებით. ე. ი. ჯვრის მკლავის შესატყვისი არე მაღალია, მის გვერდებზე არსებული არეები კი – დაბალი. არეები ჩასმულია საფეხურით შეღმავებულ, სწორკუთხა ჩარჩოში. ამ არეებს, შესაბამისი გვერდების მხრიდან, შეერთვის გარშემოსავლელის კედლის სიბრტყე – თითო შეისრულთაღოვანი არით, რ-იც გლუვზედაპირიანია და მათ მოსაზღვრე არეზე უფრო დაბალი. არეებს შორის პილასტრისებრი შვერილებია, რ-ებიც მათ ერთმანეთისგან გამოყოფს. ფასადის ცენტრ. არეზე, საკურთხევლის სარკმლის ოთხივე მხარეს, გამოყვანილია თითო, შერღმავებული, სწორკუთხა სიბრტყე. ზედა ნაწილში კი, უჩვეულოდ დიდი, გართულებული კონფიგურაციის, შეღრმავებული ჯვარი. მსგავსი ჯვარია გამოსახული დანარჩენი მკლავების ღერძებზეც. მომიჯნავე, გვერდითი არეებიც შეისრული თაღითაა დასრულებული. თვით თაღი ჩასმულია სწორკუთხა ჩარჩოში, თაღის არეში კი, ორრიგად განლაგებული, ერთმანეთზე გადაბმული პატარა, დეკორ. თაღებია გამოყვანილი (ქვედა რიგში სამი თაღია, ზედაში – ორი), რ-თა შორის, წყობაში ჩართული, ცისფერი ფილებით გამოსახულია თითო მცირე, დეკორატ. ელემენტი. ორივე შეღრმავების შუაში საკურთხევლის გვერდებზე არსებული სათავსების სარკმელი გამოდის, რ-თა ქვემოთ თითო, სწორკუთხა შეღრმავებაა.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, წმინდანი

დას. ფასადის გვერდით ნაწილებში, ერთიმეორის ზემოთ, ორ-ორი, შეისრულთაღოვანი არეა. მსგავსი ორ-ორი არეა ჩრდ. და

სამხრ. ფასადების დას. ნაწილში. მათ შორის ჩრდ. ფასადზე არსებული არეებიდან ორივე სხვადასხვა სიგანისაა და, რაც მთავარია, სიმაღლის. შუა, რ-შიც ეკლესიის შესასვლელია გაჭრილი, განაპირა, მომიჯნავე არეზე დაბალია.

სამხრ. ფასადზე არეები არა მარტო ზომით, არამედ ფორმითაც განსხვავდება. მათგან ერთი, დას. განაპირა – სწორკუთხაა, მეორე შეისრულია.

ოთხივე მკლავის გვერდითი კედლები მორთულია ერთრიგად განლაგებული, დეკორ. თაღებით, რ-ებიც ჩასმულია ხერხულა ფრიზით დასრულებულ, სწორკუთხა ჩარჩოში. აღმ. და დას. მკლავების კედლებზე სამ-სამი თაღია, სამხრ. და ჩრდ. მკლავების კედლებზე კი – ორ-ორი. დას. მკლავის ორივე კედელზე, შუა თაღის ზემოთ, ცისფრად მოჭიქული ფილებით შედგენილი, დეკორ. ჯვრის გამოსახულებაა, განაპირა თაღების ზემოთ კი – თითო რომბის. თითო რომბია გამოსახული ჯვრის სამხრ. და ჩრდ. მკლავების გვერდით კედლებზეც.

ჯვრის მკლავები და გუმბათის ყელის საფუძვლის ოთხივე კუთხის კედლები დასრულებულია საკმაოდ მაღალი, შირიმის ქვით ნაწყობი, პროფილირებული (თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი) ლავგარდნით, რ-ის, ალაგ-ალაგ, მომტვრეული ნაწილები დუღაბითაა შევსებული. განსხვავებული სახის ლავგარდნითაა დასრულებული ჯვრის მკლავებს შორის მოქცეული ნაწილების კედლები. ოთხივე ნაწილის ლავგარდანი საფეხურებადაა დამუშავებული, მაგრამ აღმ-ით მდებარე ნაწილების ლავგარდნის საფეხურები აგურის ჩვეულებრივი წყობით კი არ არის გამოყვანილი, როგორც დას. ნაწილებისა, არამედ წყობიდან შვერილი, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებული, ბოლოებმომრგვალებული აგურებით, რაც მის დეკორატიულ მხარეს მნიშვნელოვნად ზრდის.


ფასადთა დანაწევრების ხერხებთან და ელემენტებთან შესაბამისობაშია გუმბათის მორთულობაც. გუმბათის ყელის წიბოებს მთელ სიმაღლეზე, ლავგარდნამდე, აუყვება თითო ლილვი, რ-იც ორ ადგილას „გატეხილია“. ლავგარდნის ოდნავ ქვემოთ გავლებულია ჰორიზ. ლილვი, რ-ის ზემოთ, მასსა და ლავგარდანს შორის, გლუვი არე რჩება. ლილვს ქვემოთ, თითოეული წახნაგის ზედაპირი დანაწევრებულია სხვადასხვა სიმაღლის, ორ-ორ, სწორკუთხა არედ, რ-თა შორის ქვედა, თითქმის სამჯერ უფრო მაღალია. არეები ერთმანეთისგან გამიჯნულია აგურის სამი რიგისგან შედგენილი ზოლით. ქვედა არის ზედა ნაწილში შეისრული თაღი ისეა გამოყვანილი, რომ თაღსა და არეების გამმიჯნავ ზოლს შორის მცირე მანძილია დარჩენილი. თაღის ფარგლებში, ცისფრად მოჭიქული ფილების კომბინირებული წყობით, გამოყვანილია პატარა, ტოლმკლავა ჯვრის მსგავსი გამოსახულება. მის ქვემოთ კი, ხერხულა ზოლით დასრულებული ვიწრო, მაღალი შეღრმავებაა, რ-შიც სარკმელია გაჭრილი. გუმბათის ყელი დაგვირგვინებულია საფეხურებად დამუშავებული ლავგარგნით. გუმბათი გადახურულია თუნუქით შემოსილი, პირამიდისებრი სახურავით.



175. ღვთისმშობლის შობის ეკლ. ინტერიერი, წინასწარმეტყველი სოლომონი

ეკლესიის ჩრდ.-დას-ით დგას მონასტრის თანადროული ს ა მ რ ე კ ლ ო (ძირითადი გაბარიტებია: 8,8x8,2 მ, სიმ. გუმბათის წვერომდე 25 მ-მდეა), რ-იც გადმოცემის თანახმად, აუგია დედოფალ თინათინის ძიძას. ის ფაქტი, რომ სამრეკლო ტაძართან ერთდროულადაა აგებული, დასტურდება იმითაც, რომ იგი მოხსენიებულია რუსეთის მეფის ელჩების მიშეცკის და კლიუჩარევის მუხლობრივ სიაში, 1640-1643 წწ-ში მათი კახეთში ელჩობისას. სამრეკლო ოთხსართულიანია. პირველი სამი სართული მონაზვნად აღკვეცილი თინათინ დედოფლის საცხოვრებელ და მისაღებ აპარტამენტებს წარმოადგენდა. IV სართული – ფანჩატურს. შენობა 1833 წ. ძლიერ დაუზიანებია მეხს. XIX ს-ის ბოლოს, რუსული საეკლესიო მმართველობის პერიოდში, სამრეკლომ არსებითი აღდგენა-გადაკეთებები განიცადა, რამაც მას მნიშვნელოვნად შეუცვალა თავდაპირველი სახე.


სამრეკლოს I სართულზე (სიმ. – 7 მ-მდეა), განთავსებული იყო დიდი დარბაზი, რ-იც სამხრ-იდან ნათდებოდა სამი დიდი სარკმლით (XIX ს-ში დარბაზი ორ სართულად გაუყვიათ, რის შემდგომაც, მალევე, სამხრ.




175. სამრეკლო. I სართულის გეგმა

კედლის ადგილზე, თაღი მოუწყვიათ). დარბაზს ჰქონდა ორი შესასვლელი: მთავარი – დას-

იდან, ხოლო მეორე, შიდა დანიშნულებისა – აღმ-იდან. დარბაზში, ორივე შესასვლელის გვერდებზე, არაღრმა ნიშებია. დარბაზის ოთხივე კედლის სიბრტყე საფეხურითაა შეღრმავებული და დასრულებულია შეისრული თაღით. დარბაზი გადახურულია დადაბლებული პროპორციების, გუმბათოვანი კამარით (ამჟამად სახეშეცვლილია), რ-იც კუთხეებში მოწყობილ, შეისრულთაღოვან აფრებს ეყრდნობა.



175. სამრეკლო. II სართულის გეგმა




175. სამრეკლო. III სართულის გეგმა

II სართულზეც ერთი დარბაზია. იგი, ქვედა სართულის დარბაზთან შედარებით, ოდნავ მცირე ფართობისაა, მაგრამ ბევრად უფრო დაბალი (სიმ. ცენტრ. ნაწილში – 5 მ-მდეა). დარბაზის ძირითად, კვადრ. სივრცეს ოთხივე მხრიდან ერთვის შეისრული კამარით გადახურული, დაახლ. 1,1 მ სიღრმის ლივანები. დარბაზში შესასვლელი აღმ-იდანაა – კედელში მოწყობილი კიბის უჯრედიდან. ამ კარის შესაბამისად, ამავე კედლის სამხრ. კიდეში, მეორე კარია. იგი გადის მცირე ზომის ოთახში, რ-ის აღმ. კედელში განიერი, თაღოვანი ღიობია, სამხრ-ით კი – სარკმელი. დარბაზი კარგად იყო განათებული. სამხრ-ით და ჩრდ-ით ორ-ორი, განიერი, სწორკუთხა სარკმელია, დას-ით – ერთი. ლივანებში რამდენიმე სწორკუთხა ნიშაა – სამხრ. და ჩრდ. კედლებში სარკმლებს ზემოთ, დას. კედელში, სარკმლის გვერდებზე და მათ ზემოთ. დას. ლივანის სამხრ. და ჩრდ. კედლებში, იატაკიდან 0,5 მ სიმაღლეზე, სწორკუთხა გასასვლელია (სიგ. – 0,7 მ, სიმ. – 0,8 მ) სამხრ-ით და ჩრდ-ით მოწყობილ, მცირე ზომის საკუჭნაოში. დარბაზი გადახურულია დაბალი გუმბათით, რ-ის წრიული საფუძველი, ისევე როგორც ქვედა სართულის გუმბათოვანი კამარისა, შექმნილია კუთხეებში განლაგებული, მხატვრულად დამუშავებული აფრებით.

III სართულის შესასვლელიც აღმ-იდანაა, საერთო კიბის უჯრედიდან. სართულის ფართობის უმეტესი ნაწილი ლოჯიას უკავია, რ-იც შედგება ხუთი დამოუკიდებელი, ერთმანეთთან დაბალი, სწორკუთხა გასასვლელებით დაკავშირებული ნაწილისგან. შენობის სამ მხარეს. დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით სართული თაღედითაა გახსნილი: ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე ორ-ორი თაღია, დას. ფასადზე – სამი (განაპირა თაღები ამოშენებულია მოგვიანებით). თაღები თანაბარი სიგანისაა, დაყრდნობილია სწორკუთხა ბოძებზე. გარედან თაღედი III სართულის დას. კედლის მთელ ფრონტზეა, ჩრდ. და სამხრ. კედლებზე კი – 3/4-ზე. ლოჯიის თითოეული ნაწილი საგანგებოდაა გაფორმებული. სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. კუთხის ნაწილები გეგმით კვადრატულია, გადახურულია აფრებზე დაყრდნობილი გუმბათოვანი კამარით. დანარჩენი სამივე ნაწილი კი სწორკუთხაა – შეისრულკამაროვანი. სამივე მათგანის კედლის შუაში ნიშაა, საიდანაც, სართულის შუა ნაწილში მდებარე, ბნელი სათავსისკენ (სიმ. – 1 მ-მდეა), მიემართება ვიწრო, კვადრ. კვეთის, საჰაერო ხვრელი. სართულის სამხრ.-აღმ. კუთხეში შეკრული კამარით გადახურული, კვადრ. ოთახია (ფართ. დაახლ. 7 კვ მ), რ-საც შესასვლელი დას-იდან, ლოჯიიდან აქვს. ოთახის აღმ. კედელში სარკმელია. დას. კედელში, ოთახის ჩრდ.-დას. კუთხეში მოწყობილი სკამის ზემოთ – მცირე ზომის (0,5x0,5 მ) ხვრელი, რ-იც ბნელი სათავსისკენ მიემართება.

IV სართული თაღებით გახსნილი, ექვსწახნაგა ფანჩატურია. შიგნით იგი მაღალია, ვრცელი. გადახურულია გუმბათოვანი კამარით, რ-ის წრიულ საფუძველს კუთხეებში განლაგებული აფრები ქმნის. ფანჩატურის თითოეუ-




175. სამრეკლო. ფანჩატურის გეგმა

ლი წახნაგის შუაში მოწყობილია შეისრულთაღოვანი ღიობი, რ-იც შიგნიდან ჩასმულია კედლის საფეხურით შეღრმავებულ არეში. იგი იატაკიდან იწყება და დასრულებულია შეისრული თაღით. ღიობი გარედანაც კედლის შეღრმავებულ ნაწილში ზის, მაგრამ ეს უკანასკნელი, გაცილებით მცირე ზომისაა და კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი ფრიზით, თარაზულადაა დასრულებული.

კოშკის კიბის უჯრედში (სიგ. – 1,1 მ) შესასვლელი სამხრ. ფა-

სადის აღმ. კიდეშია. კიბე მიწის დონიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე იწყება და აღმ. კედლის გასწვ-



175. სამრეკლო. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

რივ, სამხრ-იდან ჩრდ-ისკენ მიემართება. კედლები და საფეხურები აგურისაა. საფეხურებს წინა პირი გამოყვანილი ჰქონია ხის ძელებით. უჯრედის ჭერიც საფეხუროვანია, გათლილი ძელებით შესრულებული. II სართულის შესასვლელის წინ კიბე მცირე მუხლს იკეთებს, შემდგომ ხრახნულად ტრიალდება და საპირისპირო მიმართულებით, ჩრდ-იდან სამხრ-ისკენ მიემართება. კიბის უჯრედი განათებულია მოხერხებულად განლაგებული, მომცრო სარკმლებით. II სართულის ოთახის შესასვლელის მოპირდაპირედ სარკმელია. კიდევ ერთი სარკმელი აღმ-იდან, IV სართულის იატაკის დონეზეა. იგი კიბის ხრახნულა ნაწილს აშუქებს. კიბის ბოლო მუხლი, აღმ-იდან დას-ით მიემართება და ფანჩატურზე ადის. იგი გადახურულია აგურით ნაწყობი, შეისრული კამარით და აღმ. კედელში გაჭრილი, მცირე ზომის სარკმლითაა განათებული.


სამრეკლოს კორპუსში არაერთი, ცარიელი სივრცეა. მათგან ერთი – I და II სართულებს შორისაა, კიბის უჯრედის თავზე. ოთახი დაახლ. ადამიანის სიმაღლისაა. გეგმით ირეგულარული. ამ სივრცეში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ კიბის უჯრედიდან, ბოგირის მეშვეობით. ოთახი აღმ-იდან მცირე სარკმლითაა განათებული. სარკმლის სამხრ-ით, კუთხეში, ბუხარია, ხოლო დას. კედელში კედლის კარადა. ასეთივე კარადაა ჩრდ. კედელში, შესასვლელი ღიობის თავზე. სადგომი გადახურულია თარაზულად – ხის ძელებით.

სამრეკლოს ჩრდ.-აღმ. კუთხეში, ზემოაღნიშნული სადგომის დონეზე ოდნავ დაბლა, კიბის ქვეშ, კიდევ ერთი სადგომია (სიმ. 1,5 *მ*-მდეა), რ-საც შესასვლელი ჩრდ-იდან ჰქონია, სამრეკლოზე ამ მხრიდან მოგვიანებით მიშენებული ნაგებობის სხვენიდან. აღმ-იდან კი, სარკმელია. გარდა ამისა, სამრეკლოს ამავე ნაწილში, კიბის ზედა მარშის ზემოთ, კიდევ არის მცირე სივრცე, პატარა სარკმლებით აღმ-იდან.

დაბოლოს, კიდევ ერთი სათავსი (გუშაგის სადგომი?) მოწყობილია კიბის ქვეშ, მიწის დონეზე. მასში მოხვედრა შესაძლებელია დარბაზის სათადარიგო შესასვლელის წინ მდებარე გასასვლელიდან. სათავსში აღმით, ერთი მცირე სარკმელია გაჭრილი.

შენობის ფასადები სადაა, მოკლებულია დეკორატიულ გაფორმებას. სამხრ. ფასადზე გამოყვანილია შეღრმავებული, სწორკუთხა არე (სიმ. დაახლ. 5 *მ*), რ-შიც I სართულის დარბაზის სამი სარკმელია ჩასმული. მსგავსს შეღრმავებებშია ჩასმული III სართულის ლოჯიის თაღები და სამრეკლოს ფანჩატურის ღიობებიც. თითოეული ამ შეღრმავების თავს კუთხით შვერილი აგურების რიგი გასდევს.

ფასადები დასრულებულია მაღალი, ხუთსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად ნაწყობი და კუთხით შვერილი აგურებისგან გამოყვანილი რიგების მონაცვლეო-



175. სამრეკლო. სამხრ. ფასადი

ბით. ანალოგიური ლავგარდნითაა დასრულებული ფანჩატურიც.

2007-2008 წწ-ში, საქართველოს კულტ. მემკვიდრეობის დაცვის სახელმწ. პროგრამით, ეკლესიას და სამრეკლოს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. პ. ნუცუბიძე, სამუშაოთა მწარმოებელი ი/მ ბ. ყაველაშვილი): კეთილმოეწყო მონასტრის ტერიტ. ეკლესიის ფასადები და გუმბათის ყელი მთლიანად გაიწმინდა ნალესობისგან. გუმბათის ყელზე გამოიცვალა ლავგარდნის და ლილვების დაზიანებული აგურები. შირიმის ქვით ნაწყობი ლავგარდნის ნაკლული ადგილები შეივსო იმავე პროფილის, ხელოვნური შირიმის ქვებით. სახურავებიდან მოიხსნა დაზიანებული გადახურვა. გაიწმინდა და მოეწყო მოთუთიებული თუნუქის ახ. საბურავი. ფასადებზე გამოიცვალა ყველა დაზიანებული აგური. სარკმლების ალათები შეიცვალა წაბლის ხისგან დამზადებული ალათებით. ეკლესიის ირგვლივ მოეწყო სარინი. დაკონსერვდა ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან, გაწმენდის შედეგად აღმოჩენილი, ნაგებობის ნაშთი. მონასტრის სამრეკლოს კედლები, შიგნიდან და გარედან, გაიწმინდა გვიანდ. ნალესობისგან. ინტერიერში, შელესილობის მოხსნის შემდეგ, გამოჩნდა კიდევ ერთი ოთახი. ფანჩატურზე მოიხსნა თუნუქის საბურავი, რ-ის ქვეშ გამოჩნდა სამრეკლოს თავდაპირველი, აგურით გამოყვანილი სახურავი. აღდგა ლავგარდნის დაზიანებული ნაწილები. კედლების საპირე წყობა გადაეწყო და რიგ შემთხვევებში შეიცვალა ახლით.



175. სამრეკლო. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

რესტავრაციის შედეგად ტაძარს და სამრეკლოს დაუბრუნდა ისტ. სახე.


თ. დვალი, მ. ვახნაძე.

ბიბლ.: 12; 17; 18; 62; 63; 71; 64; 74; 106; 107; 133; 240დ; 259; 263; 264; 277; 307; 317; 330; 335.

176. ეკლესია, (სკიტი) არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, ახალი შუამთის დედათა მონასტრის სიახლოვეს, ტყეში, 700-800 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (4,9x3,9 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა სწორხაზოვანია. შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი კედლის ჩრდ. კიდეშია მოწყობილი და გარედან ნახევარწრიული თაღი ხურავს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ცენტრში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის სარკმლის გარდა, ერთი მცირე, თაღოვანი სარკმელი დას. კედელშიცაა.

ეკლესიისთვის მოგვიანებით, ჩრდ. მხრიდან, მიუშენებიათ გეგმით სწორკუთხა, ეკლესიაზე რამდენადმე მცირე სამლოცველო (3,85x2,2 მ), რ-საც ზემოდან სამრეკლოს რვაწახნაგოვანი ფანჩატური ადგას. სამლოცველო ეკლესიაზე ისეა მიდგმული, რომ მათი დას. კედლები ერთ ხაზზე მდებარეობს. შესასვლელი სამლოცველოს დას-იდან აქვს. აღმ-ით კი ღრმა აფსიდია,



176. გეგმა

რ-ის ცენტრში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელი შესასვლელის თავზეცაა. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით, თითო, ოთხკუთხა ნიშაა (ჩრდ. ნიშა სამალავიანია), ქვემოთ კი, კედელზე, მიდგმულია ნახევარცილინდრული ფორმის ტრაპეზი. ნახევარცილინდრულია მელი. შიგნით სამრეკლო გადახურულია გუმბათოვანი კამარით. გარედან კი, აგურით ნაწყობი, პირამიდული ფორმის, რვაწახნაგოვანი სახურავით.

სამლოცველოს დას. ფასადზე, სარკმლის გვერდებზე, თითო ნიშაა (სამხრ. ნიშა თაღოვანია, ჩრდ-ისა – სწორკუთხა). სამლოცველოს სახურავი ცალფერდაა. იგი ეკლესიის სახურავის ჩრდ. ფერდის გაგრძელებაზეა.

ეკლ. შემოსაზღვრული ეზოფილა გალავნით, რ-იც საკმაოდ დიდ ფართობს ფარგლავდა. გალავანი, ისევე როგორც ეკლ. და სამრეკლო, აშენებულია რიყის ქვით, ალაგ-ალაგ ქართ. აგურის ჩანართებით. გალავანში დატანებულია ნიშები, მცირე შესასვლელები. შემორჩენილია სამეურნეო ნაგებობების კვალი, რ-ებიც, სავარაუდოდ, ხით იქნებოდა გადახურული.

2005-07 წწ-ში საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი არქიტ. პ. ნუცუბიძე): ეკლესიის ირგვლივ მოიჭრა მიწის ფენა. სახურავის კალთები გაიწმინდა მცენარეული საფარისგან. აღდგა კამარის და კედლების დანგრეული ნაწილები. ამოივსო კედლებში და კამარაში არსებული გამჭოლი ბზარები. აღდგა საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილი და აგურის, საფეხუროვანი ლავგარდანი, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. დაკონსერვდა გალავნის შემორჩენილი კედლები.

პ. ნუცუბიძე

ბიბლ.: 106.




176. ხედი ჩრდ.-დას-იდან

177. ეკლესია (სკიტი) არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, ახალი შუამთის დედათა მონასტრის სიახლოვეს, ტყეში, 700-800 მ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. საშ. სიმაღლის (მაქს. სიმ. – 1-1.5 მ) გალავნითაა გარშემორტყმული. ეს შემოზღუდული სივრცე გალავანზე მიშენებული საცხოვრ. და სამეურნეო ნაგებობებით, მცირე ზომის მონასტერს წარმოადგენს.

ეკლ. მცირე ზომის, დარბაზული ნაგებობაა (5,3x3,8 მ), აღმით ნახევარწრიული აბსიდით და შესასვლელით დას-იდან, რ-იც გარედან ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, შიგნიდან კი – სწორკუთხაა. სამხრ-იდან ეკლესიას ეკვრის მცირე სამლოცველო (3,4x2,3 მ), რ-საც ზემოდან შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან რვაწახნაგოვანი სამრეკლო ადგას. ნაგებობები ერთკამარაც. კამარის ჩრდ. ნაწილში მოწყობილია კვადრატ. ღიობი, რ-ითაც სამლოცველო სამრეკლოს უკავშირდება. სამრეკლო შიგნიდან მრგვალია, გარედან – რვაწახნაგოვანი. თითოეულ, ღერძულ წახნაგში მოწყობილია თითო, მაღალი, ვიწრო, თარაზულთავიანი სარკ-



177. გეგმა

მანეთის მიმართ ისეა განლაგებული, რომ მათი დას. კედლები ერთ ხაზზე მდებარეობს. ორივე რიყის ქვითაა ნაშენი. ალაგ-ალაგ გამოყენებულია კვადრ. აგურიც. ეკლესიასაც და სამლოცველოსაც ნახევარწრიული აფსიდი აქვს, რ-ის ცენტრში გაჭრილია დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელი. გვერდებში კი თითო, ოთხკუთხა ნიშაა. შიგნით ეკლ. გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით. ეკლესიის ფასადები დასრულებული იყო აგურის ჰორიზ. წყობით გამოყვანილი ლავგარდნით (ფრაგმენტები შემორჩენილია დას. ფასადზე).

სამლოცველოს აღმ. სარკმლის გარდა, ერთი მცირე, ოთხკუთხა სარკმელი სამხრ-ითაც აქვს, რ-იც გარეთკენაა ახრილი. ორივე ნაგებობას, შიგნით, ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარა ხურავს.

სამრეკლოს თითოეულ წახნაგში თითო, ვიწრო, მაღალი, თაღოვანი ღიობია მოწყობილი. სამრეკლო შიგნიდან გადახურულია გუმბათოვანი კამარით, გარედან კი – პირამიდული ფორმის აგურის სახურავით.

2005-07 წწ-ში საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი არქიტ. პ. ნუცუბიძე):

ეკლესიის მიმდებარე ტერიტ. ეკლესიის და სამრეკლოს სახურავები გაიწმინდა მიწისაგან და მცენარეულობისგან. გადაეწყო და ზოგან მთლიანად აღდგა ლავგარდნის დაზიანებული ნაწილები. კირისა და ცემენტის ნაზავით შეივსო ბზარები. გადაეწყო და აღდგა გამოქარული და დაზიანებული საპირე წყობა. მოწესრიგდა კარ-სარკმელთა ღიობები. იატაკი მოილესა კირის ხსნარით. ორივე ნაგებობა გადაიხურა ღარიანი კრამიტით, გადაეწყო და ზოგან აღდგა გალავანი.

პ. ნუცუბიძე.

ბიბლ.: 106.

178. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემო სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,6x3,7 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ქაოსურია.


შესასვლელი დას-ითაა. კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული და შიგნიდან საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული.

აღმ-ით, გეგმით ნახევარწრიული, ღრმა აფსიდის ცენტრში სარკმელია გაჭრილი, რ-ის ჩრდ-ით და სამხრ-ით მოწყობილია თითო, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიდგმული. დარბაზი გეგმით კვადრატულია (2,5x2,5 *მ*), გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით. შენობის ფასადები დასრულებულია ჩვეულებრივად ნაწყობი აგურის ორი რიგით შედგენილი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

ეკლ. შეკეთებულია სოფლის მაცხოვრებელთა მიერ: დაზიანებული ადგილები შელესილია ცემენტის ხსნარით. იატაკზე მოსხმულია ბეტონი. სახურავი დაბურულია თუნუქით.

ქ. გიორგობიანი.

179. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, მინდორში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (4,5x3,45 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. დაზიანებულია: ჩაშლილია სახურავის საფარი, ლავგარდანი, გარეთა კუთხეები და კედლების საპირე წყობის დიდი ნაწილი.



178. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

177. ხედი ჩრდ.-დას-იდან



შესასვლელი დას-იდანაა. კარი თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. ქვემოთ კი, კედელზე, კუბისებრი ფორმის ტრაპეზია მიდგმული. დარბაზი გეგმით კვადრატულია (2,1x2,1 *მ*), გადახურულია ქარგილზე სხმული კამარით.

ბ. კუპრეიშვილი.


180. ეკლესიების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. ნაწილში, ყარაულაანთ უბანში. კომპლექსი შედგება ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი, სხვადასხვა ზომის დარბაზული ეკლესიისგან. მათგან ჩრდ-ით მდებარე, რ-იც ზომით მეორე ეკლესიაზე თითქმის სამჯერ უფრო მცირეა, ღვთისმშობლის სახელობისაა; მეორე კი სვეტიცხოვლის სახელზეა აგებული.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. 2011 წელს გარემონტდა სოფლის მაცხოვრებელის ზ. ჩიკვაიძის თაოსნობითა და სახსრებით, რის შედეგადაც ეკლესიას მნიშვნელოვნად შეეცვალა თავდაპირველი სახე.

შენობა გეგმით სწორკუთხაა (6,1x4,6 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. წყობა ქაოსურია.

შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდან აქვს. დას. კარი კედლის ღერძიდან ოდნავ სამხრ-ითაა გადაადგილებული. ამჟამად კარის ღიობი გარედან განახლებულია. სამხრ-ისა კი ამოშენებულია ისე, რომ კარის თაღის არეში სარკმელია მოწყობილი.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია დაბალი, ცენტრიდან ოდნავ ჩრდ-ით გადაადგილებული, ოთხკუთხა სარკმელი. სარკმლის ქვემოთ დგას კედელზე მიყრდნობილი, ოთხწახნაგა, ზემოთკენ გაგანიერებული ტრაპეზი. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ოდნავ შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. გრძივ კედლებში, აფსიდის მხრებთან ახლოს, თითო მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.



180. ღვთისმშობლის ეკლ. გრძივ ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

გარედან კედლების მნიშვნელოვანი ნაწილები (ძირითადად ზედა) აღდგენილია. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის თაღი ჩასმულია აგურის წყობით გამოყვანილ, კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში (თავდაპირველია). ლავგარდანი ახალია – ტლანქი. იგი ორსაფეხურიანია, ნაწყობია კვადრ. აგურით. ორივე საფეხური აგურის, თითო რიგითაა გამოყვანილი. ქვედა საფეხურში აგურები კუთხითაა შვერილი, ზედაში კი ჩვეულებრივადაა დაწყობილი. ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.



180. ღვთისმშობლის ეკლ. ხედი სამხრ.-დას-იდან

ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, განეკუთვნება XIX საუკუნეს. ძირითადად ნაგებია აგურით, კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, რიყის ქვის თარაზული შრეების ჩართვით.


ეკლ. აღმ-ით დასრულებულია შვერილი, ძირითადი კორპუსისგან განიერი მხრებით გამოყოფილი საკურთხევლით, რ-იც შიგნიდან ნახევარწრიულია, გარედან კი ხუთწახნაგა (ეკლესიის შიგნითა ზომები: სიგრ., საკურთხევლის ჩათვლით – 14 *მ*, სიგ. – 6,5 *მ*). დას-იდან ეკლესიას ეკვროდა თანადროული სამრეკლო, რ-იც მთლიანად დანგრეულია.

შესასვლელი ეკლესიას დას-იდან და სამხრ-იდან (ამოშენებულია) აქვს. ორივე კარი პარალელურწირთხლებიანია და თარაზულადაა გადახურული. ინტერიერი განათებულია ცხრა ფართო, მაღალი, შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმლით (რამდენიმე ამოშენებულია). მათგან ორი – აღმ-ითაა, აფსიდში, სამი – სამხრ-ით, ხოლო ოთხი – ჩრდ-ით. ერთი განიერი, თაღოვანი ღიობი, დას. კედლის ზედა ნაწილშია. იგი ეკლესიის დარბაზს სამრეკლოს II სართულთან აკავშირებდა.


საკურთხევლში ორი, სხვადასხვა ზომის, თაღოვანი ნიშაა. ორივე აფსიდის ჩრდ. გვერდშია. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ შემაღლებულია ერთი საფეხურით. იგი აფსიდის მხრების ხაზიდან, რამდენადმე (დაახლ. 1 *მ*-ით), დარბაზის სიღრმეშია წამოწეული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. ამბიონი და საკურთხევლის ბაქნის კიდე ბაზალტის სუფთად დამუშავებული ქვითაა ნაწყობი. საკურთხ-

ელისა და ეკლესიის იატაკი კი – კვადრ. აგურით.

დარბაზის შიდა სივრცე გრძივ კედლებზე გამოყოფილი სამ-სამი, მძლავრი პილასტრით და მათზე გადაყვანილი, შეისრული ფორმის, საბჯენი თაღებით ოთხ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების გვერდებზე, თითოეული ნაწილის ფარგლებში, კედელი საფეხურით ღრმავდება, რ-იც ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. 1930-იანი წლებიდან 1970 წლამდე ეკლ. სოფლის კოლმეურნეობის საწყობად გამოიყენებოდა. ამ პერიოდში იგი ძლიერ დაზიანდა და მნიშვნელოვანი გადაკეთებები განიცადა. ეკლესიის დარბაზის დას. ნახევარში მოაწყვეს ხის ანტრესოლი, რ-ზეც ადის ხისავე კიბე. დას. კედლის შუაში მოწყობილია ანტრესოლიდან გარეთ გასასვლელი კარი, მის გვერდებზე კი – თითო, განიერი და მაღალი, სწორკუთხა სარკმელი. გარედან, სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზე, მიუშენებიათ ფარდული, რ-ის გადახურვის ძელების დასაყრდნობად, ეკლესიის კედელი, რამდენიმე ადგილას, გამოუნგრევიათ. როგორც ჩანს, ამ ხანებშია დანგრეული სამრეკლოც. შიგნით დარბაზი გადახურულია აგურით ნაწყობი, შეისრული კამარით.




180. სვეტიცხოვლის ეკლ. გეგმა



180. სვეტიცხოვლის ეკლ. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიის გარე იერი ბევრად უფრო დამახასიათებელია, ვიდრე მისი შინაგანი სტრუქტურა. გრძივი ფასადები რუსტებად დამუშავებული, ხუთ-ხუთი პილასტრით (თითო-თითო კიდეებშია, დანარჩენი სამი – მათ შორის), დანაწევრებულია თანაბარი სიგანის, ოთხ-ოთხ არედ, რ-ებსაც აგვირგვინებს ერთმანეთზე გადაბმული, ნახევარწრიული თაღებისგან შედგენილი ფრიზი. თითოეული არის ცენტრში – სამხრ. ფასადის დას-იდან მეორე არის გარდა, რ-შიც შესასვლელია მოწყობილი – სარკმელია მოთავსებული. ყოველი სარკმელი ჩასმულია კედლის სიბრტყეში შეღრმავებულ, ორი, ვიწრო ზოლისგან (სიგ. 8-10 *სმ*) შედგენილ, თაღოვან ჩარჩოში, რ-საც ძირი გახსნილი აქვს. ჩარჩოს გვერდებისა და სარკმლის ღიობის ქვემოთ, წყობის შეღრმავებით, გამოყვანილია ერთიმეორის



180. სვეტიცხოვლის ეკლ. დას ფასადი

ზემოთ განლაგებული, ორ-ორი სწორკუთხა არე, რ-თა შორის ქვედები თითქმის სამჯერ უფრო მაღალია ზედებზე. ზემოთ, ყოველი სარკმლის ჩარჩოს თაღოვანი ნაწილის ქუსლების დონეზე, ჩარჩოსა და პილასტრს შორის, ჩასმულია მაღალი, კედლის სიბრტყიდან ოდნავ შვერილი, სამსაფეხურიანი იმპოსტები, რ-თა ზედა საფეხურის ნაწილი პილასტრის არეში, რუსტებს შორისაა შეჭრილი და რუსტებთან ერთ სიბრტყეშია. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, გამოსახულია მაღალი, კედლის სიბრტყეში შეღრმავებული, წითლად შეღებილი ჯვარი. იგი ზემოდან შემო-

ფარგლულია შეღრმავებულივე, ვიწრო ზოლით, რ-იც ასევე იმპოსტებზეა „დაყრდნობილი“.

საკურთხევლის შვერილის წიბოებს და დას. ფასადის კიდეებს რუსტებით დამუშავებული თითო პილასტრი ასდევს, რ-ებიც, ზემოთ, ერთმანეთზე გადაბმული თაღებით შედგენილი ზოლითაა დაკავშირებული. წახნაგებში, ერთმანეთის მონაცვლეობით, ცრუ და ნამდვილი სარკმლებია განთავსებული. როგორც ნამდვილი, ისე ცრუ სარკმლების ქვემოთ, მოწყობილია ორ-ორი, დანარჩენი სარკმლების ქვემოთ განლაგებული შეღრმავებების ანალოგიური შეღრმავება.

ეკლესიის დას. ფასადს თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი. ფასადზე, სამრეკლოს კორპუსის გვერდებზე, მიწიდან დაახლ. 3 *მ* სიმაღლეზე, შემორჩენილია კედლის სიბრტყეში შეღრმავებული ჯვრის საფეხუროვანი პოსტამენტი და ქვედა მკლავის მცირე ნაწილი. შემორჩენილია აგრეთვე შესასვლელის თავზე არსებული ტიმპანის ნაწილიც.

ს ა მ რ ე კ ლ ო, როგორც ეს ეკლესიის დას. ფასადზე შემორჩენილი ნაშთებიდან ირკვევა, სამსართულიანი ყოფილა (შემორჩენილია I და II სართულების პილასტრები კაპიტელებითა და მათზე დაყრდნობილი თაღების ქუსლებით და I სართულის კამარის წყობის მცირე ნაწილი).

ეკლესიის ფასადები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-საც დას. ფასადზე, ქვემოთ, გასდევს ერთმანეთზე გადაბმული, ნახევარწრიული ელემენტებით შედგენილი ზოლი. შენობა გადახურულია ღარიანი კრამიტით.



180. სვეტიცხოვლის ეკლ. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

თ. დგალი.

181. თეთრი გიორგის ეკლესია, (დ ე კ ა ნ ო ზ უ რ ი) არქიტ. ძ. დგას სოფლის მახლობლად, თელავი-გომბორის გზიდან სამიოდე *კმ*-ის მანძილზე, ტყეში. თარიღდება VI-VII სს-ით.


შენობა სამეკლესიიანი ბაზილიკაა, აღმ-ის გვერდითი ოთახებითა და დას-ის გარშემოსავლელით (20x12,2 *მ*). ნაგებია დიდი ზომის, რიყის ქვის, სწორი რიგებით. კუთხეები გამოყვანილია შირიმით. შირიმისვეა კონქის სატრიუმფო თაღი და საკურთხევლის სარკმელი.

ეკლ. დაზიანებულია: ჩამოქცეულია ცენტრ. ეკლესიის კამარა და აფსიდის სამხრ. მხარე (ფრაგმენტები ყრია ეკლესიაში და მის გარშემო ტერიტორიაზე). შენობა XVI ს-ში გაურემონტებიათ: წვრილი, რიყის ქვით ამოუვსიათ და აგურის წყობით გაუსქელებული წირთხლებით გაუმაგრებიათ შუა ეკლესიის სამივე კარის თაღოვანი ნაწილი. შეისრული თაღით დაუსრულებიათ კარის შევიწროებული მალი. დას. გარშემოსავლელის აღმ. კედელი და სამხრ. ეკლესიის ჩრდ. კედელი გაუმაგრებიათ აგურის პილასტრებით, რ-ებსაც შეისრული თაღები ეყრდნობა. აგურითვეა შეკეთებული ცენტრ. ეკლესიის ჩრდ. კედლის სამი სარკმელი, აფსიდის ჩრდ. მხარი და კონქის ზედა ნაწილი.

181. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



წილი. აგურით ნაწყობი შეისრული თაღით არის გამაგრებული გვერდის ეკლესიების შესასვლელები. თავდაპირველი ლავ-




181. გეგმა



181. გრძივი ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი სამხრ-კენ

სარკმელია გაჭრილი. სამ-სამი სარკმელი გრძივ კედლებშიცაა. მათი წირთხლები ერთმანეთის პარალელურია და გადახურულია ნახევარწრიული თაღით. კონქის ნალისებრი სატრიუმფო თაღი ეყრდნობოდა აფსიდის მხრების




181. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

მელია, რ-ებიც შიგნიდან გარეთ ვიწროვდება და გადახურულია ბრტყელი ქვის ფილით. სადიაკვ-

ნეში, ჩრდ. კედელზე, მიდგმულია რიყის ქვით ამოყვანილი, სწორკუთხა პილასტრი. ამავე კედელზე, პილასტრიდან, გადაყვანილია ორი თაღი, რ-ებიც, თავის მხრივ, საყრდენს უქმნის კამარას.


სამკვეთლოს და სადიაკვნის გაყოლებაზე, დას-ისაკენ, გან-



181. აღმ. ფასადი

გარდანი ოთხრიგად ნაწყობი აგურის ლავგარდნითაა შეცვლილი.

მთავარი ეკლესიის სიმ. 2,5-ჯერ მეტია სიგანეზე. მასში სამი შესასვლელია: ჩრდ-იდან, დას-იდან და სამხრ-იდან. შესასვლელები მაღალია, გადახურულია ნახევარწრიული თაღებით. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიულია. მასში შირიმით ნაწყობი, ნალისებრი თაღით გადახურული დამაგვირგვინებელ კაპიტელებს (შემორჩენილია მხოლოდ თაღის სამხრ. ქუსლი). აფსიდის ჩრდ-ით და სამხრ-ით სამკვეთლო და სადიაკვნეა, რ-ებიც ეკლესიას აფსიდის ახლოს, გრძივ კედლებში გაჭრილი, თითო კარით უკავშირდება. სამკვეთლოს ბრტყლად გადახურული კარი ამჟამად ამოქოლილია. სამხრ. კედელში ნიშაა მოწყობილი. თითოეული სათავსის აღმ. კედელში თითო სარკლაგებულია გვერდის, უაფსიდო ეკლესიები. მათგან ჩრდ. ეკლესიას სამკვეთლო კარით უშუალოდ უკავშირდება. გვერდითა ეკლესიებს გარედან დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს. ჩრდ-ისას – ჩრდ-ით, სამხრ-ისას – სამხრ-ით. ეკლესიებს აკავშირებს დას. გარშემოსაველი, რ-საც, თავის მხრივ, დას-ით აქვს კარი და ბრტყელი ქვის ფილით გადახურული, ერთი სარკმელი.



181. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი (რეკონსტრუცია)

აღმ. ფასადზე, ცენტრ. ეკლესიის საკურთხევლის სარკმელს აგვირგვინებს ქვიშაქვაზე შესრულებული, ნახევარწრიული, კედლის სიბრტყიდან საგრძნობლად ამოწეული თავსართი (ნახევარი დაკარგულია), რ-საც ჰორიზონტალურად აკეცილი ბოლოები აქვს. თავსართს ამკობს ღრმა, ზემოდან ვიწრო თაროთი შემოვლებული, ნალისებრი თაღების მწკრივი. ამავე ფასადზე, სადიაკვნისა და ეკლესიის მიჯნაზე ჩასმულია ქვიშაქვის ფილა (გვერდები ჩამოტეხილია), რ-ზეც რელიეფურად ჯვარია (მთლიანად აღარ იკითხება) გამოკვეთილი. სრულად შემორჩენილი ზედა მკლავი ბოლოში ფართოვდება.

ნ. ბახტაძე.

ბიბლ.: 248; 335.

182. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. თარიღდება შუა საუკუნეებით. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი ნაშთის მიხედვით, ეკლ. დარბაზული ყოფილა, ნახევარწრიულაფსიდიანი. XX ს-ის მიწურულს ადგილ. მოსახლეობას ამ ადგილას ახ. ეკლ. აუგია, რ-ის კედლები ძვ. ეკლესიის კედლების ნაშთებზეა დაშენებული.

ბ. კუპრეიშვილი.



181. ინტერიერი, მთავარი ეკლ., ხედი დას-კენ



182. ხედი სამხრ-იდან

183. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ჩრდ-ით, 2-3 *კმ*, ალაზნის ველზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ძლიერ დაზიანებულია. კედლების შემორჩენილი ნაწილები დაფარულია ბუჩქნარით.

შენობა გეგმით სწორკუთხაა. ნაგებია რიყის ქვით და ქართ. აგურით – კირის ხსნარზე. აღმ. კედელში ფართო შესასვლელია. კედლებს ატყვია ვიწრო სარკმლების ნაკვალევი. ჩრდ.-აღმ. კუთხესთან დიდი ზომის ბუხარია.

გ. რჩეულიშვილი.

184. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრ.-აღმ-ით, მინდორში. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. კედლის ნაგლეჯი (მაქს. სიმ. 40 *სმ*). დანარჩენი კედლები მიწის პირამდეა დანგრეული.

ეკლ. ნაგები იყო რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

185. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ვენახებში. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის ფრაგმენტი, რ-იც რიყის ქვითა და კირის ხსნარითაა ნაგები.

ბ. კუპრეიშვილი.

186. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 5-6 *კმ*-ზე, ტყეში. შემორჩენილია მხოლოდ აღმ. კედლის მცირე ნაწილი. გეგმა არ იკითხება. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვით.


ბ. კუპრეიშვილი.

187. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, სამიოდე *კმ*-ზე, მეჩხერ, ფოთლოვან ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.


ეკლ. დარბაზულია (8,1x5,8 *მ*), დას-იდან ეკვრის თანადროული, გეგმით თითქმის კვადრ. (სიგრ. – 3,5 *მ*, სიგ. – 4,1 *მ*) კარიბჭე, რ-იც ეკლესიასთან შედარებით, რამდენადმე ვიწროა და დაბალი. ორივე ნაგებობა რიყის ქვითაა ნაშენი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია ეკლესიისა და კარიბჭის სახურავის საფარი, ალაგ-ალაგ, ლავგარდანი და კედლების ზედა ნაწილები, ეკლესიის სამხრ. კედლზე მიყრდნობილია ცაცხვის ხე, რის გამოც საპირე წყობის ქვების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოცვენილია.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან – კარიბჭიდან – აქვს. ორივე კარი, ხის ძელებით, თარაზულად ყოფილა გადახურული. ეკლესიის შიდა სივრცე შემაღლებული პროპორციებითაა გადაწყვეტილი. აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ცენტრში ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე, სხვადასხვა დონეზე, ორ-ორი, მცირე, სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო, მსგავსი სარკმელი ჩრდ., სამხრ. და დას. კედლებშიცაა.




187. დას. ფასადი



187. გეგმა

მათგან ჩრდ. და სამხრ. სარკმლები შესაბამისი კედლების აღმ. ნაწილშია მოწყობილი, დას-ისა კი, კედლის ღერძზე, ზედა ნაწილში. აფსიდის მხრები დასრულებულია ნათალი ქვის, თაროსებრი იმპოსტებით, რ-ებსაც ნახევარწრიული ფორმის, სატრიუმფო თაღი ეყრდნობა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. გრძივ კედლებზე თითო, ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებიც შესაბამისს კედლებს ორ, თანაბარ ნაწილად ყოფს.

კარიბჭეში შესასვლელი დას-იდანაა. კარი შეისრულთაღოვანია.



187. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ



187. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კარის ზემოთ პატარა, სწორკუთხა სარკმელია, რ-იც შიგნიდან გარეთკენ მაღლდება. შიგნით, ჩრდ. და სამხრ. კედლებში, მოწყობილია თითო, განიერი და მაღალი, შეისრულთაღიანი ნიშა. კარიბჭის აღმ. კედელში გამოყვანილია მაღალი, შეისრულთაღოვანი არე, რ-შიც ეკლესიის დას. შესასვლელია მოქცეული. შიგნით კარიბჭეს ცილინდრული კამარა ხურავს, რ-ის ღერძი ეკლესიის გრძივ ღერძს ემთხვევა.

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხუროვანი ლავგარდნით (ძირითადად შემორჩენილია აღმ. და დას. ფასადებზე). ლავგარდნის თითოეული საფეხური აგურის ორ-ორი რიგისგან შედგება. ქვედა რიგში აგური კუთხურადაა დაწყობილი, ზედაში – მიჯრით. კარიბჭის ლავგარდანი (შემორჩენილია მცირე ნაწილი) ორსაფეხურიანია. ორივე რიგში აგურები მიჯრითაა ნაწყობი.


თ. დვალი.

188. ორმოსამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობდა სოფლის სამხრით, თელავი-თბილისის ავტომაგისტრალის მარცხ. მხარეს, საბერებად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნებოდა ადრინდ. ელინისტ. ხანას. განადგურდა მიწის სამუშაოების დროს. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა ბრინჯაოს თავგახსნილი, გველის თავის გამოსახულების მქონე, ბოლოებშესქელებული, ოთხი სამაჯური, წრიულად ღეროძორკალული, ოვალური მოჟანილობის, ბრტყელი, ფარაკიანი ოთხი ბეჭედი, კონუსური, დაფანჯრულკორპუსიანი ზარაკი; პასტის სფერული, გვერდამოღარული მძივები და მოგრძო, კანელურებიანი მძივსაკიდები; რკინის სასხლავი დანა, ნამგალი, მახვილის ტარი; ორი წმინდად განლექილი კეცის მქონე დოქი. მათგან ერთი მოჩალისფროდაა გამომწვარი, მეორე, შელებილია წერნაქით. იმავე მასალისაა ჯამი, რ-საც შიგნით გადახრილი კიდე და ბრტყელი, უქუსლო ძირი აქვს.

სამარხეული ინვენტარი ინახება ქ. თელავის ისტ. მუზეუმში.

გ. ლაღიაშვილი, გ. რჩეულიშვილი.

189. ორმოცსაყდარი, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1 კმ-ზე, თელავი-თეთრიწყლების გზის მარცხ. მხარეს, გზიდან ასიოდე მ-ის მოშორებით. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.



189. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5,4x4,7 მ). ამჟამად მისგან მხოლოდ აღმ. ნახევარიღაა შემორჩენილი, მაგრამ მასაც გარეთა კუთხეების უმეტესი ნაწილი მონგრეული აქვს. დანარჩენი კედლები კი, მიწის ზედაპირიდან დაახლ. 1-1,2 მ სიმაღლეზე დგას.

შენობა ნაგებია რიყის ქვის ირეგულარული წყობით. ერთადერთი შესასვლელი დას-ითაა (შემორჩენილია ორივე წირთხლი). ეკლესიის დარბაზი მოკლეა (დარბაზის სიგ. თითქმის 1 მ-ით ჭარბობს მის სიგრძეს), აღმ-ით მას ერთვის ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ცენტრში მცირე, თარაზულად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მოწყობილია თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშა. აფსიდი გადახურულია რიყის წვრილი ქვით ნაწყობი, არაწესიერი ფორმის კონქით. კონქის წყობაში ჩასმულია, თიხის სამი მილი (დიამ. დაახლ. 15 სმ), რ-ებიც რეზონატორებად გამოიყენებოდა. მათგან ერთი – სარკმლის ასწვრივაა, ხოლო თითო-თითო, ერთმანეთის სიმეტრიულად – გვერდებზე. შიგნით კედლები შელესილი ყოფილა. ნალესობა მხოლოდ კონქშიღაა შემორჩენილი. დარბაზის გრძივი კედლები სადაა, მოკლებულია პილასტრებს.

ეკლ. შიგნით გადახურული იყო ოდნავ დადაბლებული, ნახევარწრის ფორმის კამარით, რ-ის მცირე ნაწილები მხოლოდ აფსიდის თაღს შემორჩა.

გარედან, ეკლესიის აღმ. ნახევრის შემორჩენილ კედლებში, ორი, სხვადასხვა ხასიათის წყობა გამოიყოფა – კედლების ქვემოთა ნაწილები (საკურთხევლის სარკმლის სიმაღლის ნახევრამდე), მოზრდილი, რიყის ქვითაა შესრულებული, ზემოთ კი – წყობა წვრილი, რიყის ქვისაა, რ-შიც აქა-იქ, კრამიტის ნამტვრევებიცაა გამოყენებული.

თ. დვალი.


190. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ.-აღმ-ით, 1,5 კმ-ზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. აღმოჩნდა 1997 წ. მიწის სამუშაოების დროს. სამარხი ქვის ფილებითაა შედგენილი, ქრისტ. წესის თანახმად, დამხრობილია აღმ.-დას-ის მიმართულებით. გამოვლინდა მხოლოდ ადამიანის ჩონჩხი.

გ. რჩეულიშვილი.

191. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,8x3,5 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. მოგვიანებით, შესაკეთებლად, გამოუყენებიათ აგური. შესასვლელი

დას-იდანაა. კარი თაღოვანია და შიგნიდან საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. ეკლესიის იატაკი, მიწის დონესთან შედარებით, დაახლ. 0,5 *მ*-ით დაბლაა, რის გამოც, შიგნით, კარის წინ, საფეხურია მოწყობილი.



191. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

შიდა სივრცე შემაღლებული პროპორციებითაა გადაწყვეტილი. აღმ-ით იგი დასრულებულია ღრმა, ოდნავ ნალისებრი ფორმის აფსიდით, რ-შიც ერთი, თაღოვანი სარკმელი (დაკარგული აქვს პირვანდელი ფორმა) და ორი, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა – სარკმლის აქეთ-იქით. აფსიდის დას. ნახევრის იატაკი დარბაზის იატაკის დონეზეა, აღმ. ნახევრისა კი საფეხურითაა შემაღლებული. ამ ნაწილშია მოთავსებული ნახევარწრიული ტრაპეზი, რ-იც სარკმლის ქვემოთ, კედელზეა მიდგმული. თვით ტრაპეზი სწორკუთხაა, დგას ოციოდე *სმ* სიმაღლის ბაზაზე. აფსიდი გადახურულია კონქით, დარბაზი კი – ცილინდრული კამარით. შიგნით ეკლ. შელესილია.

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს, ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. შეაკეთა (ალაგ-ალაგ ცემენტით შელესეს და შენობა თუნუქით გადახურეს).

ქ. გიორგობიანი.

192. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს თუშიანთ უბანში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,8x4,2 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და აგურით. თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1 *მ*-დეა. შესასვლელი დას-ითაა. კარი გარედან ჩასმული ყოფილა კედლის საფეხურით შეღრმავებულ არეში. აღმ-ით ღრმა, კუთხეებმომრგვალებული საკურთხეველია, რ-ის ჩრდ. კედელში მცირე, ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი.

ბ. კუპრეიშვილი.

193. საცხოვრებელი კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 3-3,5 *კმ*-ზე, მცირე ქანობის ფერდობზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. შედგება ორი, თანადროული ნაწილისგან, ოთხკუთხა კოშკისგან და მასზე სამხრ-იდან მიშენებული გალავნისგან, რ-იც კოშკის წინ 100-120 *კვ მ* ფართობის, სწორკუთხა მოხაზულობის მონაკვეთს ფარგლავს. კოშკი და გალავანი ისეა განლაგებული, რომ მათი დას. კედლები ერთ ხაზზე მდებარეობს. ფერდობის დახრილობა სამხრ-იდან ჩრდ-ითაა, რის გამოც ეზოს მნიშვნელოვანი ნაწილი ფერდობშია შეჭრილი და გალავნის სამხრ. კედელი საყრდენი კედლის ფუნქციას ასრულებს.

კოშკი ორი სართულის სიმაღლეზე დგას. გეგმით კვადრატულია და ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება. საშენ მასალად რიყის ქვაა გამოყენებული. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები ნაწყობია კვადრ. აგურით. შესასვლელი აღმ. კედელში, I სართულის დონეზეა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან ხის, ბრტყელი გადახურვა აქვს. სართულის თითოეულ კედელში ორ-ორი, თაღოვანი ნიშაა, რ-შიც (სამხრ. ნიშების გარდა) თითო-თითო, სათოფურია გაჭრილი. დას. კედელში, სათოფურიან ნიშებს შორის, სამხრ. ნიშების მსგავსი, უსათოფურო ნიშაცაა. თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი შესასვლელის გვერდებზე – იატაკის დონეზე. ჩრდ. კედელში გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია. სართული გადახურულია აგურით ნაწყობი, შეკრული კამარით. კამარის აღმ. მონაკვეთში დატანებულია II სართულზე ასაძვრომი ხვრელი, რ-იც II სართულის აღმ. კედელში მოწყობილ მაღალ, განიერ (სიგ. 1 *მ*) ნიშაში ადის. სართულის დანარჩენ კედლებში ორ-ორი, თითოსათოფურიანი ნიშაა. მათგან დას. ნიშებს შორის ბუხარია, სამხრ. ნიშებს შორის კი – ეზოში ჩასასვლელი, ვიწრო კარი. ჩრდ. კედელში მცირე, ნისკარტა სალოდის მსგავსი ხვრელობია. სართული გადახურული იყო აგურით ნაწყობი, ვარსკვლავისებრი კამარით, რ-ისგანაც მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი.


გალავანი სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული, ნაშენია რიყის ქვით და მთელ პერიმეტრზე ნალესობით გამოყვანილი, ორფერდა დაბოლოება აქვს (სიმ. – 2,3 *მ*). შიგნიდან გალავანი შელესილია. ნალესობაზე, ქაფჩის წვერით ერთმანეთზე გადაბმული, უსწორო ნახევარწრეებია გამოყვანილი, რ-ებიც კედლის ზედაპირზე ერთმანეთისგან გარკვეული ინტერვალით დაცილებულ, თარაზულ „ზოლებს“ (თითოეულის სიმ. – 30-35 *სმ*) ქმნის. შესასვლელი (სიგ. – 1,5 *მ*) გალავნის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია – კოშკის გვერდით. შესასვლელის წირთხლებში შემორჩენილია საურდულე ხვრელები. სამხრ. კედლის შუაში მოწყობილია მცირე, შეისრულთაღიანი ნიშა. მსგავსი ორ-ორი ნიშა, გრძივ კედლებშიცაა. გალავნის დას. კედელში, სამხრ. კიდესთან, თიხის მილი შემოდის.

თ. დვალი.

194. ძვა, სამანი, ბუნებრივი მონოლითი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 2-3 კმ-ზე, ალაზნის ველზე. სავარაუდოდ, თარიღდება XII-XIII სს-ით. წარმოადგენს ლოდს (1x0,7 მ), რ-ზეც ძალაუფლების სიმბოლო – ადამიანის მარჯვ. ხელის მტევანია ამოტვიფრული.

გ. რჩეულიშვილი.

195. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, ქვიშაქვის ფილაზე არსებული, ხუთსტრიქონიანი, მხედრ. წარწერის თანახმად აშენებულია 1814 წელს.



195. გეგმა

ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (11,5x6,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. მოგვიანებით, კედლები შიგნიდან და გარედან შეულესავთ და შეუთეთრებიათ. 1990 წელს ეკლესიას ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი, სამსამი სარკმელი, სიმეტრიულად, ჩრდ. და სამხრ. კედლებშია, ხოლო ერთი – დას. კედლის ზედა ნაწილში. ეს უკანასკნელი იმდენად მაღლაა „ატანილი“, რომ თავით თითქმის კამარას წვდება. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული. იგი აფსიდის მხრების ხაზიდან, დაახლ. 1 მ-ით, წინწაწეულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, გეგმით ნახევარწრიული, კონქით გადახურული ნიშაა. ჩრდ. ნიშას ქვემოთ, მიჯრით, ორი მცირე, სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. კამარაც და საბჯენი თაღებიც ნახევარწრიული მოხაზულობისაა. თითო პილასტრია დარბაზის დას. კუთხეებშიც. მათ დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ეყრდნობა.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობის შეღრმავებით, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარია გამოსახული. შენობის კედლები დასრულებულია აგურის, სამსაფეხურიანი ლავგარდნით.


ეკლესიის დას. კედელზე დაშენებულია აგურით ნაგები, დაბალი პროპორციების მქონე, ოთხივე მხარეს ნახევარწრიული, ვიწრო თაღებით გახსნილი სამრეკლო, რ-იც გადახურულია აგურისავე, პირამიდული სახურავით.

თ. დგალი.


196. ჟარაულაანთ ციხე, „ნაციხარი“, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. განაპირას, საკარმიდამო ნაკვეთებს შორის. თარიღდება XVIII ს-ით.

ძ. ორი ნაწილისგან შედგება: გეგმით სწორკუთხა, სამხრ.-ჩრდ. მიმართულებით წაგრძელებული სადგომისა (16,2x7,6 მ) და მის სამხრ.-დას. კუთხეში ჩართული, მრგვალი კოშკისაგან (დიამ. ფუძის დონეზე 6 მ-ია, კედლის სისქე – 1,5 მ), რ-იც თითქმის მთლიანად სადგომის კორპუსის გარეთაა მოქცეული. საშენ მასალად, რიყის ქვასთან ერთად, გამოყენებულია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვაც.

ნაგებობების ქვედა სართულის კედლები ერთმანეთს არ ებმის, II სართულის დონეზე კი – ერთიანდება და სართულებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მშენებლობის ქრონოლოგიის მიხედვით, როგორც ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტ. არქიტ. რ. ცხადაძე).



195. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ



196. I სართულის გეგმა

შესასვლელი ორია: სამხრ-ით და დას-ით. ორივე კარი გადახურულია მშვილდისებრი თაღით.


აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში

ჩანს, ნაგებობებიდან თავდაპირველია კოშკი, რ-საც ოდნავ მოგვიანებით (ან შესაძლოა, მშენებლობის პროცესშივე) ორსართულიანი სადგომი მიადგეს და მასთან ფუნქციურად დააკავშირეს.

ძ. დაზიანებულია: ორივე ნაგებობა მხოლოდ სართულნახევრის სიმაღლეზედა დგას. დანგრეულია სადგომის დას. კედელი და ჩრდ. კედლის დას. ნაწილი, მთელ სიმაღლეზეა გაბზარული სამხრ. კედელი, ჩამონგრეულია სართულშუა გადახურვა.


კოშკის I სართული შიგნიდანაც მრგვალია. გადახურულია დადაბლებული პროპორციების, ტლანქად სხმული, გუმბათოვანი კამარით. ერთადერთი შესასვლელი სართულს გარედან, სამხრიდან აქვს. კარი კვადრ. აგურით ნაწყობი, შეისრული თაღითაა დასრულებული და შიგნიდან კედლის ღრმა, სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. რ-ის თავი კამარის ქუსლის დონეზე მდებარეობს. შესასვლელის წირთხლებში მოწყობილია საურდულე ხვრელები. შესასვლელის პირდაპირ გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ბუხარია. გარდა ამისა, სართულზე ოთხი, სხვადასხვა ზომის, თითო სათოფურით აღჭურვილი, შეისრულთაღოვანი ნიშა და სამი, სწორკუთხა სარკმელია, რ-თა ღიობების ნახევარი კამარის მრუდშია მოქცეული და გარეთკენ ამაღლებული ხვრელობები აქვს.

196. II სართულის გეგმა




კოშკის I სართული II-ეს კედელში დატანებული კიბით უკავშირდება. კიბის უჯრედში შესასვლელი კოშკში შესასვლელის გვერდზეა (ჩრდ-ით), დაახლ. 1 მ-ის მანძილზე. ზემოთ, კიბის ბოლოში, ერთმანეთის პირდაპირ, ორი კარია, რ-ებიც, შესაბამისად, კოშკის და სადგომის II სართულებში გადის. სადგომის შესასვლელის წინ შექმნილია ვიწრო, სადგომის გრძივი ღერძის მიმართულებით წაგრძელებული ბაქანი, რ-ის სამხრ. კედელში ერთი სათოფურია მოწყობილი (ჩრდ. კედელი განგრეულია).

კოშკის II სართული I-ის მსგავსი მოხაზულობისაა. სართულზე შესასვლელი კარის ღიობი ფართოა, შეისრულთაღოვანი და სართულის მხრიდან სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. ბუხარი ამ სართულზეცაა, ჩრდ-ით. მის მარჯვნივ III სართულთან დამაკავშირებელი კიბის უჯრედში შესასვლელია.



196. ჭრილი, ხედი აღმ-კენ



196. სამხრ. ფასადი

მათ შორის კი, მცირე, შეისრულთაღოვანი ნიშა. სართულზე სამი, ცალმაგი სათოფური და სამი, თითოსათოფურიანი ნიშაა. კოშკის II სართულს გადახურვის კვალი არ შემორჩა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი I სართულის ანალოგიურად იქნებოდა გადახურული.

კოშკზე მიდგმული ნაგებობა ორსართულიანია. სართულები

სხვადასხვა დანიშნულებისაა. I სართული, შემორჩენილი არქიტ. ელემენტების გათვალისწინებით, სამეურნეოა (მარანი?), მეორე – სათავდაცვო. I სართულის აღმ. კედელში გაჭრილია განიერი, შეისრულთაღოვანი შესასვლელი (თაღის უმეტესი ნაწილი და შესასვლელის ირგვლივ კედლის არე ჩამოშლილია). სართულის შემორჩენილ კედლებში სხვადასხვა ზომის, ათი, შეისრულთაღიანი ნიშაა. მათგან ოთხი – აღმ-ითაა, სამი – სამხრ-ით, ერთი – დას-ით, ორი – ჩრდ-ით. აღმ. კედლის ჩრდ. მონაკვეთში მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარი. ნაგებობის II სართულის კედლებიდან მხოლოდ აღმ. და სამხრ. კედლები შემორჩა, რ-შიც ძირს დახრილი და ჰორიზონტალურად გამავალი სათოფურებია მოწყობილი.

თ. დვალი.

197. ჟველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 0,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლს. დარბაზულია, გეგმით კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედი (4,55x4,3 *მ*). ნაგებია რიყის ქვით კირის ხსნარზე. დაზიანებულია. აღმ. და დას. კედლები დაახლ. 3 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო დანარჩენი ორი – 1,5-2 *მ* სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრ-ითაა. კარს გადახურვა და გარეთა გვერდები მონგრეული აქვს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ოდნავ ფართო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით მოწყობილია თითო, ოთხკუთხა ნიშა. ერთი მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელი დას. კედელშიცაა.

ქ. გიორგობიანი.

198. ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, თელავი-გომბორი-თბილისის ავტომაგისტრალის მარცხ. მხარეს, გზიდან სამიოდე *კმ*-ზე, ტყეში. სამონასტრო კომპლექსში შედის, ჯგუფად მდგარი, სამი ეკლ. (სამნავიანი ბაზილიკა და ორი გუმბათიანი ეკლ.), რამდენიმე სამლოცველოს და საცხოვრ. ნაგებობების ნაშთები.

1939-1940 წწ-ში საქართვ. კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, ეკლესიებს ჩაუტარდა სარემონტო-სარესტ. სამუშაოები, რ-ის დროსაც მთლიანად მოინგრა ბაზილიკის ძლიერ დაზიანებული სამხრ. კარიბჭე, ხოლო ჩრდ. კარიბჭეს შეეცვალა თავდაპირველი გადახურვა; დიდი, გუმბათოვანი ეკლესიის გუმბათზე მოიხსნა მოგვიანებით დამატებული ნაწილები და გადაიხურა არა კრამიტით, რითაც იგი თავდაპირველად იყო გადახურული, არამედ აგურით, რის შედეგადაც გუმბათის სახურავი მეტისმეტად ამაღლდა. გარდა ამისა, დიდი, გუმბათოვანი ეკლესიის საკურთხევლის გვერდებზე მდებარე ოთახების აღმ. ორივე სარკმელი, საჭიროების გარეშე, სრულიად თვითნებურად, შეავიწროეს და გარედან შეითხნეს.

მონასტრის ეკლესიებიდან ყველაზე ადრინდელია სამნავიანი ბაზილიკა. იგი მონასტერთან მისასვლელი გზიდან, დანარჩენებზე წინ დგას, მათგან სამხრ-ით. თარიღდება V ს-ით.

ნაგებობა მცირე ზომისაა (10,9x8,8 *მ*). ნავები ერთმანეთისგან გამიჯნულია სწორკუთხა ბოძების ერთი წყვილით, რ-ებსაც გრძივი მიმართულებით გადაყვანილი, ნახევარწრიული

198. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან



თაღები ეყრდნობა. სამხრ. და ჩრდ. ნავები დაკავშირებულია მათივე მსგავსი და ტოლი სიმაღლის, დას. ნავით, რაც ბაზილიკის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს.

შენობა ნაგებია თანაბარი ზომის, რიყის ქვით, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვან რიგებად. გარეთა კუთხეები და ყველა კონსტრ. ელემენტი (საბჯენი თაღები, პილასტრები, კამარა) ნაწყობია მოყვითალო შირიმის, თანაბარი ზომის კვადრებით. ლავგარდნისთვისაც გამოყენებულია შირიმი. მისი პროფილი ერთი მეორის მიმართ გადმოშვერილი, თანაბარი სიმაღლის, სამი საფეხურისგან შედგება, რ-ებიც ერთ ქვაშია გამოკვეთილი.


შუა ნავი, ე. ი. საკუთრივ ეკლ., გვერდით ნავებთან შედარებით, ოდნავ (დაახლ. 2,5 მ-ით) მაღალია. აღმ-ით დასრულებული, ნახევარწრიული, ორი საფეხურით შემაღლებული საკურთხეველის აფსიდით. საკურთხეველი ნავის დანარჩენი სივრცისგან გამიჯნული იყო, მოგვიანებით აგებული და აფსიდის მხრების ხაზიდან რამდენადმე წინწაწეული, სამმალიანი კანკელით. საკურთხევლის ცენტრში დგას მოზრდილი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. ნავი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. იგი ეყრდნობა ორ, საბჯენ თაღს. მათგან ერთი, ნავის შუაშია, გადაყვანილია პილასტრიდან პილასტრზე, ხოლო მეორე – დას. კედელთან. თაღებს აქვს შირიმის ქვის პროფილირებული, მცირე დახრის მქონე, შეზნექილზედაპირიანი იმპოსტები.


შუა ნავი სამი, მცირე ზომის თაღოვანი სარკმლითაა განათებული. ერთი აღმ-ითაა – საკურთხეველში, ხოლო ორი – სამხრ-ით; მათი ნაწილი კამარის მრუდშია მოქცეული.

გვერდითი ნავები ვიწრო დერეფნებივითაა. სამხრ. და ჩრდ. ნავების აღმ. კედელში თითო, სწორკუთხა სარკმელია. გრძივი კედლების აღმ. ბოლოში კი, საკურთხევლის მხარეს – თითო, სწორკუთხა ნიშა. გარედან ყველა ნავს თითო შესასვლელი აქვს. სამივე შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან თარაზულად გადებული, დიდი ქვის ზღუდარი ხურავს.

სამხრ. და ჩრდ. ნავები გადახურულია შირიმის ფილებით ნაწყობი, ნახევარცილინდრული კამარით. დას. ნავის (გარშემოსავლელის) კამარა კი რიყის

198. გეგმა. 1. ბაზილიკა, 2. დიდი გუმბათიანი ეკლ., 3. მცირე გუმბათიანი ეკლ. (მ. კალაშნიკოვის მიხედვით)





198. დიდი გუმბათიანი ეკლ. და ბაზილიკა, ჭრილი, ხედი აღმ-კენ (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1920 წ.)



198. ბაზილიკა. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან (მარჯვნივ – დიდი გუმბათიანი ეკლ.)

ქვისაა. სამხრ. და ჩრდ. ნავების კამარები დას. ნავის კამარას კი არ კვეთს, არამედ მისგან გამიჯნულია საბჯენი თაღით, რ-იც შესაბამისი ნავის ბოლოში, მთავარი ნავის დას. კედლის ხაზზე მდებარეობს და სიმაღლით მთავარი და გვერდითი ნავების დამაკავშირებელი თაღების ტოლია.


მოგვიანებით, სამხრ. და ჩრდ. ნავების აღმ. კედელზე, სარკმლებს ქვემოთ, ოთხწახნაგა ტრაპეზები მიუდგამთ, ხოლო დას. ნავი, ეკლესიის დას. შესასვლელის სამხრ-ით აგებული, აგურის განივი კედლით, რ-შიც კარი იყო მოწყობილი, ორად გაუყვიათ (მოიხსნა 1939-40 წლების რესტავრაციის დროს). ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში, განივი კედლითვე, პატარა, ოთხკუთხა სათავსი გამოუყვიათ.

ბაზილიკის ჩრდ. შესასვლელის წინ, ბაზილიკაზე ბევრად უფრო მოკლე კარიბჭეა, რ-იც ეკლესიის თანადროული თუ არა, მისი მშენებლობის დამთავრებისთანავე უნდა იყოს აგებული. საშენ მასალად აქაც რიყის ქვა და შირიმია გამოყენებული. კაპიტელებიც იმავე მასალის და ფორმისაა. კარიბჭე გეგმით სწორკუთხაა, ოდნავ წაგრძელებულია აღმ.-დას. მიმართულებით. მისი შუა ნაწილი, გვერდითი ნაწილების მიმართ, რამდენადმე შემაღლებულია და გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის ღერძი ბაზილიკის ჩრდ. კედლის პერპენდიკულარულია. აღმ. და დას. კედლებში თითო, ღრმა, ნახევარწრიული თაღით გადახურული უბეა. როგორც ჩანს, თავდაპირველად კარიბჭე გადახურული იყო ორკალთა სახურავით. 1939-40 წლების რესტავრაციის დროს კარიბჭის სახურავის ფორმა შეცვალეს. ე.ი. შუა, მაღალი ნაწილი ორკალთა სახურავით გადახურეს, უბეები კი – ცალკალთა, აღმ-ით და დას-ით დაქანებული სახურავით.

გვიანდ. მინაშენი ბაზილიკას, მთელ სიგრძეზე, სამხრ-



198. ბაზილიკა. ინტერიერი, ცენტრალური ნავი, ხედი აღმ-კენ



198. ბაზილიკა. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1920 წ.)

იდანაც ჰქონდა. იგი გაყოფილი იყო სამ ნაწილად. შუა ნაწილი გვერდითებს, სიმაღლით, რამდენადმე აღემატებოდა და დამოუკიდებელი, ორკალთა სახურავი ეხურა. დანარჩენი ნაწილები კი, ერთკალთა, სამხრ-ით დაქანებული სახურავით იყო გადახურული. მინაშენის შუა ნაწილი, სამხრ-ით, გახსნილი იყო განიერი, მაღალი თაღით, რ-იც



198. დიდი გუმბათიანი ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან


ქვების თარაზული რიგებით. ყველა გარეთა კუთხე ამოყვანილია შირიმის, დიდი, მოგრძო კვადრებით, რ-ებიც ისევე როგორც ბაზილიკაში, დაწყობილია მონაცვლეობით.

ეკლესიის გეგმის საფუძველს ტეტრაკონქი შეადგენს, რ-საც აღმ.-დას. ღერძი, სამხრ.-ჩრდ. ღერძთან შედარებით, ოდნავ აქვს დაგრძელებული – აღმ. და დას. აფსიდების წინ არსებული ბემები და აფსიდების სიღრმე აღემატება სამხრ. და ჩრდ. აფსიდების და მათ წინ არსებულ ბემების სიღრმეს (ეკლესიის გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 11,5 *მ*, სიგ. – 9 *მ*). შენობის ოთხივე კუთხეში განლაგებულია გეგმით სწორკუთხა სათავსები, რ-ებიც გუმბათქვეშა სივრცეს, მის კუთხეებში განლაგებული, ღრმა, გეგმით წრიული მოხაზულობის ნიშებით უკავშირდება. გუმბათქვეშა კვადრატის თავზე აღმართულია შიგნიდან წრიულ, ხოლო გარედან რვაწახნაგოვან ყელზე დამყარებული გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა განხორციელებულია მოგვიანებით ამოუშენებიათ და სწორკუთხა კარი მოუწყვიათ. შიგნით კარიბჭის სამივე ნაწილი გადახურული იყო კამარით. გვერდითი ნაწილების კამარების დასაყრდნობად ბაზილიკის სამხრ. კედელზე მიშენებული იყო თაღები, რ-ებიც მას წყობით არ უკავშირდებოდა.

ბაზილიკა გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.


ბაზილიკის ჩრდ-ით, ოთხიოდე მ-ზე, დგას VII ს-ის დიდი, გუმბათიანი ეკლესია. იგი, გეგმით და საერთო აგებულობის მხრივ, მცხეთის ჯვრის ტაძრის მინიატურული განმეორებაა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საერთო მიმართებები მთლიანად არის დაცული, მისგან რამდენადმე მაინც განსხვავდება.

ეკლ. აგებულია მოზრდილი, საკმაოდ სწორი ფორმის, რიყის



198. დიდი გუმბათიანი ეკლ.. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1920 წ.)

ბულია ტრომპების სისტემით, რ-ებიც გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში, ნიშების ზემოთ, ორ რიგად არის განთავსებული და გუმბათქვეშა კვადრატის თავზე წესიერ რვაკუთხედს ქმნის. ტრომპები დაყრდნობილია გუმბათქვეშა თაღებზე.




198. დას. ფასადი (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1920 წ.)

აფსიდების, ბემების და გუმბათქვეშა თაღების ქუსლებთან გამოყოფილია შირიმის ქვის დაბალი, თაროსებრი იმპოსტები – პატარა, შეზნექილი, მრუდი ზედაპირით თაროს ქვემოთ. იმპოსტები სხვადასხვა სიმაღლეზეა განთავსებული, თუმცა ეს სხვაობა ნაკლებად შესამჩნევია.

ტაძარი ხუთი, თაღოვანი სარკმლითაა განათებული. მათ შორის ერთი საკურთხეველშია, დანარჩენები კი – გუმბათის ყელში. ყველა სარკმლის თაღი ნახევარწრიულია. საკურთხევლის სარკმელი გარედან მორთულია შირიმის ქვისგან გამოკვეთილი, ნალისებრი ფორმის თაღით – ჰორიზ. გადანაკეცებით ქუსლებთან.

ეკლესიის ორივე შესასვლელი, ერთიანი ქვის ზღუდრით, თარაზულად არის გადახურული. საკურთხევლის სარკმლის და ტაძრის ჩრდ. შესასვლელის მალის სიგ., მოგვიანებით, აგურის წყობით შეუმცირებიათ.

ტაძრის საკურთხევლის ნაწილი შემაღლებულია სამი საფეხურით. საკურთხევლის შუაში დგას რიყის ქვით ნაწყობი,



198. დიდი გუმბათიანი ეკლ. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ (ტ. კიუნეს ფოტო. 1913 წ.)

კუბური ფორმის ტრაპეზი – მცირე ნიშით აღმ. წახნაგში. საკურთხეველი, დანარჩენი სივრცისგან, გამიჯნული იყო მოგვიანებით აგებული კანკელით (ამჟამად აღარ არსებობს). საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებისათვის, მხატვარ ტ. კიუნეს მიერ 1913 წელს გადაღებული ფოტოსურათიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის კანკელი თითქმის მთლიანად იყო შემორჩენილი. იგი შედგებოდა დაბალი კედლისგან და მასზე დაყრდნობილი ხუთი, ნახევარწრიული თაღისგან, რ-ებიც მრგვალ სვეტებზე იყო გადაყვანილი. კანკელის შუაში აღსავლის კარი იყო მოწყობილი. 1919 წელს კანკელს თაღედი მონგრეული ჰქონია. 1936 წელს კი იგი უკვე ნანგრევად იყო ქცეული. კანკელზე შემორჩენილი იყო ქართ. და ბერძნ. წარწერა. ექვ. თაყაიშვილის წაკითხვით: „ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი ალავერდელი არსენი“.

კუთხის სათავსებს, სამხრჩრდ. მიმართულებით, ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს. ამ სათავსებში, შესასვლელების პირდაპირ, თითო სარკმელია. სარკმლები და შესასვლელები ერთიანი ქვის ზღუდრით თარაზულადაა გადახურული. აღმ. სათავსებში, აღმ. კედელზე მიყრდნობილია თითო, ოთხწახნაგა ტრაპეზი. ყველა კუთხის ოთახში, სამხრ.-დას. ოთახის გარდა, არის თითო, მცირე ზომის ნიშა. სათავსები გადახურულია ქვის თხელი ფილებით – წყობის ყოველი მომდევნო რიგის გადმოშვებით.

ეკლესიის ძირითადი, ცენტრ. სივრცე მ ო ხ ა ტ უ ლ ი იყო. 1980 წელს მხატვრობას ჩაუტარდა რესტავრაცია (რესტავრატორები: კ. ბაკურაძე, ლ. გურგენაძე), მაგრამ მომდევნო წლებში, სავარაუდოდ, წვიმის წყლის ზემოქმედების შედეგად, ფერწერა ისევ დაზიანდა. შემონახულ ფრაგმენტებზე გამოსახულე-

ბების გარჩევა უკვე გაძნელებულია.

მხატვრობის ქრონოლ. ფენების რაოდენობის შესახებ მკვლევართა შორის არსებობს განსხვავებული აზრი. მაგ., გ. ჩუბინაშვილი ორ ქრონოლოგიურ ფენას ასახელებს: ძირითადი სივრცის მოხატულობას იგი XI-XII სს-ით ათარიღებს. ე. პრივალოვამ კი ეკლესიაში არსებული ფრაგმენტები სამ ქრონოლოგიურ ფენას მიაკუთვნა, მაგრამ განსაზღვრა მხოლოდ ორი, ქრონოლ. ფენის თარიღი: XI ს. ან XI ს-ის პირველი ათწლეულები და XII ს.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეკლესიის ძირითადი სივრცე, უშუალოდ მისი დასრულების შემდეგ დაფარეს ნალესობის თხელი ფენით. მოგვიანებით, არაუადრეს XI ს-ისა, გუმბათი, ტრომპები, საკურთხეველი და დანარჩენი სამი მკლავის კონქები მოხატეს. ფერადოვანი ლაქები ჩანს ასევე სხვა ადგილებშიც (ჩრდ. მკლავის აფსიდის კედელზე, ჩრდ. აღმ.-ით ზედა ნაწილში, გუმბათქვეშა კვადრატის აღმ. კედლის ჩრდ. მხარეს), მაგრამ მკლავების კედლების მთელი ზედაპირი მოხატული არ ყოფილა.



198. დიდი გუმბათიანი ეკლ. ინტერიერი, ხედი დას-კენ

198. დიდი გუმბათიანი ეკლ. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა, ეკლესიის მამები



გუმბათში წარმოდგენილი ყოფილა *ჯვრის ამაღლება:* ზემოთ, გუმბათის ნახევარსფეროში, გ. ჩუბინაშვილს უნახავს ჯვარი (ამჟამად დარჩენილია წითელი ფონი – შუქის სიმბოლო, რ-იც ეკუთვნის მანდორლას და ერთი ანგელოზი ჩრდ.-დას. ტრომპის ახლოს). გუმბათის ყელში კი ე. პრივალოვას უნახავს თორმეტი წინასწარმეტყველის შარავანდებისა და თავების მოხაზულობა.

მართალია, გუმბათის მოხატულობა XI ს-ით თარიღდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ე. პრივალოვა მას მოიხსენიებს XI ს-ის პირველი ათწლეულების ძეგლთა (მანგლისი, იშხანი, ყანჩაეთი), შორის, მაშინ მისი შესრულების დრო უშუალოდ ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის ფარგლებში შეიძლება მოექცეს.

ცენტრალურ სივრცეში შემონახული მოხატულობის დანარჩენი ფრაგმენტები, სავარაუდოდ, ერთი დროისაა და მიეკუთვნება მეორე, ქრონოლოგიურ ფენას. მისი დათარიღების თვალსაზრისით, ყურადსაღებია ე. პრივალოვას ცნობა ძველ შუამთაში ხატი მანდილისაის არსებობის შესახებ. ქართ. მოხატულობები, სადაც შემონახულია ანალოგიური გამოსახულება, თარიღდება XII ან XIII ს-ით. ამიტომ ძველი შუამთის მეორე ფენის მხატვრობა სწორედ ამ ქრონოლოგიურ საზღვრებში უნდა მოექცეს და მისი თარიღი XII ს-ით უნდა განისაზღვროს. ეს არის ცისფერი ფონის ნაშთი, რ-იც დარჩენილია სამხრ.-დას. ტრომპში. აგრეთვე საკურთხევლის მხატვრობა. იგი მთლიანად იყო მოხატული, მაგრამ შემორჩენილია მხოლოდ კონქსა და აფსიდაში.

კონქში და, ნაწილობრივ, აფსიდის კედელზე გამოსახულია *ქრისტეს დიდების,* დიდი ზომის კომპოზიცია. ცენტრში გამოსახულია, ზურგიან ტახტზე მჯდომი ქრისტე. მას შუქი წითელი ქიტონი აცვია, ჰიმატიონი მონაცრისფრო-თეთრია. ხატზე დევს მუთაქა, ჩანს ფეხსადგამიც,



198. დიდი გუმბათიანი ეკლ. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა. ეკლესიის მამები



198. დიდი გუმბათიანი ეკლ.. საკურთხევლის სარკმლის მოხატულობა. დეტალი

რ-საც ცისფერი ზედაპირი და მარგალიტებით შემკული გვერდი აქვს. ქრისტეს ორივე მხარეს დგანან მთავარანგელოზები (გამოსახულება ფრონტალურია). შემორჩენილია მარცხ. ფიგურის სხეულის ნაწილი და მოხდენილი ფორმის ტერფები. რეგისტრის მოწითალო-აგურისფერი ხაზი, რ-იც ამ კომპოზიციის ქვედა საზღვარს აღნიშნავს, მდებარეობს საკურთხევლის სარკმლის თავზე, მის სიახლოვეს.

აფსიდის კედელზე, მეორე რეგისტრში, წარმოდგენილია ეკლესიის ექვსი მამა – სამ-სამი ფიგურა სარკმლის ორივე მხარეს, გამოსახულებები აქაც ფრონტალურია, ხელში მათ ძვირფასი ქვებით შემკული წიგნები უჭირავთ. ფონი ორი ფერისაა – ცისფერი (ცა) და მონაცრისფრო-თეთრი (მიწა). მათ ახლავს თეთრი და შავი (ორ ადგილას) ფერის ქართ., ასომთ. წარწერები, რ-თა მიხედვით მოხერხდა ოთხი მათგანის ვინაობის დადგენა (წაიკითხა ლ. მელიქსეთ-ბეგმა). მარცხნიდან მარჯვნივ: ბასილი, გრიგოლი, ოქროპირი, ნიკოლოზ.

ეკლესიის მამათა შორის, საკურთხევლის სარკმლის ქვემოთ, როგორც აღინიშნა, გამოსახული იყო ხატი მანდილისაი. კედლის ამ მონაკვეთზე, სადაც ქრისტე უნდა ყოფილიყო გამოსახული, ნალესობის დიდი ნაწილი ამოტეხილია. მხოლოდ ქვემოთ შემორჩა წვრილი, ყავისფერი ხაზი, როგორც ჩანს, მანდილის ნახატი.

საკურთხევლის სარკმელი შემკულია მცენარეული ორნამენტებით.

ბემაში მოხატულობა განადგურებულია. სამხრ. კედელზე დარჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, მხატვრობა აქაც ორ რეგისტრად იყოფოდა. რეგისტრების განლაგების დონე აფსიდის მსგავსია.

აფსიდისა და ბემის მხრებზე ჩანს გეომეტრიული ორნამენტის ფრაგმენტები, ბემის „შუბლზე“ დარჩენილია კიბისებრი ორნამენტი.

ტაძრის დანარჩენ სივრცეში, მხოლოდ დას. მკლავის კონქში შემორჩა ერთი, სავარაუდოდ, საუფლო დღესასწაულების ციკლის სცენა. კომპოზიციის მარჯვ. ნაწილში, ქვევით, რეგისტრის ხაზთან ახლოს, გარკვევით ჩანს ფიგურების მხოლოდ ფეხები მაღალყელიან ფეხსაცმელებში. ამავე მკლავში, ბემის ჩრდ. მხარზე, ზევით (კონქის თაღის იმპოსტთან ახლოს) გაირჩევა გვიანდ. მოწითალო-აგურისფერი მხედრ. წარწერა (იკითხება წარწერის ნაწილი – შვილი?).

მოხატულობის დამახასიათებელ, სტილისტურ ნიშნებს წარმოადგენს გამოსახულებების მკაცრი, ფრონტალური პოზები, თავშეკავებული ჟესტიკულაცია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქრისტეს დიდების მონუმ. კომპოზიცია საკურთხევლის აფსიდში. თავის დროზე იგი, უთუოდ, მთელი ფერწერული ანსამბლის უმნიშვნელოვანეს საკულტო-დოგმატურ და ასევე, მხატვრულ ცენტრს წარმოადგენდა.

შესრულების დონე მაღალია, დახვეწილი ფერადოვნებით

გამოირჩევა კოლორიტი, რ-შიც ჭარბობს ლაჟვარდოვანი ცისფერი, ღია მწვანე, მუქი წითელი, ნარინჯისფერი წითელი (ორნამენტი საკურთხევლის სარკმლის



198. დიდი გუმბათიანი ეკლ. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

წირთხლებზე), ყვითელი, მონაცრისფრო-თეთრი.

მოხატული იყო აგრეთვე ეკლესიის კანკელი. ექვ. თაყაიშვილის ცნობით, კანკელზე, მრავალფრთიან თაღებს შორის, გამოსახული იყო ვედრება ორ მთავარანგელოზთან ერთად. როგორც უკვე აღინიშნა, გამოსახულებებს ახლდა ბერძნ. (ვედრება) და ქართ., ასომთ. წარწერები (მთავარანგელოზები). ექვ. თაყაიშვილს უნახავს მხოლოდ სამი ფიგურა – ქრისტე, ღვთისმშობელი და მიქაელი (მარცხნივ). კანკელი და მხატვრობაც ექვ. თაყაიშვილმა დაათარიღა XV-XVI სს-ით.

ეკლესიას ჩრდ. მხრიდან, ფასადის აღმ. ნახევარზე, მიშენებული აქვს მცირე, გეგმით სწორკუთხა ეგვტერი. გარედან იგი შემოსილია თანაბარი სიმაღლის, თარაზულ რიგებად დაწყობილი, შირიმის კვადრებით. ნაგებობა შიგნიდანაც სწორკუთხაა. ერთადერთი შესასვლელი დას-იდან აქვს, ეკლესიის ჩრდ. შესასვლელზე მიდგმული კარიბჭიდან (დანგრეულია). ეგვტერი აღმ-იდან და ჩრდ-იდან განათებულია ორი, მცირე ზომის სარკმლით. ეგვტერის კედლები დასრულებულია შირიმის, მაღალი, პროფილირებული (თარო, შეზნექილი მრუდი ზედაპირი, ლილვი) ლავგარდნით, რ-ის ფორმა ტიპურია განვით. შუა საუკუნეებისათვის.

მოხატული იყო ეკლესიის ჩრდ. შესასვლელთან აგებული კარიბჭეც. ეკლესიის ჩრდ. კედელზე, შესასვლელის ახლოს და ამავე ფასადზე მიშენებული ჩრდ. ეგვტერის დას. კედელზე, კარიბჭის მხრიდან (თავის დროზე კარიბჭის შიდა სივრცისთვის ისინი წარმოადგენდა სამხრ. და აღმ. კედლებს), დარჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები. შესასვლელის თავზე გამოსახულია ვედრების კომპოზიცია – ქრისტე მოცემულია წელზევით, ხოლო მის ორივე მხარეს, მთელი ტანით, წარმოდგენილია ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ქვემოთ, შესასვლელის ორივე მხარეს, თითო წმინდანია გამოსახული. მცირე ზომის ფრაგმენტი შემორჩა აღმ. (კარიბჭისთვის) კედელზეც. მხატვრობა „ხალხურ“ მოხატულობათა რიცხვს მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ფერადოვანი ფენა ძალიან ჩამორეცხილია, მაინც იკვეთება გამოსახულებების გამარტივებული ფორმები და ნახატის სქემატური ხასიათი. კოლორიტი აგებული იყო, უმთავრესად, ყავისფერი, მოწითალო-ყავისფერი, ყვითელი, თეთრი ფერების შეხამებაზე. ფერწერა შესრულებულია



198. დიდი გუმბათიანი ეკლ. აღმ. ფასადი. საკურთხევლის სარკმელი

არაუადრეს XVI ს-ში (მესამე, ქრონოლოგიური ფენა).

ეკლესიას, სამხრ.-დას. კუთხის ოთახზე დას-იდან მიდგმული მინაშენის გარდა, კიდევ ერთი



198. მცირე გუმბათიანი ეკლ. ხედი სამხრ-იდან

მინაშენი სამხრ-იდან ეკვროდა, რ-იც ეკლესიასა და ბაზილიკას შორის იყო მოთავსებული.

ეკლესიის გარეგანი ფორმები სრულ შესაბამისობაშია მის შინაგან სტრუქტურასთან. გარედან, ოთხივე აფსიდი სამწახნაგა შვერილის სახით სრულდება. შვერილების გვერდებზე მოწყობილია ნიშები – სამკუთხა აღმ. და დას. ფასადებზე და სწორკუთხა – სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე. ამ ნიშებით შვერილები მათ გვერდებზე არსებულ კუთხის ოთახებისგან არის გამიჯნული. აფსიდების შვერილებს და კუთხის ოთახებს დამოუკიდებელი გადახურვა აქვს.

გუმბათი გარედანაც ნახევარსფეროს ფორმისაა, გაშლილძირიანი (გუმბათის გადახურვის ეს ფორმა თავდაპირველია – აღმოჩნდა 2007-2008 წწ-ში ჩატარებული სარესტ. სამუშაოების დროს). გუმბათის ყელს საფეხუროვანი ლავგარდანი აქვს.

ამ ეკლესიიდან, XIX ს-ის ბოლოს, თბილისის საეკლესიო მუზეუმში ჩამოტანილი იყო მოჩუქურთმებული, ხის კარი წარწერებით (ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).


ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით, სამიოდე *მ*-ის მანძილზე, დგას მეორე, ამ ეკლესიაზე თითქმის ორჯერ უფრო მცირე ზომის, გუმბათიანი ეკლესია, რ-იც დიდი, გუმბათოვანი ეკლესიის გამარტივებული ვარიანტია და, შესაძლებელია, იმავე ხუროთმოძღვრის აგებული იყოს. საშენი მასალა აქაც იგივეა – რიყის ქვა და შირიმი. ნაგებობაში უგულებელყოფილია კუთხის ოთახები და ბემები აფსიდების წინ. შიგნით ესაა ტეტრაკონქი, სადაც აფსიდები ერთმანეთისგან წრიული მოხაზულობის ნიშითაა გამიჯნული. ეს ნიშები იმდენად მცირეა (დიამ. 60 *სმ*), რომ მათში ადამიანი ძლივს ეტევა. ამ ნიშების თავზე კამარაა, რ-საც გუმბათის სეგმენტის ფორმა აქვს. შემდგომ – მცირე „შუბლი“, უფრო ზემოთ კი კუთხის ტრომპია. ტრომპების მეშვეობით ხდება გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა. გუმბათის ყელში ოთხი, მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი. კიდევ ერთი სარკმელი საკურთხევლის აფსიდშია. თითოეული სარკმლის თაღი ნახევარწრიულია.

საკურთხეველი ოდნავ შემაღლებულია, ტრაპეზი სარკმლის ქვემოთ, კედელზეა მიყრდნობილი. აღმ. ნაწილში, როგორც ჩანს, საძვალე, ან სამარხია.

ერთადერთი კარი სამხრითაა. მასაც, შიგნიდან და გარედან, ნახევარწრიული თაღი ხურავს. გუმბათქვეშა თაღებს, რიყის ქვებით გამოყვანილი, თაროსებრი იმპოსტები აქვს. გარედან, სარკმლებს ზემოთ, გუმბათის ყელი მნიშვნელოვან სიმაღლეზე გრძელდება და დასრულებულია ქვის, მრუდხაზოვანი პროფილის (თარო, წრეთარგი, ლილვი) ლავგარდნით. მის ზემოთ საკმაოდ მაღალი, რვაწახნაგოვანი, კარვისებრი სახურავია. გუმბათის ძველ და ახალ სახურავებს შორის ცარიელი სივრცეა. გუმბათის ყელი და სახურავი გამოჭვანილია კვადრ. აგურით. შიგნი-

დან გუმბათოვანი კამარის ცენტრ. ნაწილი აგურითაა ნაწყობი, რაც შეკეთების შედეგს წარმოადგენს (არა უგვიანეს XV ს.).

ტაძრის შიგნით შემორჩენილია ნალესობა, მაგრამ მოხატულობის კვალის გარეშე.



198. მცირე გუმბათიანი ეკლ. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1920 წ.)

ეკლესიის ყოველი ფასადის შუა ნაწილში, გუმბათქვეშა კვადრატის გლუვი კედლიდან, გამოშვერილია ხუთ წახნაგში ჩაწერილი აფსიდა. აფსიდებს შორის კი, ცენტრ. კვადრატის კუთხეებში არსებული, წრიული ნიშების შესაბამისი, სწორკუთხა შვერილებია. მათ ზემოთ, უკან, რვაწახნაგოვანი გუმბათის ქვლია. იგი დასრულებულია ქვის მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს.

ეკლესიას, აღმ. ნაწილის თავზე, შემორჩენილი ჰქონდა ძვ. ლავგარდნის ნაშთები – ერთიმეორის მიმართ გადმოშვერილი ქვის ფილების რიგები. 1939-40 წლებში, სარემონტო სამუშაოების დროს, ძვ. ლავგარდანი აგურის სამსაფეხუროვანი ლავგარდნით შეცვალეს. ამავე დროს, ტაძრის ირგვლივ მიმდინარე გაწმენდითი სამუშაოებისას, ჩრდ. შვერილის ცენტრ. წახნაგის წინ გამოჩნდა ქვიტკირისკედლებიანი, სწორკუთხა ორმო (130x100 *სმ*, სიღრმე – 70 *სმ*), რ-იც წახნაგის ქვეშ არსებულ, დაახლ. 1 *მ* სიგრძის კამაროვან შეღრმავებას (სიმ. – 70 *სმ*, სიგ. – 120 *სმ*) უკავშირდებოდა. შიგნით, ამ შეღრმავების შუანა კედლის დას. ნახევარში, მოწყობილია ვიწრო, დაბალი თაღი – ეკლესიის ქვეშ არსებულ საძვალეში შესასვლელი(?).

2007-2008 წლებში, საქართვ. ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ჩატარებული სარესტ. სამუშაოების (პროექტის ავტ. პ. ნუცუბიძე) დროს, ბაზილიკის ინტერიერში აიყარა 1939-1940 წლებში დაგებული იატაკი და დაიგო ახ.; გამოიცვალა სახურავი; ორივე გუმბათიან ეკლესიაში დაიგო ახ. იატაკი; თავდაპირველი ფორმით აღდგა დიდი, გუმბათიანი ეკლესიის გუმბა-



198. ხის კარი ასომთავრული წარწერით. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

თის გადახურვა, რ-იც მცხეთის ჯვრის ტაძრის გუმბათის გადახურვის იდენტური აღმოჩნდა. დიდ, გუმბათიან ეკლესიაზე ნაწილობრივ შეიცვალა და გადაეწყო ლავგარდნები.

ფ. დუდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 18; 106; 107; 271; 317; 335.

199. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, 1 *კმ*-ზე, ტყიან ბორცვზე, საფშავლოდ წოდებულ ადგილში. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.



199. სამხრ. კედლის ნაწილი


ეკლ. დარბაზულია (7,3x5,5 *მ*). ნაგებია მოზრდილი ზომის, სრულიად დაუმუშავებელი ქვიშაქვითა და კირის დუღაბით. ქვების ნაწილი საკმაოდ დიდი ზომისაა, რ-ებიც ბრტყელი ზედაპირით ფასადის მხარეს არის მოქცეული. წყობა ქაოსურია. ძ. დაზიანებულია. ამჟამად, მთელ სიმაღლეზე, მხოლოდ დას. კედელი დგას, თუმცა, მასაც სამხრ. მხარე მონგრეული აქვს. ჩრდ. კედელი მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი (მაქს. სიმ. გარედან – 2,5 *მ*-ია), აღმ. და სამხრ. კედლები კი – ნაწილობრივ. ინტერიერი ნანგრევებითაა ამოვსებული და დაფარულია მცენარეულობით. შესასვლელი სამხრ-ითაა – შემორჩენილია წირთხლების ნაწილი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. მის ცენტრში სარკმლის ნაშთია.

თ. დვალი.

200. კუნტურის (კუნტუს, კუნტუზის, კუნძულის) **საყდარი**, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით (პირდაპირი ხაზით სამიოდე კმ-ზე), მდ. თურდოს სათავეებში, მისი ერთ-ერთი შენაკადის – ფსიტიანისხევის მარცხ. ნაპირას, ბუნებრივად მოვაკებულ ადგილზე.

ეკლესიის შორიახლოს, ტყეში, მოზრდილი ნამოსახლარის კვალია, ჩრდ.-აღმ-ით კი, ორიოდე კმ-ზე, მაღალი მთის წვერზე, ციხის ნანგრევები, რ-საც ზოგი ფსიტიანის, ზოგი კი ფსიტის ციხეს უწოდებს.

200. გეგმა



200. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლ. ზომით მოზრდილია, „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის – დამატებითი სათავსებით საკურთხევლის გვერდებზე. ჯვრის აღმ. მკლავი აფსიდიანია, დანარჩენი მკლავები – სწორკუთხა. აფსიდის წინ მცირე სიღრმის ბემაა. დას. მკლავი ჩრდ. და სამხრ. მკლავებზე ოდნავ უფრო ღრმაა (შიგნითა ზომები: აღმ.-დას. ღერძზე – 19,3 *მ*, სამხრ.-ჩრდ. ღერძზე – 16,3 *მ*).

ნაგებობაში მკაფიოდ განირჩევა ქრონოლოგიურად განსხვავებული, ორი ფენა. თავდაპირველი ფენა, როგორც შენობის აღნაგობიდან და ზომებიდან, ისე ცალკეული ნიშნებიდან გამომდინარე, XI ს-ს უკავშირდება. მომდევნო ხანებში ეკლ. ძლიერ დაზიანებულა. XVI ს-ში მისი აღდგენა დაუწყიათ, მაგრამ, როგორც ეტყობა, აღარ დაუსრულებიათ (კედლების შენება ერთ სიმაღლეზეა გაწყვეტილი).

ეკლესიის განახლების შესახებ საუბარია ჩრდ.-აღმ. სათავსის კარის 1587 წლით დათარიღებულ, ასომთავრულით შესრულებულ, ოთხსტრიქონიან წარწერაში [მისი მარჯვ. ნაწილი ამჟამად ადგილზეა. შუა – 1933 წელს, თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ამჟამად თელავის ისტ. მუზეუმი) გადაუტანიათ, მარცხ. ნაწილი კი დაკარგულია].

თ. ბარნაველის მიხედვით წარწერა შემდეგი შინაარსისაა:


„[ჰოი] ყოველთა ნაშობთა [...] უმეტესო და წინასწარ მქადაგებელო სიტყვისა ღმრთისაო, წინამორ[ბედო] და [ნა] თლისმცემელო ქრისტესა იოანე, ჩვენ მსასოებელმან ცვა-ფარვათა შენთამა[ნ] [...] [ალექსანდრე [ჭელვაჟი] მეორედ შენებად და [მკ]ობად ტაძრისა შენისა. [...] [სალოცვე]ლად და სულისა ჩვენისა საჭსრ[ად], ამინ, ქორონიკონსა სოე“ (1587 წ.).

წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლ. აღუდგენია კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს და, რომ განახლებისას ის ნაკურთხი ყოფილა იოანე ნათლისცემლის სახელზე.

შენობის თავდაპირველ, ე.ი. ძირითად, სამშენ. ფენას, მიეკუთვნება საკურთხევლის ჩრდ-ით მდებარე, სწორკუთხა სათავსი – სამკვეთლო. სავარაუდოა, რომ ტაძრის დანარჩენი ნაწილის გეგმაც თავდაპირველია. თუმცა, ამის დაზუსტება, გათხრა-გასუფთავების გარეშე, არ ხერხდება.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი შესაბამისი მკლავის ცენტრშია, გამოყვანილია კვადრ. აგურით და ორივე მხრიდან ნახევარწრიული თაღით არის

დასრულებული. მოგვიანებით, შესაძლოა მშენებლობის დროსვე, შესასვლელების თაღის არეები, ბად აქვს დამუშავებული. თითო, თაღოვანი სარკმელი ჯვრის დანარჩენ მკლავებშიცაა – შესასვლელების ასწვრივ. აფსიდს, მთელ სიგრძეზე, ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გასდევს.



200. აღმ. ფასადი

შიგნიდან, აგურის წყობით შეუვსიათ და ხის ძელებით ღიობი თარაზულად გადაუხურავთ.

საკურთხევლის აფსიდი ოდნავ ნალისებრი ფორმისაა. აფსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი, რ-საც ძირი საფეხურე-

ტაძრის ოთხივე მკლავის კედლები საკურთხევლის კონქის ქუსლის დონეზეა შემორჩენილი. გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე კუთხეში – შესაბამისი მკლავის მხარეს – გამოყვანილია თითო ნახევარსვეტი, რ-ებზეც გადაყვანილი იყო გუმბათის

200. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ



საბჯენი თაღები. გუმბათქვეშა სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. ბურჯები სპეციალურად თანაბარი ზომით დაჭრილი, შირიმის ქვითაა ნაწყობი, დანარჩენი ორი კი – აგურით. სამხრ.-დას. ბურჯს შემორჩენილი აქვს შირიმის, მრუდხაზოვანი პროფილის, ოდნავ გადმოშვერილი იმპოსტი.

საკურთხევლის გვერდებზე მდებარე ორივე სათავსი აფსიდიანია. ორივე აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. ნახევარწრიულია მათი კონქის თაღებიც.

სამკვეთლოს კედლები შიგნიდან სქლადაა შელესილი, მაგრამ, ალაგ-ალაგ, მოჩანს რიყის ქვის წყობა, რ-იც ზოგან სწორ რიგებადაა ნაწყობი, ზოგან – ქაოსურად. სათავსი გადახურულია ჯვრული კამარით. კამარა ქარგილებზეა გამოყვანილი. კამარის წვერის წყობაში მკაფიოდაა გამოყოფილი თანაბარი ზომის ქვებით ნაწყობი ნაწილები. მის ქუსლებთან გამოყოფილია შირიმის, პროფილირებული იმპოსტები (ორ სადა ზოლს შორის მოქცეული, სამკუთხა შვერილი, რ-ის წვერი ზოლების ზედაპირთან ერთ დონეზეა). აფსიდის სარკმელი პატარაა. აქვს ნახევარწრიული თავი. საკურთხევლის სარკმლის გარდა, სათავსს ჩრდ. კედლის შუა ნაწილში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. ეს უკანასკნელი აღმ. სარკმელზე ბევრად უფრო დიდია და ფორმითაც უფრო წესიერი.

სათავსის გვერდით კედლებზე საფეხურით შელრმავებული, თითო, ბრტყელი ნიშაა. ასეთივე ნიშა იყო დას. კედელზეც, რ-შიც, XVI ს-ის რესტავრაციის დროს, კამარის დასაყრდნობად, კვადრ. აგურით (22x22x5 *სმ*) ნაწყობი, შეისრული თაღი ჩააშენეს. თაღის სამხრ. ქუსლი დაყრდნობილია სათავსის სამხრ.-დას. კუთხეში აგებულ, მასიურ, ნახევარწრიულ ბოძზე, რ-ის ქვედა ნაწილი, ძირითადად, რიყის ქვისაა, ხოლო ზედა – აგურის. თაღის მეორე საყრდენი ბოძი, რ-იც სათავსის ჩრდ.-დას. კუთხეში დგას –



200. ინტერიერი, ხედი ჩრდ.-დას.-კენ

მთლიანად შირიმისაა. ამავე რემონტის დროს აფსიდის სამხრ. კუთხის დიდი ნაწილი აგურით აღუდგენიათ.

სათავსის სამხრ. კედელში ვიწრო, მაღალი, თარაზულად გადახურული კარია. სათავსს მეორე შესასვლელი დას-იდან აქვს – ტაძრის ჩრდ. მკლავიდან. ეს კარი საკურთხევლიდან გამომავალ კარზე უფრო განიერია, მაგრამ რამდენადმე დაბალი. შიგნიდან იგი გადახურულია ნახ-



200. ინტერიერი, ჩრდ.-აღმ. სათავსის შესასვლელის არქიტრავის ნაწილი წარწერით

ევარწრიული თაღით, გარედან კი არქიტრავი ეხურა – ეკლესიის განმაახლებლის წარწერით.

საკურთხევლის სამხრ.-ით მდებარე სათავსი – სადიაკვნე – არსებითი სახეცვლილებებითაა შემორჩენილი. თავდაპირველად ეს სათავსიც ჯვრული კამარით იქნებოდა გადახურული, რ-იც XVI ს-ის რესტავრაციის დროს, ცილინდრული კამარით შეიცვალა. მასში ქვის წყობით გამოჯვანილია ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულება. თვით სათავსი დადაბლებულია, სავარაუდოდ, მეორე სართულის მოწყობის მიზნით. კამარის მდებარეობის წყალობით, სათავსის ორივე სარკმელი, აღმ-ით (მოქცეულია საფეხურით შეღრმავებულ არეში) და სამხრ-ით, შედარებით დაბლაა განლაგებული. სამკვეთლოს მსგავსად, აქაც, სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებზე მოწყობილია ბრტყელი ნიშები. მეორე სართულის ოთახს, აღმ-ით, პატარა სარკმელი აქვს. შესასვლელი კი გარედან, სამხრ-იდან ჰქონია.

გარედან, ეკლესიის კედლების წყობაში შეიმჩნევა სხვადასხვა პერიოდის სამშენ. ფენები, რ-ებიც ერთმანეთისგან, როგორც საშენი მასალით, ისე წყობის ხასიათითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ეკლესიის აღმ. ფასადის მნიშვნელოვანმა მონაკვეთებმა შეინარჩუნა თავდაპირველი, თეგზიფხური წყობით გამოყვანილი, თარაზულად გამავალი რიგები; კედლის ზედა და, ნაწილობრივ, ქვედა ნაწილებში საკმაოდ უხვადაა ჩასმული (როგორც ჩანს, რომელიღაც პერიოდის შეკეთების დროს) ქვის დიდი ფილები, რ-ებიც კედლის ზედაპირზე ბრტყლად არის გამოსული. გარდა ამისა, არის აგურის ცალკეული ჩანართებიც. აგურითვეა გამოყვანილი ფასადის ცენტრში არსებული, კედლის სიბრტყიდან ოდნავ შვერილი სწორკუთხედი,



200. ინტერიერი, ჩრდ.-აღმ. სათავსის შესასვლელის არქიტრავის ნაწილი წარწერით (თელავის ისტ. მუზეუმი)

რ-შიც საკურთხევლის სარკმელია ჩასმული.

დას., ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე წყობა, ძირითადად, სწორია. აქ რიყის ქვა და ფილაქანი აგურის რიგებს შორისაა მოქცეული, თუმცა, ზედა ნაწილებში ქვა უფრო მეტია. დას. ფასადზე, აქა-იქ, არის შირიმით გამოყვანილი დიდი მონაკვეთები. შენობის ქვედა კუთხე, აღმ. კუთხეების გარდა, ნაწყობია აგურით. ამჟამად ბათქაში, კედლების დიდ ფართობზე, როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც ჩამოცილებულია, რის გამოც ზედაპირი საკმაოდ უსწორმასწოროა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 317; 335.

201. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ბორცვზე, რ-საც მოსახლეობა აბიკას გორას უწოდებს. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,7x3,9 *მ*). ნაგები იყო ქვიშაქვით. ძლიერ

დაზიანებულია. შენობის ჩრდ. და დას. კედლის დიდი ნაწილი მიწის პირამდეა დანგრეული. დანარჩენი კედლები კი მიწიდან რამდენიმე *სმ* სიმაღლეზე დგას. შესასვლელის კვალი არ ჩანს. აფსიდს ნახევარწრიული მოხაზულობა ჰქონია. მის სამხრ. გვერდში ნახევარწრიული ნიშაა მოწყობილი.

ბ. კუპრეიშვილი.

202. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 0,5 *კმ*-ზე, ე. წ. საყორნის გორაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. (5,1x3,8 *მ*) ნანგრევადაა ქცეული — კედლები შემორჩენილია დაახლ. 50 *სმ*-ზე. ნაგები იყო ქვიშაქვითა და კირის ხსნარით. შესასვლელი სამხრიდან ჰქონდა. აღმ-ით ფიქსირდება ნახევარწრიული აფსიდი და მის სამხრ. გვერდში მოწყობილი ნიშა.

ბ. კუპრეიშვილი.

203. ნანგრევები, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მთის ფერდობზე, ტყეში. თარიღდება შუა საუკუნეებით. მცირე ზომის შენობის კედლები შემორჩენილია 1 *მ* სიმაღლეზე. ნაგებობის დანიშნულების დადგენა ვერ ხერხდება. ძეგლს გარშემოუყვებოდა ოთხკუთხა გ ა ლ ა ვ ა ნ ი. ნაგებობაცა და გალავანიც ნაშენია რიყის ქვით კირის ხსნარზე.

ბ. კუპრეიშვილი.

204. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში. თარიღდება ქვედა პალეოლითის ხანით. გაითხარა 1966 წ. ᲝᲐᲔ ინ-ტის კაე-ს მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაზვერვითი სამუშაოების დროს სადგომში აღმოჩნდა კაჟის ანატკეცები.

თ. მათიაშვილი.

ბიბლ.: 260.

205. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში. თარიღდება ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნით. ცნობილი გახდა 1949 წ., როცა თელავის სახელმწ. ისტ. მუზეუმსა და საქართვ. სახელმწ. მუზეუმში მიიტანეს ბრინჯაოს მახვილები და სხვა სამარხეული ინვენტარი. არქეოლ. მასალა უხვად აღმოჩნდა 1953 წ. სოფლის ცენტრში ელექტროსადგურის მშენებლობის დროს. 1965 წ. ჩატარებული დაზვერვითი ექსპედიციის დროს გაირკვა, რომ სოფელი გაშენებულია ძვ. სამაროვნის ტერიტორიაზე, რ-იც გამუდმებით ზიანდებოდა საცხოვრ. სახლების მშენებლობის გამო. ძეგლის შესასწავლად გაკეთდა თხრილი, რ-შიც, 1 *მ*-ის სიღრმეზე, გამოვლინდა ექვსი სამარხი. ნიადაგის სინოტივის გამო, სამარხეული ინვენტარი ცუდად იყო შემონახული. სამაროვანზე გათხრითი სამუშაოები ჩატარდა 1966, 1972 და 1974 წწ-ში. ᲝᲐᲔ ინ-ტის, შემდეგ აკც-ის კაე-ს (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) მიერ. ორმოსამარხები სწორკუთხაა (1,6x1 *მ*, 1,4x1 *მ*), დამხრობილია დას-იდან აღმ-კენ. დაზიანებულ სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვის პოზა არ დგინდება, დანარჩენ სამარხებში მიცვალებულები წვანან მარჯვ. (მამაკაცები) ან მარცხ. (ქალები) გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დას-ისაკენ. ძეგლზე გამოვლინდა წვრილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისგან სამეთუნეო მორგვზე დამზადებული, შავად, ყავისფრად ან ნაცრისფრად გამომწვარი, თხელკედლიანი ჭურჭელი (დოქი, კათხა, კოჭობი,ლანგარი, ჯამი, დერგი, ქოთანი, ქვაბქოთანა); მშვილდსაკინძების ტიპის ბრინჯაოს საკინძი; თავგახსნილი, ერთმანეთზე თავგადადებული, მრგვალ-ბრტყელი, ჭდეულზედაპირიანი სამაჯურები; სარდიონის რამდენიმე ტიპის (სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ცილინდრული, შინდისებრი და სხვ., როგორც ორმხრივად, ისე ცალმხრივად გახვრეტილი) და თეთრი და ცისფერი პასტის ცილინდრული ღილისა თუ სფერული ფორმის მძივები. დადასტურდა, აგრეთვე, ძვლის ან ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან დამზადებული, თავთან მრგვალი ან ოვალურნახვრეტიანი ნემსმახათები; ბრინჯაოს მდიდრულად ორნამენტირებული, მთლიანადსხმული მახვილები, სატევარი (ორი სატარე მანჭვლით); რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი (დაზიანებული); ძვლის ყუნწიანი ისრისპირი. ზოგიერთ სამარხში დადასტურდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი.

სამაროვანზე გვხვდება ე.წ. სამახსოვრო სამარხები (კენოტაფები) — სამარხები მიცვალებულის გარეშე.

ც. მუნაბდე.

ბიბლ.: 120; 121; 186; 280; 298.

206. სამაროვანი ნაშალა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ბურთულად წოდებულ ადგილზე. 1974 წ. შეისწავლა აკც-ის კაე-მ. თარიღდება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნით. სადაზვერვო თხრილში (სიგრ. — 7,75 *სმ*, სიგ. — 0,4 *მ*), 0,2 *მ* სიღრმეზე, აღმოჩნდა 4 სამარხი, რ-თა უმეტესობა განადგურებულია. „ნაშალის“ არქეოლ. მასალა (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს მახვილები, სამკაულები, სხვადასხვა მასალის მძივები) იდენტურია თეთრი წყლების სამაროვნისა.

ნ. გოძიაშვილი.

ბიბლ.: 120.

207. ფსიტის (ფ ს ი ტ ი ა ნ ი ს, ს ა ფ ს ი ტ ე ს) **ციხე**, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, მდ. ფსიტიანისხევის მარჯვ. ნაპირას, მთის წვერზე. სოფლიდან პირდაპირი ხაზით დაახლ. სამიოდე *კმ*-ზე. გაირჩევა რამდენიმე სამშენ. ფენა და განსხვავებული წყობა. ადრინდ. ფენები V-VI საუკუნეებისაა. გვხვდება განვით. შუა საუკუნეების და გვიანდ. შუა საუკუნეების წყობაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ციხის შეკეთება საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა და



207. საერთო ხედი ჩრდ-იდან

თავის ფუნქციას გვიანდ. შუა საუკუნეებშიც ინარჩუნებდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს ციხეა მოხსენიებული კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის 1579 წლის სიგელში, რ-შიც იგი საფსტეს ციხის სახელით იხსენიება.

ციხე, ძირითადად, ნაგებია საშ. და დიდი ზომის რიყის ქვით კირის ხსნარზე. გამოყენებულია ნატეხი ლოდებიც. შენობა რთული კონფიგურაციისაა. წაგრძელებულია სამხრ-იდან ჩრდ-ისაკენ. წარმოადგენდა გოდოლებისა და კოშკების სისტემას, რ-ებიც ერთმანეთთან კედლებითა და დამხმარე ნაგებობებითაა დაკავშირებული.

ციხე ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. დას. მხარე მასიური გოდოლებითაც იყო გამაგრებული. სამხრ-ით, 10 *მ* სიმაღლის, მრგვალი გოდოლის ნაშთია. მის გასწვრივ, ჩრდ-ით – მეორე გოდოლისა. ისინი ერთმანეთთან სქელი კედლითაა დაკავშირებული. მთლიანად დანგრეულია ციხის შიდა მხარე. ჩრდ. განაპირას შემორჩენილია ერთ-ერთი გოდოლის პირველი სართული – გუმბათოვანი გადახურვის მქონე მცირე, მრგვალი ოთახი. სამხრ-ით კარის კვალია. აღმ-ისკენ მეორე სწორკუთხა სათავსია (დაფარულია მიწით). გაძნელებულია დანარჩენი ფრაგმენტების გარჩევა.

პ. კიკაჩეიშვილი.

ბიბლ.: 93; 317.

იყალთო

(თემის საკრებულოს ცენტრი)

208. იყალთო, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 7 *კმ*-ზე, გომბორის ქედის ჩრდ-აღმ. კალთაზე, ზღვის დონიდან 700 მ-ზე. შუა საუკუნეებში წარმოადგენდა მძლავრ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს საქართველოში, რასაც საფუძველი ჩაუყარა ერთ-ერთი ასურელი მამის – ზენონის მიერ დაწყებულმა სამონასტრო კომპლექსმა. XI-XII სს. აქ არსებობდა საქართვ. ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი – იყალთოს აკადემია, რ-იც ცნობილი ქართვ. სასულიერო მოღვაწის, ფილოსოფოსის, მწერლისა და ჰიმნოგრაფის არსენ ვაჩეს ძე იყალთოელის მეს-ვეურობითა და დავით აღმაშენებლის ხელშეწყობით დაარსდა. არსენივე იყო აკადემის პირველი რექტორიც.


სოფელში მისდევენ მევენახეობას. მოქმედებს ღვინის პირველადი გადამუშავების ქ-ნა, ფუნქციონერებს ეთნოგრ. მუზეუმი და შოთა რუსთაველის სახ. სახალხო უნ-ტი.

გ. აფრასიძე.

ბიბლ.: 100; 149; 179გ; 198გ.


209. გოჭორმის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ, 1 *კმ*-ზე, სამონასტრო კომპლექსის სამხრ-ით, 100-150 *მ* მანძილზე, ტყეში. თარიღდება გარდამავალი ხანით.

ეკლ. დარბაზულია (6,64x4,6 *მ*), აქვს თანადროული მინაშენი (შემორჩენილია მცირე ნაწილი), რ-იც მას ჩრდ-იდან, მთელ სიგრძეზე გასდევს. შენობა, ძირითადად, ნატეხი ქვითაა ნაგები. ალაგ-ალაგ გამოყენებულია რიყის ქვა და შირიმი. ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას ჩრდ-იდან, მინაშენიდან აქვს. ეკლესიის შიდა სივრცე ვიწროა და



209. გეგმა

მაღალი. აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ცენტრში, თაღოვანი სარკმელი, გვერდებში კი თითო, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. საკურთხეველი დარბაზის იატა-



209. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

კის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი ოდნავ ნალისებრი ფორმისაა, დაყრდნობილია აფსიდის მხრე-

ბის დამაგვირგვინებელ, შირიმის მარტივ იმპოსტებზე. აფსიდის კედელზე, სარკმლის ქვემოთ, ოთხკუთხა ტრაპეზია მიდგმული. დას. კედელში თაღოვანი სარკმელია. დარბაზი ცილინდრული კამარითაა გადახურული.

მინაშენი ვიწროა, აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-ის ზედა ნაწილი და გადახურვა ჩამონგრეულია. მინაშენის დანარჩენი კედლები, დაახლ. 1, 5 *მ* სიმაღლეზე დგას. შესასვლელი შენობას ჩრდ-იდან ჰქონდა (შემორჩენილია აღმ. წირთხლის ნაწილი). აფსიდის შუაში თაღოვანი სარკმელია, რ-საც გარეთა ნაწილი, მთელ სიმაღლეზე, მონგრეული აქვს. აფსიდში დგას მოზრდილი ტრაპეზი.

ფასადები სადაა, წყობა არაწესიერი. ორივე სარკმლის თაღი ერთ მთლიან, მომწვანო ფერის ქვაშია გამოკვეთილი. მათ შორის აღმ. სარკმლის ქვაზე შემორჩენილია ასომთავრულით შესრულებული, ძლიერ დაზიანებული წარწერა, რ-იც ასე იკითხება: “ქრისტე შეიწყალე გიორგი”.


1980-იან წლებში ეკლ. შეაკეთეს და იგი ღარისებრი კრამიტით გადახურეს.

თ. დვალი.


210. ვარდის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1 *კმ*-ზე, გორაკის წვერზე, ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. მცირე ზომის (5,6x4,3 *მ*) დარბაზული ტიპის ეკლესიაა. ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით. კონსტრუქციულ ადგილებში გამოყენებულია კვადრ. აგური.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი თარაზულადაა გადახურული. ეკლესიის დარბაზი მოკლეა, იმდენად, რომ მისი სიგ. დაახლ. 0,4 *მ*-ით აღემატება სიგრძეს. აღმ-ით მას ერთვის ორი საფეხურით შემაღლებული, გეგმით ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდი, რ-შიც ერთი, თარაზულად გადახურული სარკმელი და ორი მცირე, ოთხკუთხა ნიშაა – სარკმლის აქეთ-იქით. სარკმლის ქვემოთ კი კედელს, ოთხკუთხა ტრაპეზი ეკვრის. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ოდნავ



210. გეგმა



210. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. საკურთხეველი დარბაზისგან აგურით ნაშენი კანკელითაა გამიჯნული. კანკელს შუაში ერთი კარი აქვს. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო, ბრტყლად გადახურული სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. მათ შორის, დას-ისა, გარეთკენაა ახრილი. დარბაზის სამხრ. და ჩრდ. კედლებში მოწყობილია მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშები – ჩრდ-ით სამი, სამხრ-ით კი ორი. კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა.

ფასადები სადაა, მოკლებულია მორთულობას. კედლები დასრულებულია აგურის ღავგარდნით, რ-იც გამოყვანილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურების თითო რიგით.


თ. დვალი.

211. იოანე მახარებლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, სასაფლაოს ტერიტორიაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით ოდნავ დეფორმირებული სწორკუთხედის ფორმის (6,8x5,9 *მ*). შედგება ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი, სამშენ. ფენისგან, რ-ებიც ერთმანეთისგან როგორც საშენი მასალით, ისე ბათქაშის ფერითაც გაირჩევა. შენობის თავდაპირველი, ძირითადი ნაწილი რიყის ქვისაა და კედლების სიმაღლის თითქმის 3/4-ს მოიცავს. გვიანდ. ნაწილი კი, კვადრ. აგურის (22x22x4 *სმ*) და ნატეხი ქვის შერეული წყობითაა ნაგები. შიგნით ეკლ. შელესილი და შეთეთრებულია, რის გამოც კედლის თავდაპირველ და გვიანდელ ნაწილებს შორის საზღვარი არ ჩანს. ფასადებზე, გვიანდ. წყობა თავდაპირველისგან განსხვავებით, დაუდევრადაა შესრულებული და კედლის ზედაპირიც არასწორია. შენობა XIX ს-შიც გაურემონტებიათ – სახურავის ფერდებზე აგურის ფენა დაუშენებიათ, რ-ის სიმაღლე, ფერდობის დახრილობის შესაბამისად, კიდეებისკენ თანდათანობით მატულობს. ამის გამო განახლებული სახურავის ფერდების დახრილობა, თავდაპირველთან შედარებით, ბევრად ნაკლებია. ამავე რემონტის დროს, ეკლესიის დას. კედელზე აგურის, პატარა სამრეკლო დააშენეს.

შესასვლელი დას-ითაა, კარი შიგნიდან, ფიცრით, თარაზულადაა გადახურული, გარედან კი – შეისრულთაღიანია. აღმ-ით გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია აგურით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდში სამი ნიშაა. მათგან

ერთი სარკმლის სამხრ-ითაა, ორი, ერთი მეორის ზემოთ – ჩრდ-ით. სამხრ-ით მდებარე ნიშა სწორკუთხაა, ჩრდ-ით მდებარე ნიშებიდან ზედა – სწორკუთხაა, ხოლო ქვედა – შეისრულთაღოვანი. იგი ეკლესიის თავდაპირველ ფენაშია მოქცეული და დანარჩენებს თავისი სიდიდით ბევრად აღემატება. საკურთხეველი გადახურულია დადაბლებული პროპორციების, ამორფული ფორმის მქონე კონქით, რ-ის



211. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

თაღს ბოლოებგაშლილი ნახევარწრის ფორმა აქვს. მსგავსი ფორმისაა კამარაც. ეკლესიის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით. იატაკზე, აფსიდის მხრების ხაზზე, დაახლ. 10 *სმ* სიმაღლის ზღუდეა, რ-იც, როგორც ჩანს, ხის კანკელის დასაყრდნობად იყო განკუთვნილი.

შენობის ფასადების მნიშვნელოვანი ნაწილი შელესილია. აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოსახულია საფეხუროვან ბაზისზე დაყრდნობილი ჯვარი. მსგავსი ჯვარია გამოსახული დას. ფასადზეც, შესასვლელის ასწვრივ. ოღონდ, იგი წყობის შეღრმავებით კი არ არის გამოყვანილი, არამედ კედლის სიბრტყიდან ოდნავ გამოშვერილია.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის კვალი მხოლოდ განივ ფასადებზე იკითხება. გვიანდ., XIX ს-ში განახლებული ლავგარდანიც აგურისაა. მისგან მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.


სამრეკლო ოთხწახნაგაა, დგას გეგმით კვადრატულ საფუძველზე და ოთხივე მხარეს ვიწრო, თაღოვანი ღიობებითაა გახსნილი. შიგნით სამრეკლო გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, გარედან კი, აგურისავე, პირამიდული სახურავი აქვს.

თ. დვალი.

212. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, იყალთოს სამონასტრო კომპლექსის სამხრ.-აღმ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება VIII ს-ით.

ეკლ. ორნავიანია. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (5,8x5,6 *მ*) კედლით გამოჯვნული, ორი ნავია ჩაწერილი, რ-ებიც ერთმანეთს ამ კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება. ეკლესიის მთავარ ნავს გეგმის სამხრ. მონაკვეთი უჭირავს. იგი, მეორე ნავთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო განიერია და შესამჩნევად მაღალი. ეკლესიას შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს – ჩრდ. ნავის ჩრდ. კედლის შუა არეში. იგი ორთაღიანი ყოფილა – სვეტით თაღებს შორის. ამჟამად სვეტის კვალი აღარ ჩანს. შემორჩენილია თაღედის მხოლოდ განაპირა წირთხლები.


ეკლ., ძირითადად, ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვით. ქვა, ფორმისა და ზომის მიხედვით, მეტ-ნაკლებად შერჩეულია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ისინი არ წარმოქმნიან სწორხაზოვნად გამავალ რიგებს. ქვებს შორის დარჩენილი არეები წვრილი, რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და დუღაბითაა შევსებული. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის არსე-



212. გეგმა

ბულ არეებს ავსებს და მათი ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილსაც ფარავს. შენობის გარეთა კუთხეები საგანგებოდ შერჩეული და ერთმანეთზე კარგად მორგებული, რიყის ქვის ლოდებითაა ამოყვანილი.

მთავარი ნავი – საკუთრივ ეკლ., აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გრძივი კედლებიდან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. მხრები დაგვირგვინებულია მაღალი, სწორხ-



212. განივი ჭრილი, ხედი დას-კენ

აზოვანი პროფილის (თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე) შირიმის კაპიტელებით. სამხრით მდებარე ორივე კაპიტელზე



212. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

შემორჩენილია მათზე დაყრდნობილი თაღის წყობის მცირე ნაწილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, მაღალი, სარკმელი, რ-საც შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თავი აქვს. თითო, ოღონდ გაცილებით დაბალი სარკმელი, სამხრ. და დას. კედლებშიცაა. დას. სარკმელი (ქვედა ნახევარი ამოშენებულია) ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. სამხრისას კი ზედა ნაწილი, შიგნიდან და გარედან, მონგრეული აქვს და მისი გადახურვის ფორმა არ დგინდება. აღმ. სარკმლის ორივე მხარეს, სარკმლის ძირიდან დაახლ. 0,7 *მ*-ით დაბლა, მოწყობილია თითო, ოთხკუთხა ნიშა. ქვემოთ კი, კედელთან, კუბური ფორმის ტრაპეზი დგას.

ეკლესიის დარბაზის სივრცე აზიდული პროპორციებისაა. იგი გადახურული იყო ცილინდრული კამარით.

მთავარი ნავის ჩრდ. კედლის შუაში გაჭრილია კარი, რ-იც ჩრდ-ით მდებარე, ვიწრო ნავში გადის. კარს გადახურვა ჩამოშლილი აქვს. შემორჩენილი კვალის მიხედვით იგი, ჩრდ. ნავის მხრიდან, თარაზულად ყოფილა გადახურული.

ჩრდ. ნავიც აფსიდიანია. აფსიდის ცენტრში აქაც თაღოვანი სარკმელია, მის ქვემოთ კი – კუბური ფორმის ტრაპეზი. აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა, გადახურულია წესიერი ფორმის კონქით (შემორჩენილია სამხრ. ნახევარი). კონქის თაღის ქუსლებთან გამოყოფილია შირიმის იმპოსტები, რ-ებიც მთავარი ნავის კონქის თაღის იმპოსტების ანალოგიური პროფილისაა, მაგრამ მათზე თითქმის ორჯერ უფრო დაბალია. ნავი გადახურული იყო ცილინდრული კამარით, რ-ისგანაც შემორჩენილია სამხრ. გვერდის ნაწილი – მთელ სიგრძეზე და დას. მონაკვეთი.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, ჩრდ. ნავის სარკმლის თაღი შირიმის ქვაშია გამოკვეთილი. სარკმლის თავზე, გამოსახულია ნახევარწრიული ფორმის, ვიწრო, რელიეფური, ბოლოებგადაკეცილი თავსართი.

თ. დჟალი.

ბიბლ.: 335.

213. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ცაცხვების კოროში. წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს, ორმოცდაათიოდე *მ*-ის მანძილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

კოშკი გეგმით ოთხკუთხაა (4,65x3,55 *მ*); შემორჩენილია 1,7-2,2 *მ* სიმაღლეზე. კედლები (სისქე – 0,7 *მ*) შიგნიდან და გარედან ყრუა. ნაშენია რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ქაოსურია. გარეთა კუთხეები მეტ-ნაკლებად დამუშავებული, ქვიშაქვის მოზრდილი ქვებითაა გამოყვანილი.

პ. კიკაჩეიშვილი.

214. მაყაშვილების ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, ვაკეზე. თარიღდება XVIII ს-ით.


ციხეს გეგმით სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული ოთხკუთხედის მოხაზულობა აქვს (მიახლოებითი ზომები: სამხრ.-ჩრდ-ის ღერძზე – 45 *მ*, აღმ.-დას-ის ღერძზე – 37 *მ*). ნაგებია რიყის ქვით კირის ხსნარზე. ციხის ოთხივე კუთხეში მდგარა ცილინდრული კოშკი, რ-ებიც მთელი კორპუსით გალავნის ფარგლებს გარეთ იყო გასული. კოშკებიდან მხოლოდ სამია შემორჩენილი. ერთი მათგანი ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხეშია, ხოლო ორი – სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეებში. მეოთხე, ჩრდ.-დას. კუთხეში მდგარი კოშკიდან კვალიც არ დარჩენილა. ჩრდ.-აღმ. კოშკი ორი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი, სამხრ. კუთხეებში მდგარი კოშკებიდან კი მხოლოდ მცირე ნაწილები.

გალავნის კედლებიდან აღმისა, თითქმის მთელ სიგრძეზე დგას. დას. კედლიდან მხოლოდ სამხრ. ნახევარია შემორჩენილი. დანარჩენი ორი კი თითქმის მთლიანად დანგრეულია.


ციხის ჩრდ.-აღმ. კოშკი ამჟამად სოფლის ერთ-ერთ მოსახლეს საცხოვრებლად აქვს გამოყენებული. პირველ სართულზე შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარის პირდაპირ ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია. კედელში ოთხი, კვადრ. ნიშა და ერთი სათოფურია მოწყობილი. შესასვლელის აღმ-ით მცირე, სწორკუთხა ხვრელია, რ-იც ღრმად შედის კედელში.

კოშკის მეორე სართულის კედელი, პირველი სართულის კედელთან შედარებით, დაახლ. 50 *სმ*-ით უფრო თხელია, რის გამოც მათ საზღვარზე, სართუ-


ლის მთელ პერიმეტრზე, საფეხურია შექმნილი. საფეხურს სართულშუა გადახურვის, ხის კოჭები ექრდნობოდა. შესასვლელი ამ სართულსაც ციხის ეზოდან – სამხრ-იდან აქვს. ბუხარი ამ სართულზეცაა – პირველი სართულის ბუხრის ასწვრივ. იგი გეგმით ნახევარწრიულია, თაღოვანი. სართულზე, სხვადასხვა



214. გენგეგმა



214. ჩრდ.-აღმ. კოშკი. I სართულის გეგმა



214. ჩრდ.-აღმ. კოშკი. II სართულის გეგმა


დონეზე, ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებია განლაგებული.

პ. კიკაჩეიშვილი.

215. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის თავში, სამონასტრო კომპლექსისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ჩუმათხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,0x3,7 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვით. კედლები შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია.


ერთადერთი შესასვლელი დას. კედლის შუაშია. კარი თარაზულადაა გადახურული. გა-



215. გეგმა

რედან, შესასვლელის ზედა ნაწილი, მოქცეულია საფეხურით შერმავებულ, სწორკუთხა არეში.

აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა, გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. აფსიდის ცენტრში მოწყობილია მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელი, გვერდებში კი – თითო, სწორკუთხა ნიშა. სარკმლის ქვე-



215. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

მოთ, დგას კედელზე მიყრდნობილი, ოთხკუთხა ტრაპეზი.

დარბაზი გეგმით თითქმის კვადრატულია (2,3x2,2 *მ*), განათებულია ორი მცირე, ბრტყლად გადახურული სარკმლით. სარკმლები სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. კიდეში არის გაჭრილი ისე, რომ ორივე სარკმლის აღმ. წირთხლი, აფსიდის შესაბამისს მხართან, ერთ სიბრტყეშია. დარბაზის კედლები სადაა – უპილასტრო. შიგნით ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით.



215. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

გარედან, ეკლესიის კედლების ზედაპირი მოყვითალო ფერის ბათქაშითაა გასწორებული, რ-იც ქვებს შორის არსებულ არეებს ავსებს და საპირე ქვების დიდ ნაწილს ფარავს. მოგვიანებით, კედლები შეუთეთრებიათ. ფასადები დასრულებულია კვადრ. აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც ხერხულა და ჩვეულებრივი წყობის მონაცვლეობითაა გამოყვანილი. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.


თ. დგალი.

216. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 0,7 *კმ*-ზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. კედლების ნაშთების მიხედვით, რ-ებიც მცენარეულობითაა დაფარული ჩანს, რომ ეკლ. დარბაზული ყოფილა (დაახლ. 4x3 *მ*). იგი რიყის ქვით და კირის ხსნარით იყო ნაგები.


ბ. კუპრეიშვილი.

217. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლში, ჩუმათხევის მარცხ. მხარეს, მაყაშვილების ციხესთან ახლოს. თარიღდება XVIII-XIX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (15,1x9,1 *მ*). ნაგებია რიყის ქვით და ქართ. აგურით. კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-შიც ჩართულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, ირიბად ნაწყობი აგურით გამოყვანილი, ჰორიზ. რიგები, რ-ებსაც, ალაგ-ალაგ (ძირითადად ზედა ნაწილებში), ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის თითორიგიანი შრეები ენაცვლება. კედლების ზედაპირი, შიგნიდან და გარედან, გასწორებულია ბათქაშით და შეთეთრებულია. კონსტრ. ელემენტები, კარ-სარკმლების ღიობები, ლავგარდანი და იატაკი აგურისაა. შესასვლელი ორია – სამხრ-ით და დას-ით. ორივე კარი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით გეგმით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში განიერი, შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელია გაჭრილი. აფსიდის გვერდებში, ერთმანეთის სიმეტრიულად, მოწყობილია თითო, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ნიშა. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია. იგი აფსიდის მხრების ხაზიდან რამდენადმე წინაა წამოწეული და ცენტრში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. გრძივ კედლებზე ოთხ-ოთხი პილასტრია, რ-ებზეც გადაყვანილია კილისებრი საბჯენი თაღები. მსგავსი ფორმისაა კამარაც. პილასტრებიდან თითო, გრძივი კედლების ბოლოებშია, ორ-ორი კი – მათ შორის. პილასტრების აღმ. წყვილი და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი საკურთხევლის სივრცეს ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფს. პილასტრების ქვედა ნაწილი, იატაკიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, აფსიდის კედელთან ერთ სიბრტყეშია, ზემოთ კი, საბჯენ თაღთან ერთად, აფსიდისგან განიერი (სიგ. 50 *სმ*-მდე), ღრმა ღარითაა გამიჯნული. პილასტრები დასრულებულია მაღალი, რთული პროფილის (ორ გლუვ თაროს შორის მოქცეული და მათგან ვიწრო ზოლებით გამიჯნული ლილვი) კაპიტელებით. პი-



217. გეგმა



217. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



217. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ლასტრებს შორის, თითო ღრმა, მაღალი, ნახევარწრიული თაღია. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი, თაღოვანი სარკმელი აშუქებს. თითო-თითო – გრძივ კედლებშია, აღმ-ით მდებარე თაღებში, ხოლო ერთი – დას. კედლის ღერძზე, შესასვლელის ზემოთ. თაღების აღმ. წყვილში, სარკმლების გარდა, ორ-ორი, სწორკუთხა ნიშაცაა. მათ შორის თითო, შედარებით მოზრდილი, სარკმლების ქვემოთ, თაღის აღმ. ნაწილშია მოწყობილი, მცირე კი – თაღების აღმ. გვერდში.

ეკლესიის დას. კარი გარედან ჩასმულია საფეხურით შეღ-

217. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან



რმავებულ, თაღოვან არეში. მსგავსს არეებშია ჩასმული სარკმლებიც. კედლები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლ. დგას რიყის ქვის ერთსაფეხურიან ცოკოლზე.


2008 წელს ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: ინტერიერი შეილესა გაჯით, გაკეთდა კანკელი, განახლდა ლავგარდანის დაზიანებული ნაწილები, სარკმლებში ჩაისვა ხის შემინული ალათები, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დუალი.

218. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 0,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,6x4,8 *მ*), ნაშენია მოზრდილი ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდან აქვს.


კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა. სამხრ. კარს ზედა ნაწილი მონგრეული აქვს. ეკლესიის დარბაზი მოკლეა (სამხრ.-ჩრდ. ღერძი ოდნავ ჭარბობს აღმ.-დას. ღერძს), აღმ-ით მას ერთვის ღრმა, ნახევარწრიული აფსიდი, რ-შიც ერთი, ოთხკუთხა სარკმელი (ღერძზე)



218. გეგმა

და ორი, მცირე, ოთხკუთხა ნიშაა (სარკმლის აქეთ-იქით). ერთი, ოთხკუთხა ნიშა ჩრდ. კედლის დას. ბოლოშია. აფსიდის შუაში შემორჩენილია ოთხწახნა-

გა ტრაპეზის ნაშთი. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე, სხმული



218. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

კონქით, რ-ის თაღს გაჭყლეტილი ნახევარწრის ფორმა აქვს. სხმული და მსგავსი ფორმისაა კამარაც.

ეკლესიის კედლები გარედან სადაა. კედლებს საპირე წყობა მნიშვნელოვან ფართობზე ჩამოშლილი აქვს. დას. შესასვ-



218. დას. ფასადი

ლელის თაღი ჩასმულია საფეხურით შედრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-შიც, კარის თავზე, მოწყობილია მცირე, თაღოვანი ნიშა.

კ. გიორგობიანი.

219. ნაციხარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 0,5 კმ-ზე, ბორცვზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგები იყო რიყის ქვით, ქვიშაქვით და კირის ხსნარით. დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედელი (სიმ. დაახლ. 2,5 *მ*), რ-ის შუაში კარია გაჭრილი. კედელში სათოფურებია მოწყობილი. ციხის დას. ნაწილში მიწაში სანახევროდ ჩაფლული სათავსია, რ-საც ჩრდ-იდან კარი ჰქონდა გაჭრილი.

ბ. კუპრეიშვილი.

220. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ. განაპირას, თაღლაურად წოდებულ ადგილზე. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. აღმოჩნდა 1964 წელს. სოფლის მაცხოვრებლის ბაჩიაშვილის ეზოში ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს. დაზიანებული ორმოსამარხი გათხარეს თელავის სახელმწ. ისტ. მუზეუმის თანამშრომლებმა. 1977 წ. ამავე ეზოში აღმოჩნდა კიდევ ერთი ორმოსამარხი, რ-იც შეისწავლა აკც-ის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ორმოსამარხები (2x1,6 *მ*, 1,8x1,3 *მ*) ოთხკუთხაა, დამხრობილია სიგრძივ, ჩრდ.-დას.-იდან სამხრ.-აღმ-კენ და ჩრდ-დან სამხრ-კენ. პირველ სამარხში მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-კენ. მეორე (1977 წ. გათხრილ) სამარხში მიცვალებულის ძვლები მიმობნეული იყო. ამდენად, დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა. სამარხის ჩრდ. კედელთან აღმოჩნდა თავის ქალა, სამხრ.-აღმ. ნაწილში – ბარძაყის ძვლები. ისინი თიხის ჭურჭელს ედო ზემოდან (შესაძლებელია სარეცლის არსებობა). სამარხეული ჭურჭელი (დერგი, სადღეგებელი, ქილა, ქვაბქოთანა, ქოთანი, ბადია, სურა, სასმისი) დამზადებულია ქვიშანარევი თიხისგან. გამომწვარია ნაცრისფრად, მოშავოდ ან შავად. არათანაბარი გამოწვის გამო, ზედაპირზე შეიმჩნევა მუქი ფერის ლაქები. ჭურჭელი დამზადებულია სამეთუნეო მორგვზე. ინვენტარი ორნამენტირებულია კონცენტრული, ამოღარული ხაზებით, მხარზე და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევებით, ორ, კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული, კლაკნილი ხაზით, ამოკაწრული სამკუთხედებით, რ-თა შორის დარჩენილი არე შევსებულია ნაჭდევებით.

სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი და მავთულის ზამბარისებრი ხვია, შუბისპირი, მასრაზე რელიეფური ორი სალტით და ბრინჯაოსავე მავთულის ბოლოებგახსნილი ორი ბეჭედი.

ც. მუნაბდე.

ბიბლ.: 121; 148.

221. სამაროვნები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სანიორის მთის კალთებზე. 1933 წ. შეისწავლა გ. გოზალი შვილმა. ერთი სამაროვანი თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით. მეორე – გვიანდ. შუა საუკუნეებისაა. ორმოსამარხებში მიცვალებულები ესვენა კიდურებმოხრილი, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე.

არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ფონდებში.

ნ. გოძიაშვილი, გ. ჯინჯიხაშვილი.

ბიბლ.: 38; 39; 186.

222. სამონასტრო კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, მთის ძირში. სამონასტრო კომპლექსში შედის: ფერისცვალების, სამებისა და ყველაწმინდის ეკლესიები, აკადემიის შენობა, სატრაპეზო, მარანი, ექვსი ეკლესიის და რამდენიმე შენობის ნაშთი.

მონასტერი VI ს-ის მეორე ნახევარში დაუარსებია წმ. ზენონს, ერთ-ერთ წმ. ცამეტ ასურელ მამათაგანს. შუა საუკუნეებში, როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც არსენ იყალთოელმა (XI-XII სს.) აქ აკადემია დააარსა, მონასტრის მნიშვნელობა გაცდა კახეთის ფარგლებს და იგი იქცა მთელი საქართველოს დიდ კულტ.-საგანძან. ცენტრად.

მონასტრის ეკლესიებიდან მთავარია ფერისცვალების ეკლესია („ღვთაება“). იგი, სავარაუდოდ, აგებუ-



222. საერთო ხედი აღმ-იდან

ლია IX ს-ში, იმ ეკლესიის ადგილზე, რ-შიც დაკრძალული იყო მონასტრის დამაარსებელი წმ. ზენონი. დროთა განმავლობაში ტაძარს მნიშვნელოვანი, ადგენითი სამუშაოები ჩაუტარდა. XIX ს-ში შენობის კედლების დანგრეული ნაწილები აღადგინეს, ეკლესიას ახ., მაღალყელიანი გუმბათი დაადგეს, შიგნიდან და გარედან შელესეს და შეათეთრეს.


ეკლ. გეგმით „ჩახაზული ჯვრის“ ტიპისაა, გუმბათით ოთხ, თავისუფლად მდგომ ბურჯზე (22,0x13,8 *მ*), რ-ებსაც გეგმით ჯვრული მოხაზულობა აქვს. შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით, გუმბათი და კედლების მოგვიანებით აღდგენილი ნაწილები კი – კვადრ. აგურით. გარეთა კუთხეების წყობაში გამოყენებული იყო, ძირითადად, შირიმი.


შესასვლელი სამია – სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი ჯვრის შესაბამისი მკლავის ცენტრშია გაჭრილი. ისინი გარედან თარაზულადაა გადახურული, ხოლო შიგნიდან თაღოვანია.

ჯვრის აღმ. მკლავი, დანარჩენ მკლავებზე, თითქმის სამჯერ უფრო ღრმაა. აღმ-ით იგი დასრულებულია გეგმით ნალისებრი აფსიდით, რ-ის წინ ბემაა. აფსიდს მთელ სიგრძეზე გასდევს მღვდელმსახურთათვის ჩამოსაჯდომი საფეხური, რ-ის ცენტრში, საკურთხევლის სარკმლის ქვემოთ, გამოყოფილია მონასტრის წინამძღვრის ადგილი.

საკურთხევლის გვერდებზე სწორკუთხა გეგმის, თითო სა-

222. გენგეგმა. 1. ფერისცვალების ეკლ., 2. სამების ეკლ., 3. ქველაწმინდის ეკლ., 4. აკადემია, 5. საწნახელი, 6-7. საცხოვ. ნაგებობა, 8. კარიბჭე. 9. შესასვლელი, 10. გალავანი, 11. წმ. ნინოს ეკლ., 12. წყარო






222. ფერისცვალების ეკლ. გეგმა

მეტწახნაგოვანი. გუმბათის ყელის წრიული საფუძველი შექმნილია გუმბათქვეშა თაღებს ზემოთ, დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე მოწყობილი, ორსაფეხუროვან კონსოლებზე დაყრდნობილი, დამატებითი ოთხი თაღით და მათ შორის განლაგებული, ბრტყელი აფრებით. ამ საყრდენი სისტემით შექმნილი გუმბათქვეშა კვადრატი, ძირითად კვადრატთან შედარებით, მცირეა. გუმბათის ყელის წრიული საფუძველი კი, თავდაპირველთან შედარებით – უფრო ვიწრო (დიამ. დაახლ. 5 *მ*-ია). გუმბათის ყელში თორმეტი მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო, თაღოვანი სარკმელი დანარჩენი მკლავების ცენტრშიცაა მოწყობილი. სამივე სარკმელი მოქცეულია კედლის მოგვიანებით განახლებულ ნაწილში, რ-იც მთლიანად კვადრ. აგურითაა ნაწყობი და სამივე კედლის ცენტრ. ნაწილს მოიცავს მთელ სიმაღლეზე – შესასვლელის თაღიდან კამარის წვერომდე. აგურითაა აღდგენი-



222. ფერისცვალების ეკლ. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

თავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე სათავსის აღმ. კედელში განიერი, მაღალი, ნალისებრთაღიანი ნიშაა. ორივე ნიშაში თითო სარკმელია, რ-ებიც შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. სადიაკვნის ჩრდ. კედელში ნახევარწრიულთაღოვანი ნიშაა. ამ ნიშის ადგილზე, სამკვეთლოს სამხრ. კედელში, მოწყობილია თაღოვანი კარი (როგორც ჩანს, ადრე არსებული ნიშის ადგილზე), რ-იც საკურთხეველში გადის.


ორივე სათავსი, ჯვრის მკლავები და მკლავთაშორისი მონაკვეთები გადახურულია ცილინდრული კამარით. გუმბათქვეშა ბურჯებიდან სამხრ. და ჩრდ. კედლებზე გადაყვანილი თაღები შეკიდულ პილასტრებზეა დაყრდნობილი, დას. კედელზე კი – პილასტრებზე. ამ და გუმბათქვეშა თაღების ქუსლებთან იმპოსტებია გამოყოფილი, რ-თა პროფილს შეადგენს: თარო და დახრილი სიბრტყე.

ეკლესიის გუმბათი შიგნიდან წრიულია, გარედან თორ-

ლი ძირითადი, გუმბათქვეშა თაღების და მკლავების კამარების მნიშვნელოვანი ნაწილები.

ეკლესიის სამივე შესასვლელის წინ მოწყობილია გეგმით სწორკუთხა კარიბჭე. დას. კარიბჭესა და ეკლესიას შორის გრძელი დერეფანია, რ-იც ეკლესიის კორპუსს წყობით არ ებმის. დერეფანი სიგრძეში გაყოფილია სამ ნაწილად, რ-თა შორის შუას და სამხრ-ისას ჯვრული კამარები აქვს. სამხრ. ნაწილის სამხრ. კედელში თაღოვანი შესასვლელია (მოგვიანებით ამოუშენებიათ), ჩრდ. ნაწილში კი კიბეა, რ-იც მეორე სართულზე ადის.

დას. კარიბჭე გეგმით სწორკუთხაა და სამივე მხარეს თაღოვანი მალითაა გახსნილი. თაღები იმპოსტების გარეშეა და ფორმაც შეცვლილი აქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ადრე ნალისებრი ყოფილა. შიგნით კარიბჭე ჯვრული კამარითაა გადახურუ-



222. ფერისცვალების ეკლ. აღმ. ფასადი

ლი, რ-ის „ნეკნების“ დასაწყისის ქვემოთ, ოთხივე კუთხეში, მოწყობილია კონქი: აღმ-ისა – მომცროა, დას-ისა – მოზრდილი.

კარიბჭისა და დერეფნის თავზე მეორე სართულია – მონასტრის წინამძღვრის(?) ოთხი სათავსისგან შემდგარი საცხოვრებელი. მათ შორის სამი დერეფნის თავზეა, ხოლო ერთი – კარიბჭის. დერეფნის თავზე მდებარე სათავსთაგან შუა, მთავარია. იგი ეკლესიის დას. მკლავის გაგრძელებაზეა და სიმაღლით დანარჩენ სათავსებს თითქმის ორჯერ აღემატება. მთავარი სათავსი გადახურულია ცილინდრული კამარით – ღერძით აღმ-იდან დას-ით, რ-იც გარედან, ეკლესიის დას. მკლავთან ერთად, საერთო, ორფერდა სახურავის ქვეშაა მოქცეული. ეკლესიის ძირითად სივრცეს ეს სათავსი ეკლესიის დას. კედელში არსებული განიერი, მაღალი, თაღოვანი ღიობით უკავშირდება. დანარჩენი სათავსები მთავარ სათავსს, ფართო, მაღალი თაღებით ერთვის. მათგან სამხრ-ისა და ჩრდ-ისა ჯვრული კამარითაა გადახურული. ჩრდ. სათავსში, ქვედა სართულიდან ამოსასვლელი კიბეა. სივრცის ეს ნაწილი განათებულია ორი სარკმლით. სამხრ. სათავსი გეგმის დაკვალვით დანარჩენებისგან განსხვავებულია. აქ აღმ., დას. და სამხრ. კედლებში მოწყობილია თითო, ერუ თაღი. სამხრ. თაღში სწორკუთხა სარკმელია. ერთი

222. ფერისცვალების ეკლ. ხედი სამხრ.-დას-იდან



თაღოვანი სარკმელი დას. სათავსის დას. კედელშია.

სამხრ. კარიბჭეს, გვიანი შეკეთებების მიუხედავად, თავდაპირველი ფორმები, მეტ-ნაკლებად, შენარჩუნებული აქვს. მთავარი შესასვლელი თაღი სამხრიდანაა. იგი ნალისებრია, დაყრდნობილია თაროსებრ იმპოსტებზე – დახრილი სიბრტყით თაროს ქვემოთ. გაცილებით მცირე ზომის თაღები (როგორც ჩანს, ორ-ორი), კარიბჭეს თავდაპირველად გვერდებიდანაც ჰქონია. მოგვიანებით ისინი ამოუშენებიათ და მათ ადგილზე ნიშები მოუწყვიათ. დას. თაღებიდან სამხრ. განაპირა თაღი, სავარაუდოდ, გამჭოლი არ იყო და თავიდანვე ნიშას წარმოადგენდა. შიგნით, კარიბჭის ოთხივე კუთხეში, თითო, დიდი ტრომპია, დამატებითი თაღით, რ-თა ზემოთ იწყება გუმბათოვანი კამარა – დამუშავებული, გამოშვერილი, ვიწრო ზოლებით, რ-ებიც თავს კამარის ცენტრში იყრის. კარიბჭის კედლების მოგვიანებით ნაწყობი ნაწილები (ძირითადად, ზედა) და ლავგარდანი აგურისაა. ლავგარდანი ორსაფეხურიანია. ქვედა საფეხური კუთხით შვერილი და თარაზულად დაწყობილი აგურების თითო რიგისგან შედგება, ხოლო ზედა – ჩვეულებრივად დაწყობილი აგურების სამი რიგითაა წარმოდგენილი. სახურავი სამფერდაა, დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ჩრდ. კარიბჭე მთელი და დატეხილი, რიყის ქვითაა ნაწყობია. სამხრ. და დას. კარიბჭეებისაგან განსხვავებით, ეს კარიბჭე უფრო მეტადაა სახეშეცვლილი. დას. კარიბჭის მსგავსად, იგი ყველა მხრიდან თაღოვანი მალებითაა გახსნილი და ორფერდა სახურავი ხურავს. მთავარი, ჩრდ-ის მალი – განიერია და მაღალი, ხოლო გვერდითები – პატარა. იმპოსტები მხოლოდ მთავარი მალის თაღის ქუსლებთანაა გამოყოფილი, რ-ებიც დანარჩენი იმპოსტების მსგავსი პროფილისაა. მთავარი თაღის აღმ. იმპოსტზე ნალესობის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა, რომ იგი შედგენილი იყო სხვადასხვა სიგრძის, ორი ნაწილისგან. მოკლე ნაწილი კვადრ. აგურითა და კირის დუღაბითაა გამოყვანილი. დანარჩენი ნაწილი კი, ქვიშაქვის მთლიან ქვაშია გამოკვეთილი. იმპოსტის დახრილი სიბრტყე გაფორმებულია არშიით, რ-იც შედგენილია მარტივი სქემის, ორნამენტული მოტივით – პარალელური ლენტების ერთმანეთზე გადასვლით მიღებული ბადით ორ წვრილ ლილვს შორის. შიგნით კარიბჭე გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის ღერძი ეკლესიის ჩრდ. კედლის პერპენდიკულარულია.



222. ფერისცვალების ეკლ. ინტერტიერი, ხედი აღმ-კენ

222. ფერისცვალების ეკლ. ინტერტიერი, მონასტრის დამაარსებლის წმ. ზენონის საფლავი





222. ფერისცვალების ეკლ. ინტერტიერი, ხედი გუმბათზე

კარიბჭის ლავგარდანი სამხრ. კარიბჭის ლავგარდნის ანალოგიურადაა ნაწყობი, ე. ი. განახლების დროინდელია.

ეკლესიის საფასადო სიბრტყეები გამოყვანილია სხვადასხვა ზომის, მთელი და დატეხილი, რიყის ქვის ირეგულარული წყობით. დიდ ქვებს შორის დარჩენილი არეები ადგილ-ადგილ, დამტვრეული, წვრილი ქვითაა შევსებული. კედლის ზედაპირი გასწორებულია წმინდა ბათქაშით, რ-იც მეტწილად ქვების ზედაპირებსაც ფარავს. კედლების და კუთხეების განახლებული ნაწილები (ძირითადად ზედა) კვადრ. აგურისაა. ჯვრის მკლავები შირიმის, თაროსებრი ლავგარდნითაა დასრულებული, რ-საც ფრონტონების ძირებში, ჰორიზ., მოკლე შემონაკეცებზე სარტყელზე, რ-იც გუმბათის ყელს სარკმლების ძირის დონეზე შემოუყვება. მის ქვემოთ კიდევ ერთი, მსგავსი სარტყელია. ნახევარსვეტები თავში ორ ნაწილად არის განშტოებული და დახვეული ბოლოები აქვს, რ-ზეც მოგრძო ფოთოლაკია დაკიდებული. ყველა ნახევარსვეტის თავი ქვიშაქვის, სწორკუთხა ქვაზეა გამოკვეთილი. ყელის თითოეულ წახნაგზე ლილვშემოვლებული, თაღოვანი შეღრმავებაა, რ-ის ცენტრში სარკმელია. სარკმლების ირგვლივ კი – მონაცვლეობით, წითლად და ლურჯად შეღებილი, რელიეფური რომბებია განლაგებული. სარკმლის ზემოთ, წახნაგის ზედა ნაწილში საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-შიც გამოყვანილია „გვიან-ამპირული“ მოტივი – ორ ნახევარსვეტზე დაყრდნობილი ფრონტონი. არეების ზემოთ ლილვის ჰორიზ. სარტყელია.

გუმბათის ყელი დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, მრუდხაზოვანი პროფილის, მაღალი ლავგარდნით. გუმბათი გადახურულია პირამიდული ფორმის სახურავით, რ-იც



222. ფერისცვალების ეკლ. ხედი სამხრ.-დას-იდან



222. ფერისცვალების ეკლ. გუმბათი, ხედი სამხრ.-დას-იდან

სხვა ზომის, მთელი და დატეხილი, რიყის ქვის ირეგულარული წყობით. დიდ ქვებს შორის დარჩენილი არეები ადგილ-ადგილ, დამტვრეული, წვრილი ქვითაა შევსებული. კედლის ზედაპირი გასწორებულია წმინდა ბათქაშით, რ-იც მეტწილად ქვების ზედაპირებსაც ფარავს. კედლების და კუთხეების განახლებები აქვს. ლავგარდანი ფორმით იმპოსტების მსგავსია, ოღონდ თაროს ქვემოთ არსებული სიბრტყე აქ გაცილებით მკვეთრადაა დახრილი.

გუმბათი გარედან თორმეტწახნაგაა. წახნაგები ერთმანეთისგან გამიჯნულია ნახევარსვეტებით, ნახევარსვეტები დაყრდნობილია იგივე პროფილის

ღარისებრი კრამიტითაა დაბურული.

XIX ს-ში, ეკლესიის დას. კარიბჭის თავზე არსებული სათავსის სახურავის დას. კიდეზე, დააშენეს აგურის ექვსწახნაგოვანი ს ა მ რ ე კ ლ ო. სამრეკლოს



222. ფერისცვალების ეკლ. აღმ. ფასადი, ფილა ჯვრის გამოსახულებით და წარწერით

ყოველ კუთხეში დადგმულია რუსტებით დამუშავებული და საფეხუროვანი კაპიტელებით დაგვირგვინებული ბოძი, რ-ებსაც ეყრდნობა ნახევარწრიული თაღები. თაღებს ირგვლივ შემოუყვება ექვს-ექვსი, რადიალურად განლაგებული, წყობაში საფეხურით შეღრმავებული, ბოლოებისკენ ოდნავ გაფართოებული, ოთხკუთხა „სხივები". სამრეკლოს საფუძველიც ექვსწახნაგაა. იგი თავსა და ბოლოში ჰორიზ. ლილვითაა დასრულებული. მათ შორის მოქცეულ არეზე, ყოველ წახნაგზე, გამოსახულია სამ-სამი, შეღრმავებული რომბი. სამრეკლო დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, პროფილირებული ლავგარდნით. გადახურულია პირამიდული ფორმის, თუნუქის სახურავით.

ეკლესიას აღმ-იდან, სამხრიდან და ჩრდ-იდან მინაშენები ჰქონია, რ-თა დიდი ნაწილის მხოლოდ კვალიღა შეინიშნებოდა.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, წყობაში, ჩასმულია ქვიშაქვის ორი ფილა, რ-ებზეც, ფონის შეღრმავებით, თითო რელიეფური ჯვარია გამოსახული. მათ შორის ერთი – სარკმლის თავზეა, მეორე – სარკმლის ჩრდ-ით. ამ უკანასკნელზე, ჯვრის განივი მკლავების ქვემოთ, ნუსხურით შესრულებული, მრავალსტრიქონიანი, IX ს-ის წარწერაა. წარწერის მარცხ. მხარე ათსტრიქონიანია, მარჯვ. კი – ცამეტსტრიქონიანი. წარწერა შემდეგი შინაარსისაა:


მარცხ. ნაწილი: „მეოხებითა ღოვანესა გ(ა)ლახაკისა, მნათეობასა ცოდვილისასა(!) ფერისა აღეშენა წმიდა ესე ეკლესია" და

მარჯვ. ნაწილი: „დიდი ჭირი დავთმე სიგლახაკისაჲ ცოდვილი ესე ლოცვასა მომიჴსენეთ ეფრემ და გა[ხა]როს (?), უფალნო ჩემნო".


ეკლესიის დერეფნის ჩრდ. კედელზე, კიბის უჯრედის სარკმლის წყობაში გამოყენებული იყო დახვეწილი ოსტატობით შესრულებული, 1027 წლით დათარიღებული, საკურთხევლის ზღუდის რამდენიმე ფრაგმენტი, რ-ებიც 1938 წელს, თელავის მხარეთმც. მუზეუმის დირექტორის ა. მამულაშვილის მეცადინეობით, კედლიდან გამოიღეს და თელავის მხარეთმც. მუზეუმში გადაიტანეს. ფრაგმენტები შეადგენდნენ რელიეფებით მორთული ფილის ნაწილს, რ-ზეც გამოსახული იყო ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი მთავარანგელოზებით ორივე მხარეს. ფიგურების აგებულებითა და დამუშავებით იგი, შუა საუკუნეების ქართ. კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია.

არქიტექტ. ფორმების თვალსაზრისით, ეკლესიის აგებულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია ის, რომ აქ გუმბათი კედლებზე კი არ არის დაყრდნობილი, არამედ თავისუფლად მდგომ ოთხ ბოძზე, რაც კახეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უძველესი მაგალითია. სამშენ. ელემენტებიდან კი, საყურადღებოა ის, რომ გუმბათქვეშა ბურჯები გეგმით ჯვრული ფორმისაა, ფრონტონების ლავგარდნებს კი, ბოლოებში ჰორიზ. შემონაკეცები აქვს მოწყობილი.

ფერისცვალების ეკლესიის აღმ-ით, 10-12 *მ* მანძილზე, დგას ს ა მ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. ეკლ., თავდაპირველად, გუმბათიანი ყოფილა, დანგრევის შემდეგ იგი აღუდგენიათ (როგორც ჩანს XIX ს-ში) და დარბაზულ ეკლესიად გადაუკეთებიათ. ეს არის გარედან ორფერდა სახურავით გადახურული, ოთხკუთხა



222. სამების ეკლ. გეგმა



222. სამების ეკლ. ჭრილი, ხედი აღმ-კენ


გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეკლ. VI ს-ის მესამე მეოთხედში, მონასტრის დამაარსებლის, წმ. ზენონის მიერ არის აგებული.

ეკლესიის გეგმის სწორკუთხედში (10x5,8 *მ*) ჩაწერილია კვადრატი, რ-საც ოთხივე მხრიდან თანაბარი სიღრმის მკლავები ერთვის. აღმ. მკლავს დამატებული აქვს ნალისებრი ფორმის აფსიდი – ერთი სარკმლით და მის ორივე მხარეს განლაგებული, თითო ღრმა, ნალისებრი ნიშით. ნიშები იატაკიდან იწყება და სიმაღლით დაახლ. 3,5 *მ*ს აღწევს. ორივე ნიშაში, აღმ-ით, თითო, ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია. ნიშები კონქითაა გადახურული, რ-ის თაღის იმპოსტებს, ჯვრის მკლავების იმპოსტების ანალოგიური ფორმა აქვს.

ეკლესიაში შესასვლელი დასიდანაა. მის წინ, ეკლესიის მთელ სიგანეზე, კარიბჭეა.

ჯვრის თითოეული მკლავი გადახურულია კამარით. კამარის ქუსლების დონეზე გამოყოფილია თაროსებრი ფორმის, ირიბი ძირის მქონე იმპოსტები, რ-ებიც კამარის ქუსლს ჯვრის მკლავის მთელ სიღრმეზე გასდევს. აღმ. მკლავში იმპოსტები საკურთხევლის აფსიდის თაღის იმპოსტებს ერწყმის. აფსიდის თაღი ნალისებრია. მაშინ, როცა აღმ. და დას. მკლავების კამარებს წესიერი ნახევარწრის ფორმა აქვს.

ცენტრ. კვადრატზე, როგორც ჩანს, თავდაპირველად, დაყრდნობილი იყო ყელიანი გუმბათი. განახლების დროს კვადრატი ცილინდრული კამარით გადაუხურავთ, რ-ის ღერძი აღმ-იდან დას-ისკენაა მიმართული და აღმ. და დას. მკლავების



222. სამების ეკლ. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

კამარებთან ერთ სიბრტყეშია. ამ ახ. კამარის დასაყრდნობად, სამხრ. და ჩრდ. მკლავები, ძლიერ დადაბლებული კამარებით, ხელახლა გადაუხურავთ.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სარკმელია გაჭრილი სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავებშიც.


კარიბჭე გეგმით ოთხკუთხაა, გადახურულია ნალისებრი კამარით. დას-ით კარიბჭე გახსნილია განიერი, მაღალი თაღით, რ-საც ისევე როგორც აფსიდის თაღს, მკვეთრად გამოხატული. ნალისებრი ფორმა აქვს.

კარიბჭის იატაკში, ეკლესიაში შესასვლელის წინ, ტაძრის ქვეშ არსებულ აკლდამაში ჩასასვლელი, სწორკუთხა შახტია. თვით აკლდამას „რესტავრაცია“ არ შეხებია და უცვლელადაა შემორჩენილი. იგი რიყის ქვის შედარებით სწორი რიგებითაა ნაწყობი. აკლდამის ძირითადი ნაწილი (სიმ. დაახლ. 2,6 *მ*) გეგმით კვადრატულია, გადახურულია ჯვრული კამარით. აკლდამის შუაში, მთელ სიგრძეზე, გადის 80-100 *სმ* სიმაღლის კედელი, რ-იც მის ქვედა ნაწილს ორად ყოფს. ეს ნაწილები, როგორც ჩანს, დასაკრძალავად გამოიყენებოდა. აღმ. კედელში პატარა, სწორკუთხა ფორმის სასულეა.

222. სამების ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხეზე, დას-იდან, კარიბჭის თავზე დაშენებულ სენაკში ასასვლელად, მიშენებულია ქვის კიბე. სენაკში შესასვლელი ჩრდ-იდანაა, კარის წინ არსებული პატარა, ხისმოაჯირიანი ბაქნიდან. სენაკი გეგმით ოთხკუთხაა, გადახურულია კამარით. განათებულია დას. კედელში გაჭრილი, სწორკუთხა სარკმლით, რ-ის სამხრ-ით მცირე ზომის ნიშაა. კიდევ ერთი ნიშა, ოღონდ ბევრად უფრო მოზრდილი, სამხრ. კედელშია. ამავე კედლის დას. ნაწილში კი პატარა, ნახევარწრიული ბუხარია.




222. ქვეღაწმინდის ეკლ. გეგმა

ეკლესიის დას. კედლის წყობაში ჩადგმულია საშ. ზომის, ქვიშაქვის, ოთხკუთხა ქვა, სამი წმინდანის გამოსახულებით. იგი ახლოს დგას VIII-IX სს-ის რელიეფებთან.


ღვთაების ეკლესიის სამხრით დგას ყვეღაწმინდის ეკლესია, რ-იც XI-XII სს-ის მიჯნას მიეკუთვნება.

ეკლ. დარბაზულია (6,75x4,65 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. გარედან, კედლების ქვედა ნაწილში გამოყენებული ქვები დიდი ზომისაა და სწორი ზედაპირით ფასადის მხარეს არის მოქცეული. კედლების ზედა ნაწილებში ქვა, უმთავრესად, წვრილია. ქვებს შორის არსებული არეები ამოვსებულია წმინდა ბათქაშით (კარგადაა შემორჩენილი ქვედა ნაწილში). შენობის კუთხეები ნაწყობია შირიმის, კარგად დამუშავებული, მოზრდილი კვადრებით. შირიმითაა გამოყვანილი შესასვლელისა და სარკმლების საპირეები. კედლებისა და გარეთა კუთხეების მოგვიანებით აღდგენილი ნაწილები კვადრ. აგურისაა. აგურისაა ლავგარდანიც. შიგნით ეკლ. მთლიანად კირითაა შელესილი და შეთეთრებულია.



222. ქვეღაწმინდის ეკლ. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

შესასვლელი ჩრდ-იდანაა. ამჟამინდელი კარი გვიანდელია. როგორც ჩანს, თავდაპირველად, ეკლესიის შიდა სივრცე ფართო (სიგ. თითქმის 2 მ), მაღალი (სიმ. – 2,7 მ), თაღოვანი მალით იყო გახსნილი. მოგვიანებით, ეკლესიის რემონტის დროს, იგი კვადრ. აგურითა და რიყის ქვით ამოუშენებიათ, რ-შიც დატანებულია ვიწრო, თარაზულად გადახურული კარი. თაღის არსებობაზე მიგვანიშნებს შიგნიდან, სამხრ. კედელზე არსებული, კედლის სიბრტყის მიმართ ოდნავ შეღრმავებული თაღოვანი არე, რ-იც თითქმის მთლიანად იმეორებს თაღის გარეთა მოხაზულობას. როგორც ჩანს, ეს არე თაღის ამოშენების შედეგადაა წარმოქმნილი. შემდეგ ეკლ. შიგნიდან მთლიანად შეულესავთ.



222. ქვეღაწმინდის ეკლ. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიის დარბაზი კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ცენტრში შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელია, ჩრდ. გვერდში კი, ნახევარწრიული, ერთი, თაღოვანი ნიშა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდს წესიერი ფორმის კონქი ხურავს. კონქის თაღი, რ-ის ქუსლებთან მარტივი პროფილის შირიმის იმპოსტებია გამოყოფილი, ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც.




222. ქვეღაწმინდის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლესიის შიდა სივრცეს, საკურთხევლის სარკმლის გარდა, კიდევ ორი სარკმელი აშუქებს. მათ შორის ერთი სამხრ. კედლის მოგვიანებით განახლებულ ნაწ-


ილ'შია, მეორე – დას. კედელ'ში. დას. სარკმელი ორივე მხრიდან თაღოვანია, ხოლო სამხრ-ისა – სწორკუთხა.

ეკლესიის აღმ. და დას. სარკმლები გარედან შირიმის ქვით ნაწყობ, განიერ, თაღოვან დაშორებული, შეწყვილებული ლილვი. დას. სარკმლის თავზე, სარკმლის თაღსა და ჩარჩოს შორის, დარჩენილია ვიწრო არე, რ-შიც მომწვანო ქვიშაქვის ქვაში გამოკვეთილი ჯვრის გამოსახულებაა ჩასმული.

მათ შორის მოქცეული, ორი სიბრტყის მართი კუთხით გადაკვეთით წარმოქმნილი წიბო. ლილვები სამაჯურიანი ბურთულებით



222. აკადემიის შენობა. I სართულის გეგმა



222. აკადემიის შენობა. II სართულის გეგმა



222. აკადემიის შენობა. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ჩარჩოშია ჩასმული. აღმ. სარკმლის ჩარჩოს პროფილს სამმაგ და შეწყვილებულ ლილვს შორის მოქცეული, შეღრმავებული, მრუდი ზედაპირი ქმნის. დას. სარკმლისას კი, ორი, ერთმანეთისგან მცირე მანძილით

ჩრდ. ფასადი, დანარჩენ ფასადებთან შედარებით, უკეთაა მორთული. შესასვლელ თაღს აქ გარს ევლება შირიმის ქვებით ნაწყობი, განიერი საპირე, რ-ის პროფილს ქმნის ერთი ორმაგი და ერთი ცალმაგი ლილვი და


ბოლოვდება და მაღალ, სწორკუთხა ბაზისზეა დაყრდნობილი. ცალმაგ ლილვებს ბურთულები ძირის გარდა, თავშიაც აქვს. მათზე დაყრდნობილია მარტივი ფორმის, თაროსებრი იმპოსტი, რ-ის პროფილი სამი, წვრილი, შეჯგუფებული ლილვისგან შედგება. ეს იმპოსტები ერწყმის თაღის ქუსლებთან გამოყოფილ, ანალოგიური პროფილის იმპოსტებს, რ-თა ნაწილი დაფარულია თაღის არეში მოგვიანებით ჩაშენებული, აგურის კედლით. შეწყვილებული ლილვები კი მარტივი, თაროსებრი კაპიტელით არის დასრულებული.

ეკლესიის გრძივი კედლები ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას. კედლები დასრულებულია აგურის, სამსაფეხურიანი ლავგარდნით. შენობა გადახურულია ღარიანი კრამიტით.

მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრ-ით, ეზოს ახლანდელ ზღუდესთან, რიყის ქვით ნაგები, დიდი შენობის, ისტ. ტრადიციით

– ა კ ა დ ე მ ი ი ს ნანგრევია. აკადემიაში დავით აღმაშენებლის მეფობის დროს (1089-1125 წწ.) მოღვაწეობდა და მისი პირველი რექტორი იყო, ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე არსენ იყალთოელი.

თვით შენობა სტილით VIII-IX სს-ების ფეოდ. სასახლეების მსგავსია და, დაახლოებით, ამავე



222. აკადემიის შენობა. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ხანებში უნდა იყოს აგებული. მონუმ., პროპორციები და ზომები მას დიდებულ იერს ანიჭებს.

აკადემიის შენობის აგებამდე, მონასტრის ამ ნაწილში განთავსებული იყო: საწნახელი, რ-იც მისგან აღმ-ით მდებარეობს და დას-ით მდგარი დიდი, ორსართულიანი შენობა, როგორც ჩანს, მონასტრის ს ა ტ რ ა პ ე ზ ო (გარეთა ზომები: 20,8x9,1 *მ*), რ-ის აღმ. კედელი, ორი, ერუდ ამოშენებული, დიდი, სასარკმლე ღიობით აკადემიის შენობაში გამოიყენეს. ამ კედლიდან დას-ით, დაახლ. 7,5 *მ*-ზე, დგას მოგვიანებით აგებული, ერუ კედელი, რ-იც სატრაპეზოს ორ სათავსად ყოფს. მათ შორის აღმ-ით მდებარე გეგმით კვადრატულია და, დას. სათავსთან შედარებით, ოდნავ მომცროა. გათხრებმა ამ სათავსში გამოავლინა ექვსი,

222. აკადემიის შენობა. ხედი ჩრდ-იდან




სწორკუთხა ბურჯი, რ-ებიც, როგორც ჩანს, სატრაპეზოს ერთ-ერთი გადაკეთების დროს უნდა იყოს ჩაშენებული. სატრაპეზოს დას. სათავსის სამხრ. კედელში უზარმაზარი ბუხარია, გარეთკენ შვერილი, ზემოთ თანდათან შევიწროებული, ნახევარწრიული ზურგით. მის თავზე, მეორე სართულის დონეზე, დაახლ. იმავე ზომის ბუხარია. ქვედა სართულზე, ბუხრის გვერდით, თითო ნიშაა. მათ შორის ერთი – კვერცხისებრი ფორმის თაღითაა გადახული, მეორე კი სწორკუთხაა. სატრაპეზოს ჩრდ. კედელი მხოლოდ ერთი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლის ორივე ბოლოსთან მოწყობილია თითო, განიერი, თაღოვანი ღიობი. მოგვიანებით (XVI ს-ში), სატრაპეზოსთვის დას-იდან მიუშენებიათ ტრაპეციული გეგმის მოზრდილი სათავსი – ნიშებით ორივე სართულზე.


სატრაპეზოს აღმ-იდან ეკვრის აკადემიის ორსართულიანი კორპუსი – ფრონტონებიანი კედლებით აღმ-იდან და დას-იდან. რადგან აკადემიის შენობა სატრაპეზოს მიმართ სამხრ. მიმართულებითაა გაგანიერებული, ამიტომ სატრაპეზოს აღმ. კედელს, რ-იც აკადემიის შენობაში ჩართეს, სამხრ. ბოლოში მიაშენეს დაახლ. 2 *მ* სიგრძის მონაკვეთი. კედლის ამ ნაწილში, ორივე სართულის დონეზე, მოწყობილი იყო თითო კარი, რ-ებიც აკადემიისა და სატრაპეზოს ზედა სართულებს ერთმანეთთან აკავშირებდა. გარედან აკადემიის შენობასა და სატრაპეზოს შორის დარჩენილი კუთხე მოზღუდულია მოგვიანებით აგებული, რიყის ქვის კედლით, რ-იც აკადემიის სამხრ.-დას. კუთხიდან ირიბად მიემართება დას-კენ და სარტაპეზოს სამხრ. კედელს შუა ნაწილში უერთდება.

აკადემიის ზედა სართული წარმოადგენს ერთიან, დიდ დარბაზს (შიგნითა ზომები: 24,5x9 *მ*), რ-იც აღმ-ით იხსნებოდა ორმაგი სარკმლით – რვაწახნაგოვანი ბოძით მათ შორის. დარბაზის წინა, ჩრდ. კედლის დიდი ნაწ-

ილი დანგრეულია. სამხრ. კედელში დეკორატ. არკატურის მსგავსი შეღრმავებებია. გარედან, სამხრ. კედელზე მიწის მოცილების შემდეგ, კედლის აღმ. ნახევარწრიული ზურგით. ბუხრის გვერდებზე, თანაბარ მანძილებზე, განლაგებულია ნიშები – აღმ. მხარეს ორი, დას. მხარეს – ერთი. დას. კედელი შიგნიდან სრულიად გლუვია, აღმ. კედელში კი სამმაგი თაღედია – ყოველ თაღში პატარა ნიშით.



222. საწნახელი. გეგმა



222. საწნახელი. ჩრდ. ფასადი

კიდეში, გამოჩნდა მთლიანად ამოშენებული კარი.

აკადემიის შენობის ქვედა სართული ორი, არათანაბარი ფართობის დარბაზისგან შედგება, რ-თა შორის დას-ით მდებარე, თითქმის ოთხჯერ აღემატება აღმ-ისას. ორივე დარბაზს ჩრდ-იდან თითო, განიერი, თაღოვანი შესასვლელი აქვს. დიდი დარბაზის (შიდა ზომები: 18,2x9 მ) შესასვლელის გვერდებზე ორ-ორი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამხრ. კედელში, შესასვლელის მოპირდაპირედ, განიერი ბუხარია, შეტეხილი თაღით და გარეთკენ შვერილი,

222. საწნახელი (მარცხნივ). ხედი აღმ-იდან. უკანა პლანზე: აკადემიის შენობა



მცირე დარბაზი დიდი დარბაზისგან კედლითაა განცალკევებული. მეორე შესასვლელი მას აღმ-იდან აქვს. კარი გაჭრილია კედლის ჩრდ. ნაწილში, ზომით მომცროა და გარედან თაღოვან ნიშაშია ჩასმული. ამ ნიშის გარდა, კედელზე კიდევ ორი, მსგავსი ნიშაა.

მეორე სართულის იატაკი დაფენილი იყო ხის უზარმაზარ კოჭებზე, რ-ებიც ორივე დარბაზში განივად იყო დაწყობილი.

აკადემიის ჩრდ. ფასადი ერთი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. იგი თავისი დიდი სარკმლებითა და შესასვლელი თაღებით სრულიად განსხვავდება იმ პერიოდის ფეოდალების სასახლეებისაგან. ფასადის დას. ნაწილში, გრძელი დარბაზის შესასვლელის თაღის დას. გვერდის ზემოთ და თაღის გვერდით გაჭრილი სარკმლის თავზე, შემორჩენილია კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებული არე. ამ შეღრმავების მხოლოდ სწორკუთხა ძირია შემორჩენილი, ზედა საზღვარი კი მონგრეულია. სავარაუდოა, რომ ეს არეები ფასადის მორთულობის ელემენტებს წარმოადგენდა, რ-თა ზემოთ უკვე სარკმლები იყო განთავსებული. ჩრდ. ფასადის ცენტრში გაჭრილი იყო აკადემიის ზედა დარბაზში შესასვლელი – ღია, გარეგანი კიბით, რ-იც ქვედა სართულის შესასვლელის წინ არსებული კარიბჭის თავზე მოწყობილ ბაქანზე ადიოდა (გაწმენდითი სამუშაოების დროს დიდი დარბაზის შესასვლელის წინ, ერთ მხარეს, გამოჩნდა კედლის ნაშთი – სავარაუდოდ, კარიბჭისა).

აკადემიის შენობის აღმ-ით მდებარეობს უფრო ადრინდ.

ნაგებობა ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი – ვიწრო, გრძელი გალერეა, რ-იც ჯვრული კამარით გადახურული, ერთმანეთთან თაღით დაკავშირებული, ოთხი კომპარტიმენტისგან შედგება. თითოეული მათგანი გარეთკენ (ჩრდ-ით) თაღითაა გახსნილი. ქვედა თაღი ნახევარწრიულია ან მცირედ ოვალური.

1963 წლის აპრილში ძვ. აკადემიის ნაფუძარზე საზ. მოღვაწის გიორგი შათირიშვილის თაოსნობით შეიქმნა შოთა რუსთაველის სახ. სახალხო უნ-ტი. უნ-ტს ჰქონდა ოთხი ფაკულტეტი: პოლიტ.-საზ., ლიტ. და ხელოვნებისა, სას.-სამ. და სამედ.; უნ-ტს მართავდა სამეცნ. მეთოდოლოგიური საბჭო.



222. მარნის ნაშთები, ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

1938 წელს თელავის სახელმწ. ისტ.-ეთნ. მუზეუმმა მონასტრის ტერიტორიაზე ჩაატარა მცირე არქეოლ. გათხრები (ხელმძღვ. ა. მამულაშვილი, კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი). 1966 წელს ᲝᲐᲔ ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) ორ უბანზე ჩატარდა არქეოლ. კვლევა-ძიება. პირველ უბანში გაიწმინდა მონასტრის საწნახლის თავზე მდებარე, შუასვეტიანი დიდი დარბაზი. სამუშაო ჩატარდა ასევე აკადემიის დიდ დარბაზში, რ-ის ცენტრში გამოვლინდა დედაბოძი, ჩრდ. კედლის წინ კი – კარიბჭის დერეფანი. დადასტურდა თიხის მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის და ქვევრის ნატეხები, თონე, ჩიბუხები, ვაზის სახსლავი რკინის დანა, ღარისებრი კრამიტები – ასომთ., რელიეფური წარწერებით, რ-ებზეც ხშირად მოიხსენიება სახელი იოანე. მასალა შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება. გაითხარა ასევე სატრაპეზო. გამოვლენილია მოხატული ბათქაშის მოზრდილი ფრაგმენტები. აღმოჩნდა IX-X სს-ის მოუჭიქავი თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები. კრამიტის წარწერებში აქაც გვხვდება სახელი იოანე.

ამავე წელს, სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ, კომპლექსის რამდენიმე ნაგებობაში სამლოცველოს და სხვადახვა ნაგებობების ნაშთები. ასევე: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტები და სხვა საინტერესო მასალა. გათხრების შედეგად გამოვლენილ მასალაზე დაყრდნობით მომზადდა რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი (ავტორი პ. ნუცუბიძე). მონასტრის მთავარი ტაძარი მთლიანად გაიწმინდა ნალესობისაგან, საძირკვლები გამაგრდა რკინა-ბეტონის ბალიშებით. ეკლ. და კარიბჭეები გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. დაკონსერვდა გათხრების შედეგად გამოვლენილი ქვედა ნაგებობა.

კომპლექსის დას-ით, ოცდაათიოდე მ-ზე, კომპლექსთან მისასვლელი, სამანქანო გზის გადაღმა, წმ. ნ ი ნ ო ს ე კ ლ ე ს ი ა ა, რ-იც მთლიანად მიწით იყო დაფარული. 2012 წელს გაიწმინდა ეკლესიის ინტერიერი და ნაწილობრივ გარეთა კედლები (გაწმენდით სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევდა არქეოლოგი კ. კალანდაძე. აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები).

ეკლ. დარბაზულია, აფსიდიანი. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. ერთადერთი შესასვლელი (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილი) ჩრდ-იდან აქვს. აფსიდი გადახურულია კონქით. კამარისგან მხოლოდ სამხრ. გვერდის ნაწილია შემორჩენილი. დას. და ჩრდ. კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია. ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.



222. წმ. ნინოს ეკლ. ხედი ჩრდ.-დას-იდან

თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 18; 19; 203ე; 277; 317; 325; 327; 335.

223. საწნახელი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. განაპირას. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ძ. სამეურნეო დანიშნულებისაა. ნაგები იყო რიყის ქვით და ფიქლით კირის ხსნარზე. ღღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. კედლის ფრაგმენტი.

ბ. კუპრეიშვილი.

224. საწნახელი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მინდორში, იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ჩრდ.-დას-ით, 0,3 *კმ*-ზე.

საწნახელი სწორკუთხაა, ორსათავსიანი. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით კირის ხსნარზე.

ბ. კუპრეიშვილი.

225. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ცაცხვების კორომში, წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლად. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (4,3x3,95 *მ*), ნაგებია ტლანქად, სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს. კარის გადახურვა ჩამონგრეულია. დარბაზი კვადრატულია. აღმ-იდან მას ერთვის არაწესიერი კონქით გადახურული, გეგმით ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ცენტრში მოწყობილია მცირე ზომის, ბრტყლად გადახურული სარკმელი, გვერდებში კი, თითო, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, დგას მოზრდილი, კედელზე მიყრდნობილი ოთხკუთხა ტრაპეზი. აფსიდის თაღი ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმისაა. მსგავსი ფორმა ჰქონდა კამარასაც, რ-ის ნაწილები დას. და ჩრდ. კედლებს შემორჩა. ეკლესიის სამხრ. კედელი კი, 1,4-1,6 *მ* სიმაღლეზეღა დგას.

ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდნის მცირე მონაკვეთი.

თ. დვალი.


226. ციხისჯვრის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მთის ფერდზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგები იყო რიყის ქვით და ქვიშაქვით კირის ხსნარზე. დანგრეულია. გეგმა მთლიანად არ იკითხება. შემორჩენილია აფსიდის ჩრდ-ის გვერდის ფრაგმენტი, ერთი, ოთხკუთხა ნიშათი.

ბ. კუპრეიშვილი.

227. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ცაცხვების კოროშში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. მცირე ზომის, ნახევარწრიულაფსიდიანი, დარბაზული ეკლესიაა (3,95x2,8 *მ*), რ-საც დასიდან სამრეკლო აქვს მიდგმული. საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და ნატეხი ქვიშაქვა. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარს გარედან ნახევარწრიული თავი აქვს, შიგნიდან კი – თარაზულადაა გადახურული. ინტერიერი განათებულია ერთადერთი, აფსიდის ცენტრში გაჭრილი, მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმლით. აფსიდში, სარკმლის აქეთ-იქით, ორი ნიშაცაა. მათ შორის სარკმლის ჩრდით მდებარე, შედარებით მოზრდილია და შეისრული თაღითაა გადახურული. მეორე – მცირე ზომის, ღრმა, კვადრ. ხვრელია. აფსიდში დგას კუბური ფორმის ტრაპეზი, რ-იც სარკმლის ქვეშ



227. გეგმა


მოთ, კედელზეა მიყრდნობილი. აფსიდი გადახურულია დადაბლებული, არაწესიერი ფორმის კონქით.

დარბაზი შესამჩნევად მოკლეა, გადახურულია ცილინდრული კამარით.

ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია აგურის, საფეხუროვანი ლავგარდნით. გრძივ ფასადებზე კედლების ზედა ნაწილი, რ-იც ფასადის სიმაღლის 1\5 შეადგენს, ქვედა ნაწილების მიმართ ოდნავ (8-10 *სმ*-ით) გამოშვერილია და ფასადის მთელ სიგრძეზე, დაახლ. 0,5 *მ* სიმაღლის ზოლს ქმნის.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

სამრეკლო ორსართულიანია. ნაშენია კვადრ. აგურით. ორივე სართული გეგმით




227. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ოთხკუთხაა და ოთხივე მხარეს თაღოვანი მალითაა გახსნილი. თაღები დაყრდნობილია კუთხეებში მდგარ, კვადრ. ბოძებზე. მათ შორის ქვედა სართულის (2,0x1,8 *მ*) ბოძები აგურით გამოყვანილი, ორსაფეხურიანი კაპიტელებით არის დასრულებული. სართული გადახურულია ცილინდრული ფორმის კამარით.

სამრეკლოს მეორე სართული, რ-იც ქვედა სართულის სახურავის შუაშია დადგმული, ქვედასთან შედარებით, გაცილებით უფრო ვიწროა და კრამიტით დაბურული, პირამიდისებრი სახურავითაა გადახურული.

თ. დვალი.

228. წმ. ელიას ეკლესიები, არქიტ. ძ. მდებარეობენ სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 3 *კმ*-ზე, ტყეში. ორივე ეკლ. დარბაზულია,



229. გეგმა

დგას სხვადასხვა სიმაღლეზე, ერთმანეთისგან ორასიოდე მ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.


ქვედა ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ აფსიდი და დას. კედელი. აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია. მის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, რ-საც ზედა ნაწილი მორღვეული აქვს. ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონდა მინაშენი (შემორჩენილია აღმ. კედლის ფრაგმენტი).

ძეგლის სამხრ-ით, შედარებით მაღალ ადგილზე, დგას მეორე, ე.წ. ზედა ეკლესია. ეს შენობაც ნანგრევადაა ქცეული. შემორჩენილია: აფსიდი (დაახლ. 3 *მ* სიმაღლეზე) და გრძივი კედლები (მაქს. სიმ. – 2,5 *მ*). დას. კედელი – მიწის პირამდეა დანგრეული.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები ნაგებია მოზრდილი, არაწესიერი ფორმის ქვიშაქვითა და კირის ხსნარით. წყობაში გამოყენებულია მცირე ზომის, ნატეხი ქვაც. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ცენტრში, თარაზულად გადახურული სარკმელია, რ-ის სამხრ. წირთხლზე მოხატულობის კვალია. აფსიდის ჩრდ. კიდეში ვიწრო პილასტრია, რ-იც აფსიდს ჩრდ. კედლისგან გამოყოფს.

პ. კიკაჩეიშვილი.

229. წმ. სტეფანეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას იყალთოს სამონასტრო კომპლექსისკენ მიმავალი გზის პირას. არქიტექტურულ-სივრცობრივი გადაწყვეტით მოქცეულია ადრინდ. სამეკლესიიანი ბაზილიკების წრეში. თარიღდება VI-VII სს-ით. ეკლ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (15,5x12,7 *მ*) – დიდი, მოხდენილი პროპორციებით. ნაგებია მოზრდილი, რიყის ქვის სწორი რიგებით. აფსიდის მხრები, გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლების ღიობები და კონსტრ. ნაწილები (კონქი, საბჯენი თაღები, პილასტრები) – შირიმის კარგად გათლილი კვადრებით. ძლიერ დაზიანებულია: თითქმის მთლიანადაა დანგრეული გვერდითი ეკლესიები, ჩამონგრეულია ცენტრ. ეკლესიის კამარა, საბჯენი თაღები და კონქის უმეტესი ნაწილი.



229. ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი სამხრ-კენ

1979 წელს, სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ, ეკლესიას ჩაუტარა სარესტ. სამუშაოები (არქიტ. გ. ჭეიშვილი). შენობა გაათავისუფლეს ნანგრევებისგან და მცენარეულობისგან. აღადგინეს სამკვეთლოსა და სადიაკვნის დანგრული ნაწილები და ორივე სათავსი ღარისებრი კრამიტით გადახურეს; გვერდითი ეკლესიების კედლების ნაშთებზე დააშენეს ახ., დაახლ. 1,3 *მ* სიმაღლის კედლე-



229. ხედი სამხრ.-დას-იდან

ბჯენი თაღები. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი იყო გადაქვანილი. პილასტრები შესაბამისს კედლებს სამ, თითქმის თანაბარ ნაწილად ყოფს. ყველა პილასტრი დასრულებულია მარტივპროფილიანი (თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე) იმპოსტით. ანალოგიური პროფილის იმპოსტებია გამოყოფილი კონქის და ბემის თაღის ქუსლებთანაც. კამარა, როგორც

229. ინტერიერი, მთავარი ეკლ., ხედი ჩრდ.-აღმ-კენ



ბი; შუა ეკლესიის შემორჩენილი კედლები დააკონსერვეს – გადალესეს და კრამიტი დააფარეს.

მთავარ ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: თითო-თითო გვერდითი ეკლესიებიდან და დას-იდან. შესასვლელები გარედან გადახურულია არქიტრავით, შიგნიდან კი დასრულებულია მაღალი თაღით, რ-საც ნალისებურობის ტენდენცია აქვს.

მთავარი ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ოდნავ ნალისებრი აფსიდით, რ-ის წინ ღრმა ბემაა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია შუა ეკლესიის ერთადერთი სარკმელი. სარკმელი განიერია, აქვს პარალელური წირთხლები და ორივე მხრიდან ნალისებრი თაღითაა გადახურული. აფსიდის ჩრდ. გვერდში, სარკმლის ძირის დონეზე, მცირე, ოთხკუთხა ნიშაა, რ-იც, სავარაუდოდ, არ არის თავდაპირველი. აფსიდს მთელ სიგრძეზე გასდევს ერთსაფეხურიანი ხარისხი. საკურთხეველში, სარკმლის ქვემოთ, დგას გვიანდ., რიყის ქვით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ ორი მცირე საფეხურითაა ამაღლებული.

დარბაზის გრძივ კედლებზე გამოყოფილია ორი წყვილი, მარტივი პილასტრი, რ-ებზეც დაყრდნობილი იყო კამარის სა-

ჩანს, რიყის ქვით იყო ნაწყობი. მისი ნაშთები ორივე გრძივ კედელს შემორჩა.



229. აღმ. ფასადი, საკურთხევლის სარკმელი

საკურთხევლის გვერდებზე სწორკუთხა გეგმის, ცილინდრული კამარით გადახურული თითო სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსი მთავარ ეკლესიას სწორკუთხა კარით უკავშირდება, რ-იც ბემის შესაბამისს კედელშია გაჭრილი. თითოეული სათავსის აღმ. კედელში თითო პარალელურწირთხლებიანი, თაღოვანი სარკმელია. სამკვეთლოს სამხრ. კედელში (აღმ. კუთხესთან) მოწყობილია მცირე, სწორკუთხა ნიშა. ასეთივე ნიშაა სადიაკვნის ჩრდ. კედელშიც. თითოეულ ამ სათავსს დას-ით, მთავარი ეკლესიის გაყოლებით, ეკვროდა წაგრძელებული მოცულობების მქონე, გვერდითი ეკლესიები. მათ შორის სამხრ. ეკლ. გახსნილი იყო ორმალიანი თაღით, რ-იც მათ შორის მდგარ, გეგმით კვადრატულ ბოძს ეყრდნობოდა. დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს ჩრდ. გვერდით ეკლესიასაც.

ეკლესიის გარეგანი ფორმები შიდა სივრცის აღნაგობას იმეორებს. შუა ნაწილი უფრო ამაღლებულია და ორფერდა სახურავითაა დასრულებული. გვერდითი, უფრო დაბალი ნაწილები კი, ცალფერდათი. აღმ. ფასადზე სარკმელი შემკულია ქვიშაქვის ქვაში გამოკვეთილი, კედლის სიბრტყიდან მკვეთრად შვერილი, ნახევარწრიული არქივოლტით – ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში, რ-ის პირს, მთელ სიგრძეზე, ორმაგი, გრეხილი ლილვი გასდევს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 317; 335.

კისისხევი
(თემის საკრებულოს ცენტრი)

230. კისისხევი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 5 კმ-ზე, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. მდ. კისისხევის მარცხ. ნაპირას. სოფელი მდ. კისისხევის (მდ. ალაზნის შენაკადი) გაყოლებაზე მცხოვრებთა ერთგვარი ტერიტ.-ადმ. ცენტრი იყო. ძვ. წ. III ს-ში, როდესაც „ხევი“ წარმოადგენდა რეალურ ისტ.-გეოგრ. ერთეულს, კისისხევიც ასეთ ერთეულად განიხილებოდა.

კისისხევი VIII ს-მდე, კახეთ-ჰერეთის სამთავროს წარმოქმნამდე, აქტიურად იყო ჩართული საქართვ. სამეურნეო-კულტ. ცხოვრებაში. ეს პერიოდი წინა ქრისტ. და ადრინდ. ქრისტ. ხანებს მოიცავს. ამის დამადასტურებელია სოფელში აღმოჩენილი ადრინდ. შუა საუკუნეების სამარხები. საფიქრებელია, რომ კისისხევი და მისი შემოგარენი კახეთში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთ ცენტრსაც კი წარმოადგენდა.

კისისხევს კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგაც არ დაუკარგავს ამ ხეობის ცენტრის მნიშვნელობა. მაგრამ იმჟამად იგი ადმინისტრაციულად კახეთის ქორეპისკოპოსის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. კისისხევი და საერთოდ, მდ. კისისხევის ხეობის დიდი ნაწილი, კახეთის და შემდეგ კახეთ-ჰერეთის სამეფოს არსებობის პირობებში, უშუალოდ კახეთის ქორეპისკოპოსის გამგებლობაში არსებული სამონასტრო მიწების რიცხვში შედიოდა და საქ. პოლიტ. გაერთიანების შემდეგ, XI ს-იდან საეკლ. ტერიტორიად განიხილებოდა. ამ დროიდან კისისხევი სვეტიცხოვლის მონასტრის მამულების შემადგენლობაშია. XII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისისათვის, თამარ მეფისთვის არასასურველი მიქაელ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, თამარმა მის ნაცვლად საეკლ. და პოლიტ. ასპარეზს დაუბრუნა მწიგნობართუხუცესი ანტონ გნოლისთავისძე, რ-საც სხვა მამულებთან ერთად, კისისხევიც უბოძა.

ერთიანობის ხანაში (XI-XV სს) კისისხევი მცხეთის კათალიკოსის სახასო სოფელია. ძირითადად ასეთად რჩება იგი საქართვ. პოლიტ. დაშლილობის შემდეგაც. თუმცა, XVI ს-იდან კახეთის სამეფოში, სვეტიცხოვლის კუთვნილ მიწებზე, აშკარად იწყება კახეთში მდებარე მონასტრებისა თუ კახელ ფეოდალთა შეტევა. ამავე ხანებში მოხდა კისისხევისა და მისი შემოგარენის ჭერმის საეპისკოპოსოს ფარგლებში მოქცევა. სოფლის ყმა-მამულზე წილი დაიდო ჭერ-

229. ტრაპეზის ქვა (X-XI სს.), ფრაგმენტი (თელავის ისტ. მუზეუმი)



მის ეპისკოპოსმა, რ-ის მოურავიც განაგებდა კისისხევში მის კუთვნილ მამულებს.

ქ. ჭერმის დაქვეითებასა და სამეურნეო დაცემასთან ერთად, მეფე თეიმურაზ II-მ 1757 წ. გააუქმა ჭერმის საეპისკოპოსო, ხოლო ჭერემლის განკარგულებაში არსებული მამულები ალავერდელ, ბოდბელ და ნინოწმინდელ ეპისკოპოსებს გაუნაწილდათ. ამ ხანებიდან კისისხევი ალავერდელი ეპისკოპოსის ხელში გადავიდა. იმავდროულად, კისისხევის ყმა-მამულის ერთი ნაწილი, იმთავითვე, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისათვის ყოფილა შეწირული. ამ მამულებს „ქრისტეს საფლავის მიწებს“, ხოლო მათზე მოსახლე გლეხებს „ქრისტეს საფლავის ყმებს“ უწოდებდნენ. ასეთად რჩებოდა ეს ტერიტორიები XVIII ს-ის მეორე ნახევარშიც. მცირე ყმა-მამული კისისხევში – ალავერდელს, კახაბრიშვილებს, კახეთის სამეფოს მდივნებსაც ეკუთვნოდათ.

სოფელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ამ ხეობის, ისე მთელი კახეთის სათავდაცვო სისტემაში, განსაკუთრებით, საქართვ. პოლიტ. დაშლილობისა და მძიმე, საგარეო ვითარების პირობებში. სოფლიდან გამოსული ლაშქარი კახეთის IV, „მეფის თანა მყოფ“ სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ სამხ.-ადმ. გაერთიანებას, მოგვიანებით, ალავერდელი ეპისკოპოსი სარდლობდა.

კისისხევში შემორჩენილია ძვ. წყალსაცავის ნაშთები, რ-იც ადრე სოფელს სარწყავი წყლით უზრუნველყოფდა.


ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, კისისხევი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა.

კისისხევში განვითარებული იყო მევენახეობა, მებაღეობა. სოფელში მოქმედებდა მევენახეობის მეურნეობა.

ჯ. კახაძე.


ბიბლ.: 13; 66; 104; 141ა; 179დ; 204ა,გ,დ.

231. ბახუტაანთ ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. კომპლექსში შედის: ეკლ., სწორკუთხა ნაგებობა და სამრეკლო, რ-ებსაც გარშემოუყვება დაბალი გალავანი.



231. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (8,6x5,8 მ). ძირითადად აგებულია წვრილი, რიყის ქვით. ერთადერთი შესასვლელი შენობას დას-იდან აქვს. კარი შიგნიდან და გარედან თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ღრმა აფსიდია, რ-საც გვერდები ოდნავ მომრგვალებული, აღმ. კედელი კი, თითქმის სწორი აქვს. აღმ. კედლის ცენტრში გაჭრილია ზემოთკენ შევიწროებული, ბრტყლად გადახურული სარკმელი. მსგავსი თითო სარკმელი შენობის დანარჩენ კედლებშიცაა. საკურთხევლის სარკმლის ჩრდ-ით გეგმით ნახევარწრიული, ნახევარწრიული თაღით დასრულებული ნიშაა, სამხრ-ით – სწორკუთხა. გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რ-ებიც მათ ორ, არათანაბარ ნაწილად ყოფს (აღმ. ნაწილი, დას. ნაწილთან შედარებით, თითქმის ერთ-ნახევარჯერ უფრო მოკლეა). პილასტრებზე გადაქვანილია კამარის საბჯენი თაღი, რ-საც მომრგვალებული წვერი და თითქმის სწორი გვერდები აქვს. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც და კამარაც.




231. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ეკლესიის ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. მისი ქვედა საფეხური კუთხით შვერილი აგურების ერთი რიგით, ე.წ. ხერხულა წყობითაა გამოყვანილი, დანარჩენ ორი კი, ჩვეულებრივად დაწყობილი აგურით. სახურავი ორფერდაა, დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან, 0,5 მ-ზე, დგას აგურით ნაგები, აღმ.-დას-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული ნაგებობა (4,0x3,2 მ), რ-იც ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. თაღები დაყრდნობილია კუთხეებში მდგომ კვადრ. კვეთის ბოძებზე. ამჟამად ოთხივე თაღის დიდი ნაწილი და გადახურვა ჩამოშლილია. სავარაუდოდ, იგი გუმბათოვანი კამარით იყო გადახურული. ჰქონდა თუ არა მას მეორე სართული, ამჟამად არ დგინდება.

ეკლესიის სამხრ-ით, ორიოდე მ-ის დაშორებით, დგას გეგმით კვადრ. (5,3x5,3 მ), ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის პირველი სართული რიყის ქვითაა ნაშენი. მეორე – აგურით. პირველი სართული გეგმით რვაწახნაგაა. ამ სართულზე მომცრო სამლოცველოა. შესასვლელი მას დას-იდან აქვს. კარი გარედან მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. თაღის მალი ღიობზე რამდენადმე განიერია, რის გამოც მისი ქუსლების დონეზე მცირე საფეხური იქმნება. შიგნიდან შესასვლელი სწორკუთხაა. აღმ-ით სამწახნაგა საკურთხეველია, რ-იც დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილია მოკლე მხრებით. საკურთხევლის აღმ. წახნაგის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. თითო, მსგავსი სარკმელი სამივე ღერძული წახნაგის ცენტრშია. სართული გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე, გუმბათოვანი კამარით.



231. დას. ფასადი

მეორე სართული შიგნიდან და გარედან ექვსწახნაგაა. ექვსივე წახნაგში მოწყობილია ნახევარწრიული თაღით გადახურული, განიერი, მაღალი ღიობი. შიგნით სამრეკლო გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, ხოლო გარედან – აგურის, პირამიდული ფორმის სახურავით.

გალავანი რიყის ქვითაა ნაშენი. შემორჩენილია დაახლ. 1 მ სიმაღლეზე.

თ. დვალი.




231. ხედი სამხრ.-დას-იდან

ბიბლ.: 335.

232. ᲙᲝᲜᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, წმ. კოზმა-სა და დამიანეს მონასტრის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ექვსიოდე კმ-ზე, მდ. კისისხევის მარცხ. ნაპირას, მაღალი ფლატის შუა სიმაღლეზე, რ-ის თავში საკმაოდ დიდი ქვაბებიანი კომპლექსია განლაგებული. ეკლ. აგებულია მცირე, მოვაკებულ მოედანზე, რ-იც სამხრ. მხარეს გამაგრებულია საყრდენი კედლით. ეკლესიის სამხრ.-დას-ით, რამდენიმე ნაბიჯზე, მოჩანს ნაგებობათა ნაშთები, სამხრ-ით კი, უფრო ახლოს, დიდი წყალსაცავია – შიგნიდან შელესილი კედლებით. ეკლესიის ეზოს გარშემოუყვებოდა რიყის ქვით ნაგები, დაბალი გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტულად).

ძ. ადრეული ტიპის სამეკლესიიანი ბაზილიკაა. თარიღდება VI-VII სს-ით. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში




232. გეგმა

(15,3x15,1 მ) ჩაწერილია გვერდიგვერდ განლაგებული, ერთ კედლებით გამიჯნული, სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს და ერთმანეთთან მათ გამყოფ კედლებში გაჭრილი, თითო, თაღოვანი კარითაა დაკავშირებული.

შენობა აგებულია შერჩეული რიყის ქვის სწორი რიგებით. კარ-სარკმლების ღიობები, იმპოსტები და ზოგიერთი თაღი გამოყვანილია სუფთად თლილი, მოყვითალო შირიმით.

შუა, მთავარი ეკლ., გვერდით ეკლესიებთან შედარებით, რამდენადმე უფრო მაღალი და ვრცელია. აღმ-ით იგი დასრულებულია ნალისებრი გეგმის აფსიდით. აფსიდის კუთხეები გამოყვანილია შირიმით. აფსიდის თაღს, რ-ისგანაც მხოლოდ სამხრ. გვერდის ნაწილიღაა შემორჩენილი, ნახევარწრიული მოხაზულობა ჰქონია და რიყის ქვით ყოფილა გამოყვანილი. იგი დაყრდნობილია შირიმის სწორხაზოვანი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) მქონე იმპოსტზე.



232. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

მთავარი ეკლ. ექვსი სარკმლით ნათდებოდა. მათგან ერთი აფსიდის ცენტრშია, ერთი დასით, ხოლო ორ-ორი – გრძივ კედლებში. შიგნიდან, დას. სარკმლის გარდა, ყველა სარკმელი თარაზულად, რიყის ბრტყელი ქვებითაა გადახურული. სამხრ. და ჩრდ. კედლებში გაჭრილ სარკმლებს გარედანაც თარაზული გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი). აღმ. და დას. სარკმლები კი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. მათ შორის აღმ. სარკმლის თაღი შირიმის, მთლიან ქვაშია გამოკვეთილი, დას. სარკმლის თაღი კი თხელი, რიყის ქვებითაა ნაწყობი.

მთავარი ეკლესიიდან გვერდით ეკლესიებში გამავალი კარები მაღალია, თაღოვანი. ჩრდ. კარის ლუნეტი მოგვიანებით ამოუშენებიათ. სამხრ. კარისა კი ჩამოშლილია. სადგომი გადახურული ყოფილა რიყის ქვისა და დუღაბის კამარით, საბჯენი თაღების გარეშე. კამარა ჩამოსხმული იყო ქარგილზე, რაც დასტურდება კამარის შემორჩენილი ნაშთებითა და ქარგილის

საყრდენი ბუდეების არსებობით გრძივ კედლებზე. მოგვიანებით, კამარის დასაყრდნობად, მთა-



232. ინტერიერი, მთავარი ეკლ., ხედი აღმ-კენ

ვარი ეკლესიის დას. კედელზე, კამარის ქვეშ, მიაშენეს ერთიანი, საკმაოდ სქელი, საყრდენი კედელი. მოგვიანებითაა აგებული ასევე კანკელიც (შემორჩენილია ნაშთები), რ-იც მთლიანად კვადრ. აგურით ყოფილა გამოყვანილი.

ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში, სამკვეთლოსათვის გამოყოფილია გეგმით ოთხკუთხა სათავსი – სარკმლით აღმ-ით და სწორკუთხა ნიშით ჩრდ. კედელში. სარკმელი ვიწროა, მაღალი. იგი შიგნიდან თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან შირიმის მთლიან ქვაში გამოკვეთილი, ნახევარწრიული თაღი ხურავს. სათავსის დას. კედელში ჩრდ. ნავის დას. ნაწილში გამავალი, სწორკუთხა კარია. მეორე კარით (გვიანდელია), რ-იც სამხრ. კედელშია გაჭრილი, სამკვეთლო საკურთხეველთანაა დაკავშირებული. ჩრდ. ნავის დას. ნაწილი გარედან გახსნილია შირიმის კვადრებით ნაწყობი, ნალისებრი ფორმის, ორმაგი თაღით, რ-იც დაყრდნობილია ჩვეულებრივი ფორმის თაროსებრ იმპოსტებზე – დახრილი სიბრტყით თაროს ქვემოთ. ნავის დას. კედლის გასწვრივ მოწყობილია ქვის დაბალი ხარისხი. კამარა აქაც სხმულია (შემორჩენილია ქარგილის საყრდენი ბუდეები). მას ოდნავ კვერცხისებრი მოხაზულობა აქვს. მთავარ ეკლესიაში შესასვლელი კარი, ნავის მხრიდან, მოპირკეთებულია შირიმის ქვებით, მთავარი ეკლესიის მხრიდან კი რიყის ქვითაა გამოყვანილი.

სამხრ. ეკლესიას შესაბამისი ნავის აღმ. ნახევარი უჭირავს. იგი აფსიდიანი, უსარკმლო, მცირე სადგომია. სამხრ-



232. ინტერიერი, ჩრდ. ეკლ., ხედი აღმ-კენ

იდან იგი შირიმის იმპოსტებზე დაყრდნობილი, ნალისებრი თაღით (სიგ. დაახლ. 1,7 მ) იყო გახსნილი, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ. იმპოსტების პროფილი დანარჩენი იმპოსტების მსგავსია – თარო, დახრილი სიბრტყით მის ქვემოთ. ნავის დას. ნაწილთან სადგომი დას. კედელში მოწყობილი, განიერი თაღითაა დაკავშირებული (მოგვიანებით დაუვიწროებიათ). სადგომის კამარა და კონქის თაღი ოდნავ კვერცხისებრია. სადგომის ქვეშ აკლდამაა.

ნავის დანარჩენი სივრცე სამხრ-ით სამმალიანი თაღედითაა გახსნილი, რ-იც დაყრდნობილია ორ, კვადრატულ ბოძზე.

გარედან კედლები დასრულებული ყოფილა თაროსებრი ლავგარდნით (მცირე მონაკვეთი შემორჩენილია ჩრდ. ფასადზე), იგი ფორმირებულია კირის დუღაბით – წყობიდან გამოშვერილი, ერთმანეთისგან დაახლ. ათათი სმ-ით დაცილებული რიყის ქვების კარკასზე, რ-თა შორის მცირე, ნალისებრი თაღებია გამოყვანილი. ეკლ. გადახურული იყო კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 18; 198ბ,დ; 317; 335.

233. კონდამიანის ძვაბები, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, არქიტ. ძ., მდებარეობს სოფლის დას-ით, ხეობაში. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ძ. წარმოადგენს კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების სისტემას, რ-ებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გვირაბიანი

232. ხედი სამხრ.-დას-იდან





233. საერთო ხედი აღმ-იდან


და აივნიანი გასასვლელებით. ამჟამად ზოგი მათგანი ჩამონგრეულია და ერთი გამოქვაბულიდან მეორეში გადასვლა ვერ ხერხდება. მღვიმეები განლაგებულია გარკვეული სისტემით და შექმნილია რამდენიმე ჰორიზ. მწკრივი. გამოქვაბულები ინტერიერში, ალაგ-ალაგ, შელესილია დუღაბით. ოთახებში მოწყობილი იყო ჭები და წყლის რეზერვუარები. ადგილ. მოსახლეობის თქმით, ქვაბებში ეკლესიაც ყოფილა გამოკვეთილი.

პ. კიკაჩეიშვილი.


234. ᲙᲝᲨᲙᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ქვემოთ, მდ. კისისხევის მარცხ. ნაპირას. გურჯაანიდან თელავისკენ მიმავალ გზის პირას. თარიღდება XVII ს-ის შუა წლებით; ეკუთვნოდა თავად ქობულაშვილებს. დიდი ხნის განმავლობაში კოშკი წისქვილის მაგივრობას ეწეოდა, რის გამოც ადგილ. მოსახლეობა მას „ციხის წისქვილს“ უწოდებს.

შენობა გეგმით აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (9,5x6,3 *მ*), სამსართულიანი (სიმ. 8 *მ*). ნაგებია მთლიანად რიყის ქვით. გარედან ოთხივე კუთხეში აქვს მომრგვალებული, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული შვერილები. პირველი სართული ნახევარწრიული ფორმის ქვის კამარითაა გადახურული, მეორე სართულის გადახურვა გამართული იყო ხის კოჭებზე – გრძივ კედლებზე შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები. მესამე სართული კი, ქონგურებით აღჭურვილი ბანი ყოფილა.

კოშკში შესასვლელი მოწყობილი იყო პირველ სართულზე, აღმ. კედლის სამხრ. კიდეში (ამჟამად კედელი ამ ადგილას განგრეულია). ამავე კედელში ერთი, შეწყვილებული სათოფურა და ორი, თაღოვანი ნიშაა. დას. კედლის ჩრდ. კუთხეში თა-




234. I სართულის გეგმა



234. II სართულის გეგმა

ღოვანი ღიობია (შემორჩენილია თაღის ჩრდ. გვერდი), რ-იც კედლის სისქეში არსებულ, ზედა თოფური. კედელი, მოგვიანებით, შუაში გაუნგრევიათ და წყლის შემოსაყვანად, ორი ხვრელი მოუწყვიათ.

კოშკის მეორე სართული საცხოვრებელ-სათავდაცვოა. მისთ



234. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

სართულთან დამაკავშირებელ კიბის უჯრედს უკავშირდება. ჩრდ. კედელში გაჭრილია სამი სარკმელ-სათოფური. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში ერთი ნიშაა, დას. ნაწილში – ერთი სა-

234. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



ვის დამახასიათებელია სათოფურების სიმრავლე. სათოფურები ორ რიგადაა განლაგებული. ქვედა რიგის სათოფურები ქვემოთაა მიმართული. ზედასი კი – პირდაპირ, ჰორიზონტალურად.

მათ ზემოთ რამდენიმე პატარა, სწორკუთხა სარკმელია, რ-ებიც, თავის მხრივ, მესამე რიგს ქმნის. სართულის ჩრდ. კედელში, დანარჩენებისგან განსხვავებით, ქვედა რიგის სათოფურები ჩასმულია ნიშებში. ამავე კედლის აღმ. ნაწილში მოწყობილია ბუხარი. დას. კედლის სისქეში, ამ სართულზეც, ისევე როგორც ქვედა სართულზე, მოწყობილია მესამე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე. იგი



234. II სართულის ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ორსვლიანია. თითოეული სვლა კედლის ბოლოში იწყება, ისინი სადგომის მხარეს გახსნილია და დაბალი კედლით იყო შემოზღუდული. სვლების დამაკავშირებელი ბაქანი კედლის შუაში, მესამე სართულის იატაკის დონეზეა, საიდანაც სართულზე გასასვლელი იყო გაკეთებული.

მესამე სართული ბანია. იგი საკმაოდ მაღალი, ქონგურებით დასრულებული კედლებით იყო შემოზღუდული. ქონგურების მცირე ნაწილი მხოლოდ აღმ. და დას. კედლებს შემორჩა. სართულის საბრძოლო ელემენტებს სალოდეებიც ემატება – გრძივ კედლებში სამ-სამი სალოდეა მოწყობილი, ხოლო აღმ. კედელში – ორი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 17; 66; 72; 317; 335.

235. ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲨᲝᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲨᲙᲘ, არქიტ. ძ. დგანან სოფლის სამხრ. ნაწილში, სკოლის ეზოში, ერთმანეთისგან ოციოდე მ-ის მანძილზე. სამშენებლო წარწერის თანახმად, აგებული არიან 1767 წელს.

გ. ჩუბინაშვილის ცნობით, სამშენ. წარწერა, რ-იც მას 1922

წელს აკ. შანიძესთან ერთად უნახავს, ამოკვეთილი იყო ეკლესიის დას. შესასვლელის ზემოთ, კედლის მცირე შეღრმავებაში მოთავსებულ, ონიქსის, პატარა,




235. ეკლ. ხედი სამხრ.-დას-იდან

ოთხკუთხა ფილაზე. 1933 წელს მკვლევარს ფილა ადგილზე აღარ დახვედრია. მისივე ცნობით, სოფლის მაცხოვრებლებს იგი ფხვიერ ნაწილაკებად უქცევიათ და სამედიცინო თვალსაზრისით (ციების სამკურნალოდ) გამოუყენებიათ. აკ. შანიძის წაკითხვით, კოშკი და ნათლისმცემლის შობის ეკლ. 1767 წელს აუგია მეფე ერეკლე II-ის მოძღვართმოძღვარს ნიკოლოზს, კახთა მეფის მდივნის ზურაბის ძეს, ძმისწულის პართენ ხვაბელიძისთვის.


ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს შ ო ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (9x5 *მ*), ნაგებია წვრილი რიყის ქვით. შესასვლელები, სარკმლები და ლავგარდანი გამოყვანილია კვადრ. აგურით. შესასვლელი ორია – დას-ით და სამხრ-ით. ორივე კარი გარედან მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული, სამხრ. კარს (მოგვიანებით ამოუშენებიათ) შიგნიდანაც იგივე ფორმის თაღი ხურავს, დას. კარის თაღი კი – ნახევარწრიულია.

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი, თითო სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში და დას. კედლის ცენტრშია. მოგვიანებით, დას. კედელში, შესასვლელის გვერდებზე, მიწიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, გაუჭრიათ თითო განიერი (სიგ. 0,6-0,7 *მ*), მშვილდისებრთაღიანი სარკმელი. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორ-ორი შეისრულთაღიანი ნიშაა მოწყობილი. სამხრ. ნიშების ზემოთ, კონქის ქუსლის დონეზე, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი ერთი ნიშაა დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში – აფსიდის მხართან ახლოს. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებულია. საკურთხევლის შუაში შემორჩენილია ოთხწახნაგა ტრაპეზის ნაშთი.

დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც ექვდნობა ორ საბჯენ თაღს. მათ



235. კოშკი. I სართულის გეგმა




235. კოშკი. II სართულის გეგმა

შორის ერთი – კამარის შუაშია, ხოლო მეორე – დას. კედელთან. ეს უკანასკნელი კუთხის პილასტრებზეა გადაყვანილი, შუა თაღი კი შეკიდულია – უპილასტრო. შიგნით ეკლ. შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობის შეღმავებით, გამოსახულია საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი. კედლები დასრულებული იყო სამსაფეხურიანი ლავგარდნით (შემორჩენილია მხოლოდ განივ ფასადებზე), რ-ის ქვედა საფეხური ერთრიგად ნაწყობი, კუთხით შვერილი აგურებისგან შედგება, ზედა კი ჩვეულებრივად დაწყობილი აგურების ორი რიგისგან.

კ ო შ კ ი საცხოვრებელ-სათავდაცვოა, გარედან მრგვალია (დიამ. პირველი სართულის დონეზე 9,3 *მ*-ია) და ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება –



235. კოშკი. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ენთაზისის გარეშე. ნაგებია სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, წვრილი, რიყის ქვით, სართულშუა გადახურვები, თაღები და კარ-სარკმლები გამოყვანილია კვადრ. აგურით (22x22x4 *სმ*, 23x23x4 *სმ*). აგურია გამოყენებული მოგვიანებით შეკეთებულ ადგილებშიც. XIX ს-ში კოშკს საცხოვრებლად იყენებდნენ, რის გამოც თავდაპირველი სახე მას მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი.

კოშკში შესასვლელი ჩრდ-იდანაა, მიწის დონეზე. პირველი სართული გეგმით რვაწახნაგაა, სართულზე ექვსი, შეისრულთაღიანი, ღრმა ნიშა და ბუხარია. სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით, რ-შიც ქუსლის დონეზე, ჩრდ.-აღმ-ით და სამხრ.-დას-ით, ზემოთკენ მიმართული თითო, სწორკუთხა სარკმელია. კოშკის დას. ნახევარში, კედლის სისქეში, მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, რ-იც კოშკში შესასვლელის მარჯვ. წირთხლში იწყება.

მეორე სართული გეგმით ექვსწახნაგაა და პირველის მსგავსად, გუმბათოვანი კამარა ხურავს. იგი მთლიანად აგურითაა გამოყვანილი და აგურისავე ურთიერთგადაჯვარედინებულ, საბჯენ თაღებს ეყრდნობა. სართული, როგორც ჩანს, თავდაპირველად, კიბის უჯრედიდან შემომავალი ღიობიდან ნათდებოდა. სართულზე მოწყობილი იყო ექვსი, შეისრულთაღოვანი, ღრმა ნიშა, რ-თა შორის ორი – აღმ. წახნაგში მდებარე – მოგვიანებით მთლიანად ამოუშენებიათ. ჩრდ.-აღმ. წახნაგში მდებარე ორივე ნიშაში კი, სარკმლები გაუჭრიათ. ამ სარკმლებს შორის, გეგმით ნახევარწრიული ბუხარია, რ-იც საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში ზის. ჩრდ. წახნაგში გაჭრილია შესასვლელი, რ-იც კედლის სისქეში მოწყობილ, მცირე სადგომში გადის. იგი სართულის იატაკიდან 0,5 მ-ით მაღლაა. სადგომი მოგრძოა, გეგმით სწორკუთხა. მის დას. ბოლოში პატარა ბუხარია. აღმ. ბოლოში კი – ერთიმეორის ზემოთ – ორი თაღოვანი ნიშა. ჩრდ. კედლის შუაში, თითქმის იატაკის დონეზე, მცირე ზომის სარკმელია, რ-ის გვერდებზე, დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, სათოფურებია გაჭრილი. სადგომის კამარა აგურისაა, ცილინდრული ფორმის. კედლები შელესილი ყოფილა. სართულის შუაში ამოსულია პირველი სართულის კამარის ზურგის ნაწილი. როგორც ჩანს, ამ სართულს ხის იატაკი ჰქონდა.

მესამე სართული სხვებზე მეტადაა გადაკეთებული. იგი შიგნიდანაც წრიულია. კედელში სიმეტრიულად განლაგებული ყოფილა მაღალი, მშვილდისებრთაღიანი სარკმლები. როგორც ჩანს, იატაკიც და ჭერიც ხის ჰქონდა (შუაკედლისებში, სარკმელთა თავის დონეზე, შემორჩენილია გადახურვის საყრდენი კოჭების ბუდეები). ამ სართულზე ამოსასვლელი კიბეც, ისევე როგორც მეორე სართულისა, კოშკის დას. ნახევარშია, კედლის სისქეში. მეორე სართულის მსგავსად, იატაკი ამ სართულზეც ამობურცულია. კოშკი, როგორც ჩანს, დასრულებული იყო ქონგურებიანი ბანით.




235. კოშკი. ხედი სამხრ-დან

თ. დვალი.

ბიბლ.: 12; 66; 317; 335.

236. რიგის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1,5 კმ-ზე, ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.


ეკლ. დარბაზულია (8,5x6,8 მ). ძირითადად ნაგებია რიყის ქვით. ერთადერთი შესასვლელი დასიდან აქვს. კარი ვიწროა (სიგ. დაახლ. 60 სმ-ია) და ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული. აფსიდი გაბრტყელებული ნახევარწრის მოყვანილობისაა და ბოლოებში ნალისებურობის ტენდენცია აქვს. აფსიდის ცენტრში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის აქეთ იქით, სიმეტრიულად, თითო, ოთხკუთხა ნიშაა. ნიშები ვიწრო და მაღალია (სიმ. – 90 სმ-ია). მათი ძირი იატაკიდან დაახლ. 30 სმ სიმაღლეზეა, ხოლო თავი – სარკმლის ძირის დონეზე.



236. გეგმა


აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-ის თაღი ოდნავ შეისრული ფორმისაა, მსგავსი ფორმისაა კამარაც.

ეკლესიის დარბაზი მოკლეა. იმდენად, რომ მისი სიგ. დაახლოებით 1,5 მ-ით მეტია სიგრძეზე. დარბაზის გრძივი კედლები თითო, მარტივი პილასტრით ორ




236. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ


არათანაბარ ნაწილად იყოფა. დას. ნაწილი თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება აღმ-ისას. ამ უკანასკნელის სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო, საკმაოდ ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა, შესასვლელის ასწვრივ. დარბაზის დას. ნაწილში სამივე კედელს, დაბალი საფეხური გაუყვება.



236. დას. ფასადი

ეკლესიის ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ დეკორატიულ სამკაულს. შენობის დას. ფასადის ჩრდ. კიდეში, მი-






236. სამრეკლო. ჭრილი, გეგმა

წიდან 1,8 *მ* სიმაღლეზე, მცირე, სწორკუთხა ნიშაა. კედლები დასრულებულია მოგვიანებით ნაწყობი, აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით. ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.


ეკლესიის ჩრდ-ით, ათიოდე *მ*-ზე, შემორჩენილია აგურით ნაგები, ს ა მ რ ე კ ლ ო ს პირველი სართული. იგი გეგმით კვადრატულია (5x5 *მ*) და ოთხივე მხარეს ოდნავ შეისრული თაღებითაა გახსნილი. გარედან თაღები ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში. შიგნით სართული გადახურულია დადაბლებული პროპორციების, გუმბათოვანი კამარით.

თ. დვალი.

237. რიგბის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1,5 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.



237. გეგმა



237. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლ. დარბაზულია (8,25x5,5 *მ*), დას-იდან ეკვრის რამდენადმე ვიწრო და გაცილებით დაბალი მინაშენი. ორივე ნაგებობა რიყის ქვითაა ნაშენი. ეკლესიის გარეთა კუთხეები გამოყვანილია შირიმის, კარგად გათლილი კვადრებით, მოგვიანებით აღდგენილი ნაწილები – აგურისაა.

ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი დას-იდან, მინაშენიდან აქვს. კარი თაღოვანია. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან მოგვიანებით აგებული აგურის კანკელითაა გამიჯნული. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, შეისრულთაღოვანი სარკმელი. სარკმლის ქვემოთ დგას აგურით ნაწყობი ტრაპეზი, რ-იც კანკელის თანადროული ჩანს.

ლია. აფსიდი გადახურულია უსწორმასწორო ფორმის კონქით. არაწესიერი ფორმისაა კონქის თაღიც.



237. ინტერიერი, კანკელი, ხედი აღმ-კენ

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიას კიდევ ორი შეისრულთაღოვანი სარკმელი აშუქებს, რ-თა შორის ერთი – ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია, ხოლო მეორე – დას. კედლის შუაში.

დარბაზის სამხრ. და ჩრდ. კედლების შუაში გამოყოფილია თითო, მარტივი პილასტრი, რ-ზეც კამარის შეისრული, საბჯენი თაღია გადაქვანილი. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

მინაშენი გეგმით თითქმის კვადრატულია (4,3x4,1 *მ*) და ეკლესიაზე განიერი თაღითაა მიყრდნობილი. შესასვლელი მასაც დას-იდან აქვს. განათებულია სამი, მცირე ზომის, ოთხკუთხა სარკმლით, რ-თა შორის თითო-თითო სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. ნაწილშია – ერთმანეთის მოპირდაპირედ, ხოლო ერთი – დას-ით, შესასვლელის თავზე. შიგნით მინაშენი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით.

ორივე ნაგებობის ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას. ეკლესიის დას. შესასვლელის თავზე მცირე შეღრმავებაა, ხოლო გრძივი კედლები, მიწიდან დაახლ. 2 *მ* სიმაღლის ზემოთ, 10-12 *სმ*-ით თხელდება, რაც კედლების მთელ სიგრძეზე მცირე საფეხურს წარმოქმნის. ეკლესიას ლავგარდანი ჩამოშლილი აქვს. მინაშენის კედლები კი თაროსებრი ლავგარდნითაა დასრულებული.

თ. დუალი.

238. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 0,6 *კმ*-ზე, კალო მიწებად წოდებულ ადგილზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. აღმოჩნდა 1957 წელს მიწის დამუშავების დროს. თელავის ისტ.-ეთნ. მუზეუმის მიერ გაითხარა წითლად გამომწვარი თიხის ოვალური სარკოფაგი – ასახდელი სახურავით, სარკოფაგი დამხრობილი იყო აღმ.-დას-ის მიმართულებით, სახურავის ზედაპირი შემკულია რელიეფურად გამოყვანილი, ორი, ურთიერთ-



238. თიხის სარკოფაგი (თელავის ისტ. მუზეუმი)


გადამკვეთი, თოკისებრი ზოლით. სარკოფაგში აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, უინვენტაროდ. დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა. სარკოფაგის ირგვლივ, ხვნის დროს, გამოვლინდა ქვაყუთებიც, რ-ებიდანაც ადგილ. მაცხოვრებლებს აუკრეფიათ სერდოლიკის მძივები და ბრინჯაოს ბეჭდები.

სარკოფაგი და არქეოლ. მასალა დაცულია თელავის ისტ.-ეთნ. მუზეუმში.

ნ. ზაალიშვილი, გ. ლაღიაშვილი.

239. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ. განაპირას, თბილისი-თელავის გზატკეცილის მარცხ. მხარეს, გზის პირას. თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით. ეკუთვნის ქობულაშვილებს.


შენობა ორსართულიანია. მისი გეგმა აღმ-იდან დას-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედშია (23x16,7 *მ*) მოქცეული. წარმოადგენს ქალაქური ტიპის საცხოვრებელს. დროთა განმავლობაში, სახლი სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა, ამიტომ თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს. შენობა შედგება ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ნაწილისაგან. ძირითადი, თავდაპირველი ნაწილი, შეიცავს მთლიანად ქვემოთა სართულს და II სართულის დაახლოებით 1/3-ს. სართულის დანარჩენი ნაწილი მშენებლობის მომდევნო ეტაპისაა. იგი თავდაპირველი ნაწილისაგან, როგორც დაგეგმარების ხასიათით, ისე კარ-სარკმლების მორთულობითაც განსხვავდება. ამასთან, ამ ნაწილებს ერთმანეთისგან განსხვავებული სიმაღ-



239. I სართულის გეგმა

ლეც აქვს და დამოუკიდებელი სახურავით არიან გადახურული. სახლს ორი შესასვლელი აქვს. მთავარი შესასვლელი აღმოდანაა, გვერდის ფასადის შუაში. შესასვლელის წინ მოაჯირით შემოზღუდული და ორფერდა სახურავით გადახურული ბაქანია. ბაქნის სწორკუთხა, შვერილ ნაწილზე, მთავარი ფასადის მხრიდან, მიდგმულია წრის მეოთხედის ფორმის, ექვსსაფეხურიანი ქვის კიბე. ბაქნის ქვემოთ სარდაფში ჩასასვლელი კიბეა. მეორე შესასვლელი სართულს აივნიდანაც ჰქონია. ამჟამად აივნის ეს ნაწილი სახეშეცვლილია და არც თავდაპირველი კიბის კვალი ჩანს. ერთი, რამდენადმე მცირე კარი, მეორე, გვერდის ფასადის მხრიდანაცაა და როგორც ჩანს, დამხმარე დანიშნულება ჰქონდა.

შენობის პირველ სართულზე თითქმის თანაბარი ფართობის ექვსი, საცხოვრ. ოთახი, ფართო კიბის უჯრედი, მცირე ზომის სადგომი (ტამბური) და გადახურული, ხისსვეტებიანი აივანია. აივანი გზის მხარესაა (ჩრდ-ით), მთავარი ფასადის სიგრძის 2/3-ის გაყოლებით. II სართულზე, ფართობის მნიშვნელოვან მონაკვეთზე, ოთახთა განლაგება I სართულის ანალოგიურია. სართულის დანარჩენი ნაწილი მოგვიანებით არის გადაკეთებული. შეცვლილია თავდაპირველი გეგმარებაც.



239. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

239. მთავარი (ჩრდ.) ფასადი



სარდაფში სამი, მოზრდილი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთს შესასვლელებით უკავშირდება. მათგან სახლის ზურგის მხარეს მდებარე ოთახი ერთიანი კამარითაა გადახურული, დანარჩენ ორს კი – ხის კოჭოვანი, ბრტყელი ჭერი აქვს. შენობის სართულშუა გადახურვები ხის მძლავრ კოჭებზეა გამართული. გათბობისთვის გამოყენებულია კედლის ღუმლები.

ფასადები მარტივადაა გაფორმებული. მეტ-ნაკლებად გამოირჩევა გზის მხარეს მოქცეული ჩრდ. ფასადი, რ-ის უმეტესს ფართობს ერთი მეორის ზემოთ მდებარე, I და II სართულების ხისსვეტებიანი, გადახურული აივნები მოიცავს. აივნებს ჭვრული ელემენტებით დამშვენებული მოაჯირები აქვს. ფასადის დანარჩენი ნაწილი მშენებლობის მომდევნო ეტაპს მიეკუთვნება. ამ ნაწილს, კიდეებზე, განიერი პილასტრები აუყვება და ლავგარდნითაა დასრულებული. პილასტრებს სწორხაზოვანი პროფილი აქვს. იგი კედლის წყობიდან მოკლე გვერდებით გამოშვერილი აგურებისგან შედგენილი ორი, ვიწრო ზოლითა და მათ შორის მოქცეული სიბრტყისგან შედგება. მსგავსი პილასტრი კედლის ღერძზე, I სართულის მთელ სიმაღლეზეცაა გამოყოფილი. ფასადის სიბრტყიდან, II სართულის დონეზე, წინწამოწეული იყო ღია, დაკიდული აივანი. ამჟამად მისგან მხოლოდ ხის საყრდენი ძელების კვალიღაა შემორჩენილი. ფასადზე კარ-სარკმლების მნიშვნელოვანი ნაწილი ნალესობაში გამოყვანილი, რთული პროფილის ჩარჩოშია ჩასმული. შენობის დანარჩენი ფასადები მხოლოდ სარკმლების ღიობებითაა დანაწევრებული.


შენობა დგას ცოკოლზე, რ-იც თითქმის სართულის ნახევრის სიმაღლისაა. იქვე, სახლ-

თან ახლოს, რამდენიმე მცირე ზომის, ერთსართულიანი ნაგებობაა. სავარაუდოდ, ისინი სახლთან იყვნენ დაკავშირებული და, ძირითადად, სამეურნეო დანიშნულება ჰქონდათ.

თ. დვალი.


240. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲤᲚᲐᲠᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფელში, სიმონიშვილების უბანში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (9,7x6,4 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი ორია – სამხრ-



240. გეგმა

იდან და დას-იდან. ორივე კარი თაღოვანია და შიგნიდან თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ღრმა, არაწესიერი მოხაზულობის აფსიდია, რ-ის ორივე გვერდში თითო, შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათ შორის ჩრდ-ით მდებარე ნიშა კედლის სიბრტყეში შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია მოთავსებული. საკურთხევლის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც.



240. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ


ინტერიერი ოთხი, მცირე ზომის, შეისრულთაღოვანი სარკმლითაა განათებული. მათ შორის ერთი – აფსიდშია, თითო – გრძივი კედლების აღმ. ნაწილში და ერთიც დას. კედლის ღერძზე. დარბაზის გრძივი კედლების შუაში და დას. კიდეში მარტივი, თაროსებრი კაპიტელებით დასრულებული, თითო პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. შიგნით კედლები შელესილია.


ეკლესიას მარტივი გარეგნობა აქვს. კარ-სარკმლების ღიობები გამოყვანილია კვადრ. აგურით. აღმ. და დას. ფრონტონების არეში, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოსახული იყო რომბისებრ პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი (შემორჩენილია ორივე ჯვრის ქვედა მკლავის ნაწილი და პოსტამენტი). დას. შესასვლელის თავზე ოდნავ შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, როგორც ჩანს, წარწერიანი ქვის ჩასადგმელად.

თ. დვალი.

241. ᲤᲝᲨᲢᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲠᲘ, არქიტ. ძ., დგას სოფლის სამხრ-ით, ოთხასიოდე *მ*-ის მანძილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,2x4,6 *მ*), აფსიდიანი. ნაგებია რიყის ქვით – ტლანქად. გამოყენებულია აგურიც. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. იგი კვადრ. აგურითაა გამოყვანილი, შეისრულთაღოვანია და გარედან საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. შიგნით ღიობი ხის ძელებით, თარაზულად იყო გადახურული (შემორჩენილია კვალი). აფსიდი ნახევარწრიულია. აფსიდის ცენტრში გაჭრილია დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელი, რ-ის აქეთ-იქით, აფსიდის ბოლოებთან ახლოს, თითო, მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა. მსგავსი ნიშა დას. კედლის ჩრდ. ნახევარშიცაა, იატაკიდან დაახლ. 1,2 *მ* სიმაღლეზე. აფსიდში დგას მოზრდილი ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიბჯენი-






241. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ლი. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის საპირე თაღი აგურითაა გამოყვანილი და ოდნავ შეისრული ფორმა აქვს. მსგავსი ფორმისაა კამარაც. დარბაზის სამივე კედელს საფეხური (სიგ. – 30 *სმ*, სიმ. – 23 *სმ*) გასდევს. დას. კედლის ზედა ნაწილში მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელია.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა, მოკლებულია დეკორატიულ სამკაულს. კედლები დასრულებული იყო აგურით გამოყვანილი ლავგარდნით.

თ. დვალი.

242. ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1 *კმ*-ზე. აგებულია 1806 წელს, მდივანბეგ სვიმონ ქობულოვის (ქობულაშვილის) მიერ. ამ ფაქტს გვამცნობდა ამავე სოფელში, ნათლისმცემლის შობის ეკლესიასთან მდგარ კოშკში აღმოჩენილ ზარზე (ამჟამად დაკარგულია) არსებული წარწერა. ა. სონღულაშვილის მიხედვით – „ქ. მე ქობულოვი მდივანბეგ მდივანმ სვიმონმა შევწირე ერთი წყვილი ზარი ჩემგან აღშენებულს ღვთაების ეკლესიას კისის ხევს სულისა ჩემისა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ იანვრის [ა] ქკს უჟდ.“



242. გეგმა. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

წყობიდან შვერილი აგურებით გამოყვანილი არქივოლტითაა მორთული.



242. ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლ. დარბაზულია (8x5,3 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვით, აფსიდის კედლის ქვემოთა ნაწილი, კარ-სარკმლების წირთხლები და თაღები აგურით. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.



242. დას. ფასადი

შენობას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. ორივე კარი სწორკუთხაა და გარედან საფეხურით შეღრმავებულ, შეისრულთაღოვან არეშია ჩასმული. მათ შორის დას. არე, აღმ-ით ღრმა, დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურით შემაღლებული, ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდში, იატაკიდან 1,1 *მ* სიმაღლეზე, გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. მსგავსი, თითო სარკმელი შენობის დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდის ჩრდ. გვერდში მცირე, თაღოვანი ნიშაა, შუაში კი – აგურით ნაწყობი, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას (შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი).


დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული ფორმის კამარით, მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც.

შენობის ფასადები სადაა. დას. ფასადის თითქმის მთელ სიბრტყეზე, გამოყვანილია საფეხურით შეღრმავებული, თაღოვანი არე, ისე, რომ ფასადის კიდეებში პილასტრისებრი შვერილებია დარჩენილი.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.


თ. დგალი.

243. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას აზრანაანთ უბანში. თარიღდება XVIII საუკუნით.



243. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (13,5x7 მ). ნაგებია რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით. კონსტრ. ნაწილებში (კამარა, საბჯენი თაღები, პილასტრები) და კარ-სარკმლების ღიობები გამოყვანილია კვადრ. აგურით. ინტერიერი შელესილი (ბევრ ადგილას ჩამოცვენილია) და შეთეთრებულია.



243. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

შენობას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. სამივე თაღოვანია და გარედან საფეხურით შეღრმავებულ არეში არის ჩასმული, შიგნიდან კი – მაღალ, შეისრულთაღოვან შეღრმავებაში. ჩრდ. შესასვლელი ამოშენებულია სანახევროდ.

აღმ-ით, გეგმით ნახევარწრიული, ორი საფეხურით შემაღლებული აფსიდია, რ-იც ეკლესიის დანარჩენი სივრცისგან წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი, შეისრული თაღითაა გამიჯნული. აფსიდში სამი განიერი, ისრულთაღოვანი სარკმელია. მათგან ერთი – აფსიდის ცენტრშია, თითო-თითო კი, მის გვერდებში – მხრებთან ახლოს. ამ სარკმლების აღმ. წირთხლში მოწყობილია მცირე, თაღოვანი ხვრელი, რ-ითაც აფსიდის გვერდებზე, კედლის სისქეში არსებულ, მოგრძო სადგომში, სამალავში ვხვდებით. ორივე სადგომი უსარკმლოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-ის შუაში თითო, მცირე ნიშაა. აფსიდის გვერდებში თითო, გეგმით ნახევარწრიული, ისრულთაღოვანი ნიშაა. მათ შორის სამხრ-ისა, სიმაღლით თითქმის ორჯერ აღემატება ჩრდ-ისას. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხევლის ბაქანი პილასტრების ხაზიდან სამოციოდე სმ-ით წინწამოწეულია და ცენტრში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.



243. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

დარბაზის გრძივი კედლების შუაში, მარტივი პროფილის, ქვის იმპოსტით დასრულებული, თითო, მძლავრი პილასტრია, რ-ებსაც ისრული ფორმის საბჯენი თაღი ეყრდნობა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშია. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი.


ეკლესიის შიდა სივრცე კარგადაა განათებული. საკურთხევლის სარკმლების გარდა, ორ-ორი სარკმელი ეკლესიის გრძივ კედლებშია. ერთიც – დას. კედელში.

საკურთხევლის კონქის ქუსლის დონეზე მოწყობილია სამი რეზონატორი. ოთხ-ოთხი რეზონატორი ნავის კამარის გვერდებშიცაა.

ეკლესიის კამარა და საბჯენი თაღები შეისრული ფორმისაა. იატაკი კვადრ. აგურითაა ნაწყობი.

შენობის გარეთა კედლები ნაწყობია რიყის ქვისა და აგურის თითორიგიანი შრეების მონაცვლეობით. კედლების ზედაპირი გასწორებულია დუღაბით, რ-იც საპირე ქვების დიდ ნაწილს ფარავს. ეკლესიის ოთხივე ფასადზე, აგურის წყობით, თითო, შეღრმავებული ჯვარია გამოსახული. კედლები დასრულებულია აგურის ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი შეადგენს. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურით ნაშენი, ოთხწახნაგა სამრეკლო, რ-იც ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი.




243. დას. ფასადი

თ. დვალი.

ბიბლ.: 110.

244. ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 7 კმ-ზე. მდ-ების თეთრაანისწყლისა და დიდი ხევის შესართავის მახლობლად, დიდი ხევის მარჯვ. ნაპირას – ღვთისმშობლის ჭალად წოდებულ ადგილში. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ეკლ. და მოზრდილი ზომის, სწორკუთხა ნაგებობა, რ-ის დანიშნულების გარკვევა, გასუფთავების გარეშე, არ ხერხდება.

ღვთისმშობლის ეკლესია სამნავიანი ნაგებობაა, სავარაუდოდ, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. მისგან, დაახლ. 3-3,5 *მ* სიმაღლეზე, მხოლოდ აღმ. ნაწილიღა დგას. დანარჩენი კედლები, სამხრ. და დას. კედლების მცირე მონაკვეთების




244. ეკლ. სქემატური გეგმა

გარდა, ნანგრევებით, მიწით და მცენარეულობით დაფარულია იმდენად, რომ შენობის აღნაგობის ზუსტად დადგენა არ ხერხდება. ეკლესიის შემორჩენილი კედლები ნაგებია მოზრდილი ზომის, საგულდაგულოდ შერჩეული, რიყის ქვით, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, თარაზულად გამავალ რიგებად.

ეკლესიის გეგმა აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (11,4x6,1 *მ*). შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდანაა. ორივე კარი თაღოვანი ყოფილა და შირიმის, სუფთად გათლილი ქვებით ყოფილა ნაწყობი. ორივე შესასვლელს მხოლოდ თითო წირთხლი და მასზე დაყრდნობილი თაღის წყობის ორ-ორი ქვაღა შემორჩა. ორივე წირთხლი დარულებულია იმპოსტით, რ-ებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული სიმაღლე და პროფილი აქვს. სამხრ. შესასვლელის იმპოსტი ოდნავ მაღალია. მის პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს, დას. შესასვლელის იმპოსტის პროფილს კი – თარო და შეზნექილი ზედაპირი. დას. შესასვლელი, სიმაღლით, სამხრ-ისას უსწორდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელზე ოდნავ უფრო განიერი ყოფილა.

საკურთხევლის აფსიდი მკვეთრად გამოხატული, ნალისებრი მოხაზულობისაა (შემორჩენილია კონქის ქუსლის დონეზე). აფსიდის ღერძზე პარალელურწირთხლებიანი, ნახევარწრიულთავიანი სარკმელია, რ-იც მთლიანად შირიმითაა გამოყვანილი. საკურთხეველი, სარკმლის ძირის დონემდე, ნანგრევებითაა ამოვსებული და მისი არქიტ. გადაწყვეტა არ ირკვევა. გვერდითი ნავები (სიგ. – 1,2 *მ*), უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებული არიან სწორი კედლით, რ-ებიც თითქმის აფსიდის შემორჩენილი კედლის თანაბარ სიმაღლეზე დგანან. მიუხედავად ამისა, არც ერთსა და არც მეორეს, გადამხურავი კონსტრუქციის არავითარი კვალი არ შემორჩა. ე. ი. სივიწროვის მიუხედავად, ისინი შემაღლებულ პროპორციებით იყო გადაწყვეტილი.



244. ნაგებობა ეკლესიის სამხრ.-დას-ით, სქემატური გეგმა

ეკლესიის დას-ით, თხუტმეტიოდე *მ*-ზე, შემორჩენილია სწორკუთხა მოხაზულობის, აღმ-იდან დას-ის მიმართულებით წაგრძელებული, მოზრდილი შენობის ნანგრევი (დაახლოებითი ზომები გარედან: სიგრ. – 12 *მ*, სიგ. – 7 *მ*). შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. და ჩრდ. კედლების მცირე ნაწილები, რ-ებიც შერჩეული, რიყის ქვის სწორი რიგებითაა ნაგები. მათ შორის სამხრ. კედელს ნათალი, შირიმის ქვით გამოყვანილი კარის წირთხლის მცირე ნაწილი შემორჩა.


ნაგებობას ჩრდ-იდან ეკვრის მასზე ბევრად მოკლე, რიყის ქვის ირეგულარული წყობით ნაგები, სწორკუთხა გეგმის მქონე მინაშენი (5,5x4,8 *მ*, კედლების სისქე – 0,6 *მ*), რ-საც იგი, როგორც ჩანს, ჩრდ. კედელში არსებული კარით უკავშირდებოდა. დამოუკიდებელი შესასვლელი მინაშენს აღმ-იდან აქვს (შემორჩენილია სამხრ. წირთხლის მცირე ნაწილი). ამავე კედლის სამხრ. კიდესთან მოწყობილია თაღოვანი ნიშა. მინაშენის სამხრ. და დას. კედლებში თითო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მინაშენი გადახურულია რიყის, წვრილი ქვით ნაწყობი, ცილინდრული კამარით, რ-ის ღერძი სამხრ-იდან ჩრდ-ისკენაა მიმართული.

ეკლესიის სამხრ.-დას-ით, ორმოციოდე *მ*-ზე, რიყის ქვით ნაგები, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის კედლის ნაშთი (სიგრ. დაახლ. 4 *მ*) და მიწაში ჩადგმული ქვევრია შემორჩენილი.

თ. დვალი.

245. ᲧᲕᲔᲚᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში. თარიღდება VI-VII სს-ით.

ეკლ. გუმბათიანია, ტეტრაკონქის ტიპის. ნაგებია რიყის ქვით – კირის დუღაბის სქელ ფენაზე. დეკორატ. თაღები და ლავგარდანი შირიმის, ნათალი ქვისაა. შიგნით კედლები შელესილი და შეთეთრებულია. მოგვიანებით (X-XI სს-ში) გუმბათის ყელი აუმაღლებიათ და მოყვითალო ფერის შირიმის, ნათალი ფილებით მოუპირკეთებიათ.



245. გეგმა. 1. ყველაწმინდის ეკლ., 2. წმ. მიქაელის ეკლ.

ეკლესიის გეგმის ბირთვი, ჩვეულებისამებრ, გუმბათქვეშა კვადრატია, რ-იც ჯვრის მკლავების გადაკვეთით იქმნება (შიგნითა ზომები: აღმ.-დას. ღერძზე – 5,6 *მ*, სამხრ.-ჩრდ. ღერძზე – 3,95 *მ*). ჯვრის ორი მკლავი – აღმ-ისა და დას-ისა – დასრულებულია ნახევარწრიული, კონქით გადახურული აფსიდით. დანარჩენი ორი მკლავი – სწორკუთხაა, ასევე კონქით გადახურული. კონქები კუთხეებში მოწყობილ ტრომპებს ეყრდნობა. ტრომპები, ჩვეულებისამებრ, კონქის ქუსლის დონეზე კი არ არის მოთავსებული, არამედ ბევრად უფრო ქვემოთ – ამავე მკლავებში გაჭრილი სარკმლის ძირის დონეზე. თვით სარკმლების თავი კი კონქის ქუსლის ხაზზეა. ოთხივე მკლავის თაღი უომპოსტოა. მათ შორის აღმ. და სამხრ. თაღები ოდნავ გამოხატული ნალისებრი მოხაზულობისაა.


ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით (რ-იც მოგვიანებით მიშენებულ, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მცირე სამლოცველო-საძვალეში გადის), ჩრდ-ით და დას-ით. სამხრ. და დას. კარებს შიგნიდან შერჩენილი აქვს თავდაპირველი თაღი. მათ შორის დას. თაღის არე, მოგვიანებით აგურის წყობით შეუვსიათ.

საკურთხევლის იატაკი ეკლესიის დანარჩენი ნაწილის იატაკის მიმართ შემაღლებულია ორი საფეხურით. იგი აფსიდის მხრების ხაზიდან რამდენადმე წინწაწეულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს. საკურთხეველი განათებულია ვიწრო, მაღალი, თაღოვანი სარკმლით, რ-ის ქვემოთ, კედელზე, მიყრდნობილია ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხეველში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა, რ-თა შორის ერთი – ჩრდ-ით მდებარე, გეგმით ნაწევარწრიულია, მეორე – სწორკუთხა. ერთი, გეგმით მრუდხაზოვანი, ოთხკუთხა ნიშა, სამხრ. მკლავის აღმ. კედელშია.

ეკლესიის სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავების კედლებს დაბალი საფეხური გასდევს.

გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა კუთხის ტრომპების მეშვეობით ხდება. ტრომპები ნახევარკონუსის ფორმისაა და წინიდან კედლის სიბრტყეში შეღრმავებული თაღი აქვს. გუმბათის ყელი ვიწროა (დიამ. დაახლ. 2 *მ*-მდეა), საკმაოდ მაღალი (სიმ. გუმბათის ყელის ფუძიდან კამარის წვერომდე 5 *მ*-ია, ხოლო მთელი სიმ. შიგნით 11 *მ*-ზე მეტია). სავარაუდოდ, იგი სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს: ქვედა ნაწილი – სარკმლების ჩათვლით – თავდაპირველია, ზედა ნაწილი კი X-XI საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. იმ ხანებს, როდესაც იგი შიგნიდან და გარედან აამაღლეს და გარედან შირიმით მოაპირკეთეს.

ეკლესიის კედლებზე შემონახულია ძლიერ დაზიანებული, „ხალხური“ მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს ფრაგმენტები. ამ მოხატულობის არსებობის შესახებ ცნობას გვაწვდის გ. ჩუბინაშვილი, რ-ელმაც კისისხევში ყოფნის




245. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

სობა, რ-იც ნაწილობრივ ფარავს მოხატულობას. დღესდღეობით მოხერხდა ზოგიერთი გამოსახულების დადგენა.

სამხრ. მკლავის დას. კედელზე, ზემოთ, ტრომპთან ახლოს, შემორჩა ორი ფიგურის – შუა ხნის და უწვერულვაშო, ახალგაზრდა მამაკაცის – თავი და მკერდის ნაწილი (სიუჟეტური კომპოზიცია?). უკანასკნელ ფიგურას მდიდრული ტანსაცმელი აცვია, თავზე ახურავს მარგალიტებით შემკული ქუდი. მეორე რეგისტრში, სამხრ. მკლავის ჩრდ.-დას. კუთხეში, ისტ. პირია გამოსახული. ჩანს შარავანდიანი ფიგურის ნაწილი და მის გვერდით ასომთ. წარწერის ნაშთი. იკითხება: ქ შ... (ქრისტე შეიწყალე). აქვე გაირჩევა კიდევ ერთი ფიგურის სილუეტი.

ისტ. პირების გამოსახულებები დას. მკლავშიცაა. აფსიდის ჩრდ. ნაწილში, ჩამოცვენილი ნალესობის ადგილზე, გამოჩნდა ოთხი ფიგურა – ორ-ორი პირველ და მეორე რეგისტრში. ყურადღებას იპყრობს ერთი მათგანის პოზა (პირველი რეგისტრი): ფრონტალურად მოცემულ სხეულთან კონტრასტულად დაპირისპირებული, პროფილში გამოსახული და ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მიმართული ტერფები (მეორე ფიგურის ტერფები შემონახული არ არის). აფსიდის ჩრდ. მხარზე ჩანს ერთიმეორის თავზე განლაგებული, გეომეტრიული ორნამენტის ორი ზოლი (გამოყენებულია სხვადასხვა მოტივები) და მათ შო-



245. ყველაწმინდის ეკლ. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

დროს (1920-22-33 წწ.), ნახა პატარა ფრაგმენტი – მოწითალო და ლურჯი ხაზებით შედგენილი მოჩარჩოების ნაგლეჯი და ყვითელი შარავანდი სამხრ. შესასვლელის ახლოს. როგორც მკვლევარი მიუთითებს, იმ დროისათვის ეკლ. უკვე შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.

ამჟამად გვიანდ. ნალესობა, შესაძლოა, მასთან ერთად მხატვრობაც გუმბათის ყელში, ტრომპებსა და საკურთხეველში განადგურებულია. მოხატულობის მცირე ზომის ფრაგმენტები შემონახულია უმთავრესად სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავებში. ერთი ფრაგმენტი შემორჩა საკურთხევლის ჩრდ. ნაწილში, ქვემოთ, ტრაპეზის ახლოს. ამ ფრაგმენტების წაკითხვის შესაძლებლობას ართულებს ფერადოვანი ფენის დაზიანება, განსაკუთრებით კი გვიანდ. ნალე-

რის, კედლის ვიწრო მონაკვეთზე, წარწერის (?) კვალი.

იქვე ახლოს, ჩრდ. მკლავის დას. მხარზე დარჩენილია კიდევ ერთი ისტ. პირის, როგორც ჩანს, ქალის სახის ნაწილი. ამავე მკლავში, ჩრდ. კედლის ზედა ნაწილში, დანარჩენი მოხატულობიდან შემორჩა მხოლოდ მკრთალი, ფერადოვანი ლაქები.



245. ყველაწმინდის ეკლ. ინტერიერი, სამხრ. მკლავი

ეკლესიაში შემონახული მხატვრობის ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ მის იკონოგრაფიულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ისტორიულ პირთა გამოსახულებებს. დროის დამახასიათებელი ნიშნები მჟღავნდება მოხატულობის იკონოგრაფიულ აგებაშიც, ეს არის გამოსახულებების მიერ რეგისტრის ხაზის გადაკვეთა, დიდი და შედარებით პატარა ფიგურების შეპირისპირება, ასევე, მხატვრობის შემომსაზღვრელი ხაზის განლაგება იატაკთან ახლოს – საკურთხეველში დაახლ. 20 *სმ*-ის სიმაღლეზე, ხოლო გუმბათქვეშა სივრცეში, სამხრ. შესასვლელის დას-ით შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, კედლების მიმდებარე საფეხურის უშუალო სიახლოვეს.

„ხალხურ“ მოხატულებებთან კავშირზე მიუთითებს გამოსახულებების სქემატური ნახატი და სახეების მეტად გამარტივებული ნაკვთები. მხატვრობის კომპოზიციური სისტემა ეფუძნება ტრადიციულ სქემას, რომელიც ბიზანტიაში ჩამოყალიბდა IX ს-ში და ფართოდ გავრცელდა მოგვიანებით. ამ სისტემის მიხედვით, გუმბათქვეშა სივრცის ცენტრში, ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე, ანუ ე. წ. ლატერალურ ნაწილში, ხატავდნენ ქრისტეს ან ჯვარცმას, ხოლო ჯვრის მკლავებში – ეკლესიის მფარველ წმინდანებს. ამ სისტემის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად ითვლება ბერძნული ჯვრის ეკლესია ნიკეაში, ე. წ. ფეთხიეს ჯამე (1078 წ.), სადაც ცენტრში ქრისტეა გამოსახული, ხოლო მკლავებში – ანგელოზები. ამ სისტემის ადრეული ნიმუშია ასევე ნეკრესის ეკლესია, სადაც ცენტრში ქრისტეა გამოსახული, ხოლო მკლავებში – ანგელოზები. ამ სისტემის ადრეული ნიმუშია ასევე ნეკრესის ეკლესია, სადაც ცენტრში ქრისტეა გამოსახული, ხოლო მკლავებში – ანგელოზები.



245. ყველაწმინდის ეკლ. ინტერიერი, ხედი გუმბათზე

ლორიტში გაბატონებულია მუქი ლურჯი, მოწითალო-ყავისფერი, ცისფერი, ყვითელი.

გარედან, ეკლესიის მკლავები, დას. მკლავის გარდა, ხუთწახნაგაა. მკლავებს შორის შემავალ თითოეულ კუთხეში დგას არც ისე მაღალი, საკმაოდ განიერი ნახევარსვეტი, მის ზემოთ, ძაბრისებრად, კუთხის გადამხურავი კამარა იშლება, რ-იც კუთხის უმეტეს ნაწილს ხურავს. კუთხეები დასრულებულია შემავალ საფეხურებად განლაგებული, ორ-ორი თაღით. მათ შორის გარეთა თაღები, მორთული იყო მცირე თაღების მწკრივით (ჩრდ.-აღმ. კუთხის თაღზე შემორჩენილია მცირე ნაწილი). თაღების თავზე შირიმის, პროფილირებული ლავგარდნის ჰორიზ., მოკლე მონაკვეთია, მის ზემოთ – გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეების სახურავები. სახურავების ზემოთ კი ჯვრის მკლავების გვერდითი კედლები ადის. ამ კუთხეების ქვედა ნაწილები, მოგვიანებით, აგურით ამოუშენებიათ. აგურითვე დაუგიათ ეკლესიის იატაკი და გარეთა კედლებზე სხვადასხვა, წვრილ-წვრილი შეკეთებები უწარმოებიათ. აღმ. და ჩრდ. მკლავების სარკმლებისა კვადრატის კუთხეების, ე. ი. შენობის თავდაპირველი ნაწილების, სახურავის ქანობები ძალიან დამრეცია, ისინი არაერთხელ შეუკეთებიათ. ეს დასტურდება ლავგარდნის ფორმითაც. იგი ყველგან შირიმისაა, ერთი პროფილის – შეზნექილი ზედაპირი ლილვით. ეკლესიის კორპუსზე ლავგარდანი მოშავო ფერისაა, გუმბათის ყელზე კი, ისევე როგორც მოპირკეთება – მოყვითალო.

245. ყველაწმინდის ეკლ. ინტერიერი, დას. მკლავის კონქის მოხატულობა






245. ქვემოწმინდის ეკლ. ინტერიერი, დას. აფსიდის ჩრდ. მხრის მოხატულობა, დეტალი

გუმბათის ყელი გარედან რვაწახნაგაა, რ-ის ყოველ წიბოს შეწყვილებული ნახევარსვეტი აუყვება, სფეროებით ბოლოებში. ნახევარსვეტებზე დაყრდნობილია ნახევარწრიული თაღები. ნახევარსვეტები დგას მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) სარტყელზე, რ-იც გუმბათის ყელს ირგვლივ ევლება. გუმბათის ყელში გაჭრილია მხოლოდ ოთხი სარკმელი. თითოეული სარკმელი მორთულია ნახევარწრიული ფორმის, ბრტყელი, რელიეფური ზოლით – ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში, რ-ებიც ნახევარსვეტებამდე აღწევს. თითო, ასეთივე ელემენტი, იგივე სიმაღლეზე, განთავსებულია გუმბათის ყელის დანარჩენ წახნაგებზეც. გუმბათი გადახურულია ციცაბო, პირამიდისებრი სახურავით.

ეკლესიას სამხრ-იდან ეკვრის, მასზე უფრო მოგრძო, მაგრამ გაცილებით დაბალი, დარბაზული ეკლ. (8,6x5,2 *მ*), რ-იც XVI ს-ში წმ. მიქაელის სახელზე აუგიათ და თავად ქობულაშვილების საძვალეს წარმოადგენდა. შენობა სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითაა ნაგები და ნახევარწრიული, შვერილი აფსიდი აქვს, რ-იც ეკლესიის კორპუსიდან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი, ნახევარკონუსისებრი სახურავი ხურავს. საკუთრივ დარბაზი კი ორკალთა სახურავითაა გადახურული. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: ერთი – ჩრდ-იდანაა, თავდაპირველი ეკლესიიდან, ხოლო მეორე, დას-იდან. ჩრდ. კარს თარაზული გადახურვა აქვს. დას-ისას კი – შეისრული. თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათ შორის ერთი აფსიდის ცენტრშია გაჭრილი, მეორე – სამხრ. კედლის შუაში. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის შუაში დგას ცილინდრული



245. წმ. მიქაელის ეკლ. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ამ უკანასკნელის ზემოთ, ფრონტონის არეში, მცირე, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია. ამ სარკმლის გარდა, ეკლესიის შიდა სივრცეს კიდევ ორი, ფორმის ტრაპეზი. კონქის თაღი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. ეკლ. შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია.

245. ხედი სამხრ.-დას-იდან. წინა პლანზე: წმ. მიქაელის ეკლ.



ეკლესიის ფასადები სადაა, მოკლებულია დეკორატიულ სამკაულს. სამხრ. ფასადი სამი პილასტრითაა დანაწევრებული, რ-ებიც კედელს მთელ სიმაღლეზე აუყვება. მათ შორის ერთი, კედლის შუაშია, დანარჩენი ორი – კიდეებში. შუა პილასტრში სარკმლის ღიობი გამოდის.

დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდები და თაღი მთლიანად აგურითაა გამოყვანილი; თაღი ჩასმულია კედლის სიბრტყეში ოდნავ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-იც კუთხით შვერილი აგურების ორი რიგით გამოყვანილი ლავგარდნითაა დასრულებული. თითო მსგავსი, ოღონდ გაცილებით ვრცელი



245. ქველაწმინდის ეკლ. გუმბათი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

არე შესასვლელის გვერდებზეცაა. არეები სიმაღლით თითქმის ფრონტონის ძირამდე აღწევს. შესასვლელის თავზე, მცირე, სწორკუთხა ნიშაა, მის ზემოთ კი სარკმელი, რ-ის თაღი შირიმის, მთლიან ქვაშია გამოკვეთილი.

2006-07 წლებში საქართვ. ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები: მ. გელაშვილი, გ. გომურაშვილი): თავდაპირველ ეკლესიაზე, გარედან, მოიხსნა მკლავებს შორის არსებულ კუთხეებში და ასევე, ჩრდ. შესა-



245. ქველაწმინდის ეკლ. გუმბათი, დეტალი

სვლელის ღიობში მოგვიანებით ჩაშენებული ფენა; ეკლესიის კორპუსზე და გუმბათის ყელზე თითქმის მთლიანად განახლდა ლავგარდანი; გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეები და მკლავები გადაიხურა ღარისებრი კრამიტით, ხოლო გუმბათი – აგურის, პირამიდისებრი სახურავით; დარბაზულ ეკლესიაზე აღდგა კედლების ზედა ნაწილები, გაკეთდა კვადრ. აგურის, სამსაფეხურიანი ლავგარდანი და ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. გაიწმინდა და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტ.

თ. დვალი.


ბიბლ.: 317; 335.

246. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. განაპირას, სასაფლაოზე. შენობა ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ, სამშენ. ფენას შეიცავს, რ-ებიც განსხვავებული საშენი მასალითაა ნაგები. ეკლესიის თავდაპირველი ნაწილი, სავარაუდოდ, განვით. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს, მოგვიანებით აღდგენილი ნაწილი კი – XVIII ს-ით.


ეკლ. დარბაზული ტიპისაა, წაგრძელებული მოხაზულობის (გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 18 *მ*, სიგ. – 7,4 *მ*). აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული ფორმის, შვერილი აფსიდით, რ-იც ძირითადი კორპუსისგან განიერი მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი, ნახევარკონუსისებრი სახურავი ხურავს. დას-ით, დარბაზის გაგრძელებაზე, მოკლე, სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული კარიბჭეა, რ-იც გარედან ცალკე მოცულობად არ გამოიყოფა და, დარბაზთან ერთად, საერთო, ორკალთა სახურავის ქვეშაა მოქცეული.

ეკლესიის თავდაპირველი ფენა, ძირითადად, საკურთხევლის შვერილს და გრძივი კედლების აღმ. ბოლოებს შემორჩა. იგი მთლიანად შირიმის, სუფთად ნათალი ქვითაა ნაწყობი, განახლებული კედლები კი რიყის, წვრილი ქვისაა, რ-შიც ორრიგად დაწყობილი აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული. თუმცა, წყობაში რიგების ჰორიზონტალურობა ბევრ ადგილას დარღვეულია. გარეთა კუთხეებში გამოყენებულია მოზრდილი, მეტ-ნაკლებად წესიერი ფორმის, რიყის ქვა და ნათალი ქვა. კარ-სარკმლების ღიობები, საკურთხევლის სარკმლის გარდა, ძირითადად, აგურისაა. აგურისაა ლავგარდანიც (უმეტესი ნაწილი ჩამოშლილია), რ-იც ერთრიგად დაწყობილი აგურებით გამოყვანილი სამი საფეხურისგან შედგება.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-ით და სამხრ-ით. ორივე კარი გარედან ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, ხოლო შიგნიდან – სწორკუთხაა. სამხრ. შესასვლელი გარედან ოდნავ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც საფეხურე-



246. გეგმა



246. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ბად დამუშავებული, ვიწრო ზოლი აგვირგვინებს. დას. შესასვლელის მოპირდაპირედ, კარიბჭედან დარბაზში გამავალი კარია, რ-იც კარიბჭის მხრიდან თაღოვანია, დარბაზის მხრიდან კი – თარაზულადაა გადახურული.

შენობის ნაწილების ქრონოლოგიური სხვაობა ინტერიერშიც თვალსაჩინოა. აფსიდი საკმაოდ ღრმაა და დარბაზის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული. იგი სიმაღლეში ორ ნაწილადაა გაყოფილი: მისი ქვედა ნახევარი, ზედა ნახევართან შედარებით, ოდნავ უფრო ვიწროა. ამის გამო ეკლესიის ძვ. და გვიანდ. ნაწილების საზღვარზე ჰორიზ. საფეხური იქმნება, რ-იც აფსიდის ცენტრისაკენ თანდათან მცირდება და ბოლოს წყდება. აფსიდის ცენტრში დაბალი, შიგნიდან და გარედან ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. სამ-სამი შეისრული, გაცილებით უფრო მაღალი სარკმელი, ერთმანეთის მოპირდაპირედ, გრძივ კედლებშია. აფსიდის თავდაპირველ ფენაში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი კვადრ. აგურით ნაწყობი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ოდნავ შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც, რ-იც აფსიდის თაღის გარდა, კიდევ სამ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათ შორის ორი – გრძივ კედლებზე არსებულ პილასტრებზეა გადაყვანილი, მესამე კი, შესაბამისს პილასტრებთან ერთად, დას. კედელთანაა შერწყმული. ყველა თაღის ქუსლებთან დაბალი, თაროსებრი იმპოსტებია. კამარა, საბჯენი თაღები და პილასტრების დიდი ნაწილი აგურისაა.

კარიბჭე სიმაღლით დარბაზის ტოლია. გადახურულია კამარით, რ-ის ღერძი ეკლესიის გრძივი ღერძის პერპენდიკულარულია და სამი ნაწილისგან შედგება. მათ შორის შუა – ჯვაროვანია, გვერდითები კი – ცილინდრული. სამხრ. და ჩრდ. კედლებში, იატაკიდან 1,6 *მ* სიმაღლეზე, თითო, განიერი, მაღალი, თაღოვანი ნიშაა, დას. კედელში კი – მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. სარკმელი ვიწრო, ნახევარწრიული ფორმის რელიეფური

246. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



ზოლითაა მორთული. სარკმლის ზემოთ, მოგვიანებით განახლებულ ნაწილში, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც საფეხუროვან პოსტამენტზეა დაყრდნობილი. მსგავსი ჯვარია გამოსახული დას. ფასადის ზედა ნაწილშიც. სახურავის კეხის აღმ. ბოლოში, ცხვრის თავის ქანდაკებაა. დას. ბოლოში კი, დადგმულია აგურით ნაშენი, ვიწრო, საკმაოდ მაღალი, ოთხწახნაგა ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-საც აგურისავე, პირამიდისებრი სახურავი ხურავს.

თ. დვალი.


247. ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 7-8 კმ-ზე, მდინარეების კისისხევისა და მისი ერთ-ერთი შენაკადის – წვრილხევის წყალგამყოფ ქედზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით დასრულებულია შვერილი აფსიდით, რ-იც გარედან ხუთწახნაგოვანია და ძირითადი კორპუსისგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი (გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 14,7 *მ*, სიგ. – 6,9 *მ*). ეკლესიას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან თანადროული, მასთან წყობით დაკავშირებული მინაშენები ეკვრის. სამხრ. მინაშენი (გარეთა ზომები: სიგ. – 3,2 *მ*, სიგრ. – გასუფთავების გარეშე არ დგინდება), როგორც ჩანს, ეკლესიის შესაბამისს კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა. ჩრდ. მინაშენი ეკლესიაზე რამდენადმე მოკლეა (გარეთა ზომები: სიგრ. – 7,4 *მ*, სიგ. – 3,2 *მ*). იგი ფასადის შუა ნაწილზეა მიდგმული და ეკლესიის ძირითად სივრცეს ვიწრო, სწორკუთხა კარით უკავშირდება. თუ როგორ იყო დაკავშირებული ეკლ. სამხრ. მინაშენთან, გასუფთავების გარეშე, არ დგინდება.


შენობა ნაგებია საგულდაგულოდ შერჩეული, მოზრდილი ზომის, რიყის ქვით, რ-ებიც დაწყობილია თანაბარი სიმაღლის სწორხაზოვან რიგებად. გარეთა კუთხეები და საკურთხევლის შვერილის წიბოები სუფთად ნათალი, შირიმის ქვებითაა ნაწყობი. იგივე მასალით ყოფილა გამოყვანილი: აფსიდის კუთხეები, კონსტრ. ნაწილები, მორთულობის ელემენტები და ლავგარდანი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია ეკლესიის სამხრ. კედელი, ჩამოშლილია კონქი და კამარა; დანგრეულია სამხრ. მინაშენის უმეტესი ნაწილი, ჩამონ-

247. გეგმა



247. ძირითადი სივრცე. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ




გრეულია ჩრდ. მინაშენის კამარა; ეკლესიის ინტერიერი – დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე – ნანგრევებითა ამოვსებული.

ეკლესიის მთავარი შესასვლელი სამხრ. მინაშენის სამხრ. კედელში იყო მოწყობილი, სავარაუდოდ – ორმალიანი თაღის სახით. მისგან ამჟამად მხოლოდ ერთი წირთხლიღაა შემორჩენილი – შირიმის, მთლიანი ქვის იმპოსტთან ერთად, რ-ის ძირს, ფასადის და ღიობის მხრიდან, ნახევარწრიული ელემენტების მწკრივი გაუყვება. მეორე კარი, რ-იც ყველა ნიშნებით გვიანდელია, ეკლესიის დას. კედლის შუაშია. ამავე პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს კარის ზემოთ მდებარე, საკმაოდ დაუდევრად გამოყვანილი სარკმელიც.

საკურთხევლის აფსიდი ნალისებრი ფორმისაა. იგი დარბაზის გრძივი კედლებიდან ორსაფეხურიანი მხრებით იყო გამიჯნული. აფსიდს სამხრ. კუთხე მონგრეული აქვს. ჩრდ. კუთხის საფეხურებიდან კი, მხოლოდ გარეთა საფეხურის თავი იმპოსტითურთ და მასზე დაყრდნობილი თაღის ორი ქვა შემორჩა. იმპოსტი ჩვეულებრივი პროფილისაა (თარო და დახრილი სიბრტყე). ანალოგიური პროფილის იმპოსტებზეა დაყრდნობილი კამარის საბჯენი თაღებიც, რ-თაგანაც თითო-ოროლა ქვაღა შემორჩა. მათ შორის ერთი – აფსიდის თაღთანაა, მეორე – დას. კედელთან, მესამე კი – კამარის შუაში. შუა და აღმ. თაღებს შორის, მთელ სიგრძეზე, კამარის წყობის მცირე ნაწილია შემორჩენილი, რ-ის ქუსლი თანაბარი სიმაღლის შირიმის, ნათალი ქვითაა გამოყვანილი და კედლის სიბრტყის მიმართ რამდენადმე (დაახლ. 12-15 *სმ*-ით) გადმოშვერილია; კამარის დანარჩენი ნაწილი კი – თხელი, მოგრძო, რიყის ქვებითაა ნაწყობი.

აფსიდის ცენტრში გაჭრილია განიერი, მაღალი, პარალელურწირთხლებიანი სარკმელი, რ-იც შიგნიდან და გარედან ნალისებრი თაღითაა დასრულებული. დარბაზის გრძივი კედლები გლუვია, უპილასტრო. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, იატაკიდან 1,3 *მ* სიმაღლეზე, შირიმის, პატარა, ერთ ქვაში გამოკვეთილი, ოთხკუთხა ღიობია, რ-იც ჩრდ. მინაშენში გადის. ამავე კედლის



247. აღმ. ფასადი



247. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

დას. ნაწილში, მინაშენში შესასვლელი კარის მარცხნივ, წყობაში, ჩასმულია (მოგვიანებით) ორმოდაბალი რელიეფით გამოყვანილი, ვიწრო, სადა, ჩარჩო ევლება.

ეკლესიის სამხრ. მინაშენიდან მხოლოდ დას. კედელი და სამხრ. კედლის დას. ნაწილია შემორჩენილი. ინტერიერი მიწიდაა. საკურთხევლის სარკმელი მორთულია რელიეფური, ორსაფეხურიანი თავსართით, რ-საც ბოლოებში მოკლე, ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. მოგვიანებით, სარკმლის ღიობი ამოუშენებიათ და მასში უფრო ვიწრო, ისრულთაღოვანი სარკმელი მოუწყვიათ.



247. ინტერიერი, ძირითადი სივრცე, ხედი დას-კენ



247. ინტერიერი, ძირითადი სივრცე, ჩრდ. კედელი, ქვა ჯვრის გამოსახულებით

დას. ფასადზე, ფრონტონის ჩრდ. გვერდს გვიანდ. ხანის ლავგარდნის ოთხიოდე ქვა შემორჩა, რ-თა პროფილს თარო და ლილვი შეადგენს.

ეკლესიას გარშემოუყვებოდა რიყის ქვის გ ა ლ ა ვ ა ნ ი (შემორჩენილია ფრაგმენტები).

თ. დვალი.

ბიბლ.: 110; 335.


248. ჯირკიანის საყდარი, ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან ათიოდე *კმ*-ზე, მდ. კისისხევის ხეობაში, ტყეში. ძ. არქიტ. კომპოზიციით სამეკლესიან ბაზილიკის ტიპს მიეკუთვნება, გარშემოსავლელით სამხრ-იდან და დას-იდან. თარიღდება VI-VII სს-ის მიჯნით. ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია კარგად გათლილი, შირიმის კვადრები. ძლიერ დაზიანებულია: მთავარი ეკლესიის კედლები კამარის ქუსლის დონემდეა შემორჩენილი, ხოლო ინტერიერი, დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე, ჩახერგილია. მთლიანად დანგრეულია გარშემოსავლელის სამხრ. ფრთა, ჩაციოდე *ხმ* სიმაღლის, ქვიშაქვის, ოთხკუთხა ქვა, რ-ზეც ე. წ. განდლებული ჯვარია გამოსახული – ვიწრო, ბოლოებთან ოდნავ გაგანიერებული მკლავებით, რ-ებსაც ორ-ორი, მცირე რგოლი აქვს წაბმული. მკლავების კიდეებს ვიწრო ღარი გასდევს, მათ შორის დარჩენილი არე კი – ცენტრისკენ ირიბი ჩაკვეთით – ჩაღრმავებულია. მკლავებს შორის, მცენარეული და გეომეტრიული სახეებით დამუშავებული, თითო მედალიონია გამოსახული. ერთი მედალიონის ნაშთი ქვის ზედა, მარჯვ. კუთხეშია. როგორც ჩანს, ასეთივე მედალიონი იყო გამოსახული ქვის მეორე, ზედა, მარცხ. კუთხეშიც, რ-იც ამჟამად მომტვრეულია. ქვას ირგვლივ თა და ქვებით ისეა ამოვსებული, რომ გასუფთავების გარეშე მისი გეგმის სტრუქტურის დადგენა არ ხერხდება.

ჩრდ. მინაშენი გეგმით სწორკუთხაა. აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში დაბალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია. სარკმლის გარეთა თაღი შირიმის, ერთ ქვაშია გამოკვეთილი. მსგავსი სარკმელია ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიც – ეკლესიიდან მინაშენში შემოსასვლელი კარის მოპირდაპირედ. ამავე კედლის აღმ. ნაწილში მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. შიგნით მინაშენი გადახურული იყო ცილინდრული კამარით, რ-ის ნაწილი ჩამოშლილია, ნაწილი კი შემორჩენილია.

შენობის ფასადები სადაა. საკურთხევლის სარკმელი მორთულია რელიეფური, ორსაფეხურიანი თავსართით, რ-საც ბოლოებში მოკლე, ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. მოგვიანებით,

ქცეულია გარშემოსავლელის დას. ფრთის კამარა. კედლებს, როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც, საპირე ქვები, ალაგ-ალაგ, ჩამოცვენილი აქვს. გარედან მნიშვნელოვნადაა აწეული მიწის დონე.

მთავარ ეკლესიას (შიგნითა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ. – 9,8 *მ*, სიგ. – 3,8 *მ*) ორი შესასვლელი აქვს. მათ შორის ერთი სამხრ. კედლის




248. გეგმა

დას. მონაკვეთშია გაჭრილი; მეორე – დას. კედლის შუაში. ორივე შესასვლელი დასრულებულია ტიმპანით, რ-იც შიგნიდან და გარედან, ნალისებრთაღოვან არეშია ჩასმული. გარეთა არე ნალესობითაა გამოყვანილი და უჩვეულოდ მცირე სიღმისაა.

აღმ-ით ნალისებრი აფსიდია. აფსიდის კუთხეები შირიმის, სუფთად ნათალი ქვებითაა ნაწყობი და დასრულებულია ჩვეულებრივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) შირიმისავე იმპოსტებით. იმპოსტებზე დაყრდნობილი იყო სატრიუმფო თაღი, რ-ისგანაც მხოლოდ ქუსლების წყობის თითო-ოროლა ქვაღაა დარჩენილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია შიგნიდან თარაზულად, ხოლო გარედან ნახევარწრიული თაღით გადახურული, მაღალი სარკმელი. იგი შიგნიდან რიყის ქვითაა გამოყვანილი, გარედან კი – შირიმით. აფსიდის ჩრდ. გვერდში მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი სარკმელი სამხრ. კედლის შუა ნაწილშიცაა. იგი, ქვედა ნიშნების საფუძველზე, შიგნიდან თარაზულად იყო გადახურული.



248. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

საკურთხევლის ჩრდ-ით მცირე ზომის, უაფსიდო სათავსია, რ-საც მთავარი ეკლ. ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში მოწყობილი, ბრტყლად გადახურული კარით უკავშირდება. სათავსის აღმ. კედელში დაბალი, შიგნიდან სწორკუთხა, ხოლო გარედან თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მეორე სარკმელი ჩრდ. კედლის დას. ნაწილშია. ეს უკანასკნელი პარალელურწირთხლებიანია, შიგნიდან და გარედან – სწორკუთხა. სათავსი გადახურულია ნახევარცილინდრული ფორმის, სხმული კამარით.

გარშემოსავლელის სამხრ. ფრთიდან მხოლოდ აღმ. კედლის მცირე ნაწილიღაა დარჩენილი – დაბალი, სწორკუთხა სარკმლის ნაშთებით. გარშემოსავლელის დას. ფრთა სიგანით სამხრ. ფრთის ტოლია. შესასვლელი დას-იდან აქვს – მთავარი ეკლესიის შესასვლელის მოპირდაპირედ. ჩრდ-იდან იგი კედლითაა შემოზღუდული, რ-იც მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის ხაზზეა. ორივე ფრთა გადახურული იყო კამარით. კამარის დასაყრდნობად მთავარი ეკლესიის შესაბამისს კედლებზე მოწყობილია მცირე საფეხური, რ-იც კედლების ზედა ნაწილის შეთხელებითაა გამოჟვანილი.

გარედან აღმ. ფასადს სამნავიანი ბაზილიკის აბრისი აქვს. შუა ნავი ორქანობიანი სახურავით იყო გადახურული. გვერდითები კი – ცალქანობიანით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

კონდოლი
(თემის საკრებულოს ცენტრი)

249. კონდოლი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. კისისხევის მარცხ. ნაპირას, თელავიდან 6 კმ-ზე, ზ. დ. 460 მ-ზე. კონდოლი საქართვ. ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა, რ-იც აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის კულტ.-სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მდ. კისისხევის ხეობაში კონდოლი, სოფ. კისისხევთან ერთად, მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, როგორც სამეურნეო, ისე სამხ.-სტრატეგიული თვალსაზრისით. სამეფო აღწერითა და გარკვეული გადაჯგუფებით კონდოლი შუამთის მხარის სოფლადაც განიხილებოდა. იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა შუამთაზე „მიწერილ“ სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლებსა და ადგილებს, რ-თა შორის კონდოლსაც მოიხსენიებდა.

ისტ. წყაროებში ცნობილია კისისხევ-კონდოლის მოურავის თანამდებობა. გვიანდ. შუა საუკუნეებში კონდოლის ყმა-მამულის დიდი ნაწილი ალავერდელი ეპისკოპოსის გავლენის ქვეშ იყო, რ-საც სოფლის სამართავად თავისი მოურავი, ნაცვალი და მოურავის მდივანიც ჰყავდა დანიშნული. თავის მხრივ, ეს მოხელეები აქ საკუთარ ყმა-გლეხებსაც ფლობდნენ. XVIII ს-ის მეორე ნახევარში კონდოლის მოურავსა და მის ნაცვალს გარკვეული სამართლებრივი დავაც ჰქონიათ. ნიკოლოზ ალავერდელი (ანდრონიკაშვილი), მოურავის ფუნქციებში და სარგოში ნაცვლის ჩაზიარების საპასუხოდ, კვლავ უახლებს მისი საყდრის პირველ აზნაურიშვილს დავით გელოვანიძეს კონდოლის მოურავობას, რ-იც მათ მამით და პაპით სამკვიდროდ ჰქონიათ ბოძებული. ამასთან, იგი საგანგებოდ მიუთითებს ნაცვალს, რომ „საყდრიონის სხვა ნაცვალთა მსგავსად თავის განწესებით იმოქმედოს“.

ეპარქიულად კონდოლი ჭერემის საეპისკოპოსოში შედიოდა, მაგრამ მტერთა შემოსევებისგან მოშლილი საეპისკოპოსო ვერარ ფუნქციონირებდა და 1757 წ. თეიმურაზ II-ემ იგი, კისისხევთან ერთად, ეპარქიულადაც ამბა ალავერდელს დაუქვემდებარა. შემდგომში კონდოლში, ალავერდის მონასტერთან ერთად, ყმა-მამულს დაეუფლნენ ჩოლოყაშვილები, თუმანიშვილები, ესიტაშვილები, ჯორჯაძეები და სხვ.

სამეურნეო თვალსაზრისით, კონდოლი საკმაოდ ძლიერი დასახლება იყო. სოფლის მიწები კარგად ირწყვებოდა მდ. კისისხევით. დოკუმენტური მასალების მიხედვით აქტიურად მისდევდნენ მემინდვრეობას, მებაღეობას და მევენახეობა-მეღვინეობას. შეძლებულ ფეოდალებსა და მოვაჭრეებს ხორბლის დიდი საწყობებიც ჰქონიათ. კონდოლში დაყენებული ღვინო განსაკუთრებული თვისებებითა და ხარისხით გამოირჩეოდა. ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს: „იქაც ღვინო კონდოლისა წარჩინებულიო“.

კონდოლელები მოგვიანებითაც აქტიურად ეხმაურებოდნენ ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს. 1905 წ. 27 მარტს კონდოლელმა გლეხებმა, კისისხეველებთან ერთად, გაილაშქრეს მემამულე ქობულაშვილის წინააღმდეგ და მისგან მოითხოვეს გლეხებისა და ხიზნების ვალდებულებების გაუქმება, ტყეებისა და საძოვრების გაერთიანება. იმავე დღეს ისინი შეიკრიბნენ სოფლის კანცელარიასთან და დამატებით მოითხოვეს რეფორმებით ჩამორთმეული მიწების დაბრუნება, სოფლის საჭიროებისათვის „სამაღაზიო“ ფულის გაცემა. მთავრობამ ვერ შეძლო მათ წინააღმდეგ დამსჯელი ღონისძიებების გატარება.

ქ. კახაძე, თ. ჭყონია.

ბიბლ.: 25; 198ბ,გ; 204ა,ბ,გ,დ,ზ,თ.

250. ალაზნის არხი, თამარის არხი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. აგებულია თამარ მეფის ეპოქაში. სახელწოდებაც აქედან მოდის. სათავე ჰქონდა ალავერდის ტაძრის მახლობლად და მთავრდებოდა სოფ. ქვ. ქედთან (დედოფლისწყაროს მუნიციპ-ი). არხის სიგრ. 119 კმ-ს აღემატებოდა. რწყავდა 53000 ჰა-ს. საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ განადგურებულა და ისევ აღდგენილა.

დღევანდელი ალაზნის არხი (სიგრ. – 91 კმ, წყალგამტარობა 18 კუბ მ/წმ) თანამედროვე საინჟინრო ნაგებობაა. მისი მშენებლობა დამთავრდა 1933 წ. არხი იწყება სოფ. კონდოლის მახლობლად, მთავრდება სოფ. საბათლოსთან (დედოფლისწყაროს მუნიციპ-ი). რწყავს თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპ-ის მიწებს.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 174; 175.

251. ბავშვის მკლავის ნიში, საკულტო ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. განაპირას. თარიღდება XIX ს-ით.




251. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ძ. წარმოადგენს კვადრ. გეგმის (0,7x0,7 მ) კოშკურა ნაგებობას (სიმ. 1,6 მ). ნაშენია რიყის ქვით. შელესილი და შეთეთრებულია. დას. წახნაგის ზედა ნაწილში მცირე ზომის ნიშაა, რ-იც გადახურულია ერთმანეთზე კუთხით მიყრდნობილი ორი აგურით. ნაგებობა გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.


თ. დვალი.

252. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. წარწერის თანახმად, აშენებულია 1817 წელს.



252. გეგმა

ძ. წარმოადგენს მოზრდილი ზომის, დარბაზული ტიპის ეკლესიას (18x9,6 *მ*), რ-საც დას-იდან ეკვრის ბევრად უფრო მაღალი სამრეკლო. ეკლ. ნაგებია რიყის ქვით და აგურით. აქვს ორი შესასვლელი – დას-ით და სამხრ-ით. ორივე შესასვლელი სწორკუთხაა და გარედან თაღოვან შეღრმავებაშია ჩასმული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ერთი, ნახევარწრიულთაღოვანი თო თაღოვანი ნიშა გრძივი კედლების აღმ. ნაწილშია – აფსიდის მხრებთან ახლოს. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის




252. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

სარკმელი და სამი, მცირე ზომის ნიშაა. მსგავსი სარკმელი ეკლესიაში კიდევ შვიდია: სამი – ჩრდ. კედელშია, სამი – სამხრ-ისაში, ერთი – დას. კედელში, რ-იც შესასვლელის ზემოთაა გაჭრილი და სამრეკლოს მეორე სართულში გადის. ნიშებიდან ერთი, თაღოვანი, სარკმლის სამხრ-ითაა, ორი – ერთი, თაღოვანი და მეორე სწორკუთხა – ჩრდ-ით. თი-კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

ეკლესიის დარბაზის გრძივი კედლები და კამარა, სამი წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღებით, ოთხ, თანაბარ ნაწილად იყოფა. დას. კუთხეებშიც თითო პილასტრია, რ-ებზეც დას. კედლის მიმდებარე თაღია დაყრდნობილი. პილასტრები დასრულებულია დაბალი, მარტივი პროფილის კაპიტელებით. პილასტრებს შორის თითო, ყრუ თაღია. შიგნით ეკლ. შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. ფასადია მორთული – აგურის წყობით გამოყვანილი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებით, რ-იც წითლადაა შეღებილი. ორივე შესასვლელის არქიტრავის ქვაზე, მხედრულით შესრულებული თითო წარწერაა. დას. არქიტრავის წარწერა



252. ჩრდ. ფასადი

ცუდადაა დაცული და სრულად არ იკითხება. სამხრ. არქიტრავის წარწერაც დაზიანებულია. იგი ეკლესიის აგების თარიღს და ამშენებლის სახელს გვამცნობს.

სამრეკლო გეგმით სწორკუთხაა (3,2x2,8 *მ*), სამსართულიანი. ნაგებია მთლიანად აგურით. I და II სართული სამ მხარეს, თაღოვანი მალებითაა გახსნილი. თაღები ნახევარწრიული ფორმისაა. ისინი დაყრდნობილია დას. კუთხეებში მდგარ, კვადრ. კვეთის ორ ბოძზე და ეკლესიის დას. კედელზე გამოყვანილ, ერთსაფეხურიან პილასტრებზე. ბოძები და პილასტრები, ორივე სართულზე, სამსაფეხურიანი კაპიტელებითაა დაგვირგვინებული. I სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით. II და III სართულები კი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. III სართული ექვსწახნაგა, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი ფანჩატურია. იგი შიგ-

ნიდან გუმბათოვანი კამარით, ხოლო გარედან აგურისავე, პირამიდისებრი სახურავითაა გადახურული.

ეკლ. დარბაზულია (4,4x3,2 მ). ნაგები იყო სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით კირის ხსნარზე. ძლიერ დაზიანებულია: სამხრ. და დას. კედლები მიწის პირამდეა დანგრეული, დანარჩენი ორი კი 1,5 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. შესასვლელი დას-იდანაა. იგი აგურითაა გამოყვანილი. შემორჩენილია ორივე წირთხლი და თაღის ჩრდ. ქუსლი.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში შეისრული სარკმელია გაჭრილი. ერთი, სწორკუთხა სარკმელი დას. კედელშია, შესასვლელის ზემოთ. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით, თითო, სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, აგურით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზია მიყრდნობილი. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რ-იც, ალაგ-ალაგ, ჩამონგრეულია. იატაკზე კვადრ. აგურია დაგებული.



252. ხედი ჩრდ.-დას-იდან



255. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლესიას გარს ევლება რიყის ქვით ნაშენი, არაწესიერი მოხაზულობის გალავანი (სიმ. დაახლ. 2,5 მ-ია).

XX ს-ის ბოლოს ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: ეკლ. გადაიხურა დარისებრი კრამიტით, სამრეკლო – თუნუქით. აღდგა გალავნის დანგრეული ნაწილები და მის დას. კედელში მოეწყო ჭიშკარი.

თ. დვალი.

253. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, წიქარიძის ეზოში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგები იყო რიყის ქვით კირის ხსნარზე. დანგრეულია. დაახლ. 4 მ სიმაღლეზე შემორჩენილია მხოლოდ ერთი კედელი, რ-საც თაღოვანი ნიშებისა და ხის კოჭების ბუდეების კვალი ემჩნევა. კოშკი შიგნიდან შელესილი იყო.

ბ. კიკაჩეიშვილი.

254. მაცხოვრის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.



255. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ეკლ. დარბაზულია (6,2x4,7 მ). ნაგებია რიყის ქვით და კვადრ. აგურით. დაზიანებულია: მორღვეულია ოთხივე კუთხის ზედა ნაწილი, ჩამოშლილია სახურავის საფარი და ლავგარდანი. შენობა დაახლ. 0,7 მ სიმაღლეზე მიწაშია ჩამჯდარი.

შესასვლელი დას-იდანაა. იგი აგურითაა გამოყვანილი. შემორჩენილია ორივე წირთხლი და თაღის ჩრდ. ქუსლი.


აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში შეისრული სარკმელია გაჭრილი. ერთი, სწორკუთხა სარკმელი დას. კედელშია, შესასვლელის ზემოთ. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით, თითო, სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, აგურით ნაშენი ოთხწახნაგა ტრაპეზია მიყრდნობილი. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რ-იც, ალაგ-ალაგ, ჩამონგრეულია. იატაკზე კვადრ. აგურია დაგებული.

ეკლესიის ფასადებიდან, მთელ სიმაღლეზე, მხოლოდ დას. ფასადიღაა შემორჩენილი. ფასადის ქვედა ნახევარი რიყის ქვისაა და შებათქაშებულია მოყვითალო ფერის კირის წმინდა ხსნარით, რ-ითაც ქვებს შორის დარჩენილი არეებია ამოვსებული. ფასადის ზედა ნახევარი კი – ფრონტონიანად – მთლიანად აგურისაა, რ-შიც ვერტიკალურად დაყენებული ორ-ორი აგურის თანაბარ-ზომიერი განლაგებით, კვადრული წყობის იმიტაციაა შექმნილი. ამ არეშია მოქცეული სარკმელი. სარკმლის თავზე ჩასმულია ფირუზისფრად მოჭიქული შორენკეცი, რ-ის ზემოთ, აგურის წყობის შერმავებით, გამოყვანილია მცირე, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულება. ფასადი დასრულებული იყო აგურის, ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის მცირე ნაწილი ფრონტონის წვერს შემორჩა. შემორჩენილია ასევე, სახურავის კეხის დას. კიდეში დადგმული სამ-


რეკლოს აგურით ნაწყობი, მრგვალი საფუძველი.

გ. ლადიაშვილი.

256. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, ძვ. სასაფლაოზე. თარიღდება VI ს-ის დასაწყისით.



256. გეგმა



256. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ეკლ. ვიწრო, საგრძნობლად წაგრძელებული ნაგებობაა (19,2x 9,5 მ), რ-იც სწორკუთხა ბოძტრ. ნავის სამხრ. თაღედი რიყის ქვით ამოუშენებიათ, ხოლო კედლები, შიგნიდან და გარედან, საკმაოდ დაუდევრად შეულესავთ და შეუთეთრებიათ. 2005-2006 წლებში ძეგლს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა შპს „ძველმა გალავანმა“ (პროექტის ავტ. მ. გელაშვილი): ეკლესიის მიმდებარე ტერიტ. გაიწმინდა მიწისგან, აღდგა სამხრ. ნავის კამარის ჩამონგრეული ნაწილი, ხოლო ფასადებზე – ჩამოშლილი საპირე წყობა; მოიხსნა გვი-



256. ინტერიერი, მთავარი ნავი, ხედი აღმ-კენ

ანდ. აგურის ლავგარდნის შემორჩენილი ნაწილები და მოყოყო ახ., თაროსებრი ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და კირის სქელი დუღაბით. ქვა ზომისა და ფორმის მიხედვით არ შეურჩევიათ, რის გამოც წყობაში რიგების სწორხაზოვნება მკაფიოდ არ არის გამოვლენილი.

შესასვლელი დას-ით და სამხრ-ითაა. ეს უკანასკნელი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. დას-ისა კი აგურითაა შეკეთებული და შელესილია. ორივე კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი, საფეხურით შერმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული.

ბაზილიკის მთავარი ნავი ვიწროა და შედარებით მაღალი. განსაკუთრებით ვიწროა გვერდითი ნავები (სიგ. – 1,4 *მ*), რაც



256. ხედი სამხრ.-დას-იდან

უფრო თვალსაჩინოა მათი დიდი სიგრძის გამო. მთავარი ნავი გვერდით ნავებთან დაკავშირებულია სამ-სამი, თაღოვანი მალით. თვით თაღები, შესაბამისს მალებთან შედარებით, ოდნავ უფრო განიერია. თაღების ქუსლები, ბოძების შესაბამისს წახნაგებს ჩვეულებისამებრ არ ერწყმის. ისინი ათიოდე *სმ*-ით კედლის სიღრმეში არის შეწეული, რის გამოც მათ ზედაპირზე მცირე საფეხურია შექმნილი.

აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდია. აფსიდის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმელი არაწესიერი ფორმისაა – აქვს საკმაოდ უსწორმასწორო გვერდები. როგორც ჩანს, თავდაპირველად იგი ნალისებრი თაღით იყო გადახურული. ამ სარკმლის გარდა, შუა ნავს კიდევ სამი, მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელი აშუქებს – ორი სამხრ-იდან და ერთი დას-იდან. ეს უკანასკნელი იმდენად მაღლაა გაჭრილი, რომ თავით საბჯენ თაღს ეხება. მოგვიანებით საკურთხეველი ნავის იატაკის მიმართ ორი საფეხურით აუმაღლებიათ. საკურთხეველის იატაკი აფსიდის მხრების ხაზიდან, დაახლ. 2 *მ*-ით, წამოწეულია და ორსაფეხუროვანივე, ნახევარწრიული ამბიონი ეკვრის. საკურთხეველში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. შუა ნავის კამარა ეყრდნობა სამ, საბჯენ თაღს (ერთი დას. კედელთანაა); თვით თაღები – ოდნავ შვერილ კონსოლებს.

გვერდითი ნავები აღმ-ით სწორი, საკმაოდ სქელი კედლითაა (სისქე – 2,3 *მ*) დასრულებული, რ-შიც, განაპირა კუთხეებთან, თითო, თავისებური, სრულიად შეუსაბამო სარკმელია გაჭრილი. სავარაუდოა, რომ შენობის ამ ნაწილებმა ძირფესვიანი გადაკეთება განიცადა, რ-ის დროსაც თავდაპირველად არსებული, აფსიდალური მომრგვალებები სწორი კედლებით შეცვალეს. ორივე ნავის აღმ. ბოლოში, საკურთხევლის მხარეს, მოწყობილია განიერი, ღრმა, უსწორმასწორო თაღით გადახურული ნიშა. მათ შორის ჩრდ. ნიშაში საკურთხეველში გამავალი, ნახევარწრიულთაღიანი კარია. სამხრ. ნავის სამხრ. კედელში, შესასვლელის აქეთ-იქით, თითო, მცირე, სწორკუთხა სარკმელია. ორივე ნავი დადაბლებული, კოლოფა კამარითაა გადახურული. ჩრდ. ნავის კამარა ორ, შეკიდულ, საბჯენ თაღს ეყრდნობა, სამხრ-ისა კი, სამს, რ-თა შორის ერთი – აღმ. კედელთანაა. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია მარტივპროფილიანი (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტები.

შენობის გარე ფორმები არსებითი ცვლილებების გარეშეა შემორჩენილი. კედლები დასრულებული იყო გვიანდ. (შესაძლოა, XVII ს-ის) აგურის, ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგებოდა სწორად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურების თითო რიგისგან.


თ. დვალი.

ბიბლ.: 18; 317; 335.

257. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, სწორ ადგილზე, პატარა კოროშე.

ეკლ. დარბაზულია, საშ. ზომის. სამხრ-დან, ფასადის აღმ. ნაწილზე, მიდგმული აქვს, ძირითად კორპუსთან შერწყმული, გეგმით სწორკუთხა, ეკლესიაზე ორჯერ უფრო მოკლე და რამდენადმე დაბალი სადგომი, რ-იც ეკლესიას ვიწრო კარით უკავშირდება.

ეკლ. ძლიერ დაზიანებულია. ამჟამად მისგან შემორჩენილია: აფსიდის სამხრ. ნახევარი, სამხრ. კედელი (სიმ. დაახლ. 3 *მ*), დას. კედელი (თითქმის მთელ სი-



257. გეგმა (სქემა)

მაღლეზე) და მინაშენი. დანარჩენი კედლები დანგრეულია იმდენად, რომ ეკლესიის გეგმის დადგენა, გათხრა-გასუფთავების გარეშე, არ ხერხდება.

შენობის შემორჩენილ კედლებში შესამჩნევად გამოიყო-



257. ინტერიერი, ხედი დას-კენ

ფა სხვადასხვა პერიოდის, ორი, სამშენ. ფენა. ორივე რიყის ქვითაა ნაშენი. თუმცა, ისინი ერთმანეთისგან, საშენი მასალის გარდა, წყობის ხასიათითაც და დუღაბის ფერითაც განსხვავდება. ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ადრე აქ მდგარი ეკლესიის შემორჩენილი ნაშთები, მოგვიანებით განახლებული ეკლესიის კორპუსში ჩაურთავთ.

თავდაპირველი ნაგებობის კედლები რიყის, მოზრდილი ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები. განახლებული ნაწილები შედარებით უფრო წვრილი, რიყის ქვისაა, რ-შიც, ალაგ-ალაგ, ნატეხი ქვა და აგურის ნამტვრევებიცაა ჩართული. გარდა ამისა, გამოყენებულია აგურიც, რ-ითაც შესასვლელი და ერთ-ერთი შემორჩენილი სარკმელია გამოყვანილი.

ეკლესიის ძვ. ნაწილი, შესაძლებელია IX-X სს-ით დათარიღდეს, აღდგენილი ნაწილი კი – გვიანდ. შუა საუკუნეებით.

შესასვლელი დას-იდანაა. იგი შეისრულთაღოვანია და შიგნიდან მაღალ, შეისრული თაღითვე დასრულებულ შეღრმავებაშია ჩასმული. გარედან კარის თაღი, კედლის სიბრტყის მიმართ, საფეხურითაა შეღრმავებული. აფსიდი ღრმაა, ოდნავ ნალისებრი ფორმის. აფსიდის ცენტრში მაღალი, გარეთკენ მკვეთრად შეკვეთრებული სარკმელია გაჭრილი – თარაზული გადახურვით და დაქანებული რაფით. ერთი, ოღონდ ოდნავ უფრო დაბალი სარკმელი, დას. კედელშიცაა. იგი ორივე მხრიდან შეისრულთაღოვანია.

ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, აფსიდის მხართან ახლოს, ვიწრო, შეისრულთაღოვანი კარია, რ-იც სამხრიდან მიდგმულ სადგომში გადის. კარის წირთხლები რიყის ქვისაა, თაღი კი – აგურის. თაღის ირგვლივ, ძვ., ნალისებრი თაღის კვალი შეიმჩნევა, რ-ის მიხედვითაც პირვანდელი შესასვლელი ამჟამინდელ შესასვლელზე გაცილებით უფრო განიერი ყოფილა. თაღის წყობის ნაწილი სამხრ. კედლის დას. ნახევარშიც შეიმჩნევა. სავარაუდოდ, იგი ადრე ამ ადგილას მოწყობილ კარს ეკუთვნოდა. სამხრ. კედლის შუა ნაწილში, მიწიდან ორიოდე მ-ის სიმაღლეზე, შეკიდული პილასტრის(?) ნაშთია შემორჩენილი.

ეკლესიის სამხრ. მინაშენი უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც მცირე ზომის, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. კიდევ ერთი, ოღონდ ოთხკუთხა, სარკმელი დას. კედელშიცაა. თავდაპირველ და მოგვიანებით გამოყვანილ შესასვლელებს შორის საზღვარი სადგომის შიგნიდანაცაა შესამჩნევი. სადგომი გადახურულია ქარგილზე სხმული, დამრეცი კამარით.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა, მოკლებულია ყოველგვარ სამკაულს.

თ. დვალი.

258. საბერეების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 3 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა, მიწის პირამდეა დანგრეული სამხრ. კედელი და აღმ. კედლის სამხრ. მონაკვეთი. ეკლ. ჩამონაშალი ქვებითა და მცენარეულობით ისეა დაფარული, რომ მისი ხუროთმოძღვრული სტრუქტურის ცალკეული დეტალების გარჩევა არ ხერხდება. შედარებით უკეთესად არის შემონახული დას. კედელი, რ-შიც ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

გ. ლაღიაშვილი.

259. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. შეკეთებულია XX ს-ის ბოლოს, ადგილ. მოსახლეობის მიერ.

ეკლ. დარბაზულია (4,2x3,1 მ). დას-იდან ეკვრის გეგმით სწორ-



259. ხედი აღმ-იდან


კუთხა, ეკლესიაზე ოდნავ უფრო განიერი, გვიანდ. მინაშენი (4,5x4,1 *მ*). ორივე ნაგებობა რიყის ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები.

ეკლ. აფსიდიანია. ერთადერთი, თაღოვანი შესასვლელი მას დას-იდან აქვს. კარი კედლის ცენტრიდან ოდნავ სამხრ-ითაა გადაადგილებული. აფსიდია გეგმით არაწესიერი მოხაზულობისაა. მის ცენტრში გაჭრილია მცირე, სწორკუთხა სარკმელი, რ-ის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო, ოთხკუთხა ნიშაა. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული, შეისრული კამარით.

მინაშენის კედლები 1 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი.

გ. ლალიაშვილი.

260. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, გურჯაან-თელავის საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, დაახლ. 0,5 *კმ*-ზე, „ხატის მუხებად“ წოდებულ ადგილში. ადგილ. მოსახლეობიდან ზოგიერთი, ამ ადგილს „ჩობახურებად“ მოიხსენიებს.




260. გეგმა

ეკლ., სამშენ. წარწერის თანახმად, 1860 წელს აუგიათ: ივანე ქევხიშვილს, მიხა მიქელაძეს, იობა და პავლე იობაშვილებს.


ეკლ. დარბაზულია, ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გეგმის სწორკუთხედის (9,1x6,7 *მ*) ფარგლებშია მოქცეული. საშენი მასალა ორგვარია: რიყის წვრილი ქვა და ქართ., კვადრ. აგური. კედლები ძირითადად, რიყის ქვისაა. კამარა, კონქი, საბჯენი თაღები, კარ-სარკმელთა თაღები, გარეთა კუთხეები და ფასადთა დეკორატ. ელემენტები – კვადრ. აგურითაა გამოყვანილი.

შესასვლელი დას-ითაა. კარი შეისრულთაღიანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც



260. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

დადაბლებული ფორმის კონქითაა გადახურული. კონქის თაღი აფსიდის მხრებს ჩვეულებისამებრ კი არ ერწყმის, არამედ მცირე კუთხით, რის გამოც მათ საზღვარზე ჰორიზ. ხაზია შექმნილი. აფსიდის ცენტრში მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი, ძლიერ დახრილი ძირის მქონე სარკმელია გაჭრილი. მსგავსი ორი სარკმელი ჩრდ-ითაა, ხოლო ერთი – სამხრ. კედლის დას. ნაწილში. აფსიდში, სარკ-



260. დას. ფასადი

მლის აქეთ-იქით, თითო შეისრულთაღოვანი ნიშაა მოწყობილი. ერთი ნიშა სამხრ. კედლის აღმ. ნაწილშია. აფსიდის შუაში შემორჩენილია ოთხწახნაგა ტრაპეზის მცირე ნაწილი.

ეკლესიის გრძივი კედლების შუაში და დას. კუთხეებთან გამოყოფილია თითო, მარტივი პილასტრი, რ-ებსაც ნახევარწრიული, საბჯენი თაღები ეყრდნობა. ნახევარწრიულია კამარაც. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებული ყოფილა. ამჟამად ნაწილობრივ მხოლოდ კედლებს შემორჩათ.

შენობის ფასადები ერთგვაროვანი წყობის სურათს ქმ-



260. ხედი დას-იდან

ნის. კედლების ქვემოთა ნაწილები, უმეტესად, რიყის ქვის ე.წ. „თევზიფხური“ წყობითაა გამოყვანილი. კედლების ზედა ნაწილებში კი, რიყის ქვა ერთიანად დაწყობილი აგურის ჰორიზ. შრეებს შორის არის მოქცეული. ქვებს შორის არეები ამოვსებულია დუღაბით. აღმ. და დას. ფასადებზე, აგურის წყობის შეღრმავებით, თითო, მოზრდილი ჯვარია გამოსახული. დას. ფასადზე შესასვლელის თაღოვანი ნაწილი მოქცეულია მცირედ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-ის ზედა ნაწილში ჩასმულ, არაწესიერი ფორმის, მომწვანო-მონაცრისფრო ქვაზე ამოკაწრულია ეკლესიის სამშენ. წარწერა. შენობის კედლები დასრულებული იყო აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით. 1980-იან წლებში ლავგარდანი ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, ამჟამად კი მთლიანად ჩამოშლილია.

თ. დვალი.

261. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 300 მ-ის მანძილზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. შე-

კეთებულია XXI საუკუნის დასაწყისში, სოფლის მაცხოვრებლის მიერ – საკმაოდ დაუდევრად. რის გამოც მას მხატვრულ-არქიტ. ღირებულება მთლიანად დაკარგული აქვს. შიგნიდან შენობა ახ. კამარითაა გადახურული, ხოლო გარედან ცემენტის ხსნარითაა შელესილი.

ეკლ. დარბაზულია (4,9x3,8 მ), უაფსიდო. ნაგებია რიყის ქვით



261. ხედი სამხრ-იდან

და კირის დუღაბით. ერთადერთი შესასვლელი მოწყობილია დას. კედლის სამხრ. ნაწილში. კარი გადახურულია არაწესიერი ფორმის, ისრული თაღით, რ-იც გარედან ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში. აღმ. და დას. კედლებში თითო მცირე, სწორკუთხა სარკმელია (დას. სარკმელი შეკეთების დროინდელია). აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, სწორკუთხა ტრაპეზია მიდგმული.

ნაგებობა გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

გ. ლაღიაშვილი.

262. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ. განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, ძლიერ წაგრძელებული (12,6x5,5 მ). შედგება სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან: მცირე, დარბაზული ეკლესიისგან (6,6x5,5 მ), რ-ისთვისაც, ფართობის გაზრდის მიზნით, დას. კედელი მოუხსნიათ და დას-იდან იმავე სიმაღლის, მაგრამ ოდნავ უფრო განიერი, გეგმით კვადრ. (6,3x6,3 მ) ნაგებობა მიუშენებიათ, რ-იც ეკლესიასთან ერთად, საერთო, ორფერდა სახურავის ქვეშაა მოქცეული. ორივე ნაგებობა რიყის ქვითა და კვადრ. აგურითაა ნაშენი. კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა. კონსტრ. ელემენტები, კარ-სარკმელთა ღიობები და გარეთა კუთხეების ნაწილი გამოყვანილია აგურით. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. ორივე მინაშენის კედლებშია გაჭრილი – სამხრ-ით და დას-ით. სამხრ. კარი ორივე მხრიდან თარაზულადაა გადახურული, დას. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – სწორკუთხა.

აღმ-ით ოდნავ გაბრტყელებული აფსიდია, რ-იც დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდის ცენტრში გაჭრილია ოთხკუთხა სარკმელი (ამოშენებულია). სარკმლის აქეთ-იქით თითო ნიშაა. დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. თაღების ქუსლებთან აგურის იმპოსტებია გამოყოფილი. თაღები ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. აფსიდის გარდა, ეკლესიის კედლებში კიდევ ოთხი სარკმელია. მათ შორის ორი – სამხრ-ითაა, ხოლო თითო-თითო – ჩრდ-ით და დას-ით. სამხრ. სარკმლებიდან, აღმ-ით მდებარე, რ-იც თავდაპირველი ეკლესიის კედელშია გაჭრილი – სწორკუთხაა, დას. მდებარე კი თაღოვანი. თაღოვანია ასევე დანარჩენი ორი სარკმელიც, რ-ებიც ასევე მოგვიანებით მიშენებულ ნაწილშია მოწყობილი.

გარედან ეკლესიის კედლებს, უმეტეს ფართობზე, ნალესობა ჩამოცვენილი აქვს. დას. ფასადზე, შესასვლელის თავზე არსებულ მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაში, ჩადგმულია მხედრულ-წარწერიანი ქვა. წარწერა შეთეთრებულია, რის გამოც ტექსტის დადგენა არ ხერხდება. ნიშის თავზე სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს, კვარცხლბეკზე აღმართული, წყობაში შეღრმავებული, თითო ჯვარია გამოსახული. ერთი ჯვარი სარკმლის თავზეცაა, ფრონტონის წვერში. იგი ტოლმკლავაა და ლეკალური აგურით არის გამოყვანილი.



262. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

სამხრ. შესასვლელი ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დას-

რულებულ არეში. კარის თავზე მცირე სიღრმის, კვადრ. ნიშაა.

ფასადები დასრულებულია აგურის, სამსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით (დიდი ნაწილი ჩამოცვენილია).

ეკლესიის სახურავის აღმ. კეხზე დადგმულია ცილინდრული ფორმის, თუნუქის კონუსისებრი სახურავით გადახურული, დაბალი, ერუ ნაგებობა, რ-ზეც ლითონის ჯვარია აღმართული.

ეკლესიის მინაშენის სახურავის დას. კეხზე, აგურით ამოჟანილ, ოთხკუთხა საფუძველზე, აღმართულია აგურისავე, ხუთწახნაგა ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც ხუთი თაღით გახსნილ, მაღალ ფანჩატურს წარმოადგენს. სამრეკლოს ძირი წრიულია. მისი ზედაპირი ოდნავ შეღრმავებული, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, სწორკუთხა არეებითაა დანაწევრებული, რ-ებშიც თითო, მოგრძო რომბისებრი ელემენტია ჩასმული. თაღებს ირგვლივ ლილვი ევლება. თვით წახნაგები კი დადაბლებული ფრონტონითაა დასრულებული. სამრეკლო გადახურულია თუნუქით შემოსილი, ქოლგისებრი სახურავით.


კ. გიორგობიანი.

263. წმ. სტეფანეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ. განაპირას, სასაფლაოსთან ახლოს. თარიღდება VIII ს-ით.

შენობა მარტივი ტიპის, სამეკლესიიანი ბაზილიკაა (9,7x9,3 მ). შედგება გვერდიგვერდ განლაგებული, ერთმანეთთან დაკავშირებული, სამი, წაგრძელებული სადგომისგან. შუა სადგომი, დანარჩენ ორზე, რამდენადმე უფრო განიერია და მაღალი, რის გამოც, გარედან, შენობას ნამდვილი ბაზილიკის იერი აქვს. გვერდითი ნაწილები ვიწრო და გრძელი კორიდორებია. მათ შორის სამხრ-ისა, აღმ-ით აფსიდითაა დასრულებული, ჩრდ-ისა კი უაფსიდოა. ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში მცირე, სწორკუთხა სადგომია, რ-იც მხოლოდ ჩრდ. ეკლესიასთანაა დაკავშირებული.


ეკლესიას, არაერთი შეკეთების შედეგად, თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი. ერთ-ერთი, საფუძვლიანი შეკეთების დროს (სავარაუდოდ, XVI ს-ში), შუა ნავის სამხრ., ჩრდ. და დას. კედლების ზედა ნაწილები აღუდგენიათ და ეკლესიისათვის დას-იდან მიუშენებიათ მასიური, გეგმით სწორკუთხა, ორსართულიანი ნაგებობა, რ-ის ქვედა სართული კარიბჭის დანიშნულებას ასრულებდა, ხოლო ზედა, რომელიც ჩანს, საცხოვრებლად იყო განკუთვნილი.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით და კირის



263. გეგმა


დუღაბით, წყობაში სწორხაზოვნად გამავალი რიგების გამოყვანის გარეშე. მოგვიანებით განახლებულ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, გამოყენებულია კვადრ. აგურიც.



263. ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი ჩრდ-კენ

შესასვლელი ორია: ერთი – შუა ეკლესიის დას. კედელშია გაჭრილი. მეორე – ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. კედელში. დას. კარი

გარედან თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან კი – ნალისებრი თაღით. მსგავსი ფორმის თაღით იყო გადახურული მთავარი ეკლ. აღმ-ით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. საკურთხეველი ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან გამიჯნულია გვიანდ., აგურით ნაშენი კანკელით, რ-იც აფსიდის მხრების ხაზიდან, დაახლ. 1 მ-ით, წინაა წამოწეული. მის წინ, მთელ სიგრძეზე, მცირე ხარისხია, ცენტრში ორსაფეხურიანი, ნახევარწრიული ამბიონით. კანკელში ორი, ოდნავ შეისრული თაღით გადახურული ღიობი და ერთი, შეისრულთაღოვანი ნიშაა.



263. აქსონომეტრიული ჭრილი. ხედი ჩრდ-დას-იდან

ჩრდ. შესასვლელიც (ეკლესიის შიგნიდან კარგად მოჩანს ღიობის თავდაპირველი, ნალისებრი თაღის კონტური), რ-იც, მოგვიანებით, აგურით ამოუშენებიათ და ოდნავ დაუპატარავებიათ. ამჟამად შესასვლელი შიგნიდან თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან – ნახევარწრიული თაღით.

ბაზილიკას მთავარი შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. იგი ორთაღიანი ყოფილა – მრგვალი სვეტით შუაში. შიგნიდან, სამხრ. ეკლესიის სამხრ. კედლის შუა მონაკვეთის წყობაში აშკარად განირჩევა წმინდა ბათქაშით შელესილი, მრგვალი სვეტი და ალაგ-ალაგ, მასზე დაყრდნობილი თაღების მცირე ნაწილები. გარედან ეკლესიის სამხრ. კედელი, დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე, მიწაშია ჩამჯდარი და მცენარეულობით ისეა დაფარული, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე, შესასვლელის არქიტ. ფორმების შესახებ რაიმეს თქმა ძნელია.

კედლში ორი, ოდნავ შეისრული თაღით გადახურული ღიობი და ერთი, შეისრულთაღოვანი ნიშაა.

აფსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი, რ-ის გვერდებზე თითო მცირე, სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის გარეთა ღიობი ზემოთკენ თანდათან შევიწროებულია და დულაბით გამოყვანილი, ნალისებრი თაღითაა დასრულებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, მთავარი ეკლ. კიდევ სამი, სწორკუთხა სარკმლითაა განათებული. სამივე სარკმელი გრძივი კედლების განახლებულ ნაწილებშია მოწყობილი, რ-თა წყობა ძვ. კედლების წყობისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სარკმლებიდან ორი სამხრ-ითაა, ერთი – ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთში. განახლებულია ასევე აფსიდის კონქის დიდი ნაწილი და შუა ეკლესიის კამარა, რის გამოც შუა ნავი, თავდაპირველთან შედარებით, რამდენადმე დადაბლებულია.

ჩრდ. ეკლ. ცილინდრული კამარით გადახურული სადგომია. მთავარი ეკლ. მასთან კარით კი არ არის დაკავშირებული, როგორც ეს ამ ტიპის დღემდე ცნობილ ნიმუშებშია, არამედ განიერი, თაღოვანი მალით (სიგ. 2,2 მ), რაც

263. ინტერიერი, მთავარი ეკლ. ხედი ჩრდ-აღმ-კენ



ნაგებობის გარკვეულ თავისებურებას წარმოადგენს. თავისებურადაა დამუშავებული თვით ღიობის წირთხლებიც. ორივე წირთხლზე გამოყვანილია თითო,



263. ინტერიერი, მთავარი ეკლ. ხედი აღმ-კენ

განიერი ნახევარსვეტი, რ-ებიც სიგანით თითქმის კედლის სისქეს უტოლდება და მხოლოდ დეკორატ. დანიშნულება აქვს.

ჩრდ. ეკლესიას, აღმ-იდან, ეკვრის სწორკუთხოვანი გეგმის, კამაროვანი სადგომი – სამკვეთლო, რ-საც შესასვლელი დასიდან, ჩრდ. ეკლესიიდან აქვს. კარი მოზრდილი ქვით თარაზულადაა გადახურული. სადგომი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი მცირე, სწორკუთხა სარკმლით.

მთავარი ეკლ. სამხრ. ეკლესიასთან დაკავშირებულია კარით, რ-იც მთავარი ეკლესიის მხრიდან ნალისებრთაღოვანია, სამხრ. ეკლესიის მხრიდან კი, მოზრდილი ქვა ხურავს. ისევე როგორც დანარჩენი სადგომები, სამხრ. ეკლესიაც ცილინდრული კამარითაა გადახურული – საბჯენი თაღების გარეშე. აფსიდი ნალისებრია – მცირე, სწორკუთხა სარკმლით ცენტრში, რ-ის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ოთხწახნაგა ტრაპეზი. ნალისებრია კონქის თაღიც. სამხრ. კედლის განახლებულ ნაწილში მოწყობილია ორი, მცირე ნიშა.

ეკლესიის ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ დეკორატ. სამკაულს. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. აღმ. ფასადზე, შუა ეკლესიის კედლის ზედა ნაწილი აღდგენილია აგურით. ამ ნაწილს აგურისავე ლავგარდნის ნაშთებიც შემორჩა. ფასადებზე, ბევრ ადგილას, ჩამოშლილია საპირე წყობა, ჩამოშლილია კრამიტის საბურავიც, რ-ის კვალი სახურავზე დასხმული დუღაბის ნაშთებზეა შემორჩენილი.

მინაშენი გეგმით სწორკუთხაა (5,4x4,3 მ). ნაგებია, ძირითადად, რიყის ქვით. კედლების ზედა ნაწილებში და არქიტ. ელემენტების წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგურიც. I სართულის ოთხივე კედელში მოწყობილია თითო, ფართო, არაწესიერი ფორმის თაღით გადახურული ღიობი. მათ შორის სამი – თანაბარი ზომისაა, ხოლო მეოთხე, რ-იც ეკლესიის დას. კედელზეა მიყრდნობილი, დანარჩენებზე ორჯერ უფრო განიერია. თაღები დადაბლებული პროპორციებისაა და საკმაოდ ტლანქადაა ნაწყობი. ტლანქადაა ნაწყობი სართულის გადამხურავი კამარაც.

მინაშენის II სართულზე ასასვლელად, სავარაუდოდ, ხის კიბით სარგებლობდნენ. სართულის დას. კედელში ვიწრო, თაღოვანი ღიობია მოწყობილი, მის ასწვრივ კი – თაღოვანი სარკმელი. კედლებში რამდენიმე სათოფური და ნიშაა. სართული გადახურულია კამარით, რ-ის ღერძი აღმ-იდან დას-ისკენაა მიმართული. მინაშენის კედლები დასრულებული იყო აგურის ლავგარდნით. მისი მცირე ნაწილი მხოლოდ დას. ფასადს შემორჩა.



263. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

მინაშენი გადახურულია ორფერდა სახურავით (დიდი ნაწილი დაზიანებულია), რ-ის კუხის დას. კიდეში დადგმული იყო გვიანდ. სამრეკლო (შემორჩენილია აგურით ნაშენი საფუძვლის ნაშთი).

თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

264. ჯიკაანთ ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ. განაპირას, პატარა კორომში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,9x4,1 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ქაოსურია. გარედან კედლის ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის არეებს ავსებს და საპირე ქვების ზედაპირის ნაწილსაც

ფარავს. შიგნით კედლები შებათქაშებულია.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: მთლიანადაა ჩამოშლილი დარბაზის კამარა. სამხრ. კედლიდან მხოლოდ აღმ. ნაწილიღაა დარჩენილი, მაგრამ მასაც წყობის ზედა რიგები აკლია. თითქმის მთლიანადაა მონგრეული ორივე ფრონტონი და ჩრდ. კედლის საპირე წყობის ნაწილი. აღმ. კედელს, მთელ სიმაღლეზე, ფართო ბზარი დაუყვება. განივ ფასადებზე მოზრდილი ხეებია მიყრდნობილი.



264. ხედი დას-იდან

შესასვლელი დას-იდანაა. იგი გარედან შეისრულთაღიანია. თაღი აგურითაა გამოყვანილი და კედლის სიბრტყის მიმართ საფეხურითაა შეღრმავებული. შესასვლელი შიგნიდან სწორკუთხაა.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში მაღალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. ერთი, ოთხკუთხა სარკმელი დას-ით, შესასვლელის ასწვრივაა, კედლის ზედა ნაწილში. ეს უკანასკნელი, აღმ. სარკმელთან შედარებით, ბევრად დაბალია. აფსიდში, სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით, თითო, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი აგურით ნაწყობი კონქითაა გადახურული. საკურთხეველში დგას კუბური ფორმის, ორი ტრაპეზის ქვა.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო აგურის ჰორიზ. წყობით გამოყვანილი ლავგარდნით, რ-ის მცირე ნაწილი ჩრდ. კედელს შემორჩა. ჩრდ. კედელზე მიდგმულია ოთხკუთხა, 1,5 *მ* სიმაღლის კონტრფორსი.

2000-იანი წლების დასაწყისში, ადგილობრივ მოსახლეობას ეკლ. შეუკეთებია. აღუდგენიათ (საკმაოდ დაუდევრად) სამხრ. და ჩრდ. კედლების დანგრეული ნაწილები და ეკლესიის დარბაზი ღარისებრი კრამიტით გადაუხურავთ, რ-იც წვრილ ნივნივებზეა დაწყობილი. ამჟამად კრამიტის ნაწილი ჩამოშლილია. სახურავზე და კედლებზე კი, სუროა ამოსული.

თ. დვალი.

კურდღელაური

(თემის საკრებულოს ცენტრი)

265. კურდღელაური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 3 *კმ*-ზე, ცივ-გომბორის მთის ჩრდ. კალთის ძირას, ალაზნის ვაკეზე. სოფელს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ერთ-ერთი თქმულების თანახმად, თავდაპირველად, იგი სამხრ-ით, დაბლა, მდ. ალაზნის მახლობლად ყოფილა განლაგებული, მაგრამ მტერთა შემოსევების გამო, მოსახლეობა იძულებული გამხდარა უფრო მაღლა, ჩრდ-ით, თელავის ახლოს დასახლებულიყო. მეორე თქმულება ამჟამინდელი სოფლის პირველი დასახლების ადგილმდებარეობად სოფ. გულგულის მოპირდაპირე მხარეს, ფოხორაულად წოდებულ ადგილზე მიგვითითებს, რ-საც ადრე ბოხვერაული ან ფოხვერაული რქმევია. შესაძლოა ამ თქმულებას მხარს უმაგრებდეს აქ 1956 წელს, არქეოლ. გათხრების დროს გამოვლენილი, გვიანდ. ბრინჯაო–ადრინდ. რკინის ხანის ნამოსახლარი. ლეგენდის თანახმად, ამ ახ. ადგილსამყოფლის სანახები კურდღლებით ყოფილა სავსე. ამიტომ ამ ადგილზე მაცხოვრებლებს კურდღელაურლებად მოიხსენიებდნენ. სოფლის ამჟამინდელი სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს.

კურდღელაურის მოსახლეობა მონაწილეობდა ზოგადად ქვეყანაში და საკუთრივ კახეთში მიმდინარე მოვლენებში. 1903 წლის 3 აპრილს მათ სოფელში გამართეს არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო გლეხების ყრილობა, რ-საც ახლომახლო სოფლების მაცხოვრებლებიც ესწრებოდნენ. გლეხებმა თავიანთი მოთხოვნილება წაუყენეს მემამულეებს და ქვეყნის მმართველებსაც. მოთხოვნები ითვალისწინებდა: დროებით ვალდებული გლეხების გათავისუფლებას, მიწის, ტყისა და საძოვრის საერთო საკუთრებაში გადაცემას, საყოველთაო, უფასო სწავლებას ქართულ ენაზე, სასამართლო საქმეების ქართულ ენაზე წარმოებას, საყოველთაო თანასწორ არჩევნებს და სხვ. მოთხოვნებზე გლეხებმა ძალით მოაწერინეს ხელი მემამულეებს. 27 აპრილს, სოფელში, თელავიდან ჩამოვიდა მაზრის უფროსი და დამსჯელი ღონისძიებების გატარებით დაეშუქრა გლეხობას, მაგრამ მღელვარების შეწყვეტა ვერ მოახერხა.

კურდღელაური ამჟამადაც ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია თელავის მუნიციპ-ში. გარდა იმისა, რომ მას ვრცელი ტერიტ. უკავია, მოსახლეობის რაოდენობითაც ერთ-ერთი დიდია. სოფელში განთავსებულია ორი აეროპორტი: ერთი – სამოქალაქო, მეორე – სამხ. დანიშნულებისა. ფუნქციონირებს 110 წლის ისტორიის მქონე საჯარო სკოლა. ასევე – ღვინის ქ-ნა „თელავის ღვინის მარანი". სხვადასხვა წესით დამზადებული აქაური ღვინოები (დაჯილდოებულია მრავალგზის) რეალიზდება მსოფლიოს 30 ქვეყანაში, როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში.

თ. ჭყონია.

ბიბლ.: 25.


266. ბედოიანთ ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ნასოფლარ ფოხორაულების ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ძ. წარმოადგენს მცირე ზომის, დარბაზული ეკლესიის ნანგრევს. შემორჩენილი კედლები ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით.

ბ. კუპრეიშვილი.

267. კავთის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში. სავარაუდოდ, თარიღდება XVIII საუკუნით. განახლებულია XIX საუკუნეში.

ეკლ. დარბაზულია (11,1x6,9 მ), დას-იდან ეკვრის კვადრ. გეგმის, სამსართულიანი სამრეკლო, რ-იც შესაბამისს კედელს წყობით არ ებმის.



267. გეგმა

შენობა ქრონოლოგიურად განსხვავებულ, ორ სამშენ. ფენას შეიცავს, რ-ებიც სხვადასხვა მასალითაა შესრულებული. თავდაპირველ ნაწილში, რ-ის სიმაღლე ოთხივე კედელში ცვალებადია და არათანაბარი (მაქს. სიმ. 2,2 მ-ია), საშენი მასალა ორგვარია: წვრილი, რიყის ქვა და აგური. წყობა, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით, ერთრიგად ნაწყობი, აგურის ჰორიზ. შრეებია ჩართული. კედლების ზედა ნაწილები, ყველა კონსტრ. და დეკორატ. ელემენტები გამოყვანილია კვადრ. აგურით. კედლები გარედან შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.

შესასვლელი ეკლესიას დას-იდან და ჩრდ-იდან (გვიანდელია) აქვს. დას. შესასვლელი, შიგნიდან და გარედან, ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, ჩრდ-ისა კი, ხის ძელებით, თარაზულადაა გადახურული.

აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია. მასში მოწყობილია ერთი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი (ცენტრში) და მსგავსი თაღით დასრულებული, ორი, თაღოვანი ნიშა (სარკმლის აქეთ-იქით). აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდი დარბაზის იატაკის მიმართ შემაღლებულია ოციოდე სმ-ით და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

დარბაზის გრძივ კედლებზე სამ-სამი, მარტივი პილასტრია, რ-ზეც კამარის საბჯენი თაღებია დაყრდნობილი. თაღები შეისრულია, შეისრულია კამარაც. პილასტრების აღმ. წყვილი აფსიდს დარბაზისგან გამოყოფს. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. ყველა თაღის ქუსლებთან გამოყოფილია სადა, პროფილირებული (თარო, ლილვი, თარო) იმპოსტები.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიის შიდა სივრცეს კიდევ ხუთი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათ შორის ორ-ორი, ერთმანეთის პირდაპირ, ჩრდ. და სამხრ. კედლების განაპირა ნაწილებშია გაჭრილი, ხოლო ერთი – დას. კედლის შუაში.

ეკლესიის ფასადთა გაფორმება, მხატვრული თვალსაზრისით, მარტივია. ყველა პროფილი და დეკორატ. ელემენტი აგურითაა გამოყვანილი. ფასადებიდან ყველაზე უკეთ აღმ. ფასადია გაფორმებული. ფასადის ღერძი უჭირავს საკურთხევლის ლილვშემოვლებულ, თაღოვან სარკმელს (ნაწილობრივ გადაკეთებულია), რ-იც ჩასმულია თხელ, თაღოვან ჩარჩოში. სარკმლის ასწვრივ ჩარჩოში ჩასმული, ლილვით გამოყვანილი, ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მის ზემოთ კი – წრიული მოხაზულობის სარკმელი, რ-იც კონქისზე და სივრცეს აშუქებს. ფასადის გვერდით ნაწილებში, სარკმლის ოდნავ ზემოთ, თითო, ერთმანეთზე წიბოებით გადაბმული, პატარა კვადრატებით გამოყვანილი, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც მოქცეულია კედლის სიბრტყეში შეღრმავებულ, წაწვეტებული ბოლოების მქონე, ჯვრისავე ფორმის, განიერ არეში,

267. ინტერიერი, ხედი სამხრ.-აღმ.-კენ





267. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

რ-საც ირგვლივ ვიწრო, რელიეფური ზოლი ევლება. სამივე ჯვრის შვერილი ნაწილები წითლადაა გაფერადებული, რის გამოც ისინი, კედლის ფრცელ, შეთეთრებულ ზედაპირზე მკაფიოდ აღიქმება.

სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე, ერთ დონეზე, შედარებით განიერი, ლილვშემოვლებული, სამ-სამი, თაღოვანი სარკმელია, რ-თა შორის აღმ-ით მდებარე – ცრუა. სამხრ. ფასადის დას. ნაწილში ძლივს შესამჩნევია მოგვიანებით ამოშენებული შესასვლელის გვერდების კონტური. ჩრდ. ფასადის დას. ნაწილში, შესასვლელია, რ-ის გვერდების წყობის ხასიათიდან გამომდინარე, იგი მოგვიანებით უნდა იყოს მოწყობილი. შესასვლელის თავზე მცირე ზომის, კედლის სიბრტყეში ორი საფეხურით შეღრმავებული ნიშაა, რ-იც მუზარადისებრი თაღით არის დასრულებული. დას. ფასადის ღერძი სამრეკლოს კორპუსს უჭირავს, რ-ის აქეთ-იქით, ფასადის ზედა ნაწილში, თითო, ლილვშემოვლებული, ცრუ სარკმელია. მათ თავზე ვიწრო, სამკუთხა თაღით დასრულებული, იმავე ფორმის ჩარჩოში ჩასმული ნიშაა. შესასვლელის თავზე გამოყვანილია საფეხურით შეღრმავებული, განიერი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული არე, რ-შიც გამოყვანილია „გვიან-ამპირული“ მოტივი – ორ ნახევარსვეტზე დაყრდნობილი ფრონტონი. ამ უკანასკნელის არეში კი ორი, ერთიმეორეში ჩასმული ნიშაა – საფეხურებად დამუშავებული, ცენტრისკენ შემაღლებული გადახურვით.



267. სამრეკლო, ხედი ჩრდ.-დას-იდან

კედლები დასრულებულია სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის თითოეული საფეხური აგურის თითო რიგისგან შედგება. მათ შორის განაპირა რიგებში აგურები ჩვეულებრივადაა დაწყობილი, შუაში კი კუთხითაა შვერილი.

სამრეკლო გეგმით კვადრატულია (2,9x2,9 მ) და მთლიანად აგურითაა ნაშენი. ეს აგურები ეკლესიის კედლებში გამოყენებულ აგურთან შედარებით, უფრო დიდი ზომისაა. სამრეკლოს პირველი და მეორე სართულის ოთხივე კუთხეში კვადრ. გეგმის, ორსაფეხურიანი კაპიტელებით დასრულებული ბოძებია დადგმული, რ-ზეც გადაყვანილია ნახევარწრიული თაღები. ორივე სართული გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე, გუმბათოვანი კამარით. მესამე სართული ცილინდრული ფორმის, ექვსი თაღოვანი მალით გახსნილი ფანჩატურია. გადახურულია თუნუქით შემოსილი, კონუსისებრი სახურავით, რ-ის წვერზე რკინის ჯვარია დადგმული.

2003 წელს, ადგილ. მოსახლეობის მიერ, ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: შიგნით ეკლ. მთლიანად შელესეს, ააგეს კანკელი, საკურთხევლისა და დარბაზის იატაკზე დააგეს კვადრ. აგური, გარედან, ალაგ-ალაგ, აღადგინეს კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი, ეკლ. გადახურეს ღარისებრი კრამიტით, სამრეკლო კი – მოთუთიავებული თუნუქით. ამასთან, ეკლესიის ეზოს დიდ ნაწილს რიყის ქვის გალავანი (სიმ. 2,5 მ) შემოავლეს.


თ. დვალი.

268. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, მცირე ზომის (5,7x3,9 მ), ნაგებია რიყის ქვით და აგურით. შესასვლელი



268. ხედი სამხრ.-დას-იდან



269. ჭრილები: ხედი აღმ-კენ და სამხრ-კენ

დას-იდან აქვს. კარი მოგრძო, თხელი ქვით, თარაზულად არის გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. ეკლ. ნათდება ორი, სწორკუთხა სარკმლით. მათ შორის ერთი აფსიდის ცენტრშია, მეორე (აღდგენილია) – დას. კედელში. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, დგას ოთხკუთხა ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი შეისრულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

2005 წელს სოფლის მაცხოვრებელმა მ. ბედიანიძემ ეკლ. აღადგინა. ნაგებობა შიგნიდან მთლიანად შეილესა, იატაკზე დაიგო კვადრ. აგური, გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

გ. ლაღია შვილი.


269. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. განაპირას, მინდორში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ნაგებობა გეგმით კვადრატს მიახლოებული, კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედია (6,1x5,7 მ). ნაშენია საშ. ზომის, რიყის ქვით და კირის დუღაბით, წყობა სწორხაზოვანია. ძლიერ დაზიანებულია – შემორჩენილია ერთი სართულის სიმაღლეზე.

შესასვლელი (შემორჩენილია სამხრ. წირთხლის ნაწილი) აღმ. კედლის ჩრდ. კიდეშია. ამავე კედელში ერთი, სწორკუთხა ნიშა და ერთი, სწორკუთხა სარკმელია მოწყობილი. მსგავსი ფორმის ერთი ნიშა და სარკმელი დას. კედელშიცაა. ორივე სარკმლის ღიობი გარეთკენაა ახრილი. სამხრ. კედლის შუაში თაღოვანი ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს თითო, სწორკუთხა ნიშაა. ჩრდ. კედელში მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე, რ-ის თაღოვანი შესასვლელი ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოშია. ამავე კედლის დას. ნახევარში ერთი, სწორკუთხა ნიშაა.

სართული გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის ღერძი აღმ-იდან დას-ისკენაა მიმართული. შიგნით, კედლები და კამარა შელესილი და შეთეთრებულია.


თ. დვალი.



269. გეგმა

270. ფოხორაულების ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 1,3 კმ-ზე, ვაკეზე, ნასოფლარ ფოხორაულების ტერიტორიაზე. ნამოსახლარი თარიღდება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანით. აღ-

270. დერგების ფრაგმენტები



მოჩნდა მაწანწრისა და თელავის ხევებისათვის ახ. კოლექტორული არხის გაჭრის დროს, 2,5-3 *მ* სიღრმეზე. ნამოსახლარის ზედა ფენები დალამული და დაღორღილია ცივ-გომბორის მთის ფერდებიდან მოვარდნილი წყლებით. იგი ძველადვე დაუნგრევიათ და გადაუწვავთ. ნამოსახლარიდან წაღებული ნაცროვანი ფენები, მასში შერეული ძვლოვანი მასალა და თიხის ჭურჭელი ვრცელდება მდ. ალაზნისაკენ (კოლექტორის გაყოლებით), 1,5-2 *კმ*-ის მანძილზე და სათვალისწყლად წოდებულ ადგილთან ფარავს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. პერიოდის სამარხებს.


1956 წელს კაპ-ს მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ჩატარდა მცირე მასშტაბის არქეოლ. სამუშაოები. დაზვერვითი შურფების შედეგად დადგინდა, რომ ნამოსახლარს 40 000 *კვ მ* უჭირავს. აქედან გაითხარა 25x15 *მ* ფართობი. გამოვლინდა ნაგებობათა კედლების რიყის ქვის საძირკვლები, რ-თა ზედა ნაწილი, დამწვარ ბათქაშზე შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით, თიხით შელესილი წნული უნდა ყოფილიყო. გადახურვა, სავარაუდოდ – ბანური, იატაკი – თიხატკეპნილი. ძეგლის შესწავლილ ფართობზე აღმოჩნდა მისი სინქრონული ორმოსამარხი, რ-იც მხოლოდ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლებსა და თიხის ჭურჭელს შეიცავდა. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ძვ. ტრადიციის გადმონაშთთან, როდესაც წესად იყო სამარხების სამოსახლოსთან გამართვა. მით უმეტეს, „ფოხორაულებში“ აღმოჩნდა კენოტაფი – სამახსოვრო სამარხიც. ნამოსახლარზე დადასტურდა ქვიშანარევი თიხისგან დამზადებული, ლეგად ან ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი ჭურჭელი. მათი ზედაპირი დასერილია კონცენტრული ხაზებით, მხარზე კი უმეტესად ირიბი, გრძელი ნაჭდევები შემოუყვება.

ც. მუნაბდე.

ბიბლ.: 121; 148; 298.

271. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში. თარიღდება გარდამავალი ხანით.

ძ. სამნავიანი ბაზილიკაა (15,6x10,1 *მ*). ნაგებია რიყის ქვით.



271. გეგმა

მოგვიანებით, ორივე ნავში, ნავების გამმიჯნავ, აღმ-იდან პირველ ბოძსა და გრძივ კედელს გადაკეთება-შეკეთებების დროს გამოუყენებიათ აგურიც. შენობას სამი შესასვლელი აქვს: დას-იდან (შეისრულთაღიანი), სამხრ-იდან და ჩრდ-იდან (ორივე სწორკუთხა). სამივე კარს ატყვია გვიანდ. გადაკეთების კვალი. შუა, ამაღლებული ნავი, აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ღრმა, ნალისებრი აფსიდით, რ-ის ღერძზე პარალელურწირთხლებიანი, ორთაღიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს, სხვადასხვა დონეზე, სწორკუთხა ნიშებია მოწყობილი. ოთხ-ოთხი შეისრულთაღიანი, სწორკუთხა სარკმელი გრძივ კედლებში, თაღების ზემოთაცაა (გვიანდელია). მოგვიანებით, დიდი ზომის სარკმელი სამხრ. და ჩრდ. ნავების შუაშიც გაუჭრიათ. მოგვიანებითვე შეულესავთ და დაუმრგვალებიათ ნავების გამმიჯნავი, სამ-სამი, ოთხკუთხა ბოძი. ბოძებზე ნახევარწრიული თაღებია დაბჯენილი. ბოძების ასწვრივ კი, შეკიდული პილასტრებია, რ-ებსაც ოდნავ შეისრული ფორმის, საბჯენი თაღები ეყრდნობა. მსგავსი ფორმისაა კამარაც.



271. ინტერიერი (რესტავრაციამდე), ცენტრ. ნავი, ხედი აღმ-კენ

გუერდითა, ვიწრო ნავები, თავდაპირველად, ერთიანი იყო. შორის ჩააშენეს, სწორკუთხა გასასვლელის მქონე, კედელი. ნავების აღმ. ნაწილში კი გამოყვეს სამკვეთლო და სადიაკვნე.

ფასადებს კარგად ემჩნევა შეკეთების კვალი. შუა ნავის ზედა ნაწილი აღდგენილია წვრილი, რიყის ქვისა და აგურის წყობით. აღმ. ფასადზე ხისჩარჩოიანი, სწორკუთხა, სამი სარკმლის ღიობია. ფრონტონის არეში, აგურის წყობის შელრმავებით, საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული. სამხრ. და ჩრდ. ფასადები მსგავსია: შუა ნავის

გრძივ კედლებში გაჭრილია ოთხ-ოთხი, სწორკუთხა სარკმელი. გვერდითი ნავების შუა არეში – თითო, სწორკუთხა შესასვლელი და ორ-ორი, სწორკუთხა სარკმელი. დას. ფასადის ღერძზე, კედლის სიბრტყეში ჩაწეულ, აგურის კბილანებით დასრულებულ, სწორკუთხა არეში შეისრულთაღიანი კარია მოთავსებული. კარს ზემოთ, ფრონტონის არეში, საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული, სიბრტყეში ჩაძირული ჯვარია გამოსახული. ფასადები დასრულებულია აგურის საფეხურებიანი ლავგარდნით.



271. ხედი სამხრ.-დას-იდან

2010 წელს, სოფლის მკვიდრების – დათიაშვილების თაოსნობით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.


კედლები გაიწმინდა ნალესობისაგან, მოგვიანებით გადაკეთებული სარკმლების ადგილზე მოეწყო ახ., აგურით გამოყვანილი, გაცილებით ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლები. თავდაპირველი სახით აღდგა საკურთხევლის სარკმელი. მოიხსნა სახურავის კეხის დას. კიდეში შემორჩენილი სამრეკლოს საფუძველი, შენობა გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ნ. ანდღულაძე

ბიბლ.: 335.


272. ყვავის საყდარი, „პატარა ეკლესია“. არქიტ., არქეოლ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1,3 კმ-ზე, ნასოფლარ ფოხორაულების ტერიტორიაზე. თარიღდება VI ს-ის შუა წლებით. სავარაუდოდ, აღუდგენიათ VIII-IX სს-ებში.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (8,3x7,2 მ). ნაგებია რიყის ქვის სწორი რიგებით. კედლების ქვედა ნაწილებში გამოყენებულია მოზრდილი ქვები. შენობის სწორკუთხოვან გეგმაში ჩაწერილია სამი, თანაბარი სიგრძის, მაგრამ სხვადასხვა სიგანის სადგომი, რ-ებიც კედლებით არის გამიჯნული და ერთმანეთთან თითო კარითაა დაკავშირებული. სამივე სადგომი აფსიდიანია და დამოუკიდებელ ეკლესიას წარმოადგენს.




272. გეგმა

შენობას ოთხი შესასვლელი აქვს. ისინი გვერდით ეკლესიებშია გაჭრილი: თითო, ორმალიანი, თაღოვანი შესასვლელი – გრძივი ფასადების მხრიდან – სწორკუთხა ბოძით თაღებს შორის და თითო, თაღოვანი შესასვლელი – დას-იდან, რ-ებიც მოგვიანებით (როგორც ჩანს, ეკლესიის აგებიდან მოკლე დროში) ამოუშენებიათ (ამჟამად გახსნილია).




272. ჭრილი შუა ნავზე, ხედი ჩრდ-კენ

შუა ეკლ., გვერდითებთან შედარებით, უფრო განიერია და მაღალი. აღმ-ით იგი დასრულებულია ღრმა, ოდნავ ნალისებრი აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, მაღალი, თარაზულად გადახურული სარკმელი. სარკმლის გვერდებზე, ოდნავ ქვემოთ, მოწყობილია ორი, სხვადასხვა ზომის, სწორკუთხა ნიშა. ერთი თარაზულად გადახურული



272. დას. ფასადი

სარკმელი (აღდგენილია) სამხრ. კედელშიცაა. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ 20 *სმ*-ითაა ამაღლებული და კირის ხსნარითაა გადალესილი. აფსიდს ორსაფეხურიანი მხრები აქვს, რ-ებსაც ორსაფეხურიანივე სატრიუმფო თაღი ეყრდნობა. აფსიდი გადახურულია კონქით, დარბაზი კი – ცილინდრული კამარით.



272. აქსონომეტრიული ჭრილი


შუა ეკლ., ჩრდ. და სამხრ. ეკლესიებს, გრძივი კედლების დას. ნაწილში გაჭრილი თითო კარით უკავშირდება. ორივე კარი შუა ეკლესიის მხრიდან თაღოვანია, გვერდითი ეკლესიების მხრიდან კი მოგრძო, ქვაშაქვის მთლიანი ქვით თარაზულადაა გადახურული.

გვერდითი ეკლესიების აფსიდებიც ნალისებრი მოხაზულობისაა, ცენტრში თითო სწორკუთხა სარკმლით. აფსიდები წესიერი ფორმის კონქითაა გადახურული, სადგომის დანარჩენი ნაწილი კი – ცილინდრული კამარით. როგორც შუა, ისე გვერდით ეკლესიებში კონქის, კამარის და შესასვლელების თაღების ქუსლები, შესაბამისს კედლებს ჩვეულებისამებრ არ ერწყმის და ათიოდე *სმ*-ით კედლის სიღრმეში არის შეწეული, რის გამოც მათ საზღვარზე მცირე საფეხურია შექმნილი.

შენობის დას. ფასადზე, მიწიდან 2,5 *მ*-ის სიმაღლეზე, შემორჩენილია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით (დაახლ. 60 *სმ*-ით) დაშორებული კონსოლები – სავარაუდოდ, მინაშენის კამარის დასაყრდნობად, რ-იც აღარ აუგიათ. ამიტომ გვერდითი ეკლესიების დას. კარები ამოუშენებიათ.

1966 წ. ძ. შეისწავლა ᲝᲐᲔ ინ-ტის ᲙᲐᲛ-მ (ექსპედ. ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ც. ჩიკოიძე). მთელი ნაგებობა, შუა ეკლესიის კედლების მცირე ნაწილისა და გვერდითი ეკლესიების აღმ. მონაკვეთების გარდა, მიწით იყო დაფარული. გაწმენდითი სამუშაოების დროს ეკლესიის გარეთა კედლების გასწვრივ, 1,5 *მ* სიღრმეზე, აღმოჩნდა კერამ. ლავგარდნის ორმოცამდე ფრაგმენტი – სპეციალურ ფორმებში ჩამოსხმული და წითლად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხის ორი სახეობის ფრაგმენტები. თითქმის ყველა ფრაგმენტზე შეიმჩნეოდა მათ გამოწვამდე, მომზადების პროცესში, ნოტიო თიხაზე აღბეჭდილი თითების კვალი. ფრაგმენტების ერთ სახეობაზე გამოყვანილია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, ოთხ-ოთხი

272. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



კბილი – თითო, რელიეფური ჯვრით და მცენარეული მოტივის რელიეფებით კბილებს შორის. ლავგარდნის მეორე სახის ფრაგმენტები ბრტყელია, სამ-



272. კერამიკული ლავგარდნის ფრაგმენტი შტამპით დატანილი წარწერით

საფეხურიანი (სიგრ. – 30 *სმ*, სიმ. – 20,5 *სმ*, სისქე – 4,5 *სმ*). ყველა ფრაგმენტის შუა საფეხურზე, ნუსხურნარევი ასომთავრულით შესრულებული, რელიეფური წარწერაა – „ქრისტე შეიწყალე ეკოლი“. წარწერები დაქარაგმებულია, ისინი თიხაზე შტამპის სახითაა დატანილი – უკუღმა. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე მკვლევრების ერთი ნაწილი (რ. შმერლინგი, გ. გაფრინდაშვილი) მას IX-X საუკუნეების მიჯნით ათარიღებს (აღნიშნული თარიღი დადასტურდა არქეოლ. გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალის საფუძველზეც), მეორე ნაწილი (ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი) კი, არა უადრეს XII ს-ის დასასრულით.

სამხრ. ეკლესიაში გაითხარა ორი სამარხი, რ-თა კედლები ნაშენი იყო კერამ. ლავგარდნის ორივე ტიპის ფრაგმენტებით. სამარხებში, უამრავ ძვლებთან ერთად, აღმოჩნდა: მინის სამაჯური, პასტის ცისფერი მძივები, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამ. ჭურჭლის ფრაგმენტები. მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტებს შორის უძველესია IX-X საუკუნეების, წვრილმარცვლოვანი თიხისგან დამზადებული, წითლად გამომწვარი თასის ნატეხი, რ-იც მოხატულია თეთრი ანგობით და დაფარულია მწვანე, გამჭვირვალე ჭიქურით. მოჭიქული კერამიკის დანარჩენი ფრაგმენტები კი XI-XII საუკუნეებით თარიღდება.

ჩრდ. ეკლესიაში გამოვლინდა ორი სამარხი, რ-ებიც, ისევე როგორც სამხრ. ეკლესიაში აღმოჩენილი სამარხები, ქვის თხელი ფილებით იყო გადახურული. ორივე სამარხში აღმოჩენილი არქეოლ. მასალა ასევე XI-XII საუკუნეებით თარიღდება.

ცენტრ. ეკლესიის გაწმენდის დროს აღმოჩნდა ორი, სხვადასხვა დონეზე მდებარე იატაკი, რ-ებიც შეესაბამებოდა ეკლესიის არსებობის ორ, სხვადასხვა პერიოდს. მათ შორის ზედა, საკურთხევლის დონიდან 20 *სმ* სიღრმეზე მდებარეობდა, ხოლო ქვედა – 40 *სმ*-ზე. ქვედა იატაკი მხოლოდ სამხრ. ეკლესიიდან ცენტრ. ეკლესიაში შესასვლელი კარის ღიობში იყო შემორჩენილი, რ-ის გაწმენდისას აღმოჩნდა მოზრდილი რიყის ქვით ნაწყობი და კირის წმინდა ხსნარით დაფარული, თავდაპირველი ზღურბლი. ზედა იატაკის გაწმენდის შემდეგ, ნავის შუაში, აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი და ქვისავე ფილით



272. კერამიკული ლავგარდნის ფრაგმენტი ჯვრების გამოსახულებით

გადახურული, ოთხკუთხა ყუთი (სიგრ. – 2 *მ*, სიგ. – 0,8 *მ*), რ-იც ნაწილობრივ შედიოდა ზედა, ხელუხლებელი იატაკის ქვეშ. სამარხის გადახურვის ფილებს შორის დარჩენილი ღრეჩოები შევსებული იყო კერამ. ლავგარდნის ნატეხებით. სამარხში აღმოჩნდა ორი ჩონჩხი. არქეოლ. მასალიდან საინტერესოა VII-VIII საუკუნეებით დათარიღებული კერამიკის (თხელი, ვარდისფრად გამომწვარი თიხის თასის ფრაგმენტი. ასევე მეორე თასის ნატეხი, რ-იც ორივე მხრიდან შეღებილია წითელი საღებავით და გაპრიალებულია) ჯგუფი. გარდა ამისა, აღმოჩნდა XI-XIII საუკუნეების მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკისა და სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები, რ-ის ქვედა ნაწილი მორთულია დაკბილული ორნამენტით; შავი თიხის დოქების სახელურები და სხვ.

ეკლესიის გარეთ, სამხრ. აღმ. კუთხესთან არსებულ სამარხში, აღმოჩნდა ორი ბავშვის ჩონჩხი.

ეკლესიასთან ახლოს დასახლების კვალი არ აღმოჩენილა.

ეკლ. როგორც ჩანს, თავიდანვე კრამიტით ყოფილა გადახურული, მაგრამ მხოლოდ გვიანდ. გადახურვის ნაშთებიღა იყო შემორჩენილი. ეკლესიის ირგვლივ უხვად იყო მობნეული ღარისებრი და ბრტყელი კრამიტის ნამტვრევები.

ხუროთმოძღვრულ ფორმებთან ერთად, ძ., ყურადღებას იმსახურებს შესასვლელების სიმრავლით. განსაკუთრებით მათი არსებობით გვერდითი ეკლესიების დას. კედელში, რაც მას გარკვეულ ინდივიდუალურობას ანიჭებს.

1970-იანი წლების დასაწყისში სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ ჩატარდა ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ზ. სეხნიაშვილი): აღდგა მთავარი და გვერდითი ეკლესიების კედლების დანგრეული ნაწილები (შემორჩენილი კედლების წყობასთან შეხამებით), შესასვლელები და კამარები. გაიხსნა გვერდითი ეკლესიების დას. შესასვლელები. კედლებს გაუკეთდა თაროსებრი ლავგარდანი – ჰორიზ. შემონაკეცებით ძირებთან. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 212; 315; 335.

273. „ყვავისჯამია“, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2-3 *კმ*-ზე, მინდორში, ნასოფლარ ფოხორაულების ტერიტორიაზე. თარიღდება შუა საუკუნეებით.


ძ. საშ. ზომის, დარბაზული ეკლესიაა, ჩრდ-ის მინაშენით.

შემორჩენილია ნანგრევის სახით. აგებული იყო რიყის ქვითა და კირის დუღაბით.


ბ. კუპრეიშვილი.

274. ᲬᲛ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (9,5x5,5 *მ*, კედლების სისქე – 0,8 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია. შესასვლელების გამოსაყვანად, რიყის ქვასთან ერთად, გამოყენებულია კვადრ. აგურიც. სარკმლის ღიობები მთლიანად აგურისაა. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია.



274. გეგმა



274. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

შესასვლელი სამია: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით, დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურით შემაღლებული, გეგმით ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდია, რ-ის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით და ჩრდ-ით თითო, მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. ჩრდ. ნიშასა და სარკმელს შორის, კედელზე, მიდგმულია აგურით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი.



274. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აგურითაა მოფენილი აფსიდის იატაკიც, რ-იც აფსიდის მხრეების ხაზიდან, დაახლ. 1 *მ*-ით, წინაა წამოწეული და ნახევარწრიული ამბიონი აქვს. სამხრ. კედელში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. დარბაზის გრძივი კედლები ერთსაფეხურიანი პილასტრით ორ, ტოლ ნაწილად იყოფა. პილასტრებს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა.

აღმ. და დას. ფრონტონებზე, აგურის წყობის შეღრმავებით, საფეხუროვან კვარცხლბეკზე დადგმული, თითო ჯვარია გამოსახული, რ-ის ქვედა მკლავის ორივე მხარეს თითო, მცირე, შეღრმავებული რომბია. კედლები დასრულებულია აგურის ლავგარდნით.

2007 წელს ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღადგინეს კედლების დანგრეული ნაწილები და ლავგარდანი, მოხსნეს სახურავის კეხის დას. კიდეში შემორჩენილი სამრეკლოს საფუძველი და შენობა კრამიტით გადახურეს.

გ. ლაღიაშვილი.

275. ᲬᲛ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს ჩრდ. განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. მცირე ზომის (5x4 *მ*), რიყის ქვით ნაგები, დარბაზული ეკლესიაა, ერთადერთი შესასვლელით დას-იდან. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის აქეთ-იქით თითო, სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი, სწორკუთხა სარკმელი დას. კედელშია – შესასვლელის თავზე. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ოთხკუთხა ტრა-



275. ხედი სამხრ.-დას-იდან

პეზი. შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით.

დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდებზე, თითო, სწორკუთხა ნიშაა.

2005 წელს, სოფლის მაცხოვრებელმა მ. ბედიანიძემ ეკლ. აღადგინა. შენობა შიგნიდან მთლიანად შელესეს, იატაკზე დააგეს კვადრ. აგური, კედლებს გაუკეთეს აგურის ხერხულა ლავგარდანი და ეკლ. ღარისებრი კრამიტით გადახურეს.


გ. ლალიაშვილი.

ლალისმშრი

(ფშავლის თემის საკრებულო)

276. ანტონის ჯვრის ეკლესია, ა ნ ტ ა ჯ ვ ა რ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, ორიოდე კმ-ზე, მთის წვერზე. თარიღდება გარდამავალი ხანით.

ეკლ. ორნავიანია, გეგმით სწორკუთხა (9,6x5,7 მ). ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. დაზიანებულია: დანგრეულია მთავარი ნავის სამხრ. კედლის დიდი ნაწილი და თითქმის მთლიანად – ჩრდ. ნავის ჩრდ. კედელი. ჩაქცეულია ორივე ნავის კამარა. ეკლესიის ინტერიერი დიდ სიმაღლეზე ამოვსებულია კედლებიდან ჩამონაშალი ქვითა და



276. გეგმა

მიწით. შემორჩენილი კედლების ნაწილი კი ეკალბარდებითაა დაფარული.

ერთადერთი შესასვლელი მთავარი (სამხრ.) ნავის დას. კედელშია. იგი გარედან, როგორც შემორჩენილი კვალით ჩანს, თარაზულად იყო გადახურული, შიგნიდან კი თაღოვანია. სავარაუდოდ, მეორე შესასვლელი ნავის სამხრ. კედელშიც იყო მოწყობილი. რისი დადგენაც გათხრა-გასუფთავების გარეშე შეუძლებელია. მთავარი ნავი აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული, რ-ის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, გარეთკენ დავიწროებული სარკმელი. აფსიდში, სარკმლის ორივე მხა-



276. ინტერიერი, მთავარი ნავი, ხედი ჩრდ.-დას-კენ

რეს, მოწყობილია თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშა.

მთავარი, დარბაზული სივრცე ჩრდ. ნავს ორი, თაღოვანი მალით უკავშირდება. თაღებს შორის სწორკუთხა ბოძია. აღმ-ით მდებარე მალი თითქმის ორჯერ უფრო განიერია დას-ისაზე და ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. დას. მალის თაღი კი – ნალისებრია. ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში გეგმით სწორკუთხა, უაფსიდო სათავსია, რ-საც ნავი ვიწრო კარით უკავშირდება. სათავსის აღმ. კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია, რის გამოც სარკმლის არსებობის ფაქტი არ დგინდება.

თ. დვალი.


ბიბლ.: 33.


277. თამარ მეფის ნატახტარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, მაღალი ბორცვის წვერზე. შემორჩენილია მხოლოდ ქვაყრილის სახით. აქა-იქ კედლის ფრაგმენტებიცაა. ძ. ნაგები იყო ქვიშაქვით კირის ხსნარზე. შენობის დანიშნულება გაურკვეველია. ადგილ. მოსახლეობა უწოდებს „თამარ მეფის ნატახტარს“.

ბ. კუპრეიშვილი.

278. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,3x5 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვის შერეული წყობით. წყობაში (ძირითადად, ქვედა ნაწილებში), აქა-იქ, გამოყენებულია მოზრდილი ზომის, დაუმუშავებელი, ნატეხი ქვაც, რ-ებიც ფასადის მხარეს ბრტყელი მხარით არის მოქცეული. ქვებს შორის დარჩენილი არეები ამოვსებულია კირის წმინდა ბათქაშით, რ-იც წვრილი ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. კარ-სარკმლების ღიობები და ლავგარდანი ნაწყობია კვადრ.






278. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

აგურით. გარდა ამისა, აგური, აქა-იქ, თარაზული შრეების სახით, კედლებშიცაა ჩართული.

შესასვლელი დას-ითაა. იგი გარედან გადახურულია ოდნავ შეისრული თაღით, შიგნიდან კი სწორკუთხაა.

ეკლესიის დარბაზი მოკლეა – თითქმის კვადრ. გეგმის. აღმ-ით მას ერთვის ღრმა, დარბაზის იატაკის მიმართ ოციოდე სმ-ით შემაღლებული, ნახევარ-

წრიული აფსიდი, რ-ის ცენტრში გაჭრილია დაბალი, თაღოვანი სარკმელი. იგი შედარებით მაღლაა „ატანილი“, იმდენად, რომ მისი თაღის ნაწილი კონქის ფარგლებშია მოქცეული. ერთი თაღოვანი, ოღონდ გაცილებით მაღალი სარკმელი დას. კედელშია. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, მაღალი (სიმ. 1 მ), შეისრულთაღიანი ნიშაა. სარკმლის ქვემოთ დგას აგურით ნაგები, კუბური ფორმის ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიბჯენილი. დარბაზი ცილინდრული ფორმის, სხმული კამარითაა გადახურული (კამარის ზედაპირზე ქარგილზე დაფენილი წნელის ანაბეჭდია შემორჩენილი), რ-საც განივკვეთში სავსებით წესიერი ნახევარწრის ფორმა არა აქვს.



278. დას. ფასადი

გარედან შესასვლელის თაღი საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული, რ-საც ორსაფეხურიანი, ვიწრო ფრიზი აგვირგვინებს. კედლის ამ ნაწილზე შემორჩენილია წითელი ფერის საღებავით დახატული, სხვადასხვა, მცირე, გეომეტრ. სახეების კვალი, ფრიზის ზედა საფეხურზე კი, რამდენიმე წრეხაზი.

ფასადები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, რთულპროფილიანი (თარო, შეზნექილი მრუდი ზედაპირი და ლილვი), მაღალი ლავგარდნით, რ-იც აღმ., დას. და სამხრ. ფასადებზე, კედლის ზედა ნაწილებთან ერთად, ჩამოშლილია. ლავგარდანი შელესილი და შეღებილი ყოფილა. ნალესობის აქა-იქ შემორჩენილ ფრაგმენტებზე შესამჩნევია მოწითალო ფერის საღებავის კვალი.


ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.


279. ციხე-გალავნის კომპლექსი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. განაპირას, მთის ძირას, მდ. სტორის (შტორის) მარჯვ. ნაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ციხე გეგმით თითქმის კვადრატულია (100x97 მ). ნაგებობის ოთხივე კუთხეში განლაგებულია ცილინდრული, ხოლო მათ შუა – ნახევრადცილინდრული კოშკები. ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია აგურიც.

ციხე ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსე-



279. გეგმა




279. ხედი სამხრ.-დას-იდან (რეკონსტრუქცია პ. ზაქარაიას მიხედვით)



279. ხედი სამხრ.-აღმ-იდან


ნიება 1721 წელს. იგი კახეთში ლეკ მოთარეშეთა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ფორ-ფოსტი იყო. ვახუშტი ბაგრატიო-



279. ჩრდ.-დას. კოშკი, II სართულის გეგმა


ნის თქმით: „იქმნა ჭმუნვა დიდი კახთა შინა, რამეთუ აღიყრებოდიან და ჰყოფდენ ციხე-სიმაგრეთა და გამაგრდებოდიან მათ შინა თელავს, ალავერდს, ლალისყურს... და ოხრდებოდა ქვეყანა რბევა კირთებითა“. პლატონ იოსელიანის ცნობით, ლალისყურის ციხე ეკუთვნოდა თავად ჯარდან ჩოლოყაშვილს, რ-იც ერეკლე II-ის მიერ იმერეთის მეფის დავითის წინააღმდეგ მო-

შვილს ბაგრატს „მიანდო მას მასვე დროსა გამაგრება ციხისა შილდისა, ლალისყურისა და სხვათა“. პაპუნა ორბელიანი გვამცნობს, რომ 1742 წელს კახეთში მომხდარი დიდი მიწისძვრის შედეგად ციხე დანგრეულა: „შეიქმნა ძვრა საშინელი, რომ ორმოცი დღე და ღამე ქვეყანა ირყეოდა...



279. ჩრდ.-დას. კოშკი, III სართულის გეგმა

არღარა დადგა კახეთს, ალავერდის საყდარი დაიქცა, ლალისყურისა და ახმეტის ციხეები... ორივე დაიქცა“. მაგრამ მისი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, XVIII ს-ის 40-50-იან წლებშივე, ერეკლე II-ეს იგი სასწრაფოდ აღუდგენია. XVIII ს-ის 60-იან წლებში ლეკების წინააღმდეგ წარმოებულ ერთ-ერთ ბრძოლაში, ღართისკარში, მოკლეს ერეკლე II-ის სახლთუხუცესი კონსტანტინე მუხრან-ბატონი. ერეკლე II სოფ. ლალისყურის ბოლოში სასტიკად გაუსწორდა მოთარეშეთა რაზმს. XIX ს-ში ჩოლოყაშვილებმა ციხის სამხრ.-აღმ. ნაწილში საგვარეულო ს ა ს ა ხ ლ ე ჩადგეს და ამ კუთხის



279. ჩრდ-დას. კოშკი, ჭრილი, ხედი სამხრ-დას-კენ

კოშკიც საცხოვრებლად გადააკეთეს. 1772 წ. კახეთში ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის დროს, ეს ციხე ჯერ კიდევ მდგარა: „გალავანი არის ოთხკუთხი, თითოეული (მხარე) 100 ნაბიჯის სიგრძისა. მოსახლეობა უმეტესად მის გარეთ ცხოვრობს“.

ციხის რვა კოშკიდან ყველაზე დიდია სამხრ.-აღმ. კუთხეში მდგარი ცილინდრული კოშკი, რ-ისთვისაც XIX ს-ში ზედა სართული მოურღვევიათ. გადაკეთებულია I სართულიც. გარღვეულია ეზოსთან დამაკავშირებელი კედელი, სადაც კარი უნდა ყოფილიყო. შესასვლელის პირდაპირ ბუხარია. მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშებში თითო სათოფურია გაჭრილი. ნიშებს გარეთ კი – შეწყვილებული სათო-

ფურები. ერთ, მოზრდილ ნიშაში ქვევრია ჩადგმული.

ჩრდ.-აღმ. კოშკისთვის, დროთა განმავლობაში, მდინარეს ძირი გამოუთხრია და თითქმის მთლიანად




279. აღმ. კოშკი, ხედი სამხრ-იდან


დაუშლია. შედარებით კარგადაა შენახული ჩრდ.-დას. კოშკი. შენობა ოთხსართულიანი ყოფილა. სამ სართულს კარი ეზოს მხრიდან, ცალ-ცალკე აქვს. I სართულზე, ეზოსკენ, მაღლა მიმართული ერთი სარკმელია გაჭრილი. კარის გვერდზე კი – ერთი სათოფური. II სართულზე, კარის პირდაპირ, აგურის, შეისრულთაღიანი ბუხარია. ბუხრის გვერდებზე – ორმაგი სათოფურები, აღმ-ით კი – ერთი, მოზრდილი, სწორკუთხა ნიშა. I სართულის მგავსად, ბუხარი III სართულზეც კარის პირდაპირაა მოწყობილი. იგი ერთმანეთზე მიჯუდებული, ორი აგურითაა გადახურული. კედლებში, ორ რიგად, სათოფურებია მოწყობილი. ქვემოთ-ცალმაგი, ძირს დახრილი სათოფურებია, ხოლო ზემოთ – ორმაგი. IV სართულის მხოლოდ ქვემო ნაწილია შემორჩენილი.

სამხრ.-დას. კოშკიდან შემორჩენილია I, II და ნაწილობრივ, III სართული. ორ სართულს შესასვლელი ცალ-ცალკე ჰქონია. I სართულზე მხოლოდ სარკმელი (ეზოსკენ), ნიშა და სათოფურია. II სართულზე, შუაში, ბუხარია, რ-ის გვერდები და გადახურვა აგურისაა. კედლებში – ცალმაგი სათოფურებია მოწყობილი.

ნახევრადცილინდრული კოშკებიდან აღმ-ისას ნაწილობრივ შემორჩა III სართული. მთლიანად მორღვეულია ეზოსკენ მდებარე, სწორი კედელიც. I სართულის მარჯვნივ კარია. კედლებში პირდაპირი მიმართულების მქონე სათოფურებია. II სართულის ცენტრში – ბუხარი. კედლებში ცალმაგი, ძირს დახრილი და ორმაგი, პირდაპირი მიმართულების მქონე სათოფურებია. ჩრდ. კოშკის I სართულს კარი შიგნითაც აქვს და გარეთაც. სართულის კედლებში ოთხი, ორმაგი სათოფურია. II სართულზე, როგორც სხვაგან, შუაში ბუხარია, კედლებში ცალმაგი, დახრილი და ორმაგი, პირდაპირი სათოფურები. დას. კოშკიც თითქმის ამ ორი კოშკის მსგავსია. კარი აქაც ეზოსკენაც არის და გარეთაც – მარჯვ. მხარეს. I სართულის კედლებში ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია. II სართულზე, ცენტრში, შეისრულთაღიანი ბუხარია. გვერდებზე – სათოფურები. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, კოშკის შიდა კედლებზე პილასტრები თუ ნიშებია. სამხრ. კოშკი აგურის შენობის ნანგრევებზე დგას (მიწისძვრით დანგრეული




279. ეკლ. გეგმა



279. ეკლ. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ციხის ფრაგმენტი?). ისიც სხვა დანარჩენი კოშკების მსგავსია. ერთი კარი ეზოდან აქვს, მეორე – გარედან, მხოლოდ ამჯერად – მარცხნივ, რადგან აქეთ იყო ჭიშკარი. I სართულის კედლებზე წინ ნახევარწრიული ამბიონია მოწყობილი. აღმ. სარკმლიდან 1 მ დაშორებით, დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. გრძივ კედლებზე გამოყოფილი წყვილი პილასტრი და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღი დარბაზის შიდა სივრცეს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ კედლის მიმდებარე, საბჯენი თაღი ეყრდნობა. გრძივ კედლებზე, პილასტრის ორივე მხარეს, გამოყვანილია კედლის სიბრტყეში ოდნავ შეღრმავებული, თითო, შეისრული თაღი.



279. ეკლ. სამხრ. ფასადი

ეკლესიას დას-იდან ეკვრის თანადროული, სამსართულიანი სამრეკლო, რ-ის პირველი, სამი მხრიდან შეისრული თაღებით გახსნილი სართული, კარიბჭის როლს ასრულებს. მეორე სართული საცხოვრებელია, მესამეზე კი, სამრეკლოს ფანჩატური იყო მოწყობილი (ამჟამად მოშლილია). პირველი სართულის სამხრ. და ჩრდ. თაღები თანაბარი ზომისაა, დას. თაღი კი რამდენადმე განიერია და ორჯერ უფრო მაღალი. სართული გადახურულია შეისრული კამარით, რ-ის ღერძი ეკლესიის გრძივი ღერძის ხაზზეა. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე ჩრდ. კედელშია დატანებული. კიბეს მაღალი, შეისრულთაღოვანი შესასვლელი აქვს, რ-იც დას-იდან, თაღის მარცხნივაა მოწყობილი – მიწიდან ორმოცდაათიოდე სმ-ის სიმაღლეზე. თაღის მარჯვნივ კი იგივე ზომის და ფორმის ნიშაა. მეორე სართულის ოთხივე კედელში, კუთხიდან კუთხემდე, თანაბარი სიღრმის, შეისრული თაღებია გადაყვანილი. აღმ. კედლის ცენტრში თაღოვანი (შემორჩენილია თაღის ორივე ქუსლი) ბუხარია. ბუხრის ორივე მხარეს – სწორკუთხა ნიშები. მოგვიანებით ბუხარი სარკმლად გადაუკეთებიათ, რ-იც ეკლესიაში გადის. მცირე ზომის სარკმელი ბუხრის ზემოთაცაა გაჭრილი. სწორკუთხა სარკმელი დას. კედლის ცენტრშიცაა. მის ქვემოთ, განიერი, სწორკუთხა ნიშაა. სამხრ. ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია. კარი II სართულსაც ჰქონია. მის პირდაპირ ბუხარია. სართულის კედლებში მრავალი ცალმაგი და ორმაგი სათოფურია.

ციხის სამხრ. მონაკვეთში, გალავნის კედლიდან 4-5 მ დაშორებით, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია. იგი გეგმით სწორკუთხაა (12,8x6,1 მ). ნაგებია რიყის ქვით და აგურით. აქვს ორი, შეისრულთაღიანი შესასვლელი – დას. კედლის ცენტრში და ჩრდ. კედლის დას. ნაწილში. შესასვლელები შიგნიდან და გარედან სწორკუთხა შეღრმავებაშია მოქცეული. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში შეისრულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ნახევარწრიული, სამხრ-ით კი სწორკუთხა, შეისრულთაღიანივე ნიშებია მოწყობილი. აღმ. სარკმლის მსგავსი ორ-ორი სარკმელი ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა. საკურთხეველი დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურითაა ამაღლებული. მის



279. ეკლ. ხედი ჩრდ.-დას-იდან

კედელში მოწყობილია შესასვლელი, რ-საც უკავშირდებოდნენ მისადგმელი კიბით. მეორე სართული გადახურულია ჯვრული კამარით.



279. სამრეკლო, II სართულის ინტერიერი, ხედი ჩრდ.-დას.-კენ

მესამე სართულზე ასასვლელი ჩრდ-ითაა.

გარედან სამრეკლოს სამივე თაღი სწორკუთხა, საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული.

ეკლესიის ორფერდა სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის ახლოს გავანი მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი, რ-ის მიხედვით კედლებს, ქონგურების ნაცვლად, მომრგვალებული თავი ჰქონდა. კედლების ქვედა ნაწილი ყველგან ყრუ იყო, ზემოთ კი, უწყვეტად, ხის კოჭებზე დაყრდნობილი, მებრძოლთათვის განკუთვნილი



279. სამრეკლო, II სართული, კამარა, დეტალი


ბილიკი გასდევდა. შემორჩენილ, მცირე მონაკვეთზე მხოლოდ სათოფური და ერთი, სწორკუთხა ხვრელობი ჩანს (საზარბაზნე?). იმავე რიგში, სავარაუდოდ, სალოდეებიც უნდა ყოფილიყო. სამხრ. კედლის შუაში, შუა კოშკის გვერდით, ჭიშკარია. ჭიშკრის აღმ. კედელი და ზედა ნაწილი მორღვეულია, რის გამოც გადახურვის ფორმა და კონსტრუქცია არ ირკვევა.

თ. დვალი, პ. ზაქარაია.

ბიბლ.: 64; 66; 68; 72; 89; 153; 179დ; 203ვ; 278; 335.

280. წყაროსთავის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ორიოდ კმ-ზე, მდ. სტორის (შტორის) მარჯვ. ნაპირას, ტყიანი მთის ერთ-ერთი განშტოების ბუნებრივად მოვაკებულ, მცირე ფართობზე. სავარაუდოდ, თარიღდება XV ს-ით. ადგილობრივთა გადმოცემით, ეკლესიის სახელწოდება დაკავშირებულია მის მახლობლად მდებარე წყაროსთან, საიდანაც წყალი, თიხის მილებით, ეკლესიის ქვემოთ, მთის ძირას მდებარე ციხე-გალავნისაკენ მიედინებოდა.


შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (სიგრ. – 10 *მ*, სიგ. – 9,2 *მ*) ჩაწერილია მცირე ზომის, დარბაზული ეკლ. და მასთან ფუნქციურად დაკავშირებული, თანადროული, ოდნავ ვიწრო, დაბალი მინაშენი, რ-იც მას სამხრ. მხრიდან ეკვრის. მოგვიანებით, საკუთრივ ეკლესიისთვის, დას-იდან სამრეკლოს ორსართულიანი კორპუსი მიუდგამთ. მინაშენის დას. კედელზე კი, მიუშენებიათ ქვიტკირის, მასიური კიბე (მოიხსნა 2005-06 წწ-ში, ადგილ. მოსახლეობის მიერ ეკლესიის შეკეთების დროს), რ-იც სამრეკლოს ფანჩატურზე ასასვლელად იყო გათვალისწინებული. სამხრ. მინაშენი განცალკევებული ორი სათავსისგან შედგება, რ-ებიც ერთმანეთისგან სქელი კედლით არის გამიჯნული. მათ შორის აღმ-ით მდებარე, სავარაუდოდ, ეკლესიის სადიაკვნისთვის იყო განკუთვნილი, დას-ით მდებარე კი ეგვტერია, რ-იც კარიბჭის ფუნქციასაც ასრულებს.



280. გეგმა


ეკლ. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. კუთხეებში და მნიშვნელოვანი არქიტ. დეტალების გამოსაყვანად გამოყენებულია შირიმის, ნათალი ქვა. კედლები შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან (ეგვტერიდან) და დას-იდან – სამრეკლოს პირველი სართულიდან. შესასვლელები ვიწროა, ორივე შირიმის, ნათალი ქვითაა გამოყვანილი და შირიმისავე კოჭით თარაზულადაა გადახურული. გარედან ორივე კარი ნახევარწრიული ტიმპანითაა დასრულებული და სამი, გლუვი ლილვისგან შედგენილი საპირე ეკვლება, შიგნიდან კი ნახევარწრიულთაღოვან შეღრმავებაშია ჩასმული.



280. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ორი საფეხურითაა შემაღლებული, აფსიდის მხრების ხაზიდან ოდნავ წინწამოწეულია და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდის ცენტრში საშ. ზომის, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული, თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს კი – თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშა. თითო, მსგავსი სარკმელი ჩრდ. და დას. კედლებშიცაა. ეს უკანასკნელი სამრეკლოს ფანჩატურის სივრცეში გადის. აფსიდში თანაბარი სიმაღლის, ორი ტრაპეზი დგას: ოთხწახნაგა და რვაწახნაგა. მათ შორის პირველი – სარკმლის წინაა, კედლიდან 0,5 მ-ს დაშორებით, ხოლო



280. აღმ. ფასადი

მეორე, რ-იც, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა – ჩრდ. ნიშის წინაა. დარბაზის გრძივი კედლები და ოდნავ შეისრული კამარა მარტივი, ერთსაფეხურიანი პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი შეისრულივე, საბჯენი თაღით ორ, თანაბარ ნაწილად იყოფა. კედლებს, მთელ სიგრძეზე, საფეხური გასდევს.

დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში ვიწრო ღიობია, რ-იც მინაშენის აღმ. ნაწილში მდებარე, გეგმით სწორკუთხა სათავსში გადის. ღიობი თარაზულადაა გადახურული და ეკლესიის მხრიდან ნახევარწრიული ტიმპანითაა დასრულებული. სათავსი აღმ-იდან ერთი, სწორკუთხა სარკმლითაა განათებული. გადახურულია კამარით. კამარის ჩრდ. გვერდში, აღმ. კიდესთან, ვიწრო, სწორკუთხა ხვრელია, რ-იც ეკლესიის კონქის თავზე არსებულ სივრცეში ადის. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ეგვტერს შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. იგი ეკლესიის დანარჩენ შესასვლელებზე თითქმის ორჯერ განიერია. კარი აგურით ნაწყობი, ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული. მოგვიანებით, ღიობი გარედან რამდენადმე დაუვიწროებიათ და ხის ძელებით თარაზულად გადაუხურავთ.

ეგვტერი აღმ-ით დასრულებულია აფსიდით, რ-იც სადგომების გამმიჯნავ კედელშია გამოყვანილი. ამის გამო იგი

280. სამხრ. შესასვლელი





280. ეგვტერი, აფსიდი, მოხატულობის ფრაგმენტი

მცირე სიღრმისაა, უსარკმლო, ფორმით კი – ნახევარწრეზე ოდნავ ნაკლები. აფსიდი სამხრეთით უშუალოდ ერწყმის გრძივ კედელს, ჩრდ. კედლიდან კი მას მხარი გამოყოფს. შესაბამისად, აფსიდის თაღის გარკვეული (ჩრდ.) ნაწილი გამოყოფილია ეგვტერის გადამხურავი კამარიდან, ნაწილი კი მის ზედაპირშია ჩართული. თაღის წვერი აგურითაა გამოყვანილი. აფსიდში ქვით ნაგები, კედელზე მიყრდნობილი, სწორკუთხა ტრაპეზი დგას. იატაკი აგურისაა.

ეკლ. და ეგვტერი მთლიანად იყო მ ო ხ ა ტ უ ლ ი (თარიღდება XVI ს-ით). მხატვრობა შესაძლოა ამკობდა სადიაკვნესაც, მაგრამ ამჟამად აქ აღარაფერია შემონახული. მძიმე მდგომარეობაშია ეკლესიის საკურთხევლისა და დარბაზის მხატვრობაც. დარჩენილ ფრაგმენტებზე მთლიანად აქერცლილი და მეტწილად ჩამოცვენილია ფერადოვანი ფენა. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ერთი გამოსახულების თავი და მკერდის ნაწილი. ეს არის დიდი ზომის, მთელი ტანით მოცემული წმ. მეომარი (ეკლესიის მფარველის წმ. გიორგის გამოსახულება?!). სადიაკვნეში, შესასვლელის დას-ით, პირველ რეგისტრში, ფრონტალურად წარმოდგენილი ფიგურაა. ამავე კედელზე დარჩენილია კიდევ რამდენიმე გამოსახულების ნაშთი: წმინდანი სამხრ. პილასტრის ქვედა ნაწილში, ქრისტეს თავი სამხრ. შესასვლელის ტიმპანში და ერთი წმინდანი ამავე შესასვლელის გვერდით, სამხრ. კედლის დას. კიდეში.

მხატვრობის მცირე ნაწილი შემორჩა ეგვტერშიც. აფსიდის კედელზე და კონქში წარმოდგენილი იყო ერთადერთი კომპოზიცია – ვედრება. ამჟამად, შედა-



280. ეგვტერი, ინტერიერი, წარწერის ფრაგმენტი

რებით კარგად, შემონახულია ღვთისმშობლის გამოსახულება. ყურადღებას იპყრობს მისი სახის გამომეტყველება, რკალივით მოხრილი, გრძელი წარბები, დიდი თვალები.

საკურთხევლის ჩრდ. გვერდზე დარჩენილია მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტი. შავი ფერის ხაზით შესრულებული ორნამენტი ამკობს ტრაპეზის დას. მხარეს.

ეგვტერის ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთზე ჩანს წმინდანის (ცხენოსანია?) მკრთალი სილუეტი. ამავე კედლის დას. კიდეში, ეკლესიაში შესასვლელის გვერდით, დარჩენილია ვრცელი, ისტ. შინაარსის წარწერა. ტექსტი შესრულებულია წითელი და შავი ფერის ქართ., ასომთ. ასოებით (ამჟამად ძალიან დაზიანებულია). იქვე ახლოს, ეგვტერის დას. კედელზე, შესაძლოა, ისტ. პირები იყვნენ გამოსახული (შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული ფერადოვანი ლაქები).

ეკლესიისა და ეგვტერის მხატვრობა ე.წ. „ხალხურ" მოხატულობათა ჯგუფს ეკუთვნის. მისი კოლორიტი აგებულია ყვითელი, ღია მოცისფრო-ნაცრისფერი, მოწითალო-ყავისფერი და მოწითალო ფერების შეხამებაზე. ვხვდებით ასევე შავ ფერსაც.

280. ეგვტერი, ინტერიერი, წარწერის ფრაგმენტი ეკლესიის სამხრ. შესასვლელის დას. წირთხლზე



ეკლესიის ფასადები სადაა. კედლის ზედაპირი ბათქაშითაა გასწორებული და შეთეთრებული ყოფილა. ამჟამად შეთეთრება მხოლოდ აღმ. ფასადს შემორჩა. ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის ზემოთ, ოთხკუთხა ქვაზე, ფონის შეღრმავებით, გლუვზედაპირიანი ჯვარია გამოყვანილი. ეკლესიის კედლები დასრულებულია შირიმის ლავგარდნით, რ-ის პროფილს შეადგენს თარო, შეღრმავებული ზედაპირი და ლილვი.



280. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლ. გადახურული იყო ფიქლით (შემორჩენილია ფრაგმენტები), რ-იც ამჟამინდელი კრამიტის საბურავის ქვეშაა მოქცეული.

ეკლესიას ჩრდ. მხრიდან, კედლის დას. ნაწილზე, მიდგმული აქვს ნატეხი ქვით ნაშენი, დაახლ. 1 *მ* სიგანის ბაქანი, რ-ის აღმ. ბოლოში კიბის სამი საფეხურია გამოყვანილი. კიბიდან დას-ით ბაქანი თანდათან მაღლდება. ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხესთან იგი სწორი კუთხით სამხრ-ისკენ უხვევს და სამრეკლოს ჩრდ. კედელს ებჯინება. ამ მხარეს ბაქანი თარაზულია და სამოციოდე სმ-ით უფრო განიერი. სავარაუდოდ, აქედან, ხის მისადგმელი კიბით სამრეკლოს ფანჩატურს უკავშირდებოდნენ.

სამრეკლო ეკლესიაზე ოდნავ გვიანდელია. განეკუთვნება XVI ს-ს. პირველი სართული გეგმით კვადრატს უახლოვდება (5,0x4,6 *მ*). იგი სამხრ-ით და დას-ით ფართო, შეისრული თაღით იყო გახსნილი. მოგვიანებით ისინი ამოუშენებიათ. მათ შორის სამხრ-ისაში ვიწრო შესასვლელი იყო დატანებული, დას-ისაში კი – ბუხარი (2005-06 წწ-ში, ეკლესიის შეკეთების დროს, თაღებში ჩაშენებული კედლები მოშალეს). ერთი თაღი აღმ-ითაცაა. მასში ეკლესიის დას. შესასვლელი გამოდის. ჩრდ-ით სართულის კედელი ყრუა. ამ მხარეს თაღის ნაცვლად, მოწყობილია იგივე ზომისა და ფორმის ნიშა. თაღები კვადრ. აგურითაა (20,5x20,5x4,5 *სმ*) ნაწყობი, წირთხლები კი – ნატეხი ქვით. ნატეხი ქვითვეა ნაწყობი სართულის გუმბათოვანი კამარაც, რ-ის წრიულ საფუძველზე გადასვლა ხორციელდება ოთხივე კუთხეში მოწყობილი, აგურის შეისრულთაღიანი ტრომპითა და მათ გვერდებზე მდებარე, სამკუთხა ელემენტებით, რ-ებიც ტრომპებით შექმნილი რვაკუთხედის ყოველ კუთხეში, სამ-სამი, კუთხით შვერილი აგურითაა გამოყვანილი.

პირველი სართულის დამასრულებელ კვადრ. ბაქანზე აღმართულია აგურით ნაგები, რვაწახნაგა ფანჩატური, რ-ის თითოეულ წახნაგში თითო, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობია გაჭრილი. აღმ. ღერძული წახნაგის ღიობში ეკლესიის სარკმელი გამოდის. სარკმლის ზემოთ, წყობაში ჩასმულ, შირიმის სწორკუთხა ქვაზე, ფონის ჩაღრმავებით, ბოლოებწაწვეტებული, ტოლმკლავა ჯვარია გამოყვანილი. ფანჩატურის წიბოები და ღიობების წირთხლები შირიმითა და ნატეხი ქვითაა ნაწყობი. ღიობის გადამხურავი თაღები კი – აგურით. შიგნით ფანჩატური გადახურულია ნახევარსფერული ფორმის, სხმული კამარით. სამრეკლო ორივე მხრიდან შელესილი (ჩამოცვენილია) და შეთეთრებულია. გარედან, ფანჩატურის თითოეული ღიობის თაღოვანი ნაწილი, აღმ. ღერძული ღიობის გარდა, კედლის მცირედ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, მაღალი ლავგარდნით. სამრეკლო გადახურულია აგურითვე ნაწყობი, პირამიდული სახურავით. მოგვია-



280. სამრეკლო, ხედი სამხრ.-დას-იდან

ნებით იგი თუნუქით შეუმოსავთ. 2005-06 წწ-ში ჩატარებული რემონტის დროს ძვ. საბურავი ახლით შეცვალეს.

ფ. დეკდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

ლაფანყური

(ნაფარეულის თემის საკრებულო)

281. ბოჯისგორის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1,5-2 *კმ*-ზე, ბოჭისგორად წოდებულ მცირე გორაკზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით თითქმის კვადრ. (5,5x4 *მ*). ნაგებია მოზრდილი, სრულიად დაუმუშავებელი, ნატეხი ქვით (ზოგი ქვის სიგრ. 1,5 *მ*-ია), რ-თა შორის დარჩენილი არეები ამოვსებულია წვრილი, ნატეხი ქვებითა და ბათქაშით. კედლების ზედა ნაწილში, აქა-იქ, ტლანქად დამუშავებული, შირიმის ქვებიცაა ჩართული. შიგნითა კედლების წყობაში გამოყენებული ქვებიც ასევე შემთხვევითი ფორმისაა, ოღონდ ბევრად წვრილი ზომისა.

დაზიანებულია: ამჟამად ძ. სანახევროდ დგას. დანგრეულია კედლების ზემოთა ნაწილები. თითქმის მთლიანად – სამხრ. კედელი. კამაროვანი გადახურვიდან მხოლოდ ჩრდ. გვერდის მცირე ნაწილია დარჩენილი. ჩამოშლილია საფასადო წყობის დიდი ნაწილი.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილი). თითქმის კვადრ. მოხაზულობის, მცირე დარბაზს აღმ-იდან ერთვის საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდა, რ-ის ღერძზე გაჭრილია მცირე ზომის სარკმელი. იგი ორივე მხრიდან შირიმითაა გამოყვანილი და გადახურულია ერთ, შირიმისავე ქვაში გამოკვეთილი, გაშლილი ფორმის თაღით. მსგავსი, ოღონდ გარედან სწორკუთხა სარკმელი, დას-ითაცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ერთმანეთის სიმეტრიულად, თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. დარბაზის კამაროვანი გადახურვა შირიმის გათლილი ქვებით ნაწყობ, შეკიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა (შემორჩენილია ჩრდ. ქუსლის წყობის მცირე ნაწილი). ინტერიერი შელესილი და მოხატული იყო. კონქისა და აფსიდის კედლის საზღვარზე ჩანს მოხატულობის გამყოფი ზოლის მცირე მონაკვეთი; აფსიდის კედელზე, სარკმლის მარჯვნივ – ერთი ფიგურის თავისა და შარავანდის ნაწილი. ამჟამად ნახატი მხოლოდ ლაქად აღიქმება.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, შელესილობაზე, მოწითალო საღებავით შესრულებული, ორნამენტული დეტალის კვალია. სავარაუდოდ, ეს იყო დაახლ. 30 *სმ*-ის დიამეტრის წრე, რ-საც გარედან, ერთმანეთის სიმეტრიულად, ოთხი, მარყუჟისებრი ელემენტი ებმოდა. ფასადებს თაროსებრი ლავგარდანი აგვირგვინებდა (ჩრდ. ფასადის დას. კიდესთან შემორჩენილია ერთი ქვა). შენობა დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით (მიმობნეულია შენობის ირგვლივ).

თ. დვალი.

282. დევისხვრელის ეკლესია, ცაბაურთა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ოთხიოდე *კმ*-ზე, მდ. ლოპოტის ხეობაში. ტყეში. თხილისწყაროდ წოდებულ ადგილზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. სამნავიანი ბაზილიკაა, გეგმით სწორკუთხა (18,8x11,9 *მ*). ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. გარეთა კუთხეების წყობაში და კონსტრუქციულ ელემენტებში გამოყენებულია შირიმის, სუფთად გათლილი კვადრები.

ბაზილიკის გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია. შემორჩენილია საკურთხევლის აფსიდი – კონქის მცირე ნაწილთან ერთად, რ-იც მთლიანად შირიმის, ნათალი ქვითაა გამოყვანილი. ასევე, გვერდითი ნავების აღმ. ნაწილში მოწყობილი სათავსები – მთელ სიმაღლეზე. ეკლესიის დანარჩენი ნაწილი დაახლ. 1-1,5 *მ* სიმაღლეზე, გადახურვის ჩამოცვენილი ქვებითა და მიწითაა ამოვსებული, რის გამოც გეგმის ზუსტად დადგენა – გასუფთავების გარეშე – არ ხერხდება. შემორჩა მხოლოდ ნავების გამმიჯნავი, გეგმით წრიული, ორი ბოძის ნაწილი, რ-ებიც საკურთხევლიდან სამიოდე *მ*-ის მოშორებით დგანან.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და ჩრდ-იდან (შემორჩენილია მხოლოდ წირთხლები). საკურთხევლის

282. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან



აფსიდი ღრმაა, ნალისებრი. საკურთხევლის გვერდებზე მდებარე სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნე – გეგმით სწორკუთხაა, გადახურული არიან ცილინდრული კამარით. ორივე სათავსი, შესაბამისი ნავისგან, კედლით იყო გამიჯნული და მას კარით უკავშირდებოდა (შემორჩენილია სადიაკვნის დას. კედელში მოწყობილი კარი, რ-იც თარაზულადაა გადახურული). ორივე სათავსი განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი სარკმლით. მათ შორის სამხრ. სათავსის სარკმელი, ისევე როგორც საკურთხევლის სარკმელი, თაღოვანია, გარეთკენ შევიწროებული. ჩრდ. სათავსის სარკმელი კი პარალელურწირთხლებიანია და ბრტყლადაა გადახურული.

ეკლესიის ფასადები სადაა. სამხრ., დას. და ჩრდ. ფასადები მიახლოებით, 3 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. ფასადების დიდი ნაწილი სუროთია დაფარული. აღმ. ფასადზე, სარკმლის თავზე, რელიეფური წარბია, მცირე, ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში.

ეკლესიის მახლობლად, ჩრდით, ქვითკირის, წრიული ნაგებობის ნაშთია. შესამჩნევია ლოდებით ნაგები შენობის ნაშთიც.

ა. თოფურია.

283. თამარის კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 1,5-2 *კმ*-ზე, მდ. ლოპოტის ხეობაში. მდინარის ერთ-ერთი პატარა შენაკადის გონჯახევის პირას, მუნჯებად წოდებულ ადგილზე.



282. ინტერიერი, ცენტრ. ნავი, ხედი აღმ-კენ


კოშკი გეგმით სწორკუთხაა (სიგრ. – 9 *მ*, სიგ. დაახლ. – 6,5 *მ*), წაგრძელებულია აღმ.-დას-ის მიმართულებით. ნაგებია ნატეხი ქვისა და რიყის ქვის შერეული წყობით. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია სართულნახევრის სიმაღლეზე. კედლებიდან, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე, მიწიდან დაახლ. 4 *მ* სიმაღლეზე მხოლოდ ჩრდ-ისკა დგას. აღმ. და დას. კედლები ნაწილობრივაა შემორჩენილი, ხოლო სამხრ-ისა მთლიანად დანგრეულია და ნანგრევებით ისეა დაფარული, რომ მისი კვალიც კი აღარ ჩანს.


კოშკის პირველი სართული ნანგრევებითაა სავსე და მისი არქიტ. გადაწყვეტა არ ირკვევა. დას. კედელში მცირე, კვადრ. ხვრელია (20x20 *სმ*), რ-იც, როგორც ჩანს, სართულის განათებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. კოშკის მეორე სართულის კედლებიდან არსებითად, მხოლოდ ჩრდ. კედელია დარჩენილი – დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე. ამ კედლის შუა ნაწილში მცირე, სწორკუთხა ნიშაა, დას. კიდესთან კი – მცირე, გამჭოლი, კვადრ. ხვრელი.

თ. დგალი.

284. იახსრის ხატი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით მდ. ჭურისხევის ზემო წელში, ტყეში. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,3x4,3 *მ*), უაფსიდო. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. გარეგან კუთხეებში და, აქაიქ, კედლის საპირე წყობაში გამოყენებულია ტლანქად და-






284. გეგმა. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

მუშავებული შირიმი. შენობას ორი, სწორკუთხა შესასვლელი აქვს: დას-იდან და ჩრდ-იდან. ეს უკანასკნელი მოგვიანებით ამოუშენებიათ. დარბაზი (ფართ. – 15 *კვ მ*) აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-ის შუაში გაჭრილია ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი. სარკმელს საფეხურებად დამუშავებული, თარაზული გადახურვა აქვს და შიგნიდან გარეთკენ, თანდათანობით მაღლ-

დება. მსგავსი, მცირე ზომის სარკმელი სამხრ-ითაცაა. მისი ზემოთა ნახევარი კამარის მრუდშია მოქცეული.

ეკლესიის საკურთხევლის გვერდითი კედლები დარბაზის გრძივი კედლების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. საკურთხეველი გადახურულია კამარით, რ-იც მოგვიანებით უნდა



284. დას. ფასადი

იყოს შეკეთებული. მას საკმაოდ დაღრეცილი ზედაპირი აქვს. აღმ. და სამხრ. კედლებში, საკურთხევლის სამხრ-აღმ. კუთხესთან ახლოს, თითო, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ბოლოშიცაა.

დარბაზი გადახურულია ნატეხი ქვით ნაწყობი კამარით.




284. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

საკურთხევლის გადახურვასთან ერთად, იგი გვიანდელია და ჭრილში კვერცხისებრი ფორმა აქვს. კამარა დარბაზის გრძივ კედლებს უშუალოდ არ ერწყმის და ოდნავ (დაახლ. 10 *სმ*-ით) კედლის სისქეშია შეწეული, რის გამოც მათ საზღვარზე საფეხური იქმნება, რ-იც მოგვიანებით ნალესობით შეუვსიათ. ინტერიერი შელესილია.

გარედან კედლების ზედაპირი ბათქაშითაა გასწორებული, რ-იც საპირე ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. ოთხივე ფასადის წყობის ზედა ნაწილი ჩამოშლილია, ჩრდ. ფასადი კი – თითქმის მთლიანად – ხავსითაა დაფარული. კედლები დასრულებული იყო თაროსებრი ლავგარდნით (ჩრდ. ფასადზე შემორჩენილია ორი ქვა). ეკლ. გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით (ამჟამად სახურავზე მცენარეულობაა ამოსული), რ-ის ნაშთებია შემორჩენილი.

თ. დვალი.

285. კიპორჭების ციხე, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ოთხიოდე *კმ*-ზე, მდ. ლოპოტის ხეობაში, ხშირი ტყით დაფარულ ფერდობზე. სავარაუდოდ, თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით.



285. გეგმა (სქემა)

კოშკს თავისებური აღნაგობა აქვს. ეს არის გეგმით კვადრ. ნაგებობა (შიგნითა ზომები: 4,8x4,8 *მ*, კედლის სისქე – 0,8 *მ*), რ-ის ოთხივე კუთხეში, სიმტკიცისათვის, მძლავრი, ოთხკუთხა ბურჯი ისაა ჩართული, რომ მათი უმეტესი ნაწილი კედლების ფარგლებს გარეთაა გასული (გარეთა ზომები, შვერილების ჩათვლით – 8x8 *მ*). შენობა ფიქლითა და დუღაბით მკვრივადაა ნაშენი. ალაგ-ალაგ, ჩართულია მოზრდილი ზომის, ნატეხი ქვებიც.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: კედლები 3-3,5 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი, კუთხის ნაწილები კი – 6-6,5 *მ* სიმაღლეზე.

კოშკი დამრეც ადგილზეა აგებული, რის გამოც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ფერდობშია შეჭრილი. შესასვლელი (შემორჩენილია ორივე წირთხლის ნაწილი) ფერდობის მხარეს, მიწის დონეზე, აღმ-იდანაა. ღიობის სამხრ. წირთხლის მთელ სიმაღლეზე კარის ჩარჩოს ჩასადგმელი ღრმულია. შესასვლელის ორივე მხარეს, მიწიდან დაახლ.



285. ინტერიერი, დეტალი

1,8 *მ* სიმაღლეზე, მოზრდილი, ორ-ორი სათოფურია მოწყობილი. სათოფურები ანალოგიურადაა განლაგებული სამხრ. და ჩრდ. კედლებშიც, რ-თა შორის, სათოფურების ძირის დონეზე, თითო, განიერი ღიობია. დას. კედელი ერუა. გარედან იგი მთლიანად მიწითაა დაფარული. გარედანვე, კოშკის ოთხივე ბურჯის ზედა ნაწილში, ერთ დონეზე, ერთ-ერთი წახნაგის მთელ სიგანეზე, თარაზული ღრმულია, რ-შიც ხის ძელი იყო ჩადგმული.

კოშკი სათავდაცვო ნაგებობის საინტერესო ნიმუშია. მსგავსი ტიპის ნაგებობა მდ. ჩელთის ხეობაში, სოფ. შილდის მახლობლადაც არის მიკვლეული.



285. ხედი ჩრდ.-დას-იდან

თუ გავიხსენებთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას, რ-ის მიხედვით კიპორჭი, იგივე წანწალა „არს ერთი ლატანი რა ჴიდსავად გასდვა გასავალად“, სავარაუდოდ, შეიძლება ძეგლის სახელწოდების ახსნაც. რაც, სავსებით შესაძლებელია, ბურჯებში ჩადგმულ ხის ძელებს უკავშირდებოდეს.

თ. დვალი

286. ლაშარის ჯვარი, მ ა რ ა ნ ი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, დაახლ. 2-2,5 *კმ*-ზე. მდ. ლოპოტის მარჯვ., პატარა შენაკადის მაჩხაურისხევის ხეობაში, ტყეში. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ნაგებობა გეგმით თითქმის კვადრატულია (მიახლ. 9,8x8,7 *მ*). ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. შემორჩენილია მხოლოდ ორი კედელი – 1-1,5 *მ* სიმაღლეზე. დანარჩენი ორისგან კი მხოლოდ კვალი იკითხება. შემორჩენილი კედლებიდან ერთს მთელ სიგრძეზე გასდევდა ქვით ნაგები საწნახელი (შემორჩენილია ნაშთები), რ-იც ვიწრო ტიხრით ორ, თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი.

სოფლის მოსახლეობას, რ-იც XX ს-ის დასაწყისში არაგვისა და ივრის ხეობიდან ჩამოსახლებული ფშაველებისგან შედგება, ნანგრევებთან მცირე, სასანთლე ნიში აუგია და მისთვის ლაშარის ჯვარი უწოდებია. ნაგებობასაც ამ სახელით მოიხსენიებენ.

თ. დვალი.

287. მაჩხაურის სასახლე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 2-2,5 *კმ*-ზე. მდ. ლოპოტის მარჯვ. შენაკადის მაჩხაურისხევის ხეობაში, ტყეში. ესაა მოზრდილი ნაგებობის ნანგრევები (მიახლოებითი ზომები გარედან: სიგრ. – 25 *მ*, სიგ. – 16 *მ*), რ-საც ადგილ. მოსახლეობა „სასახლეს“ უწოდებს. სავარაუდოდ, თარიღდება IX-X სს-ით.

შენობის შემორჩენილი კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწითა და მცენარეულობით ისეა დაფარული, რომ მისი გეგმის ზუსტად დადგენა – გასუფთავების გარეშე – შეუძლებელია. ნაგებობა ორი, სხვადასხვა ზომის, ოთხკუთხა ნაწილისგან შედგება: მათ შორის ერთი, აღმ-ით მდებარე, შედარებით დიდია. იგი აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული და გრძივი კედლით გამიჯნულ, სხვადასხვა სიგანის, ორ სადგომს შეიცავს. ამ ნაწილს დას-იდან ეკვრის, ოდნავ უფრო მოკლე, მაგრამ შედარებით განიერი ნაწილი, რ-იც ორსართულიანია.

შენობა ნაგებია დიდი ზომის, რიყის ქვით, ქვა ფორმისა და ზომის მიხედვით შერჩეულია და დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვნად გამავალ რიგებად.

აღმ. ნაწილის სადგომებიდან, სამხრ-ით მდებარე, თითქმის ორჯერ ვიწროა მეორეზე და გარეთკენ სწორკუთხა ბურჯებზე გადაყვანილი თაღედით იყო გახსნილი. შემორჩენილია აღმ. განაპირა თაღის ერთი (აღმ.) გვერდი – შესაბამისს წირთხლთან ერთად და ორი ბურჯის ნაშთი. ჩრდ. სადგომიდან კი, მხოლოდ ჩრდ. კედლის დას. ნაწილიღა დგას. დანარჩენი კედლების მხოლოდ კვალი იკითხება.

ნაგებობის დას. ნაწილის ორივე სართული შედგება ერთმანეთთან თაღოვანი გასასვლელებით დაკავშირებული, სამ-სამი კვადრ. ოთახისგან. ქვემოთა სართულის ოთახებიდან ორი ნანგრევებითაა სავსე და მათი არქიტ. გადაწყვეტა არ ირკვევა. მესამე, სამხრ-ით მდებარე ოთახი, კამაროვანია. ოთახის აღმ. კედელში მოწყობილია საშ. ზომის, სწორკუთხა ნიშა. მეორე სართულის დიდი ნაწილი დანგრეულია. ოთახების გამმიჯნავ ორივე კედელს თაღოვანი გასასვლელის წირთხლები და თაღის ქუსლების ნაწილები შემორჩა. ჩრდ-ის განაპირა ოთახში აფსიდის მსგავსი, აღმ-ით ორიენტირებული მომრგვალებაა.

თ. დვალი.

288. ნაკოშკარა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ტყიან ბორცვზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. შენობა დანგრეულია. კედლები (სისქე 90 *სმ*-ია) ნაწილობრივაა შემორჩენილი, დაახლ. 50 *სმ*-ის სიმაღლეზე. გეგმა არ იკითხება. შენობა ნაგები იყო ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. ადგილ. მოსახლეობა ძეგლს ნაკოშკარას უწოდებს.

ბ. კუპრეიშვილი.

289. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეუ-


ლის I ნახევრის დასასრულით. აღმოჩნდა 1966 წელს, თელავის კირქვა-მარმარილოს კომბინატის კარიერის მიმართულებით გზის გაყვანის დროს. ძ. იმავე წელს შეისწავლა ՕԱՅ ინ-ტის ՀԱՅ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

სამარხში აღმოჩნდა ოდნავ ჩაზნექილპირიანი და მომრგვალებულძირიანი ქვის ჯამი, ხელით ნაძერწი, ხუთი ჭურჭელი, რ-ებიც დამზადებულია ქვიშის, თეთრი, ზოგჯერ ბრწყინავი მი-



289. შემთხვევით ნაპოვნი მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი. განვით. შუა საუკუნეები

ნარევისა და წვრილი კენჭების შემცველი თიხით; ამოკაწრული, კონცენტრული ხაზითა და კოპებით შემკული, შავპრიალა ქილა; ასიმეტრიული ფორმის ორი ქოთანი. მათგან ერთი – მორუხო-მოყავისფროა, მეორე – მოწითალო-მორუხოდ გამომწვარი, ცალყურა, შვერილისებრი ორი კოპით; მორუხო-მოყავისფრო




289. შემთხვევით მოძიებული მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი. განვით. შუა საუკუნეები

ბადია და კათხა, რ-საც სწორი, ბრტყელბაკოიანი პირი და ბრტყელი, ღარიანი ყური აქვს. ბადიას პირს, ზემოდან, გარშემოუყვება ამოღარული ხაზი. კათხას მსგავსი ხაზი პირს ქვემოთ აქვს შემოვლებული. ძ. მიეკუთვნება თრიალეთურ კულტურას.

არქეოლ. მასალა ინახება თელავის მხარეთმც. მუზეუმში.

სოფლის მიდამოებში, ძირითადად მდ. ლოპოტის ხეობაში,



289. შემთხვევით ნაპოვნი მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი. განვით. შუა საუკუნეები


ადგილ. მოსახლეობის მიერ, აღმოჩენილია სხვადასხვა არქეოლ. მასალა, რ-იც დაცულია სოფლის სკოლის მუზეუმში.

რ. რუსიშვილი.

290. ტორნისის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 3 *კმ*-ზე, მდ. ლოპოტის ხეობაში, ტყეში. თარიღდება VII-VIII სს-ით.


ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა (10,2x9,2 *მ*). ეკლესიის კორპუსის ძირითადი ნაწილია ორფერდა სახურავით გადახურული, დარბაზული სივრცე, რ-საც სამი მხრიდან (სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან) შედარებით დაბალი, ცალფერდასახურავიანი მინაშენი ეკვრის. მიუხედავად იმისა, რომ შენობის ორივე ნაწილი ერთდროულადაა აგებული, ისინი ერთმანეთს წყობით არ ებმის. მინაშენის გვერდით ნაწილებში თითო, აფსიდიანი სადგომია, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს, დას. ნაწილში კი – მთავარი ეკლესიის გაგრძელებაზე – დერეფანია, რ-იც გვერდით ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს. მინაშენის ჩრდ. ფრთის აღმ. ბოლოში მოწყობილია მცირე სათავსი – სამკვეთლო, რ-იც მხოლოდ შუა, მთავარ ეკლესიას უკავშირდება.

290. გეგმა



ეკლ. ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეების და კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, ლოდებია ჩართული. წყობა ირეგულარულია. კარ-სარკმლებისა და საბჯენი თაღები თარაზულად არის გადახურული, ხოლო შიგნიდან – ნალისებრი თაღით. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი, ნალისებრთაღიანი სარკმელი, რ-იც საფეხურით შეღრმავებულ, ნალისებრი თაღით დასრულებულ არეში ხის. ამჟამად სარკმელს თაღის და სამხრ. გვერდის უმეტესი ნაწილი მონგრეული აქვს. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდის კონქის თაღისგან, მხოლოდ ჩრდ. გვერდის მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი. იგი დაყრდნობილია წყობიდან ოდნავ შეერილ, თხელი ქვის იმპოსტზე. მსგავსი იმპოსტებია გამოყოფილი დანარჩენი საბჯენი თაღების ქუსლებთანაც. დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო, ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-თა განაპირა საფეხურებს კედლის ყრუ თაღები ეყრდნობა, წინა საფეხურზე კი კამარის საბჯენი თაღი იყო დაყრდნობილი. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. ამ უკანასკნელებზე კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაქვანილი. ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში ნალისებრთაღოვანი კარია, რ-იც სამკვეთლოში გადის. კარი სამკვეთლოს მხრიდან ლოდით, თარაზულად არის გადახურული.

სამკვეთლო უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში ნალისებრთაღიანი სარკმელია. ერთი, თაღოვანი სარკმელი ჩრდ. კედელშიცაა.




290. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ნაწყობია საკმაოდ თხელი, რიყის ქვით.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია მთავარი და სამხრ. ეკლესიების კამარები დანგრეულია მთავარი ეკლესიის აღმ. კედლის სამხრ. ნახევარი და სამხრ. კედლის დიდი ნაწილი. მთავარი ეკლ. და სამხრ. მინაშენი, დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე (ზოგ ადგილას ნაყარის სიმ. გაცილებით მეტია), მიწითა და ქვებითაა ამოვსებული.


ეკლესიას ორი, ორმალიანი, თაღოვანი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. თაღები ნახევარწრიული ფორმისაა და სწორკუთხა ბურჯზეა დაყრდნობილი.

შუა ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნახევარშია. კარი გარედან



290. ჭრილი დას. გარშემოსავლელზე, ხედი აღმ-კენ

სამხრ. ეკლ. ერთიანი, წაგრძელებული სადგომია, ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ცენტრში სარკმელია გაჭრილი. სარკმელს გადახურვა და გარეთა ნაწილი მოხგრეული აქვს. შიგნიდან, სარკმლის ჩრდ. წირთხლს თაღის მცირე ნაწილი შემორჩა, რ-იც ნალისებრი მოხაზულობისაა.



290. დას. ფასადი

ჩრდ. ეკლესიის აფსიდიც ნახევარწრიულია. მის ჩრდ. გვერდში, იატაკიდან დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე, მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაა, ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში კი თაღოვანი სარკმელი.

290. ხედი სამხრ.-დას-იდან



დას. გარშემოსავლელი გვერდით ეკლესიებში მთელ სიგანეზეა გახსნილი. იგი გადახურულია კამარით. კამარის ბოლოებში, შეკიდული საბჯენი თაღია, რ-იც მას გვერდითი ეკლესიების კამარებისგან გამოყოფს. თვით კამარის დასაყრდნობად, მთავარი ეკლესიის დას. კედელზე, შეკიდული, სამი თაღის მეშვეობით, ოციოდე სმ სიგანის საფეხურია შექმნილი. მსგავსი საფეხურია მთავარი ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლების მთელ სიგრძეზეც. ჩრდ. კედელზე არსებულ საფეხურზე სამკვეთლოს და ჩრდ. ეკლესიის კამარაა დაყრდნობილი. სამხრ. ეკლესიის კამარისგან კი, მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა.

ეკლესიის კედლების ზედაპირი, შიგნიდან და გარედან, გასწორებული იყო სქელი ბათქაშით (შემორჩენილია ალაგ-ალაგ).

მთავარი ეკლესიის დას. ფასადის შუა არეში, ერთმანეთთან ახლოს, სამი ვიწრო, მომაღლო, თაღოვანი ნიშაა – ერთი შუაში, ზემოთ, დანარჩენი ორი – მის ორივე მხარეს, რ-თა ძირი დას. გარშემოსავლელის გადახურვის დონეზეა. შუა ნიშის მთელ სიმაღლეზე გამოყვანილია რელიეფური, წითლად შეღებილი ჯვარი. გვერდითი ნიშები, შუა ნიშისგან განსხვავებით, კედლის სიბრტყეში ორი საფეხურით არის შეღრმავებული და სრულიად სადაა.

შენობის აღნაგობაში საყურადღებოა ორი მომენტი: I – ჩრდ. ეკლ. მთავარი ეკლესიისგან სრულიად იზოლირებულია, II – მთავარ ეკლესიას დას. გარშემოსავლელიდან შესასვლელი არა აქვს. მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოა დას. ფასადის გაფორმების მიზნით ბრტყელი ნიშების გამოყენება.

თ. დუალი.

ბიბლ.: 317; 335.


ლეჩური

(ფშავლის თემის საკრებულო)

291. ბზიანის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, 1 *კმ*-ზე. თარიღდება VIII-IX სს-ით.


ეკლ. მცირე ზომის, დარბაზული ტიპის სამლოცველოა, რ-საც სამხრ-იდან და დას-იდან

ერთიანი გარშემოსავლელი ეკვრის (8,2x6 მ). გარშემოსავლელის დას. ნაწილი ორსართულიანია. გარედან იგი ეკლესიის კორპუსისგან ცალკე მოცულობად არ გამოიყოფა და ეკლესიასთან ერთად, საერთო, ორფერდა სახურავით იყო გადახურული. გარშემოსავლელის სამხრ. ნაწილი გაცილებით უფრო დაბალია და ცალფერდა სახურავი ეხურა.



291. გეგმა


ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია ეკლესიის და გარშემოსავლელის ორივე ნაწილის კამარა. მთელ სიმაღლეზეა გარღვეული დას. კედელი. ეკლესიის აღმ. და დას. კედლების ზედა ნაწილები მონგრეულია. შიგნით, დარბაზში და გარშემოსავლელში ამოსულია ხეები. ინტერიერი, დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე, ამოვსებულია ჩამონაშალი ქვებითა და მიწით.



291. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. გარეთა კუთხეების წყობაში და, ალაგ-ალაგ, ფასადებზე საკმაოდ მოზრდილი ქვებიცაა ჩართული.

თავად ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან მოზრდილი ქვით თარაზულადაა გადახურული. შიგნიდან კი – ოდნავ ნალისებრი თაღით. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია გარეკედ შეკვიწროებული, თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს თითო, მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაა. დარბაზის გრძივი კედლები სადაა, უპილასტრო. დას. კედლის ჩრდ. ნაწილში გაჭრილია განიერი, პარალელურწირთხლებიანი ღიობი, რ-იც გარშემოსავლელის დას. ნაწილის თავზე არსებულ სადგომში გადის. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი ნალისებრია. იგი თხელი ქვის თაროსებრ იმპოსტებზეა დაყრდნობილი. დარბაზის გადამხურავი კამარისგან, მთელ სიგრძეზე მხოლოდ გვერდების მცირე ნაწილია შემორჩენილი.



291. დას. ფასადი

გარშემოსავლელის სამხრ. ნაწილის სამხრ. კედელში მოწყობილია ორი განიერი, ნალისებრთაღოვანი შესასვლელი (ძლიერ დაზიანებულია), რ-თა შორის მანძილი 1, 8 მ-ია. თვით თაღების სიგ. კი – 1,5 მ. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია სრულიად დაუმუშავებელი ქვის თაროსებრი იმპოსტები. მსგავსი ორი თაღია გარშემოსავლელის დას. ნაწილის დას. კედელშიც, ოღონდ აქ თაღებს შორის მანძილი გაცილებით უფრი მცირეა. მათ შორის შედარებით უვნებლად, ჩრდ-ით მდებარე ღიობია შემორჩენილი. სამხრ-ით მდებარე ღიობს კი, თაღის ნაწილი ჩამოშლილი აქვს. გარშემოსავლელის სამხრ. ნაწილი აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია მცირე, სწორკუთხა სარკმელი. აქაც, სარკმლის ორივე მხარეს, ისევე როგორც ეკლესიის მთავარ საკურთხეველში, თითო, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი.

გარშემოსავლელის დას. ნაწილის თავზე არსებული სადგომი გეგმით სწორკუთხაა. როგორც ჩანს, მასში მოხვედრა მხოლოდ ეკლესიის დას. კედელში არსებული ღიობიდან (სიგ. – 80 სმ), მისადგმელი კიბით იყო შესაძლებელი. სადგომი ერთადერთი სწორკუთხა სარკმლით ნათდებოდა, რ-იც დას. კედელშია გაჭრილი.

თ. ჯვალი.

ბიბლ.: 335.

ნასამხრალი

(კისისხევის თემის საკრებულო)

292. ეკლესიების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. განაპირას, სასაფლაოზე. შედგება გვერდიგვერდ მდგომი ორი, მცირე ზომის ეკლესიისგან და ოთხკუთხა გეგმის მქონე, გაურკვეველი ნაგებობის ნაშთისგან. ეკლესიებიდან ერთი ღვთისმშობლის სახელობისაა, მეორე კი – წმ. გიორგის. ორივე გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება. მათ შორის შედარებით ადრინდ., როგორც ჩანს, ღვთისმშობლის ეკლესიაა, რ-ის აგებიდან, დროის მცირე მონაკვეთში, მეორე ეკლ. ააგეს. მესამე ნაგებობა მიწითაა დაფარული და გათხრა-გასუფთავების გარეშე მისი დანიშნულების გარკვევა არ ხერხდება.

ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზული ტიპის სამლოცველოა (4,6x3,1 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვის ირეგულარული წყობით. კარ-სარკმლების წყობაში, რიყის ქვასთან ერთად, შირიმის, დაუმუშავებელი ქვებიცაა

გამოყენებული. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, აღმ., დას. და ჩრდ. კედლებს, შუაში, მთელ სიმაღლეზე, ფართო, გამჭოლი ბზარი დაუყვება, მონგრეულია კედლებისა და კუთხეების ზედა ნაწილები.

შესასვლელი დას-ითაა. იგი აგურით ნაწყობი, შეისრული თაღითაა დასრულებული, რ-იც, გარედან, კედლის სიბრტყეში საფეხურითაა შეღრმავებული. შიგნიდან კი სწორკუთხაა. აღმ-ით არაწესიერი ნახევარწრის ფორმის



292. დვთისმშობლის ეკლ. ხედი აღმ-იდან

აფსიდია, რ-ის ცენტრში გაჭრილი სარკმლისგან მხოლოდ წირთხლების ნაწილებიღაა შემორჩენილი. იგივე მდგომარეობაშია დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც. აფსიდის ორივე გვერდში, მხრებთან ახლოს, თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა. მათგან ჩრდ-ისა შედარებით ფართოა (იკითხება მხოლოდ კვალი). აფსიდის შუა ნაწილში და სამხრ. გვერდში, კონქის ქუსლის დონეზე, ბათქაშზე, აღბეჭდილია მარჯვ. ხელის მტევანი.

ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან, დიაგონალურად, ორიოდე მ-ის მანძილზე, დგას წმ. გიორგის ეკლესია. ეკლ. გეგმით სწორკუთხაა (4,1x3,2 მ), შეიცავს ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ, სამშენ. ფენას, რ-ებიც ერთმანეთისგან როგორც საშენი მასალით, ისე წყობის ხარისხითაც განსხვავდება. შენობის კედლების თავდაპირველი ნაწილები, ძირითადად, რიყის, მოზრდილი ქვის ირეგულარული წყობითაა გამოყვანილი. მოგვიანებით, კედლების დანგრეული ნაწილები და კამარა შედარებით წვრილი, რიყის ქვით ტლანქად აღუდგენიათ. 1980-იან წლებში შენობა შიგნიდან შეუთეთრებიათ და კედლების მთელ პერიმეტრზე ზეთის, ცისფერი საღებავით პანელი გაუყოლებიათ.

ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან აგურით ნაწყობი, შეისრული თაღითაა (გვიანდელია) გადახურული, შიგნიდან კი, სწორკუთხაა. აღმ-ით საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე სარკმელია გაჭრილი, რ-იც შიგნიდან გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება და ორი, მოზრდილი ქვით ბრტყლადაა გადახურული. მსგავსი, შედარებით მცირე ზომის სარკმელი ეკლესიის დას. კედელშიცაა. აფსიდის გვერდებში, სიმეტრიულად, თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა განლაგებული. ხოლო სარკმლის ქვემოთ, კედელზე, სწორკუთხა ტრაპეზია მიშენებული. საკურთხეველი გადახურული იყო წესიერი ფორმის, რიყის ქვით გამოყვანილი კონქით, რ-ის შემორჩენილ ნაწილში თიხის რეზონატორია ჩადგმული.



292. წმ. გიორგის ეკლ. ხედი აღმ-იდან

მოგვიანებით ჩატარებული რემონტის დროს, დარბაზის კამარის განახლებისას, აფსიდიც იგივე ფორმის კამარით გადაუხურავთ, რის გამოც აფსიდის თავდაპირველ და განახლებულ ნაწილებს შორის სრული შეუსაბამობაა და მათი ქრონოლ. განსხვავებაც ადვილი შესამჩნევია. ამავე რემონტის დროს ეკლესიის იატაკზე კვადრ. აგური დაუგიათ, გარედან კი აგურის, საფეხუროვანი ლავგარდანი მოუწყვიათ.

ეკლ. დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით (შემორჩენილი იყო მხოლოდ ჩრდ. კალთაზე).

2011-12 წლებში, სოფლის მოსახლეობამ ეკლ. აღადგინა.

თ. დვალი.

ნაფარეული

(თემის საკრებულოს ცენტრი)

293. ნაფარეული, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 19 კმ-ზე, მდ. ალაზნის ვაკეზე, მდ. ლოპოტის მარცხ. ნაპირას. „ნაფარეული“ ცხვრის ფარის ნადგომს – ნ ა ფ ა რ ა ე უ ლ ადგილს ნიშნავს. სოფელზე გადიოდა „ცხვრის გზა“ (ჭიაურის გზა), რ-იც სოფლების: ნაფარეულის, საბუის, შილდის, ყვარლის, ჭიაურის გავლით დაღესტნის მთებში ადიოდა. ამ გზით დაჰყავდათ ცხვარი თუშებს, კახელების ნაწილს და პანკისელებს. მეცხვარეობა-მესაქონლეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აღმ. საქართვ. მთისა და ბარის ურთიერთობის საქმეში, ამიტომ ეს გზა შუა საუკუნეებში მეტად ზრდიდა ნაფარეულის მნიშვნელობას. სოფელზე გადიოდა „გრემის არხი“ – შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი საირიგაციო ნაგებობა, რ-ის სათავე მდ. ლოპოტას ზემო წელში, სოფ. ლაფანყურიდან შვიდიოდე კმ-ზე, გონჯახევის გოგირდოვან წყლებთანაა,

ნაფარეული და მისი შემოგარენი კახეთის სამეფოს წარმოქმნისა და შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ეპოქაშიც (XVI-XVIII სს-ის I ნახევარში) საუფლისწულო მამულად ითვლებოდა. თუმცა, უკვე XVIII ს-ის დასაწყისში – დავით II-ის (იმამყული-ხანი) მმართველობის დროს – სოფლის ყმა-მამულის ერთ ნაწილზე ხელი მიუწვდებოდათ აზნაურ პეტრიაშვილებს. ერთი ამ სახლის შთამომავალთაგანი ერეკლე II-ის „მებალახე“ მოხელეა. ნაფარეული ტერიტორიულად ნეკრესისა და ალავერდის საეპისკოპოსოთა გავლენის საზღვარზე მდებარეობდა, რის გამოც, შუა საუკუნეებში, ამ

ორ ეპისკოპოსს შორის ხშირად ჰქონდა ადგილი დავას სოფლის თაობაზე. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ამ დავაში სამეფო ხელისუფლებაც ერევა. მეფე სათანადო საბუთების მოშველიებით განმარტავს, რომ „კახეთში ალავერდლის დადგინების რიცხვი იყო" 1466 წელი და ვინაიდან, უძველესი დროიდან, სოფელი ნეკრესელის სამწყსოში და გრემის სამოურავოში შედიოდა, ნეკრესელს უფრო მიუწვდებოდა ხელი ნაფარეულზე.

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, XVIII ს-ის 80-იან წლებში, რუსეთში გაწეული ელჩობის ჯილდოდ, ერეკლე II-მ აღადგინა გარსევან ჭავჭავაძის სახლი და მას, სხვა წყალობებთან ერთად, უბოძა ეშიკაღაშბაშობა და სოფ. ნაფარეულიც. ამ დროიდან სოფელი თავად ჭავჭავაძეთა კუთვნილებაა. ტერიტორიულად ის კახეთის მეორე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა და ომიანობის შემთხვევაში სოფლიდან გამოსული ლაშქარი ნეკრესელი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ დგებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ნაფარეული ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრის შემადგენლობაშია.

XVIII ს-ის შუა წლებშია აგებული ნაფარეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტ. ძ. ციხე-გალავანი, რ-საც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „ლეკიანობის" თუ სხვა გარეშე მტერთაგან ახლომახლო მოსახლეობის თავდაცვის საქმეში. ციხე-გალავანმა XIX ს-ში დაკარგა თავისი ფუნქცია, მოსახლეობამ იგი ქვის კარიერად აქცია, რამაც ძ. ძლიერ დააზიანა.

1812 წლის ზაფხულში, მეფის რუსეთის წინააღმდეგ კახეთის აჯანყების დროს, ციხის მიდამოებში, მეფის ჯარებსა და კახელ მოლაშქრეთა შორის, მოხდა მნიშვნელოვანი ბრძოლა, რ-იც აჯანყებულთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლის შემდეგ, გამარჯვებულმა კახელებმა ომან მაყაშვილი და იოსებ ანდრონიკაშვილი ნაფარეულიდან ერევანში გააგზავნეს, რათა იქ მდგომი ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთის ტახტზე მოეწვიათ.

XIX ს-ის 20-იან წლებში გარსევან ჭავჭავაძის მემკვიდრემ – ალექსანდრემ მილიონი მანეთის სესხი აიღო და იგი ნაფარეულში მეგვინახეობისა და მეხილეობის მეურნეობის მოსაწყობად გამოიყენა (მეურნეობა 1921 წ. გადაკეთდა ნაფარეულის საბჭ. მეურნეობად).


1883 წელს ნაფარეულში დაარსდა ღვინის ქ-ნა, რ-იც XX ს-შიც მოქმედებდა. სოფელში განვითარებულია მეხილეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა.

კ. კახაძე.

ბიბლ.: 66; 76; 179დ; 204გ,დ.

294. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 2-3 კმ-ზე, ვენახებში.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა. სავარაუდოდ, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. ძლიერ დაზიანებულია. იმდენად, რომ გასუფთავების გარეშე გეგმის ზუსტად დადგენა არ ხერხდება (ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრ. – 11 *მ*, სიგ. დაახლ. – 7 *მ*). შემორჩენილია: მთავარი ეკლ. (კედლების მაქს. სიმ. 2 *მ*), ჩრდ.




294. გეგმა

ნავის აღმ. ნაწილი (სიმ. – 1,7 *მ*) და დას. გარშემოსავლელის დას. კედლის მცირე მონაკვეთი (სიმ. – 0,7 *მ*). სამხრ. ეკლ. მთლიანად დანგრეულია.

შენობის ცენტრ. ნაწილს, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან, ტრადიციულად, გვერდის ეკლესიების ვიწრო მოცულობები ეკვროდა, რ-ებიც ერთმანეთთან დას. გარშემოსავლელით იყო დაკავშირებული.

შენობა ქრონოლოგიურად განსხვავებულ, ორ ფენას შეიცავს, რ-ებიც განხვავებული საშენი მასალით არის ნაგები. ძირითადი, თავდაპირველი ნაწილი, შერჩენილი, ნატეხი ქვის წყობითაა ამოყვანილი. ქვებს შორის დარჩენილი არეები ამოვსებულია წმინდა ბათქაშით. მოგვიანებით განახლებული ნაწილები კი წვრილი,



294. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ნატეხი ქვით და აგურის შერეული წყობით, საკმაოდ დაუდეგრად არის ამოყვანილი.


მთავარ ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. ღიობის გარკვეული ნაწილი მოგვიანებით აღუდგენიათ და გარედან თაღით გადაუხურავთ. თაღი, ისევე როგორც წირთხლები, კვადრ. აგურითაა ნაწყობი და გარედან, აგურის წყობაშივე გამოყვანილ, კედლის სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. დარბაზი, აღმ-ით, დასრულებულია საკურთხევლის აფსიდით, რ-ის ჩრდ. გვერდი ნალისებრია, სამხრ. გვერდი კი, რ-იც მოგვიანებითაა განახლებული – ნახევარწრიული. აქ ერთი, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი.

ჩრდ. ნავი ეკლესიის ძირითად კორპუსს წყობის გადაბმით არ უკავშირდება. იგი განივი კედლით ორ სადგომადაა გაყოფილი. მათგან აღმ-ისა აფსიდია-


ნია და მთავარი ეკლესიის სამკვეთლოს ფუნქციას ასრულებდა. დას-ისა კი, საკურთხევლის იატაკი აფსიდის მხრების ხაზიდან საგრძნობლად წინწამოწეულია და ეკლესიის იატაკის მიმართ ორი საფეხურითაა შემაღლებული.

ეკლესიის შიდა სივრცე ვრცელია, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც მოწყობილია ერთი, ნახევარწრიულთაღიანი სარკმელი (ცენტრში) და სამი თაღოვანი ნიშა. მათ შორის ერთი, გეგმით ნახევარწრიული, სარკმლის ქვემოთაა, თითო-თითო კი – აფსიდის ბოლოებთან. გარდა ამისა, თითო, მცირე, თაღოვანი ნიშა გრძივი კედლების აღმ. ნაწილშიცაა

გრძივ კედლებზე ხუთ-ხუთი, განიერი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრების დას. წყვილი, დანარჩენი პილასტრების ტოლი სიგანისაა და დას. კედელთანაა შერწყმული. თითოეული საბჯენი თაღის ქუსლებთან გამოყოფილია მთლიანი ქვის, თაროსებრი იმპოსტები, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღების გარდა, პილასტრებს შორის გამოყვანილი, ბრტყელი ნიშების თაღებიც ეყრდნობა. ორივე კედელზე ხუთ-ხუთი ასეთი ნიშაა; ყოველ მათგანში, იატაკიდან 3,5 *მ* სიმაღლეზე, თითო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ერთი, თაღოვანი სარკმელი დას.



295. გეგმა



295. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

295. ღვთაების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, მთავარი გზის პირას. თარიღდება XVIII ს-ის მიწურულით XIX ს-ის დასაწყისით.

ეკლ. მოზრდილი, დარბაზული ტიპის ნაგებობაა, გეგმით სწორკუთხა (18,2x9,3 *მ*, შიგნით სიმ. კამარის წვერომდე – 10 *მ*-მდეა). ნაგებია რიყის ქვით. კარ-სარკმლების ღიობები და კონსტრ. ნაწილები (კამარა, საბჯენი თაღები, ლავგარდანი) – კვადრ. აგურით. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

XX საუკუნის შუა ხანებში ეკლესიაში ლიმონათის ქ-ნა იყო მოწყობილი, რის გამოც მან მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღო. XXI საუკუნის I ათწლეულის ბოლო წლებში, ადგილ. მოსახლეობის მიერ ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღადგინეს კედლების მონგრეული ნაწილები, ლავგარდანი და ეკლ. კრამიტით გადახურეს. გარდა ამისა, ეკლესიის დას. კედელზე, ადრე არსებული სამრეკლოს ადგილზე, ახ., ოთხწახნაგა სამრეკლო დააშენეს.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ. და ჩრდ. კედლების დას. ნაწილში და დას. კედლის ღერძზე. სამხრ. შესასვლელი ნახევარწრიულთაღოვანია. დანარჩენი ორი – სწორკუთხა. დას. კარი გარედან, კედლის სიბრტყეში ოდნავ შეღრმავებულ, ნახევარწრიულთაღოვან არეშია მოქცეული.


კედელშიცაა, შესასვლელის თავზე. დას. კედლის ზედა ნაწილში, კედლის სისქეში, მოწყობილია ვერტ. ხვრელი, რ-იც სახურავზე დადგმულ სამრეკლოზე (აღდგენილია. გარედან, ეკლესიის დას. კედელზე, კარის აქეთ-იქით, შემორჩენილია ორი, მძლავრი პილასტრი, რ-ებიც სამრეკლოს ბაქნის დასაყრდნობად იყო განკუთვნილი) ადიოდა. ამ ხვრელში შესასვლელი (სიმ. – 2 მ-დეა) სარკმლის ასწვრივაა. იგი იმდენად მაღლაა „ატანილი“, რომ თავით თითქმის დას. კედლის მიმდებარე, საბჯენ თაღს ეხება.

ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, მაღალ, სამკუთხა ბაზისზე დადგმული, შელრმავებული ჯვარია გამოსახული. ფასადები დასრულებული იყო აგურით ნაწყობი, ხუთსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-საც განივ ფასადებზე მცირე, ჰორიზ. შემონაკეცები აქვს.

თ. დვალი.

296. ციხე-ბალავანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის შუაში. თარიღდება XVIII ს-ის II ნახევრით. ისტორიულად იდგა თავად ჭავჭავაძეების ტერიტორიაზე (მოიცავს 1 ჰა ფართობს) და მათ საკუთრებას წარმოადგენდა. ნაგებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლეკიანობის თუ სხვა, გარეშე მტერთაგან მოსახლეობის თავდაცვის საქმეში. ამიტომაც 1762 წ. ერეკლე II-მ, სხვებთან ერთად, ეს ციხეც აღადგინა. XIX ს-ში ციხეს დაუკარგავს თავისი ფუნქცია. მისი ტერიტ. საცხოვრებლად გამოუყენებიათ და სხვა სახის ნაგებობებიც აუგიათ. თავად ციხის კედლები კი ქვის კარიერად უქცევიათ.


ციხე გეგმით თითქმის კვადრატულია (94x83 მ), რ-ის ოთხივე კუთხეში დგას თითო, ცილინდრული კოშკი. ნაგებია რიყის ქვით. გალავნის კედლებიდან შედარებით უკეთ არის დაცული აღმ. კედელი. სამხრ. კედელი მიწიდან 2 მ-მდეა შემორჩენილი. დას. კედელი ზოგან მთლიანად, ზოგან კი სანახევროდ მორღვეულია. ჩრდ. კედლიდან კი, მხოლოდ ნაშთები შეიმჩნევა. სხვა-



296. ჩრდ.-დას. კოშკი. IV სართულის გეგმა

დასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი კოშკებიც.


გალავანი ორიარუსიანია. იარუსების სიმ. საშუალოდ 2,5 მ-ია. ქვედა იარუსი ყრუა. ზედა, საბრძოლო იარუსის გაყოლებაზე, მებრძოლთათვის, ხის ბილიკი ყოფილა მოწყობილი. კედლებში კი, ერთ ჰორიზონტზე – ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურები. კედლები უქონგუროა



296. სამხრ.-დას. კოშკი. II სართულის გეგმა


და თავი გადამრგვალებული აქვს. ციხეს ერთი შესასვლელი ჰქონია, სავარაუდოდ, დას-იდან. XIX საუკუნეში მის ნაცვლად, განიერი შესასვლელი მოუწყვიათ.

კოშკებიდან შედარებით უკეთ არის შემონახული ჩრდ.-დას. კოშკი, რ-იც ქონგურებიანი ბანით იყო დასრულებული. კოშკის I და II სართულებს ცალ-ცალკე შესასვლელები აქვს. ისინი ნახევარწრიული თაღებითაა გადახურული. I სართულის ჩრდ. კედელში, ჭერქვეშ, სარკმელია გაჭრილი. კედლებში სამი, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული. I და II სართულებს ხის კიბე აკავშირებ-



296. ჩრდ.-აღმ. კოშკი. I სართულის გეგმა

და. ზედა სართულები კი ერთმანეთს კედლის სისქეში მოწყობილი კიბით უკავშირდებოდა. ბუხარი, IV სართულის გარდა, ყველა სართულზეა. II სართულის კედლებში ორი, სწორკუთხა ნიშა და სამი, შეწყვილებული სათოფურია. III სართულის კედლებში – მხოლოდ ქვემოთ მიმართული, ექვსი, ცალმაგი სათოფური. IV სართულის კედლებში, თანაბარ მანძილზე, ხუთი სალოდეა განლაგებული. სალოდეე-



296. ჩრდ.-აღმ. კოშკი. II სართულის გეგმა

ბი ნისკარტაა, გარედან ხის შვერილზე დაყრდნობილი. ოთხი მათგანი ციხის კედლების გარეთაა. ერთი კი, შესასვლელების დასაცავად, მათ დაჰყურებს. სალოდეებს შორის ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია გაჭრილი. გარეთა სალოდეებს შორის, სათოფურების გარდა, თითო, სწორკუთხა ნიშაცაა. აღმ-ით, ღრმა და მაღალი ნიშაა, რ-შიც საპირფარეშო იყო მოწყობილი.



296. ჩრდ.-დას. კოშკი, ხედი სამხრ.-დას-იდან

ციხის სამხრ.-დას. კუთხეში მდგარი, მთავარი კოშკი, სხვებთან შედარებით, დიდი და მასიურია. სავარაუდოდ, ოთხსართულიანი უნდა ყოფილიყო (შემორჩენილია ორი სართული). თითოეულ სართულს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. I სართულზე მოწყობილია ოთხი, დიდი ზომის, თითო, შეწყვილებული სათოფურით აღჭურვილი ნიშა. კედლის ზედა ნაწილში კი, სამი სარკმელი. შესასვლელის პირდაპირ გეგმით ნახევარწრიული ბუხარია, მის მარჯვნივ, კიბის უჯრედში მოსახვედრად, ვიწრო კარია გაჭრილი. კიბის მეშვეობით შეიძლებოდა მეორე სართულზე მოხვედრა, საიდანაც კიბე ისევ მიემართება ზევით, მომდევნო სართულისკენ. სავარაუდოდ, ასეთივე კავშირი იქნებოდა IV სართულთანაც. მეორე სართული თითქმის პირველის მსგავსადაა გადაწყვეტილი. აქაც სამი სარკმელი და ბუხარია. ნიშებში კი შეწყვილებული სათოფურებია მოწყობილი.

სამხრ.-აღმ. კოშკი, დიამეტრით, მცირედ ჩამოუვარდება მთავარ კოშკს. შემორჩენილია მხოლოდ სარდაფიანი, I სართული. XX ს-ის დასაწყისში კოშკი საცხოვრებლად გადაუკეთებიათ – ზემოდან მოზრდილი აივნის მქონე, ვრცელი ოთახი დაუდგამთ. პირველი სართულიც სახეშეცვლილია. შეიმჩნევა მხოლოდ ნიშები, რ-ებშიც, სავარაუდოდ, სათოფურები იყო გაჭრილი.

ჩრდ.-აღმ. კოშკიც გადაკეთებულია. სავარაუდოდ, იგიც ოთხსართულიანი უნდა ყოფილიყო. გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს კოშკის გვერდით აბანო, ხოლო კოშკში წყალსაცავი მოუწყვიათ.


ნ. ანდღულაძე.

ბიბლ.: 66; 335.

297. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 1,5 კმ-ზე, მთაზე. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლესიის კორპუსი ორ ნაწილს შეიცავს: მოგრძო, დარბაზულ ეკლესიას (8,1x4,7 *მ*) და მასზე ჩრდ-იდან მიდგმულ, შედარებით უფრო მოკლე, დაბალ მინაშენს, რ-იც ეკლესიასთან წყობითაა დაკავშირებული. მინაშენი, როგორც ჩანს, ეკლესიას სამხრ-იდანაც ჰქონია. თუმცა, ამ ფაქტის ზუსტად დადგენა – გასუფთავების გარეშე – შეუძლებელია.

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. მოგვიანებით განახლებული ნაწილები (კამარა, კონქი, საბჯენი თაღები და ლავგარდანი) აგურისაა. გარედან კედლების ზედა, აღდგენილ ნაწილებში, აგურთან ერთად რიყის ქვაცაა გამოყენებული, რ-ებიც მოქცეულია აგურის,




297. გეგმა

თარაზულ რიგებს შორის. კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.

დაზიანებულია: ჩამოშლილია ეკლესიისა და ჩრდ. მინაშენის სახურავის საფარი, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი. ეკლესიის განივ კედლებს თითქმის მთელ სიმაღლეზე, ფართო ბზარები დაუყვება.


ეკლესიას ორი, სწორკუთხა შესასვლელი (მოგვიანებით დაუვიწროებიათ) აქვს – სამხრ-ით და დას-ით. დარბაზი უპილასტროა, აღმ-ით იგი დასრულებულია საკურთხევლის ნახევარ-

წრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე, ნახევარწრიული თაღით გადახურული, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული სარკმელია გაჭ-



297. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

რილი. მსგავსი თითო სარკმელი სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის გვერდებზე, თითო, გეგმით ნახევარწრიული, ბრტყლად გადახურული, ნიშაა (სიმ. 1 *მ*-ია). სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, ოთხკუთხა, ზემოთკენ შევიწროებული ტრაპეზია მიდგმული. შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ორ, შეკიდულ, საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათ შო-



297. აღმ. ფასადი

რის ერთი – დარბაზის შუაშია, ხოლო მეორე – დას. კედელთანაა შერწყმული.

ჩრდ. კედლის შუა ნაწილში განიერი, თარაზულად გადახურული კარია, რ-იც ჩრდ. მინაშენში გადის. მინაშენი უაფსიდოა, გეგმით სწორკუთხა. განათებულია აღმ. კედელში გაჭრილი, თარაზულად გადახურული, დაბალი სარკმლით, რ-ის თავი სადგომის ცილინდრული კამარის ქუსლის დონეზეა.

გარედან საკურთხევლის სარკმელი მორთულია აგურით გამოყვანილი, რელიეფური თავსართით (შემორჩენილია სამხრ. ნაწილი), რ-საც ბოლოში ჰორიზ. გადანაკეცი აქვს. ეკლესიის დას-ით, ათიოდე *მ*-ზე, რამდენიმე ქვევრია ჩაფლული.



297. ინტერიერი, ხედი აფსიდზე

2009 წელს სოფლის მოსახლეობას ეკლ. ხის ნივნივებზე დაფენილი შიფერით გადაუხურავს.


თ. დვალი.

298. ხატის საყდარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1-1,5 *კმ*-ის დაშორებით, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზული ტიპისაა (13,7x8,6 *მ*). ნაგებია რიყის ქვით და აგურით. კედლები, ძირითადად, რიყის ქვითაა ამოყვანილი, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით აგურის ორ-ორი რიგისგან შედგენილი, თარაზული შრეებია ჩართული. გარეთა კუთხეებში, მეტწილად, აგურია გამოყენებული. კარ-სარკმლების ღიობები და კონსტრ. ნაწილები (საბჯენი თაღები, კედლის მიმდებარე თაღები, კონქი, კამარა) კი მთლიანად აგურისაა. კედლები შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია. კედლების ზედაპირი, გარედან, დუღაბის თხელი ფენითაა გასწორებული, რ-იც მხოლოდ რიყის ქვებით ნაწყობ ნაწილებს ფარავს.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით. შესასვლელებს შიგნით ხის ძელოვანი, ბრტყელი გადახურვა აქვს. გარედან ორივე კარი შეისრულთაღიანია და კედლის ოდნავ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც აგვირგვინებს ვიწრო, კუთხით შვერილი აგურების ორი რიგით გამოყვანილი ფრიზი.


აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღიანი ნიშებია მოწყობილი. მათ-



298. გეგმა


გან ორი ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკის მიმართ, ორი საფეხურითაა ამაღლებული, აფსიდიდან რამდენადმე წინაა წამოწეული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხევლის შუაში შემორჩენილია ოთხწახნაგა ტრაპეზის მცირე ნაწილი. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია ორი, მძლავრი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი შეისრული, საბჯენი თაღით. გრძივ კედლებზე კიდევ ორ-ორი მსგავსი პილასტრია, რ-ებიც შესაბამისს კედლის სიბრტყეს სამ-სამ თანაბარ ნაწილად ყოფს. პილასტრები აგურის, ორსაფეხურიანი კაპიტელებითაა დასრულებული, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღის გარდა, ეყრდნობა პილასტრებს შორის მოქცეულ კედლებში მოწყობილი, ბრტყელი ნიშების ნახევარწრიული თაღებიც. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაქვანილი. გრძივი კედლების აღმ. კიდეში თითო, კედლის სისქეში ორ საფეხურად შედრმავებული, შეისრული თაღით გადახურული ნიშაა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ შვიდი, მსგავსი სარკმელი აშუქებს. მათ შორის სამ-სამი – გრძივ კედლებშია, ერთი – დას-ით. ამ უკანასკნელის ასწვრივ, კედლის სისქეში, მოწყობილია სამრეკლოზე ასასვლელი კიბე.



298. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიის დას. ნაწილში, როგორც ჩანს, მოწყობილი იყო ხის პატრონიკე, საიდანაც მისადგმელი ხის კიბით სამრეკლოში ასასვლელ კიბეს უკავშირდებოდნენ.



298. დას. ფასადი

ეკლესიის იატაკზე კვადრ. აგურია დაგებული.

შენობის ფასადებიდან არქიტექტურულად გაფორმებულია მხოლოდ დას. ფასადი. ფასადის შუა ნაწილში, მთელ სიმაღლეზე, გამოყვანილია შვერილი, რ-ის ზედა ნაწილი ეკლესიის დას. კედელზე დადგმული სამრეკლოს ოთკუთხა საფუძველთანაა გაერთიანებული. თვით შვერილი ორი, მძლავრი პილასტრისგან და მათზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული თაღისგან შედგება. თაღს ზემოთ აქვანილია კედელი, რ-იც დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით. შვერილის თაღოვან არეში, ერთ ვერტიკალზე, ეკლესიის შესასვლელი, სარკმელი და კედლის სიბრტყეში შეღრმავებული, მოზრდილი ჯვარია განლაგებული. მსგავსი ჯვარი აღმ. ფასადზეცაა. ჯვრები წითელი საღებავითაა დაფერილი.



298. ინტერიერი, ხედი აფსიდზე

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო აგურის, სამსაფეხურიანი ლავგარდნით (შემო-

რჩენილია მცირე ნაწილი). შენობა დგას ნატეხი ქვით ნაგებ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე. გა-



298. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დახურული იყო ღარისებრი კრამიტით (თითქმის მთლიანადაა ჩამოცვენილი).

სამრეკლო მთლიანად აგურისაა – ოთხწახნაგა. იგი საფუძველთან შედარებით, გაცილებით უფრო ვიწროა და ოთხი მხრიდან თაღებითაა გახსნილი. გადახურულია პირამიდისებრი სახურავით.

თ. დჟალი.

ბიბლ.: 335.

გზაზე მდებარეობდა, რაც ზრდიდა სოფლის მნიშვნელობას. კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, XVI-XVII სს-ში, რუისპირი კახეთის თავადების – მაყაშვილების სოფლად ითვლებოდა. მათვე ეკუთვნოდათ სოფლის მიმდებარე, ვრცელი საძოვრები და სხვა სავარგულებიც. რუისპირში, მაყაშვილებთან ერთად, მცირე ყმა-მამულს ფლობდნენ აზნაურები: ჩიგილაშვილები, თარხნიშვილები, მდივნები და სხვებიც. ამავე საუკუნეებში პარალელურად იხსენიება სოფ. არტოზანი და „არტოზნელებიც“. მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის გამო, რუისპირზე მტრის თავდასხმები ძალზე ხშირი იყო, განსაკუთრებით კი XVII-XVIII სს-ში – „ლეკიანობის“ ჟამს. ცნობილია, რომ 1754 წ. ზაფხულში ხუნძახის პატრონმა ლეკთა ბელადმა, მჭადიჯვართან დამარცხებამდე, რუისპირი და იყალთო ერთიანად გადაწვა. სწორედ ამიტომ, მოსახლეობის დაცვის მიზნით, სოფელში აშენდა ორი ციხე-გალავანი: ერთი – სოფლის ჩრდ. განაპირას, ალაზნის მხარეს და მეორე – სამხრ.-ით. ორივე მაყაშვილებს ეკუთვნოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს (1762-1801) არსებობის დროს რუისპირი ადმ.-ტერიტორიულად III სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. ომის შემთხვევაში მაყაშვილები „ერთობით, ყმით, საყელოთი“, რუისპირიდან გამოსული ლაშქრის ჩათვლით, რუსთველი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ და როგორც სარდალს, მას უნდა დაქვემდებარებოდნენ. რუისპირის სიმაგრეებში, თავად რუისპირის გარდა, ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოდიოდა ხიზანი. რუისპირის ციხე-გალავნების მნიშვნელობა ამ მხრივ მეტად დიდია. 1762 წ., მიწისძვრის შემდეგ, ერეკლე II-ეს ერთ-ერთი მათგანი შეუკეთებია.

კახეთის 1812 წ. აჯანყების დროს, თიანეთელმა, მატნელმა და ახმეტელმა მოლაშქრეებმა გაწყვიტეს მატანში მდგარი რუსე-

რუისპირი

(თემის საკრებულოს ცენტრი)

299. რუისპირი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს თელავიდან 11 კმ-ზე, მდ. თურდოს მარცხ. ნაპირას, თელავ-ახმეტის საავტ. გზაზე. სოფელს საფუძველი საქართვ. ერთიანობის ხანაში უნდა ჩაეყროდა. გადმოცემის თანახმად, წმ. ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – წმინდა შიო, თავდაპირველად, სოფ. არტოზანში (ამჟამად ნასოფლარი. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე) მოღვაწეობდა.

რუისპირი თელავიდან ქართლში მიმავალ, მნიშვნელოვან

299. სოფლის საერთო ხედი წმ. შიოს მონასტრიდან



ბი. ეს აჯანყების ახ. აღმავლობის ნიშანი გახდა. კახელებმა ბევრ სოფელში აღკვეთეს რუსთა ეგზეკუციები. ისინი ბატონიშვილ იოანეს ძის – გრიგოლის მეთაურობით დაირაზმნენ. მათ დასახმარებლად მოვიდნენ ლეკებიც. სულ 4000 კაცამდე შეიკრიბა. რუსებს კი საგარეჯოდან 300 ჯარისკაცი მიაშველეს. რუისპირთან, ციხესიმაგრეებში, რუსებსა და კახელ აჯანყებულებს შორის, დიდი ბრძოლა გაიმართა. კახელებმა შეძლეს დამსჯელთა დამარცხება და განადგურება. გადარჩენილი რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები თელავის ციხეში შეიკეტნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, რუისპირი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შევიდა.

ქ. კახაძე.


ბიბლ.: 21თ; 51; 66; 76; 153; 179დ; 204 ა,დ,ე.

300. აღამაანთ ციხე, არქიტ. ძ. დგას სოფელში, ძამუკაანთ უბანში. თარიღდება XVIII ს-ის ბოლო მესამედით.


ნაგებობა კოშკური ტიპისაა, რ-იც საცხოვრებელიცაა და სათავდაცვოც. ნაგებია რიყის ქვით. შენობა გეგმით სწორკუთხაა (გარეთა ზომები – 12x8 *მ*), რ-საც ოთხივე, გარეთა კუთხე მომრგვალებული აქვს და ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება – ენთაზისის გარეშე. შედგება ერთმანეთისგან კაპიტალური კედლით გამიჯნული, სხვადასხვა ფართობის მქონე, ორი ნაწილისგან. ორივე ნაწილი სამსართულიანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ სხვადასხვა სიმაღლე აქვს. შენობის მოზრდილ ნაწილში სართულები ხის კოჭებით, ბრტყლად იყო გადახურული (შემორჩენილია კოჭების ბუდეები), მომცრო ნაწილში კი – ქვითკირის სხმული კამარით, რის გამოც ამ ნაწილში სართულები უფრო მაღალია. ორივე ნაწილის ზედა სართული ბანია და სალოდე მაშიკულებითა და ქონგურებითაა აღჭურვილი.

შენობის ორივე ნაწილის პირველი სართული მარანს წარმოადგენს. მეორე – საცხოვრებელია, ხოლო მესამე – საბრძოლო.

პირველი სართულის სადგომები ერთმანეთთან დაკავშირებულია ორი, განიერი, შეისრულთაღოვანი ღიობით. მათ შორის უფრო დიდ, დაახლ. კვადრ. ნაწილში (ფართ. დაახლ. 39 *კვ მ*) ქვევრებია ჩაყრილი, მეორე, მომცრო ნაწილში (ფართ. დაახლ. 23 *კვ მ*) კი ქვითკირის საწნახელია განთავსებული.



300/ I სართულის გეგმა




300/ II სართულის გეგმა

პირველ სართულზე ორი შესასვლელია, ორივე დიდ ნაწილში: ერთი – კედლის შუაში აღმ-ითაა, ხოლო მეორე – სამხრ. კედლის დას. ნაწილში. ორივე კარი გარედან შეისრულთაღიანია, შიგნიდან კი თარაზულად, მუხის ძელებითაა გადახურული. საწნახლის იატაკი, მარნის იატაკთან შედარებით, ორმოციოდე *სმ*-ით უფრო მაღლაა. საწნახ-

ლის შუაში, ფსკერთან, მცირე ხვრელია. იგი დაკავშირებულია იატაკში მოწყობილ, სპეციალურ ღართან, რ-იც თაღებშორისი ბოძის ძირში არსებულ ხვრელში

300. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



გადის. აქედან კი, ხის გადასატანი ღარებით, ყურძნის წვენი ქვევრებისკენ მიემართებოდა.


მარანში გაჭრილია ოთხი, სწორკუთხა სარკმელი: ორი – აღმ. კედელში, შესასვლელის ორივე მხარეს, ორიც – სამხრ. კედელში. მსგავსი, თითო სარკმელი საწნახლიანი სადგომის ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა. ისინი საკმაოდ მაღლაა „ატანილი“ და მათი ხვრელობი გარეთკენაა ახრილი. მარანში, იატაკიდან 1,3 *მ* სიმაღლეზე, მოწყობილია რვა, განიერი, ოდნავ შეისრული თაღით გადახურული ნიშა: ორ-ორი – დიდი სადგომის აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებშია, თითო-თითო კი – მცირე სადგომის სამხრ. და ჩრდ. კედლებში. უკანასკნელები სათოფურით არის აღჭურვილი. სათოფურია მოწყობილი დიდი სადგომის აღმ. კედლის ჩრდ. ნახევარში მდებარე ნიშაშიც. თითო თაღოვანი, გაცილებით მცირე ნიშა, სადგომების დამაკავშირებელ თაღებს შორის არსებულ ბურჯში – ორივე მხრიდანაა. მარნის ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეებში სათოფურებია გაჭრილი. მარნის ჩრდ. კედელში ჩატანებულია წყლის შემოსაყვანი, თიხის მილი, რ-ის წინ, ჩრდ.-აღმ კუთხესთან, იატაკში, მცირე ჩაღრმავებაა, როგორც ჩანს, აუზისთვის. მარნის კედლები შელესილია. კედლებში, საკიდებად, ირმის რქებია ჩასმული.

მეორე სართულს შესასვლელი გარედან, ჩრდ-იდან აქვს – მიწიდან 4 *მ* სიმაღლეზე. კარი შეისრულთაღოვანია. კარის ძირის დონეზე, აქეთ-იქით, მოწყობილია თითო, მცირე, გამჭოლი ხვრელი, რ-ებშიც შესასვლელის წინ არსებული ბაქნის საყრდენი ძელები იყო ჩადგმული. ბაქანზე ასასვლელად კი, მისადგმელ კიბეს იყენებდნენ.


მეორე სართულიც ორი სადგომისგან შედგება. ისინიც სხვადასხვა ფართობისაა და ერთმანეთისგან გამიჯნულია სქელი კედლით, რ-ის ჩრდ. ნაწილში სადგომების დამაკავშირებელი ერთადერთი კარია. მცირე სადგომის იატაკი, დიდი სადგომის იატაკთან შედარებით, დაახლ. 1,5 *მ*-ით მაღლაა და კარიც დიდი სადგომის იატაკიდან სამოცდაათიოდე *სმ*-ის სიმაღლეზეა გაჭრილი, თვით კარის ზღურბლში კი, რამდენიმე საფეხურია მოწყობილი.

ორივე სადგომი ოთხ-ოთხი, სწორკუთხა სარკმლით იყო განათებული, რ-თა შორის ორ-ორი – ორივე სადგომში, სამხრ-ითაა, ხოლო თითო – ჩრდ-ით. დანარჩენი სარკმლებიდან, დიდ სადგომში ერთი – აღმ-ითაა, მეორე – მცირე სადგომში, დას-ით. ეს უკანასკნელი კამარის მრუდშია მოქცეული და გარეთკენ მკვეთრად მაღლდება. კედლებში მოწყობილია სათოფურები და თახჩები. ორივე სადგომის სამხრ. კედლის ცენტრალურ ნაწილში შეისრულთაღოვანი ბუხარია, რ-იც შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. სართულის კედლები, პირველთან შედარებით, წმინდა ხსნარითაა შელესილი. კედლებში, ალაგ-ალაგ, ირმის რქებია ჩასმული.

300. აღმ. ფასადი



300. აქსონომეტრიული ჭრილი, ხედი სამხრ.-აღმ-იდან (ლ. რჩეულიშვილის მიხედვით)





300. ინტერიერი, I სართული, ხედი სამხრ-კენ

სართულის მცირე სადგომიდან, სადგომების გამყოფი კედლის სისქეში მოწყობილი კიბით, მესამე სართულზე, ღია, საბრძოლო ბაქანზე ვხვდებით, რ-იც თავმომრგვალებული ქონგურებით დასრულებული კედლითაა შემოზღუდული. კედელში, თანაბარ სიმაღლეზე, მოწყობილია 27 სათოფური. მათ შორის 23 თარაზულადაა გაჭრილი, ოთხი კი მიწისკენაა დახრილი. კედელში სამი სალოდეცაა: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. ბაქნის ჩრდ.-დას. კუთხეში მოწყობილია საპირფარეშო. აღმ. კედლის შუაში კი – დაბალი, თაღოვანი ღიობი, რ-ის საშუალებითაც, მისადგმელი კიბით, შესაძლებელია დიდი სადგომის თავზე, 2,6 *მ*-ით დაბლა მოწყობილ ბაქანზე ჩასვლა. ეს ბაქანიც ქონგურებიანი კედლითაა შემოვლებული, ოღონდ სამი მხრიდან. სამივე კედელში, ქვედა სართულებზე განლაგებული შესასვლელების ასწვრივ, თითო სალოდე მაშიკულია. გარდა ამისა, მოწყობილია სათოფურებიც.

თ. დვალი.

ბიბლ.: 19; 66; 72; 165; 166; 335.


301. დედა მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ჩხუბიაანთ უბანში. სავარაუდოდ, თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (7,4x4,8 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. კარსარკმლები, საბჯენი თაღები და ლავგარდანი გამოყვანილია კვადრ. (19x19x4,5 *სმ*) აგურით. შესასვლელი ორია: დას-იდან და

300. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან




სამხრ-იდან. ორივე ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული და გარედან საფეხურით შელრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული.




301. გეგმა

აღმ-ით, დარბაზის იატაკის მიმართ ორი საფეხურით შემაღლებული, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია



301. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ნიშაა. აფსიდის ზედა ნაწილში, სარკმლის ორივე მხარეს, კონქის ქუსლის დონეზე, თითო, ვიწრო, სწორკუთხა ღიობია, რ-იც კედლის სიღრმეში მოწყობილ სამალავებს უკავშირდება. საკურთხევლის ბაქანი აფსიდის მხრების ხაზიდან ოდნავ წინაა წამოწეული. პირველი საფეხურის შუა ნაწილში მას ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს სამხრ. და ჩრდ. კედლების შუა ნაწილში გაჭრილი თითო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელიც აშუქებს, რ-თა ღიობები, საკურთხევლის სარკმლის მსგავსად, გარეთკენაა ახრილი. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. დას-ით იგი კედლის მიმდებარე თაღზეა დაყრდნობილი, თვით თაღი – კუთხის პილასტრებზე. შიგნიდან ეკლ. შელესილია. იატაკზე დაგებულია კვადრ. აგური.



301. აღმ. ფასადი

ეკლესიის აღმ. და დას. ფრონტონებზე, აგურის წყობის შელრმავებით, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, თითო ჯვარია გამოსახული. კედლები დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც ჩვეულებრივად დალაგებული და კუთხით წინწამოწეული აგურის რიგების მონაცვლეობით არის გამოყვანილი.


შენობის დას. კედელზე დაშენებულ აგურის კვადრ. საფუძველზე (1,2x1,2 *მ*) დადგმულია ცილინდრული ფორმის, ოთხ მხარეს ნახევარწრიული თაღით გახსნილი, აგურისავე ს ა მ რ ე კ ლ ო (სიმ. – დაახლ. 2 *მ*), რ-საც შიგნით ნახევარსფერული კამარა ხურავს, გარედან კი, კონუსისებრი სახურავი ეხურა (შემორჩენილია მცირე ნაწილი).


თ. დვალი.

302. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ლაიბურაანთ უბანში. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (9,5x6,5 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილები (კამარა, კონქი), კარ-სარკმლების ღიობები და ლავგარდანი გამოყვანილია კვადრ. აგურით. გარდა ამისა, აგური, თარაზულად გამავალი შრეების სახით, კედლების წყობაშიცაა ჩართული.

ეკლესიას ორი, ვიწრო შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე შესასვლელი ნახევარწრიულთაღოვანია და ორივე მხრიდან სწორკუთხა შე-






302. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ღრმავებაშია ჩასმული, რ-თა შორის გარეთა, ბევრად უფრო მცირე სიღრმისაა. ეკლესიის დარბაზი მოკლეა, გეგმით კვადრ. (4,5x4,5 *მ*). აღმ-ით მას ერთვის ღრმა, წესიერი ნახევარწრის

ფორმის აფსიდი, რ-ის ცენტრში, შედარებით მაღლა (იატაკიდან დაახლ. 2,5 *მ* სიმაღლეზე) ოდნავ შეისრული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. მსგავსი,



302. დას. ფასადი

თითო სარკმელი, დაახლ. იგივე დონეზე, შენობის დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდში სამი ნიშაა. მათ შორის ორი, სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. ჩრდ. ნიშებიდან ერთი, შედარებით მოზრდილი, გეგმით ნახევარწრიულია, შეისრულთაღოვანი, მეორე – სწორკუთხა. სამხრ. ნიშაც გეგმით ნახევარწრიულია, ოღონდ ბრტყლადაა გადახურული. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ერთი საფეხურითაა ამაღლებული, აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 1 *მ*-ით წინწამოწეულია და წინიდან ნახევარწრიული ამბიონი ეკვრის. საკურთხევლის შუაში დგას აგურით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. დარბაზი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, ხოლო აფსიდი წესიერი ფორმის კონქით, რ-ის თაღი ზემოთკენ თანდათან თხელდება და წვეროსთან კამარას ერწყმის.

აღმ. და დას. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობით, შეღრმავებული ჯვრებია გამოსახული. შენობის კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი შეადგენს.

ეკლესიის დას. კედელზე დაშენებულია ოთხწახნაგა, მაღალი პროპორციების მქონე, აგურის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. შიგნით სამრეკლო გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, გარედან კი – პირამიდული ფორმის, აგურისავე სახურავით.

თ. დვალი.

303. ლომისას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ტყეში, წმ. შიოს მონასტრისკენ მიმავალი გზის პირას. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით თითქმის კვადრ. (4,7x3,8 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. XX ს-ის 80-იან წლებში სოფლის მოსახლეობას კედლების დანგრეული ნაწილები თეთრი აგურით აღუდგენია (საკმაოდ დაუდევრად) და ეკლ. შიფერით გადაუხურავს.


ერთადერთი, სწორკუთხა შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან ჩასმულია სწორკუთხა, კედლის სიბრტყეში ოდნავ შეღრმავებულ არეში, შიგნიდან კი – შეისრულთაღოვანია. აღმ-ით, შებრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდის ცენტრში სარკმელია (ამჟამად ამოქოლილია) გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს კი თითო, ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი.

დას. ფასადზე, შესასვლელის გვერდებზე, თითო, მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაა.


კ. გიორგობიანი.

304. მარიამწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 1 *კმ*-ზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზული ტიპისაა (7x5,6 *მ*). ნაგებია რიყის ქვით. გარეთა კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, მოზრდილი, არაწესიერი ფორმის, ნატეხი ქვებია ჩართული. წყობა ირეგულარულია.



304. გეგმა




304. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა, მონგრეულია კუთხეების დიდი ნაწილი და დას. კედლის ფრონტონის წვერი. ფასადებზე, ალაგ-ალაგ, ჩამოცვენილია საპირე ქვები.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. იგი გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. ეკლესიის დარბაზი შესამჩნევად მოკლეა. აღმ-ით მას ერთვის ღრმა, ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის სიღრმე თითქმის დარბაზის სიგრძის ტოლია. შიდა სივრცე განაწილებული იყო ორი, სწორკუთხა სარკმლით. მათ შორის ერთი – აფსიდშია, ხოლო მეორე – დას. კედელში, შესასვლელის ოდნავ ზემოთ. აფსიდში სამი, მცირე,

სწორკუთხა ნიშაა: ჩრდ-ით – ორი, სამხრ-ით – ერთი. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე,



304. აღმ. ფასადი

კუბური ფორმის ტრაპეზია მიბჯენილი. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღი ოდნავ დადაბლებული ნახევარწრის ფორმისაა. მსგავსი მოხაზულობა ჰქონდა კამარასაც. მისი მცირე ნაწილები, გრძივი კედლების გარდა, კონქის თაღსაც და დას. კედელსაც შემორჩა.

გარედან კედლები სადაა. გრძივ კედლებზე შემორჩენილია რიყის ქვით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდნის ნაწილები.

თ. დვალი.

305. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ნასოფლარ არტოზანის მიდამოებში, ეკლესიებად წოდებულ ადგილში. თარიღდება შუა საუკუნეებით. დაფარულია ბუჩქებით. არ იკითხება გეგმა. სამშენ. მასალად გამოყენებული ყოფილა რიყის ქვა კირის ხსნარზე.


ბ. კუპრეიშვილი.

306. ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ძამუკაანთ უბანში. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით. გამოვლენილია კედლების ფრაგმენტები, მოჭიქული კერამიკის ნამტვრევები და ქვის ფილებით შედგენილი სამარხები.


გ. რჩეულიშვილი.

307. ჯველაფშინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (სამხრ-ით), მდ. თურდოს მარცხ. მაღალ ნაპირზე, ნასოფლარ არტოზანის ტერიტორიაზე, თარიღდება VI-VII სს-ით.

არტოზანთან დაკავშირებულია ერთ-ერთი წმ. ათსამმეტ ასურელი მამათაგანის – წმ. შიოს მოღვაწეობა. წყაროებით ცნობილია, რომ იგი მცხეთის ახლოს, მღვიმეში დასახლებამდე, არტოზანში მოღვაწეობდა, ხოლო წმ. ანტონ მარტყოფელმა, დატოვა რა წმ. იოანე ზედაზნელი, გაემგზავრა კახეთში და განდგომილი ცხოვრება გაატარა



2



1

307. გუნეგმა. 1. ეკლ., 2. მარანი


ჯერ წმ. იოანეს ცალკეულ მოწაფეებთან – იყალთოსა და არტოზანში, შემდეგ ალავერდში, დაბოლოს, მდ. ლოპოტის ხეობაში, საიდანაც გადავიდა და საბოლოოდ დამკვიდრდა მარტყოფში.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა, გარშემოსავლელით სამი მხრიდან (13,3x10,9 *მ*). ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვით და კირის დუღაბით. ქვა მეტ-ნაკლებად შერჩეულია და დაწყობილია ჰორიზ. რიგებად. მთავარი ეკლესიის გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლების ღიობები და კონსტრ. ელემენტების დიდი ნაწილი ნაწყობია კარგად გათლილი, შირიმის ქვით. კედლების ზედაპირი გასწორებულია კირის ბათქაშით, რ-იც საპერანგე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. შიგნითა კედლების წყობის წესიერება დარღვეულია. როგორც შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, შიგნით, მთავარი ეკლესიის კედლები შელესილი ყოფილა.

ეკლესიას მთავარი შესასვლელი – ორ კვადრ. ბოძზე დაყრდნობილი, სამმალიანი თაღედის სახით – სამხრ-იდან ჰქონდა. თავად მთავარ ეკლესიას სამი, მაღალი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდიდან. სამივე შიგნიდან ნალისებრი თაღითაა დასრულებული, ხოლო გარედან – ოდნავ კვერცხისებრი ფორმის თაღით. გარეთა თაღების ქუსლები კედლის სისქეში ოდნავ


არის შეწეული და წირთხლებზე მცირე საფეხური იქმნება.

მთავარი ეკლ. აზიდულ პროპორციებშია გადაწყვეტილი. აღმ-



307. გრძივი ჭრილი (რესტავრაციამდე), ხედი სამხრ-კენ

ით იგი დასრულებულია გეგმით ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც ეკლესიის იატაკის მიმართ ორი საფეხურით არის შემაღლებული და დარბაზისგან მოგვიანებით აგებული, რიყის ქვით ნაშენი კან-



307. აღმ. ფასადი (რესტავრაციამდე)

კლით იყო (შემორჩენილი იყო დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე) გამიჯნული – აღსავლის კარით შუაში. აფსიდის ცენტრში გაჭრილია ზემოთკენ ოდნავ დავიწროებული, ნახევარწრის მოყვანილობის თაღით დასრულებული სარკმელი. სარკმლის ღიობი, გარედან, შირიმის ქვებითაა გამოყვანილი და შირიმის მთლიან ქვაშივე გამოკვეთილი, ნახევარწრიული ფორმის თაღი ხურავს. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, მცირე ნიშაა. მათ შორის სამხრ-ით მდებარე, ოთხკუთხაა, ჩრდ-ით მდებარე კი – თაღოვანი. ამ უკანასკნელის თავზე რელიეფური წარბია, რ-საც ბოლოებში მოკლე, ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. აფსიდის შუაში იდგა ოთხწახნაგა ტრაპეზი (შემორჩენილია საფუძველი). აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ოდნავ ნალისებრი მოყვანილობისაა. იგი დაყრდნობილია შირიმის თხელ იმპოსტებზე, რ-თა პროფილს შეადგენს თარო და ცერად ჩამოკვეთილი სიბრტყე. თაღის ზემოთ, შირიმის, ტლანქად დამუშავებული ქვებით ნაწყობი, ოციოდე *სმ*-ით გადმოშვერილი, შვეული (სიმ. დაახლ. 1,5 *მ*) „შუბლია“, რ-ის უკან, კონქის თავზე, სიცარიელე იქმნებოდა. შესაძლოა იგი სამალავადაც გამოიყენებოდა, თუმცა, მასში ასასვლელი არსად არ ჩანს.

დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებზე გადაყვანილი, სამ-სამი, ვიწრო, უჩვეულოდ მაღალი, ნახევარწრიული თაღით, რ-თა წვერი კონქის თაღის წვერთან ერთ დონეზეა. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია თაროსებრი იმპოსტები. პილასტრების წინა საფეხური კამარის საბჯენი თაღების საყრდენია. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი. თაღებიც და კამარაც წვრილი ქვებითაა ნაწყობი, განსხვავებულია წყობის ხასიათიც.

შიდა სივრცეს კიდევ ექვსი მაღალი, თარაზულად გადახურული სარკმელი აშუქებს. ექვსივე გრძივ კედლებშია გაჭრილი, კედლის თაღების ზედა ნაწილში – სამი სამხრ-ით და სამი ჩრდ-ით. დას-ით მდებარე სარკმლები, მოგვიანებით, სანახევროდ ამოუშენებიათ.

ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში თარაზულად გადახურული კარია, რ-იც ჩრდ.-აღმ. კუთხეში მოწყობილ, მცირე სათავსში



307. ინტერიერი (რესტავრაციამდე), ხედი აღმ-კენ

გადის. იგი უაფსიდოა, გადახურულია ცილინდრული კამარით და მთავარ ეკლესიას წყობით ებმის. სათავსი განათებულია აღმ. კედელში მოწყობილი, სწორ-

კუთხა სარკმლით, რ-ის ქვემოთ დგას შირიმით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. სამხრ. კედელში მცირე, სწორკუთხა ნიშაა.



307. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან (რესტავრაციამდე)

სამხრ. ეკლ. ერთიანი, ვიწრო დერეფანია, რ-იც აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, რ-ის შუაში სწორკუთხა სარკმელია (მოწყობილია რეაბილიტაციის დროს) გაჭრილი. აფსიდი გადახურულია კონქით. აფსიდის წინ შემორჩენილია კამარის მცირე მონაკვეთი (სიგრ. – დაახლ. 1,5 მ), რ-იც, ისევე როგორც თავად აფსიდი, მთავარი ეკლესიის კორპუსთან წყობითაა დაკავშირებული. აქ კამარა შეწყვეტილია და მთავარი ეკლესიის კედლის დანარჩენ ნაწილზე მხოლოდ სამი კვადრ. ფოსოა, რ-ებიც სამხრ. ეკლესიის სახურავის დონეზეა განლაგებული: ერთი – კამარის შემორჩენილი ნაწილის ბოლოშია, მეორე – შესასვლელის აღმ. გვერდის ასწვრივ, მესამე – კედლის დას. კიდესთან. ანალოგიური ორ-ორი ფოსოა დას. და ჩრდ. ფასადებზეც. ფოსოები ხის გადახურვის ძელების ჩასადგმელი უნდა ყოფილიყო.


ჩრდ. ეკლესიის აფსიდიც ნახევარწრიული ფორმისაა – უსარკმლო. გამოყვანილია სამკვეთლოს დას. კედლის სისქეში. აფსიდი გადახურული იყო შირიმის, ნათალი ქვით ნაწყობი კონქით. ეკლესიის ჩრდ. კედლიდან მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი და მისი თავდაპირველი არქიტ. გადაწყვეტა არ ირკვევა.

შენობის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, სარკმლის გადამხურავ ქვაზე, გამოყვანილია რელიეფური არქივოლტი – მცირე, ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში (სარკმელი მოგვიანებით გაგანიერებული ჩანს). მოგვიანებით ჩატარებული გადაკეთების შედეგი იყოს ის ფაქტიც, რომ გარშემოსავლელის უმეტესი ნაწილი (ჩრდ. ეკლ. და გვერდითი ეკლესიების დამაკავშირებელი გალერეა – მთლიანად და სამხრ. ეკლესიის დას. ნაწილი) კამარის გარეშეა დარჩენილი. საყურადღებოა ისიც, რომ მთავარი ეკლესიის სამივე შესასვლელის გარეთა თაღის ზედა ნახევარი, გარშემოსავლელის კამარის შემორჩენილი ნაწილის ქუსლის დონეზე მაღლაა მოქცეული, რაც ნაკლებად სარწმუნოს ხდის იმ თვალსაზრისს, რომ შესასვლელების თაღები თავდაპირველია. სავარაუდოა, რომ აქ ორ, ქრონოლოგიურ ეტაპთან გვაქვს საქმე. დასაშვებია, რომ თავდაპირველად სამივე კარი გარედან თარაზულად იყო გადახურული, ხოლო მათ ზემოთ კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი (შესასვლელების თაღებთან ერთად) ეკლესიის აგებიდან მოკლე დროში განხორციელებული, საფუძვლიანი გადაკეთების დროსაა აგებული. ამ ვარაუდს აძლიერებს სამხრ. და დას. შესასვლელების თაღების სოფიტებზე ნალესობის შემორჩენილი ნაშთები. გარდა ამისა, მთავარი ეკლესიის გარეთა კედლების მთელ სიგრძეზე, ძირითადად, იმ ადგილებში, სადაც გარშემოსავლელის კამარა მთავარი ეკლესიის კედელთან უნდა ყოფილიყო შეზრდილი, კედლის ზედაპირის გასწორების მიზნით, განსხვავებული ფერის დუღაბია გამოყენებული. შესასვლელების

307. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან (რესტავრაციის შემდეგ)



გარეთა გადახურვის მსგავსად, თავდაპირველი არც მთავარი საკურთხევლის კონქის თავზე აქვანილი „შუბლი“ ჩანს. გარშემოსავლელის გადახურვის თავდაპირველი ფორმების შესახებ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც (ი. ელიზბარაშვილი), რ-ის მიხედვითაც კამარა მთავარი ეკლესიის შესაბამისს კედლებზე



307. ჭურჭლის ფრაგმენტები

მიბჯენილ თაღედს ეყრდნობოდა.

1960-იან წლებში ეკლ. და მისი მიმდებარე ტერიტ. არქეოლოგიურად შეისწავლა ОАЭ ინ-ტმა (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე, რაზმის ხელმძღვანელი ც. ჩიკოიძე). ეკლესიის ჩრდ.-აღმ კუთხესთან ახლოს გაითხარა თანადროული, რიყის ქვით ნაშენი, აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული, საცხოვრ. შენობა, რ-ისთვისაც განვით. შუა საუკუნეებში სვეტებიანი ნაგებობა მიუშენებიათ, გვიანდ. შუა საუკუნეებში კი, ზემოდან, მეორე სართული დაუშენებიათ, ხოლო ქვედა – მარნად გადაუკეთებიათ.

პირველი სართულის ინტერიერის გაწმენდის შემდეგ, ჩრდ. კედელზე, გამოჩნდა ერთმანეთისგან არათანაბარი მანძილებით დაშორებული, სამი, მძლავრი პილასტრი და განიერი კარი. მარანში, აღმ., დას. და სამხრ. კედლების გასწვრივ, რიყის ქვით ნაშენი, კირის წმინდა ბათქაშით შელესილი, სამი საწნახელია. მათ შორის მთავარი სამხრ. კედელზე მიშენებული საწნახელია, რ-ის ფსკერი გვერდებიდან ცენტრისკენაა დაქანებული. ფსკერში ორი, კერამ. ღარია ჩატანებული, რ-ებიც ცენტრში ერთმანეთს უერთდება, აქედან კი, თიხის კერამ. მილით, სითხე გარეთ გამოდის. საწნახლის გვერდებზე თითო, კვადრ. აუზია, რ-ებსაც სითხის სადინარი არ გააჩნია.

აღმ. და დას. საწნახლები, დარბაზის მთავარი ნაწილისგან, კედლებით იყო გამოყოფილი. მათი მილ-სადინრები გადიოდა დარბაზის ჩრდ. კედლის გარეთ, ნახევრად ღია ფარდულში, სადაც ქვევრები იყო ჩაფლული. გათხრების შედეგად აღმოჩენილ, კერამიკულ მასალაში ჭარბობს გვიანდ. შუა საუკუნეების თიხის ჭურჭელი. მხოლოდ სვეტებიან ნაგებობაში აღმოჩნდა XI-XIII სს-ის მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის რამდენიმე ნიმუში.

2007 წელს საქართველოს კულტ. მემკვიდრეობის დაცვის სახელმწ. პროგრამით ძეგლზე ჩატარდა სარებილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი ზ. ქუფარაშვილი, თანაავტორი ა. ჭიკაიძე). ეკლესიის ირგვლივ მოიჭრა მიწის ფენა. ეკლესიის სახურავი და კედლები გაიწმინდა მცენარეულობისაგან. მთავარ ეკლესიაში მოიხსნა გვიან ჩაშენებული კედლები. აღდგა მთავარი ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები და კამარა. სამხრ. და ჩრდ. სარკმლების წირთხლები განახლდა სუფთად თლილი, შირიმის ქვით. გვერდითი ნავების აღმ. ნაწილების შემორჩენილ კედლებზე გადაეწყო საპირე წყობა, ხოლო დანგრეული ნაწილები აღდგა შერჩეული რიყის ქვით. დაკონსერვდა გარშემოსავლელის შემორჩენილი კედლები. მთლიანად აღდგა სამკვეთლო და ჩრდ. ეკლესიის აფსიდი. აღდგა სამხრ. ეკლესიის აფსიდი, კონქი და კამარის აღმ. მონაკვეთი. მთავარი ეკლ. და გარშემოსავლელის აღდგენილი ნაწილები გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 54; 55; 88; 93; 106; 212; 335.

308. ციხე-დარბაზის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 0,5 *კმ*-ზე, მდ. თურდოს მარცხ. ნაპირას. ნასოფლარ არტოზანის ტერიტორიაზე, თარიღდება XVIII ს-ის შუა ხანებით. ეკუთვნოდა ადგილ. ფეოდალებს – მაყაშვილებს.

ციხის გეგმა თითქმის კვადრატულია (დაახლ. – 40x45 *მ*), რ-ის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკი დგას. გალავნის აღმ. კედელი მდინარეს გასდევს, ამიტომ ოდნავ მოხრილია. ჩრდ. კედლის ცენტრში ჭიშკარია. ჭიშკრის პირდაპირ, სამხრ. კედლის ცენტრში – მცირე ზომის, სათადარიგო კარი. კოშკები ისეა დაზიანებული (სამხრ.აღმ-ისა მთლიანად დაქცეულია) და გადაკეთებული, რომ მათი თავდაპირველი სახის აღდ-

გენა მიახლოებით თუ ხერხდება. კოშკებიდან სამი, სავარაუდოდ, ორსართულიანი იყო, ქონგურებიანი ბანის მქონე, ხოლო მეოთხე – სამსართულიანი. შესასვლელები სართულებს ცალ-ცალკე ჰქონია. პირველი სართული ყველგან დამხმარე ჩანს, ხოლო მეორე სართულის კედლებში ცალმაგი და ორმაგი სათოფურები იყო განლაგებული. სართულშუა გადახურვა ხის იყო.



308. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან



308. გალავნის დას. კედელი, ხედი სამხრ.-დას-იდან

ციხის კედლები ორიარუსიანია. ჩვეულებისამებრ, ქვედა იარუსი აქაც ყრუა, ზედა კი – საბრძოლო. იარუსების კედლების სისქეთა სხვაობა, მცირე საფეხურს ქმნის, რ-ზეც დაყრდნობილი იქნებოდა მებრძოლთა სასიარულო, ხის ბილიკი. ზედა იარუსის კედლებში, მონაცვლეობით, ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია განლაგებული.

ციხის შიგნით, სამხრ. კედლის გასწვრივ, მდგარა ორსართულიანი სასახლე (შემორჩენილია ქვის კიბე). გალავნის ჩრდ. კედლის დას. ნახევარი და აღმ. კედლის ჩრდ. ნახევარი მეორეხარისხოვან ნაგებობებს ჰქონია მოკავებული.


ჭიშკრის სიახლოვეს დგას კარის ეკლესია. შენობა დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (10x5,3 *მ*). შესასვლელი ორია – სამხრ-ით და დას-ით. ორივე შეისრულთაღიანია და შიგნიდან სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. აღმ-ით, ეკლესიის იატაკის მიმართ საფეხურით შემაღლებული, ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ცენტრში შეისრული სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს თითო, თაღოვანი ნიშაა. თითო, შეისრულთაღოვანი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდი გადახურულია კონქით. დარბაზი – ცილინდრული კამარით. კამარის შუა ნაწილში შეკიდულ პილასტრებზე დაყრდნობილი, საბჯენი თაღია. ეკლესიის იატაკი კვადრ. აგურისაა (24x24x5 *სმ*).

შენობის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და დას-ისაა მორთული. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობით, რელიეფური ჯვარია გამოსახული. ჯვრის ზემოთ და გვერდებზე, მოთავსებულია წყობაში შეღრმავებული, თითო რომბი. დას. ფასადის მორთულობა აგურის რელიეფური არშიით გამოყვანილი სამი, ერთმანეთთან დაკავშირებული, სხვადასხვა სიგანის ელემენტისგან („ჩარჩოსგან“) შედგება, რ-ებიც კედლის ღერძზე, ერთიმეორის თავზეა განლაგებული და ფრონტონის არეში გამოსახული, რელიეფური

308. გალავნის ჩრდ. კედელი, ხედი ეზოდან



ჯვრის საფეხუროვან საფუძველს ქმნის. მათ შორის ქვედაში, შესასვლელის ზედა ნახევარია მოქცეული, ზედაში კი – სარკმელი.




308. ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობითაა შედგენილი. სახურავი კრამიტისა ყოფილა.

თ. დვალი, ჰ. ზაქარაია.


ბიბლ.: 66; 211.

309. ციხე-დარბაზის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. განაპირას, თელავიდან ახმეტისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ასიოდე მ-ის მანძილზე. ციხე-დარბაზი ადგილ. ფეოდალებს მაყაშვილებს ეკუთვნოდა. მასში შედის: სასახლე, კარის ეკლ., მარანი, ორი საცხოვრ. ნაგებობა და გალავანი. თარიღდება XVIII ს-ის შუა ხანებით. ეკლ. უფრო ადრე, დაახლ. XVIII ს-ის I ნახევარში, უნდა იყოს აგებული.




309. ხედი სამხრ.-დას-იდან

ციხე-დარბაზი გეგმით მოგრძო ოთხკუთხედია (91,8x48,4 მ), რ-ის სამ კუთხეში (სამხრ.-დას., ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას.) კოშკებია ჩართული. მეოთხე, სამხრ.-აღმ. კუთხე მოშლილია, თანაც, აქ მრავალჯერ გადაკეთებული სასახლე დგას, რის გამოც, გაურკვეველია, იდგა თუ არა ამ კუთხეშიც კოშკი. ამჟამად, ციხის სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას. კუთხეებში მდგარი კოშკები ცილინდრულია, ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკი კი, შიგნიდან თითქმის კვადრატულია, ხოლო გარედან – ხუთწახნაგა (ქვედა კოშკი თავმორღვეულია).



309. გენგეგმა



309. ჩრდ.-აღმ. კოშკი. I სართულის გეგმა

შედარებით კარგად არის შემორჩენილი გალავნის ჩრდ. კედლის შუაში ჩართული ეკლ., და გალავნის აღმ. კედლის შუა ნაწილზე მიდგმული მარანი. საცხოვრ., ორსართულიანი ნაგებობები კი გადაკეთებულია. ორივე მათგანი ციხის დას. ნაწ-

ილში, გალავნის დას. კედლის გასწვრივ არის აგებული. მათ შორის ერთი – ჩრდ.-დას. კუ-




309. ჩრდ.-აღმ. კოშკი, ხედი ჩრდ-იდან

თხეშია, ხოლო მეორე – სამხრ. მონაკვეთში.

ციხის ჭიშკარი ჩრდ-ითაა, მდ. ალაზნის ველის მხარეს, ჩრდ.-დას. კუთხის კოშკსა და ეკლესიას შორის. აღმ-ით, მდ. თურდოს მხარეს, სასახლესა და მარანს შორის, სათადარიგო გასასვლელია.

ციხის კედლები ორიარუსიანია. ნაგებია რიყის ქვით. ქვედა იარუსის კედლები (სიმ. 2-3 *მ*) ყრუა. მის თავზე გადიოდა მებრძოლთა სასიარულო, ხის ბი-




309. სამხრ.-დას. კოშკი. II სართულის გეგმა

ლიკი. ზედა იარუსის კედლებში პირდაპირი და ძირს დახრილი, ცალმაგი სათოფურებია. დას. კედელში, ცალმაგი სათოფურების გარდა, შეწყვილებული სათოფურებიცაა.

ციხის აღმ. და დას. კედლების უმეტესი ნაწილი კლავ დგას. სამხრ. კედლიდან მცირე მონაკვეთია შემორჩენილი. ჩრდ. კედლიდან კი – მხოლოდ ქვედა ნაწილი. გალავანს ქონგურები არ ჰქონია.

კოშკებიდან მთავარია გალავნის სამხრ.-დას. კუთხეში მდგარი, ოთხსართულიანი კოშკი. იგი ყველაზე დიდია და სხვებზე მაღლაც დგას. ძ. სავარაუდოდ,




309. სამხრ.-დას. კოშკი. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ქონგურებიანი, საბრძოლო ბანით იყო დასრულებული. კოშკის I და II სართულს შესასვლელი ცალ-ცალკე, ეზოდან ჰქონდა. ორივეგან, კარის მოპირდაპირედ ბუხარია. I სართული უსარკმლოა. კედელში მოწყობილია სამი, სწორკუთხა ნიშა. გალავნის შესაბამისი კედლების მხარეს კი – თითო სათოფური. II სართულზე ორი სარკმელია. ერთი – კარის თავზე, მეორე შედარებით მოზრდილი – ჩრდ-ით. კედლის ქვედა ნაწილში ოთხი ცალმაგი, ძირს დახრილი სათოფურია. ამდენივე შეწყვილებული სათოფურია ზედა ნაწილში. მათ გვერდებზე კი თითო, ცალმაგი სათოფურია გაჭრილი.

III სართულის სამხრ. კედელში ერთი, მოზრდილი სარკმელია. მეორე, მცირე სარკმელი ეზოსკენაა. სართულის კედელში, ორ რიგად, ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებია მოწყობილი. ჩრდ.-დას-ით ბუხარია.

IV სართულზე, ფასადის მხრიდან, თითქმის თანაბრად განლაგებული, ოთხი, ნისკარტა სალოდეა. მათ შორის კი მოთავსებულია ძირს დახრილი, ცალმაგი და პირდაპირი, შეწყვილებული სათოფურები. კოშკის შიდა კედლები შელესილია. ქვედა, სამი სართულის კედლებში ირმის მრავალი რქაა ჩასმული, რ-საც, სავარაუდოდ, იარაღისა და ტანისამოსის ჩამოსაკიდად იყენებდნენ.

ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკიდან მხოლოდ ორი სართულია შემორჩენილი. I სართული მიწის დონიდან 2 *მ* სიმაღლეზე იწყება (სართული ღორღითაა ამოვსებული და პირვანდელი გადაწყვეტა გაურკვეველია). სართულის შესასვლელის მარცხ. წირთხლში ზემოთ მიმავალი კიბის უჯრედია. მარჯვენაში კი, სიღ-



309. სამხრ.-დას. კოშკი. აღმ. ფასადი

რმეში – საპირფარეშო. აღმ-ით, შუაში, საშ. ზომის სარკმელია გაჭრილი. ოთხივე კედელში მოწყობილია სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების, სწორკუთხა ნიშები. მათგან ზოგში სათოფურია გაჭრილი, ზოგი კი სამეურნეო დანიშნულებისაა. ნიშები, გარდა დას-ისა, გადახურულია შეისრული თაღით.

II სართულის კედლებიდან ქვედა ნაწილებიღაა შემორჩენილი. კედლების ცენტრში დიდი სარკმლებია გაჭრილი, რ-ის გამოყენება საზარბაზნედაც შეიძლებოდა. დას. და სამხრ. კედლების ბოლოებში კიბიდან გამოსასვლელია, მეორე ბოლოში კი – დიდი ნიშა. კოშკს ხის, სართულშუა გადახურვა ჰქონდა.



309. ხედი სამხრ-იდან (მარცხნივ: სამხრ.-დას. კოშკი).





309. სამხრ.-დას. კოშკი, ხედი სამხრ.-დას-იდან

ჩრდ.-დას. კოშკი საცხოვრ. სახლთანაა გაერთიანებული. კოშკიდან მოღწეულია მხოლოდ ორი სართული. ორივე სართულს ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს. I სართულზე თანაბრად განაწილებული, ოთხი სარკმელია. მათგან ორი სარკმლის ქვედა ნაწილში სათოფურებია გაჭრილი. კარის პირდაპირ შეისრულთაღიანი ბუხარია. სართული კონუსისებრი გუმბათითაა გადახურული. კოშკის II სართული ნაწილობრივაა შემორჩენილი. ჩრდ.-აღმ-ით და დას-ით მოზრდილი, სწორკუთხა სარკმლებია გაჭრილი. ბუხარი ამ სართულზედაცაა – კარის პირდაპირ. კედელში მრავალი, სხვადასხვაგვარი სათოფურია გაჭრილი.

ჩრდ.-დას. კუთხეში მდგარ საცხოვრ. სახლს (გარე ზომები: 17x6 მ) შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. მისი დას. კედელი, რ-იც იმავდროულად ციხის კედელიცაა – ყრუა. აღმ. და სამხრ. კედლები კი გადატვირთულია სხვადასხვა ზომის, ნახევარწრიული და სწორკუთხა ნიშებით. ამავე კედლებშია გაჭრილი სახლის სარკმლებიც. II სართული მორღვეულია.

ეკლესია მცირე ზომისაა, დარბაზული (გარე ზომები: 7,4x6,1 მ), ნახევარწრიული აფსიდით აღმ-ით. კედლები, ძირითადად, ნაგებია რიყის ქვით. კამარა, თაღები და კარ-სარკმლები – აგურით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. დას-იდან და სამხრ-იდან. კარები შეისრულთაღიანია და ორივე მხრიდან სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში შიგნიდან შეისრული, ხოლო გარედან ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელია გაჭრილი. მსგავსი, თითო სარკმელი ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში და დას. კედელშია. მოგვიანებით, აღმ. სარკმელი გარედან გაუგანიერებიათ და თარაზულად გადაუხურავთ. აფსიდში, სარკმლის გვერდებზე მოწყობილია თითო, მაღალი, შეისრულთაღოვანი ნიშა. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც. იგი თლილი ქვით არის გამოყვანილი და წინიდან, მთელ სიგრძეზე, ლილვი გასდევს. იატაკი მოგებულია ქვსგვერდა, ანგობით





309. ეკლ. გეგმა. ჭრილი, ხედი სამხრ.-კენ

დაფარული აგურით. ეკლესიაში ერთ-ერთი მაყაშვილის საფლავია, თარიღით – 1765 წ.

ის, რომ ეკლესიას სარკმელი ჩრდ-ით, ციხის გარეთკენ

აქვს გაჭრილი და არ გააჩნია სათოფურები, იმის დამადასტურებელია, რომ იგი ციხემდე იყო აგებული.



309. ეკლ. დას. ფასადი

ეკლესიის ფასადები რიყის ქვითაა ნაგები. კუთხეები და მორთულობის ელემენტები გამოყვანილია აგურით. აღმ. და დას. ფრონტონებზე, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, თითო, მაღალი ჯვარია გამოსახული. დას. შესასვლე-



309. ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ლი სწორკუთხედშია ჩასმული, რ-საც, ზემოთ, აგურის კბილანა წყობა გასდევს. კარის გვერდებზე სწორკუთხედში ჩასმული, თითო ნიშაა. კედლები დასრულებულია სპეციალურად დამზადებული აგურით გამოჟვანილი, მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს შეადგენს: თარო, შეზნექილი მრუდი და ლილვი. სახურავი ორფერდაა, დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

მ ა რ ა ნ ი რიყის ქვითაა ნაშენი. იგი გეგმით სწორკუთხაა და აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (გარე ზომები – 11,3x6,2 *მ*). შენობის შიგნით ქვევრებია. მათგან რამდენიმე ძველია.

თ. დვალი, პ. ზაქარაია.

ბიბლ.: 66; 211; 335.

310. ციხისჯვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ. განაპირას, იგრიაანთ უბანში. თარიღდება XVII-XVIII სს-ით.

ეკლ. მცირე ზომის (5,3x3,9 *მ*) სამლოცველოა. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. ერთადერთი შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი შეისრულთაღოვანია, გამოყვანილია კვადრ. აგურით. თაღი გარედან ჩასმულია საფეხურით შელრმავებულ, ხერხულა ფრიზით დასრულებულ სწორკუთხა არეში. შიგნიდან შესასვლელი სწორკუთხაა.



310. ხედი სამხრ.-დას-იდან

აღმ-ით, დარბაზის იატაკის მიმართ ოციოდე *სმ*-ით შემაღლებული, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში ვიწრო, მაღალი, შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის აქეთ-იქით თითო ნიშაა. სამხრ-ით მდებარე ნიშა სწორკუთხაა, მცირე ზომის, ჩრდ-ით მდებარე კი – მოზრდილია, შეისრულთაღოვანი. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიბჯენილი, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია აგურის კანკელით, რ-ის შუაში შეისრულთაღოვანი კარია. დარბაზის ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში მცირე, სწორკუთხა ნიშაა. იატაკზე დაგებულია კვადრ. აგური. შიგნით ეკლ. შელესილია, გადახურულია შეისრული კამარით. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც.

2010 წელს, სოფლის მკვიდრის დ. სეხნიაშვილის დაფინანსებით, ეკლ. შეაკეთეს. აღადგინეს საპირე წყობის ზედა, ჩამოშლილი ნაწილები და ლავგარდანი, რ-ის მცირე მონაკვეთები აღმ. და ჩრდ. ფასადებზე იყო შემორჩენილი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.


თ. დვალი.

311. წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, სასაფლაოზე. თარიღდება VI ს-ით.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა. ნაგებობის გეგმის გარეგანი აბრისი აღმ.-დას-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედია (12,2x11,3 *მ*), რ-შიც მოქცეულია გვერდიგვერდ განლაგებული, ყრუ კედლებით გამიჯნული, სამი, წაგრძელებული სადგომი, რ-ებიც თითო კარით უკავშირდება ერთმანეთს. სამივე აფსიდიანია და დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს. შუა სადგომი, დანარჩენ ორზე, რამდენადმე უფრო განიერია და, ისევე როგორც სამხრისა, შენობის მთელ სიგრძეზეა გაყოლებული. ჩრდ-ისა – გაცილებით მოკლეა. აღმ-იდან მას ეკვრის მოგრძო, გეგმით სწორკუთხა სათავსი, რ-იც მხოლოდ მთავარ ეკლესიას უკავშირდება.

ეკლ. ძლიერ არის დაზიანებული. გადარჩენილია მხოლოდ მთავარი ეკლ., მაგრამ მასაც კამარისა და კონქის დიდი ნაწილი ჩამოშლილი აქვს. გვერდითი ეკლესიებიდან მხოლოდ მცირე ნაწილებია შემორჩენილი. მიუხედავად ამისა, მათი თავდაპირველი ფორმების აღდგენა მაინც ხერხდება.

ეკლ. დიდი ზომის, რიყის ქვის სწორი რიგებით, საგულდაგულოდაა ნაგები. აფსიდის კუ-



311. გეგმა


თხეების და პილასტრების დამაგვირგვინებელი იმპოსტები შირიმისაა. მათი პროფილი ერთნაირია – თარო და ირიბად ჩამოკვეთილი სიბრტყე. იგივე მასალის და პროფილის იყო კამარის ერთადერთი, საბჯენი თაღის კონსოლებიც (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ-ისა). შიგნით კედლების ზედაპირი ჯერ ბათქაშითაა გასწორებული, ხოლო შემდგომ შელესილია.

მთავარი ეკლ. შემაღლებული პროპორციებისაა. აღმ-ით, ნალისებრი აფსიდის ცენტრში, მაღალი, თაღოვანი სარკმელია მოწყობილი, ჩრდ. გვერდში კი – მცირე, კვადრ. ნიშა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, მთავარ ეკლესიას გრძივ კედლებში, ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებული, კიდევ ოთხი, ნალისებრთაღოვანი სარკმელი აშუქებდა.

გრძივი კედლები დამუშავებულია სამ-სამი, არათანაბარი სიგანის, ყრუ თაღით, რ-თა შორის დას-ისა ბევრად განიერია დანარჩენებზე. თაღები პილასტრებზეა გადაყვანილი. ჩრდ. კედლის აღმ. თაღში ჩრდ. სადგომში გასასვლელი, სწორკუთხა კარია, რ-იც მთლიანი ქვის ზღუდრითაა გადახურული, სადგომის მხრიდან კი თაღოვანია. თვით სადგომი უაფსიდოა. განათებული იყო აღმ. კედლის (უმეტესი ნაწილი დანგრეულია) შუაში გაჭრილი სარკმლით (შემორჩენილია სამხრ. წირთხლი და ძირი), რ-იც იატაკის დონიდან, დაახლ., 1 *მ* სიმაღლეზეა. სათავსი გადახურული იყო ერთიანი კამარით.


სამხრ. ეკლესიის აფსიდისგან მხოლოდ ნაშთიღაა შემორჩენილი, გაურკვეველია სამხრ. კედლის აღნაგობაც. ეკლესიის სივრცეს პილასტრების ორი წყვილი და მათზე გადაყვანილი თაღები სამ ნაწილად ყოფდა, რ-თა შორის დას-ით მდებარე, დანარჩენ ორზე, ოდნავ უფრო (დაახლ. 1 *მ*-ით) გრძელია.

ჩრდ. ეკლ. მცირე ზომისაა – სამხრ-ისაზე თითქმის ორჯერ მოკლე. სიმაღლით იგივეა, მაგრამ ოდნავ უფრო ვიწროა. აფსიდი ნალისებრი მოხაზულობისაა – უსარკმლო. სათავსი



311. გრძივი ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი ჩრდ-კენ

გადახურული იყო დამრეცი კამარით, რ-ის ქუსლის წყობა მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედელზეა



311. აღმ. ფასადი

შერჩენილი. ჰქონდა თუ არა ჩრდ. ეკლესიას დამოუკიდებელი შესასვლელი ჩრდ-იდან, კედლის დაზიანების გამო გაურკვეველია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 54; 317; 335.




311. ხედი სამხრ.-დას-იდან

312. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში, თაგაურიანთ უბანში. თარიღდება XIX ს-ით.

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო (11,4x7,1 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა, რ-იც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებულ, ორ რიგად ნაწყობ, აგურის, სწორხაზოვან რიგებს შორისაა მოქცეული. კუთხეები და ღიობების გადახურვა აგურისაა. შესასვლელი სამია: ერთი – დას. კედელში, ორი კი, ერთმანეთის მოპირდაპირედ, სამხრ. და ჩრდ. კედლებში. სამივე კარი თარაზულადაა გადახურული.

გრძივ კედლებზე სამი წყვილი პილასტრია. მათგან აღმ. წყვილი საკურთხეველს მლოცველთათვის განკუთვნილი ნაწილისაგან გამოყოფს. პილასტრებზე გადაყვანილ, ხის, საბჯენ თაღებზე ხისავე კამარა იყო დაყრდნობილი.

ეკლესიის კედლებში გაჭრილია ხუთი, ფართო, მაღალი სარკმელი. ხუთივეს მშვილდისებრი თაღი ხურავს. მათ შორის



312. გეგმა. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ (1979 წ.)

ერთი – აღმ. კედლის ცენტრშია, ხოლო ორ-ორი – ერთმანეთის მოპირდაპირედ – გრძივ კედლებში. საკურთხეველში ოთხი ნიშაა მოწყობილი. ორი მათგანი აღმ. კედელშია, სარკმლის აქეთ-იქით, ხოლო თითო – სამხრ. და ჩრდ. კედლებში. აღმ. კედელში მდებარე ნიშები მცირე ზომისაა – სწორკუთხა, დანარჩენი ორი კი მოზრდილია და მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული.

ეკლესიის დას. ფასადზე, კარის ზემოთ, აგურით ნაწყობი, ნახევარწრიული ნიშაა, რ-ის ზემოთ სამი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. მათ შორის ერთი, შედარებით ზემოთ მდებარე, ფასადის ცენტრშია, თითო-თითო კი – გვერდით ნაწილებში. თითო, მსგავსი ჯვარი სამხრ. და ჩრდ. შესასვლელების გვერდებზეცაა, ოდნავ ზემოთ. შესასვლელების თავზე კი ნახევარწრიული ნიშაა. გრძივი ფასადების აღმ. ნაწილში, არსებული სარკმლების დონეზე, თითო, ცრუ სარკმელია მოწყობილი. მოგვიანებით, ქვედა ჯვარი და ორივე ცრუ სარკმელი ამოუგსიათ. კედლები კი, როგორც შიგნით, ისე გარედან, შეულესავთ და შეუთეთრებიათ.

ფასადები დასრულებულია აგურის, სამსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის ქვედა საფეხური კუთხით შვერილი აგურებითაა გამოყვანილი, დანარჩენი ორი კი – ჩვეულებრივი წყობით. დას-ით, ფრონტონის წვერზე, დაშენებული იყო ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-ისგანაც მხოლოდ ოთხკუთხა საფუძველი იყო შემორჩენილი.

312. ხედი სამხ-იდან





312. ინტერიერი, კონქის მოხატულობა

2009 წ-იდან სოფლის მკვიდრის დ. სეხნიაშვილის დაფინანსებით მიმდინარეობდა ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები (პროექტის ავტორი კ. პაპალაშვილი), რ-ებიც დასრულდა 2013 წელს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ეკლესიას მთლიანად შეეცვალა თავდაპირველი სახე. გარდა ამისა, კეთილმოეწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტ., ეკლესიის ჩრდ-ით, ააგეს მოზრდილი, ორსართულიანი სამრეკლო და სათავსი საეკლესიო მაღაზიისათვის. ამავე მხარეს



312. სამრეკლო, ხედი სამხრ.-აღმ-იდან

გაკეთდა, დაახლ., 2 *მ* სიმაღლის კედელი, რ-ის დას. ნაწილში განიერი ჭიშკარია. 2012-13 წწ-ში ეკლ. მოიხატა მხატვარ ვ. სიმონიშვილის მიერ.


თ. დვალი.

313. წმ. შიოს მონასტერი, ე.წ. „შ ი ო ს მ ა რ ა ნ ი“, არქიტ., მონუმ. ხელოვნების ძ. დგას სოფლის ზემოთ (სამხრ.-დას-ით), ოთხიოდე კმ-ზე, მდ. თურდოს მარცხ., მაღალ ნაპირზე, ნასოფლარ არტოზანის ტერიტორიაზე, ფლატის პირას. მონასტრის ნაგებობებიდან, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე, მხოლოდ წმ. შიოს სახელობის ეკლესიაა მოღწეული. დანარჩენები კი დანგრეულია: ზოგის ნანგრევებია შემორჩენილი, ზოგის კი მხოლოდ კვალი იკითხება.



313. საერთო ხედი სამხრ-დან

მონასტრის მთავარი ნაგებობა წმ. შ ი ო ს ე კ ლ ე ს ი ა ა. თარიღდება XII ს-ის II ნახევრით. იგი დარბაზული ტიპისაა, ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით აღმ-ით. აფსიდი გარედან ხუთწახნაგა აბრისშია ჩაწერილი და ეკლესიის ძირითადი კორპუსიდან მოკლე მხრებით გამოიყოფა (ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრ. – 16,5 *მ*, სიგ. – 10,6 *მ*). ეკლესიას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან თანადროული, თითქმის კვადრ. გეგმის მინაშენები ეკვრის. სამხრ. მინაშენი – სამ მხარეს თაღებით გახსნილი კარიბჭე – ფასადის შუა ნაწილზეა მიდგმული; ჩრდ-ისა კი – აღმ. კიდეში. იგი ეკლესიის ძირითად კორპუსთან წყო-



313. წმ. შიოს ეკლ. გეგმა

ბითაა დაკავშირებული. ეკლესიას, დას-იდან, მოგვიანებით აგებული, სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული ნაგებობა ეკვრის, რ-იც დას. კედელს მთელ სიგრძეზე გაუყვება. მომდევნო ხანებში, ამ უკანასკნელზე დას-იდან მიუშენებიათ იგივე სიგრძისა და დაახლ., იმავე სიმაღლის ნაგებობა, რ-ის შუა ნაწილზე სამრეკლოა დადგმული.


ეკლ., თითქმის მთლიანად, კვადრ. აგურითაა ნაგები. შიგნითა კედლების წყობაში, გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ლოდებიც. აგურითაა ნაგები სამხრ. და ჩრდ. მინაშენებიც. დას. მინაშენი და მასზე მიშენებული ნაგებობაც რიყის ქვისაა.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე ნახევარწრიულთაღიანია და გარედან საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან ორი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი, საბჯენი თაღით არის გამოყოფილი. პილასტრებს შორის გვიანდ., რიყის ქვით აგებული კანკელის ნაწილია შემორჩენილი (მაქს. სიმ. 1 მ). აფსიდში გაჭრილია სამი განიერი, მაღალი, თაღოვანი სარკმელი. შუა სარკმელი ოდნავ მოზრდილია, ნახევარწრიულთაღიანი. დანარჩენები ოდნავ შეისრულთაღიანია. ოდნავ შეისრულია სატრიუმფო თაღიც. აფსიდს, მთელ სიგრძეზე, ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გასდევს.


ეკლესიის გრძივ კედლებზე ორი, წყვილი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. მათგან აღმ. წყვილი შეკიდულია. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა.

საკურთხეველში, დას. კედელზე, აქა-იქ, სამხრ. და ჩრდ. კედლებზე შემორჩენილია მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს ფრაგმენტები (XII ს-ის ბოლო).


პირველ რეგისტრში, საკურთხეველში, კონქის კომპოზიციიდან, ფრონტალურად მოცემული მთავარანგელოზთა გამოსახულებებისგან მხოლოდ ტერფებია დარჩენილი. მეორე რეგისტრში, აფსიდის კედელზე, თორმეტი მოციქულის წელზედა ფიგურებია მედალიონებში. ჩრდ.



313. წმ. შიოს ეკლ. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1943 წ.)



313. წმ. შიოს ეკლ. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1943 წ.)



313. წმ. შიოს ეკლ. აღმ. ფასადი (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1943 წ.)

კიდეში კი, პილასტრთან ახლოს, ადგილის სიმცირის გამო, მედალიონი, „ჩამოჭრილია", ხოლო მოციქული, სხვებისგან განსხვავებით, ცენტრისკენ 3/4-ითაა შებრუნებული (მსგავსადაა გამოსახული მოციქული სამხრ. კი-



313. წმ. შიოს ეკლ. სამხრ. ფასადი (მ. კალაშნიკოვის ნახაზი. 1943 წ.)

დეშიც). მესამე რეგისტრში ეკლესიის მამათა ფრონტალური ფიგურებია (სულ ათი), რ-თაც სამხრ. და ჩრდ. მხრიდან თითო დიაკვანი უდგას. ეკლესიის მამებს ერთ ხელში წიგნი უჭირავთ, მარჯვ. ხელი – კურთხევის ჟესტით – მკერდის წინ აქვთ აღმართული. ხელები მხოლოდ ორ შემთხვევაშია დაფარული ტანსაცმლით, მთელი ტანით წარმოდგენილი თითო წმინდანი გამოსახულია სარკმლების წირთხლებზე. ერთ მათგანს (ცენტრ. სარკმლის სამხრ. წირთხლზე) ქართ., ასომთავრულწარწერიანი, გაშლილი გრაგნილი უჭირავს. მღვდელმსახურების დასაჯდომის ზედა საფეხურის თავზე, საკმაოდ მაღლა, მხატვრობას ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი. მცენარეული ორნამენტის (რომბებში ჩაწერილი ყვავილები) ნაშთები გაირჩევა საკურთხევლის მიმდებარე პილასტრებზე.

სამ რეგისტრად უნდა ყოფილიყო დანაწილებული დარბაზის მხატვრობაც. სამხრ. და ჩრდ. კედლებზე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემონახული. მათი ადგილმდებარეობა შემდეგნაირია: სამხრ. კედელი, აღმ-ით – მეორე და მესამე რეგისტრი; სამხრ. კედელი, კარის ზევით – მეორე რეგისტრი; სამხრ. კედელი, დას-ით – მესამე რეგისტრი; ჩრდ. კედელი, აღმ-ით – მეორე რეგისტრი, დას-ით – მესამე რეგისტრი.

ამ ფრაგმენტებზე, მეტწილად, ჩანს წმინდანების წელსქვევით შემონახული, ფრონტალური ფიგურები. ასევე შემორჩა სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში, მესამე რეგისტრში, ცის სეგმენტიდან გადმოწეული, პატარა ფიგურა (ქრისტე?), რ-იც აკურთხებს მისკენ მიმართულ, დიდი ზომის გამოსახულებებს. გაირჩევა წინა ფიგურის, სევდიანი გამომეტყველების მქონე სახე – გრძელი წარბებით, თხელი, ოდნავ კეხიანი ცხვირით, დანაოჭებული შუბლით და მოგრძო თვალით.

სამხრ. კედლის აღმ. შეკიდულ პილასტრზე, ასევე ჩრდ. კედლის დას. პილასტრის ქვედა ნაწილში გაირჩევა ცალკე მდგომი წმინდანების კვალი.

მხატვრობა შედარებით სრულადაა შემონახული დას. კედელზე. პირველ რეგისტრში, ზემოთ, *ჯვარცმაა*. მეორე რეგისტრში სამი სცენაა გამოსახული, სადაც მთავარანგელოზი მიქაელია. კედლის ჩრდ. ნაწილში წარმოდგენილია *მთავარანგელოზ მიქაელის სასწაული ხონას* (ამ სცენის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდ. ნიმუში საქართველოში). ცენტრში – ისუ ნავე, სამხრ. ნაწილში (მ. ყენიას ცნობით) კი – *მთავარანგელოზ მიქაელის გამოცხადება ბალაამის წინაშე*.



313. წმ. შიოს ეკლ. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ქვედა რეგისტრში მთელი ტანით გამოსახული, ხუთი ფიგურაა. ცენტრში, კარის თავზე, ქრისტეა წელზევით წარმოდგენილი. მარჯვ. ხელში (დაახლ. მხარის დონეზე) მას ყვითელი ფერის წიგნი(?) უჭირავს. მარცხ. ხელი ქვემოთ აქვს დაშვებული. ჩანს მისი გაშლილი მტევანი. კარის ორივე მხარეს ორ-ორი ფიგურაა. კარის სიახლოვეს

საერო პირებია განლაგებული, მოშორებით კი – წმინდანები. სამხრ-ით მდებარე წმინდანის გამოსახულება ძალიან დაზიანებულია, მეორე – შედარებით კარგად არის შემონახული, მაგრამ წარწერის გარეშე. მისი ვინაობის დადგენა არ ხერხდება.



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, ხედი აფსიდზე

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კართან ახლოს გამოსახული საერო პირები. ორივე გამოსახულება კედლის ცენტრისაკენ 3/4-ით არის შებრუნებული. ხელები, ქრისტეს მიმართულებით, ვედრების ჟესტით აქვთ გაწვდილი. ორივე გვირგვინოსანია. ერთი მათგანი (კარის სამხრ-ით მდებარე) მამაკაცია. მეორე ძნელად გაირჩევა. მას გრძელი სამოსი აცვია და, სილუეტის მიხედვით, ქალი უნდა იყოს (მეუღლე?). ჩანს მისი ყვითელი მოსასხამი და შიდა, წითელი სამოსი. არსებობს მოსაზრება (გ. ლეჟავა), რ-ის თანახმად, ეს პირიც მამაკაცია. მათ შორის ერთი დავით ულუღ, ხოლო მეორე დავით ნარინადაა მიჩნეული. შესაბამისად, მხატვრობის თარიღიც 1247-1259 წწ-ით არის განსაზღვრული.

დარბაზის მხატვრობას ასრულებს ორნამენტის ფართო ზოლი, რ-ის ფრაგმენტები სამივე კედელზეა შემორჩენილი. ამჟამად, მისი მოტივი აღარ გაირჩევა, მაგრამ, როგორც ჩანს, საკურთხევლის მსგავსად, აქაც გეომეტრიული (კიბისებრი) ორნამენტი იყო გამოყენებული. კედლის დანარჩენი, მონაცისფრო-თეთრი მონაკვეთი (სიმ. დაახლ. 2 მ) იატაკამდე შემკული არ არის. კიბისებრი ორნამენტის ფრაგმენტები შემონახულია სამხრ. კედლის შეკიდული პილასტრის აღმ. გვერდზე და დას. კარის თაღის სოფიტზე.

მხატვრობაში ფართოდ არის გამოყენებული მცენარეული ორნამენტი. საკურთხევლის პილასტრების გარდა, იგი შემორჩენილია სამხრ. და დას. კედლების სარკმლების წირთხლებზე. მცენარეული ორნამენტითაა შემკული აგრეთვე დას. კარის ტიმპანი (ნალესობის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოცვენილია).

ეკლესიის მოხატულობა, შესრულების მაღალი ოსტატობის მიხედვით, თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. მხატვრობის კომპოზიციური აგება მონუმ. ხასიათისაა. მაღალი რეგისტრების განლაგება შეთანხმებულია კედლების დანაწევრებასთან. სცენებში ხაზგასმულია წმინდანების ფიგურები. ფონები არ არის დატვირთული. ლაკონურადაა გადმოცემული არქიტექტურა. ფიგურების მოძრაობა მშვიდია, თავდაჭერილი, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, იგრძნობა დინამიურობაც (წმინდანების სამოსის ნაკეცები საკურთხევლის სარკმლების წირთხლებზე). მოქნილი ხაზებით შესრულებული ნაკეცები მოწმობს გრაფიკული საწყისის უპირატესობას (წმინდანი, საკურთხევლის ცენტრ. სარკმლის წირთხლზე). ფერადოვანი ზედაპირის დამუშავება ნათელ კოლორიტს ქმნის. მოწითალო-აგურის-

313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, აფსიდის ჩრდ. გვერდის მოხატულობა, ეკლესიის მამები



ფერი, ოქროსფერი ოქრა, ლაჟვარდოვანი ცისფერი, წითელი, მწვანე და თეთრი ფერები.



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, აფსიდის სამხრ. გვერდის მოხატულობა, ეკლესიის მამები

კომპოზიცია, რ-საც ქმნის ცერტრალურ ღერძზე გამოსახული ქრისტე და მის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული, ორი, ისტ. პირი, აგების თვალსაზრისით, არ არის დამახასიათებელი ქართ. ხელოვნებისათვის (იხ. გ. ალიბეგაშვილი). საქართველოში ასეთ კომპოზიციებს ვხვდებით მხოლოდ XVI-XVII სს-ში, მაგრამ ისინი თავისი ეპოქის ძეგლებია და სტილისტურად მკვეთრად განსხვავდება რუისპირის კომპოზიციისაგან (სტატიკური, „გაშეშებული" პოზები, ფრონტალურ სხეულებთან დაპირისპირებული, გვერდზე გაწვდილი ხელები და სხვ.)

313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, აფსიდის მოხატულობა, დეტალი

ამგვარად, რუისპირის წმ. შიოს ეკლესიაში შემონახული ისტ. პირების პორტრეტები, თავისი მკაცრად ცენტრირებული კომპოზიციით, ქართ. ხელოვნებისათვის, დღესდღეობით, უნიკალურია პოსტბიზანტიურ ეპოქამდე.

ეკლესიის ჩრდ. კედლის შუაში მოწყობილია ჩრდ. მინაშენში გასასვლელი, თარაზულად გადახურული კარი. კარის გადამხურავი ქვის თავზე ნახევარწრიული ფორმის, განმტვირთავი თაღია, რ-ის არე აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითაა შევსებული. მინაშენის მხრიდან კარი შეისრულთაღოვანია. მინაშენი უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რ-ის გვერდითი კედლები, დარბაზის შესაბამისი კედლებიდან, მოკლე მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი, შეისრული ფორმის კამარა ხურავს. მსგავსი ფორმის კამარითაა გადახურული დარბაზიც, რ-იც ოდნავ განივი ღერძის მიმართულებითაა დაგრძელებული. აღმ. კედლის შუაში თაღოვანი სარკმელია (აღდგენილია). სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია მიდგმული. ერთი, თაღოვანი სარკმელი დას. კედელშიცაა. საკურთხევლის სამხრ. კედელში მოწყობილია საკმაოდ ღრმა, შეისრულთაღოვანი ნიშა. მოპირდაპირე, ჩრდ. კედელში კი ბევრად უფრო მცირე, სწორკუთხა ნიშაა.


სამხრ. კარიბჭე, სამივე მხარეს, თითო განიერი, ნახევარწრიულთაღიანი ღიობითაა გახსნილი. მათ შორის აღმ-ისა და დას-ისა თანაბარი ზომისაა, სამხრ-ისა კი შედარებით უფრო ფართოა და მაღალი. გარედან სამივე ღიობი ორსაფეხურიანია. შიგნით კარიბჭე გადახურული იყო დადაბლებული პროპორ-





313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, აფსიდის სამხრ. გვერდის მოხატულობა, დეტალი

ციების მქონე, გუმბათოვანი კამარით, რ-ის წრიული საფუძველი ოთხივე კუთხეში განლაგებული, ორსაფეხურიანი აფრებით იყო



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, დას. კედლის მოხატულობა. *მთავარანგელოზ მიქაელის სასწაული ხონას* (სქემა)

შექმნილი. (ეკლესიის სამხრ. კედელზე შემორჩენილი იყო კარიბჭის ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. კუთხეებში მოწყობილი, ორივე აფრისა და გუმბათოვანი კამარის ქუსლის წყობის ნაშთი და სახურავის ორივე კალთის კონტური).

დას. მინაშენი ორი, წყვილი პილასტრით და მათზე გადაყვანილი, შეისრული ფორმის, საბჯენი თაღებით სამ ნაწილად იყოფა. მათ შორის შუა, გვერდითებზე უფრო განიერი და მაღალია. მინაშენი განათებულია სამი სარკმლით, რ-ებიც სამივე ნაწილის დას. კედელშია გაჭრილი. შუა ნაწილი გადახურული იყო ცილინდრული კამარით, გვერდითები კი – დამრეცი კამარით. შუა ნაწილის დას. კედელში განიერი კარია, რ-ითაც მინაშენი მასზე დას-იდან მიშენებულ ნაგებობას უკავშირდება, რ-იც, მინაშენის მსგავსად, ერთმანეთთან ფართო თაღებით დაკავშირებული, სამი ნაწილისგან შედგება. აქაც შუა ნაწილი, გვერდით ნაწილებთან შედარებით, ოდნავ განიერია, მაგრამ სამივე თანაბარი სიმაღლისაა. ნაგებობას ორი შესასვლელი აქვს – ჩრდ-იდან და სამხრ-იდან. ნაგებობის შუა ნაწილის თავზე დადგმულია აღმ.-დას-ის მიმართულებით წა-



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, დას. კედლის სამხრ. ნაწილის მოხატულობა, ისტ. პირი

გრძელებული, ოთხკუთხა სამრეკლო, რ-იც ოთხივე მხარეს არათანაბარი ზომის, ნახევარწრიულთაღიანი ღიობებითაა გახსნილი. მათგან ორ-ორი – სამხრ-ით და ჩრდ-ითაა, თითო-თითო – შედარებით უფრო ფართო კი – აღმ-ით და დას-ით.

შენობის ფასადები სადაა. საკურთხევლის შვერილის თითოეულ წახნაგზე გამოყვანილია საფეხურით შეღრმავებული, ნახევარწრიულთაღოვანი არე, რ-თაგანაც სამში საკურთხევლის შესაბამისი სარკმელია მოთავსებული, ორში კი – წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, თითო ჯვარი. ერთი, ოღონდ რელიეფური ჯვარია გამოსახული დას.



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, დას. კედლის ჩრდ. ნაწილის მოხატულობა, დეტალი

ფასადზე – სარკმლებს შორის. საკურთხევლის შვერილისა და ეკლესიის კედლები დასრულებულია შირიმის ქვებით ნაწყობი, მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თაროსა და ლილვს შორის მოქცეული წრეთარგი შეადგენს.

ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან, ოთხიოდე მ-ის მანძილზე, დგას მცირე ზომის, შვერილაფსიდიანი სამლოცველო, რ-ის სამხრ.-დას. კუთხე ფერდობშია შეჭრილი (შიგნითა ზომები აფსიდის ჩათვლით: სიგრ. – 4,2 *მ*, სიგ. – 2,8 *მ*). ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი კედლების



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, დას. კედლის ჩრდ. ნაწილის მოხატულობა, დეტალი

მაქს. სიმ. 2,2 მ-ია. შენობა აგებულია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით და კირის დუღაბით. შიგნითა კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, ლოდები და აგური-



313. წმ. შიოს ეკლ. ინტერიერი, სამხრ.-აღმ. სარკმელი

ცაა გამოყენებული. შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს, კედლის დას. კიდეში. კარი შიგნიდან და გარედან თარაზულად ყოფილა გადახურული. აფსიდი ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის მოყვანილობისაა. აფსიდში დგას რიყის ქვით ნაგები, ოთხკუთხა ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიყრდნობილი. დარბაზის სამივე კედელზე მოწყობილია მცირე ზომის, გეგმით ნახევარწრიული



313. წმ. შიოს ეკლ. დას. მინაშენი, ინტერიერის დეტალი

ნიშები – ორ-ორი სამხრ. და დას. კედლებში, ხოლო ერთი – ჩრდ. კედელში. ეს უკანასკნელი აგურით ნაწყობი კონქითაა გადახურული. მსგავსი გადახურვა ექნებოდა დანარჩენ ნიშებსაც.

ეკლესიის აღმ-ით, ათიოდე მ-ის მანძილზე, შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენი, გაურკვეველი დანიშნულების, სწორკუთხა ნაგებობის კედლების ნაშთები (სიმ. – 0,8 მ), მის აღმ-ით კი (დაახლ. 7 მ-ის მანძილზე) მოზრდილი, ორსართულიანი, საცხოვრ. ნაგებობის კედლები. ამ ნაგებობასთან ახლოს (აღმ-ით) გაურკვეველი დანიშნულების (შესაძლოა სამეურნეო) ნაგებობის დას. კედლის ნაწილია შემორჩენილი (სიმ. დაახლ. – 1,7 მ), ორი, მცირე ზომის ნიშითა და ბუხრის ნაშთით. კიდევ ერთი შენობის ნაშთებია შემორჩენილი საცხოვრ. ნაგებობის სამხრ.-აღმ-ით, ხევის პირას, რ-ის იატაკშიც მოწყობილია კამაროვანი ხარო. მონასტრის ტერიტორიის ამ მონაკვეთში სხვა ნაგებობების ნაშთებიც დასტურდება. რამდენიმე ნაგებობის კვალია შემორჩენილი ეკლესიის დას-ითაც.

საცხოვრ. ნაგებობა გეგმით სწორკუთხაა, წაგრძელებულია ჩრდ.-აღმ-ის მიმართულებით. შემორჩენილი აქვს ოთხივე კედელი. მათ შორის ორი – ჩრდ-ისა და აღმ-ისა – ორსართულნახევრის სიმაღლეზე დგას, დანარჩენი ორი კი – ერთი სართულის სიმაღლეზე. შენობა, ისევე



313. წმ. შიოს ეკლ. ხედი ჩრდ.-დას-იდან. წინა პლანზე: სამრეკლო

როგორც მონასტრის დანარჩენი ნაგებობები, რიყის ქვითაა ნაშენი. პირველ სართულზე, ჩრდ. კედლის აღმ. ნახევარში, მოზრდილი, გეგმით ნახევარწრიული, ნახევარწრიულთაღიანი ბუხარია – კონტრფორსისებრი, შვერილი ზურგით. ამავე კედელში სამი ნიშა და ერთი, ოთხკუთხა სარკმელია. ნიშებიდან ორი სწორკუთხაა, მესამეს კი ერთმანეთზე მიყრდნობილი, ორი ქვა ხურავს.

დას. კედლის სამხრ. ნახევარზე მიშენებულია მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე. ამ კედლის ქვით ნაშენი გალავნით იყო შემოფარგლული, დანარჩენი ნაწილი კი მდ. თურდოს ფლატით. ეკლესიის ჩრდ-ით და ჩრდ.-დას-ით შემორჩენილია გალავნის სხვადასხვა სიგრძის მო-



313. სამლოცველო, ხედი სამხრ.-დას-იდან

ში ორი, სწორკუთხა ნიშაა. ერთი კიბის ფარგლებშია, მეორე – კედლის შუაში. იატაკში მოწყობილია რიყის ქვით ამოშენებული ხარო. ნაგებობის ჩრდ. კედლის ნაკვეთები (სიმ. გარედან, ზოგ ადგილას დაახლ. 2,5 მ-ია). მონასტერთან ახლოს, ფლატეზე, მეცნიერულად შეუსწავლელი, რამდენიმე გამოქვაბულია.



313. საცხოვრ. ნაგებობა, ინტერიერი, ხედი ჩრდ-კენ

მთელ სიგრძეზე და სამხრ. კედლის დას. ნახევარში სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეებია შემორჩენილი.

მონასტრის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რიყის ქვით ნაშენი გალავნით იყო შემოფარგლული, დანარჩენი ნაწილი კი მდ. თურდოს ფლატით. ეკლესიის ჩრდ-ით და ჩრდ.-დას-ით შემორჩენილია გალავნის სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთები (სიმ. გარედან, ზოგ ადგილას დაახლ. 2,5 მ-ია). მონასტერთან ახლოს, ფლატეზე, მეცნიერულად შეუსწავლელი, რამდენიმე გამოქვაბულია.

1980-იან წლების მიწურულს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ ძეგლზე ჩატარდა სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები (რესტავრაციის პროექტის ავტორი რ. ცხადაძე, თანაავტორი ნ. კანდელაკი). აღდგა ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები და ლავგარდანი, მთლიანად აღდგა მინაშენები და სამრეკლო. ეკლ., სამრეკლო და მინაშენები გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. დაკონსერვდა ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან მდგარი სამლოცველო და ეკლესიის აღმ-ით მდებარე საცხოვრ. ნაგებობა. რესტავრაციამდე ეკლესიის კედლებს შემორჩენილი ჰქონდა რიყის ქვით აღდგენილი ნაწილები, რ-ებიც მოიხსნა და აგურით შეიცვალა.

ფ. დეკდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 61; 74; 114; 253; 266; 317; 335.

სანიორე

(თემის საკრებულოს ცენტრი)

314. მარიამწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ვენახებში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. შეკეთებულია XX ს-ში, ადგილ. მოსახლეობის მიერ.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი დას-იდან აქვს. აღმ-ით დასრულებულია ბრტყელი აფსიდით, რ-ის ცენტრში ჯვრის ფორმის სარკმელია გაჭრილი. საკურთხევლის ცენტრში ტრაპეზის ქვა დგას. კედლები შიგნიდან დუღაბითაა გალესილი. ძეგლის ოთხივე კედელი ძველია, შელესილია ცემენტით. სახურავი და შიდა გადახურვა ახალია.

პ. კიკაჩეიშვილი.

315. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. სავარაუდოდ, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. ბაზილიკური ტიპისაა. XX ს-ში მასში აბანო მოუწყვიათ, ინტერიერში ახ. კედლები ჩაუშენებიათ, ძვ. კედლები კი ცემენტით შეულესავთ, რის გამოც ეკლესიას პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. დას. კარი ამჟამად გაუქმებულია. აღმ-ით აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ძვ. ნაგებობიდან შემორჩენილია პი-

ლასტრები. კედლებზე შეიმჩნევა მათი კვალი. ჩრდ. კედელში სამი, ნალისებრთაღოვანი სარკმელია. ნავი გადახურული იყო ცილინდრული კამარით.

პ. კიკაჩეიშვილი.

ფშაველი

(თემის საკრებულოს ცენტრი)

316. ფშაველი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. სტორის (შტორის) მარცხ. ნაპირას, თელავიდან 35 კმ-ზე, ახმეტა-თელავის საავტ. გზაზე. ფშაველი და მისი მიმდებარე ტერიტ. სტორის, იგივე შტორის ხეობის უძველესს დასახლებას წარმოადგენს. სოფელმა სახელწოდება გვიანდ. შუა საუკუნეებში ფშაველი მოახალშენეებისაგან მიიღო. ადრინდელ საისტორიო წყაროებში ეს სახელწოდება არ ჩანს, რაც საქართვ. ბარში მთიელთა მიგრაციაზე მიგვანიშნებს. აქტიური კულტ.-სამეურნეო ცხოვრების კვალი თანამედროვე ფშაველში და მის მიდამოებში ადრინდ. შუა საუკუნეებიდანვე შეინიშნება.

ფშაველის მიდამოები ხშირად იხსენიება ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებშიც. „შტორის ხეობა“ და „შტორის ერისთავები“ ქართულ სინამდვილეში უკვე VIII ს-იდან ჩანან. ე. ი. მდ. შტორის ხეობა უკვე გარკვეულ ადმ.-ტერიტ. ერთეულად ჩამოყალიბდა, რ-საც ადგილ. ერისთავი განაგებდა.

შტორის საერისთავოსთან დაკავშირებით ხშირად იხსენიებენ „ნახჭევნის ციხეს“, რ-იც VIII-XI სს-ში არა მხოლოდ შტორის ხეობის, არამედ მთელი კახეთის მასშტაბითაც უძლიერესს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. კახეთის ნახჭევნის ციხესიმაგრე შტორის ხეობის გასაღებად ითვლებოდა. მისი აღება და შტორის საერისთავოს დამორჩილება, კახეთში გაბატონების ერთ-ერთი საწინდარი იყო. კახეთის შემოსამტკიცებლად წარმოებულ ბრძოლებში (მაგ. XI ს-ში) საქართვ. მეფეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ შტორის ხეობაში ნახჭევნის აღებას. ჩვენ სამეცნ. ლიტ-რაში ჯერ კიდევ ზუსტად არ არის განსაზღვრული თუ სად მდებარეობდა ეს ციხესიმაგრე. ვახუშტი ბატონიშვილის ვარაუდით, იგი იგივე ლალისყურის ციხესიმაგრეა.

სათანადო ისტ. მასალის გათვალისწინებით, ისტ. შტორის საერისთავოს ეს უძლიერესი ციხესიმაგრე, სავარაუდოდ, სწორედ სოფლების ფშაველისა და ლალისყურის მიდამოებში უნდა იყოს გაშენებული, რასაც გვაფიქრებინებს ორივე სოფელში მიკვლეული ადრინდ. შუა საუკუნეების უამრავი ძ., მათ შორის ციხესიმაგრეთა ნანგრევები. მაგ., ჩოლოყაშვილების ციხის (XVIII ს.) ზემოთ არის მეტად საინტერესოდ ნაშენი, „ტალის ციხედ“ მოხსენიებული ციხესიმაგრის ნანგრევები. გამორიცხული არ არის, რომ ფშაველი და მისგან 1 კმ-ზე დაცილებული ლალისყური თავდაცვის ერთიან კომპლექსს ქმნიდა, რ-იც მდ. შტორის ქვეყანას უწევდა კონტროლს. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ შუა საუკუნეებში კახეთისა და თუშეთის – გომეწრის თემის – დამაკავშირებელი, საქართვ. ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობის მქონე მაგისტრალური გზა (ე. წ. „ცხვრის გზა“), სწორედ შტორის ხეობაზე და კერძოდ, ფშაველზე გადიოდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ამ პუნქტის მნიშვნელობას.

გვიანდ. შუა საუკუნეებში ფშაველი თორღის საციხისთავოში შედიოდა და სამეფო-სახასო საკუთრება იყო. სხვა შიდა ციხეების მსგავსად, ფშაველ-ლალისყურის მიდამოებში მდებარე ნახჭევნის ციხესიმაგრესაც, საქართვ. ერთიანობის ხანაში – XI-XV სს-ში რამდენადმე დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, განსაკუთრებით XVII-XVIII სს-ში, „ლეკიანობის“ ჟამს, კვლავ იწყება კახეთის შიდა ციხესიმაგრეთა მნიშვნელობის ზრდა და მათი შენება. XVIII ს. მეორე ნახევარში სოფ. ფშაველში, სრულიად ახალ, ვაკე ადგილზე აშენდა ციხესიმაგრე (ცალკე ციხესიმაგრე აშენდა სოფ. ლალისყურშიც).

ფშაველიდან გამოსული ლაშქარი კახეთის სამეფოს მესამე – რუსთავის სადროშოს შემადგენლობაში ირიცხებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ კი ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა. ფშაველის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ყოველთვის მესაქონლეობა იყო და არის დღესაც.

ქ. კახაძე

ბიბლ.: 13; 64; 66; 127; 179ე; 204ბ; 240ბ.

317. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით ხუთიოდე კმ-ზე, მთის წვერზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: შედარებით უკეთ შემორჩენილია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი (სიმ. 3 მ), რ-ის ცენტრში ოთხკუთხა სარკმელია მოწყობილი, ჩრდ. გვერდში კი – მცირე, ოთხკუთხა ნიშა. სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი დანარჩენი კედლები. ეკლესიის ინტერიერი ქვებით და ღორღითაა ამოვსებული.

პ. კიკაჩეიშვილი.

318. ზვარლის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 4 კმ-ზე, მთის ფერდზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,1x3,95 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით, რ-თა შორის დარჩენილი არეები შევსებულია კირის ხსნარით ან შედარებით მცირე ქვებით. დაზიანებულია: რამდენიმე ადგილას დაბზარულია კედლები, მონგრეულია კუთხეები, დაზიანებულია სახურავის საფარი.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. მის წირთხლებზე მოხატულობის (მცენარეული ორნამენტი) ფრაგმენტებია შემორჩე-


ნილი. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ. მხარეს ერთი, ჩრდ-ით კი ორი, ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებს, მთელ სიგრძეზე, გასდევს საფეხური.

შენობის დას. ფრონტონის წყობაში, ერთ ვერტიკალზე, სხვადასხვა ზომის კვადრებია განლაგებული. ზემოთ, ფრონტონის წვერში ჩასმულ ქვაზე, წრეში ჩაწერილი ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მის ქვემოთ მდებარე, ოთხკუთხა ქვაზე – წმინდანის (ამჟამად ცუდად იკითხება), შემდეგ, შედარებით მოზრდილ, ოთხკუთხა კვადრზე კი – სტილიზებული სიცოცხლის ხის. ამ უკანასკნელის ქვემოთ, ოდნავ ჩრდ-ით, ბათქაშზე, მცენარეული ორნამენტის ნაშთია. ფასადები დასრულებულია შირიმის, პროფილირებული ლავგარდნით (დაზიანებულია).


ძეგლს სამხრ-ით ებჯინება ოდნავ მოკლე, სწორკუთხა გეგმის მინაშენი (5,5x2,3 *მ*), რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე არ გაუყვება, ოღონდ შესასვლელს მთლიანად ფარავს. მინაშენში შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან ნალისებრთაღიანია. თაღში ტიმპანის ქვაა ჩადგმული. მინაშენი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც ვიწრო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზის ქვა. ერთი, თაღოვანი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. კონქის თაღი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. დარბაზის სამხრ. კედელში მოწყობილია ერთი, ოთხკუთხა ნიშა.

ა. თოფურია.

319. ᲘᲤᲜᲘᲐᲐᲜᲗ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.




319. გეგმა



319. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

ეკლ. დარბაზულია (7,7x5,2 *მ*). სამხრ-იდან მას ეკვრის თანადროული, თითქმის ორჯერ



319. აღმ. ფასადი

უფრო მოკლე, რამდენადმე დაბალი მინაშენი, რ-ის აღმ. კედელი ეკლესიის აღმ. კედლის ხაზზეა და მასთან წყობითაა შერწყმული.

ძ. ნაშენია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. წყობა, ძირითადად, ქაოსურია, თუმცა, ალაგ-ალაგ, თარაზულად გამავალი რიგებიცაა გამოყვანილი. შენობის გარეთა კუთხეები ნაწყობია სუფთად დამუშავებული შირიმის კვადრებით. მოგვიანებით (სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებში), ეკლ. შეუკეთებიათ, რ-ის დროსაც, კედლები გარედან შეულესავთ და შეუთეთრებიათ.

319. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი კედლის ღერძზე, დასიდან აქვს. კარი სწორკუთხაა. იგი ორივე მხრიდან კედლის შეღრმავებულ არეშია ჩასმული. მათ შორის გარეთა, შეისრული თაღითაა დასრულებული, შიგნითა კი – ნახევარწრიულით.

ეკლესიის დარბაზი მოკლეა, თითქმის კვადრ. მოხაზულობის. აღმ-იდან მას ერთვის ნახევარწრიული, ეკლესიის იატაკის მიმართ ორი საფეხურით შემაღლებული აფსიდი, რ-ის ცენტრში ნახევარწრიულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით მცირე, სწორკუთხა ნიშაა. ქვემოთ კი, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია მიშენებული. მსგავსი, თითო სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. იგივე მოხაზულობა აქვს სატრიუმფო თაღსაც, რ-იც მთლიანად შირიმის, ნათალი ქვებითაა გამოყვანილი. სამხრ. კედლის აღმ. კიდეში, მინაშენში გასასვლელი, ვიწრო კარია გაჭრილი. კარი ეკლესიის მხრიდან ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, მინაშენის მხრიდან კი სწორკუთხაა.

ეკლ. მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყოფილა. მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი კონქზე, დას. კარის ტიმპანზე და ტრაპეზზე. დარბაზის იატაკში მხედრულწარწერიანი, ორი საფლავის ქვაა.

მინაშენი უაფსიდო, ცილინდრული კამარით გადახურული, ოთხკუთხა სათავსია (შიდა ზომები: სიგრ. – 2,6 *მ*, სიგ. – 1,6 *მ*). განათებულია აღმ. კედლის ცენტრში გაჭრილი მცირე, სწორკუთხა სარკმლით.

შენობის ფასადები სადაა. ეკლესიის დას. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, შირიმის ქვაზე, წრეში ჩასმული, რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. კედლები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით (არ შემორჩენილა მინაშენის ლავგარდანი), რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს. ეკლესიაც და მინაშენიც ღარისებრი კრამიტითაა დაბურული.

თ. დვალი.


ბიბლ.: 335.

320. კოშკი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 0,3 *კმ*-ზე. გზის მარჯვ. მხარეს. თარიღდება შუა საუკუნეებით. კოშკი ოთხკუთხაა. შემორჩენილია 1,5 *მ* სიმაღლეზე. ნაგები იყო რიყის ქვითა და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. შემორჩენილ კედლებზე ამოსულია ხეები.


პ. კიკაჩეიშვილი.

321. კოხტა ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 4 *კმ*-ზე, ჭიჭაკვისწყლის ხეობაში. შედგება: ორი ეკლესიის, ეკვდრის, საკულტო და საცხოვრ. სადგომების, გარშემოსავლელის და გალავნისაგან. ძ. 1953 წ. შეისწავლა ია3 ინ-ტის ექსპედიციამ (ლ. რჩეულიშვილი, დ. მუსხელიშვილი). ნაგებობების ურთიერთკავშირის გარკვევის მიზნით, ჩატარდა მცირე არქეოლ. სამუშაოები. სახურავის ფენების დასადგენად გაკეთდა რამდენიმე შურფი და ზონდაჟი.


321. გეგმა



კომპლექსი სხვადასხვა დროსაა ნაგები. VIII-IX სს-ისაა დარბაზული ეკლ. თავისი კარიბჭითა გეგმა გართულებულია დამატებითი სადგომებით. სამხრ. ფასადის გაყოლებით, აღმ-ით, სწორკუთხა სადგომია, რ-იც კარით უკავშირდება ეკლესიას. დას-ით კი აფსიდიანი სადგომი – სამლოცველოა. ამ სადგომის დას. და სამხრ. კედლები გარე სივრცესთან დამაკავშირებელი, თითო თაღითაა გახსნილი. ეკლესიის შიდა სივრცეს იგი თაღოვანი კარით უკავშირდება. შესასვლელი დას-ით და სამხრ-ითაა – სამლოცველოსთან (სამლოცველო კარიბჭის დანიშნულებასაც ასრულებს). ეკლესიაში სამი სარკმელია: ერთი, აღმ-ით, საკურთხეველში. მეორე – საკმაოდ მაღლა, ჩრდ. კედელში. მესამე – მოწყობილია დას. კარის ჩაშენებულ ნაწილში. აღმ-ით საკურთხევლის ნალისებრი, ღრმა აფსიდია, რ-იც მლოცველთათვის განკუთვნილი სივრცისგან მცირე მხრებითაა გამოყოფილი. საკურთხევლის იატაკი ეკლესიის იატაკისგან საფეხურითაა ამაღლებული. საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. წინ კი აგურის გვიანდ. კანკელია, რ-შიც ორი, სწორკუთხა კარი და დაბალი ღიობია გაჭრილი. საკურთხეველში, სარკმლის ქვემოთ და სამხრ-ით მდებარე სამლოცველოს ყრუ აფსიდში ქვის ტრაპეზი ძევს. ეკლესიის მთავარი სივრცე და მცირე სამლოცველო ნახევარწრიული კამარებითაა გადახურული. მოგვიანებით, სამლოცველოს, სამხრ-იდან, სწორკუთხა სადგომი მიუშენეს. ამ ორივე სადგომს სამლოცველოს თაღოვანი ღიობი აერთიანებს. მინაშენს კარი სამხრ-ით აქვს, სარკმელი კი – დას-ით. სწორკუთხა სადგომს და გალავნის აღმ. კედელს შორის ჩაშენებულია



321. ჭრილი 1-1




321. ჭრილი 2-2


და სადიაკვნით; X-XI სს-ს განეკუთვნება ეკლესიის ჩრდ. ეკვდერი, დას. გარშემოსავლელი და გალავანი; XVI-XVIII სს-ით თარიღდება მცირე ეკლ. და მის დას-ით – სწორკუთხა სადგომი. ამავე, გვიანდ. ხანისაა მთავარ ეკლესიაში შესრულებული, სარეშონტო სამუშაოებიც.

1972 წ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნოს მიერ შეკეთდა და გამაგრდა კომპლექსში შემავალი არქიტ. ნაგებობები. ძეგლამდე გაიყვანეს სამანქანო გზაც.


ეკლ. (9,55x8,15 მ) ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. კუთხეებში და კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია შირიმი. შენობის



321. ჭრილი 3-3



321. აღმ. ფასადი



321. ღვთისმშობლის ეკლ. დას. ფასადი

მოჩარჩოება. გალავნის სამხრ.-დას. და სამხრ.-აღმ. კუთხეებთან მრუდხაზოვანი კონტრფორსებია გამოშვერილი. დას. გრძივი კედელი კი ნახევარწრიული, ორი ბურჯითაა გამაგრებული. ორივე ბურჯში, შიდა მხრიდან, ზემოთა ნახევარში, ნახევარწრიული ნიშაა მოწყობილი. თითოეულ მათგანში კი თითო, სწორკუთხა, სასროლი ხვრელია გაჭრილი.




321. ღვთისმშობლის ეკლ., ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

მცირე ეკლესია, რ-საც დას-ით სწორკუთხა სადგომის კედელი საზღვრავს. ეკლესიის შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის სამხრ. ნაწილში, ირიბად, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აფსიდს გარედან, აღმ-ით, გალავნის კედელი ეკვრის. ეკლ. ცილინდრული კამარითაა გადახურული.

მთავარ ეკლესიასთან, მთელ სიგრძეზე, ჩრდ-ით, მოგვიანებით მიშენებული, აფსიდიანი სადგომი და დას-ით არსებული გარშემოსასვლელი (შემორჩენილია კედლის მონაკვეთი და მრგვალი, თაღებშორისი, საყრდენი სვეტი) მოწმობს, რომ თავდაპირველი დარბაზული ეკლ. გაურთულებიათ და მისთვის სამეკლესიიანი ბაზილიკის (ან მასთან მიახლოებული) სახე მიუციათ.

ეკლ. ნატეხი ქვით ნაგები, თითქმის სწორკუთხა მოხაზულობის (33x21 მ) გალავნითაა (კედლის სისქე – 1,5 მ, სიმ. – 5 მ) შემოსაზღვრული. სამხრ. კედელში აგურით ნაწყობი, თაღოვანი შესასვლელია, რ-იც ორსართულიანი, კოშკური ნაგებობის ქვემოთა სართულს წარმოადგენს. შესასვლელს, ფასადის მხრიდან, შემოვლებული აქვს სწორკუთხა დას., გრძივი კედელი ჩრდ., განივ კედელს მცირე მომრგვალებით უკავშირდება. ამ ჩრდ-დას. მონაკვეთს შეადგენს საკუთრივ გალავნის შემოღუნული კედელი, რ-საც ჩარდახით გადახურული,

321. ღვთისმშობლის ეკლ., ხედი სამხრ.-დას-იდან



ერთი, სასროლი ხვრელი აქვს და ეკლესიის ეკვდრის ჩრდ. კედელი. სასროლი ხვრელი სწორკუთხაა, პარალელურწირთხლებიანი. საბრძოლო ბაქანი აქ იმგვარადვეა მოწყობილი, როგორც დას. კედელში, მხოლოდ ნიშაა სწორკუთხა და კედელს გარედან კონტრფორსი არა აქვს გამოყვანილი. გალავნის აღმ. კედელი ჩრდ. ბოლოთი ეკვრის ეკლესიის გრძივ კედელს, რ-საც გარედან ორი კონტრფორსი აქვს. კონტრფორსებს შიგნიდან, ორი მ-ის სიმაღლეზე, საბრძოლო ბაქანი აქვს მოწყობილი. ნახევარწრიულ ნიშაში კი სასროლი ხვრელია გაჭრილი.

გალავნის სამხრ-აღმ. ნაწილში სწორკუთხა საცხოვრებლის ნაშთია შემორჩენილი. გალავნის სამხრ. კედელზე, შიგნიდან, კარიბჭის მეორე სართულზე ასასვლელად, მოწყობილია ქვის კიბე. ზემოთა სართული მეცხოვნეთა სადგომი იყო.

გ. მარსაგიშვილი.

ბიბლ.: 169; 335.

322. ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲔᲚᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 4 კმ-ზე, ფშაველი-ლეჩურის გზის მარცხ. მხარეს, ტყეში. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგებობა გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია. შემორჩენილია ფრაგმენტულად. ნაგები იყო ნატეხი ქვით კირის ხსნარზე.

პ. კიკაჩეიშვილი.

323. ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. გაანაპირას. განეკუთვნებიან შუა საუკუნეებს. ერთი მათგანი წაგრძელებული სწორკუთხედია (სიგრ. 6 მ, სიგ. – 1,2 მ). ნაგებია რიყის ქვით კირის ხსნარზე. მისგან მოცილებით მეორე საწნახლის ნანგრევია.

პ. კიკაჩეიშვილი.

324. ᲫᲕᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲫᲛᲐᲠᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 0,5 კმ-ზე, მინდორში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,8x4,1 მ). ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. წყობა ქაოსურია. შესასვლელი დას-ითაა. ეკლ. უაფსიდოა, აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ქვის ტრაპეზი. ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი ნიშა სამხრ. კედელშიცაა მოწყობილი. საკურთხეველი დარბაზისგან არ არის გამოყოფილი და ორივეს ერთიანი კამარა ხურავს.

ეკლესიას დას-იდან მიდგმული აქვს ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის პირველი სართული ოთხწახნაგაა, მეორე – ცილინდრული. პირველ სართულს შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. მეორე სართულზე, ერთმანეთის პირდაპირ, გაჭრილია ოთხი, ვიწრო, მაღალი, თაღოვანი სარკმელი. სამრეკლოს ზედა ნაწილი თაროსებრი ლავგარდნითაა დასრულებული და კონუსისებრი სახურავი ხურავს.

ქ. გიორგობიანი.

325. ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ-ით, 2-3 კმ-ზე, ციხეებად წოდებულ ადგილში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. შენობები დანგრეულია. შემორჩენილი კედლების სიმ. 2 მ-მდეა. ძ. ნაგები იყო ნატეხი და რიყის ქვით კირის ხსნარზე.

ბ. კუპრეიშვილი.


326. ᲪᲘᲮᲔ-ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, არქ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში, თარიღდება XVIII ს-ის II ნახევრით.

ციხის შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები არ შემონახულა. იგი ე. წ. ციხე-გალავნების ტიპს მიეკუთვნება და მათ შორის მცირე ზომებითაა გამორჩეული. ციხე მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (58x50 მ), რ-ის ყოველ კუთხეში ცილინდრული კოშკია დადგმული ისე, რომ ისინი, თითქმის მთლიანად, გალავნის ფარგლებს გარეთ არის მოქცეული. ციხის კედლები ძლიერ დაზიანებულია. მათი სიმ. ოთხ მეტრს არ აღემატება. კედლები ორიარუსიანია. ქვედა ნაწილი, ჩვეულებისამებრ, აქაც ყრუა, ზედა კი – საბრძოლო და ორ რიგად განლაგებული, ცალმაგი სათოფურებითაა აღჭურვილი. შიგნიდან კედლის ზედა ნაწილი,

326. გალავნის დას. კედლის ნაწილი და კუთხის კოშკი



ქვედასთან შედარებით, ოდნავ უფრო თხელია (დაახლ. 20 *სმ*-ით), რ-ის მეშვეობით მათ საზღ-



326. გალავნის დას. კედლის ნაწილი


ვარზე ხის, საბრძოლო ბილიკი იყო მოწყობილი. ქვედა რიგში განლაგებული სათოფურები მაღალია და მიწისკენაა დახრილი, ზედა რიგის სათოფურები თითქმის კვადრატულია – ჰორიზ. კედლები ქონგურების გარეშეა და თავი გადამრგვალებული აქვს. ციხეს ერთადერთი, ნახევარწრიულთაღოვანი შესასვლელი (ამოშენებულია) შემორჩა. იგი დას. კედლის შუაშია მოწყობილი.

კოშკები მეტ-ნაკლებად დაზიანებულია. ყველა მათგანს ზედა ნაწილი მონგრეული აქვს, რის გამოც მათი სართულიანობა არ ირკვევა. კოშკები დაახლ. ორი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი და არქიტ. გადაწყვეტით ერთმანეთის მსგავსია: პირველ და მეორე სართულებს, ეზოს მხრიდან, ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს. პირველი სართულის კედელი ყრუა, მეორე სართულის კედელში კი ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია მოწყობილი. მათი ნაწილი დახრილია, ნაწილი – პირდაპირი. შესასვლელები ხის ძელებით თარაზულად იყო გადახურული (ჩრდ.-დას. და სამხრ.-აღმ. კუთხის კოშკებზე შემორჩენილია კვალი).

ციხის ტერიტორიაზე თავდაპირველი ნაგებობების კვალი არ ჩანს. XIX ს-ში, ეზოს შუა ნაწილში, აუგიათ წმ. ესტატეს სახელობის ეკლ. მომდევნო ხანებში კი, მისთვის დას-იდან სამსართულიანი სამრეკლო მიუდგამთ.


ეკლესია დარბაზული ტიპისაა, შვერილი, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდით, რ-ის კედელი ძირითადი კორპუსის გრძივი კედლების ხაზზეა და მათგან, ჩვეულებისამებრ, მხრებით არ გამოიყოფა (ზომები ღერძებზე, გარედან: სიგრ. – 12,2 *მ*, სიგ. – 6,6 *მ*). საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და ქართ., კვადრ. აგური. შენობის გარეთა კედლები რიყის ქვის ერთი და აგურის ორი რიგის მონაცვლეობითაა ნაწყობი. აგურის შრეები მკვეთრად გამოირჩევა რუხ ფონზე და სიმაღლეზე თანაბრად ყოფს კედლის ვრცელ ზედაპირს. სამრეკლო მთლიანად აგურისაა.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიის დას. კედლის შუაშია მოწყობილი. კარი ბრტყელი თაღითაა გადახურული. ეკლესიის შიდა სივრცე ვრცელია. განაოებულია ექვსი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლით, რ-თა შორის თითო-თითო – აღმ-ით და დას-ითაა, ხოლო ორ-ორი, ერთმანეთის მოპირდაპირედ – სამხრ-ით და ჩრდ-ით. გრძივ კედლებზე სამ-სამი, მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. მათ შორის დას. წყვილი, დანარჩენ ორზე, რამდენადმე უფრო განიერია. მათ დას. კედლის მიმდებარე, საბჯენი თაღი ეყრდნობა. ყველა საბჯენი თაღის ქუსლებთან გამოყოფილია მაღალი, სწორკაზოვანი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტები. საბჯენი თაღებიც და კამარაც



326. ეკლ. გეგმა

ოდნავ შეისრულია. პილასტრების აღმ. წყვილი, შესაბამისს საბჯენ თაღთან ერთად, საკურთხევლის სივრცეს დარბაზისგან გამოყოფს. თვით საკურთხეველი დარბაზის



326. ეკლ. (რესტავრაციამდე). გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

გარედან ეკლესიის კედლების ბათქაშით გასწორებული ზედაპირი კირით იყო შეთეთრებული. შეთეთრებული იყო სამრეკლოც. ფასადები სადაა, იატაკის მიმართ ორი, დაბალი საფეხურითაა შემაღლებული. აფსიდის გვერდებში, სიმეტრიულად, თითო, განიერი, ნახევარწრიულთავიანი ნიშაა. თითო, მსგავსი ნიშა დარბაზის გრძივი კედლების აღმ. ბოლოებშიცაა. აფსიდში, ჩრდ. ნიშასთან ახლოს, ერთი პატარა, ისრულთაღოვანი ნიშაა. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით.

326. ეკლ. ხედი ჩრდ-იდან



სამრეკლოს პირველი სართული გეგმით კვადრატულია (3,2x3,2 მ), რ-ის ოთხივე კუთხეში კვადრ. ბურჯია დადგმული. ბურჯებითა და მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღებით სართულის თავზე შექმნილია სწორკუთხა ბაქანი. ამ ბაქანზე აღმართულია მეორე სართული, რ-იც აღნაგობით პირველის ანალოგიურია, ოღონდ ოდნავ უფრო ვიწროა, ბურჯები დაგვირგვინებულია ორსაფეხურიანი კაპიტელებით. მსგავსი პროფილისაა პირველი სართულის დამაგვირგვინებელი ლავგარდანიც. საფეხუროვანი ლავგარდნითაა დასრულებული მეორე სართულიც. ქვედა სართულისგან განსხვავებით, იგი აგურის სამი რიგითაა გამოყვანილი, რ-თა შორის შუა, კუთხით შვერილი აგურებითაა შედგენილი. სამრეკლოს მესამე სართული ცილინდრული ფორმის, შვიდი თაღოვანი ღიობით გახსნილი ფანჩატურია. ყოველ ღიობს ირგვლივ სადა,



326. ეკლ. ხედი ჩრდ.-დას-იდან

რელიეფური საპირე ევლება. ღიობების ასწვრივ კი გამოყვანილი იყო საფეხურით შეღრმავებული (როგორც ჩანს სწორკუთხა) არე, რ-თაგანაც მხოლოდ ქვედა ნაწილებიღა იყო შემორჩენილი. სამრეკლოს პირველი და მეორე სართულები გაბრტყელებული კამარითაა გადახურული. მესა-

მე სართულს ზედა ნაწილი და გადახურვა ჩამოშლილი აქვს. სამრეკლოს პირველი სართული მოურთველია. მეორე სართულის კედლები, წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, ორ-ორი ჯვრითაა მორთული, რ-ებიც ბურჯების ასწვრივაა – ბურჯებზე გადაყვანილი თაღის წვერის დონეზე.

2007-08 წწ-ში საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღდგა კედლების ზედა ნაწილები (არსებულ წყობასთან შეხამებით) და ლავგარდანი. გაკეთდა აგურის კანკელი – სამი თაღოვანი კარით. ეკლესიის იატაკზე დაიგო აგურის ექვსწახნაგა ფილები. აღდგა აგრეთვე სამრეკლოს ფანჩატურის ზედა ნაწილი (ღიობების ზემოთ არსებული, შეღრმავებული არეების გარეშე) და იგი თუნუქით შემოსილი, პირამიდისებრი სახურავით გადაიხურა, ეკლ. კი – ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 66; 335.

ძველო ხოდაშენი

(თემის საკრებულოს ცენტრი)

327. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით. თარიღდება შუა საუკუნეებით. დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. და აღმ. კედლების ფრაგმენტები. აღმ-ით სწორკუთხა საკურთხეველია, რ-ის სამხრ.-აღმ. კუთხეში ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. ეკლ. ნაგები იყო რიყისა და აგურის წყობის მონაცვლეობით.

ა. თოფურია.

328. ამიდასტურის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრალურ ნაწილში. სავარაუდოდ, თარიღდება VIII-IX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (3,9x2,9 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით კირით ხსნარზე. წყობა ქაოსურია, ტლანქი. ჩანს გვიანდ. გადაკეთების კვალი. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი ნალისებრთაღიანია. კარის თავზე მცირე სიღრმის მქონე, ოთხკუთხა ნიშაა. აღმ-ით ნალისებრი



328. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

აფსიდია, რ-ის ცენტრში ერთმანეთს მიყუდებული, ორი ფილით გადახურული სარკმელია გაჭრილი (გვიანდ. შეკეთების დროინდელია). სარკმლის ორივე მხარეს თითო, ოთხკუთხა ნიშაა. ქვემოთ კი, კედელზე, მიდგმულია რიყის ქვით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი. ერთი სარკმელი დას. კედელშიცაა. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული, ნახევარცილინდრული კამარით.

2007 წელს სოფლის მაცხოვრებლებმა ეკლესიის გარეთა კედლების დიდი ნაწილი აღადგინეს (დაუდევრად) და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს.

ა. თოფურია.

329. აღდგომის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლიდან სამხრ.-დას-ით, სამიოდე კმ-ზე, „სანდრიაანთხევის“ მარცხ. ნაპირას, წურბლებად წოდებულ ადგილში. სავარაუდოდ, თარიღდება XIV-XV საუკუნეებით.

ძ. მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა (4,85x3,75 *მ*). ნაგებია რიყის, დიდი ქვებით. კედლების ქვემოთა ნაწილებში ქვები შედარებით მსხვილია. გამოყენებულია შირიმიც, რ-ითაც კარ-სარკმლებია გამოყვანილი. შირიმის, უსწორმასწორო ქვები გარეთა კუთხეებშიცაა ჩართული. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი.

შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში კვადრ. დარბაზი და საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდია ჩაწერილი. ერთადერთი შესასვლელი სამხრ. კედლის დას. კიდეშია. ორივე მხრი-



329. ინტერიერი, აფსიდი

დან შეისრულთაღიანი კარი ხის ძელებზე დაყრდნობილი, რიყის ქვით ამოყვანილი ტიმპანით იყო



329. საკურთხევლის სარკმელი

გადახურული (შემორჩენილია ტიმპანის კვალი). გარეთა თაღის ორივე საფეხური კრამიტითა და თხელი, ნატეხი ქვითაა გამოყვანილი. თაღის ზემოთ, კედლის საპირე წყობაში, რიყის ქვის წყობით, განმტვირთავი თაღია მოწყობილი. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი ნალესობითაა დაფარული და მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება.

ეკლესიის შიდა სივრცეში საკურთხევლის ნაწილი მცირედ შვერილი, დაუდევრად ნაგები პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით გამოიყოფა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი, რ-საც ერთ ქვაში გამოკვეთილი, ოდნავ გაბრტყელებული ფორმის თაღი ხურავს. ერთი, მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელი დას-ითაცაა. იგი შიგნიდან, ქვის ფილებით, ბრტყლადაა გადახურული. გარედან კი შეისრულთაღიანია. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია რიყის ქვით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდში ორი მცირე ნიშაა, მათგან ჩრდ-ისა – შედარებით ვიწროა, მაღალი და შეისრულთაღიანი, სამხრ-ისა კი სწორკუთხაა. საკურთხეველი გადახურულია ტლანქად ნაწყობი, ცილინდრული კამარით, რ-ის გვერდებში ჩადგმულია თითო რეზონატორი. ეკლესიის შიდა სივრცე ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება და გადახურულია ამორფული, სხმული კამარით.

გარედან აღმ. სარკმელი გამოკვეთილია არაწესიერი ფორმის, შირიმის, მოზრდილ ქვაში. ძირი კი გახსნილი აქვს. სარკმლის მარცხნივ (მაყურებლის პოზიციიდან) დოინჯშემოყრილი მამაკაცის, ფრონტალური ფიგურაა – წელზევით. მის მარცხნივ, ფილის დარჩენილ არეზე კი, თითქმის მისივე ტოლი სიმაღლის ჯვრის რელიეფია. ასეთივე სიმაღლის ჯვრის მსგავსი გამოსახულება ღიობის მარჯვნივაცაა (ჯვარცმის სტილიზებული გამოსახულება?). ღიობს ირგვლივ (ძირის გარდა) ორმაგი ღილვი ეკვრება. რელიეფის პლასტიკური დამუშავება პირობითი და სქემატურია.

შირიმის, მოზრდილ ფილაშივეა გამოკვეთილი დას. სარკმელიც. ძირი მასაც ღია აქვს და ირგვლივ სადა ღილვი ეკვრება. ეს ფილაც რელიეფური ელემენტებითაა გაფორმებული. სარკმლის მარჯვნივ, მცირე ზომის ჯვარი, მის ზემოთ კი „გირჩია“ გამოსახული. სარკმლის მარცხნივ, ქვემოთ, წრეში ჩასმული, მრავალქიმიანი, ვარსკვლავისებრი სახეა. ზემოთ კი მომრგვალებულმხრებიანი, სვასტიკის მსგავსი გაურკვეველი ელემენტი.

სამხრ. ფასადზე, შესასვლელის აღმ-ით, მოწყობილია გან-

329. დას. სარკმელი



იერი, შეისრულთაღოვანი ნიშა. შესასვლელის მარცხნივ, განმტვირთავი თაღის დონეზე, ნალესობაზე, ეკლესიის ამშენებლის მარჯვ. ხელის მტევანია გამოსახული.

შენობის კედლები დასრულებული იყო შირიმის ლავგარდნით (შემორჩენილი იყო რამდენიმე ქვა), რ-ის პროფილს მცირედ დახრილი სიბრტყე და ლილვი შეადგენს.

2009 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღადგინეს კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

330. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დასით, 1,5 *კმ*-ზე, სანდრიაანთხევის მარცხ. ნაპირზე, ხევის პირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (3,5x4,1 *მ*). ნაგებია რიყის, არათანაბარი ზომის ქვებით. წყობა ირეგულარულია. კედლები შიგნიდან და გარედან ბათქაშითაა გასწორებული, მაგრამ ზედაპირი მაინც უსწორმასწოროა, ტლანქი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარის ზემოთა ნაწილი ჩამოშლილია. ამის გამო გადახურვის თავდაპირველი ფორმის დადგენა შეუძლებელია.

ეკლ. უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია მცირე ზომის მხრებით. საკურთხევლის აღმ. კედელში გაჭრილია ვიწრო, თარაზულად გადახურული სარკმელი. ერთი, სწორკუთხა სარკმელი დას. კედლის ზემოთა ნაწილშიცაა (თავი მას თითქმის კამარის წვეროს დონეზე აქვს). აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელს, რიყის ქვით ნაგები, კუბური ფორმის ტრაპეზი ეკვრის. საკურთხეველში, სამხრ-ისა და ჩრდ. კედლების აღმ. კიდეში, ორი მცირე, სწორკუთხა ნიშაა. ამჟამად საკურთხევლის გადახურვა ჩამოშლილია და აღმ. კედელსაც ფართო ბზარი დაუყვება.

ეკლ. შიგნით გადახურული ყოფილა სხმული კამარით, რ-ის მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი. ჩამოშლილია ლავგარდანიც.

თ. დვალი.

331. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (სამხრ-ით), ხუთასიოდე მ-ის მანძილზე, სამების ეკლესიისაკენ მიმავალი გზის პირას, ყოფილ სასაფლაოზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია, მცირე ზომის (6,15x4,5 *მ*). ნაშენია სხვადასხვა ზომის რიყის ქვებით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმიც. წყობა ირეგულარულია. შენობას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-ით და დას-ით. სამხრ. კარი შიგნიდან სწორკუთხაა, ხის ძელებით ბრტყლად გადახურული. გარედან კი ორსაფეხურიანი თაღი აქვს. თაღის ორივე საფეხური რიყის, თხელი ქვებითაა გამოყვანილი. დას. კარი შიგნიდან სამხრ-ის მსგავსია, გარედან კი – თაღოვანი. კარის გარეთა ღიობი შირიმის მოზრდილ, სწორკუთხა ქვაშია გამოკვეთილი. საკუთრივ ღიობი ჩასმულია ქვის ზედაპირის ამოკვეთით გამოყვანილ, სწორკუთხა არეში, რ-საც ვიწრო ღარი აქვს შემოვლებული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, პარალელურწირთხლებიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმელს ჰორიზ. ძირი და დეფორმირებული ნალის ფორმის თაღი აქვს, რ-იც მთლიანად კონქის არეშია მოქცეული. სმენადობის ხარისხის გაზრდის მიზნით, სარკმლის ორივე მხარეს, კონქის ქუსლის დონეზე, თითო, კვადრ. ხვრელია (15x15 *სმ*) მოწყობილი. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო, ოდნავ შემაღლებული პროპორციის მქონე, სწორკუთხა ნიშაა. ერთი, სწორკუთხა ნიშა ჩრდ. კედელშიცაა. სარკმლის ქვემოთ, კედელს ეკვრის რიყის ქვით ნაგები, მოზრდილი, ოთხკუთხა ტრაპეზი. კიდევ ერთი, მცირე, სწორკუთხა სარკმელი ეკლესიის დას. კედელშიცაა. დარბაზი ნახევარცილინდრული კამარითაა გადახურული. დარბაზის გრძივი კედლები და კამარა, მარტივი პილასტრების წყვილითა და მათზე დაყრდნობილი თაღით ორ, თანაბარ ნაწილად იყოფა. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

შენობის ფასადებს ნათლად ეტყობა გვიანდ. შეკეთების კვალი: შევსებულია საფასადო სიბრტყეების დაკარგული ნაწილები. სახურავი, ზემოდან დასხმული დუღაბის ფენით, რამდენადმე ამაღლებულია.

ეკლესიის შეკეთების დროინდელია დას. კედელზე დადგმული, ხუთი, თაღოვანი ღიობის მქონე, ცილინდრული ფორმის ს ა მ რ ე კ ლ ო, რ-იც მთლიანად აგურითაა ნაგები. სამრეკლოს თითოეული ღიობის თავზე, გამოყვანილია რელიეფური, ნახევარწრიული თაღი. თაღები ბოლოებით ებმის ერთმანეთს და ერთ, უწყვეტ ხოლს ქმნის. თაღებს ზემოთ სამრეკლო თანდათან ვიწროვდება და დასრულებულია დაბალი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით. გადახურულია აგურისავე, კონუსური ფორმის სახურავით.

ეკლესიის გარშემო საფლავის ქვებია (ძირითადად გოგნიაშვილების).


2007 წელს სოფლის ერთერთ მაცხოვრებელს ეკლ. თვითნებურად შეუკეთებია (შენობა გარედან მთლიანად ცემენტითაა შელესილი, შიგნიდან კი მოხატულია), რის შედეგადაც ძეგლს თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს.

თ. დვალი.

332. ᲜᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲕᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 2-2,5 *კმ*-ზე, ყანაში. სავარაუდოდ, თარიღდება XVIII ს-ის II ნახევრით.

შენობა რიყის ქვითაა ნაშენი. ძლიერ დაზიანებულია. იმდე-

ნად, რომ გასუფთავების გარეშე, მისი გეგმის სრულად დადგენა არ ხერხდება. როგორც ეს შემორჩენილი ნაშთებიდან ირკვევა, ნაგებობაში შერწყმული იყო საცხოვრ. და სამეურნეო ფუნქციები. შენობის გეგმა ტეხილი მოხაზულობისაა და რამდენადმე აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული. იგი, ძირითადად, შედგება ორი, არათანაბარი ფართობის, სწორკუთხა ნაწილისგან, რ-ებიც ერთმანეთისგან კაპიტალური კედლით იყო გამიჯნული. აღმ. ნაწილი შედარებით მოზრდილია (17,5x12 *მ*) და, სავარაუდოდ, სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა, დას. ნაწილი კი გამაგრებულ საცხოვრებელს წარმოადგენდა. აღმ. ნაწილის აღმ. კუთხეებში თითო, ცილინდრული კოშკია ჩართული. მათ შორის მხოლოდ ჩრდ.-აღმ. კოშკის კედლის მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი (სიმ. დაახლ. 2 *მ*) – ერთი, ცალმაგი სათოფურით, რ-იც შენობის აღმ. ნაწილის ჩრდ. კედლის გასწვრივაა მიმართული. მეორე, სამხრ.-აღმ. კუთხეში მდგარი კოშკი კი დანგრეულია ისე, რომ მისი კვალი ნაწილობრივ იკითხება. შენობის აღმ. ნაწილის კედლებიდან მხოლოდ სამხრ. და ჩრდ. კედლების (სისქე – 80 *სმ*) ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.



332. გეგმა (სქემა)

ნაგებობის დას. ნაწილი სამი, სწორკუთხა სადგომისგან შედგებოდა და რამდენიმე სართულიანი უნდა ყოფილიყო. იგი სამხრ.-ჩრდ. მიმართულებითაა დაგრძელებული, რის გამოც, სიგანით, აღმ. ნაწილს რამდენადმე (დაახლ. 2,5 *მ*-ით) აღემატება. შესაბამისად, ჩრდ. ფასადის მხარეს, მისი კედელი აღმ. ნაწილის კედლის მიმართ, წინაა წამოწეული და მცირე შვერილს ქმნის. ამჟამად ამ ნაწილში მხოლოდ ორი, არათანაბარი ფართობის, სწორკუთხა ოთახია შემორჩენილი, რ-ებიც ერთმანეთისგან კაპიტ. კედლით (შემორჩენილია დას. ნახევარი) არის გამიჯნული. მათგან სამხრისა კვადრ. გეგმისაა და ფართობით ჩრდ-ით მდებარე ოთახზე თითქმის ორჯერ უფრო მეტია. ჩრდ-ით მდებარე ოთახს მხოლოდ ჩრდ. კედელი შემორჩა – ერთი, ცალმაგი სათოფურით აღმ. ბოლოსთან. სამხრ-ით მდებარე ოთახს კი დას. კედელი. ამ სადგომს სამხრ-იდან ეკვროდა კიდევ ერთი, სწორკუთხა სადგომი, რ-იც მთლიანად დანგრეულია და მისი სტრუქტურის დადგენა არ ხერხდება.

ძ. გამაგრებული საცხოვრებლის საინტერესო ნიმუშია. შენობის კორპუსში, როგორც ჩანს, გაერთიანებული იყო ორი ნაწილი, რ-ებშიც საბრძოლო ელემენტებით აღჭურვილი საცხოვრ. და სამეურნეო ფუნქციის სადგომები იყო განთავსებული.

თ. დვალი.

333. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 1,5 *კმ*-ზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. დანგრეულია. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები კედლების ნაშთები.

ბ. კუპრეიშვილი.

334. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 1 *კმ*-ზე, მთაზე, მოვაკებულ ადგილას. თარიღდება შუა საუკუნეებით. გეგმა არ იკითხება. კედლების ნაშთები მიწიდან 0,5 *მ*-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეკლ. ნაგები იყო რიყის ქვით კირის ხსნარზე.

ბ. კუპრეიშვილი.

335. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1,5 *კმ*-ზე, მთაზე, მოვაკებულ ადგილას. შემორჩენილია ქვაყრილის სახით. თარიღდება შუა საუკუნეებით.

ბ. კუპრეიშვილი.

336. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 *კმ*-ზე, მინდორში, ოდნავ შემაღლებულ ადგილას. თარიღდება შუა საუკუნეებით. შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები.

ბ. კუპრეიშვილი.

337. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 *კმ*-ზე, ტყის პირას. თარიღდება შუა საუკუნეებით. შემორჩე-

ნილია აღმ. კედლის ფრაგმენტი. ეკლ. ნაგები იყო დიდი ზომის, რიყის ქვებით.

ბ. კუპრეიშვილი.

338. ორმოცის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 0,5 *კმ*-ზე, პატარა ხევის პირას, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. ჩვეულებრივი, ერთნავიანი სამლოცველოა (3,5x2,5 *მ*). ნაშენია რიყის ქვის ირეგულარული წყობით. დაზიანებულია: დანგრეულია ჩრდ. კედელი და აფსიდის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩაქცეულია კამარის ჩრდ. გვერდი და კონქის ნაწილი. კედლებს გარედან, დიდ ფართობზე, საპირე წყობა ჩამოშლილი აქვს.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია (ნახევარწრიული თაღისგან შემორჩენილია მხოლოდ აღმ. გვერდი), შიგნიდან კი, თარაზულად, ხის ძელებითაა გადახურული. აფსიდი ნახევარწრიულია. აფსიდის კედელი გრძივი კედლების უშუალო გაგრძელებაა. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-იც ოდნავ მაღლაა „ატანილი“, იმდენად, რომ მისი ნაწილი კონქის ფარგლებშია მოქცეული. ერთი, შიგნიდან და გარედან ოთხკუთხა სარკმელი ეკლესიის დას. კედელშიცაა. აღმ. სარკმლის ქმოთ, კედელს, რიყის ქვით ნაგები ტრაპეზი ეკვრის. აფსიდის გვერდებზე თითო, მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-იც კამარისგან შეკიდული თაღითაა გამოყოფილი.


თ. დვალი.

339. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ (სამხრ-ით), სამიოდე *კმ*-ის მანძილზე. განეკუთვნება VI-VII საუკუნეებს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა, გარშემოსავლელით სამი მხრიდან. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (14,1x10 *მ*) ჩაწერილია კედლებით გამიჯნული სამი ნავი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენს. ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში მოწყობილია მცირე ზომის სათავსი, რ-იც მხოლოდ ცენტრ. ნავს უკავშირდება. დას-ით, ბაზილიკის მთავარი ნავის გაყოლებით, განიერი დერეფანია, რ-იც გვერდით ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს.




339. გეგმა



339. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ნაგებობა დიდი ზომის, რიყის ქვითაა ნაშენი, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვნად გამავალ რიგებად. ზოგიერთი ღიობის გამოსაყვანად და გარეთა კუთხეებში, გამოყენებუ-



339. ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი სამხრ-კენ



339. ინტერიერი, მთავარი ეკლ., ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

ლად არის გადახურული. შიგნიდან კი რიყის, მოგრძო, ნატეხი ქვებით გამოყვანილი, ნალისებრი ლია შირიმის, სუფთად ნათალი კვადრებიც.

მთავარი ეკლესიის სივრცე, შიგნით, შედგება საკუთრივ ვიწრო, წაგრძელებული დარბაზისგან და უბემო, ნალისებრი აფსიდისგან (შიგნითა ზომები აფსიდის ჩათვლით: სიგრ. – 9,4 *მ*, სიგ. – 3,3 *მ*). შესასვლელი ორია: დას-ით (ამოშენებულია თითქმის მთლიანად) და სამხრ-ით. ორივე კარი, გარედან, ლოდით თარაზუთაღით – ტეხილით წვეროში. აფსიდის ღერძზე განიერი, გარეთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი. მას ორი, თხელი ფილისგან შედგენილი, ბრტყელი გადახურვა და თითქმის ჰორიზ. ძირი აქვს. სარკმლის ქვემოთ, ოდნავ სამხრ-ით, მოზრდილი, ნალისებრთაღიანი ნიშაა. ამ ნიშის გარდა, აფსიდში, კიდევ ორი, სწორკუთხა ნიშაცაა, რ-ებიც სარკმლის აქეთ-იქით, სიმეტრიულად არის განლაგებული. აფსიდს გადახურვა ჩამოშლილი აქვს, რის გამოც ნანგრევებით, იგი დაახლ. 1,3 *მ* სიმაღლეზეა ამოვსებული. აფსიდის ორივე კუთხე მთელ სიმაღლეზე დგას, ოღონდ იმპოსტების გარეშე. ისინი, ძირითადად, რიყის შერჩეული ქვითაა ამოყვანილი, ალაგ-ალაგ, შირიმის, ნათალი ქვების ჩართვით. მთავარი ეკლესიის დანარჩენი კედლებიდან, მთელ სიგრძეზე, მხოლოდ სამხრ. კედელიღაა შემორჩენილი (დაახლ. 4 *მ* სიმაღლეზე). დას. და ჩრდ. კედლებს კი, როგორც ზედა, ისე ჩრდ.-დას. კუთხის მიმდებარე ნაწილები აკლია, შემორჩენილი ნაწილები კი ქვებითა და მიწითაა დაფარული. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში სარკმლის კვალია.

გრძივი კედლები სადაა – უპილასტრო. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, აფსიდის მხართან ახლოს, ვიწრო, თაღოვანი კარია, რ-იც სამკვეთლოში გადის. კარი სამკვეთლოს მხრიდან სწორკუთხაა.

სამკვეთლო გეგმით სწორკუთხაა, შემაღლებული პროპორციების (ფართ. დაახლ. 8 *კვ მ*-ია). განათებული იყო აღმ. კედელში მოწყობილი, პარალელურწირთხლებიანი, თავმორღვეული სარკმლით (შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. წირთხლი). სარკმლის ქვემოთ განიერი, სწორკუთხა ნიშაა. სამკვეთლო ცილინდრული კამარითაა გადახურული. მისი აღმ. ნაწილი ჩამონგრეულია.

სამხრ. ეკლ. ვიწრო, გრძელი კორიდორია. ამჟამად სამხრ. კედლის შუა ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილი ნაწილი კი ნანგრევებითაა დაფარული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოჩანს ორთაღიანი შესასვლელის ბურჯიც და თაღების გვერდებიც. დანგრეულია აღმ. კედლის დიდი ნაწილი. იგი მთავარი ეკლესიის კორპუსს წყობით არ უკავშირდება. აღმ. კედელში ვიწრო, შიგნიდან და გარედან ნალისებრთაღოვანი სარკმელია. ჩამონგრეულია ნავის კამარაც, რ-იც მთავარი ეკლესიის მხარეს



339. ინტერიერი, მთავარი ეკლ., ხედი დას-კენ

დაყრდნობილი იყო კედლიდან შვერილი, რიყის ქვების უწყვეტი მწკრივით შექმნილ საფეხურზე. ნავის მთელი ფართობი ქვებითა და მიწითაა ამოვსებული.

ჩრდ. ეკლ. უაფსიდოა. იგი მთლიანადაა დანგრეული და გასუფთავების გარეშე მისი არქიტ. გადაწყვეტა გაურკვეველია.



339. ინტერიერი, მთავარი ეკლ., სამხრ. შესასვლელი

ეკლ. გადახურული იყო კამარით, რ-იც სამხრ. ეკლესიის კამარის მსგავსად, მთავარი ეკლესიის შესაბამისს კედელზე გამოყვანილ საფეხურს ეყრდნობოდა.

ბაზილიკის დას. გარშემოსავლელი მთავარ ეკლესიას მთელ სიგანეზე გაუყვება. გვერდით ეკლესიებს იგი მთავარი ეკლესიის გრძივი კედლების გაგრძელებაზე გადაყვანილი, თითო, ფართო თაღით უკავშირდება. თაღების დასყრდნობად, მთავარი ეკლესიის დას. კედელზე, ორი, სწორკუთხა ბურჯია მიშენებული. დას-ით კი, ორივე თაღი გარშემოსავლელის დას. კედელზეა დაყრდნობილი. გარშემოსავლელს დამოუკიდებელი შესასვლელი არა აქვს. მისი დას. კედელი ერუა. გვერდითი ეკლესიების მსგავსად, გარშემოსავლელის კამარაც, მთავარი ეკლესიის დას. კედელზე მოწყობილ, მცირე საფეხურს ეყრდნობოდა. ამჟამად კამარის აღმ. გვერდიღაა შემორჩენილი.

ეკლესიის ფასადები დიდი დანაკარგებით არის მოღწეული. კედლები მჭიდროდაა გარემოცული ხეებითა და მცენარეულობით. აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმელი გამოყვანილი ყოფილა შირიმის, ნათალი ქვებით, რ-თაგანაც ერთი ქვაა შემორჩენილი.

დღეს ძნელია ეკლესიის თავდაპირველი სახის წარმოდგენა. მისი შემორჩენილი ნაწილები



339. ხედი აღმ-იდან

სპეციფიკურს არაფერს შეიცავს და მიღებული ნორმების ფარგლებშია მოქცეული. ცალკეულ, ხუროთმოძღვრულ ფორმათაგან საყურადღებოა ორი მომენტი: მათ შორის ერთი ის არის, რომ მთავარი ეკლ. ჩრდ. ეკლესიასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული და მეორე ის, რომ დას. გარშემოსავლელს დამოუკიდებელი შესასვლელი არა აქვს.


თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

339. ხედი სამხრ.-დას-იდან




340. სანდრიაანთ ციხე, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, 1-1,5 კმ-ზე, სწორ ადგილზე. სავარაუდოდ, თარიღდება XVIII ს-ის მეორე ნახევრით.



340. გეგმა

კოშკი წრიულია (გარე დიამ. ფუძის დონეზე დაახლ. 9,5 მ-და, კედლის სისქე კი – 2 მ). ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია ერთი სართულის სიმაღლეზე,



340. ჭრილი, ხედი აღმ-კენ

მაგრამ მასაც გარე პერანგი, მთელ პერიმეტრზე, მონგრეული აქვს. ჩრდ-იდან კი მიწაყრილი ფარავს. შესასვლელი კოშკს,

340. ინტერიერი, დეტალი





340. ხედი სამხრ.-აღმ-იდან


სავარაუდოდ, მეორე სართულზე ჰქონდა. პირველი სართული რვაწახნაგა ოთახია. წახნაგებიდან ექვსში თითო, განიერი, შეისრულთაღიანი, ღრმა ნიშაა მოწყობილი. ერთში, აღმ-ით მდებარე ღერძულ წახნაგში – მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედში შესასვლელი. მის მოპირდაპირე წახნაგში ნახევარწრიული ბუხარია. ამჟამად ნიშებიდან ზურგის კედელი მხოლოდ სამ, ჩრდ. ნაწილში მდებარე ნიშასღა შემორჩა. სამივე ნიშას ზურგის მხარე ყრუ ჰქონდა. სართული გადახურულია რიყის წვრილი ქვით ნაშენი, გუმბათოვანი კამარით, რ-საც განაკვეთში ძაბრისებრი ფორმა აქვს. კამარის მრუდში ორი, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მათგან ერთი – დას-ითაა, მეორე – სამხრ-ით. სარკმლების ღიობები შიგნიდან გარეთკენ მკვეთრად მაღლდება.

კოშკის წინ მოზრდილი, აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული შ ე ნ ო ბ ი ს ნაშთებია, რ-ებიც ეკალბარდებითაა დაფარული.

თ. დვალი.

341. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთა ნაწილში. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (12,8x6,98 მ), რ-საც დას-იდან მოგვიანებით აგებული (როგორც ჩანს XIX ს-ში), სამსართულიანი სამრეკლო ეკვრის. სამრეკლოს მშენებლობის დროს, ეკლ. შეუკეთებიათ: მთელ სიგრძეზე აღუდგენიათ (ცუდად) გრძივი კედლების ზემოთა ნაწილები. გაუფართოებიათ ამ კედლებში არსებული სარკმ-




341. გეგმა

ლების გარე ღიობები, რ-ებშიც ხის, შემინული ალათები ჩაუსვამთ. გადაუკეთებიათ დას. სარკმელიც და მასში სამრეკლოს მეორე სართულზე ასასვლელი კიბე მოუწყვიათ. როგორც ჩანს, ამავე დროსაა ამოშენებული ეკლესიის ჩრდ. შესასვლელი.

ეკლ., ძირითადად, რიყის ქვითაა ნაგები. კონსტრ. ნაწილები და კარ-სარკმლების ღიობები გამოყვანილია კვადრ. აგურით.

შენობას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და ჩრდ-იდან. დას. შესასვლელი შიგნიდან და გარედან ხის ძელებით თარაზულადაა გადახურული. ჩრდ. შესასვლელიც გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან კი შეისრული თაღითაა გადახურული. მისი არე კარის გადამხურავი ძელებითაა განცალკევებული.

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ცენტრში მაღალი, შეისრულთაღიანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სამ-სამი სარკმელი გრძივ კედლებშიცაა (ჩრდ-ით მდებარე სარკმლებიდან შუა, მოგვიანებით ამოუშენებიათ. იგი მხოლოდ გარედან მოჩანს), ერთიც – დას-ით. აფსიდის გვერდებში, სიმეტრიულად, გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღიანი, თითო ნიშაა მოწყობილი. საკურთხევლის ბაქანი, რ-იც აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 1 მ-ით წინწამოწეულია, დარბაზის



341. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ


იატაკის მიმართ, საფეხურითაა შემაღლებული. საკურთხეველი გადახურულია შეისრულთაღიანი, წესიერი ფორმის კონქით.

დარბაზის გრძივ კედლებზე გამოყოფილია ორი, წყვილი პილასტრი, რ-იც შესაბამისს კედლებს სამ-სამ, თანაბარ ნაწილად ყოფს. პილასტრები დასრულებულია მთლიანი ქვის თაროსებრი კაპიტელებით, რ-ებზეც შეისრული კამარის შეისრულივე საბჯენი თაღებია დაყრდნობილი. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათზე გადაყვანილი თაღი დას. კედელთანაა შერწყმული. სამრეკლოს მშენებლობის დროს, დარბაზის დას. ნაწილში, ხის პატრონიკე აუგიათ. ამჟამად იგი დაშლილია და მისგან მხოლოდ ორი, საყრდენი ძელია შემორჩენილი. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. კედლების ქვემოთა ნაწილს ლურჯი საღებავის პანელი გასდევს.

ეკლესიის ფასადები (მოღწეულია მნიშვნელოვანი ცვლილებებით) დასრულებული ყოფილა ლეკალური აგურით ნაწყობი, მაღალი ლავგარდნით (სიმ. 40-42 *სმ*), რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს. აღმ. და დას. ფრონტონებზე, აგურის წყობის შეღრმავებით, თითო, მაღალი, წითლად შეღებილი ჯვარია გამოსახული.

სამრეკლო მთლიანად აგურისაა. მისი პირველი სართული გეგმით კვადრატულია (4,5x4,5 *მ*), ოთხივე მხარეს ფართო თა-

341. სამხრ. ფასადი



ღებით გახსნილი (აღმ. თაღი ეკლესიაზეა მიყრდნობილი). თაღები კუთხეებში არსებულ სწორკუთხა ბურჯებს ეყრდნობა, რ-ებსაც აგურის, ორსაფეხურიანი იმპოსტები ასრულებს. სართული



341. ხედი ჩრდ.-დას-იდან

გადახურულია გაბრტყელებული ფორმის კამარით, რ-ის საფუძველი კუთხეებში გამოყვანილი, ოთხი, აფრისებრი კონსტრუქციით იქმნება. მეორე სართული პირველის მსგავსია. ოღონდ იგი ოდნავ უფრო ვიწრო და შემაღლებულია. სართული გადახურულია ჯვაროვანი კამარით, რ-ის წვეროში, მესამე სართულზე ასასვლელად, კვადრ. ხვრელია მოწყობილი. მესამე სართული ცილინდრულია, გახსნილია ცხრა ფართო, თაღოვანი ღიობით. ღიობები გარედან მოჩარჩოებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, თითო ლილვით, რ-ებიც სართულის წრიული საფუძვლის დამასრულებელ, ლილვისებრ სარტყელზე დგას. თაღებს ზემოთ, კედელს, გეომეტრიული ფიგურებისგან (აგურის შეღრმავებული წყობით გამოყვანილი რომბებისა და მოგრძო, სწორკუთხედების მონაცვლეობა) შედგენილი ზოლი გასდევს. ეკლესიის აღმ. და დას. ფასადების ფრონტონებზე გამოსახული ჯვრების მსგავსი (ოღონდ მომცრო) ჯვრები სამრეკლოს ფასადებზეცაა გამოყვანილი. მათგან ორი – პირველი სართულის დას. კედელზეა, თაღის გვერდებზე. ორ-ორი – მეორე სართულის დას. და სამხრ. ფასადებზე, ხოლო თითო-თითო – პირველი და მეორე სართულის ჩრდ. კედელზე.

სამრეკლოს ფანჩატურის საფუძველი, ზოგიერთი ნაწილი და თაღებს ზემოთ მოქცეული დეკორატ. ფრიზის შემადგენელი ელემენტები ლურჯადაა შეფერილი. ფანჩატური დასრულებულია მარტივპროფილიანი ლავგარდნით.

ეკლ. ღარისებრი კრამიტითაა გადახურული, ხოლო სამრეკლო – თუნუქის, კონუსისებრი სახურავით.

თ. დვალი.

342. ᲧᲝᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში. თარიღდება XIX ს-ის მიწურულით.

სახლი სხვადასხვა პერიოდის, ორი ნაწილისგან შედგება, რ-თა ბლოკი, ქუჩის გასწვრივ, მცირედ დაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის (18x8,6 მ). შენობის თავდაპირველი ნაწილი ორსართულიანია. გვიანდ. ნაწილი კი – ერთსართულიანი. ამ უკანასკნელის ქვემოთ ნახევარსარდაფია. ქუჩის მხარეს, ტერიტორიის დაქანების გამო, ორივე ნაწილი ერთსართულიანია. სახლის წინ მოზრდილი ეზოა. ეზოში ქვითკირით ნაშენი, სამეურნეო დანიშნულების, ხუთი ნაგებობაა. მათ შორის ორი – სამზარეულო და თონე – შენობის გვიანდ. ნაწილის თანადროულია და მასზე, გვერდიდანაა მიდგმული. დანარჩენები (სასიმინდე, საბძელი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა) კი განცალკევებით დგანან.

შენობის ორივე ნაწილის კედლები რიყის ქვითაა ამოყვანილი. კარ-სარკმლების ღიობები აგურისაა. შიგნით კედლები შელესილია. თავდაპირველ ნაწილს ფიცრის ძვ. იატაკი და შელამფული ჭერი შემორჩა. შენობის თავდაპირველ და გვიანდ. ნაწილებს შორის ნაკერია. სავარაუდოა, რომ მინაშენი ძირითადი ნაწილის მშენებლობის დამთავრებიდან მოკლე ხანში ააგეს.

სახლის ძირითად ნაწილში სხვადასხვა ფართობის, ორი ოთახი და მათ წინ მდებარე აივანია. მოგვიანებით მიშენებულ ნაწილში კი – ერთი ოთახი. აივანი ამ ოთახის წინაცაა. მოგვიანებით იგი მთლიანად შეუმინავთ, ხოლო თავდაპირველი ნაწილის აივნის თითქმის ნახევარი ოთახად გადაუკეთებიათ. ამისათვის აივნის ორი მალი აგურით ამოუშენებიათ და შეულე-

342. საერთო ხედი ეზოდან



სავთ. ამოშენებულ კედლებში თითო, სწორკუთხა სარკმელია დატანებული. ამავე დროსაა შეცვლილი აივნის მოაჯირიც.

ყველა ოთახს შესასვლელი აივნიდან აქვს, რ-ზეც ქვის ექვსაფეხურიანი კიბით ვხვდებით. კიბე გვიანდ. ნაწილის აივანზეა მიდგმული.

თავდაპირველ ნაწილში მდებარე ოთახები ერთმანეთისგან ტიხრითაა გამოჯნული. მათ შორის მცირე ოთახი, მიშენებულ ოთახს მოგვიანებით გაჭრილი, ფართო, სწორკუთხა კარით უკავშირდება. სახლის სამივე ოთახს, აივნის მხარეს (ჩრდ-ით), ორ-ორი სარკმელი აქვს. ამ სარკმლების გარდა, თავდაპირველი ნაწილის მოზრდილ ოთახს კიდევ ორი სარკმელი აქვს: ერთი – ქუჩის



342. სასიმინდე

მხარესაა (სამხრ-ით) გაჭრილი, ხოლო მეორე – განივ (აღმ.) კედელში. მომცრო ოთახში კი მხოლოდ ერთი სარკმელია, რ-იც ქუჩაზე გადის. სარკმლები და შესასვლელები მშვილდისებრი თაღითაა გადახურული. ოთახები ბუხრის გარეშეა.

სახლის თავდაპირველი ნაწილის ორივე ოთახის ქვეშ მარანია. მარანს ორი, სწორკუთხა შესასვლელი აქვს. ორივე მარნის წინ მდებარე ტერასიდანაა, რ-იც წინიდან ღიაა, გვერდებიდან კი კედლებითაა შემოზღუდული. მარნის ერთ-ერთ (დას.) კედელში ბუხარია. მის გვერდით – მცირე, სწორკუთხა ნიშა (გვიანდელია). ერთი, მსგავსი ნიშა მოპირდაპირე კედელშიცაა. ტერასის წინა ხაზზე აგურით ნაშენი, ოთხი, კვადრ. სვეტია, რ-ებზეც აივნის საყრდენი კოჭია გადებული.

შენობას მხატვრულ იერს მდიდრულად მორთული აივანი ანიჭებს. იგი ცალფერდა სახურავითაა გადახურული, რ-იც ხის, გრეხილ სვეტებზე გადებულ ძელს ეყრდნობა. სვეტებს შორის ჭვირული თაღებია, რ-თა ნახატი რთულ სახეებს შეიცავს. სვეტები კაპიტელებითაა დასრულებული. აივანი, მინაშენის მხრიდან, კედლითაა შემოზღუდული, რ-შიც აივანზე შესასვლელი კარია გაჭრილი. ამ კარით აივანი გვიანდ. ნაწილის აივანს უკავშირდებოდა. როგორც ჩანს, კარის წინ, ადრე, ქვის კიბე იყო მოწყობილი, რ-იც მინაშენის მშენებლობის დროს მოშალეს. გრეხილ სვეტებზე იყო დაყრდნობილი მოგვიანებით მიშენებული ნაწილის აივანიც. ოღონდ, ამ სვეტების კაპიტელები, თავდაპირველი აივნის სვეტების კაპიტელებისგან განსხვებულია.

ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადის გაფორმება შედარებით მარტივია: ორივე ნაწილში ერთი ტიპის, მშვილდისებრთაღებიანი სარკმლებია. ოღონდ გვიანდ. ნაწილის სიბრტყე, თავდაპირველი ნაწილისგან, როგორც მასალით, ისე წყობის ხასიათითაც განსხვავებულია. სარკმლების გადახურვაში, აგურისავე წყობით, გამოყვანილია სოლისებრი, საჭექი ქვები.

შენობის გვიანდ. ნაწილის კედელი აგურის საფეხუროვანი



342. სამეურნეო ნაგებობა

ლავგარდანითაა დასრულებული. თავდაპირველ ნაწილს კი ლავგარდანი აღარ შემორჩა. ადგილ. მაცხოვრებლის ცნობით, ფასადის ზედა ნაწილში, ერთერთ აგურზე, ამოკვეთილი ყოფილა შენობის აგების თარიღი.

სახლის თავდაპირველი ნაწილის გვერდითი ფასადები კვადრ. აგურით ნაწყობი, სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული. ფრონტონის არეში, სხვენის განასავებლად, ორ-ორი, ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობია მოწყობილი. სახურავი ორკალთაა, დაბურულია კრამიტით.

სახლი ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ და მნიშვნელოვან შენობათა რიგს მიეკუთვნება. გრეხილი სვეტების მქონე ამგვარი აივნები კი ამ რეგიონის სპეციფიკისათვის უცხოა. მასში თბილისური ტრადიციის გავლენა იგრძნობა.

თ. დვალი.

343. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს გურჯაან-თელავის საავტ. გზიდან სამხრ-ით, დაახლ. 2 კმ-ის დაშორებით, დოლიაურისხევის დამრეც ფერდობზე, სასაფლაოზე. თარიღდება XVI-XVII საუკუნეების მიჯნით. XIX საუკუნის მიწურულში იგი შეუკეთებიათ და დას. ფრონტონის წვერზე სამრეკლო დაუშენებიათ. XX საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივმა მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივით, ბაზალტის უზარმაზარი ფილებით გაამაგრა ეკლესიაში შესასვლელი კარი და დას. ფრონტონი.

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით კირის ხსნარზე. დარბაზის გეგმა კვადრატს უახლოვდება. საკურთხეველს ტაძრის მთელი სივრცის დაახლ. 1/3 უჭირავს. საკურთხეველში, სამხრისა და ჩრდ. კედლების აღმ. კიდეში, თითო, მცირე, სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველი გადახურულია კონქით, რ-ის ნახევარწრიულ საფუძველზე გადასვლა, საკურთხევლის კუთხეებში განლაგებული ტრომპების საშუალებით ხდება. ერთადერთი, სწორკუთხა შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარის ზღურბლი მიწის დონიდან დაახ-

ლოებით 70 *სმ*-ის სიღრმეზეა. აქედან კი, კიდევ ერთი საფეხურია ეკლესიის იატაკის დონემდე. შიგნიდან შესასვლელი მოზრდილი, ბრტყელი ქვითაა გადახურული. ეკლესიის იატაკი არაერთგვაროვანია. ზოგან ის ქვითაა გაწყობილი, ხოლო დანარჩენი მოლესილია კირხსნარით.

აღმ. და დას. კედლებში გაჭრილია თითო, მცირე ზომის,



343. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

თარაზულად გადახურული სარკმელი, რ-ებიც ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება. ორივე სარკმლის ღიობი რიყის ქვითაა გამოყვანილი. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელს, რიყის ქვით ნაგები, კუბური ფორმის ტრაპეზი ეკვრის. შიგნით კედლები უხარისხოდაა გალესილი. ნალესობის დიდი ნაწილი ჩამოშლილია.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფრონტონის წვერში ჩასმულია სამკუთხა ფორმის, შირიმის ქვა, რ-ზედაც ჯვარია ამოკვეთილი.

ლავგარდანი ჩამოშლილია. იგი შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. ფასადზე და შირიმის, მარტივ თაროს წარმოადგენს.

დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურითა და რიყის ქვით ნაგები, ერთთაღიანი ს ა მ რ ე კ ლ ო.

2011 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. ყანჩელი). გარედან ეკლესიის კედლები გაიწმინდა ნაყარი მიწისგან, აღდგა კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.


ნ. ყანჩელი.

შალაური

(თემის საკრებულოს ცენტრი)

344. ეკლესიების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, სასაფლაოზე. კომპლექსში შედის სხვადასხვა დროის, ორი, დარბაზული ეკლ., რ-თა შორის ერთი ღვთისმშობლის, ხოლო მეორე წმ. გიორგის სახელზეა აგებული.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა უაფსიდოა (გარეთა ზომები: სიგრ. – 6,15 *მ*, სიგ. – 4,5 *მ*). თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. კუთხეებში, ალაგ-ალაგ, შირიმის ქვებიცაა ჩართული. ეკლესიას აშკარად ემჩნევა გვიანდ. შეკეთების კვალი, განახლებული ნაწილები აგურისა და წვრილი, რიყის ქვის შერეული წყობითაა გამოყვანილი. ხოლო ლავგარდანი, რ-იც ასევე



344. ღვთისმშობლის ეკლ. გეგმა

აღდგენილია, მთლიანად აგურისაა. ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან, კედლის დას. ნაწილში აქვს. კარი შიგნიდან, შირიმის, ორი ქვით შედგენილი, ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. გარედან კი, მოგვიანებით, გაუგანიერებიათ და თარაზულად გადაუხურავთ.

შიგნიდან კედლების წყობა ოდნავ უფრო ტლანქია, ვიდრე გარედან. აღმ. კედლის ცენტრში მოწყობილია დაბალი, ბრტყლად გადახურული სარკმელი, ბოლოებში კი, თითო, მცირე, ოთხკუთხა ნიშა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული, რ-საც გეგმით ტრაპეციის ფორმა აქვს. ოდნავ მოგრძო, დაახლ. 1 *მ* სიმაღლის ნაგებობაა მიშენებული საკურთხევლის ჩრდ. კედელზეც, რ-იც, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. საკურთხეველი დანარჩენი სივრცისგან გამიჯნული იყო შირიმის, ნათალი ქვებით ნაწყობი, კედლიდან ოდნავ გამოშვერილი, შეკიდული, საბჯენი თაღით და გვიანდ., აგურით ნაშენი კანკელით (შემორჩენილი იყო ნაშთი). საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი, მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა. იგი გარედან შირიმის ქვებითაა გამოყვანილი და ნახევარწრიული თაღი ხურავს.


გარედან ეკლესიის კედლები გასწორებულია კირის დუღაბის სქელი ფენით, რ-იც საპირე ქვების დიდ ნაწილს ფარავს. ლავგარდანი ორსაფეხურიანია. ორივე საფეხური აგურის, თითო რიგითაა გამოყვანილი. ქვედა რიგში აგურები კუთხით არის გამოშვერილი, ზედაში კი ჩვეულებრივადაა დაწყობილი.

ეკლესიის სამხრ-ით, ორიოდე *მ*-ის მანძილზე, დგას XIX ს-ში აგებული, დაახლ. ორჯერ უფრო დიდი ზომის წმ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. აღმ-ით იგი დასრულებულია შვერილი, ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გარედან, ეკლესიის ძირითადი კორპუსიდან, მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი, ნახევარკონუსისებრი სახურავი ხურავს (ზომები ღერძებზე გარედან: სიგრ. – 13,3 *მ*, სიგ. – 7,9 *მ*).


ძ., ძირითადად, რიყისა და ნატეხი ქვითაა ნაშენი. სარკმლების ღიობები და კონსტრ. ელემენტები გამოყვანილია კვადრ. აგურით. კედლები გარედან ბათ-

ქაშითაა გასწორებული, შიგნიდან კი შელესილია.

შესასვლელი ორია – დასით და სამხრ-ით. ორივე შესასვლელის გვერდები შირიმის ნათალი ქვისაა. შესასვლელები, გარედან, მთლიანი ქვით, თარაზულად არის გადახურული, ხოლო შიგნიდან – ნახევარწრიული თაღით. ეკლესიის დარბაზი და მისი გადამხურავი კამარა, პილასტრების ორი წყვილითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღებით სამ, თანაბარ ნაწილად იყოფა. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. ყველა თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია მაღალი, სამსაფეხურიანი იმპოსტები. ამავე იმპოსტებზე არის დაყრდნობილი, პილასტრებს შორის არსებული კედლის ყრუ თაღებიც.




344. წმ. გიორგის ეკლ. გეგმა



344. წმ. გიორგის ეკლ. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

საკურთხევლის აფსიდი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული. აფსიდის ცენტრში განიერი, შიგნიდან ნახევარწრიული, ხოლო გარედან ოდნავ შეისრული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. ეკლესიაში კიდევ ექვსი, მსგავსი სარკმელია: სამი – ჩრდ. კედელში, ორი – სამხრ. კედლის განაპირა მონაკვეთში და ერთიც – დას. კედელში, შესასვლელის ზემოთ. ყველა სარკმელი რკინის გისოსითაა აღჭურვილი.



344. წმ. გიორგის ეკლ. დას. ფასადი

აფსიდის ჩრდ. გვერდში, ერთმანეთთან ახლოს, სხვადასხვა ზომის, ორი, თაღოვანი ნიშაა, სამხრ-ისაში კი – ერთი. ჩრდ. ნიშებიდან ერთი, შედარებით მოზრდილი, გეგმით ნახევარწრიულია და კონქითაა გადახურული. ეკლესიაში დაკრძალულია აზნაურ სოლომონ მაჭავარიანის მეუღლე ნინა მაღლაკელიძე.

ეკლესიის ფასადები მარტივია. გრძივი ფასადები, გაფორმების სისტემით, ერთგვაროვანია. მორთულობის ელემენტებია: პილასტრისებრი, სადა შვერილები და მათ შორის მოქცეული სწორკუთხა, შეღრმავებული არეები, რ-ებიც თანაბრად ანაწევრებს კედლის ვრცელ ზედაპირს. შვე-

რილები და მათ შორის მოქცეული არეები თანაბარი სიმაღლისაა. მათ ზემოთ კი – ლავგარდნამდე, კედლის დარჩენილი სიბრტყე, სრულიად გლუვია. თითოეულ ფასადზე სამ-სამი



344. წმ. გიორგის ეკლ. ინტერიერი, ხედი აღმ-კენ

ასეთი არეა. შვერილები დასრულებულია აგურით გამოყვანილი, ორსაფეხურიანი კაპიტელით, რ-ის ქვედა საფეხური არეების დამაგვირგვინებელ, თაროსებრ საფეხურს ებმის. თითო შვერილი დას. ფასადის კიდეებშიცაა გამოყვანილი, რ-ებიც მათ მთელ სიმაღლეზე აუყვება.

ორივე შესასვლელი ოდნავ შეღრმავებულ, თაღოვან არეშია მოთავსებული. მათ თავზე, ამ არის ფარგლებშივე, მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა. დას. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შემკობით, ორსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარია გამოსახული.

საკურთხევლის შვერილი სადაა, მოკლებულია დეკორატიულ სამკაულს. იგი დასრულებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის თითოეული საფეხური ჩვეულებრივად დალაგებული აგურის, ორი რიგითაა გამოყვანილი. ანალოგიური ლავგარდნითაა დასრულებული დანარჩენი კედლებიც.

ეკლ. დგას დაბალ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის დას. კედლის თავზე აგურით გამოყვანილი კვადრ. ბაქანია, რ-ზეც დადგმულია აგურისავე, ორსაფეხურიანი ლავგარდნით დასრულებული, ექვსწახნაგა სამრეკლო, რ-ის ექვსივე კუთხეში ექვსწახნაგა ბოძია აგებული. ბოძები დასრულებულია ორსაფეხურიანი კაპიტელებით. ამ უკანასკნელებს კი, ნახევარწრიული თაღები ეყრდნობა. შიგნით სამრეკლო გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, გარედან კი – პირამიდული ფორმის, ექვსწახნაგა სახურავით.

2010 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი, მ. გელაშვილი): გამაგრდა ღვთისმშობლის ეკლესიის კედლები. კუთხეებში მოიხსნა გვიან განახლებული, მორყეული ნაწილები და ამოშენდა ადრე არსებულ წყობასთან შეხამებით. განახლდა კანკელი. დაიგო აგურის იატაკი. აღდგა ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილი და ეკლ. ღარისებრი კრამიტით გადაიხურა. წმ. გიორგის ეკლესიის კედლები შიგნიდან შეილესა, ხოლო გარედან შეთეთრებისგან გასუფთავდა. დაიდგა კანკელი. მოიხსნა სამხრ. შესასვლელის თავზე არსებული ლითონის მარკიზი. აღდგა საკურთხევლის შვერილის ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით, სამრეკლო კი – აგურით გამოყვანილი, ექვსწახნაგა, პირამიდისებრი სახურავით.

თ. დვალი.

344. წმ. გიორგის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



345. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 4 კმ-ზე, ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,9x4,2 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. ერთადერთი შესასვლელი დას-ითაა. კარი შირიმის, ნათალი ქვითაა გამოყვანილი და დასრულებულია ნახევარწრიული თაღით (ნაწილი ჩამონგრეულია). აფსიდი ნახევარწრიულია. აფსიდის ცენტრში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია მოწყობილი, გვერდებში კი – თითო, ოთხკუთხა ნიშა. ერთი, ოთხკუთხა სარკმელი დას-ით,

შესასვლელის თავზეცაა. დარბაზი გადახურულია ქარგილზე სხმული კამარით.


დას. სარკმლის თავზე, გარედან, ჩასმული ყოფილა ოთხკუთხა ფილა, რ-ის კვალიღაა შემორჩენილი. კედლებს ლავგარდანი აღარ შემორჩა, ჩამოშლილია საბურავიც. სახურავზე მცენარეებია ამოსული.

პ. კიკაჩეიშვილი.

346. სვეტიცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სამიოდე კმ-ზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით.

შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (9x6,75 მ) ჩაწერილია გვერდიგვერდ განლაგებული ორი ნავი. მათ შორის ერთი, სამხრ-ით მდებარე, რ-იც უფრო განიერი და მაღალია, ერთიანია, ჩრდ-ით მდებარე კი, განივი კედლით, ორ არათანაბარ სადგომადაა გაყოფილი. აღმ. სადგომი განცალკევებულია, დას-ისა კი, ორი, განიერი, თაღოვანი მალით, სამხრ. ნავთანაა დაკავშირებული.

ეკლ., ძირითადად, ლოდებითაა ნაგები. წყობაში მცირე ზომის, რიყის ქვა და ნატეხი ქვებიცაა გამოყენებული. გარეთა კუთხეები მოზრდილი, მეტ-ნაკლებად შერჩეული ქვებითაა გამოყვანილი. წყობა ირეგულარულია.



346. გეგმა

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. ორივე მთავარი ნავის კედლებში. დას-ით და სამხრ-ით, არის გაჭრილი. დას. შესასვლელი თავდაპირველია. გადახურულია თარაზულად. ამჟამად მსგავსადაა გადახურული სამხრ. შესასვლელიც (აღდგენილია).

მთავარი ნავი აღმ-ით დასრულებულია ღრმა, ნალისებრი აფსიდით, რ-ის ცენტრში პარალელურწირთხლებიანი სარკმელია გაჭრილი (შემორჩენილი იყო ნაშთი).

ჩრდ. ნავის აღმ. სადგომი გეგმით თითქმის კვადრატულია, გადახურულია ცილინდრულიკამარით. აღმ. კედლის შუაში დაბალი, პარალელურწირთხლებიანი, სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ქვემოთ დგას კედელზე მიყრდნობილი, ოთხკუთხა ტრაპეზი. სადგომის დას. კედელში სწორკუთხა კარია, რ-იც დას. სადგომში გადის. დას. სადგომი, აღმ. სადგომთან შედარებით, ორჯერ უფრო გრძელია და მთავარ ნავს ორი, ნახევარწრიული თაღით (დას-ისა აღდგენილია) უკავშირდება, რ-ებიც კვადრ. გეგმის ბურჯს ეყრდნობიან.



346. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგებობების კვალი შეიმჩნევა.

1990 წელს, ინსტიტუტ „საქრესტავრაციის“ მიერ, ძეგლზე ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტ. ივ. გრემელაშვილი): შემორჩენილი, ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მთლიანად აღადგინეს ჩრდ. ნავი, მოაწყვეს ბეტონის თაროსებრი ლავგარდანი და ნავი ღარისებრი კრამიტით გადახურეს; აღადგინეს ნავების დამაკავშირებელი თაღედის დას. მალი. არასრულად – მთავარი ნავის კედლები. სამხრ. კედლის შუა ნაწილში მოაწყვეს ოთხკუთხა შესასვლელი.

თ. დგალი.

ბიბლ.: 335.


347. ფიჭვიანის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, სამიოდე კმ-ის მანძილზე, ტყეში. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. ალაგ-ალაგ, ძირითადად, კონსტრუქციულ ნაწილებში, გამოყენებულია შირიმის, მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვები.

შენობის გეგმის სწორკუთხედში (14,2x8,2 მ) ჩაწერილია ცალნავიანი ეკლ., მომცრო სამლოცველო და გარშემოსავლელი. ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია ეკლესიის კამარა და კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩამოშლილია სამლოცველოს საბურველი, გარშემოსავლელის კედლების ნაწილი დანგრეულია, ხოლო ნაწილი – 1-1,3 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლებზე, გადახურვის შემორჩენილ ნაწილზე და ინტერიერში მცენარეულობაა ამოსული.

მთავარი ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია განიერი, თითქმის პარალელურწირთხლებიანი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია შირიმის, ნათალი ქვებით გამოყვანილი მხრებით, რ-ებსაც ეყრდნობოდა შირიმისავე ქვებით ნაწყობი, სატრიუმფო თაღი (შემორჩენილია ორივე ქუსლის წყობა).

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარშემოსავლელიდანაა, გარედან ისინი თარაზულად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია მცირე ნაწილები), შიგნიდან კი – რიყის, მოგრძო ქვებით ნაწყობი, ნალისე-

ბრი თაღით. მთავარ ეკლესიას, საკურთხევლის სარკმლის გარდა, სამხრ. კედელში გაჭრილი, კიდევ ორი სარკმელი აშუქებდა,




347. გეგმა

რ-ებსაც გადახურვა ჩამოშლილი აქვს.

მთავარ ეკლესიას სამხრ-იდან ეკვრის სამლოცველო, რ-იც მთავარ ეკლესიაზე თითქმის ორჯერ უფრო მოკლეა. სამლოცველოს ორი, განიერი, თაღოვანი შესასვლელი აქვს. მათგან ერთი – სამხრ-იდანაა, გარედან, ხოლო მეორე – დას-იდან – გარშემოსავლელიდან. სამლოცველოს შიდა სივრცე გეგმით თითქმის კვადრატულია, გადახურულია ცილინდრული კამარით და აღმ-ით ნახევარწრიული ფორმის, უსარკმლო აფსიდითაა დასრულებული.

გარშემოსავლელი ორი ნაწილისგან შედგება. ორივე ნაწილს თითო, თაღოვანი შესასვლელი აქვს. ერთი – სამხრ. ფრთის სამხრ. კედელშია (შემორჩენილია მთლიანად), მთავარი ეკლესიის შესასვლელის მოპირდაპირედ, მეორე – დას. კედლის ჩრდ. კიდესთან. ორივე შესასვლელი ნალისებრთაღოვანია. გარშემოსავლელის ორივე ნაწილი დამოუკიდებელი კამარით ყოფილა გადახურული. მათ დასაყრდნობად მთავარი ეკლესიის შესაბამისს კედლებზე თაღედი ყოფილა მიშენებული (შემორჩენილია მცირე ნაწილი).

ფასადები სადაა, მორთულობის გარეშე. აღმ. ფასადზე სარკმლის თაღი არაწესიერი ფორმის, შირიმის, მთლიან ქვაშია გამოკვეთილი. ეკლ. გადახურული იყო ორფერდა სახურავით, სამლოცველო და გარშემოსავლელი კი – ცალფერდათი.



347. აღმ. ფასადი

ნ. ანდღულაძე.

348. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 500-იოდე *მ*-ის მანძილზე, სვინანაანთხევის მარჯვ. ნაპირზე, ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. მცირე ზომის (3.1x4.6 *მ*), დარბაზული ტიპის სამლოცველოა. ნაშენია, ძირითადად, რიყის წვრილი ქვით, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვნად გამავალ რიგებად. წყობაში, ალაგ-ალაგ, ლოდებიცაა ჩართული.

თითქმის მთლიანად დანგრეული ეკლესიიდან შემორჩენილი იყო სამხრ. კედელი (მაქს. სიმ. – 3 *მ*) და, თითქმის იმავე სიმაღლეზე, განივი კედლების სამხრ. ნახევარი.

სამხრ. კედელში შესასვლელია გაჭრილი. იგი რიყის ქვითა და კვადრ. აგურის შერეული წყობითაა გამოყვანილი და ხის ძელებით თარაზულადაა გადახურული.

აფსიდი ნახევარწრიულია. აფსიდის კედელი დარბაზის სამხრ. კედლისგან გამიჯნულია პილასტრით, რ-თანაც, სამხრ. კედელში, ხის კანკელის ზედა ძელის ჩასადგმელი ღრმულია. აფსიდში შემორჩენილი იყო აგურით გამოყვანილი სარკმლის მხოლოდ წირთხლი. დარბაზის სამხრ. კედელი გლუვია – უპილასტრო.

2009 წელს, სოფლის ყოფილი მაცხოვრებლის ვ. ნადირაძის დაფინანსებით, იგი მთლიანად აღადგინეს (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი: მ. გელაშვილი).


თ. დვალი.

ბიბლ.: 335.

349. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ოთხიოდე *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.


ნაგებობას აშკარად ეტყობა მოგვიანებით ჩატარებული, აღდგენითი სამუშაოების კვალი, რ-ის დროსაც, იმხანად დანგრეული დას. კედლის ნაცვლად, ახ. კედელი აუგიათ, ოღონდ არა თავდაპირველი კედლის ადგილზე, არამედ მისგან აღმ-ით, დაახლ. 1-1,5 *მ* მანძილზე. ამის გამო დარბაზი ძლიერ არის დამოკლებული. იმდენად, რომ მისი სიგ. თითქმის ორჯერ უფრო მეტია სიგრძეზე.

განახლებული კედელი საკმაოდ სქელია (სისქე დაახლ. 90 *სმ*-ია). იგი გრძივ კედლებს შორისაა ჩაშენებული ისე, რომ მათ ბოლოებთან ერთ ხაზზე კი არ არის, არამედ რამდენადმე (დაახლ. 50 *სმ*-ით) წინაა წაწეული (ზომები გარედან: სიგრ. – 6,5 *მ*, სიგ. – 4,95 *მ*).



349. გეგმა


ეკლ. ნაგებია წვრილი, რიყის ქვით, რ-ებიც წესიერ, სწორხაზოვან რიგებადაა დაწყობილი. მოგვიანებით განახლებული კედელიც რიყის ქვისაა. შესასვლელი დას-ითაა. კარი ორივე მხრიდან თარაზულადაა გადახურული. შიგნით, შესასვლელის ჩრდ-ით, მოწყობილია მცირე, სწორკუთხა ნიშა. აღმ-ით ღრმა, გეგმით ოდნავ გაბრტყელებული



349. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ნახევარწრის ფორმის აფსიდია, რ-ის კედელი, იატაკიდან 2 *მ* სიმაღლეზე, დარბაზის გრძივი კედლებიდან მოკლე, პატარა მხრებითაა გამოყოფილი. ზემოთ კი იგი უშუალოდ ერწყმის დარბაზის გრძივ კედლებს, ხოლო კონქი – კამარას. აფსიდის შუაში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ერთი, მსგავსი სარკმელი სამხრ. კედელშიცაა. აფსიდის სარკმლის ქვემოთ, კედელზე, აგურით ნაწყობი, კუბური ფორმის ტრაპეზია მიყრდნობილი. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია მოგვიანებით აგებული (როგორც ჩანს, ეკლესიის განახლების დროს), რიყის ქვის კანკელით.

1990 წელს, ინსტიტუტ „საქრესტავრაციის“ მიერ, ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტ.



349. აღმ. ფასადი

ივ. გრემელაშვილი): ფასადებზე აღდგა ჩამოშლილი საპირე წყობა და აგურის თაროსებრი ლავგარდანი, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

350. წმ. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ეკლ. დარბაზულია (5,2x3,8 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარის სამხრ. ნახევარი, მორღვეულია სამხრ. კედლის ზედა ნაწილი და საპირე წყობა, სახურავის კალთების შემორჩენილ ნაწილებს საბურავი ჩამოშლილი აქვს და ზედ მცენარეულობაა ამოსული, ჩამოშლილია ლავგარდანიც.

შესასვლელი დას-ითაა. კარი თაღოვანია. გამოყვანილია კვადრ. აგურით. აღმ-ით ღრმა, გაბრტყელებული ნახევარწრის მოყვანილობის აფსიდია, რ-ის ცენტრში ოთხკუთხა, პარალელურწირთხლებიანი სარკმელია გაჭრილი. ერთი, ოთხკუთხა სარკმელი დას. კედელშიცაა. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ქვის ტრაპეზი. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი მოხაზულობის იყო კამარაც.

პ. კიკაჩეიშვილი.

351. ჯვარპატიოსნის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 3 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (6,2x4,3 *მ*), რ-საც სამხრ-იდან სწორკუთხა მინაშენი (შემორჩენილია ფრაგმენტულად) ეკვრის. ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. ალაგალაგ, გამოყენებულია შირიმიც. ეკლ. შეკეთებულია. თაღოვანი შესასვლელი დას-ითაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ასეთივე თითო სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზის ქვაა მიდგმული. მეორე ტრაპეზის ქვა აფსიდის ჩრდ. მხართანაა. დარბაზის გრძივი კედლების შუაში მოწყობილია ერთსაფეხურიანი პილასტრები, რ-ზეც კამარის საყრდენი, ოდნავ შეისრული მოყვანილობის თაღია გადაყვანილი. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში ერთი, ოთხკუთხა ნიშაა. კედლებს, მთელ სიგრძეზე, გასდევს ჩამოსაჯდომი საფეხური. კედლები შელესილია.

აღმ. ფასადზე, სარკმლის გადამხურავ, შირიმის ქვაზე ჯვარია გამოსახული. შენობა გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

პ. კიკაჩეიშვილი.

ძველი შუამთა

იხ. სოფ. ვარდისუბანი, ძველი შუამთის მონასტერი

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ

(თემის საკრებულოს ცენტრი)

352. ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის ძირში, მდ. კისისხევის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 560 მ-ზე, თელავიდან 10 კმ-ზე.

სოფლის ჩრდ-ით გამოვლენილი არქეოლ. მასალის მიხედვით, ეს ტერიტ. ანტ. და ელინისტ. ხანაში უკვე დასახლებული იყო.

1579 წლის საბუთში, რ-ითაც მეფე ალექსანდრე II სვეტიცხოველს მამულების მფლობელობას უახლებს, ამ მამულების საზღვრების გასარკვევად, წინანდალს მოიხსენიებს. საზღვარი კი ყოფილა იქ, „სადაც წინანდლის თავს ქედ-ქედნი მიადგებიან, ხოდაშენსა და წინანდალს შუა ოლე ჩაივლის“. ამ პერიოდში სოფელი სამეფო სახასო ადგილი უნდა ყოფილიყო.

წინანდალში, ისევე როგორც კახეთის ბარის სხვა სოფლებში, ძნელბედობით შეთხელებული ადგილ. მოსახლეობის ხარჯზე, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა მთიდან ჩამოსახლების და აქ დამკვიდრების პროცესი.

იოანე ბატონიშვილის თანახმად, XVII ს-ში აღმ. საქართველოს მთიანეთიდან გადმოსახლებული მამუჩიშვილები (ჭავჭავაძეთა გვარის ერთ-ერთი განაყოფი) ერეკლე I-ს „ადგილსა წინანდალსა“ დაუსახლებია და აზნაურობა უბოძებია. შემდეგ თეიმურაზ II-ეს ისინი „მცირე თავადის ხარისხში აუყვანია“ და მათთვის მცირე რაოდენობით ყმა და სამეფო ზვარი უბოძებია და „უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა“. 1654 წელს მამუჩიშვილებს დავაც კი ჰქონიათ სვეტიცხოველისა და საკუთარი მამულების საზღვრების თაობაზე, რ-იც მეფე როსტომის ბრძანებით, „სამართლით და ფიცით“ გარიგებულა. კათალიკოსი ქრისტეფორე წერს: „ხოდაშნელთ წინანდლის სამძღურამდი ბოლო და სადგომის ალაგი და ბაღთ-კარი გამოვფიცეთ, ფიცით დაგვრჩა“. თუმცა, ეს სასაზღვრო დავები შემდეგ საუკუნეშიც გაგრძელებულა. წინანდლის მამულებზე დავა XVIII ს-ის ბოლოს დაფიქსირებულია თვითონ მამუჩიშვილებს შორისაც.

1757 წლამდე სოფელი ჭერმის საეპისკოპოსოს სამწყსოდ ითვლებოდა, მაგრამ მტრის შემოსევებისგან ჭერმის ეკლ. ისე იყო გაერანებული, რომ აქ ეპისკოპოსის ფუნქციების შესრულება ვეღარ ხერხდებოდა, რის გამოც თეიმურაზ II-ემ ჭერმის სამწყსო, შემოსავლებითურთ, გადაანაწილა და ალავერდელს, ბოდბელსა და ნინოწმინდელს მიაბარა. „წინანდალი სრულიად და სამწყსოდ თავადის შვილი მამუჩისშვილები“ ებარა ალავერდელს ენდრონიკაშვილს ნიკოლოზს.

XVIII ს-ში წინანდლის მამული ეკუთვნოდა დიპლომატ გარსევან ჭავჭავაძეს, რ-ისგანაც იგი მემკვიდრეობით მისმა ვაჟმა, პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიიღო. ამ უკანასკნელმა წინანდლის მამულში დეკორატ. პარკი და ღვინის მარანი მოაწყო. XIX ს-ის 20-30-იან წლებში წინანდალი იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების ერთ-ერთ თავშესაყარ ადგილს წარმოადგენდა.

XIX-XX სს-ის მიჯნაზე წინანდალში, საუფლისწულო უწყების ორგანიზებით, მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალიზებული მეურნეობა შეიქმნა. აშენდა უახლესი, ევროპული ტექნიკით აღჭურვილი ღვინის სარდაფი-ქნა, სადაც 1936 წელს შეიქმნა საქართვ. მეღვინეობის ისტორიაში პირველი ენოქიმიური ლაბორატორია. სხვადასხვა დროს საქვეყნო აღიარება მოიპოვა აქ წარმოებულმა არაერთმა სამარკო ღვინომ (წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული).

XX ს-ის დასაწყისში, როცა კახეთი რევ. გამოსვლებმა მოიცვა, მასში წინანდლელი გლეხებიც მონაწილეობდნენ. 1905 წლის 29 მარტს „საუფლისწულო მამულში“ მათ ცეცხლი წაუკიდეს თავადის ტყეს. ხოდაშნელ, ბუშეტელ და ვანქელ გლეხებთან ერთად, სოფლის კანცელარიიდან მეფის სურათი გამოიტანეს და საჯაროდ დაწვეს, უარი განაცხადეს მაზრის ადმ. მორჩილებაზე, სოფლებიდან გარეკეს სახელმწ. მოხელეები და შეადგინეს მოთხოვნები (დროებითი ვალდებულების და ხიზნობის მოსპობა, წოდებათა გაუქმება, ფართო თვითმმართველობის შემოღება, საყოველთაო, უფასო სწავლება, სინდისის, სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლება, პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, მუდმივი ჯარის გაუქმება, ეკლესიის სახელმწიფოსგან და სკოლის ეკლესიისგან გამოყოფა, დამფუძნებელი კრების მოწვევა და საყოველთაო არჩევნები), რ-ებზეც მემამულეებს მოაწერინეს ხელი. ვითარების განმუხტვა-მოწესრიგება ვერც თელავიდან ჩასულმა, დამსჯელმა რაზმმა შეძლო.

წინანდალში 1957 წ. ამოქმედდა ბ-კა, რ-იც მოქმედებს დღესაც. 1964 წლის 1 აგვისტოს გაიხსნა ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. 1979 წელს სოფლის ცენტრში აღმართეს შინმოუსვლელთა მემორ., რ-ზეც 1941-45 წწ-ში, ომში დაღუპული 346 მებრძოლის სურათი და გვარია ფიქსირებული. ამჟამად სოფელში ფუნქციონირებს: კულტურის სახლი, რ-შიც მუშაობს „წინანდლის სამუსიკო სკოლა“, ანსამბლი „წინანდალი“, კეთილმოწყობილი ამბულატორია, მინი ფეხბურთის მოედანი.

ჯ. კახაძე.

ბიბლ.: 25; 87; 138ბ,გ.


353. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ქვემო უბანში. თარიღდება შუა საუკუნეებით. დანგრეულია. შემორჩენილი ნაშთების მაქს. სიმ. – 1,5 მ-ია. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვით კირის ხსნარზე. შესასვლელი დას-იდან ჰქონდა. აღმ-ით კი – ნახევარწრიული აფსიდი.

ბ. კუპრეიშვილი.

354. ეკლესიების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. კომპლექსში შედის, ერთმანეთისგან ოციოდე მ-ის მოშორებით მდგარი, სხვადასხვა დროის ორი ეკლ., რ-თა შორის ერთი ღვთისმშობლის, ხოლო მეორე წმ. გიორგის სახელზეა აგებული.


ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, დარბაზულია (9,1x6,5 მ). თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. ნაშენია რიყის ქვით. კონსტრუქციულ ნაწილებში (კარ-სარკმლის წირთხლები, საბჯენი თაღები, კამარა) გამოყენებულია კვადრ. აგური.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და სამხრ-იდან. მათ შორის სამხრ-ისა გვიანდე-



354. ღვთისმშობლის ეკლ. გეგმა

ლია და შიგნითკენ მკვეთრადაა გაგანიერებული. ორივე შესასვლელი ხის ძელებით, თარაზულად არის გადახურული. მესამე კარი (ამჟამად ამოშენებულია),




354. ღვთისმშობლის ეკლ. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

რ-იც გარედან დანარჩენ ორზე გაცილებით განიერია, ჩრდ-იდან, XX ს-ის შუა წლებში მოუწყვი-

ათ. ამ დროს ამოუშენებიათ დას. და სამხრ. შესასვლელები.

ეკლესიის დარბაზი შესამჩნევად მოკლეა. იმდენად, რომ მისი განივი ღერძი დაახლ. 1 მ-ით ჭარბობს გრძივ ღერძს. აღმ-ით ღრმა, წესიერი ნახევარწრის ფორმის აფსიდია. აფსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი



354. ღვთისმშობლის ეკლ. ჩრდ. ფასადი

სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო, შეისრულთაღიანი ნიშაა მოწყობილი. თითო, სწორკუთხა სარკმელი დას. და ჩრდ. კედლებშიცაა. მათ შორის ჩრდ. სარკმელი მოგვიანებითაა გაგანიერებული. დას. სარკმლის გადახურვა საფეხურებადაა დამუშავებული და შიგნიდან გარეთკენ მაღლდება. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების კონქით. კონქის ზემოთ, როგორც ჩანს, მცირე სიცარიელეა. მასთან დამაკავშირებელი ხვრელი აფსიდის სარკმლის გადახურვაშია მოწყობილი, რ-ის გამოც აღმ. კედელი, დანარჩენ კედლებთან შედარებით, გაცილებით უფრო სქელია (სისქე დაახლ. – 1,3 მ-ია).


ეკლესიის ფასადები ორსაფეხურიანი ლავგარდნითაა დასრულებული, რ-ის თითოეული საფეხური ჩვეულებრივად დალაგებული და კუთხეებით წინწამოწეული აგურის, თითო რიგითაა გამოყვანილი. აღმ. ფასადზე, სარკმლის ასწვრივ, აგურის წყობის შედრმავებით, გამოსახულია საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, მაღალი ჯვარი, რ-ის ზედა მკლავზე შედრმავებულივე რომბია წაბმული. გარდა ამისა, ფრონტონის არეში კიდევ სამი, მსგავსი რომბია – თითო-თითო ჯვრის ზედა მკლავის გვერდებზე, ხოლო ერთი ზედა მკლავის ასწვრივ, ფრონტონის წვერთან. მსგავსი ჯვარი, ოღონდ რომბების გარეშე, გამოსახულია ეკლესიის დას. ფრონტონზეც. ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხეს, თითქმის მთელ სიმაღლეზე, აუჭვება გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის (კონტრფორსის?) კედლის ნაშთი, რ-იც ეკლესიასთან წყობითაა შერწყმული.

1980-იანი წლების მიწურულს, ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ.


354. ღვთისმშობლის ეკლ. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორები: მ. გელაშვილი, გ. ქალებაშვილი): ჩრდ. კედელში მდებარე, საკუთრივ საკურთხეველი, შიგნიდან ნახევარწრიულია, ხოლო გარედან ხუთწახნაგოვანი. დას-ისა კი – სწორკუთხაა (შენობის გარეთა ზომები ღერძებზე: სიგრ. – 15,2 *მ*, სიგ. – 8 *მ*).



354. წმ. გიორგის ეკლ. გეგმა



354. წმ. გიორგის ეკლ. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ამოშენდა მოგვიანებით მოწყობილი შესასვლელი. სახურავზე მოიხსნა მოგვიანებით დაშენებული, დაახლ. ოცდაათიოდე *სმ*-ის სიმაღლის ფენა. განახლდა ლავგარდანი. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.


წმ. გიორგის ეკლესია წარმოადგენს ე. წ. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათოვანი ტაძრის ნაირსახეობას.

შენობის ბირთვი გეგმით კვადრ., ჯვრული კამარით გადახურული სივრცეა, რ-საც აღმ-იდან და დას-იდან შედარებით დაბალი, ვიწრო სივრცეები ერთვის. მათ შორის აღმ-ით დას. ეკლესიას დას-იდან ეკვრის კვადრ. გეგმის, სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებით გახსნილი კარიბჭე, რ-ის სახურავზე, ადრე, მცირე ზომის სამრეკლო იქნებოდა დადგმული (შემორჩენილი იყო საფუძვლის ნაშთი).

ეკლ. ნაშენია კვადრ. აგურით, ალაგ-ალაგ (ძირითადად ქვედა ნაწილებში), წვრილი, რიყის ქვის, სწორხაზოვანი რიგების ჩართვით.

შესასვლელი სამია: ცენტრ. ნაწილის სამხრ. და ჩრდ. კედლებში – ერთმანეთის მოპირდაპირედ, ხოლო დას-ით – „მკლავის“ ცენტრში. ინტერიერი ცხრა ფართო, მაღალი, თაღოვანი სარკმლითაა განათებული. აქედან სამი – აფსიდშია, ორ-ორი – ცენტრ. კვადრატის სამხრ. და ჩრდ. კედლებში – კარის აქეთ-იქით, თითო კი – დას. „მკლავის“ ჩრდ. და სამხრ. კედლებში. ცენტრ. ნაწილის კარ-სარკმლები შიგნიდან მოთავსებულია საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ არეში. აფსიდში სამი, თაღოვანი ნიშაა მოწყობილი – ორი ჩრდ-ით, ხოლო ერთი სამხრ-ით. ცენტრ. ნაწილის კამარის წვერში სწორკუთხა პლაფონია გამოყვანილი.

ეკლესიის ცენტრ. ნაწილის და დას. „მკლავის“ კუთხეებს, გარედან, სადა პილასტრები



354. წმ. გიორგის ეკლ. სამხრ. ფასადი



354. წმ. გიორგის ეკლ. (რესტავრაციამდე). ინტერიერი, ხედი აღმ.-კენ

აუყვება. ჩრდ. და სამხრ. ფასადზე, კარ-სარკმლები ერთიან, სადა საპირეში არის ჩასმული, რ-შიც, სარკმლების ქვემოთ, გამოყვანილია მათივე სიგანის თითო, სწორკუთხა, შეღრმავებული არე. შესასვლელების ზემოთ კი – კედელში, წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, ნახევარწრიულ პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულებაა. თითოეულ სარკმელს ამკობს აგურის რელიეფური თავსართი – ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში. საკურთხევლის შვერილის განაპირა წახნაგებზე იგივე ზომის

354. წმ. გიორგის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



თითო, ცრუ სარკმელია. ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით.

2007-08 წწ-ში, სოფლის გამგეობის თაოსნობითა და მაცხოვრებელთა შეწევნით, ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი მ. გელაშვილი): ინტერიერი და ფასადები გაიწმინდა გაჭვარტლული ნალესობისგან. აღდგა კედლების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი. კარიბჭეზე დაიდგა ახ., თუნუქის, პირამიდისებრი სახურავით გადახურული, რვაწახნაგოვანი სამრეკლო. ეკლესიის თითოეული ნაწილი გადაიხურა თუნუქის დამოუკიდებელი სახურავით. კეთილმოეწყო ეზო და იგი რიყის ქვის გალავნით შემოიფარგლა.

თ. დვალი.


ბიბლ.: 335.

355. თეთრაანის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით 6-7 კმ-ზე, მდ. კისისხევის მარჯვ. შენაკადის წვრილხევის მარჯვ. ნაპირას, თეთრაანად წოდებულ ადგილში. თარიღდება VIII-IX სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (11,2x6,4 მ). ნაგებია რიყის ქვით. გარეთა კედლების ქვედა ნაწილებში, შიგადაშიგ, ლოდებია ჩატანებული, ხოლო კუთხეები შერჩეული, დიდი ქვებითაა გამოყვანილი, რ-თა შორის, ადგილ-ადგილ, შირიმის არც ისე სუფთად დამუშავებული ქვებიცაა ჩართული. წყობა, ძირითადად, ირეგულარულია.

შესასვლელი სამია: სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი გარედან თარაზულად, ლოდითაა გადახურული, შიგნიდან კი – ნალისებრი თაღით. აღმ-ით ღრმა, უჩვეულოდ მკვეთრად გამოხატული ფორმის, ნალისებრი აფსიდია, რ-იც ეკლესიის დანარჩენი სივრცისგან საშ. სიგანის მხრებითა და საკმაოდ მაღალი „შუბლითაა“ გამოყოფილი. აფსიდი გადახურულია დადაბლებული

პროპორციების მქონე კონქით, რ-ის თაღი ნალისებრია, ორსაფეხურიანი. თაღის გარეთა საფეხური აფსიდის მხრებზეა დაყრდნობილი, შიდა კი – შეკიდულ პილასტრებზე, რ-ებსაც ძირი ცერად აქვს ჩამოკვეთილი. გარეთა თაღის ქუსლებთან გამოყოფილია სწორხაზოვანი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) მქონე, შირიმის ქვის იმპოსტები. იგივე მასალისა და პროფილისაა დანარჩენი თაღების იმპოსტებიც.



355. გეგმა

355. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

საკურთხეველში ერთი, ნალისებრი თაღით დასრულებული, ვიწრო სარკმელია, რ-იც ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, ნალისებრთაღოვან არეში. სარკმლის გვერდებზე თითო, პატარა, სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის კედელს, მთელ სიგრძეზე, ერთსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი გაუყვება. დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო, მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. დას-ით კამარა კედლის მიმდებარე, შეკიდულ, საბჯენ თაღს ეყრდნობა. საბჯენი თაღებიც და კამარაც ნალისებრი მოყვანილობისაა. პილასტრების გვერდებზე კედლები თითო საფეხურითაა შეღრმავებული, რ-ებიც რიყის, თხელი ქვით გამოყვანილი, ოდნავ გაბრტყელებული თაღებით სრულდება. მათ შორის თაღების აღმ. წყვილში, თაღის საყრდენი დას. საფეხური, აღმ. საფეხურის მსგავსად, იატაკიდან კი არ იწყება, არამედ შირიმის, პროფილირებულ კონსოლზეა დაყრდნობილი, რ-იც იატაკიდან დაახლ. 3,2 *მ* სიმაღლეზეა.

საკურთხევლის სარკმლისა და შესასვლელების გარდა, ეკლესიის შიდა სივრცეს კიდევ ოთხი, ვიწრო, ნალისებრთაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათ შორის ერთი – ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია, ორი – სამხრ. კედელში, ერთიც – დას. კედლის ღერძზე. ოთხივე სარკმელი შედარებით მაღლა არის „ატანილი“ (განსაკუთრებით გრძივ კედლებში არსებული სარკმლები), იმდენად, რომ მათი თაღის წვერი თითქმის შესაბამისი კედლის თაღს ებჯინება. ამავე დროს, სარკმლების აღმ. წყვილი შესაბამისი თაღის ღერძიდან აღმ-ითაა დაძრული.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. ფასადია გაფორმებული. ფასადის ღერძზე, ქვემოთ, სარკმლის ვიწრო ღიობია, შირიმის, ოთკუთხა ქვაში გამოკვეთილი ნალისებრი თაღით, რ-ის კიდეს ვიწრო, რელიეფური ზოლი გასდევს. სარკმლის ზემოთ კი – გლუვი, ნახევარწრიული მოყვანილობის, რელიეფური სათაურია – მოკლე, ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებში. უფრო ზემოთ, დაახლ.



355. ინტერიერი, ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ


1 *მ* სიგანისა და 1,5 *მ* სიმაღლის ბრტყელი ნიშაა, რ-შიც წყობიდან შვერილი, შირიმის ქვებით გამოყვანილი ჯვარია ჩასმული (ამჟამად ჯვრის ზემოთა მკლავი და შედრმავების ზემოთა ნაწილი დანგრეულია). დას. ფრონტონის წყობაში, შირიმის, თაროსებრი ლავგარდნით, რ-ის ნაწილი აღმ. და ჩრდ. ფასადებზეა შემორჩენილი.

ეკლესიის სამივე შესასვლელის წინ სწორკუთხა მინაშენია, რ-ებიც ეკლესიას წყობით არ ებმის. მათ შორის ძლიერი დაზიანებების გარეშე, მხოლოდ ჩრდ.



355. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ოთხი ქვით შედგენილი, პატარა, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებაა. შენობის კედლები დასრულებული იყო შირიმის მინაშენიღაა შემორჩენილი, თუმცა, მასაც კამარა და გვერდითი კედლების დიდი ნაწილი აკლია. სამხრ. მინაშენის შემორჩენილი კედლები, თითქმის მთლიანად, მიწითაა დაფარული (მოჩანს მხოლოდ დას. კედელი). დას. მინაშენის კედლები კი, დაახლ. 2,5 *მ* სიმაღლეზე დგას. დას. მინაშენი დას-ით განიერი თაღით იყო გახსნილი (შემორჩენილია ჩრდ. ქუსლი). ჩრდ. მინაშენში მოხვედრა კი მხოლოდ ეკლესიიდან არის შესაძლებელი. მინაშენის



355. აღმ. ფასადი, დეტალი


აღმ. კედელში გაჭრილია ვიწრო, ოთხკუთხა, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელი. მის გვერდებზე თითო, მცირე, ოთხკუთხავე ნიშაა მოწყობილი. მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიცაა. შიგნით მინაშენი გადახურული იყო ნახევარცილინდრული კამარით (მცირე ნაწილი შემორჩენილია მინაშენის ჩრდ. კედელზე), რ-ის ღერძი ეკლესიის კედლის პერპენდიკულარულია. გარედან მინაშენის კედლები დასრულებული იყო ორსაფეხურიანი, თაროსებრი ლავგარდნით (შემორჩენილია აღმ. და ჩრდ. კედლებზე). მინაშენი გადახურული იყო ორკალთა სახურავით. შიგნით ცილინდრული კამარა, ხოლო გარედან

ორკალთა სახურავი ეხურა დას. და სამხრ. მინაშენებსაც.

თ. დვალი.


ბიბლ.: 335.

356. ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. მონაკვეთში, ნათლისმცემლის უბანში. სავარაუდოდ, თარიღდება XVI-XVII სს-ით. გადაკეთებულია XVIII ს-ში.



356. გეგმა


ეკლესიის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (10,8x8,5 მ), ჩაწერილია გვერდიგვერდ განლაგებული ორი, დამოუკიდებელი,



356. ჭრილი ჩრდ. ეკლესიაზე, ხედი სამხრ-კენ

ერთმანეთისგან კედლით გამიჯნული, ცალნავიანი სივრცე, რ-ებიც გამმიჯნავ კედელში მოწყობილი, თაღოვანი კარით უკავშირდება ერთმანეთს.

შენობის კედლების წყობაში გამოიყოფა ორი, ქრონოლოგიურად განსხვავებული, სამშენ. ფენა: თავდაპირველი ნაწილი რიყის ქვითაა ამოყვანილი. მოგვიანებით აღდგენილ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, გამოუყენებიათ კვადრ. აგურიც. ამ დროისაა ორივე ეკლესიის კედლების ზედა ნაწილები, შიგნითა და გარეთა გადახურვა, ფასადების მორთულობის ელემენტები და დას. კედელზე დაშენებული სამრეკლო.



356. დას. ფასადი

ორივე ეკლესიას შესასვლელი დას-იდან აქვს. მათ შორის მთავარი ეკლესიის შესასვლელი ბრტყელი თაღითაა გადახურული. სამხრ. ეკლესიისა კი – ნახევარწრიულით. გარდა ამისა, სამხრ. ეკლესიას სწორკუთხა შესასვლელი სამხრ-იდანაც ჰქონია, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ.

მთავარი, ჩრდ-ით მდებარე სივრცე რამდენადმე ფართოა და მაღალი. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც განიერი, ოდნავ შეისრული თაღით დასრულებული სარკმელი და შეისრულთაღოვანივე, ორი ნიშაა. თითო, თაღოვანი სარკმელი ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში და დას. კედელშიცაა. საკურთხევლის ბაქანი ეკლესიის იატაკის მიმართ ამაღლებულია საფეხურით. იგი აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 1 მ-ით წინ არის წამოწეული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდი გადახურულია აგურით გამოყვანილი კონქით. აგურისაა კონქის თაღიც, რ-იც ოდნავ შეისრულია. შეისრული მოყვანილობისაა კამარაც. აფსიდის მხრებს შორის, თაღის ქუსლების დონეზე, გადებულია ხის ძელი, რ-იც ხის კანკელის გასამართავად იყო განკუთვნილი.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი, მარტივი პილასტრია, რ-ებიც შესაბამისს კედლებს კამარის ქუსლის დონემდე აუყვება. ამჟამინდელი კამარა მხოლოდ

356. სამხრ. ეკლესიის ინტერიერი, ხედი აღმ-კენ



გრძივ კედლებზეა დაყრდნობილი, რადგან მისი აგებისას საბჯენი თაღები აღარ აღუდგენიათ.

ეკლესიის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით.


დარბაზის სამხრ. კედლის შუაში შეისრულთაღოვანი კარია, რ-იც სამხრ. ეკლესიაში გადის. ეს უკანასკნელი, მთავარი ეკლესიის მსგავსად, ერთიანია, აღმ-ით დასრულებულია ღრმა, ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც განიერი, შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის აქეთ-იქით კი ორი, შეისრულთაღოვანივე ნიშაა მოწყობილი. თითო, თაღოვანი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. აფსიდს აგურით ნაწყობი კონქი ხურავს. კონქის თაღი შეისრულია, შეისრული ფორმისაა კამარაც, რ-იც დარბაზის შუაში გამოყვანილ, საბჯენ თაღს ექრდნობოდა. თვით თაღი კი – პილასტრებს, რ-თა შორის ჩრდ-ით მდებარე, შეკიდულია. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ხის კანკელი, როგორც ჩანს, ამ ეკლესიაშიც იყო მოწყობილი – კონქის თაღის ქუსლების დონეზე შემორჩენილია თავხის ბუდეები.

შენობის განახლების დროს სამხრ. ეკლესიის თავზე სამალავი მოუწყვიათ და ორივე ეკლ. საერთო, ორქანობიანი სახურავით გადაუხურავთ. სამალავში შესასვლელი დას-იდანაა, კედლის ზემოთა ნაწილში. სამალავი განათებული იყო ერთადერთი, ვიწრო სარკმლით აღმ-იდან, რ-ის გარეთა ღიობი ფრონტონის არეში გამოსახული, შეღრმავებული ჯვრის შვეულ მკლავშია მოთავსებული. ჯვრის ქვემოთ მეორე შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. დას. ფასადზე სამხრ. ეკლესიის კარი მცირე, სწორკუთხა შეღრმავებაშია ჩასმული. შესასვლელების ზემოთ თითო ფართო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია. ფასადის ღერძზე, აგურის წყობის შეღრმავებით, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, მაღალი ჯვარია გამოსახული, რ-ის შვეულ მკლავში სამი რომბია ჩართული – ერთი მკლავის ძირშია, ხოლო ორი, რ-ებიც ერთმანეთზეა გადაბმული – მკლავის თავთანაა. ჯვრის მარჯვნივ, ოდნავ ზემოთ, სამალავის თაღოვანი შესასვლელია. დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია აგურის ოთხწახნაგა სამრეკლო, რ-იც ოთხივე მხარეს თითო, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობითაა გახსნილი და პირამიდული სახურავი აქვს.

ეკლესიის ფასადები დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც 2008 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მოაწყვეს. ამავე დროს კედლებს გარედან ნალესობა ჩამოაცალეს, აღადგინეს კარ-სარკმლების ღიობების მონგრეული ნაწილები და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს.


თ. დვალი.

357. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიების კომპლექსის ჩრდ-ით, 150 მ-ის მანძილზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.




357. გეგმა

ეკლ. დარბაზული ტიპისაა, საშ. ზომის (7,2x5,1 მ). ნაშენია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით. ეკლესიის კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა. აგურით გამოჟვანილია კარ-სარკმლების ღიობები და კონსტრ. ელემენტები. შესასვლელი დას-ითაა. კარი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ერთი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამი, თაღოვანი სარკმელი დანარჩენ კედლებშია. აფსიდში, სარკმლის მარჯვნივ, ერთი,



357. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

შეისრული ნიშაა, მარცხნივ – ორი, სწორკუთხა ნიშა. ეკლესიის გრძივ კედლებზე, აღმ. და დას. კიდეებთან, მოწყობილია თითო, ფართო ნიშა. მათ შორის აფსი-



357. დას. ფასადი

დის მიმდებარე წყვილი შეისრული ფორმის თაღითაა გადახურული, დას-ისა კი – სწორკუთხაა. შენობის ცილინდრული კამარა სატრიუმფო თაღსა და დას. კედლის მიმდებარე, შეკიდულ საბ-

ჯენ თაღს ეყრდნობა. ეკლესიის კედლები დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით – ჰორიზ. შემონაკეცებით ფრონტონების ძირებთან (შემორჩენილია მხოლოდ აღმ. ფასადზე). აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, აგურის წყობის შეღრმავებით, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარია გამოსახული. მსგავსი ჯვარია დას. ფასადზეც – შესასვლელსა და სარკმელს შორის.

დას. ფრონტონის წვერზე დადგმული იყო ს ა მ რ ე კ ლ ო (შემორჩენილია მხოლოდ ოთხკუთხა ფუძე, რ-იც მთლიანად აგურითაა ნაშენი).

თ. დვალი.

358. ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან აღმ-ით, 2,5 *კმ*-ზე, წყაროებად წოდებულ ადგილში, სახნავ ფართობზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. XX ს-ის 30-იან წლებში დაზიანებულა მიწის სამუშაოების გამო. შემორჩენილია ნამოსახლართა ნაშთები, ქვითკირის კედლებისა და ქვევრების ფრაგმენტები; ქვის ფილებით შედგენილი სამარხები, რ-ებშიც დადასტურებულია ადამიანის ჩონჩხები. ინვენტარი კი აღარ შემორჩენილა.

გ. რჩეულიშვილი.

359. ნამოსახლარი და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით. ძ. მრავალფენიანია. თარიღდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანის დასასრულით, ძვ. წ. V-III და III-I სს-ით. სამარხები გამოვლინდა 1925 წ. გზის გაყვანის დროს. მიწის ინტენსიური დამუშავების გამო სამარხების კომპლექსები დაზიანებული და არეული იყო. აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, მშვილდსაკინძი, ძეწკვები. რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სამაჯური და სხვ. 1971 წ. ᲝᲐᲔ ინ-ტის ᲙᲐᲔ-ს რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ამ ადგილას (ალაზნის მაგისტრალური სარწყავი არხის სიახლოვეს) ჩაატარა მცირე, სადაზვერვო გათხრები. სამაროვანს და ნამოსახლარს, სავარაუდოდ, 10-15 *ჰა* ეჭირა, რ-ის დანგრეულ, ინჭუმაციურ სამარხებში, მიწის ზედაპირიდან 0,6-0,7 *მ* სიღრმეზე, მხოლოდ თიხის ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა. მათ შორის ჭარბადაა კარგად განლექილი თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი და ფართო ხოლებით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ნამოსახლარზე დადასტურდა კრამიტის ნატეხები, ქვის დანგრეული კედლები, სხვადასხვა ზომის ორმოები, რ-ებიც ამოვსებულია ნაცროვან-ნახშიროვანი მასით, ქვით და თიხის ჭურჭლის ნატეხებით.

არქეოლ. მასალა ინახება საქართ. ეროვნ. მუზეუმსა და თელავის სახელმწ. ისტ. მუზეუმში.


ბ. ჯორბენაძე.

ბიბლ.: 147.

360. ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲡᲐᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ხუთიოდე 5 *კმ*-ის მანძილზე, მდ. კისისხევის მარჯვ. ნაპირას, ხშირ ტყეში. ეკლესიის ჩრდ-ით, ხუთიოდე *მ*-ზე, დგას მოგვიანებით აგებული სამრეკლო. ეკლ. თარიღდება XI-XII სს-ის მიჯნით. სამრეკლო – XV-XVI სს-ით.


ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა. გვიანდ. პერიოდის ამ ტიპის ნაგებობების მსგავსად, მისი გეგმა ასე თუ ისე შემთხვევითია. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (13,4x12,8 *მ*) აქაც სამი ნავია ჩაწერილი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სამხრ. ნავში ეკლესიის გარდა, რ-საც თითქმის მთელი ნავი უკავია, დამატებით, განცალკევებული სამლოცველოცაა მოწყობილი.

ეკლ. აგებულია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით (აქა-იქ ლოდებიცაა ჩართული). წყობაში წესიერი, სწორხაზოვნად გამავალი რიგების გამოყვანის გარეშე. იგივე ქვითაა ნაწყობი კუთხეებიც, ოღონდ აქ ქვები, ფორმისა და ზომის მიხედვით, მეტ-ნაკლებად შერჩეულია. თაღების, ზოგიერთი სარკმლის გამოსაყვანად და ლავგარდნისათვის შირიმის, ნათალი ქვაა გამოყენებული.




360. გეგმა

მთავარ ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი: სამხრ-იდან და ჩრდ-იდან – გვერდითი ეკლესიებიდან. შესასვლელები შიგნიდან შირიმის, მთლიანი ქვის ტიმპანითაა დასრულებული. მათ შორის ჩრდ-ისა კვერცხისებრი ფორმისაა, სამხრ-ისა – ნახევარწრიული. აღმ-ით, ეკლესიის იატაკის მიმართ საფეხურით შემაღლებული, ნალისებრი აფსიდია. საკურთხევლის სარკმელი თაღოვანია, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული. სარკმლის გვერდებზე თითო, მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. მათ ზემოთაც (იატაკიდან დაახლ. 3 *მ* სიმაღლეზე) იგივე ფორმის, თითო, მომცრო ნიშაა მოწყობილი. აფსიდს მთელ სიგრძეზე, ჩამოსასხდომად, გაუყვება საფეხური, რ-ის ცენტრში, სარკმლის ქვემოთ, მონასტრის წინამძღვრის დასაჯდომი, ორმაგი შემაღლებაა. აფსიდის შუაში დგას რიყის ქვით გამოყვანილი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. აფსიდის მხრების ხაზზე კი – გვიანდ., ასევე რიყის ქვით ნაგები კანკელი, რ-შიც ორი, შეისრულთაღოვანი გასასვლელი და შეისრული თაღითვე დასრულებული, სამი, გამჭოლი ღიობია. ნავი გადახურულია არაწესიერი ფორმის, მრავალცენტრიანი კამარით, რ-იც ორ, საბჯენ თაღს ეყრდნობა. თვით თაღები კი – კონსოლებს. თაღებიდან ერთი ნავის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. ნავი ცუდადაა განათებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი, მცირე ზომის სარკმელი აშუქებს: ერთი დას. კედლის ცენტრშია. ორი კი სამხრ-ით. ამ უკანასკნელთა თავი კამარის ფარგლებშია შეჭრილი. დარბაზის სამივე კედელს დაბალი საფეხური გაუყვება. კედლები, კამარა და საბჯენი თაღები კირის დუღაბის სქელი ფენითაა შელესილი.



360. ჭრილი მთავარ ეკლესიაზე, ხედი ჩრდ-კენ



360. აღმ. ფასადი

ჩრდ. ეკლ. მთავარს წყობით არ უკავშირდება. იგი მასზე ოდნავ უფრო ვიწროა, მაგრამ ორჯერ უფრო დაბალი (სიმ. იატაკიდან კამარის წვერომდე 3,1 *მ*-ია). აფსიდში ერთი, ვიწრო, მშვილდისებრი თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე კი თითო, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. ერთი მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ბოლოშია. კამარა მშვილდისებრი ფორმისაა, ეყრდნობა ოთხ, საბჯენ თაღს, რ-თა შორის აღმ-ისა, აფსიდთანაა. თვით საბჯენი თაღები კი პილასტრებზეა დაყრდნობილი. პილასტრები დასრულებულია კაპიტელებით. მათ პროფილს ორმაგი ლილვი შეადგენს. სამხრ-ით კამარა თაღედზეა დაყრდნობილი, რ-იც გადაყვანილია მთავარი ეკლესიის კედელზე მიყრდნობილ პილასტრებზე. განათება, მთავარ ნავთან შედარებით, აქ კიდევ უფრო მწირია. ეკლესიის დას. და ჩრდ. კედლებში გაჭრილია თითო, ვიწრო სარკმელი, რ-ებიც საკმარისს შუქს არ იძლევა. ჩრდ.

360. ჩრდ. ეკლესიის ინტერიერი, ხედი აღმ-კენ



კედლის დას. ნაწილში, მთავარ ეკლესიაში შესასვლელი კარის პირდაპირ, განიერი კარია, რ-საც გადახურვა ჩამონგრეული აქვს. სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებს იყო დაყრდნობილი. მთავარი ნავის კედელზეა მიყრდნობილი პილასტრი, აფსიდი და დას. კედელი. საბჯენი თაღი, აფსიდის კუთხეები და შესასვლელების თაღები შირიმითაა ნაწყობი.

სამხრ. ნავის დას. ნაწილში მინიატურული, თითქმის კვადრ. გეგმის, აფსიდიანი სადგომია (ფართ. დაახლ. 5 *კვ მ*), ვიწრო, სწორკუთხა სარკმლით დას-იდან და დაბალი, ვიწრო, მშვილდისებრთაღოვანი შესასვლელით სამხრ-იდან, რ-იც, ისევე როგორც სარკმელი, შირიმის, ნათალი ქვითაა გამოყვანილი.




360. აღმ. ფასადი

ჩამოსაჯდომი საფეხური გასდევს. სამხრ-ით იგი განიერია, დას. და ჩრდ-ით კი ვიწროა – ცოკოლის-მაგვარი. როგორც ჩანს, ადრე საფეხური აფსიდის კედელსაც გასდევდა (შემორჩენილია ნაწილობრივ).

სამხრ. ეკლ. ჩრდ. ეკლესიაზე ოდნავ უფრო დაბალია. სამხრ-ით იგი ორი, ნახევარწრიულ-თაღოვანი გასასვლელითაა გახსნილი. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია იმპოსტები, რ-თა პროფილს ორმაგი ლილვი ქმნის. აფსიდში მცირე სარკმელია. მის ქვემოთ, კედელზე მიყრდნობილი, კუბური ფორმის ტრაპეზი დგას. კამარა ჩრდ. ეკლესიის კამარის მსგავსი მოყვანილობისაა. იგი ერთ, საბჯენ თაღს ეყრდნობა. თაღი კი – პილასტრებს, რ-ებიც ნათალი ქვის, იმავე პროფილის კაპიტელებით არის დაგვირგვინებული, როგორითაც ჩრდ. ეკლესიის პილასტრები. კამარა უშუალოდ მთავარი ეკლესიის სამხრ. კედელზე შედგება. ასევეა შემკული ჩრდ. ეკლესიის დას. სარკმელიც. დას. ფასადის დანარჩენი სარკმლები მორთულობის გარეშეა. სამხრ. და ჩრდ. ფასადები მარტივია. სამხრ. ფასადის ქვედა ნაწილში ორი, თაღოვანი ღიობი და ნაკლებად შესამჩნევი ერთი კარია, ზედა ნაწილში კი – მთავარი ნავის ორი, ასევე ნაკლებად შესამჩნევი სარკმელი. ჩრდ. მხრიდან მთავარი ნავის კედელი სრულიად ყრუა და ხავსითაა დაფარული. ქვედა ნაწილში კი ერთი, მცირე სარკმელი და ერთი შესასვლელია.


ეკლ. გადახურული იყო კრამიტით. ეკლესიის აღმ. და სამხრ. ფასადების წინ 1920 წელს იპოვეს წითელი თიხისგან დამზადებული, დიდი, ბრტყელი კრამიტის ოთხი ნატეხი – რელიეფური ჯვრის გამოსახულებით (ამჟამად დაცულია საქართვ. ხელოვნების მუზეუმში).

სამრეკლო ორსართულიანია. აღმართულია რიყის ქვით გამოყვანილ ცოკოლზე. მთლიანად ნაგებია კვადრ. აგურით (22x22x5 *სმ*). სამრეკლოს ქვედა სართული გეგმით კვადრატულია (5,2x5,2 *მ*) და ოთხივე მხარეს ფართო, შეისრული თაღითაა გახსნილი. თაღები დაყრდნობილია კუთხეებში განლაგებულ, სწორკუთხა ბურჯებზე. შიგნით სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ




360. სამრეკლო. I სართულის გეგმა

საფუძველზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. კამარა ბრტყელია, წვერშემაღლებული.



360. სამრეკლო. ჭრილი, ხედი დას-კენ

II სართული რვაწახნაგა ფანჩატურია. წახნაგებიდან ოთხი – ქვემოთა სართულის შესაბამისს კედელთან ერთ სიბრტყეშია, დანარჩენი წახნაგების წინ კი, ქვედა სართულის კუთხის დაუფარავი ნაწილია. თითოეულ წახნაგში თითო, განიერი, ოდნავ შეისრული თაღით დასრულებული ღიობია მოწყობილი. სართული შიგნიდან გადახურულია ნახევარსფერული, გუმბათოვანი კამარით. გარედან ფანჩატური დასრულებულია მაღალი ლავგარდნით, რ-იც ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით წინწამოწეული აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობისგან შედგება. სამრეკლო გადახურულია აგურით ნაწყობი, რვაწახნაგა, პირამიდისებრი სახურავით.



360. სამრეკლო. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

360. სამრეკლო. აღმ. ფასადი



თ. დჟალი.

ბიბლ.: 317; 335.

361. ᲢᲝᲓᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-ით, ხუთიოდე *კმ*-ზე, ძველ სასაფლაოზე. საკარაუდოდ, თარიღდება XVIII-XIX სს-ის მიჯნით.

ეკლ. დარბაზულია (10,3x7,2 *მ*), ნახევარწრიული აფსიდით აღმ-ით. ნაგებია რიყის ქვით და კვადრ. აგურით. აქვს ორი, ნახევარწრიულთაღოვანი შესასვლელი: დას-იდან და სამხრ-იდან. განათებულია ოთხი, თაღოვანი სარკმლით, რ-თაგან ერთი აფსიდშია, თითო-თითო კი დანარჩენ კედლებში. საკურთხეველი ეკლესიის იატაკის მიმართ შემაღლებულია ორი საფეხურით და ორსაფეხურიანივე ამბიონი აქვს მოწყობილი. შიგნით ეკლ. გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-იც ეყრდნობა პილასტრების სამ წყვილზე გადაყვანილ, საბჯენ თაღებს. იატაკზე დაგებულია კვადრ. აგური.

ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. აღმ. ფასადის მთელ სიგანეზე საფეხურით შეღრმავებული არეა, რ-საც აგვირგვინებს თანაბარი სიგანის, ბოლოებით ერთმანეთზე გადაბმული, სამი თაღი. მათ შორის შუა, რ-იც ფასადის ღერძზეა, გვერდითებზე ბევრად უფრო მაღალია და თითქმის ფრონტონის წვერომდეა ასული. თაღის არეში, საკურთხევლის სარკმლის ასწვრივ, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოსახულია მა-

ღალ, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, წითლად შეღებილი ჯვარი, რ-ის თავზე, პატარა, კვადრ. ხვრელია (როგორც ჩანს, ძძლავრი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი თაღითაა შექმნილი. თვით შვერილი სიმაღლეში ორ, თაღოვან ნაწილად იყოფა. მათ შორის ქვედაში ეკლესიის შესასვლელია მოთავსებული, ზედაში კი – სარკმელი. სამრეკლო



361. ხედი სამხრ.-დას-იდან

კონქისზედა სივრცის ვენტილაციისათვის). თითო, ოღონდ სამკუთხა ხვრელი, შუა თაღის გვერდებზეცაა – ფრონტონის ფუძის დონეზე ოდნავ ზემოთ.

გრძივი ფასადები დანაწევრებულია მარტივ პილასტრებზე დაყრდნობილი, სამ-სამი, დეკორატ. თაღით. ჩრდ. ფასადზე თაღები თანაბარი სიგანისაა. სამხრ. ფასადზე კი ორი – (აღმ-იდან პირველი და მეორე) ერთმანეთის ტოლია, მესამე კი მათზე ოდნავ უფრო განიერია. ამ უკანასკნელში შესასვლელია მოთავსებული. ყველა თაღი ნახევარწრიულია, ნაწყობია აგურით. აგურისაა ლავგარდანიც.

ეკლესიის სახურავის კეხის დას. კიდეში დადგმულია ვიწრო, ხუთწახნაგოვანი სამრეკლო – ხუთ, მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი ფანჩატური, რ-ის სწორკუთხა საფუძვლის აღმ. ნახევარი დას. კედელზეა დაყრდნობილი, დას. ნახევარი კი ეკლესიის დას. ფასადის შუაში გამოყვანილ შვერილზე, რ-იც ორი, შიგნიდან გუმბათოვანი კამარით, ხოლო გარედან აგურის, პირამიდული სახურავითაა გადახურული.

2010 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით. ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი ნ. ჟანჩელი): კედლები, შიგნიდან და გარედან, გაიწმინდა გვიანდ. ნალესობის შემორჩენილი ნაშთებისგან, აღდგა კედლების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

გ. ლაღიაშვილი, ნ. ჟანჩელი.

362. ᲬᲛ. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, ვენახებში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,6x5,5 მ). ნაგებია რიყის ქვით. კარსარკმლების ღიობები, კამარა, კონქი, საბჯენი თაღები – აგურით. შესასვლელი ორია: სამხრ. კედლის დას. ნაწილში და დას. კედლის ცენტრში. ორივე კარი გარედან თაღით იყო დასრულებული (შემორჩენილია მხოლოდ გვერდების ნაწილები, რის გამოც თაღის ფორმა არ დგინდება), შიგნიდან კი ხის, ბრტყელი გადახურვა აქვს.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, თაღოვანი სარკმლით ცენტრში და თითო, სწორკუთხა ნიშით გვერდებში. ერთი, თაღოვანი სარკმელი დას. კედელშიცაა. საკურთხევლის შუაში აგურით ნაგები ტრაპეზი დგას. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის, შეისრულთაღიანი კონქით.

ეკლესიის დარბაზი გეგმით კვადრატულია, გადახურულია შეისრული კამარით. იგი ერთნობა ერთ, შეკიდულ, შეისრულსავე, საბჯენ თაღს, რ-იც მას ორ თანაბარ ნაწილად ყოფს.

შენობის ფასადები მოკლებულია ყოველგვარ სამკაულს. კედლები დასრულებული იყო ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით (დიდი ნაწილი ჩამოშლილია), რ-იც შედგენილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით შედგენილი რიგების მონაცვლეობით. სახურავი ორფერდაა, დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

363. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს სოფელში. შედგება: სასახლის, ღვინის სარდაფის (ქარხნის), სასტუმროს, მეურნეთა და მოურავის სახლების, მაცივრის, სანერგის, ეკლესიის ნაშთის, სამთავრობო რეზიდენციის, პარკის და გალავნისგან.


წინანდლის ჭავჭავაძეთა მამულების ისტორია XVII ს-იდან იღებს სათავეს, როდესაც ერეკლე I-მა, სოფლის გაძლიერების მიზნით, სოფ. ჭავჭავიდან (მთიულეთი) ჭავჭავაძეთა წინაპრები (მამუჩის შვილები) ჩამოასახლა. 1680 წელს კი „შემდგომად მსახურებისათვის“ წინანდალში დაასახლა და აზნაურობა უბოძა. შემდეგ თეიმურაზ მეფემ მათ გვარს „მცირე თავადის ხარისხი“, მცირე რაოდენობით ყმა და ზვარი უბო-

ძა, „მეფემან მეორემან ირაკლიმ“ კი ჭავჭავაძეობა დაუმტკიცათ.

1797 წელს, ერეკლე II-მ გარსევან ჭავჭავაძეს (საქართვ. ელჩს რუსეთში), წინანდალთან ერთად, უბოძა სოფლები: ზეგანი, ნაფარეული და მუღანლო. წინანდალში ააშენა გ. ჭავჭავაძემ თავისი სასახლე.

1818 წელს აქვე აშენებს პირველ, ხოლო 1831 წელს მეორე სასახლეს მისი ძე – ალექსანდრეც, გაჰყავს წყალსადენი (1829), ტყით დაფარულ მამულში აწყობს პარკს (12 ჰა), რისთვისაც იწვევს ევროპელ დეკორატორებს. 1840 წელს ალ. ჭავჭავაძემ ააშენა ღვინის მარანი. მის სახელს უკავშირდება წინანდალში ფართო სამეურნეო საქმის დამკვიდრება, ვაზის ახ. ჯიშების გამოყვანა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. ამდროისათვის რომანტიკოსი პოეტის მამული მაშინდელი მოწინავე საზოგადოების თავშეყრის ადგილად იქცა. აქ მოხდა ტრად., ქართ. და ევროპული კულტურის დაახლოება. წინანდლის სასახლეში გაჟღერდა პირველად ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. პირველად აქ შეკრებილი საზოგადოების წინაშე წაიკითხა ალ. გრიბოედოვმაც თავისი კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

1846 წელს ალ., ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, წინანდლის მამული მემკვიდრეობით გადაეცა მის შვილს დავითს. 1854 წლის ივლისში, წინანდალზე შამილის თავდასხმის დროს,



363. გეგმა. 1. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, 2. მამულის ყოფილი მმართველის შენობა, 3. ღვინის სარდაფი, 4. ყოფილი მეურნეთა სახლი, 5. სამთავრობო რეზიდენცია, 6. სანერგე, 7. ეკლ., 8. ადმინისტრაციული ნაგებობა

363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. საერთო ხედი, ჩრდ-დან




დაიწვა სასახლე, ბ-კა. განადგურდა პარკის ნაწილი. გაიტაცეს დ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრები, არქივი. მოგვიანებით დ. ჭავჭავაძემ, შეძლებისდაგვარად, აღადგინა



363. პარკის ერთ-ერთი კუთხე

გადამწვარი სასახლე. 1886 წელს ჭავჭავაძის მამულები შეიძინა რუსეთის საიმპერიო-საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა და მისი რეკონსტრ. წამოიწყო. ადგილ-მამულს მართავდა ჰ. ბაგოუტი. ამ პერიოდში აშენდა ახ. ღვინის სარდაფები და ტერიტორიაზე მდებარე სხვა ნაგებობები. წინანდლის დამწვარი სასახლის ადგილას აიგო ახ. სასტუმრო სახლი (დღევანდელი სასახლე). მშენებლობისას მოხდა გადამწვარი სასახლის ნაშთების კონსერვაცია და მათი ახ. შენობის სტრუქტურაში ჩართვა. აიგო საცხოვრ. სახლები მეღვინეთათვის, მეაბრეშუმეებისათვის, მამულის მმართველისათვის. 1886-87 წლებში გაიყვანეს ახ. წყალგადასაყვანი სისტემა. აშენდა ღვინის ორსართულიანი სარდაფი – ქ-ნა, რ-იც უდიდესი იყო იმდროინდელი რუსეთის იმპერიაში. მისი ტევადობა უდრიდა 1 500 000 ლ. ღვინოს. 1891 წელს წინანდალში საფრანგეთიდან მოიწვიეს ფრანგი სპეციალისტი მერლი ანტუან მასანო, რ-იც მარანში პირველად იწყებს ევროპული ტიპის ღვინის დაყენებას. მის მიერ დაყენებული ღვინოები ძალიან სწრაფად იხვეჭს სახელს და უკვე 1894 წელს, ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენის შემდეგ, წინანდალი აღიარეს მეღვინეობის კერად აღმოსავლეთში. ამდროისათვის ბორდოს და შამპანის ღვინოებთან შედარებით, იგი არანაკლები პოპულარობით სარგებლობს და იზრდება წარმოების მოცულობაც. თუ 1895 წელს დამზადდა 20 372 ვედრო ღვინო, 1907 წლისათვის ეს რიცხვი 47296-მდე გაიზარდა. ამათგან ნახევარზე მეტი ევროპული წესით იყო დამზადებული.

1910-21 წლებში წინანდლის ვენახები ფილოქსერამ თითქმის მთლიანად გაანადგურა. მოგვიანებით კვლავ დაიწყო აქ ვენახების ინტენსიური გაშენება. 1936 წელს ღვინის ქ-ნაში შეიქმნა საქართველოს მეღვინეობის ისტორიაში პირველი ენოქიმიური ლაბორატორია. 1939 წლისთვის წინანდლის ღვინის ქ-ნა უშვებდა 162 000 დეკალიტრ, მაღალხარისხოვან ღვინოს. მათ შორის სამარკოს და ექვსი სახის ორდინალურს. აღიარება მოიპო-




363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. I სართულის გეგმა


ვა არაერთმა სამარკო ღვინომ (წინანდალი № 64, მუკუზანი № 65, ნაფარეული № 66, № 46 და ა. შ.). ამდროისათვის ქ-ნამ გადაამუშავა 6500 ტ. ყურძენი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ღვინო „წინანდალი“, რ-იც მრავალგზის დაჯილდოვდა ოქროსა და ვერცხლის მედლებით. ქ-ნა ამზადებს და აყენებს მშრალ, ორდინალურ და შემაგრებულ ღვინოებს. ხდის და აძველებს კონიაკის სპირტებს. აქვს ნარჩენების გადასამუშავებელი საამქრო.

გასულ საუკუნეში, მამულის ტერიტორიაზე, კიდევ აშენდა რამდენიმე ნაგებობა, რ-ებიც სამთავრობო რეზიდენციად ფუნქციონირებდა.

1946 წლის 1 აგვისტოს, ალ. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, გახსნა პოეტის სახლ-მუზეუმი. ამის მოთავე იყო პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე და პარკის პირველი დირექტორი ირაკლი ხმალაძე. თავდაპირველად მუზეუმს ორი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. მომდევნო წლებში მუზეუმის ფონდი ახ. მასალით შეივსო. გაფართოვდა ექსპოზიცია.



363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. II სართულის გეგმა



363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ჩრდ. ფასადი


ს ა ს ა ხ ლ ი ს (არქიტ. ალ. ოზეროვი) ძირითადი კორპუსი ორსართულიანია, ცენტრში – სამსართულიანი, შვერილი რიზალიტით და მის მარჯვ. მხარეს ხის, ჭვირული აივნით, რ-იც გვერდით ფასადზეც გრძელდება. სახლის მარჯვ. ნაწილს, ზემოდან, ნახევარსართული ადგას. ამიტომ იგი მარცხ. ფლიგელზე მაღალია. შენობა ნაგებია რიყის ქვის და აგურის მონაცვლეობით. წყობა მწყობრია, რეგულარული. შესასვლელი რიზალიტის I სართულზეა. კარი დაფარულია წინფრით, რ-საც ადრე ფარდა ჰქონია. მარჯვ. მხარეს კიდევ ერთი, გვერდითი, ლითონის წინფრიანი შესასვლელია. წინფრა ჭედურ კრონშტაინებზეა დაყრდნობილი. შესასვლელის შიგნით II სართულზე ასასვლელი ხის, პარადული კიბეა. მთავარი შესასვლელის თავზე დიდი, შეისრული სარკმელია. სამკუთხა ან სწორკუთხა სარკმლები შენობის ორივე სართულზეა. სარკმლები აგურის, პროფილირებულ საპირეებშია ჩასმული. ალაოების ნახატი მრავალნაწილიანია, რაც განსაკუთრებულ იმპოზანტურობას ანიჭებს სასახლეს.

შენობის შიდა გეგმარება, საბჭ. პერიოდში ნაწილობრივ გადაკეთდა, მთავარი შესასვლელი უშუალოდ უკავშირდება სადარბაზოს, რ-ის იატაკი ქვის, მოზაიკური ფილებისაა. ერთ კედელზე თეთრად გალესილი ბუხარია. კედლებზე შეკიდულია თუჯის შუქფარნები.

I სართულზე, ძირითადად, დამხმარე (მსახურთათვის, სამზარეულო, სამრეცხაო და ა.შ.) ოთახები იყო განლაგებული. სართულის გეგმარება ხალვათია და მკაფიო. სადარბაზოდან ხის კიბე II სართულის მცირე ბაქანს უკავშირდება, რ-ზეც შიდა ოთახებში შესასვლელი, სამი კარი გამოდის.

სართულზე საცხოვრ. ოთახები, სასტუმრო დარბაზები, სამუშაო კაბინეტი და საძინებელია. შენარჩუნებულია ოთახების გეგმარება, ძვ. ღიობები, ხის იატაკი, ლავგარდნები, ბუხრები, კედლის მოჭიქული ღუმლები. XX ს-ის II ნახევარში ძვ. იატაკზე პარკეტი კედელი და მისი ორი სარკმელი შემურულია. დანახშირებულია სარკმლის ზღუდარი კოჭი. სასახლის ამ ნაწილის გარე კედლებიც განსხვავებულად არის ნაგები – რიყის დაუმუშავებელ ქვის წყობაში უსისტემოდ ჩართულია აგური და არ ჰგავს არქიტ. ოზეროვისეული კედლების ფაქტურას, რ-ის წყობაც რეგულარულია და აგურის სარტყლები დაბმულია. ხის, ჭვირული, ფართო აივანი ქვის, სწორკუთხა სვეტების რიგზეა დაყრდნობილი. აივნის მოაჯირებისა და აფრების ჭვირული კვეთა სტილიზებულ აღმოსავლურ (მავრიტანულ) მოტივებზეა აგებული. ამჟამად აივანი შეღებილია.

შენობის დანარჩენი ფასადები თეორადაა შელესილი. სასახლე გადახურულია თუნუქით,



363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. გრძივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ


დააგეს. კიბის ორივე მხარეს დიდი ზომის, კვადრ. ოთახებია, რ-ებიც დიდი სარკმლებისა და აივანზე გამავალი კარების მეშვეობით ნათდება. ერთი, დიდი ოთახი სახლის მარჯვ. ნაწილშიცაა. უკანა მხარეს ხუთი, შედარებით მომცრო ოთახია (საძინებლები, სამუშაო კაბინეტი). ცალმხრივ მოქცეულ ოთახებს გრძელი დერეფანი მიუყვება. აქ იყო განლაგებული დამხმარე სათავსებიც.

სასახლეს საინტერესო ნახევარსარდაფი აქვს, რ-ის დონეთა სიმ. 1 მ-ით განსხვავდება ბით იკვრება. ალ. ოზეროვის სასახლის I სართულის ღიობებისგან განსხვავებულია ძვ. ნაგებობის კარ-სარკმლების მოხაზულობაც და პროპორციაც.

მსგავსი კედლის წყობა და სარკმლების მოხაზულობა გამოჩნდა ერთსართულიან „მინა შენზეც“. ძვ. ნაგებობის ეს მონაკვეთი არქიტ. ოზეროვმა თავისი სასახლის დამხმარე მოცულობად შეინარჩუნა. ძვ. სასახლის საზეიმო დარბაზი, რ-საც შემორჩენილი აქვს კახეთის ისტ. სასახლეებისთვის დამახასიათებელი დიდი, თაღოვანი ღიობები, თაღოვანი, თავსართიანი ბუხარი, ჩართულია ახ. სასახლის არქიტექტურაში. ღიობების თავსართები გადაკეთებულია სამკუთხა ფორმით. სავარაუდოდ, იგი გარსევან ჭავჭავაძის დროინდელი სასახლის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. ხის, ჭვირული, ფართო აივანი ქვის, სწორკუთხა სვეტების რიგზეა დაყრდნობილი. აივნის მოაჯირებისა და აფრების ჭვირული კვეთა სტილიზებულ აღმოსავლურ (მავრიტანულ) მოტივებზეა აგებული. ამჟამად აივანი შეღებილია.


შენობის დანარჩენი ფასადები თეორადაა შელესილი. სასახლე გადახურულია თუნუქით, რ-იც XX ს-ის განმავლობაში რამდენჯერმე განახლდა. საფასადო კედლიდან ნაშვერი სახურავი ხის, დეკორატიულად გაფორმებულ კრონშტაინებს ეჯრდნობა.

სასხლის თანადროულია ალ. ოზეროვის პროექტითვე ნაგები მეურნეთა და მოურავის სახლები. პირველი ორსართულიანი, მოზრდილი ნაგებობაა, რ-იც გამოირჩევა თავისი მხატვრულ-არქიტ. გადაწყვეტით და ჰგავს სასახლის არქიტექტურას. სახლის I სარ-



363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. აღმ. ფასადი

ერთმანეთისგან. შემაღლებულ ნაწილს ასევე განსხვავებული – მხოლოდ ორე ქვის წყობა და უჩვეულოდ დიდი ზომის, ქართ. აგურის იატაკი აქვს, რაც მისი ადრინდელობის (ძვ. ნაგებობის?) მაჩვენებელია. მით უფრო, რომ ძვ. ნახევარსარდაფის ერთ-ერთი თული, მიწის დონესთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. რიყის ქვის კედლები აგურის რეგულარული, ჰორიზ. სალტეებით თანაბარ არეებადაა დაყოფილი. ცენტრში გაჭრილია სადარბაზო კარი. მის თავზე – სარკმელი. ორივე სართულზე, ერთმანეთის



363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. სამხრ. ფასადი

თავზე, სიმეტრიულადაა განლაგებული ღიობები. I სართულის ღიობები მარტივი მოხაზულობის, ოდნავ რკალისებრი ფორმისაა. აქვს აგურის გამოყვანილი საპირეები, საჭექები და თაროები. II სართულის ღიობები კი სამკუთხაა. II სართულზე ლითონის ორი, შეკიდული აივანია. აივნების მოაჯირების ჭედურობა გამოირჩევა მხატვრულობითა და ოსტატობით.

მთავარი ფასადი, გვერდითა ფასადებთან (კედლის დიდი, დაუნაწევრებელი სიბრტყეები) შედარებით, საზეიმოა. კომპოზიცია სიმეტრიულია, მკაფიოდ გამოხატული ცენტრ. ღერძით. შუა ნაწილი, აგურით გამოყვანილი კიდეებით, საფასადო კედლის სიბრტყეებიდან ოდნავ წინაა წამოწეული, დასრულებულია კბილანებიანი ლავგარდნითა და პარაპეტით. II სართულის ღიობების თავზე აგურის ირიბი, დეკორატ. წყობით გამოყვანილი, ვერტ. ჩაღრმავებებია, კარ-სარკმლებს სამკუთხა დაბოლოებები აქვს (ფსევდო-გუთური მოტივი). ალათები და აივნები შეღებილია თეთრად.

ორსართულიანი, სადა შენობაა მოურავის სახლი, რ-იც ნაგებია რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით. საფასადო კედლების მხატვრულ სახეს ამავე მასალის მონაცვლეობა ქმნის. შედარებით საზეიმოა მთავარი ფასადი. სახლის ოთხივე ფასადზე გამოდის მარტივი მოხაზულობის მქონე ღიობები. ჩვეული ფორმის ალათები ავთენტურია.

363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ინტერიერი, დეტალი



მთავარი ფასადის ცენტრში, ორივე სართულზე, ღია აივნები იყო (ამჟამად მორღვეულია) რ-იც რკინის სვეტებს ეყრდნობოდა. II სართულის აივანი გადახურულია. იატაკი ბეტონისაა. თავდაპირველი აივანი ხის იყო, ხისსავე, დეკორატიულ სვეტებზე დაყრდნობილი. მოაჯირი ჭვირულორნამენტიანია. ამ ფასადის წინ, სახლის ეზოდ, აგურით შემოფარგლულია ბაღის მცირე ნაწილი. სახლი გადახურულია თუნუქით. სახურავი ხის კრონშტაინებს ეყრდნობა. სახლს მარჯვ. მხარეს თანადროული, ერთსართულიანი ფლიგელი აკრავს.

წინანდლის მამულის ოზეროვისეული კომპლექსის ნაწილია ყოფილი მოჭადრაკეთა სახლი და ღვინის სარდაფი (ქ-ნა). მოჭადრაკეთა სახლი, ე.წ. „სტალინის აგარაკი“, ორსართულიანია, ნახევარსარდაფიანი. შესასვლელი I სართულზე, მარცხ. გვერდით კედელშია. წინფრიან სადარბაზო კარს ხის, ჭვირული კონსოლები აქვს. სახლის ორივე სართულზე აგურის საპირეების მქონე კარ-სარკმლების ღიობებია. II სართულზე, გვერდით ფასადებზე, დიდ სარკმლებს შორის, მცირე სარკმლებია ჩასმული. ორივე სართულზე, მთავარი ფასადის ცენტრში, მოურავის სახლის მსგავსად, ხის აივნებია მოწყობილი, ხისსავე მოაჯირებითა და ხის სვეტებით. ისინი განსხვავდება, როგორც ტრადიციული, ადგილ., ისე საკუთრივ მამულის სხვა ნაგებობების ხის აივნებისგან. მოაჯირები ბადისებრია, სვეტებზე, გადახურვის საყრდენად, გამოყენებულია ხის გადაჯვარედინებული, მცირე ზომის ძელები. არატრადიციულია აივნების მუქი ყავისფერი შეფერილობაც. სახლი არსებითად თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი, თუმცა, მცირე ცვლილებებით. კერძოდ, შენობის აივნის გადახურვა მის სახურავზე დაბალი იყო. დღეს აღარ არსებობს საკვამლურების

სისტემა. სავარაუდოდ, II სართული რეკონსტრუქციის შედეგი უნდა იყოს (ამაზე მეტყველებს კედლის განსხვავებული წყობა).

შენობის სახურავი თუნუქისაა. ეყრდნობა ხის, დეკორატიულ



363. ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. აივანი, ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ

კრონშტაინებს. სახლის წინ ქვის ბაქანი და ფართო კიბეა, აივნების მსგავსი, დაბალი მოაჯირით.

დიდი ზომის, მონუმ. ნაგებობაა ღ ვ ი ნ ი ს ს ა რ დ ა ფ ი. იგი აგურითა და რიყის ქვის მონაცვლეობითაა ნაშენი. სარდაფი ცენტრალურ ნაწილში ორსართულიანია. I სართული ღვინის შესანახი დარბაზებისა და მათი დამაკავშირებელი გვირაბებისგან შედგება. მათი გადახურვა კამაროვანია. II სართული, ძირითადად, ადმ. დანიშნულებისაა. ცენტრალურ კორპუსს თავზე ადგას ნახევარსართული. უკანა მხარეს ქ-ნა ერთსართულიანია, ნახვარწრიული, ორი ნაშვერით, რ-თაგან ერთ-ერთი გვიანდელია. სარდაფის კედლები ყრუა, მინიმ. ღიობებით.

სარდაფის მარცხნივ ღვინის კასრების შესანახი, მცირე ზომის, გადახურული ტერასაა, საიდანაც კასრების დასაგორებელი პანდუსი ეშვება. მარჯვ. მხარეს ნაგებობას აკრავს ღია ტერასა, ერთსართულანი, მცირე ზომის ფლიგელი და ორსართულიანი, თანადროული შენობა, რ-შიც ლაბორატორია იყო განთავსებული.

ნაგებობის ფასადების მხატვრულ ეფექტს ქმნის რიყის ქვისა და აგურის წყობის მონაცვლეობა. საფასადო კედელი დანაწევრებულია ყრუ და ნახევრადგახსნილი ღიობებით. მთავარ პარკში გამავალი ფასადი საზეიმოა, მრავალფეროვანი დეკორატ. სისტემით გაფორმებული. მისი ცენტრ. ნაწილი ოდნავ ამაღლებულია, გამოყოფილია რიყის ქვით გამოყვანილი, ორ-ორი პილასტრით. პილასტრებს შორის, ერთი მეორის თავზე, ყრუ, შეისრული თაღებია. ცენტრში დიდი, აგურით გამოყვანილი, შეტეხილი საპირით აქცენტირებული, ხის ალაყაფის კარია. მის თავზე, კედლის სიღრმეში, ჩასმულია ფართო, შეისრულივე ღიობი, რ-იც მცირე ზომის აივანზე გამოდის. ამ ფასადის სახე არსებითად უცვლელადაა შემონახული და აღმოსავლური არქიტ. მოტივებითაა ნასაზრდოები.

უკანა ფასადის კედელი გალავნის მსგავსადაა გაფორმებული. იგი დანაწევრებულია ღიობებით, რ-ებიც პილასტრებით მოსაზღვრულ, შეისრულ პორტალებშია ჩასმული.

ღვინის სარდაფს ემსახურებოდა სასახლის უკან, შემაღლებულ ადგილას მდებარე მ ა ც ი ვ ა რ ი, რიყის ქვითა და აგურით ნაშენი, მიწისქვეშა ნაგებობა. შესასვლელი მას მიწის ზევით აქვს. კარის ორივე მხარეს შვერილი აგურის კედლებია ამოყვანილი. კომპლექსის ტერიტორიაზე, ე. წ. სამთავრობო რეზიდენციასთან, კიდევ ერთი, იდენტური მაცივარი დგას. ორივე შენობა იმდროინდელი, ტექნიკური დანიშნულების ნაგებობის იშვიათი ნიმუშია. შენობის გადახურვა

363. ღვინის სარდაფი



ორქანობიანია, დაფარულია მიწაყრილით.

მცირე ზომის, ერთსართულიანი, სწორკუთხა შენობაა სანერგე (მდებარეობს სასახლესთან), რ-საც მამულის სხვა შენობების მსგავსი კედლების წყობა და მზეზე ორიენტირებული, შუშით დაფარული გადახურვის ნაწილი აქვს.

მამულის ტერიტორიაზე, ხეივის პირას, შემორჩენილია მცირე, დარბაზული ეკლესიის ნანგრევი – საკურთხევლის კედელი. სავარაუდოდ, ეკლ. გვიანდ. შუა საუკუნეებისაა. ნაგებია რიყის ქვის უწესრიგო წყობით. ლავგარდანი და აღმ. ფასადზე გამოსახული ჯვარი აგურისაა.

წინანდლის მამულის მშვენებაა პარკი, რ-იც დღეს უნიკალურად ითვლება არა მხოლოდ მრავალფეროვანი დასავლური, აღმოსავლური და ამერიკული წარმოშობის ეგზოტიკური ჯიშის მცენარეთა სიმრავლის გამო, არამედ, თავად პარკის დაგეგმარების თვალსაზრისითაც.

პარკში მთავარი შესასვლელი თბილის-თელავის გზატკეცილიდან სამხრ-ითაა. ალაყაფის კარიდან მცირე ზომის, ოვალური მოედანია, რ-ის გარშემო თავს იყრის პარკის სხვადასხვა მხარეს მიმართული გზა-ხეივნები. ამ გზათა შესაყარზე ცენტრში მდებარეობს მთავარი შესასვლელი. ამ ღერძზევე მდებარეობს სასახლე, სასახლის წინა მოედანი და სარდაფი. მოედანზე, სასახლესა და მთავარ შესასვლელს შორის, შადრევანი და ყვავილნარია. მოედანს ირგვლივ შემოუყვება და მცენარეულ ფონს უქმნის გზა-ხეივანი. ზოგიერთი სპეციალისტი მას ინგლისურ პარკებს ადარებს (რიჩმონდის პარკი, პარკი კიუ). წინანდლის მამულს სტუმრობდა არაერთი უცხოელი. მათ შორის საფრანგეთის კონსული შევალიე ჟაკ ფრანსუა გამბა, ფრანგი მწერალი ალ. დიუმა და ა. შ., რ-თაც არაერთი აღტაცებული სტრიქონი მიუძღვნეს მას.

მამულში ჩატარებული რეკონსტრ. წინანდლის პარკსაც შეეხო. 1886 წელს, როდესაც ჰ. ბაგოუტი შეუდგა მამულის მართვას, პარკის არსებობის მეორე პერიოდი დაიწყო. 1887 წელს პეტერბურგიდან მოიწვიეს ლანდშაფტური ხელოვნების დიდოსტატი არნოლდ რეგელი, რ-მაც იმპერატორ ალექსანდრე III-ის ვიზიტისთვის პარკი გადააკეთა და ნაკვეთებიც შემოიერთა.

XX ს-ის 40-იანი წლებიდან ირაკლი ხმალაძემ პარკში ახ. დეკორატ. ელემენტები შეიტანა. მცენარეებისგან შექმნა სხვადასხვა კომპოზიციები („მგელი და წერო“, „ვეფხვების ჯოგი“, „ნიანგი“, „ცეკვა ხორუმი“). პარკში სხვადასხვა ქვეყნების სანერგეებიდან შემოიტანეს 450-მდე სახეობის მცენარე. დარგეს 6 000 ხე და ბუჩქი.

პარკში, სასახლის მახლობლად, დგას ალ. ჭავჭავაძის ძეგლი (ავტ. გ. მიზანდარი). მამულის ტერიტორიაზე, 1962 წელს აშენდა სამთავრობო რეზიდენცია, რკინა-ბეტონის ნაგებობა, რ-საც 1970 წელს ჩაუტარდა რეკონსტრ. (ხელმძღვ. არქიტ. შ. ყაველაშვილი, არქიტ.: ვ. რცხილაძე, ა. და ი. სუმბულაშვილები). ნაგებობა შეიმოსა ე. წ. „კახური“ წყობის მოპირკეთებით. მას მიუშენეს მიწისქვეშა საბანკეტო დარბაზი (ფარ. 401, 78 *კვ მ*), რ-იც უკავშირდებოდა „მაცივარ-მარანს“. მასში შესასვლელი მოპირკეთებულია აგურით და რიყის ქვით. აქვს შვერილი, სამკუთხა, მომსაზღვრელი კედლები. შენობა დიდია, ორსართულიანი, განვით. შიდა სივრცით, საზეიმო ვესტიბიულითა და ათი, სასტუმრო ოთახით. I სართული გარშემორტყმულია ქვის, თაღოვანი გალერეით. II სართულს კარგად დამუშავებული ხის, ფართო, ორი აივანი აქვს. რეზიდენციის გარშემო მცირე ზომის ნაგებობაცაა.

წინანდლის მამულის ტერიტ. შემოსაზღვრულია გალავნით, რ-იც ისევე როგორც არქიტ. კომპლექსის სხვა ნაგებობები, რიყის ქვისა და აგურის მონაცვლეობით არის ნაგები. გალავნის შესასვლელი თითქმის უცვლელია (ამჟამად უმეტესწილად დაფარულია ხვიარა მცენარეებით). იგი ორივე მხრიდან ფლანკირებულია კოშკის ტიპის ნაგებობებით.

2007 წლიდან წინანდლის ჭავჭავაძეთა მამულში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რ-თაც წარმართავს შპს „წინანდალი“ საქართ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოსთან შეთანხმებული პროექტის (პროექტის ავტორები: ივ. გრემელაშვილი, ნ. ინწკირველი, სამეცნ. კვლევა – ლ. ანდრონიკაშვილი) მიხედვით.

ლ. ანდრონიკაშვილი, მ. კოკოჩაშვილი, თ. ჩიმაკაძე, თ. ჭყონია.

ბიბლ.: 15ა,ბ; 18; 33; 50ა; 51; 79; 87; 130; 170; 232.

ბიბლიოგრაფია

1. აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – ს. ჯანაშიას სახ. საქარ–თველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1961, ტ. XXII.
2. აზიკური ლ. ნატკორის ეკლესიის გა–თხრები. – მოყვასი (ალავერდის ეპარქიის ყოველთვიური გამოცემა), 2002, №2.
3. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
4. არჩილიანი. – თხზულებათა სრული კრებუ–ლი (ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ.), ტ. 1-2, თბ., 1936-37.
5. არჯევანიძე ი., თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, თბ., 1958.
6. ასათიანი ნ., საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსე–ბობის საკითხისათვის XVI-XVII სს. კახეთის სამეფოში. – თსუ-ის შრომები, ტ. 77, თბ., 1959.
7. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შე–სახებ (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., 2005.
8. აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.), თბ., 1984.
9. აფხაზავა ი., ჩანგაშვილი გ., თელავი, გზამკვლევი, თბ., 1974.
10. ბადრიძე შ., მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში. – მაცნე (ისტორიის, არქეო–ლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1964, № 1.
11. ბარათაშვილი ნ., თხზულებანი, თბ., 1968.
12. ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962.
13. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 2, თბ., 1959.
14. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 2, თბ., 1959.
15. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბ.:
    ა) ტ. 1, 1960;
    ბ) ტ. 2, 1963.
16. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994.
17. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.
18. ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I-II, თბ., 2014.
19. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974.
20. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთავე–ლის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
21. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.:
    ა) წგ. 1, 1964;
    ბ) წგ. 2, 1965;
    გ) წგ. 3, 1966;
    დ) წგ. 4, 1967;
    ე) წგ. 5, 1971;
    ვ) წგ. 6, 1973;
    ზ) წგ. 7, 1974;
    თ) წგ. 8, 1975;
    ი) წგ. 9, 1979.
22. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობებიდან XV ს-ში. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა–თვის, ნაკვ. 1, თბ., 1937.
23. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ., 1958.
24. ბერძნიშვილი მ., საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII ს-ის დამდეგს. – საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1968.
25. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევო–ლუციური მოძრაობა საქართველოში (მნი–შვნელოვან მოვლენათა მატიანე. 1883-1921), თბ., 1974.
26. ბუგიანიშვილი თ., გარე კახეთის ზეგნის ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VIII, თბ., 1979.
27. ბუგიანიშვილი თ., ქვედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, 1, თბ., 1991.
28. ბუგიანიშვილი თ., ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან. – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974.
29. ბუგიანიშვილი თ., ქვის ხანის ძეგლები კახეთში. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტო–

რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.

30. ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., დ ე დ ა ბ რ ი – შ ვ ი ლ ი შ., ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., უ ზ უ ნ ა შ ვ ი ლ ი მ., ჩ ი კ ო ი ძ ე ც. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნო–გრაფიის ინსტიტუტის 1968 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვ–ნილი XVIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე ანგარიშები, თბ., 1969.
31. ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი თ., თელავის თეატრი. – გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980, 26 დეკემბერი.
32. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.
33. გ ა მ ბ ა ჯ. ფ., მოგონებები ალექსანდრე ჭავჭავაძეზე
34. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი გ., გარეკახეთის ზოგადი ეკონომიკური გეოგრაფიული დახასიათება. – საქართველოს მეცნ. აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, თბ., 1955.
35. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი მ., მზე ქრისტესა და ჯამთა გამოსახულების შესახებ აკურის ბაზილიკის აღმოსავლეთ ფასადზე. – ლიტერატურა და ხელოვნება, 1997, № 1-2.
36. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1962.
37. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ი., მოგზაურობა საქართველოში (გ. გელაშვილის გამოც.), თბ.:
    ა) ტ. 1, 1962;
    ბ) ტ. 2, 1964.
38. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., არქეოლოგიური გათხრები იყალთოში. – მნათობი, 1933, № 8-9.
39. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., იყალთოს ნეკროპოლი. – მნათობი 1933, №5
40. გ ო ლ ი ა ძ ე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 1991.
41. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ ა რ ს ა დ ა ნ, როსტომ მეფის ცხოვრება (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), თბ., 1913.
42. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ ა რ ს ა დ ა ნ, საქართველოს ისტორია (ს. კაკაბაძის გამოც.). – საისტორიო მოამბე, 1925, ტ. 2.
43. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ჰ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., თბ.:
    ა) ტ. 1, 1949;
    ბ) ტ. 2, 1956;
    გ) ტ. 3, 1959;
    დ) ტ. 4, წგ. 1, 1962;
    ე) ტ. 5, 1965;
    ვ) ტ. 6, 1979;
    ზ) ტ. 7, 1984.
44. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია (თ. ლომოურის გამოც.), თბ., 1941.
45. დ ა თ ი შ ვ ი ლ ი ჰ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მშრომელთა განმანთავისუფლებელი ბრძოლა XIX საუკუნის პირველ ათწლეულში, თბ., 1976.
46. დასტურლამალი. – წგ.: ქართული სამართლის ძეგლები (ი. დოლიძის რედ), ტ. 2, თბ, 1965.
47. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 1, თბ., 1969.
48. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., 1964 წლის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არ–ქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლო-გიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიშები), თბ., 1965.
49. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითის საკითხისათვის. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეო-ლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია, (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.
50. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ბრინჯაოს ხანის ადრეული ძეგლები კახეთიდან. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.
51. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ტ. II (ნ. ბერძენიშვილის რედ.), თბ., 1940.
52. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ., ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974.

53. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., 2005.
54. ელიზბარაშვილი ი., რუისპირის ქველაწმინდის ეკლესია. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1984, №1.
55. ელიზბარაშვილი ი., სურამელაშვილი მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭურღულია ხ., არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012.
56. ენუქიძე თ., ახალშეძენილი ერთი საბუთის შესახებ (ერეკლე II სიგელი). – ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1953, ტ. 17 .
57. ერწო-თიანეთის საეპისკოპოსო გამოსაღების წიგნი. – წგ.: ქართული სამართლის ძეგლები (ი. დოლიძის რედ.), ტ. 3, თბ., 1970.
58. ვარაზაშვილი ვ., მდ. ივრის ზეგნის კატაკომბური სამარხების დათარიღებისათვის. – ჟურნ.: ამირანი, XIX, მონრეალი-თბილისი, 2008.
59. ვარაზაშვილი ვ., ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 4, თბ., 1980.
60. ვართაგავა იპ. მოგონებები, ნაწ. 1-2, თბ., 1956-62.
61. ვაჩეიშვილი ნ., არტოზანის წმ. შიოს ეკლესია. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), 1993, №3.
62. ვაჩნაძე მ., ლევან კახთა მეფე და მისი შვიდი პორტრეტი კახეთსა და საბერძნეთში. – ჟურნ.: ლიტერატურა და ხელოვნება, № 5-6, თბ., 1992.
63. ვაჩნაძე მ., ლევან კახთა მეფე და პოსტბიზანტიური ქართული მონუმენტური ფერწერა XVI ს, ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები. – I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი-თელავი-ალავერდი, 2006.
64. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973.
65. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469 წლიდან 1800 წლამდე, ნაწ. 2 (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), შორაპანი, 1913.
66. ზაქარაია პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.
67. ზაქარაია პ., ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975.
68. ზაქარია პ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960.
69. ზაქარია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973.
70. ზაქარია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.
71. ზაქარია პ., ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს., თბ., 1981.
72. ზაქარია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე, თბ., 2002.
73. თამარაშვილი თ, თელავი (XX ს-ის 40-50 წწ.), თბ., 2007.
74. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 1, ტფ., 1907.
75. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ), თბ., 1972.
76. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983.
77. თელავის ისტორიული მუზეუმის გზამკვლევი. – საქართველოს მუზეუმები, თბ., 2011.
78. თოდრია თ., ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, № 6, თბ., 1982.
79. თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს-ში, თბ., 1984.
80. თუმანიშვილი დ., ვაჩეიშვილი ნ., შავიშვილი მ., ჩხაიძე მ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თბ., 2010.
81. თუმანიშვილი დ., ნაცვლიშვილი ნ., ხოშტარია დ., მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012.
82. იაშვილი ნ., საქართველოს სსრ ტერიტორიის ტიპიზაციისათვის. – ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1946.

83. ილარიონ ქართველის ცხოვრება. – წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილ. აბულაძის გამოც.), წგ. 2, თბ., 1967.
84. იოანე ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1986.
85. იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, თბ.:
    ა) ტ. 1, 1936;
    ბ) ტ. 2, 1948.
86. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა (თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც.), თბ., 1986.
87. იოანე ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
88. იოსელიანი პ., მარტყოფის მონასტრის აღწერილობა, ტფ., 1847.
89. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978.
90. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. უთურიძემ), თბ., 1969.
91. კაკაბაძე პ., გარეკახეთის მრეწველობის განვითარება და განლაგება. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, თბ., 1955.
92. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბ., 1994.
93. კაკაბაძე ს, ღვთაების გუჯარი 1722 წლისა. – ისტორიული საბუთები, წგ. 1, ტფ., 1913.
94. კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნის ეპოქა (1500-1810), თბ., 1922.
95. კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრივი გენეზისის საკითხები. – საისტორიო მოამბე, 1924, I.
96. კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1924.
97. კაპანაძე დ., ზარაფხანათა და მონეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1959, №4.
98. კახეთი, თბ., 2005.
99. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბ.:
    ა) ტ. 1, 1969;
    ბ) ტ. 2, 1979;
    გ) ტ. 3, 1978;
    დ) ტ. 4, 1980;
    ე) ტ. 5, 1982;
    ვ) ტ. 6, 1984.
100. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.
101. კვეზერელი-კოპაძე ნ., სა–ქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.
102. კიკვიძე ა., გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, თბ., 1941.
